პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

## № 7-8

ყოველთვიური სამხატვრო სალიტერატურო
და სამეცნიერო ჟურნალი

ტფილისი 1924 წელი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია: მ. კახიანი. ვ. ბახტაძე. ლ. რუხაძე.

გამომცემელი: საქართველოს პოლიტ-განათლების მთავარ-მართველობა.

ს. მ. ფ. ს. პოლიგრ. განყ. მე-3 სტამბა № 443. ტირ. 5000.

ტფილისი—1924.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მხატვრული ლიტერატურა

საქართველო

რ უ ს ე თ ი

დასავლეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე.

# ჩვენ, პოეტები საქართველოსი.

გულში იმავე გრძნობით ბრუნდება და მოლოდინი დარეკავს ჩუმი
რომ არა ერთხელ აგუგუნდება დედამიწაზე კიდევ სამუმი.
აჰ, ქიმიური ომების წყება, სოფელში, მინდვრად, ქალაქში, ტყეში.
ახალი ლპობა გოსპიტალების, ახალი ცრემლის ღვარი და თქეში.
იქ, ტრანშეების ლაბირინტებში ნუ გაგიტაცებს ძველი წუხილი
ხევიდან ხევზე იკივლებს მეხი, ხევიდან ხევზე წავა ქუხილი.
გიგანტიური მუხლუხო—ტანკა და შეუწყვეტი ტყვიის ფანტელი
პროჟექტორებმა ჰაერში იგრძნეს ჰაეროების კორიანტელი.
წამოვა მღვრიე ცეცხლის ნიაღვრად ას სანტიმეტრის მკაცრი სახელი
ხევიდან ხევზე გადიგრიალებს—ხევიდან ხევის გამოძახილი.
გააფთრებული ომის გენია ძველი ჟანგივით ყვითელი ფერის
გადეფარება მეწამულ ზეცას რომ მოიტანოს დღე მწარე წერის.
იქნებ მოსწყინდეს ერთსახეობა აღმოსავლეთის დღეების თბილის,
გადმოანგრიოს მტკვარის ხეობა და ასაკლებად მოადგეს ტფილისს.
ვართ პოეტები საქართველოსი რომელთაც გვახსოვს დღე უარესი.
ჩვენ ეხლავ ვიცით სად დადგებიან ჰკლოდელი, ჟამმი, სიუარესი.
დავდგეთ იქ სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვსწირავთ ს ცოცხლეს, ჩვენ, პოეტები საქართველოსი.

1924.
25 დეკემბერი

გიორგი ქუჩიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვინ არის იგი?

ვინ არის იგი:
ახოვანი,
კუშტი,
ზვიადი,
მკერდ-განიერი
მკლავ-ძლიერი
შუბლ-დალარული;—
ვინ არის იგი,
ზღაპრული და
ლეგენდარული?

ვინ არის იგი?
ვინ აახავთა
გული მისი
ქარიშხლიანი,
რისხვის მოგრგვინავს
როგორც ვეფხვი
რისთვის ხმიანი;—
ვინ არის იგი,
ლომ-გული და
 წიშველ-ხმლიანი?

ვინ არის იგი?
რისთვის დაანთო
ეს ხანძრები,
ეს კოცონები,
რად ააბორგა
ბრგე ბრბოები,
ურჩი მონები?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ არის იგი?
ვინ აამბოხა
სული მისი
ვულკანიური,
ან ვინ ჩაჰყარა
მის კლდე-მკერდში
ცეცხლი ციური?

ვინ არის იგი?
ბოროტი სული,
თუ კეთილი,
გიჟი, თუ ბრძენი,
დაძონძილი,
ჩამოფლეთილი?

ვინ არის იგი?
ზღვის ქაჯია,
თუ ქარტეხილი;
თუ ცის მეხია
ჭექა-ელვით
ძირს დატეხილი?

ვინ არის იგი?
დაწყევლილი,
თუ დალოცვილი;
მუქთა-ხორა, თუ
შრომის შვილი,
ბორკილ-აყრილი?
ვინ არის იგი,
პირქუში და ძლევამოსილი?

ვინ არის იგი?
რისთვის მოუძღვის
ფეხებ-დამსქდარ
მღელვარე მასებს,
ან რად უყივის ბელადივით
დაჩაგრულ რასებს?

ვინ არის იგი?
ვისზეა ასე შერისხული,
დამუქრებული;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ ააფეთქა
ეს მთა-კაცი,
ალ-მოდებული?

ვინ არის იგი?
ამ ძე-ხორციელს
ვინ შთაჰბერა
გრიგალის სული;
სიკეთისთვის, თუ
სიავისთვის არის მოსული?

ვინ არის იგი?
რისთვის აღძრულა
სიძულვილით,
ბრაზით და რისხვით?

რა, რას წადიან:
ზეცის დამხობა,
თუ წალეკვა დედამიწისა?

ვინ არის იგი?
ყორნებისაგან დაფლეთილ მკერდზე
სისხლი წვეთ-წვეთად შეჰხმობია,
შეჰხორცებია!

ის დიდხანს იყო მიჯაჭვული
მიუვალ კლდეზე,
ღმერთებისაგან დასჯილი და,
მივიწყებული!
მხოლოდ ყორნები ეწვეოდნენ
დასაკორტნავად!

დაბლა კი, დაბლა,
დარიალის ღრმა ხეობაში,
თერგი მრისხანე,
უზარმაზარ მომსქდარ ლოდებით,
მოღვართქაფებდა
გულ-ხეთქებით,
ზათქით,
გოდებით!

ამბობენ:'

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თერგი ცრემლიაო
იმ გოლიათის

საუკუნენი დალეწილან
იმისი კვნესით;
მთანი და კლდენი დახეთქილან
მისი ცრემლებით.

მაგრამ, აღსრულდა'
ბოლო მოელო გოლიათის
ასკეც ვაებას!
უკანასკნელად მოიკრიბა
ძარღვთა ძალ-ღონე,
ასწყვიტა ჯაჭვი
და აეშვა კლდიდან კლდე-კაცი!

მორჩა!

გათავდა!
განთავისუფლდა გოლიათი!
მილეწ-მოლეწა დაქანცული
მან ბორკილები
და წყევლა-კრულვით
ესროლა ზეცას!
ღმერთებს მუქარა შეუთვალა
და ხმალს მიჰვარდა!

ძრწოდეთ კერპებო,
მიწიერნო,
ძალნო ციერნო;
ყოვლად ძლიერნო
მოციქულნო კაცთა მონობის!

თქვენ არ იცოდით:
არც დანდობა,
არც შებრალება!
ნურც მისგან ელით:
პატიებას და შეწყალებას!

ის სასტიკია!
და სასტიკი იქნება მსჯავრიც!

ვინ არის იგი?
ხვითქიან ტაიჭს მოჰფრენია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაინდი იგი
და რიხიანად მოიმღერის
ბრძოლის სიმღერას!

მის სიმღერაში ისმის ხოტბა
თავისუფლების
და მტერთა მისთა
გასრესა და გაცამტვერება!

ვინ არის იგი?
მიპასუხეთ:
ვინ არის იგი,
ვინც ძირს დაამხო
კაცთ-მონობა და ტირანია?
ვინ არის იგი?
გეკითხებით:
ვინ არის იგი?

. . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . .

ამირანია!
გზა!
**წითელი ამირანია!**

არ გჯერათ?
აბა დაუგდეთ ყური
თუ რას გუგუნებს
მთა-მედიდური:

ამირანი აწყვეტილა,
გადუხდია ომი;
წითელ ჩოხით შემოსილა,
მოდის როგორც ლომი!

მოდის, მძლავრად მოიმღერის,
შეუმუსრავს მტრები;
ყვავ-ყორნებით აუვსია
უბსკრულ-ხეობები!

კოლაუ ნადირაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1905 წ.

ბაჭუას.

1905 წელი, შემოდგომა;
ქარი და მთვარე;
ქუთაისი.
უდარდელი ჩემი ბავშობა.
კიდევ ხსოვნაში ჩარჩენილი,
როგორც სიზმარი,
დედის ალერსი,
მისი მკერდები ნოყიერი,
რძით გავსებული.
ვიწრო საწოლში დაძინება
და მოლოდინი,
რომ კვლავ სიზმრებში
ვნახვიდი იმათ
ვინც მე მიყვარდა,
ვისაც ვუყვარდი.

—

ქარი და მთვარე,
შემოდგომის ღამის სურნელი;
და უცნაური,
ქარის ფრთებზე მოვარდნილი
ზარების კვნესა,
მძიმე გუგუნით.

—

მე მაგონდება
შეშინებული გამოღვიძება,
ქუჩებში გასვლა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღრიალი ხმების,
თოფების სროლა
და უცნობების შავი ბლუხებით
აჩქარებული ქუჩებში ქროლვა.
მე მაგონდება
მოწოდება მედგარ ძახილით:
„ამხანაგებო, გამოდით ყველამ!
გამოდით გარეთ!!
ნაბატი სცემდა
მკვნესარ ზარებით.
ქუჩების ღელვას,
ხალხის ნიაღვარს,
თოფების ცემას
აკანკალებული მივჰყვებოდი და
მახარებდა,
არ ვიცი რისთვის,
რომ მეც შემეძლო,
სხვებთან ერთად
დამეყვირა
ჩემი წვრილი, პატარა ხმითაც!
მე ვიყავ მთვრალი,
ბედნიერი,
მე არ ვიცოდი
თუ რისთვის მსურდა
ყველასთვის მეთქვა,
რომ მიხარია,
რომ მიყვარს ყველა!

—

და ისევ ქარი,
და ისევ მთვარე,
ნაბატის მწარე
და ჩქარი ცემა
ავსებდა მკერდებს,
სახლებს და ქუჩებს
ხვსებდა ჩემ გულს.

II

უძილო ღამე,
დილა მზიანი;
ისევ ნაბატის ცემა მქუხარე;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თოფების სროლა,
ზარი მწუხარე,
და ჩემ სახლიდან ჩუმათ გაპარვა.
მე ათი წლის ვარ
და მხოლოდ ერთხელ
მე დავინახე,
რომ მათრახებით
„კაზაკები" ვილაცას სცემდენ...
და მქ მაკვირვებს
თუ რისთვის სჭრიან
ნაჯახებით
მაღალ ბოძებს,
და ლამაზ ხეებს;
ან რათ ხლართავენ
მავთულებით
მზით მორწყულ ქუჩებს...
მაგრამ მიტაცებს,
მაკანკალებს
მეც სიხარული გაუგებარი,
ნგრევის სურვილი,
და მსურს ნაჯახით,
თეთრი ნაჯახით
მოვჭრა ლამაზი,
ჩემი ნაცნობი,
საყვარელი, დიდი ხეები—
ოქროს ფოთლებით დაყურსული
და დატვირთული
ფართე ჭანდრები,
ხსოვნაში ჩარჩა ერთი სახე,
და მაგონდება
ეხლა, ამ წუთში,
სიტყვა „ბაჭუა",
ელვარე სახე,
ცეცხლის თვალები,
მისი მკლავები,
რომლებმაც სწრაფად
ამწიეს მაღლა,
რომ მაღალ ბოძზე
ავსულიყავ მავთულთ საჭრელად.
და მე პატარა რევოლიუციონერს—
მოკლე შარვალით და ხუჭუჭ თმებით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომცეს პატარა, თეთრი ნაჯახი...
და ბედნიერი, ვჭრიდი მავთულებს.
ეხლაც კი მახსოვს,
ფუთკარის ხმაზე
უეცრათ ყურთან გაიზუზუნა..,
და ვიგრძენ ოდნავ, ცივი ნიავი,
ვით მერცხლის ფრთიდან მე ყურთან თმაზე...
1905 წელი, შემოდგომა,
ზარების ცემა, ცეცხლის ალისი,
ბარიკადები,
რევოლიუცია და ქუთაისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ გორგაძე

# სიმფონია მწუხრის

არის სიმფონია მწუხრის:
„პალმების შორის
თეთრი,
სპეტაკი
სარაჯიშვილი განისვენებს კუბოში“.
ღრმა სარკეები იხედებიან ტრაურით.
ცასავით მხიარული—
არ მოსჩანს ჯიოკონდას ღიმილი.
მხოლოდ ბავშები
მწუხარებით თავ-დახრილნი
სდგანან მდუმარე გიაცენტებივით.
ქუჩებში ტორტმანით ირევა ხალხი.
ვით ამწვანებული ჰერანები—
წითელი დროშები ფარავენ პროსპექტს.
კარმანჲოლის სიმღერით
მიაბიჯებენ მუშები.
მწყობრი ხმაურით
გრიალებს ორკესტრი წითელ-არმიელების.
მთაწმინდიდან
მძიმე,
ტყვიის ფერი
ქალაქზე იშლება ნისლი
ატირებული თარები, როგორც ფაგოტები,—
მღერიან სამგლოვიარო ოდას.
— ეს ძველი ტფილისი, დაწურულ გულით
ცრემლებით აცილებს საყვარელ ცხედარს.
„ეთერის“ ბალიდან
ქრისტეს თვალებით
იხედება
აკაკის ბჲუსტი—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თოვლივით თეთრი.
და ოპერის აივნიდან
მწუხარე არია
ისმოდა ისე,
ვით ვიოლის გაწვრილული ხმები,
როცა იღუპებოდა გემი „ტიტანიკი“.
ამიერიდან
კიპაროსების ჩრდილში,
როგორც ლაჟვარდის კუბო
ან რივიერაში ნიცცა—
დარჩება სკლეპი,
სადაც განისვენებს
ს. ს. ს. რესპუბლიკის
სახალხო„არტისტი,
მომღერალი ვანო სარაჯიშვილი.

13 XII.-24
სასახლის ქუჩა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ჯავახიშვილი

# ჯაყოს ხიზნები.

რომანი სამ ნაწილად.

## ნაწილი პირველი.

### I.

— გ...გგგაანარჯვება, ჯაყო!

— ნათლია კნიაზს გახლავარ!

— კაცო, სადა ხარ, სად დ....ddაიკარგე?

და ნათავადარი თეიმურაზ ხევისთავი ღიმილით და ხელგაშლით გადაეგო-ბა თავის ნახიზნარსა და ნამოურავალს ჯაყო ჯივაშვილს, რომელმაც ძველად-ვე ნაჩვევ ხელით ოსური ქუდი მარდად მოიშვლიპა, უცნაურად დაიჭიხვინა და თავისი ნაბატონევის ორივე ხელები,—დამდნარი, დონდლო და უძვლო ხელე-ბი ბუმბულზე გაზრდილ და წიგნებით შეჭმულ თეიმურაზ ხევისთავისა უმალ თავის დათვეურ თათში ჩაიმალა და ჩაიბღუჯა.

სალამის შემდგომ ბეცმა თეიმურაზმა ოდნავ უკან დაიხია, მარცხენა ხე-ლით სათვალეები შეისწორა, მარჯვენა ხელის სალოკი თითი მაღლა ასწია, გო-ლიათ ოსს ქვეიდან აჰხედა და გაიკვირვა:

— საკ...კკკვირველია!. საოც....ცცარია! როგორ გადიდებულხარ, ჯაყო, როგორ გასუქებულხარ?!

ჯაყომ ცალის ხელით დოინჯი შემოიყარა, ცხენის კბილები გააელვა და დაიჭიხვინა:

— მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

მისი ნაჭიხვინევი მთელმა ქუჩამ გაიგო. მავალებმა მოიხედეს, იმ ორ ადა-მიანს აჰხედ-დაჰხედეს და გაიღიმეს.

ჯაყო ჯივაშვილი ქალაქში შემოვარდნილ დათვს ჰგავდა. დედა ბოძივით სქელი და გაჩაჩხული ფეხები ძლივს იმაგრებდნენ [illegible] დადგმულ თეძოებსა და მხარ-ბეჭს, რომ ვიწრო [illegible] ძლივს იტევდა.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ნაჭრილობევით დასერილი თავი და პირისახე შავის, ხშირისა და აბურძვნილის ჯაგრით ჰქონდა შემოსილი, თითქოს ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უეხარმახარი ზღარბი აცოცებულაო.

შავი ჯაგრის ბუჩქნარი თვალებამდის სწვდებოდა და იმ ჯაგნარიდან მხოლოდ და წინ-წამოყრილ ცხენის კბილებსა და აჭყლეტილ ცხვირს ამოეყო თავი.

ერთი მტკავლის სიგრძე ულვაშები გადმობრუნებულ ჯამებივით გამოყრილ ლოყებზე ახალ ცოცხებივით ეყარნენ, ხოლო იმ ჯამებს დინჯად და მედიდურად ლამბაქების ყურები დასცქეროდნენ.

შუბლი დაბალი და ჩაზნექილი ჰქონდა, ცხვირი—მოკლე და აჭყლეტილი; თვალები—მსხვილი კაკლის ოდენა და ამოყრილი, თანაც ცოცხალი და ცუღლუტი, მოელვარე და მოუსვენარი; თვალებს ზედ დასწოლოდა დაბურვილი, ხშირი და გრძელი წარბის ლაფი, რომელიც მაღალსა და წინ-წამოვარდნილ კვინიზზე შუაზე გადატეხილიყო.

თავთ ეხურა ყავისფერი ოსური ნაბდის ქუდი, ტანთ ეცვა ოსური შალის გაპოხილი ჩოხა, ხოლო მაღალ მუხლებზე ხალვათი პაიჭები, თათრული ჭრელი წინდები და ახლად ნაყიდი დაბახანური ჩუსტები. ერთი ადლის სიგრძე და ვერცხლით შეჭედილი თეიმურაზის პაპისეული ხანჯალი ტლანქსა და ბეჭგანიერ გოლიათს ხალვათ სიარულისთვის თეძოზე ჩამოეკიდნა.

ჯაყოს ერთ ხელში რკინით ნაჭედი მაჯის სისქე კომბალი ეჭირა, ხოლო მეორე იღლიაში ჭედილა-ცხვარი ამოეჩარნა, რომელიც ისე ადვილად მიჰქონდა, თითქოს ის ცხვარი ვარიაზე მძიმე არ ყოფილიყოს. ბეჭებზე რუსული თოფი ჰქონდა გადაგდებული, გულმკერდსა და წელზე სამი სავაზნე ჰქონდა შემორტყმული, ხოლო თეძოზე გრძელი მაუზერი ეკიდა.

ნაბატონევი თეიმურაზ ხევისთავი თავის ნამოურავალს იღლიამდის ძლივს სწვდებოდა: იგი უმზეო ყვავილივით ნაზი და ლამაზი იყო, ნატიფად ასხმული და ნაქანდაკევი, მაგრამ გამხდარი და გაძვალებული, მხრებაყრილი და მკერდჩავარდნილი, ბეცი და მელოტი, გაფუფქულ ქათმის მინამგვანი, მწიგნობრობით დაღლილი, დაზრეტილი, გამოწურული და დამდნარი ნაკაცარი, რომელსაც მომავლად თვალწინ მხოლოდ შავი ნისლი ჰქონდა აფარებული, ხოლო ყველაფერი, რაც კი მას ოდესმე გააჩნდა, წარსულში ჰქონდა დარჩენილი: ტკბილი მოგონებანი, საერთო პატივი, მეგობართა სიყვარული, მუდმივი მოლოდინი უცნაურ მომავლისა და მარადიული დევნა ბუნდოვან ლანდებისა.

თეიმურაზ ხევისთავი ლბილის და ჩუმის ხმით, ტაატით და ბორძიკით ლაპარაკობდა:

— საკ.....კვირველია!—ერთხელ კიდევ წაიჩურჩულა თეიმურაზმა და ორივე ხელით ჯაყოს მორგვის მკლავს ჩამოეკიდა:—როგორ გამოცვლილხარ! წამო, ჯაყო, წამოდი ჩემთან. აქვე ვ....ვცდგევარ. მარგოს ძალიან გაუხარდება შენი ნახვა.

— წამოხვალ, შენი ჭირი მე, რატომ არ წამოხვალ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართალია, წინანდებურად ველარ დაგიხვდები, მაგრამ [illegible] ყვე-ლი და პურით, კეთილი გულით.

— წამოხვალ, შენი წირი მე, რატომ არ წამოხვალ!— კვლავ როყიო ხმით აჩვიჩვინდა ჯაყო.—ჩემი კნიაზი ისე არ გალარიბდები, რომ ჯაყოს ვერ დაუხვ-დებოდეს.

თეიმურაზმა ხმა უფრო დაიმდაბლა:

— ოჯახი დაღნა, ჯ....ჯჯაყოჯან. დაღნა! ცხოვრებამ ყველანი დაგვაღნო•

— ნათლია მარგო როგორა ხარ?

— კარგად ვერ არის. ისიც დნება და ილევა. აი, შენ თვითონვე ნახავ. ნათლია მარგოსაც ესიამოვნება შენი ნახვა. ზარემ ხ... ხხუთი წელიწადიც იქ-ნება, რაც მარგოს არ უნახავს შენი თავი. იქნება ვერც გიცნოს, რადგან მე-ტის-მეტად გამ...მმოცვლილხარ.—მერე მიიხედ-მოიხედა და ხმას ჩურჩულამდის დაუწია:

— მართლა, ჯაყო, კნიაზს ნუღარ ე...მმეძახი, თორემ... ხომ იცი ...ვინ იცის რას იტყვიან.

ღვინით შებრუჟებული ჯაყო შესდგა და უარესად აყვირდა:

— ფეხებზე გკიდია ჯაყოსა ყველანი! რაც გინდა, ის იტყოდეს! შენ ჯა-ყოს ნათლია კნიაზი ხარ, მარგოც ნათლია კნეინა ხარ. დანარჩენი ჯაყოსა ფე-ხებზე გკიდია! არავისიც არ ეშინიან ჯაყოსა, მაშ, მაშა!

თეიმურაზი დაფეთდა. მიიხედ-მოიხედა და აჩიფჩიფდა:

— ჯაყო, ნუ გაგიჟდი! ხმა აღარ ამოიღო, გაჩუმდი, თორემ...

— რათ უნდა გაჩუმდე?! აკი გითხარი, ჯაყოს არ ეშინიან მეთქი!

და უმიზეზოდ ერთხელ კიდევ ისე აყროყინდა, რომ მავალებმა გაცრეცილ ნაბატონევსა და იმის უცნაურ ნამოჯამაგირევს კვლავ ღიმილით აჰხედეს და თვალი გააყოლეს.

კარგა ხანს იდგა გალეჯული ჯაყო ვიწრო ტროტუარზე, გზას აღარავის აძლევდა, აღარავის ერიდებოდა, კეტის სისქე კომბალს ანჯღრევდა, ხარხარებ-და რახრახებდა და იქადნიდა:

— ფეხებზე გკიდია მეთქი ყველანი ჯაყოსა! მოდი, ვისაც გინდებოდეს! თუნდ კომბალით გახვიდეთ, თუნდ ხანჯალით, და თუნდ მუშტითა, მაშ, მაშა!

თეიმურაზმა ძლივს დასძრა გათამამებული ნამოურავალი.

ორივენი კვლავ მიდიოდნენ და იგონებდნენ წარსულ დროებას: ერთად შეზრდას, ყრმობას, სოფლურ გასართობს, თევზაობას, ფრინველზე ნადირობას, უდარდელ წარსულსა და ბედის ცვალებადობას.

თეიმურაზი გზაში ხშირად გააჩერებდა ხოლმე თავის ნამოჯამაგირევს, ერთხელ კიდევ აჰხედ-დაჰხედავდა, სათვალეებს შეისწორებდა, თითს მაღლა ას-წევდა და ისევ გაოცდებოდა:

— ს.სსაოცარია! საკ...კკვირველია!

ჯაყოც ცალის ხელით დოინჯს შემოიყრიდა, ღოჯის კბილებს გააელვა-რებდა და უმიზეზოდ დაიხვიხვინებდა:

— მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

ზოგჯერ ჯაყოს თითქოს დაავიწყდებოდა თეიმურაზის [illegible] თოხა-რიკის ნაბიჯით მოსხლტებოდა. აქაქანებული თეიმურაზი ჯაყოს ძლივს მისდევ-და, თან ბავშვივით მკლავზე ეკიდებოდა და მოაგონებდა:

— ნელა, ჯაყო! ნუ სჩქარობ, თორემ დავიღალე.

მიუხვ-მოუხვიეს და ერთს ძველს შენობას მიადგნენ.

განიერი ჯაყო პატარა სახლის პატარა კარებში ძლივს შეეტია და ვიწრო-კარებიც კინაღამ თან შეიტანა და შეანგრია.

თეიმურაზმა თავის ცოლს მარგოს ქოშინით ჰკითხა:

— მარგო, იც...ცცანი ეს კაცი?

მარგო შავსა და ნუშის მსგავსს თვალებს ჰჟუტავდა, ხან მოღიმარე ჯა-ყოს შესცქეროდა, ხან თეიმურაზს იშველებდა და ისე ჰბუტბუტებდა, თითქოს ქურდობაში წაასწრესო:

— მაგონდება... ვიცნობ... მაგრამ....

— ჯაყოა, მარგო, ჩვენი ჯაყო, ჩვენი ნათლი-მამა, აღარ გახსოვს?

— ღმერთო ჩემო! გამარჯვება ჯაყო!

გაბადრულმა ჯაყომ ხაფი ხმით წამოაყრანტალა:

— კნეინა ნათლიას გახლავარ!

და ნაკნეინარ მარგოს გაცომებული ხელი კინაღამ მოსტეხა.

მარგომ ნათლიდედა და ნათლულები მოიკითხა და მერე ნათლიმამას უსაყვედურა:

— სადა ხარ ჯაყო? რას აკეთებ? სულ დაგვივიწყე, აღარ სჩანხარ. ეგრე უნდა, განა?!

— მუშაობ, შენი წირი მე, მუშაობ, მაშა! ბევრი საქმე გაქვს ჯაყოსა, ძალიან ბევრი. სოფელს პატრონობა გინდა. სამი დღეა ქალაქში დადიხარ ჯა-ყოი. მთავრობასთან იყავი, მაშა! ვერ მოიცალე, შენი წირი მე, თქვენთვის ვერ მოიცალე ჯაყომა.

— მთავრობასთან რა გინდოდა, ჯაყო?

— სოფლის „პოვერენია“ ხარ ეხლა ჯაყოი, მაშა! სოფელს სკოლაც გინ-და, ჩითიც, ნავთიც და მარილიც. ღარიბი სოფელია ნაშინდარი, ამიტომ ჯაყომ სთხოვე მთავრობას, რომ ნალოგი არ წაიღო, თორემა სოფელს მოსავალი არა გქონდა. წლეულს ნაშინდარს სეტყვაც მოგივიდა, დიდი წვიმაც და გოლვაც. სულ გაგიფუჭდა მოსავალი, სულ!

— მეტის მეტად გამოცვლილხარ, ჯაყო, გასუქებულხარ.—გაუღიმა მარგომ.

— მაშ, მაშა! გაიზარდე ჯაყოი, შენი წირი მე, ძალიან გაიზარდე, მაშა!

— ალბათ კეთილი ცხოვრება გექნება, ჯაყო, იმიტომ გასუქებულხარ.

— რატომ არ გექნება ჯაყოსა კეთილი ცხოვრება, შენი წირი მე?! ჯაყო ახლა კარგადა ხარ, ძალიან კარგადა ხარ. იმიტომ გასუქდი ჯაყოი. ეხლა ჯა-ყოს ბევრი გაქვს პურიც, ხორციც, დუმაც, კარაქიც, რძეც და მაწონიც. ჯაყოც მთელი დღე სწამ და სწამ, სწამ და სწამ! სუქდები და სუქდები, სუქდები და სუქდები, მაშა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დ....დდაბრძანდი, ჯაყო, დ...დდაბრძანდი და გვიამბე შენი ამბავი.—მიიპატიჟა თეიმურაზმა.

— დაბრძანდები, შენი წირიმე, მაშა! ეხლავე დაბრძანდები.

ქუდილა კუთხეში მიაგდო, კომბალიც იქვე მიაყუდა, მორგვის მკლავები დაიმკლავა, დინჯად ჩამოჯდა და სკამს ჭაჭა-ჭუჭი დააწყებინა. ჩამოჯდა და თვალი მიავლო ბინდიანს, ტენიანსა და ობიან ოთახს, რომელიც თავის მდუმარებივით სევდიანად, ქუშიანად და ნაღვლიანად გამოიყურებოდა.

მერე ჯაყომ თეიმურაზს გადაჰხედა და მოკლედ მოუჭრა:

— ძალიან გალარიბდი, შენი წირი მე.

მარგო უცებ მოიღრუბლა. პირისახე მიიბრუნა და ცრემლმორეული თვალები სარკმელს გაუშტერა.

თეიმურაზი სირცხვილით აილეწა. თავი ჩაჰღუნა და დიდხანს სდუმდა. მერე გამოსტყდა და დანაშაული აღიარა:

— ჰო, ჯაყო, გავღარიბდით... ძალიან გავღარიბდით...

## II

თეიმურაზ ხევისთავი ოცდათხუთმეტი წლის ახალგაზრდა მოხუცი გახლდათ,—ნათავადარი, ნამამულევი, ნამოღვაწარი და ნავექილარი.

ერთ დროს ლიახვის ნაპირზე, სოფელ ნაშინდარში, მას ჰქონდა პაპისეული ციხე-დარბაზი, ქვითკირის მოზრდილი ბოსელი, მუხის ბეღელი, თავმონგრეული კოშკი, მარანი, ხუთიოდე დღიური ბაღ-ვენახი, კაკლის დიდი ქალა და ათასი დღიური სახნავი. ლიახვის სათავეში, როკის ხეობაში მასვე ეკუთვნოდა ოთხი ათასი დღიური ხელუხლები ნაძვნარი, რომელიც თეიმურაზის მამამ ავთანდილმა ისე შეჰკრა და შეინახა, რომ—სანამ ცოცხალი იყო,—იმ ტყეში ერთი ხეც არავის მოაჭრევინა. მერე, როცა ავთანდილი გარდაიცვალა და თვისი მეუღლე სოფიოც თან გადაიყოლა, ერთად ერთმა მემკვიდრემ,—ახალგაზრდა თეიმურაზმა, ხევისთავთა მოურავობაში დაბერებულ პეტრე დევდარაშვილს უთხრა:

— ტყეც და სსს...სახნავ-სათესიც ხალხს ეკუთვნის. თავი დ...დდაანებე, ღალას ნუღარ გამოართმევ. ხალხი არ შეაწუხო. აყალმაყალს მოერიდე, თორემ ჩემი მტრები ისარ...რგებლებენ, გაზეთებში გ...გგამლანძღავენ და საქვეყნოდ თავს მომჭრიან.

ჰკვიანი პეტრე უმალ მიხვდა, რომ მას უპატრონო მამულში საქმე აღარ ექნებოდა, და მოურავობა ახალგაზრდა ჯაყოს გადაულოცა, რომელიც ხევისთავთა ოჯახს მოჯამაგირედ შეეზარდა. ჯაყო თხუთმეტის წლისა ძლივს იქნებოდა, როცა მისი ბიძა ქეშელა ჯავის ხეობიდან დედიან-ბუდიანად დაიძრა და ავთანდილ ხევისთავს შეეხიზნა. ობოლი ჯაყოც თავის ბიძას გადმოჰყვა, ბატონს მენახირედ დაუდგა და თავიდანვე ისეთი ძაღლური ერთგულება, ისეთი ხელმარჯვობა და მუყაითობა გამოიჩინა, რომ ქანცმილეული პეტრე მალე ხელში ჩაიგდო და მისი მაგივრობაც დაიმკვიდრა.

თეიმურაზი თავის ძვირფას ნაძვნარის სანახავად როკის ხეობაში არასოდეს ასულიყო, რადგან ვერც ცხენზე სჯდებოდა და ვერც სამიოდე დღე მოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელთა შორეულ მგზავრობისთვის. ერთხელ თეიმურაზმა მართლა დააპირა ჯავის ხეობაში გამგზავრება, მაგრამ იმ ხეობიდან დაბრუნებულმა ჯაყომ თავის ბატონს შეატყობინა:

— იმ ტყეში, შენი ჭირი მე, ერთი ბუჩქიც აღარ დაგრჩებოდეს წამლად. ჯაველებმა სულ გასჩეხე შენი ტყე. საწყალი ტყე! ჰაი დედასა, რა ტყე გაფუჭდი!

ამის შემდეგ თეიმურაზმა გადასწყვიტა, რომ იმ სიშორეზე წასვლა ზედმეტი იყო, და აღარც წასულა.

ჯაყომ ისიც დააჯერა თეიმურაზს, ვითომ ხელსაყრელი აღარ ყოფილიყოს საბალახედ გადაქცეულ როკის მამულის დევნა, მოვლა, და ასიოდე მანეთის ლალისთვის იმ სიშორეზე ხეტიალი.

დაიჯერა თეიმურაზმა და ის მამული ვინმე ბრინკა ჯივაშვილს ორას თუმნად მიჰყიდა.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ერთხელ ნაშინდარის მღვდელმა ივანემ თეიმურაზს უთხრა, რომ მამულის მყიდველი ბრინკა, — ტუტუცი და გამოჩერჩეტებული ლოთი, — ჯაყოს ბიძაშვილი არისო, ვითომ იმ ბრინკას ნამდვილი მყიდველი — ჯაყო ჯივაშვილი ამოეფარაო, ვითომ ჯაყომ ის მამული მეორე დღესვე ვინმე ფარასტაშვილს ექვს ათას მანეთად მიჰყიდაო და იმ მამულში ასი ათასი უზარმაზარი ნაძვი, ფიჭვი და სოჭი კიდევ დარჩაო.

თეიმურაზმა ეს ამბავი მარჯვენა ყურში შეიშვა და მარცხენა ყურიდან გაუშვა. არც ეცალა თეიმურაზს ჭორების გამოძიებისთვის, რადგან სწორედ იმ დროს მან თავის სახლის ჭერის თავზე მუხის სამი ყუთი აღმოაჩინა დამპალ და ჩრჩილ ნაჭამ გუჯრებით და ძველ წიგნებით გავსებული. თეიმურაზმა ამ გუჯრებსა და წიგნებში ისე ღრმად ჩაჰყო ცხვირი და ისეთის გულმოდგინებით ჰქექავდა ერთ წელიწადს იმ ნაგავს, რომ კინაღამ თვითონაც დალპა, გაჩრჩილდა და გაჭიავდა.

ახალგაზრდა მეცნიერს ჯერ ეგონა, ვითომ მან საქართველოს ისტორიის მეჩვიდმეტე საუკუნე გადმოატრიალა, ზოგ ბუნდოვან ამბავს შუქი მოჰფინა და ძველის-ძველ ქრონიკების უძველესი ვარიანტები აღმოაჩინა. მაგრამ, როცა ერთს მოხუც მწიგნობარს თვისი სიხარული გაუზიარა და ის ნაწერებიც წააკითხა, მობუცებულმა მეცნიერმა თეიმურაზს ერთ წელიწადში აქაფებული იმედი ხუთ წუთში გაუქარწყლა და ადუღებული თავიც დაუმშვიდა. იმოდენა ნაწერებში არასფერი ახალი არ აღმოჩნდა, — გარდა ხევისთავთა უთავბოლოდ დავისა ამილახორებსა, ერისთავებსა, მაჩაბლებსა, ამირეჯიბებსა და ყველა შორეულ და მახლობელ ქართლელ მეზობლებთან — შესახებ ყმების, საცეციანო და სამაჩაბლო ტყეების, ღალების, სამონასტრო ადგილების, ზვრებისა და ათიოდე კუთხეში გაფანტულ მამულებისა, რომელთა რაოდენობას და ნუსხას თეიმურაზმა თავიც ვერ მოუყარა.

როგორც შეეფერებოდა ნასწავლ თავადიშვილს, თეიმურაზს მუდმივი ბინა ტფილისში ჰქონდა, ხოლო ნაშინდარი მეწველ ფურად და აგარაკად იყო გადაქცეული.

ეროვნული

ერთ დროს ახალგაზრდა, ქველი თავის დროის ჰაზრებით—[illegible] ბატონი ზაფხულში და შემოდგომაზე ნაშინდარში სცხოვრობდა და დღეს და ღამეს წერა-კითხვაში ასწორებდა. მაგრამ ნაშინდარელი გლეხები ბატონს მოსვენებას არ აძლევდნენ. დღე არ გაივლიდა, რომ იმის ციხე-გალავანში გლეხები არ შესულიყვნენ, თეიმურაზის ფანჯრის ძირში არ ატუხულიყვნენ და ყაყანი არ აეტეხნათ.

— რა იყო, რა მ...მმოხდა?—იკითხავდა თეიმურაზი.

ასტყდებოდა ჩივილი, ვაჭრობა, ღიჯინი და თხოვნა-მუდარა ორიოდე კოდი ხორბალის, ან რომილიმე ღალისა და ვალის შემცირებაზე და პატიებაზე.

ბოლოს გლეხებს თავიანთი გაჰქონდათ, მაგრამ მერე ჯაყოს ჰიხვინი და საყვედური იქაურობას გასტენავდა ხოლმე.

— რათ გაპატიე ილასა?.. რათ მისცემოდე თედოსა? ყველას რომ ეგრე დაურიგდებოდე ღალასა, ზამთარში რაღას მოგართმევდებოდე ქალაქში? აღარ გინდა ჯაყოს სამსახური, აბა ეხლა სხვა ჯაყო იშოვნებოდე!

სხვა ჯაყოს თეიმურაზი ვერ იშოვნიდა, ამიტომ დატუქსულ შეგირდივით ბოდიშს იხდიდა და გამწყრალ მოურავს ამშვიდებდა:

— ნუ ჰყვირი, ჯ...ჯჯაყო. ამიერიდგან უშენოდ არავის ალარავითარ შეღავათს არ მივცემ,

ჯაყო დამშვიდდებოდა, მაგრამ მეორე დღესვე ხელმეორედ აყვირდებოდა, რადგან გულუხვი თეიმურაზი დადებულ პირობას ვერ ასრულებდა. ბოლოს ჯაყომ თეიმურაზს თვისი განაჩენი გამოუცხადა:

— ბატონო, შენ უნდა წახვიდებოდე, თორემა მე და შენ ვერ მორიგდებით.

თეიმურაზი ტფილისში წავიდა. მას შემდეგ ნაშინდარის პატრონი,—მუდამ მოუცლელი და ყოვლად გადაუდებელ საქვეყნო საქმით დატვირთული და პოლიტიკურ გაზაფხულით გატაცებული ორ-სამ წელიწადში მამა-პაპეულ ნაბინადარში ერთხელ ძლივსღა ავიდოდა. იქ ორიოდე კვირას მოისვენებდა, მეზობლებს დახედავდა, სოფლელებს კვლავ სათხოვარს შეუსრულებდა და თავის მოურავს ჯაყოს გლეხების აწიოკების გამო ასეთს დიალოგს გაუმართავდა:

— ჯ... ჯჯაყო, რამდენჯერ მითქვამს შენთვის, გლეხებს ლბილად მოექეცი მეთქი.

— ლბილად კი არა, ახლა იმ ტურტლიანებს გაკოცებ კიდეცა!

— ნუ აკოცებ, მაგრამ ნურც დასჩაგრავ.

— ვინა? მე დაგჩაგრე გლეხები? გაცხარდებოდა ჯაყო.—მე კი არა, გლეხებმა დაგჩაგრეს საწყალი ჯაყოი. რამდენჯერ გცემეს ჯაყოსა, რამდენჯერ გაგიტეხეს თავი?!

— ჯაყო, ყური დამიგდე. ათჯერ მითქვამს შენთვის, რომ მე პ...პპოლიტიკური მოღვაწე ვარ. მე და ჩემი მტრები ერთმანეთს ვებრძვით. ამას წინათ შენი ოინები გაიგეს და გ...გგაზეთში ჩამიწერეს. რა პასუხი უნდა გავცე ეხლა ჩემს მტრებს?

— რა პასუხი? ჯაყო გითხრამს: ასე დასწერებდებოდე შენ გაზეთში: წადით, თქვენი დედა და მამა... თქო!

— ჯაყო, ჯაყო! ნუ ხარ უზ...ზზრდელი, აგეთი ლანძღვა არ შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიანაც შეიძლება! ჯაყო ქალაქში რომ ჩამოხვალ, ერთი ეს კაცი აჩვენებოდე იმასა, გაზეთში რომ დაგწერებდა. მერე შენ ნახავდებოდე სეირსა, ისე გაბურთავე ის ოხერი, როგორც ჩილიკა-ჯოხი, მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

თეიმურაზი გაიცინებდა, ბრძანების ნაცვლად ჯაყოს კვლავ დარიგებით გაბერავდა, მერე მარჯვნივ და მარცხნივ ნასწავლი კაცის რჩევას უხვად გააბნევდა, გლეხებს ათასს იმედს მისცემდა, მიწების განაწილებას დაჰპირდებოდა და სვინიდის-დამშვიდებული ისევ ტფილისისკენ მოეშურებოდა.

თეიმურაზი სოფლიდან დაბრუნებას ძალიან მოიჩქაროდა, რადგან ტფილისში მას მოუთმენლად ელოდებოდნენ მჭლე გაზეთი, კოტრი კოოპერატივი, ძილმორეული კულტურული საზოგადოება, სახალხო სახლი, უფასო კურსები და ათასი უთავბოლო ჩხირკედელობა, ფუსფუსი, ჩურჩული, ლაყბობა და ენის მოსაფხანი ამბავი.

თეიმურაზი რწმენით უუკიდურესი რადიკალი და ხალხოსანი იყო. თუმცა ემდმივსა და აქტიურ პოლიტიკურ მუშაობას არ მისდევდა, მაგრამ მაინც ერთ ჯგუფში თანაგრძნობის ცხვირი ჰქონდა ჩაყოფილი და ზოგჯერ სახიფათო საქმეშიც ოდნავ თითსაც ურევდა. თეიმურაზს კალამი მსუბუქი და ხალისიანი ჰქონდა, ხოლო საგნის ცოდნა ღრმა და ფესვიანი, ამიტომ,—როცა საჭიროება მოითხოვდა,—შესაფერ მოხსენების ან მემორანდუმის შედგენას მას მიანდობდნენ ხოლმე.

თეიმურაზს მთელი ტფილისი იცნობდა: ზრდილი, პატიოსანი, დინჯი, ჭკვიანი და ენამჭევრი საზოგადო მოღვაწე იყო. თუმცა ლაპარაკში ოდნავ ენას უკიდებდა, მაგრამ ბორძიკი არაფერს ჰვნებდა და—ზოგთა თქმით—უხდებოდა კიდევაც.

სამი კაცი იშვიათად მოიყრიდა თავს, რომ მეოთხედ თეიმურაზი არ ჩარეულიყო, შუაში არ ჩამდგარიყო, სათვალეები არ შეესწორებინა, თითი მაღლა არ აეწივა და მაშინვე ბაასის სადავე ხელთ არ ეგდო:

— მ...მმოითმინეთ, ნ...მმოვისაზროთ. ჯერ კამათის საგანი გ...გგამოვარკვიოთ.

და რაზედაც უნდა ყოფილიყო ბაასი,—შესახებ სუდანის ირრიგაციისა, ინგლისის პოლიტიკისა ეშმაკის კუნძულზე, გერმანელების დამკვიდრებისა აფრიკაში, პორტ-ჯიბუტის გარშემო ატეხილ დავისა, ზანზიბარის სულთანის გარდაცვალებისა, თუნდ ჩარტისტულ მოძრაობისა, თუნდ ახალ ზელანდიელ ქალების საარჩევნო უფლებისა, ან ცაში ახალ მნათობის აღმოჩენისა, ან რომელიმე მეცნიერულ გამოკვლევისა, კომბის ან ლოიდ-ჯორჯის გეზისა, ან რომელიმე ქვეყნის რომელიმე მოღვაწის რომელიმე სიტყვის ახსნა-განმარტებისა,—თეიმურაზი მუდამ უდავო მსაჯული და მცოდნე იყო ყველასი და ყველაფრისა.

თუ ვინმე გაჰბედავდა და თეიმურაზს კამათს აუტეხავდა, ქაღალდის ჩრჩილად ქცეული მწიგნობარი მოპირდაპირეს უმალ ავტორებისა და ციტატების სეტყვით გააბრუებდა.

თუ სადმე მცირედი დავა და კამათი ასტყდებოდა შესახებ რომელიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბავის სისწორისა ან მცნების განმარტებისა, იმის მაგივრად, რომ მოდავეებს ენციკლოპედიურ ლექსიკონში ჩაეხედნათ, დავის გადასაჭრელად თეიმურაზთან მირბოდნენ. თეიმურაზიც ცნობას და განმარტებას ხალისით მისცემდა, თან ორსიტყვიან ცნობას რთულ ლექციად გადააქცევდა, ერთს ნათქვამს მოიმიზეზებდა, უბრალოს გაართულებდა, გაჰყვებოდა, გასჭიმავდა და მსმენელს ისე გაჰგუდავდა, რომ ერთმანეთს ძლივს ღა დაშორდებოდნენ ხოლმე. ამის გამო ვიღაცამ თეიმურაზს „ცოცხალი ენციკლოპედია" დაარქვა. მას აქეთ თეიმურაზს ეს ზედმეტი სახელი სამუდამოდ შერჩა და ისიც ამ სახელს ამაყად და თავმომწონედ ატარებდა.

თეიმურაზის კარებს ვექილის წარწერა ჰქონდა. ათასში ერთხელ ვინმე გზაარეული გაბრიყვდებოდა და თეიმურაზს საქმეს ჩააბარებდა. მერე იმ საქმის პატრონი ჰნანობდა და თავში ხელს იცემდა, რადგან თეიმურაზი საქმეს კი ხალისით აიღებდა, მაგრამ ბოლომდის არასოდეს მიატანდა. ხან არზას დროზედ არ დასწერდა, ხან განსაჩივრების ვადას გადააცილებდა, ხან ნაკისრი საქმე სულ დაავიწყდებოდა, ხან კიდევ საქმის გარჩევას ვერ დაესწრებოდა, რადგან იმ დღეს ან გადაუდებელი საგაზეთო წერილი ჰქონდა დასაწერი, ან კრებაზე იყო წასასვლელი, ან კიდევ,—სასამართლოში მიმავალი,—ქუჩაში ვინმეს წააწყდებოდა და ისე გაჰყვებოდა მას კამათსა და მუსაიფში, რომ საქმესაც დაივიწყებდა და ოჯახშიც საღამოზე ძლივს დაბრუნდებოდა.

ნაშინდარიდან წელიწადში ორჯერ ან სამჯერ ჯაყო ჩამოვიდოდა. ხელმარჯვემ, ქკვიანმა, ყბედმა, ქვეშქვეშამ და ხერხიანმა ოსმა ძალიან კარგად იცოდა, რომ იმისმა ბატონმა არაფერი იცოდა არც ღალისა და არც მაზანდისა.

ჩამოვიდოდა და ჩამოიტანდა ღვინოს და ხილს, მწნილს და მურაბას, ჩურჩხელებს და ფულს.

ჯაყო უეჭველად ჯერ ბატონს მოიკითხავდა:

— როგორ ბრძანდებოდე, შენი წირი მე? ალბათ ძალიან ბევრი მუშაობ ბატონი, რომ აგრე გახდებოდი.

მერე თეიმურაზს პასუხსაც აღარ დააცლიდა და აწუწუნდებოდა:

— წლეულს ძალიან ცუდი მოსავალი გექნებოდა, შენი წირიმე. სეტყვაც გქონდა, დიდი წვიმაც და გოლვაც. გლეხებიც ძალიან გაეშმაკდი, ღალას არ მოგცემდა სულ ძალაზე იყურები.

თეიმურაზი ჯაყოს კვლავ დაარიგებდა:

— უნდა მ...მმოითმინო, ჯაყო, ტკბილი სიტყვით და კეთილის გულით უფრო მეტს გაარიგებ, ვიდრე მუქარით და ძალით.

— მეც ეგეთი ხარ, შენი წირიმე. გლეხებს სულ გარიგებ, გიცინი, მაგრამ ისინი სულ კომბალზე და ხანჯალზე იყურები.

თეიმურაზი მორცხვად ჩაურთავდა:

— შენი სისტემა ძალიან მომწონს, ჯაყო, მაგრამ...

— მაშ, მაშა! ჯაყოს ძალიან კარგი შისტემა გაქვს!

— მაგრამ გლეხები მაინც სჩივიან, ჯაყო გვცემსო, გვაწიოკებსო, ერთხელ მიცემულს მეორეჯერ გვართმევსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინა, ჯაყო?! ჯაყო გცემს გლეხებსა?! ვაი საწყალი ჯაყო! ვაი, სადა ხარ სამართალი!—ყვიროდა გულნატკენი ჯაყო და ხუთ გირვანქიან მუშტს თავის განიერ მკერდზე ბაგაბუგით იცემდა!—მე კი არა გცემ, გლეხები გცემენ ჯაყოსა! ღმერთმანი, გლეხები გცემენ. ამას წინათაც ისე გცემეს, ისე გცემეს, რომ საწყალი ჯაყო კინაღამ მოკვდი, მაშ! აბა ერთი ფელშარსა ჰკითხე, ის გეტყვის ყველაფერსა.

და ბატონის უმადურობით ნაწყენი ჯაყო ქუდს მოიშვლეპდა, ან სახელოს აიწევდა, ან ბარზაყს გაიტიტვლებდა, ან კიდევ მკერდს გაიღეღავდა და საბუთს გამოიჩენდა:

— აი, შენი წირი მე, აი! შენ თვითონ ნახავდებოდე. ისეთი დიდი კომბალი დაგარტყეს თავში, რომ საწყალი თავი კინაღამ გოგრასავით გაგისკდა... აი, აქაც დიდი ქვა დაგარტყეს.... აქ კიდევ ხანჯალი გატაკეს .. ძალიან გცემეს ჯაყოსა, შენი წირი მე, ძალიანა! უნდა თავი დაგანებო სამსახურსა, თორემა ყაჩაღები საწყალი ჯაყოს მოგკლავდეს.

და მოჰყვებოდა გაუთავებელ წუწუნს იმის გამო, ვითომ გლეხები უკლებლივ ყაჩაღები იყვნენ, ვითომ ერთგული ჯაყო თეიმურაზის გულისთვის იმ ყაჩაღებს დღე-და-ღამ ებრძვის და სისხლსა ჰღვრის, ხოლო უმადური თეიმურაზი მოურავის ერთგულებას არ აფასებს და ჯაყოს ისევ გლეხების დარბევას აბრალებს.

— დაგითხოვე ჯაყო, შენი წირი მე, თორემა ჯაყოს მოგკლავდებოდნენ და შენც იმის ცოდო დაგედებდებოდეს.

დაჯერებული თეიმურაზი შიშით ჰკანკალებდა, ნაცემ ჯაყოს სიბრალულით ჰკვნესოდა და გულში მოურავის ძაღლურ ერთგულებას ამაყობდა.
ის კი არ იცოდა თეიმურაზ ხევისთავმა, რომ თუ გამწარებულ გლეხისგან ჯაყოს ერთი მოჰხვდებოდა,—აბეზარი, ჭირვეული, კბილმახვილი და დაუნდობელი ნადირი ჯაყო თავის მტერს ხუთჯერ მაინც მიუზღვენიდა, სამაგიეროს ერთს-სამად გადაახდევინებდა და ერთს განაკაწრს, ასე თუ ისე, დიდის ქონებით აინაზღაურებდა.

ჯაყო რომ ჭრილობებზე ყბედობას გაათავებდა, მერე მაზანდასა და მოსავალზე მოჰყვებოდა:

— მოსავალს არავინ ყიდულობდე, შენი წირი მე. მაზანდაც ძალიან ფინთი იქნებოდე, ცხინვალში კოდი ორ მანეთად ძლივს გაგყიდიდი.

თეიმურაზი ღალის დასათვლელად და მაზანდის გასაგებად ვერ იცლიდა, ამიტომ ჯაყოს ცნობას უცილობლივ იჯერებდა და ანგარიშსაც ისე მიიღებდა, როგორც მისი მოურავი ჩაუთვლიდა. ჯაყოც ტაბიკის სისქე თითებს მოიხმარდა და ერთი საათი ჰხვნეშოდა, დაგიწყებულს იგონებდა, მოგონებულს ივიწყებდა და ცივ ოფლში იწურებოდა. ბოლოს, როცა ანგარიშის თავსა და ბოლოს გადააბავდა, გახარებულ კვიცივით ახვიხვინდებოდა:

— ესეც ხომ მოგრჩი და გაგათავე. მადლობა ღმერთსა!

თეიმურაზი სოფლის საერთოდ ამბავსაც გამოჰკითხავდა ჯაყოს. ჯაყოც პირს მოიხსნიდა და აღარ გაჩუმდებოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სოფელი ძალიან ფინთი გახდებოდის, შენი წირი მე, ძალიან ფინთი! ყველანი გაფუწდი, ძალიან გაფუწდი! ყველანი ქურდობდე და იტაცებდე. ამას წინათ ჩვენი ერთი მოზვერი და ათი ცხვარი მოიპარებდეს. ჯაყომ ქურდებს ბევრსა სცემდე, მაგრამ ქურდები არ გამოტყდებოდე.

— ჯაყო, ცემა და ძალადობა არ შ... შშეიძლება მეთქი.—მეასეჯერ ეტყოდა თეიმურაზი და ისევ ვრცელ დარიგებას მისცემდა და სათნოებასა და ზნეობაზე თავისს ნაცოხნს წაუკითხავდა:

— გლეხობა არ გ...გგადამკიდო მეთქი, ჯაყო, ჩემზე ცუდი არავის ათ... თთქმევინო, არ დაგავიწყდეს, რომ ჩემი პოლიტიკური მტრები საბაბს ეძებენ ჩემს დას...სსამცირებლად და დასამარხად.

თავჩაღუნული ჯაყო მწიგნობარის შადრევანს მოთმინებით ყურს უგდებდა, თანხმობის ნიშნად ზლიარბის თავს იქნევდა და თანაც ულვაშებში იცინოდა და გულში ბატონს „დურაკს“ უწოდებდა.

ბოლოს, თეიმურაზის ქადაგებით გაკრავებული, დარიგებით გაგუდული და ნათესავებისა და ცოლშვილისთვის ათნაირ საჩუქრებით დატვირთული ჯაყო ისევ ნაშინდარში ადიოდა ისევ გლეხების დასაწიოკებლად და საკუთარ გოლიათურ ტანის გასასუქებლად. თეიმურაზი კი მეორე დღეს თავისს გაზეთში ორ-ადლიან წერილს გასჭიმავდა მოუსავლობასა, დაბალ მაზანდასა, გლეხების გაჭირვებასა, და მემამულეთა გაუმაძღრობასა, გულქვავობასა და დაუნდობლობაზე.

## III

ერთხელ თეიმურაზის მყუდრო ცხოვრებაში დიდი გაუგებრობა მოხდა: თეიმურაზმა მოულოდნელად ცოლი შეირთო.

ერთ დღეს ვილაცამ გაკვრით ჰკითხა თეიმურაზს:

— თეიმურაზ, რატომ ცოლს არ შეირთავ?

თეიმურაზს ეს სიტყვები გულში ჩაუვარდა და იმავ ღამეს, როცა ლოგინში ჩაწვა, თითქოს ობლობა იგრძნო და თავის თავს ჰკითხა.

— მართლა, რატომ ც...ცცოლს არ შევირთავ?

იმ დღიდან ეს ჰაზრი თეიმურაზს აღარ ასვენებდა. ქალის არჩევისთვის და არშიყობისთვის თეიმურაზს არ ეცალა. ზოგჯერ მაინც აქეთ-იქით იხედებოდა და ახალგაზრდა ქალებს გაკვრით უთვალთვალებდა. ვისაც თვალი დაადგა, ყველანი მოიწონა. ზოგჯერ მისი გული ჩიტივით შეიფართხალებდა, მაგრამ მაშინვე ფრთა-მოტეხილივით მოსწყდებოდა, რადგან მოწონებული ქალი ერთი საათის შემდეგ ავიწყდებოდა, ხოლო მეორე დღეს იმ ქალს ველარც კი სცნობდა.

ქალებისთვის ვერ მოიცალა თეიმურაზმა, მაგრამ ერთხელ საბედო თვითონვე თავს წაადგა. ეს ამბავი უბრალოდ და მოულოდნელად მოხდა.

გაქანებული თეიმურაზი რედაქციაში ცხარე წერილს სწერდა შესახებ ინტენსიურ და ექსტენსიურ მეურნეობისა. უცებ ახლად აჭრელებულ ფურცელს ჩრდილი გადაეფარა. თეიმურაზმა აიხედა. უცნობი ლამაზი ქალი თავთ დასდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჰოდა, მორცხვად იღიმებოდა და თეიმურაზს ჭრელი ქაღალდის ნაგლეჯს ხელში აჩეჩებდა, თანაც შავსა და ნუშის მსგავსს თვალებს აციმციმებდა:

— გთხოვთ... ბილეთი იყიდეთ...

— ბილეთი?.. ვისთვის?.. რა ბილეთი?..

— წარმოდგენას ვმართავთ ღარიბ მოსწავლე ქალების სასარგებლოდ. უნდა თქვენც დაგვეხმაროთ.

— დ... დდაბრძანდით. დიდის სიამოვნებით დავეხმარები თქვენისთანას...

თეიმურაზმა ენაზე იკბინა. ის წერილი აღარ დაასრულა. იმ ქალს რედაქციაში ხუთიოდე ბილეთი გაუყიდა და უთხრა:

— თუ ნებას მომცემთ, ბ..ბზანკშიც წამოგყვებით... ბილეთებს გ...გვაგიყიდით.

გაჰყვა და სადილობამდის დასდევდა, თანაც ეუბნებოდა:

— ეხლა დ...დდრამატიულ საზოგადოებაში წავიდეთ... ეხლა წ...წწერა-კითხვის საზოგადოებაში შევიხედოთ.

ქუჩაში ყველა ნაცნობს გზას ულობავდა:

— ბ..ბბილეთი უნდა იყიდო... უეჭველად უნდა იყიდო.

ბოლოს იმ ქალს ჰკითხა:

— თქვენი გ...გგვარი და სახელი?

— მარგარიტა ყაფლანიშვილი გახლავართ.

— დავითის ასული?

— დიაღ.

— საკ...კვირველია! ს...სსაოცარია!

— რა არის საოცარი?

— ის არის საოცარი, რომ ორივენი ობლები ვართ

— უბრალო შემთხვევა გახლავთ. ამ ქვეყნად ობლები ბევრნი არიან.

— მარ...რრთალია, მაგრამ ორივენი ჩვენი გვარის უკანასკნელი ჩამონავალნი ვართ.

— ეგ კი მართლა საკვირველია.

ამ შემთხვევამ და დაობლებულთა მოულოდნელმა შეხვედრამ ორივეს გულზე უკბინა და ორივენი ერთ-და-იმავე იდუმალმა ჰაზრმა გაიტაცა,

— გუშინდელი თქვენი წერილი წავიკითხე.—დაარღვია სიჩუმე მარგომ.

— მარტო გუშინდელი?

— არა, თქვენს წერილებს ყოველთვის ვკითხულობ, მაგრამ გუშინდელი წერილი დამახსოვდა, რადგან...

— რადგან?

— რადგან მეტად კაპასის კილოთი იყო დაწერილი.

— მართალია.—დაადასტურა თეიმურაზმა.

— მაგისთანა კილოთი წერვა თქვენ არ შეგშვენით.

— ეგეც მართალია. გადავაჭარბე, რადგან ჭორი მომიგონეს და ჩემი მოღვაწეობა უდიერად მოიხსენეს.

— თქვენი მკითხველების თვალში ჭორი ვერ გასჭრის, ამიტომ ჭორიკანა

ან პასუხი არ უნდა აკადროთ, ან არ უნდა გაჰყვეთ იმის კითხვას, მე ასე მგონია. ბოდიშს ვიხდი, რომ ასეთი სიტყვა გკადრეთ, მაგრამ ეს იმიტომ მომდის, რომ თქვენ ჩემთვის...

— ბოდიში რა საკადრისია! პირიქით, თქვენი ჰაზრი ჩემთვის ძვირფასია. — შეანელა მარგოს უხერხულება თეიმურაზმა და გულში გაიფიქრა: — აი ღირსეული შენიშვნა ჭკვიანის ქალისა. მომწონს, ძალიან მომწონს.

კიდევ ორი საათი იარეს ერთად. თეიმურაზი მხოლოდ ეხლა დააკვირდა მარგოს ტანისამოსს, იერს, მიხვრა-მოხვრას და გაიფიქრა: „დაკვირვებული თვალი უმალ შეატყობს ამ ქალს ჯიშსა და აღზრდას. სადა და სუფთა ტანისამოსი, მარტივი და ბუნებრივი მიხვრა-მოხვრა, თავდაჭერილი სიტყვა-პასუხი, ზომიერი თავმოყვარეობა, მოკრძალებული მორცხვობა, თავიდან ფეხებამდის ჩატარებული ნატიფი გემოვნება და... ცულლუტი, ოდნავ დასანახი არშიყობა თვალებით, მხოლოდ თვალებით. ის არის! სწორედ ის არის, ვისაც ვეძებდი! ეს არის ჩემი საბედო და ამას იქით მე გზა არა მაქვს.

იმ საღამოს თეიმურაზი თეატრში იყო და მარგოს კუდივით დასდევდა ხოლო ორი კვირის შემდეგ, ერთ მთვარიან საღამოს, დროო იხელთა და დაჩრდილულ ხეივანში ასე აბორძიკდა:

— ერთი რამე უნდა მ...მმოგახსენოთ... ყური მიგდეთ... ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი ჟამია. ალბათ მიცნობთ... მარტოხელი კაცი ვარ...

დიდიხანს იბორძიკა და იბორიალა. ბოლოს ძლივს წაილუღლუღა:

— ერთი ს...სსიტყვით... თუ თქვენც მ...მმოგწონვართ... მე მომწონხართ... მ...მმიყვარხართ. — მთრთოლვარე ხელი ჩამოართვა მარგოს და დაუმატა: — მ...მმოიფიქრეთ. ნუ აჩქარდებით.

თუმცა გაზაფხულის ღამე იყო, თუმცა ხავერდის ცაში სიყვარულით მთვრალი მთვარე დაბარბაცებდა, თუმცა ჰაერიც ვნების სიცხით იწოდა, მტკვარიც გაუგებარს რასმეს ჰბოდავდა და ყოველი სულიერიც უცნაურისა და იდუმალის გრძნობით იყო გაბანგული, თეიმურაზი მაინც გულის ხმას არ აჰყვა: არც თვითონ აჩქარდა და არც მარგო ააჩქარა.

მეორე დღეს მთვრალმა მთვარემ მაინც თავისი გაიტანა და ის წყვილი ერთმანეთს ჩაჰხუტა.

თეიმურაზი მთელ ზაფხულს გარინდული დადიოდა. მისი თავი, გული და ნებისყოფა შუაზე გაიხლიჩა, თეიმურაზმა იცოდა, რომ იმის სიცოცხლეში და ხევისთაეთა მილეულ გვარის ისტორიაში უუდიდესი გარდატეხა ხდებოდა და მომავალი ჯვრის წერა და დაოჯახება მისთვის იდუმალ ნეტარებით იყო აღსავსე, მაგრამ იმავ დროს საზოგადოებრივი საქმეებიც ისე ჩამოეკიდნენ თეიმურაზს გამხმარ კისერზე, რომ ვერც ერთი ვერ მოიცილა, დანიშნულს ხვედრი დრო ვერ მოანდომა და ისე წაიყვანა ეკლესიაში მარგარიტა ყაფლანიშვილი, როგორც უცხო და ოდნავ ნაცნობი.

საზეიმო ქორწილმა სამი დღე და ღამე გასტანა. უძილობით და სიყვარულით გამოწურული თეიმურაზი ლასლასით დადიოდა და სტუმრებს უმასპინძლდებოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მ...მმოიწყინოთ... დალიეთ, მიირთვით, იმხიარულეთ... ეს ღმერთმა აღდეგრძელოს მომავალი ხევისთავი და ყაფლანიშვილი. რადგან ორივე გვარი ამ თაობაში სწყდება, ამიტომ ჩვენმა მომავალმა შვილმა უნდა ორივე გვარი დაიმკვიდროს. ამას ამ თავითვე ვ...ვვაცხადებ.

სტუმრებმა ქრიამული ასტეხეს და თეიმურაზს ნასაზრი მოუწონეს, ხოლო მარგომ სალამოზე დრო იხელთა, თეიმურაზი ცხელ გულში ჩაიხუტა და ჩასჩურჩულა:

— მადლობელი, ჩემო თემურ.., ჩემო თემურ... მადლობელი. მაგაზე უკეთესს ვერაფერს მოიგონებდი. ეგ ჰაზრი მეც მქონდა თავში, მაგრამ დამასწარი. გულთამხილავი ჰყოფილხარ.

მეოთხე დღეს თეიმურაზმა ახალგაზრდა კნეინა ნაშინდარში აიყვანა, თავის ნათესავებს გააცნო და თვისი მამულიც აჩვენა.

ძველმა ციხე-დარბაზმა, კოშკმა, ხევისთავთა საგვარეულო საგანძურმა და კარგად მოვლილმა ბაღ-ვენახმა მარგო აღტაცებაში მოიყვანა და მისი გული ახალგაზრდა და სახელმოხვეჭილ ქმრის გულს უფრო მჭიდროდ მიაბა.

მოლოცვას და მოლხენას ბოლო აღარ უჩანდა. სადილი სადილს მოსდევდა და ვახშამი ვახშამს, გლეხები საქმეს სცდებოდნენ და თეიმურაზის ქვევრებსა და ასი წლის კაკლების ჩრდილს აღარ შორდებოდნენ.

თეიმურაზთან შეზრდილი და მისივე მამის ავთანდილის გაზრდილი მღვდელი ივანე თეიმურაზს და მარგოს აჩრდილივით თან დასდევდა, ეკლესიურ დარიგებას აძლევდა, სუფრაზე სთამადობდა, ულეველ ლოცვით ლოცავდა და ზოგჯერ ჩუმ-ჩუმად თეიმურაზს ჯაყოს ოინბაზობას ყურში აწვეთებდა. მაგრამ თეიმურაზი ისე იყო ბედნიერებით, ლაქუცით და ქლესაობით დამთვრალი და გაყრუებული, რომ ნათქვამი ან არ ესმოდა, ან კიდევ უმალვე ავიწყდებოდა.

ჯაყო თავისს კანიდან ამოვარდა და ბატონების წასვლამდის თავისს კალაპოტში ველარ ჩავარდა. ცისმარე დღიდან ხან ბაღს, ხან ეზოს, ხან ვენახს, ხან მარანსა და ხან ძველ დარბაზს მისი ჰექა და გრგვინვა აყრუებდა:

— აბა, ქეშელა, რაშუ!.. გიბა, თახრაშუ!.. ბრინკა, მარანიდან ღვინო მოიტანებდებოდე!.. ტურა, ჩქარა ცხვარი დაკლავდებოდე!.. პელო, ჩქარა საქონელი მოგწველე!

მარგოს რომ თვალს მოჰკრავდა, თოვლივით დადნებოდა, თეფშივით გაიბადრებოდა და ფეხქვეშ გაეშლებოდა:

— კნეინაჯან, კარგი ყურძენი ხომ არ სწამდე, შენ გენაცვალოს ჯაყო?!. იქნება ნალები გინდებოდეს, ან კარაქი, ან ტაბაკა. ან იქნება კარგი თევზი ან კურდღელი მოგინდებოდეს? ეხლავე წახვალ და დაგიწერ. ისეთი თევზაობა და ნადირობა იცი ჯაყომ, რომ შენი მოწონებული, მაშა!

— მადლობელი, ჯაყო, დიდი მადლობელი. არაფერი მინდა, ნუ სწუხდები

— ჯაყო ხარ შენი მადლობელი, კნეინაჯან, ჯაყო! შენისთანა კნეინასთვის ჯაყო წყალშიც ჩავარდები, თორემ ერთი კურდღელის დაწერა რა დიდი საქმეა, შენი წირი მე შენი!

ერთხელ ჯაყო და მისი ცოლი პელო მარგოსთან მივიდნენ და დაბლა დაუკრეს თავი. მერე ჯაყომ ცხენის კბილები ააელვა და ახვიხვინდა:

— შენთან სათხოვარი გაქვს ჯაყოსა და პელოსა, შენი წირი მე.

— სთქვი, ჯაყო; თუ შემიძლიან, შევისრულებთ.

— რატომ არ შეგიძლიან, შენი წირი მე, ძალიანაც შეგიძლიან. ჯაყოს და პელოს ორი შვილი გყავს მოუნათლავი. ორივენი შენ და თეიმურაზმა უნდა მოგვნათლოთ.

— ეგ ადვილი საქმეა, ჯაყო. როდის გინდა გავმართოთ ნათლობა?

— ხვალა, შენი წირი მე, ხვალა.

— ძალიან კარგი თემურსაც ვეტყვი.

მეორე დღიდან თეიმურაზისა და ჯაყოს ოჯახები დანათესავდნენ.

ერთი კვირის შემდეგ თეიმურაზი აცქმუტდა.

— უნდა წავიდეთ ქალაქში, ჩემო მარგუში, თორემ ათასი გადაუდებელი საქმე მაქვს.

— ისეთი რა საქმე გაქვს, თემურ, რომ ორიოდე კვირაც ველარ მოიცადე შენს მამულში?

— ათასი საქმე მაქვს. ვინ იცის, როგორ მიდის გ...გგაზეთი, კოოპერატივი, ჩვენი საზოგადოება და...ერთის სიტყვით, უჩემოდ ყველაფერი დ...დდაინგრევა.

— შენ იცი, თუმცა მე ნაშინდარში ათასჯერ მირჩევნიან.

— რა არის აქ საიმისო, მარგუში?

— ყველაფერი. მშვენიერი ბუნება, სალი ჰავა, მშვიდობა და...შენ.

— მე? მე ქალაქშიც შენი ვიქნები, ჩემო კეთილო მეგობარო.

— არა, არა! ქალაქში ჩემთვის ვერ მოიცლი. დანიშნულები რომ ვიყავით, კვირაში ერთხელ ძლივს შემოივლიდი. ვიცი, რომ ეხლაც ისე გაგიტაცებს საქმე, რომ მე დაგავიწყდები. მე კი მინდა, რომ შენ დღე-და-ღამე ჩემთან იყო, ჩემ გვერდით, აი აქვე... აი ასე... ჩემო თემურ.

თემური დადნა მარგოს ალერსში, მაგრამ გულმა ორ დღეზე მეტი მაინც ვერ მოუსვენა. მესამე დღეს კვლავ ქალაქისაკენ გამოიწია და მარგოც დაითანხმა.

სანამ მარგო გასათხოვარი იყო, ისიც თეიმურაზივით ფუსფუსებდა ქვეყნისთვის... ქვე-ლობდა და ქვეყნის გაბედნიერებას ჰლამობდა, მაგრამ, როცა გასთხოვდა და ხანში შევიდა, ნელ-ნელა დამშვიდდა და დაწყნარდა.

კნეინას მუდმივ სამიოდე მომვლელი და მოსამსახურე ჰყავდა, ამიტომ იგი მალე უსაქმობის ჭაობმა ჩაითრია და ჩასწუწნა.

ჯერ თეიმურაზის შუქით და სახელით იკვებებოდა: მუდმივ მეუღლეს კატასავით პირში შესცქეროდა, იმის ნაწერს ათჯერ გადიკითხავდა, გადასაწერს გადაუწერდა, ყველგან თეიმურაზის ნათქვამს, ნააზრევსა და ნაწერს სიტყვა-სიტყვით იმეორებდა, იმის დღეს ფიცულობდა და იმის ხატს ლოცულობდა.

დრო გავიდა. და ქურუმიც ნელ-ნელა გაცვდა. მარგომაც თანდათან ქმრის ხატზე ლოცვას დაუკლო და საკუთარი თავის გართობას მიჰყო ხელი.

ეროვნული

კარგად იცვამდა და იხურამდა, სვამდა და სჭამდა, სტუმ[illegible] თვითონაც უხვად მასპინძლობდა და არცერთს სანახავსა და გასართობს არ აკლდებოდა.

კიდევ გავიდა ხანი. ქურუში დადნა და დაპატარავდა, და უხატო მარგოსაც ყველაფერი მოსწყინდა და მოჰბეზრდა: უხალისო სიცოცხლეც, უცეცხლო თეიმურაზიც, მისი მჩატე ნააზრევიც, მისი მუდმივი ფუსფუსი და საქვეყნო მოღვაწეობაც, კაბები და გასართობიც, შვილის მოლოდინი და აზრიან მომავლის ძიებაც. ბოლოს ახალგაზრდა კნეინაც ისე შეურიგდა ამ ქვეყანას და დაემორჩილა თავის ხვედრს, როგორც ემორჩილება მას—გარდუვალსა და უძლეველ ბედს—ათი და ათასი მილიონი ადამიანი. მარგომ მხოლოდ რამდენიმე ჩვეულება და უფლება შეინარჩუნა იმ ბრძოლიდგან, რომელიც მას ჰქონდა ცხოვრებასთან: დღე-და-ღამეში, თხუთმეტი საათი მაინც ეძინა; შიგა და შიგ გამოიღვიძებდა, თუნდ მამლის ყივილისას ლოგინზე წამოჯდებოდა, ელექტრონს გაანათებდა და ხილის ჭამას შეუდგებოდა; ამოჩემებულ სამიოდე გლახას ყოველ დღე განიკითხავდა; დილის ჩაის ლოგინში დაჰლევდა, მერე დაუდევრად ჩაიცვამდა და მთელი დღე ექვს ოთახში უსაქმოდ დაბორიალებდა. უწინ თეიმურაზის ნალოღნს რამდენჯერმე მაინც გადიკითხავდა, ზოგჯერ ბაასშიც აჰყვებოდა, მაგრამ შემდეგ, საოჯახო საქმეების გარდა, ქმრის ნაწერსაც ერიდებოდა და მსჯელობასაც გაურბოდა.

თუ თეიმურაზი დღეში ათზე ნაკლებ გაზეთს წაიკითხავდა, ის დღე მისთვის დაკარგული იყო. გაახელდა თუ არა დილით თვალებს, უმალ ახალ-ახალ გაზეთებს დასწვდებოდა. და ჭამა-სმის დროსაც, ცხვირი რომ მათლაფაში ჰქონდა, ერთი თვალი გაზეთზე ეპირა. სადილს ისე დაასრულებდა, რომ მეუღლეს ორიოდე სიტყვასაც ვერ ეტყოდა. ზოგჯერ მარგო გაზეთ-ჟურნალებში ჩაწოლილ თეიმურაზს მიუჯდებოდა და ბაასის გაბმას ჰლამობდა, მაგრამ თეიმურაზს არ ეცალა:

— დაიცა, მარგო... დამაცა, რა ვქნა!.. არა, მცალიან. მერე მ...მმოვილაპარაკოთ.—თითქოს ძილში ბურტყუნებდა ნაბეჭდში ჩამძვრალი წიგნის ჩრჩილი.

„მერე" არასოდესს უდრიდა. ზოგჯერ მარგო ბავშვივით აცელქდებოდა. თეიმურაზს წიგნებს და გაზეთებს მოსტაცებდა, განზე გადაჰყრიდა, ქმარს თავს შემოევლებოდა და ანქლრევდა:

— თემურ, გეყო ამდენი კითხვა. აბა, გამოფხიზლდი და შემომხედე, განა მე შენს გაზეთებს არა ვსჯობივარ? აბა, ერთმანეთს შეადარე ცოცხალი ქალი და მკვდარი ქაღალდი. მე ლაპარაკი შემიძლიან, ქაღალდი კი მუნჯია. მე ვიცინი; ვიღიმები და დავდივარ, ქაღალდი კი უსულო საგანია. მე სიმღერაც ვიცი გინდა გიმღერო?

— არა, მარგო, სიმღერისთვის არა მცალიან. გეყო ხუმრობა, მ...მმომაწოდე ჩემი გაზეთები.

— ან, თუ გინდა, როიალზე დაგიკრავ შენს საყვარელს შოპენის nocturne-ს, ან ბეტჰოვენის სიმფონიას, თუ გინდა ლისტის რაპსოდიას, ან შუმანის ვალსს.

მარგო როიალს მიუჯდებოდა და საკრავს საამურად აჟღარუნებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თეიმურაზს არც ლისტის რაპსოდია ესმოდა და არც ბეთჰოვენის სიმფონია. მას ინგლისის ახალ არჩევნების შესახებ წერილი გააწყვეტინეს, და თეიმურაზიც ჰლამობდა გაწყვეტილ ძაფის გადაბმას:

— მარგო, მომეცი ჩემი გ...გგაზეთი!

— არ მოგცემ. უნდა უეჭველად გაგართო. თუ როიალის ხმა არ გესიამოვნება, გიმღერებ. რომელი მოგწონს, რომანსი „მხოლოდ შენ ერთს“, თუ კარმენის არია? და ხავერდის ხმით დაიწყებდა.

მხო-ოლოდ შენ ე-ერთს, რაც რომ ჩემთვი-ი-ის.
მოუცია-ა-ა მაღლიდან ღმე-ე-ერთს

— მარგო, ნუ გამაჯავრებ. მომეცი მეთქი ჩემი გაზეთი!

— არც სიმღერა მოგეწონა? მაშ შენი გულისთვის ერთს უზუნდარას ჩამოვუვლი, ან ტარანტელლას, ან კარმენის ცეკვას.—და დაირას ან კასტანეტებს ხელს დაავლებდა და თეიმურაზის გარშემო ჩამოივლიდა. ხან ვნებიან და გველურ უზუნდარით დაიწვოდა, ხან ესპანურის ცეკვით აიგრიხებოდა, ხან კიდევ გიჟმაჟურ ტარანტელლას ისეთის ალქაჯურ სიმარდით დაატრიალებდა, რომ თეიმურაზს თვალი უჭრელდებოდა და თავსბრუ ეხვეოდა. სცეკვავდა გაწეწილ გაღელილი მარგო და ხან ინისლებოდა, ხან ვნებით სდნებოდა, ხან ქინით გიჟდებოდა და ნუშის მსგავს შავ თვალებით ხან ღონდებოდა, ხან სევდით მოიბურებოდა, ხან ცელქად გაიღიმებოდა და ხან კიდევ ისე აინთებოდა, რომ იმ ოთახში მისი თვალები ელვასავით დახტოდნენ.

დაღლილი მარგო თეიმურაზს მოეხვეოდა, ხოლო თეიმურაზი ქინიან ბავშვივით მაინც თავისას გაიძახოდა:

— მარგო, მომეცი მეთქი ჩემი გაზეთი! მარგო, გეყო ჩემი წვალება, მომაწოდე გაზეთი და დამშვიდდი.

მაგრამ მარგო არ მშვიდდებოდა. ტახტზე წამოწოლილ თეიმურაზს ხან ნელსასუნებელს მიაპკურებდა, ხან ფეხში ხელს წაავლებდა და კივილ-სიცილით ტახტიდან დაითრევდა, ხან ჩაეკონებოდა და ჰაზრთა ბურანში გახვეულ ქმრის გამოფხიზლებას ჰლამობდა, მაგრამ მარგოს ცხარე კოცნას თეიმურაზი უგულო ლოშნით და დარიგებით უპასუხებდა:

— კარგი გეყოფა... მოისვენე... ჩემი გაზეთი დ ..დდამიბრუნე.

ყინულნაკრავი და ნაკბენი მარგო გაზეთს თავში მიახლიდა, მეორე ოთახში გავარდებოდა და სიმწარისგან ცრემლს იწმენდდა და თითებს იმტვრევდა. მუდმივ დინჯმა, ციემა და ქვეყნის ბედის ზრუნვით გატაცებულმა წიგნის ჭიამ თან-და-თან გადააჩვია მარგო მუსიკას, სიმღერას, ცეკვას, ანცობას, თავის მოგიჟიანებას, სიყვარულის სიცილსა და სიცოცხლის ლაღობას. რაც დრო მიდიოდა, თეიმურაზიც საზოგადო საქმეებსა და წიგნებში უფრო-და-უფრო ღრმად მისძვრებოდა, დღითი დღე ჭიავდებოდა, წიგნის მღილს ემსგავსებოდა და მარგოს გულის ჩახვევას, განაპირებასა და სულიერ დაობლებას ვერც კი ამჩნევდა.

უკანასკნელ ხანებში თეიმურაზი ქართულ კულტურის სამ-ტომიან ისტორიას ადგენდა და შიგა-და-შიგ ათობით სწერდა საგაზეთო წერილებს, მოხსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებებს, დასკვნებს, გამოკვლევებსა და შენიშვნებს, თან საიდუმლო კრებებზე-დაც დადიოდა, ერთ წრესაც ჰხელმძღვანელობდა და სხვებთან ერთად დღითი დღე სჭამდა და ჰღრღნიდა იმ ტოტს, რომელზედაც არხეინად ეძინა და უდარდელად ფუსფუსებდა.

თეიმურაზი ოდესღაც განთქმულ ხევისთავთა გვარის უკანასკნელი ჩამონავალი იყო. ეს გვარი წარსულში საქართველოს წარჩინებულებს პირველობას ედავებოდა, ერთ დროს ქართლის ბედსაც განაგებდა და ზოგჯერ მეფეებს ძალაუფლებასაც ეცილებოდა. თეიმურაზის მამა და პაპაც ხევისთავის გვარს ისეთის ღირსებით და ფახით ატარებდნენ, თითქოს მათ გვარის გარდა წინანდელი ძალაც ხელში ჰქონდათო. გულში არც თეიმურაზი იწუნებდა ასეთს საზეიმო გვარიშვილობას, მაგრამ უზრდელ კვეხნას და თავის ქებას საქვეყნოდ არ ჰკადრულობდა.

თეიმურაზი სწუხდა და იდუმალის დარდით სდარდობდა თავისს უშვილობას და ხევისთავთა ამაყი გვარის გაქრობას და ცოცხალთა ისტორიიდან ამოშლას. რაც ხანი გადიოდა, უშვილო თეიმურაზიც ჯიშის გაგრძელების ინსტინქტსაც უფრო და უფრო ცხარედ ჰგრძნობდა და, შვილის ძებნით გატაცებული, გულ-მოდგინედ ოფლში იწურებოდა. მაგრამ ოხუნჯისა და ულმობელ ბედის წყალობით მას „ბერწი მეუღლე შეჰხვდა". მეუღლენი წლითი-წლობით შვილს ელოდებოდნენ, უშვილობას ერთმანეთს აბრალებდნენ და რჩევისა და დარიგებისთვის ხან ერთს ექიმს მიადგებოდნენ, ხან მეორეს, და ხანაც სახალხო წამლებსაც კი ჰხმარობდნენ.

ბოლოს, უნაყოფო შრომით და გაუთავებელ მოლოდინით თეიმურაზს ქანცი გამოელია და იმედი გადაუწყდა. ხევისთავთა გულნატკენმა მონაფხეკმა ბრალი საბოლოოდ თავისს მეუღლეს დასდო და გული დაიმშვიდა, თანდათან დასცხრა და ულმობელ განგებას დაემორჩილა.

თეიმურაზის და მარგოს ცხოვრება მას აქეთ მდორე წყალივით მიიზლაზნებოდა: უდარდელად, დინჯად, არხეინად, უქაროდ და უტალღოდ.

თეიმურაზს ძარღვებიც სისხლის მაგივრად თითქოს გაზეთების ნაგლეჯებით ჰქონდა გატენილი. დედაკაცი იმის მდორე ბუნებას უძალო ნიავივით ალელვებდა. იმის დაშრეტილ და დონდლო სისხლში ვნების ქარიშხალი არასოდეს ატეხილა, და მისი გული,—ისიც მჩატე გაზეთივით დაქმუჭვნილი და გაჩვარებული,—ღვთაებრივ ხანძარით არასოდეს ანთებულა. იქ, სადღაც ჯურღმულში ოდნავღა ჰბჟუტავდა მილეული ჭრაქი და მასზედ ძლივსღა შიშინებდა ნელ-თბილი სიყვარული. იმ მულეულ ჭრაქის ალი გაყინულ მარგოს ერთხელაც ვერ მოეკიდა და ვერ გააცხელა, ვერ აადუღა მისი ობოლი სისხლი ვნების დუღილით, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა სიცოცხლის ხალისი, დინჯი ბედნიერება და ხევისთავთა გვარის უკვდავება.

და რადგან მარგოს არ ეღირსა არც ბედნიერება, არც ხალისი და არც ხევისთავთა დედობა, ამიტომ ისიც ისე მშვიდად და არხეინად შედიოდა ხანში, როგორც თეიმურაზი შედიოდა მარგოს საწოლში: სიყვარულის იალქნების ურხევად, ფრთამოტეხილ ბატივით, უგემურის ზლაზვნით და ბებრულის ცოხნით.

როცა თეიმურაზი მარგოს იშვიათად მიუწვებოდა გვერდით და ცხარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალერსის მაგივრად მოღუნებულ ხელებით უგემურად სლოდვილობდა და ილოღნებოდა, იმავ ჟამს თავი სკასავით გატენილი ჰქონდა უთვალავ ფუტკარით და საზრუნავით: თეიმურაზი ამ დროს გატაცებით ფიქრობდა ზანზიბარის გაყვლეფისა, მაროკკოს დამორჩილებისა, მონღოლთა ბედისა და ლურ-ბახტიართა აჯანყებაზე; ცხარედ ეკამათებოდა გუჩკოვს, ლლოიდ-ჯორჯს, კლემანსოს, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს, სამეურნეო ბანკის დირექტორს და იმ დღეს ქუჩაში შენახვედრ პოლიტიკურ მოპირდაპირეს; სწერდა ხვალინდელ წერილს, ამზადებდა საქვეყნოდ სათქმელ სიტყვას და ანგარიშობდა კოოპერატივის წაგება-მოგებას; სთვლიდა, ფიქრობდა, სწონავდა, ჰზომავდა ჰზრუნავდა ყველაფერსა და ყველაფერზე, გარდა მარგოს ალერსისა და ქმრის ვალის შესრულებისა წინაშე თავისს ცოლისა, რომელსაც ასეთ დროს თეიმურაზის დაჩვარებულ მკლავებში ხან ძლიერი ძილი ერეოდა, ხან კიდევ ჩაუქრობელ ვნებით გაავებული ბრაზი და გაკაპასებული ანჩხლობა ჰხერხავდა.

ნამდვილ სიყვარულის უნახავმა მარგომ ბოლოს თავისი თავი დააჯერა, ვითომ ასეთი მჩატე სიყვარული და ასეთი უსისხლო ცოლქმრობა ამ ქვეყნიერი და ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილიყოს, ხოლო ის გაგიჟება და ცაში ავარდნილი ვნება, რომელიც მას წიგნებში ჰქონდა წაკითხული, პოეტების მშვენიერი ნაჭორალი და მათი ადუღებული ტვინის ნაბოდვარი და ნაროშვარი ეგონა. დააჯერა მარგომ თავისი თავი და ძლივს გააყუჩა მოუსვენარი გული, რომელიც ხანდახან ისევ უცნაურად ჰკვნესოდა და გაუგებარს რასმეს ჰბოდავდა, ისევ თავისას მოითხოვდა და ნისლოვან ლანდებს მისდევდა.

თეიმურაზი კი მარგოს ლანდებს არ ჰხედავდა და იმის გულსა და ყურს მარგოს გულის ტირილი და სისხლის ჩქეფა არ სწვდებოდა. წიგნის ჭია ისევ ზანზიბარის ბედზე ჰზრუნავდა, მუდმივ ვიღაც-ვიღაცას ეკამათებოდა, წამდაუწუმ სათვალეებს ისწორებდა, თითს ჭერს ან ცას აბჯენდა და ჰბორძიკობდა:

— მოვვ...ვისაზროთ... გგ...გგამოვარკვიოთ... მოვვ...ვიფიქროთ...

ასე იფიქრა და ისაზრა ჩხირკედელა წიგნის მატლმა და ქაჩალმა თაგვმა, სანამ მას თავისივე თათუებით გამოჩხრეკილი კატა თავს არ წაადგა.

ის კატა ჯერ თითქოს ნამდვილ კატის კნუტს ჰგავდა,—შინაურ კატუნის, წყნარსა და ფრუტუნას, მოქნილსა და ხავერდოვანს, დაგეშილსა და ალერსოვანს. ჯერ თვალებიც არ ჰქონდა ახელილი, ჯერ თითებზედაც ძლივს ეტყობოდა დონდლო და ჩვილი ფჩხალები, და კბილების მაგივრად ღრძილების პირო პაწაწინა კიჭებმაც ძლივს ამოსჭრეს. მისი კნავილი არც კი ისმოდა; უკბილო პირს შოშიასავით აღებდა და სიარულის მაგივრად ძლივს დასცოცავდა.

თეიმურაზი სიხარულით ცას დაეწია: სიცოცხლის ნატვრა შეუსრულდა და სამოთხის კარები გაეღო. დღე-და-ღამ ქუდმოგლეჯილი დარბოდა, წითელ ბაირაღს იქნევდა და ჩახლეჩილის ხმით გაჰკიოდა:

— თავისუფლებას გ...გგაუმარჯოს! ვაშა!... რევოლიუციას გაუმარჯოოოს!... ძ...ძძირს მეფე და ძალადობა!

განუწყვეტელ ლაპარაკით, სირბილით და წერვით ხმა ჩაუწყდა, ენა დაება, მუხლები მოსწყდა და ხელის თითები დაუდუნდა.

ეროვნული

მერე თანდათან დაინახა და დარწმუნდა, რომ იმდენ [illegible] და ნალოდინევი წითელი მხეცი მისი გასართობი და სათამაშო კნუტი კი არ იყო, არამედ იგი ნამდვილი ვეფხის ბოკვერი აღმოჩნდა.

ის ბოკვერი თეიმურაზის თვალწინ გაიზარდა: გაიჭიმა, აიშოტა, აიბურძგნა და აიშალა; ვაშლის ოდენა თვალებს საზარლად აბრიალებდა და ელვას ისროდა, თითის სიგრძე კბილებს მრისხანედ აწკაპუნებდა, ორგოჯიან ფოლადის ბრჭყალებით ქვას ნაპერწკალს აყრევინებდა, მტკაველის სიგრძე თათებით მიწას ჰბდღლვნავდა, საეჭვოდ იზმორებოდა, ყალხზე სდგებოდა და დაჟინებით ხორცეულს მოითხოვდა.

თეიმურაზი ჯერ გაჩუმდა, გატვრინდა, აიმრიზა და გაინაბა: „გაუმარჯოსს“ აღარ გაიძახოდა და აღარც წითელ ბაირაღს იქნევდა. მერე, როცა იმის თვალწინ პირსისხლიანმა ვეფხის ბოკვერმა გაინავარდა და თავის მშობელ მწიგნობარსაც ოდნავ გაჰკრა კლანჭი, თეიმურაზი შეშინდა და საქვეყნო ყვირილი მორთო:

— დააბით!... დ...დდაიჭირეთ!... გალიაში ჩასვით!!

თან წითელ ფერს გაურბოდა, უწინდელ დროშებს სწვამდა, თავვის სოროში სძვრებოდა, შიშისაგან ჰკანკალებდა და ნადირის ნავარდს იქიდან დამფრთხალ თვალებს არ აშორებდა. ბოლოს, როცა ბოკვერი ვეფხად გადაიქცა და იმ ვეფხმა რამდენიმე ნახტომით და გულშემზარავ შეძახებით ყაყანის მოედანი დასცალა და დაიჩემა, შიშისგან გადარეულმა თეიმურაზმაც უმალ ზურგი მიიბრუნა: ქუდ-მოგლეჯილი ჩხირკედელა უგზო-უკვლოდ თავდაღმა დაეშვა და სასოწარკვეთით გაჰკიოდა:

— გვიშველეთ! დავიღუპე-ე-თ! გვიშველე-ე-თ!

მაგრამ მშველელი არსად სჩანდა. განწირულის კივილი და გოდება თანდათან მისუსტდა, მიიბნიდა და ბოლოს სადღაც ბნელ ჯურღმულში მისწყდა. რევოლუციის გრიგალში თეიმურაზ ხევისთავის კნავილი ვერავინ გაიგო, ხოლო მისი ათი წლის ნაშენები და ნაცოდვილარი წითელმა ვეფხვა ქინძისთავის ოდენა ლუკმასავით ჩაჰყლაპა.

თეიმურაზი ნელ-ნელა ისევ წიგნების სანაგვეს დაუბრუნდა, რომელსაც განათლებულ ქათამივით გულმოდგინედ ჰქექავდა. ჰქექავდა და ამონაკითხსა და ნაპოვნს ცოცხალსა და ახალ ცხოვრებას ერთმანეთს ადარებდა. ახალი და ცოცხალი ცხოვრება არაფრით ჰგავდა თეიმურაზის და იმის მასწავლებელ მწიგნობართა ნაროშვარს. ჰხედავდა ამ უცნაურობას თეიმურაზი და გულუბრყვილოდ ბრაზობდა იმის გამო, რომ ცხოვრება წიგნებს არ ემორჩილებოდა, მათ არც კი ეკითხებოდა და ბრძენთა ნებადაურთველად თავის გზით თავხედურად მიაბიჯებდა. თეიმურაზი კი თითს ისევ ცას აბჯენდა და ისევ ჰკვირობდა:

— საკ...კვირველია! ს...სსაოცარია!

ამ ქვეყანამ და თეიმურაზ ხევისთავმა თანდათან ისე შეიძულეს და შეიზიზღეს ერთმანეთი, როგორც კერპმა მამამ შეიძულა უძღები შვილი, რომელმაც განუზომელი ურჩობა, უმადურება, კადნიერება და ამპარტავნება გამოიჩინა მოსიყვარულე მშობლისადმი და საკუთარ ფეხებზე დადგომა და საკუთარის გზით სიარული გაჰბედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღიდან თეიმურაზს მისი სიცოცხლე კისერზე ისე ჩამოეკიდა, როგორც ლეკვის აყროლებული ლეში, რომელიც, ვერ იქმნა,ვერ ჩამოიგლიჯა, ვერ მოიშორა, და თვითონაც იმ ლეშიან ცხოვრებას ვერსად გაექცა და ვერ დაემალა.

და რამდენიც დრო გადიოდა, ის მძორიც უფრო-და-უფრო მძიმდებოდა და მისი სიმყრალეც თან-და-თან ჰმატულობდა.

IV

სანამ თეიმურაზი ცოლს შეირთავდა, შეძლებულ მემამულედ ითვლებოდა. მაგრამ შემდეგ, როცა საკუთარი ბუდე აიშენა და საზოგადო საქმეებშიც უფრო ღრმად შესტოპა, მისი მამულიც, უპატრონობის გამო და ჯაყოს წყალობით, თან-დათან დაილია. უთავბოლო და განურჩეველი ქველმოქმედება, გაზეთის გამოცემა, რჩეულ წიგნების ბეჭდვა, რამდენიმე ნიჭიერ ჭაბუკის გაზრდა, მარჯვნივ და მარცხნივ დახმარების გაწევა, ხშირი სტუმრობა და პატიჟი, ღარიბ ნათესავთა შენახვა და კარლია ოჯახი მუდმივ ახალ-ახალ დამატებას მოითხოვდნენ. თეიმურაზიც ქართლში განთქმულ საყანურებს იქამდის ჰყიდდა ნაჭრობით, სანამ ხელთ არ შერჩა სახლ-კარი, ბაღი, ვენახი და ასიოდე დღიური სახნავი. რადგან მამულის წყარო ჯერ თეიმურაზის ბედოვლათობით და მერე რევოლიუციის წყალობით თანდათან დაწყდა და ბოლოს სულაც მოისპო, თეიმურაზიც და მისი ოჯახიც და საქმენიც ისე დაილივნენ და დადნენ, როგორც ზეთ-გამოლეული ჭრაქი.

მწიგნობარმა და საზოგადო მოღვაწემ ჯერ გაზეთის გამოცემა მოსპო, მერე სტიპენდიებზე აიღო ხელი, შემდეგ მარგოს თვალ-მარგალიტი გაჰყიდა და, ბოლოს, თავის მამა-პაპეულ განძეულობასაც დაადგა თვალი. ის განძეულობა რკინით ნაჭედ უზარმაზარ სკივრში ჩაწყობილი, ნაშინდარში ინახებოდა. როცა ქვეყანა აირია, თეიმურაზმა ის სკივრი დაიბრუნა. ერთი კვირის შემდეგ დაფეთებული ჯაყო ქალაქში ჩამოვიდა, თეიმურაზის ოთახში შევარდა და ალრიალდა:

— მოგკალი, შენი წირი მე, ჯაყოი, მოგკალი! ჯაყო საცხოვრებელი აღარა ხარ!' მოგკალი, შენი წირი მე, მოგკალი!

და ზანჯვლიანი დათვი ბავშვივით ატირდა.

— რა იყო, ჯაყო, რა მოხდა?.. სთქვი, ჯაყო, რა მოხდა? — ეკითხებოდნენ შეშინებული თეიმურაზი და მარგო თავიანთ მოურავს, რომელიც თავში თითებს იცემდა, წვერულვაშს იგლეჯდა მკერდსა და მუხლებს იმტვრევდა და გაბმულ ღმუილით ღრიალებდა:

— დაიღუპე ჯაყოი-ი-ი-ი! მოკვდი ჯაყოი-ი-ი!

ბოლოს, ძლივს დაუკლო ღრიალს და დათვურ სლუკუნით გადმოაგდო

— ყაჩაღებმა სკივრი მოგტაცეს ჯაყოსა.

მარგოს ეს ამბავი მეხივით დაეცა, თეიმურაზს კი გულს მოეშვა.

— კარგი, ჯაყო, გაჩ...ჩჩუმდი. მე უარესი მეგონა. — ანუგეშა მოურავი თეიმურაზმა,

ეროვნული

— ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს, თეიმურ?—მთრთოლვარე ხმით თქვა მარგომ.—ის განძეულობა ათ წელიწადს მაინც გვაცხოვრებდა, ეხლა კი...

— დამშვიდდი, ჯაყო. მე მეგონა ცოლი ან შ...შვილი მოგიკვდა მეთქი.

— შვილის სიკვდილი გერჩივნა ჯაყოსა, მაშა!—ნეტა ცოლ-შვილი დაგხოცოდა და ასეთი სირცხვილი არ გეწამა ჯაყოსა. ღმერთმანი, მართალს ამბობ ჯაყო. ვაი ჩემი ბრალი! ვაიმე საწყალი ჯაყო-ი-ი!

— ჯაყო, გაჩუმდი და მიამბე, რ...როგორ მოხდა ეგ ამბავი?

— როგორ მოხდა და ასე მოხდა, შენი წირიმე, რომა ყველას გეძინა. შუაღამეს ყაჩაღები მოხვედი, ქეშელას ყელში ხანჯალი დაგადე, პირში ჩვარი ჩაგიდე, სკივრი გასტეხე და ყველაფერი წაიღე. მერე ქეშელა დაიღმუვლე. ჯაყო გაიღვიძე და ყველანი წამოგაყენე, მაგრამ ყაჩაღები ცხენებზე შეხტი და გაიქეცი. ბევრი ეძებე ის ყაჩაღები, მაგრამ მიწამ ჩაგყლაპა. აი, მთავრობის პრატაკოლიც მოგიტანე ჯაყომა. მანდ სწერიხარ ყველაფერი.

— ახია შენზე, ახი!—ბრაზით მიახალა მარგომ თეიმურაზს, რომელიც გულმოდგინედ კითხულობდა გრძელ ოქმს.—რამდენჯერ გითხარი: ქვეყანა აირია, იმ განძეულობას ხიფათი მოელის, წადი ჩამოიტანე მეთქი, მაგრამ შენ ვერ მოიცალე, თავი ვერ შეიწუხე.

— დამშვიდდი, მარგო, დამშვიდდი. ოღონდაც რომ ვერ მოვიცალე. ისეთ დროს შემირჩევდი ხოლმე, რომ...მახსოვს, ერთხელ არჩევნები იყო, მეორეჯერ პრესაში ცხარე კამათი გვქონდა ჩვენ მტრებთან, მესამეჯერ ჩემი წიგნი იბეჭდებოდა.

— მერე, სამი დღით კამათი ვერ შესწყვიტე?! შენ, როგორც გატყობ, არც კი გესმის დანაკარგის ფასი. ყოველთვის ბედოვლათი იყავი და შემდეგშიც დარჩები.

— მ...მმარგო!

— ნაცარქექიავ!—და გამწარებულმა მარგომ კარები გაიჯახუნა.

დრო კვლავ მიდიოდა. ლუკმა პურის შოვნა დღითი-დღე ძნელდებოდა. თეიმურაზმა რომ მარგოს სამკაული და თავიანთი ნიშნობის ბეჭდებიც კი გასცვალა დაშხამულ პურზე, ოჯახის ნგრევას მიჰყო ხელი და რიგ-რიგობით გაიტანა ბაზარში ხალიჩები, როიალი, ლბილი ავეჯი, თეთრეული, ფაიფური და ბროლის ჭურჭელი; ხოლო როცა თეიმურაზს ცხოვრებამ მიწამდის მოუღუნა კისერი და ულმობელად დაჭკეცა იგი, მოდრეკილმა მწიგნობარმა თავის წიგნებსაც წაავლო ხელი,—იმ წიგნებს, რომელნიც თეიმურაზისთვის ღვიძლ შვილებს ედარებოდნენ და უფრო საჭირონი და ძვირფასნი იყვნენ, ვიდრე ავეჯეულობა, მამა-პაპეული განძეულობა, მარგოს თვალ-მარგალიტი, ბროლი, ფაიფური და თეთრეული.

ოცი წელიწადი მოუნდა თეიმურაზი წიგნთსაცავის შერჩევას და გამდიდრებას. კვირა იშვიათად გავიდოდა, რომ საფრანგეთიდან, გერმანიიდან და რუსეთიდან ფოსტას თეიმურაზისთვის ერთი დასტა წიგნები არ მოეტანა. არც ფრანგული წიგნი, ჟურნალ-გაზეთი, ან ფურცელი დაიბეჭდებოდა, რომ ერთი ცალი თეიმურაზის კაბინეტში არ შესულიყო. რამდენიმე ბუკინისტი მუდმივ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალებით დაეძებდა მისთვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას. ძილის მიყურუ-ლით, ცოდნითა და მოწიწებით აგროვებდა თავადი მწიგნობარი საიდუმლო ნაბეჭდებს და ნაშინდარში ჰგზავნიდა ცხრაკლიტურში დასაკეტად.

წიგნსა და თეიმურაზს ისე უყვარდათ ერთმანეთი, როგორც მამაშვილს, ამიტომ, როცა წიგნების გაყიდვის ჯერი მოვიდა, თეიმურაზმა მხოლოდ მაშინ იგრძნო და გაიგო, რომ იგი კარგა ხანია შეუდგა თავისს გოლგოთას, რომლის მწვერვალი, შავის ნისლით დაბურული, ჯერ არც კი მოსჩანდა.

გულაჩუყებული ბიბლიოფილი კვირაში ერთხელ წიგნებს აცახცახებულის ხელით გადაარჩევდა, ილლიაში ამოიჩრიდა, სახლიდან ქურდივით გაიპარებოდა და საკომისიო მაღაზიას ჩალის ფასად მიუგდებდა, თან ჩუმ-ჩუმად ცრემლს იწმენდავდა და აფორიაქებულ სულს იმ იმედით იმშვიდებდა, ვითომ ხვალ ან ზეგ დრო გამოიცვლებოდა, ცხოვრების ბორბალს ვილაც უჩინარი პირუკულმა დაატრიალებდა, ან თეიმურაზს მამული დაუბრუნდებოდა, ან როგორმე ფულს მოიგდებდა თეიმურაზიც გაყიდულ ქონებას და წიგნებსაც ხელ-ახლად დაიბრუნებდა

მაგრამ ცხოვრებას გუმანშიც არ ჰქონდა პირუკულმა მოტრიალება. ისევ დღე დღეს მოსდევდა, კვირას—კვირა, წელიწადს—წელიწადი. თეიმურაზი კი მუდმივ სასწაულს ელოდებოდა. და სასწაულის მოლოდინში, მამულის დაბრუნებისა და ხელახალ გამდიდრების იმედიანობაში ნელ-ნელა დაილივნენ და დაცალიერდნენ თეიმურაზის გულიც, იმედებიც, წიგნთსაცავიც და ბინაც.

ერთ ხანს თეიმურაზი ყოველ დღე ხუთიოდე საკომისიო მაღაზიაში მაინც შეირბენდა ხოლმე გასასყიდად მიბარებულ წიგნებისა და ნივთების ბედის გასაგებად და ორიოდე გროშის მისაღებად.

იმ მაღაზიებში თეიმურაზი დიდის დაკვირვებით და გულის კვნესით ათვალიერებდა ათასს უცნობ ოჯახიდან გასასყიდად გამოტანილ ნივთებს. მაღაზიების ვიტრინებსა და თაროებზე ის ჰხედავდა და ჰკითხულობდა საკუთარ ცხოვრებისა და ბედის წიგნს.

რა არ იყო იმ მაღაზიებში საქვეყნოდ გატანილი ერთ ლუკმა პურისთვის! კაბები და საცვალი, ჭურჭელი და სურათები, წიგნები და ალბომები, სამკაული და სათამაშო, ნაქარგი და ნაქსოვი, ნაჩუქარი და სახსოვარი; ცოლ-ქრმობის, დანიშვნის, ჯვრისწერის, და-ძმობის, მამა-შვილობის და მეგობრობის ათასნაირი წვრილმანი ნივთი, უთვალავის მოგონებით ალსავსე, ნატიფი ნახელოვნევი, ინტიმური და ძვირფასი.

ყოველ ნივთს—ბეჭედსა და საყურეს, სამაჯურსა და კოხტა სარკეს, ვერცხლის სათუთუნეს, ქალის ნაქსოვ ხელის-ქისას, ფარჩის კორსეტსა და ქარვის კრიალოსანს, სპილოს ძვლის სათამაშოს და ბრინჯაოს ქანდაკს, ფაიფურის ვაზას და მოქარგულ ოქრონემსულს, ფერუმარილის ჭურჭელსა და ატლასის სათამაშო ქალალდს, საქორწილო თეთრ კაბას და აბრეშუმის წინდებს—უკლებრივ ყველაფერს ჰქონდა თვისი რომანი და წარსული, სიხარული და დარდი, სიცილი და ცრემლი, ინტიმური ისტორია და უცნო თავგადასავალი, იმედიანი დასაწყისი და სევდიანი დასასრული. ხანგამოშვებით თეიმურაზი იმ მაღაზიებში

ნაცნობთა სამკაულს და ნივთებსაც წააწყდებოდა. მან იცნო ქნეინა [illegible] განთქმული სპილოს ძვლის მარაო, წვრილი ოქროს ძაფით მოქარგული და ფრანგულით წარწერილი: n'oublierz jamais, იცნო აგრეთვე კნეინა არაგველის უუძველესი კაბა, კვერნით შემოვლებული, მუქი შინდის ფერი ხავერდი, თეთრის აბრეშუმით მოქარგული და მსხვილი მარგალიტებით დაწინწკლული; იცნო თავადი გიგო სურამელის საგვარეულო რახტიც, კნეინა ელენეს ჯილაც, კნეინა ქეთევანის მანაკიც და თავად ელიზბარის ქულაჯაც. უკვე უსაქმური თეიმურაზი ზოგჯერ მთელ დღეს სტრიალებდა საკომისიო მაღაზიებში, სცნობდა მეგობართა და ნაცნობთა საქვეყნოდ გატანილ ნივთებს, ჩუმის კვნესით ჰკვნესოდა, გულამომჯდარი სჩიოდა და საკუთარის თვალით ჰხედავდა თავისს თვალწინ დატრიალებულსა და საკუთარ კისერზე დაწერილს ახალს ულმობელ ისტორიას, რომლის წყალობით ერთნი ამ ქვეყნის ასპარეზიდან უკვე მიდიოდნენ და თავიანთ წარსულს ჰყიდდნენ, ხოლო მეორენი ახალ ქვეყნიდან მოდიოდნენ და თავიანთ მომავალს ჰყიდულობდნენ.

თეიმურაზიც დღითი-დღე ჰყიდდა თავის ბედნაკრავ ოჯახსა და ისტორიას, დღითი დღე სწვავდა მომავლის იმედებს, და თავჩაქინდრული, გულდაწყვეტილი და სულდამწვარი, ზლაზვნით და ბორძიკით ჩამოდიოდა თავდაღმა ცხოვრების ქვლიან კიბეზე.

ჯერი ტანისამოსზე მიდგა. ჯერ რამდენიმე ხელი გაჰყიდა, დანარჩენი გადმოაბრუნა და მარცხენა ჯიბეები მარჯვნივ მოიქცია; მერე, საყელოების გახამება რომ გაძვირდა, გაუხამებელს იკეთებდა. ბოლოს საყელოები და ყელსაბამიც მოიშორა, ხალათი ჩაიცვა, ქამარი შემოირტყა, წვერიც გაუშვა და გაკოტრებულ მეწვრილმანე ურიას დაემსგავსა.

თეიმურაზი და მისი მეუღლე ოდესღაც ექვსთვალიან ბინაში სცხოვრობდნენ. იმ ექვს ოთახიდან ორ-სამ ოთახში იშვიათად შეიხედავდნენ. თუმცა თეიმურაზი თითქმის მილეული იყო, მაგრამ ბინის გამოცვლას მაინც არ აპირებდა, რადგან იმ ხანებში ბინის ქირა თან-და-თან კლებულობდა. დროება ერთხელ კიდევ გამოიცვალა. ერთ დღეს თეიმურაზს ძაბრის ქუდიანები და შავხელა მუშები მიადგნენ და უთხრეს:

— ამხანაგო, შემოკლდით!

თეიმურაზი და მარგო „დამოკლდნენ" და სამ ოთახში დაბინავდნენ. კიდევ გავიდა ხანი. კიდევ მიადგნენ თეიმურაზს და უთხრეს:

— ამხანაგო, ცოტა კიდევ შემოკლდით.

თეიმურაზი და მარგო ერთ პატარა ოთახში მისჭეჭყეს, ხოლო ხუთ ოთახში მუშები და მათი მოუსვენარი ცოლ-შვილები ჩასახლდნენ. იმ ხნიდან დაიწყო თეიმურაზისა და მარგოს ახალი წამება: წინანდელი მშვიდობა და ხალვათობა გაჰქრა. ყველას საერთო სამზარეულო, ჩუჩმა, აივანი და საკუჭნაო ჰქონდათ. დღე არ გავიდოდა, რომ მარგოს თეიმურაზისთვის არ შეეჩივლნა მეზობელთა დაუდევრობა და უწესოება, მაგრამ თეიმურაზი სდუმდა და ამბობდა:

— გ...გგაჩუმდი, ქალო, თორემ აქედანაც გაგვაგდებენ.

თეიმურაზს შიში გაუმართლდა. ერთხელ კიდევ მივიდნენ და უთხრეს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ამხანაგო, აიბარგეთ!

და თვალცრემლიანმა თეიმურაზმა ბაზარს გადარჩენილი ერთი მუჭა ბარგი თითქმის ხელით გადმოიტანა იმ ერთ ოთახში, სადაც ეხლა მისი ნამოჯამაგირევი ჯაყო ისე ძალუმად ჰხვრინავდა, რომ მისი ხრიალი ზემო სართულსაც კი სწვდებოდა.

თეიმურაზმა თავის დროზე სამსახურიც სცადა, მაგრამ მალე იგრძნო და გაიგო, რომ ის სხვის სკამზე იყო ჩამომჯდარი. ახალმა ქვეყანამ და თეიმურაზმა ერთმანეთისა ვერაფერი გაიგეს, ერთმანეთს გული და სული ვერ შეუგუეს და ვერ მოახვედრეს. ორივენი თითქოს სხვა და სხვა ენას ლაპარაკობდნენ, თითქოს სხვა და სხვა ქვეყნისა და ჟამის სულითა და ხასიათით იყვნენ გაჟღენთილნი, ამიტომ ერთის „ღვთის წყალობა“ მეორეს „ღვთის რისხვად“ ელანდებოდა და ერთის მადლი მეორეს მატლად მიაჩნდა.

თეიმურაზმა რამდენჯერმე ფეხი გადინაცვლა და სამეურნეო დარგში დაიწყო მუშაობა. ახალ სამსახურში თეიმურაზის ავლა-დიდება და ცოდნა გასჩხრიკეს და მალე დარწმუნდნენ, რომ ჭიანახრავმა მწიგნობარმა სუყველაფერი იცოდა, მაგრამ ისიც მალე გაიგეს, რომ მას ახალ წესრიგის შეგუება არ ძალუძდა და არ შეეძლო.

დიდხანს იხეტიალა თეიმურაზმა ერთ შენობიდან მეორეში და მეორე დარგიდან მესამეში. ერთ ალაგს თვითონ თეიმურაზი იწუნებდა, მეორეში თეიმურაზს იწუნებდნენ. ბოლოს სამსახურს სამუდამოდ ჩამოჰშორდა და სხვა საქმეს რომ ველარ მიეკედლა, გატკეპნილ გზას დაადგა და ერევნის მოედნის ბირჟაზე გავიდა.

თეიმურაზს გარკვეული ხელობა არა ჰქონდა, ამიტომ ძალაუნებურად შუამავლობას მიჰყო ხელი. თუ სადმე ნაცნობ-ნათესავებს შეჰხვდებოდა, ჩურჩულით და გესლიანის ღიმილით ეუბნებოდა:

— ვ...ვვაჭრებში ფეხი მ...მმოვიკიდე. თუ გასაყიდი ან დდ...დდასახურდავებელი გაქვთ რამე, შემიძლიან დ...დდაგეხმაროთ. მაკლეობით უნდა გავათავო ჩემი სიცოცხლე.

და ოფლში გაწურული და ენაგადმოგდებული მწიგნობარი ნახევარ მისხლიან ბეჭდის გასაყიდად ან ორიოდე ოსმალურ ლირის დასახურდავებლად დილიდან საღამომდის შუა ბაზარსა და ერევნის მოედანზე ქაქანით დალასლასებდა, კედლებსა და მავალებს აწყდებოდა და ორიოდე გირვანქა პურის გულისთვის ვინმე ბაზაზის დუქანში ორ საათს იჭაჭებოდა, იხვეწებოდა, სტყუოდა და ფიცულობდა.

— ნეტა მამა ჩემს ჩემთვის რამე ხელობა ესწავლებინა, ან მწიგნობარის მაგივრად ნეტა ხარაზი, დურგალი ან ზეინკალი ვყოფილიყავ — სთქვა იმ ხანებში თეიმურაზმა და ეს ნათქვამი მას თან-და-თან ნატვრად გადაექცა, რომელსაც შემდეგში ისე ხშირად იმეორებდა, რომ მახლობლებს და თეიმურაზსაც იმ ნატვრის გაგონებაც კი მოჰბეზრდათ.

ბოლოს ლირების დახურდავებაც მოისპო და გასასყიდი ბეჭდებიც გამოილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზი მას აქეთ მთელი დღე უსაქმოდ ქუჩაში დაჩანჩალებდა და ნაცნობ-ნათესავებს ყურში საიდუმლოდ ჩასჩურჩულებდა:

— ორი მანეთი მ...მმასესხე ხ...ხხვალამდის.

და ორი მანეთის მაგივრად ორ აბაზსაც სიხარულით ექიდებოდა.

ზოგჯერ იღლიაში ამოჩრილ პურსა და იაფ სანოვაგეს ბედნიერის ღიმილით მოათრევდა, ზოგჯერ კი, პირქუში და თვალ-ცრემლიანი, თავისს ბნელ ოთახში შეიძურწებოდა და მუდმივ დაღვრემილ მარგოს თრთოლვით და კანკალით ძლივს შეჰკნაvლებდა:

— დღეს ვ...ვვერაფერი მოვახერხე. დ...დდაწყევლილი დღეა. უნდა მ...მმოვითმანოთ.

მარგოც სდუმდა და ითმენდა.

ერთ დროს თეიმურაზი მეგობრებს ათობით ჩამოივლიდა ხოლმე. ვინ იცის, რამდენმა შეირჩინა და გაიყოლა თეიმურაზის მადლი! ჟამთა ტრიალის წყალობით მრავალი მათგანი თეიმურაზივით წისქვილის ქვის ქვეშ დაიფქვა, მაგრამ ზოგნი წელმაგარნი გამოდგნენ და ისევ ფეხმარდად დაიარებოდნენ, ზოგნი კი ბედის უცნაურ წყალობით წელშიც კი გასწორდნენ, გამაგრდნენ და გასუქდნენ.

მკვდრები მკვდარ თეიმურაზს ექიდებოდნენ და სამარემდის მითრევას ემუდარებოდნენ, ხოლო ცოცხალი მეგობრები სულთა-მხუთავ კლანჭებში ჩავარდნილ თეიმურაზს ფიცხლად შემოეფანტნენ. ქუჩაში მიმავალ დაღვრემილ ნაკაცარს ისე ერიდებოდნენ, თითქოს მათი მოკეთე და მადლის დამთესი ხევისთავი გაცოფებულიყოს. ხშირად თითქოს ვერც კი სცნობდნენ: შორიდანვე თავს ჩაჰღუნავდნენ და ნაბიჯს მოუმატებდნენ, ან მაღაზიის დასათვალიერებლად შეტრიალდებოდნენ და თეიმურაზს ზურგს შეაქცევდნენ.

სამიოდემ თეიმურაზის ძველი მადლი გაიხსენეს, ნაკაცარს ოდნავ ხელი მოუმართეს და თითქოს უსიტყვოდ უთხრეს: „ჩვენი ვალი მოვიხადეთ. მეორედ აღარ შეგვაწუხოო."

ერთ დროს სხვისი მოჭირნახულე და მომჭირნე თეიმურაზი ეხლა რომ მარტოხელი ყოფილიყო, როგორმე თავს შეინახავდა და გაჭირვებას ასე ადვილად არ გაეთელვინებოდა, მაგრამ მუდმივ გაჩუმებული მარგო თავისს დუმილით მას სულს უხუთავდა და ყოველ დღე შხამს ასმევდა.

თეიმურაზიც თანდათან ბნელდებოდა და ისე ილუნებოდა, თითქოს მას უჩინარი ვინმე დღითი-დღე ახალ-ახალ ლოდს ჰკიდებდაო.

მარგოც იბურებოდა, ითმენდა და ილეოდა.

უდარდოდ და ფაქიზად გაზრდილ მარგოს არასოდეს არ ჰქონდა ნაცადი ცხოვრებასთან ბრძოლა და ლუკმა პურის დევნა; მას ხასიათშივე ჰქონდა თანდაყოლილი უჩინარ ბედის შიში და მორჩილება, ხოლო უკანასკნელ ხანებში ეს მომთმენი დედაკაცი საბოლოოდ ხელთ ჩაუვარდა უძლეველ ცხოვრებას, სავსებით დაემორჩილა მას და უსიტყვოდ და ხელის გაუნძრევლად მისცა თავი სრულს აპათიას, გულგრილობას, სულერთიანობას და გარინდულობას.

„თეიმური ჩემი ქმარია. რაც უნდა იყოს, ჩემთვის მუშაობს და იტანჯება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც მისი მეუღლე ვარ, მეც უნდა მოვითმინო.“ — ასე ინუგეშებდა ზოგჯერ მარგო თავს და უპურობასაც კი ითმენდა. მაგრამ ამ შეგნებას არ მოსდევდა სიყვარულის ტალღა, მეგობრულ ძაფების გამაგრება და მეუღლეობის ვალის განხორციელება. ამიტომ ხელის განძრევის ნაცვლად მარგოს გულში ბოროტმა ინსტინქტმა გაიფაჩუნა. მარტოდ-მარტოდ დარჩენილმა დედაკაცმა გული ჩაიხვია და პირს კლიტე დაიდო. როცა თეიმურაზი მწარედ სჩიოდა და ჰკვნესოდა, მისი მეუღლე დახმარების, გამხნევებისა და ნუგეშის მაგიერ მთელის დღეობით სდუმდა. და ის დუმილი, — ცივი, ულვთო და სასტიკი, — უფრო შხამიანი და გაუძლისი იყო თეიმურაზისთვის, ვიდრე მარგოს ბრაზიანი კივილი, ლანძღვა და საქვეყნო საყვედური. მარგო კი ისევ დუმილით ჰფარავდა ბალღამის შადრევანს, რომელიც ამოხეთქვას ჰლამობდა, მაგრამ, თავის უნებურად, დედაკაცის გაცრუებულ იმედსა და სიყვარულზე ნელნელა ნელცოფა, ზიზღი და ფიზიკური მძულვარება აღმოცენდა.

— მარგო, მეტის მეტად გაგვიჭირდა. — ეტყოდა ზოგჯერ თეიმურაზი თავის დამუნჯებულ მეუღლეს ბაასის გასაბმელად.

— აკი ვითმენ ამ გაჭირვებას, მეტი რა გინდა? — უპასუხებდა პირგაყინული მარგო.

— ითმენ, მაგრამ ვაი მაგ მოთმენას!

— შენ შენს თავს მოუარე, ჩემზე ნუ ზრუნავ.

— ისე მელაპარაკები, თითქოს უცხონი ვიყოთ ერთმანეთისთვის.

— როცა მე გელაპარაკებოდი, შენ სდუმდი. ჩემი თავი გაზეთებს ანაცვალე. დუმილი შენ შემასწავლე, ბაას შენ გადამაჩვიე. ან რა გვაქვს სალაპარაკო? როცა მოსაცემი გქონდა, არაფერი მომეცი, როცა ყველაფერი გამოვლია, ცალიერ ბაას მთავაზობ.

— დარიგება, გამხნევება და სულიერი ნუგეში მჭირდება, თორემ წავიქცევი, მარგო!

მარგო უარესად მოიღრუბლებოდა და გაწამებულ მეუღლესთვის ერთ სიტყვასაც აღარ გაიმეტებდა.

რაც დრო მიდიოდა, გაჭირვებაც მატულობდა, ხოლო მარგოს გულში საიდუმლოდ და წვეთ-წვეთად კაპასი გესლი და ავი ბალღამი ქონავდა.

ქონავდა და გუბდებოდა. და იმ ბალღამსა და გესლს მარგო მოთმინებისა, გულგრილობისა და დუმილის ხუფით ჰფარავდა. მაგრამ იგი გესლი სდუღდა, ხუფს აწვებოდა და ამოვარდნას ჰლამობდა. ბოლოს, ხუფიც ამოვარდა და გამწარებულმა დედაკაცმა ერთხელ თავის უბედო და უნდილ მეუღლეს ერთი წვეთი გესლი შეასხა. როგორ ან როდის გამოეცალა ხევისთავის ოჯახის უდუღაბო ციხეს ეს პირველი აგური, ეს არც თეიმურაზს ახსოვდა და არც მარგოს. პირველ აგურს მოჰყვა მეორე, მეოთხეს მეხუთე და მეცხრეს მეათე. ბოლოს, ისე დღე არ გავიდოდა, რომ თეიმურაზის მოშლილ ბუდეში ზიზღის ნიაღვარი არ შევარდნილიყო, მძულვარების შადრევანს არ ამოეხეთქნა და ისედაც მორღვეულ ციხე-ოჯახში კიდევ ერთი კედელი არ ჩამონგრეულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივეს თანდათან შესძულდათ და შეეზიზღათ თავიანთი თავიც და ერთმანეთიც, სიცოცხლეც და მასთან ჭიდილიც, უხალისო წარსულიც და უიმედო მომავალიც.

თეიმურაზი თითქმის აღარ იბრძოდა. მოძულებული თავი მოძულებულ ცხოვრების მდინარეს გულგრილად მისცა და საამურ დასასრულს არხეინად ელოდებოდა.

ბოლო ხანებში ცოლიც და ქმარიც მისწყდნენ, დადნენ, მიილივნენ და სიცოცხლის დღეებსაც აღარ ითვლიდნენ.

## V

წინად რომ ჯაყო ჯიავაშვილს ჰკითხავდნენ ხოლმე, სადაური ხარო, ჯაყო ტაბიკის თითს როკის მთისკენ გაიშვერდა და იტყოდა:

— იქაური ხარ, შენი წირი მე; საწყალი ჯაყო ობოლი ხარ, არც ძმა გყავს, არც მამა და არც ბიძა. ჯაყოს მარტო საწყალი ქეშელა გყავს. შენი წირი მე.

მერე კი, როცა გლეხობას მიწის ციებ-ცხელება აუტყდა, როკის მთაში ჯაყოს ძმებიც აღმოუჩნდნენ და ბიძებიც.

როცა დრო მოვიდა, მთებიდან მოულოდნელად კბილებამდის იარაღში ჩამსხდარი ხუთი ჯიავაშვილი ჩამოვიდა. ხუთივენი ჯაყოს გვერდით ამოუდგნენ.

თვითონ ჯაყოს დღე-და-ღამ ზედ ეკიდა რუსული თოფი, მაუზერის დამბაჩა, თეიმურაზის მამა-პაპეული და ვერცხლით ნაჭედი ხმალი და ხანჯალი, სამასი ვაზნით გატენილი სამი სავაზნე და ოთხი საომარი ყუმბარა.

არსენალად გადაქცეული ჯაყო თეიმურაზის მამულს გარს უვლიდა და, ვითარცა უპატრონო ქონებისა და თვისი ნათლიას კანონიერი მემკვიდრე, გაამთრებული გაჰკიოდა:

— ჩემია! ჩემია! ჯაყო დედას გიტირებდის, ვინც მოვიდოდებოდის!

გვერდით ძმები და ბიძები ჰყავდა: ქეშელა, გიგა, ტელა, მეშთა და ბრინკა, რომელნიც ჯაყოს გაბერილ მადას იარაღით ადასტურებდნენ:

— მაშ! მაშა! ყველაფერი ჩვენია, ჩვენი! დედას გიტირებდით, დედასა!

ჯაყომ ძალას და მუქარას ხერხი და კეთილი გულიც დაატოლა: მთელი სოფელი რამდენჯერმე დაპპატიჟა, სამი ქოცო დააცალიერა, ათიოდე ცხვარი დაჰკლა, გლეხების გული მოინადირა, მტრებიც შეირიგა, და ხელისუფლებასაც ზურგს უმაგრებდა:

— გაგიმარჯოს ჟორდანიას მთავრობასა! — გაჰკიოდა წარა-მარა ჯაყო. — საწყალი ხალხი მიწა მოგეცი.

ხელისუფლება და პირველობა ჯაყოს თავის თავად ჩაუვარდა ხელში.

იმიერიდან ჯაყო ნაშინდარის თავიც გახდა, მსაჯულიც, ვექილიც და მზრუნველიც. კვირა არ გავიდოდა, რომ შეიარაღებული ჯაყო გორის ან ცხინვალის ხელისუფლებს კრიჭაში არ ჩასდგომოდა და არ ახვიხვინებულიყო:

— ნაშინდარის ხალხმა გიბრძანა ჯაყოსა .... ჩვენი ხალხი სამართალი გინდა!... ჩვენი ხალხი მაგოდენა ნალოგი არ გადაიხდი!...

ეროვნული

სავა მუქარა და „ხალხის“ სახელი არ გასქრიდა, [illegible]გა-ბავშვდებოდა, გაკრავდებოდა და აცრემლდებოდა:

— გიშველეთ, შენი წირი მე, თორემ მთელი სოფელი დაიღუპე... ყველასა გშიან, ტანისამოსიც აღარა გაქვს, საქონელიც შიმშილით გაგიწყდა.

მუდარა გასქრიდა თუ არ გასქრიდა, ჯაყო მაინც სოფელს დაუვლიდა:

— ჯაყოს დიდი ხარჯი გაქვს. შენ ერთი ჩანახი ჩამოდი... შენ ერთი ქათამი მოგიტა... შენზე ერთი გოწი გაგაწერე...

ბოლოს, თვითონ თეიმურაზის თხოვნით, ჯაყოს ქვემო ნაფუზრებში თოთხმეტი დღიური მოუზომეს. ჯაყომ სახნავ-სათესი იშოვნა, ხოლო სახლ-კარისა და ბაღ-ვენახის დაჩემება სამერმისოდ გადასდო. მერე ქალაქში ჩამოვიდა, თეიმურაზს ზლევენი ჩამოუტანა და ერთი კვირის ლიჯინით, მუდარით და მუქარით ისე გააბრუა ჯერ კიდევ ძლიერი თეიმურაზი, რომ დაშინებულმა თავადმა თავის მოურავს სახლ-კარიც და ბაღ-ვენახიც თითქმის უფასოდ დაუთმო იჯარით.

გავიდა ორი წელიწადი. ჯაყომ ორიოდე ზლევენი კიდევ მიართვა თეიმურაზს, თანაც მიღეულ ზურგზე დათვის თათს უბარტყუნებდა, ღოჯის კბილებს აღვებდა და ილრიჯებოდა:

— ლალას მერე მოგიტანებდე, შენი წირი მე. მოსავალი არ მოვიდებოდეს, ზოგს გლეხები მოაძოვებდეს, ზოგს მოიპარებდეს, ზოგსაც ნალოგი წაილებდებოდეს. ჯაყო ცოლს შეირთავდეს, შენი წირი მე, ხარჯიც დიდი გქონდა. ჯაყომა ისეთი ლამაზი ქართველი ქალი მოიყვანებდეს, როგორც მთვარე.

და ერთი ისე დაიჭიხვინა, რომ ფანჯრის მინები ააწკარუნა.

კიდევ გავიდა ხანი. ვარდისფერი საქართველო დამუქდა და გაწითლდა. როკის მთებიდან კიდევ ერთხელ ჩამოგორდნენ ჯაყოს ძმები და ბიძები და კიდევ ერთხელ მიეშველნენ თავიანთ ბელადს, რომელიც ისევ იარაღში ჩაიჭედა, ისევ გაცოფებული ურბენდა გარშემო თეიმურაზის სახლკარს, ბაღს და ვენახს, და ისეთის ხაპი ხმით გაჰკიოდა, რომ მისი მუქარა მთელ სოფელს სწვდებოდა:

— დედას გიტირებ, დედასა! აბა ახლოს მოვიდებოდეს ვინმე! აბა ერთი გამოვიდოდეს, თუ ვაჟკაცი იქნებოდეს!

— ჩვენია! ჩვენია სახლიც და ბაღიც!—კვლავ უდასტურებდნენ ჯაყოს გიბა, ქეშელა, ტურა, მეშთა და ბრინკა.

ხუთივენი წამდაუწუმ თოფსა და მაუზერს აჩხაკუნებდნენ, ხელში ყუმბარებს იმარჯვებდნენ და ხმალ-ხანჯალს ჰფერავდნენ, ხოლო ღამ-ღამობით, უხილავ მტრებისა და ლანდების დასაფრთხობად, თოფსა და მაუზერს აგრიალებდნენ.

ჯაყომ ღრიალს და ქადილს ისევ ზედ დააყოლა ცხვარი და ღვინო, არაყი და მწვადები, ოსური ლუდი და ხაბიზგინები, მტრებთან შერიგება და ხელისუფლებთან ლიჯინი:

— ჩვენი ხალხი ძალიან რევალცია ხალხია, შენი წირი მე. ყველანი მზათა ხართ თოფი გესროლოდ მტრებსა და ყაჩაღებსა. ნაშინდარში ყველანი ძმები ხართ და ძმა-ბიწურათ ცხოვრობთ... ჩვენ, შენი წირი მე, არაფერი გინდა. მარტო ნალოგი ნუ წაილებდეს. წლეულს ძალიან ცუდი მოსავალი გქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველასა გშიან, შენი წირი მე. სიტყვაც მოგივიდა და გოლვაც გქონდა. სულ დაგილპა იქაურობა, შენი წირი მე, სულ!

ასეთის ლოქითა და ასნაირ ხრიკებით ჯაყო სოფლისთვის ჯერ შელავათს მიიღებდა. მერე თვითონაც სამაგიეროს სოფლისგან თხოულობდა და საყვედურით ყველას თავს აბეზრებდა:

— ჯაყომ სოფელს გიშველა.... ჯაყომ ნალოგი გაპატივებდებოდეს.... ჯაყომ ყველაფერი გაგიკეთებდი.... მაშ, მაშა! აგრე ვიცი ჯაყომა!—და ქადილსა და საყვედურს ისევ წუწუნი მოსდევდა:

— მოგეცი ჯაყოს ვალი, თორემ ჯაყოს მეტი აღარ შეგიძლიან.

და ჯაყოს ოჯახში უხვად შედიოდა ხორბალი და ლობიო, მატყლი და წვრილფეხა საქონელი, კარაქი და ერბო, ფრინველი და მრავალი გლეხური ნაცოდვილარი და ნაოფლარი. ჰკრეფდა ჯაყო სოფლისგან ღალას და ახალ ჰანგზე გაიძახოდა:

— ღმერთმა გაკურთხოს ბალშენიკების მთავრობა, რომელმაც საწყალ ჯაყოს სახლიც მოგცა, ბაღიც, ვენახიც და კარგი კანონიცა! ძირს ჟორდანია, აღარ გინდა ჯაყოსა ბურჯუაზიის მთავრობა, აღარა!

ჯაყომ ნატვრა შეისრულა იმ სახლში და ბაღ-ვენახში არხეინად მოიკეცა-გულიც დაიმშვიდა, იარაღიდან ამოძვრა, დაიძკლავა და ისე დააძგერა თვისი ნათესავები იმ მიწას, და ბაღ-ვენახს, როგორც მოსისხლე მტერს: რიჟრაჟიდან ბინდამდის ჰხნავდნენ, ჰსთესავდნენ, ჰბარავდნენ, სხლავდნენ, მკიდნენ და... ჩუმ-ჩუმად ვაჭრობდნენ და ულვთოდ ვახშობდნენ.

იმავ როკელ და ჯაველ ნათესავების დახმარებით ჯაყო ჩუმ-ჩუმად ვაჭრობდა ყველით, ერბოთი, მატყლით, ქსოვილით, ხორბლით მსხვილფეხა საქონლით და ყველაფრით, რაც ხელში მოჰხვდებოდა და რასაც წვენს გამოადენდა. ვაჭრობდა ჯაყო, სუქდებოდა, შეძენის ხუროში იქრობდა და წარა-მარა, ულოოდ და უალაგოდ ჭიხვინით ქადილობდა და ილოცებოდა;

— მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა! ღმერთმა გაცოცხლოს ჩვენი მთავრობა და რევოლცია, რომელიცა რომა ჯაყოსთანა საწყალ ხალხს მიწა და სახლი მოგცა.

## VI.

იმ დღეს თეიმურაზმა უკანასკნელი ტყავი გაიძრო და ნამოურავალი ჯაყო სადილად დაჰპატიჟა. დამკლავებული ჯაყო სამის თითით მესამე მათლაფა შილაფლავს ხრამა-ხრუმით ათავებდა, დანა-ჩანგალს დასცინოდა, ცხენის კბილებით გირვანქიან ძვლებს ჩიტის ფრთასავით ახრამუნებდა, ბოთლს ბოთლზე ხლუპით სვამდა, თეიმურაზს მოხრილ ზურგზე თეფშის ოდენა თათს უბარტყუნებდა და ისე ჰყვიროდა, თითქოს ლიახვის ერთ ნაპირიდან გაღმა ვინმეს ხმას აძლევდაო:

— ამ ბოთლსაც ნავთის სუნი აგადინე, მაშა!

— მ...მმიირთვი, გენაცვა, ღმერთს შენთვის კარგი მადა მოუცია.—ახალ-ახალს სთავაზობდნენ გაუმაძღარ ჯაყოს მასპინძლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღმერთმა ჯაყოს კარგი მადა მოგცა, შენი წირი მე, მამა [illegible] იმის მადლსა! რამდენი ხანია, რაც ჯაყომ დეკეული უნდა დაგიკლა არბოს ხატსა, მაგრამ აქამდის ვერ მოიცალე.

მერე თავის ოჯახის ამბავიც შეატყობინა:

— ჯაყომ ორი ცოლი მოიყვანე, შენი წირი, მე. ორივენი მოკვდებოდეს, ჯაყოს ვერ გაუძლებდეს! ეხლა მესამე ცოლი გყავს ნინაი. ისეთი ლამაზი ხარ, ისეთი ლამაზი რომა, როგორც მთვარე მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

და გულიანად გადიხარხარა.

ვერც თეიმურაზი და ვერც მარგო ვერ მიუხვდნენ ჯაყოს და ვერ გაიგეს მისი სიცილის და წამოძახილის ჰაზრი: რას ვერ გაუძლეს მიცვალებულებმა, ჯაყოს ხასიათს თუ სხვა რამეს, ან რა აცინებდა ჯაყოს, თვისი მიცვალებულთა გახსენება თუ მესამე ცოლის შედარება მთვარესთან.

ჯაყო თავის მასპინძლებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მრავალს პატარა თავგადასავალს უამბობდა, უმიზეზოდ სჭიხვინებდა, სუფრას მესამეჯერ ასუფთავებდა და მაინც ვერ სძღებოდა. ხანგამოშვებით ბაასის ძაფს შესწყვეტდა, ქონიან თათს მარგოს მუხლზე დაჰკრავდა, ან თეიმურაზს ზურგზე ჩაუბარტყუნებდა და ანუგეშებდა:

— ნუ დაღონდებოდის, ნათლიაჯან! ნუ შეშინდებოდის! ყველაფერი კარგად გათავდები! თქვენ ბრძანდებოდეს კარგათა, თორემა ნაშინდარის მამული თქვენი წირიც წაიღებდე.

ასე ანუგეშა ჯაყომ ნამამულევი თეიმურაზი, რომელიც უკვე სთვლემდა, ხოლო სიცილს გადაჩვეული მარგო ჯაყოს ცქერით და ყურის გდებით გამხიარულდა და აყბედებულ დათვს აჰყვა: თვითონაც დალია, თეიმურაზსაც დაალევინა და თვისი ბნელი, ნესტიანი და ობიანი ოთახი ნერვიულ კისკისით გაავსო. იცინოდა მარგო და თანაც იმეორებდა:

— რა მხიარული ყოფილხარ, ჯაყო! ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, გამაცინე და გამამხიარულე.

— მაშა მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა! თეიმურაზ, ამ ბოთლსაც ნავთის სუნი აგდის! აბა, ერთი კიდევ მოგიტანე ჯაყოსა.

თეიმურაზს კისერი მოსწყდა. თან სთვლემდა, თანაც მორცხვად იღიმებოდა და ბორძიკით ლუღლუღებდა:

— მ...მმირთვი... ინებე, ჩემო ჯაყო, ღვინო კიდევა მაქვს. არც ისე გავკოტრებულვარ, რომ ჩემს ნათლიას ვერ დავალევინო.

ბოლოს ჯაყომ სთქვა:

— კნიაზ, ამ ოხერ ქალაქში რას აკეთებდეს?. მოდი ჩემთან სტუმრად წავიდოდეს, ღმერთმანი! ჯაყო ისე შეინახავდე ნათლიებსა, როგორც ბატკნებსა, მაშა!

ცოლ-ქმარი ბაასის ასეთს დასასრულს არ მოელოდნენ. გაოცდნენ და ერთმანეთს გადაჰხედეს.

თეიმურაზმა სათვალეები შეისწორა და წაილუღლუღა:

— მად...დლობელი, ჯაყო, მ...მმოვიფიქრებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაღა ფიქრი გინდებოდეს! „კჩორტუ“ ფიქრები! მაგ [illegible] გაგაფუწე და დაგაბერე! „კჩორტუ“!

და ხუთგირვანქიანი მუშტი ისე მაგრად დაჰკრა მაგიდას, რომ ბოთლი იატაკზე გადმოვარდა და გატყდა. მერე ჯაყომ ზღილობიანად ამოაბოყინა, ცხენის მთქნარებით დაამთქნარა, განივრად გაიზმორა და სთქვა:

— ეხლა ერთი კარგი ძილი როგორ გარგებს ჯაყოსა! იიით!

მარგო წამოდგა;

— ინებე! ჯაყო, ინებე. მოისვენე, რამდენიც გინდოდეს.

და ტახტზე საწოლი შეუმზადა.

— არა, ნათლიაჯან, არა! შენი წირი მე, ჯაყოს პოლზე გიყვარს წოლა.

ნათლია მარგომ ნათლიმამა ჯაყოს სუფთა ლოგინი იატაკზე გაუშალა. ჯაყო ჩუსტიან-ჩოხიანად ზედ გაიშლართა და უმალვე ახვრინდა.

სანამ კუთხეში გაშოტილი ჯაყო საზერველივით ფშვინავდა და მონაკვდავ ხარივით ხრიალებდა, თავჩაქინდრული ცოლ-ქმარი პაწაწინა აივანზე ისხდნენ და ფიქრობდნენ.

ჯაყომ ხევისთავებს სალეჭი ძვალი მიუგდო.

— რ...რას იტყვი, მარგო?

მარგომ გამხდარი მხრები შეიშმუშნა და ერთხელ კიდევ უპასუხა გულგრილად:

— ჩემთვის სულ ერთია მეთქი. როგორც გირჩევნოს, ისე გადასწყვიტე.

— ქალაქში აღარ გ...გვეცხოვრება. ყელამდის ვალებში ვართ ჩაფლულნი. ლ...ლუკმა პურსაც ველარ ვშოულობთ. მართალია, თითქოს სამაღლოდ მივდივართ ჯაყოსთან, მ...მაგრამ ეს არაფერია. ბოლოს და ბოლოს, ჯაყომ ჩემი ქონება მიითვისა, ზოგი ქურდობით და ზოგიც ეშმაკობით, ესეც რომ არ იყოს სახლში ჯაყოს მუშა სჭირდება. შენ ოჯახში დატრიალდები, მეც დავეხმარები, ან სოფლის კ...კანცელარიაში გავაკეთებ რასმეს. შეიძლება როგორმე ფეხი მოვიკიდოთ სოფელში, თორემ აქ მშივრები დავიხოცებით.

მარგოს მხამიანის ღიმილით დაეღრიჯა პირსახე.

თეიმურაზი აილეწა და აფეთქდა:

— მარგო, ნუ დამცინი! ვინ იცის, როგორ მ...მოეწყოს იმ სოფელში ჩვენი ცხოვრება? იქნება სწორედ იქ მოხდეს გარდატეხა, იქ გადაიშალოს ჩვენი ოჯახის ისტორიის ახალი თაბახი. ადამიანი ზოგჯერ იქ იპოვნის ხოლმე ბედს, სადაც არ ეძებს.

— შეიძლება.— გულგრილად მოუჭრა მარგომ.

— მაშ თანახმა ხარ?

— არც თანახმა ვარ, არც უარს ვამბობ. შენვე გადასჭერი, მე გემორჩილები. მაგრამ თუ შენი საქმე უარესად წავიდეს, მე ნურაფერს დამაბრალებ.

— შენი პოზ...ზზიციის ჰაზრი არ მესმის. თითქოს ჯიბრში მიდგები.

— ჯიბრში კი არ გიდგები, ხელს ვიბან მეთქი. თუ ჩვენი საქმე უარესად წავიდა, მე ნურაფერს დამაბრალებ მეთქი.

ეროვნული

— ამაზე უარესი რაღა იქნება. მე მომწონს ჯაყოს [illegible] გზა არ არის, უნდა წ...წავიდეთ.

მარგომ სპილოს ძვლის ხელები უსისხლო პირ-სახეზე აიფარა, მერე წამოდგა და ამოიკვნესა:

— ღმერთო დიდებულო! ისევ ჩვენივე ნასახლარში ჩვენივე ნამოჯამაგირევს უნდა შევეკედლოთ და ჯაყოს სამადლოდ უნდა გავიხადოთ თავი?!

— ძნელია, ჩემო კარგო, ძალიან ძნელია, მაგრამ რაკი ბედმა ჩვენი ცხოვრება ასე დაატრიალა, ჩვენც უნდა დავემორჩილოთ.

— შენ მუდამ მორჩილება გაკერია პირზე. აღარ მესმის, ვინ არის ჩემი ქმარი, უხილავი ბედი თუ ხილული თეიმურაზ ხევისთავი?

— მახვილი სიტყვა სთქვი, ჩემო მარგო, მაგრამ ისიც მართალია, რომ ჩვენს დროში უფრო ბედია ჩვენი პატრონი, ვიდრე ჩვენ თვითონ.

— ჩვენს დროში! ისე ამბობ, თითქოს სხვა დროს შენვე ჰქმნიდი ჩვენს ბედს. ყველაფერი მზა-მზარეული მოგვდიოდა სოფლიდან, ჩვენ კი ვხარჯავდით და ვსუქდებოდით!

— ნუ აჭარბებ, ჩემო კეთილო. ვხარჯავდით, მაგრამ მეც ხომ შრომით წელს ვ...ვიწყვეტდი!

— მერე ვისთვის, ან რისთვის?

— ხეირიანად დათესილი თესლი არასოდეს დ...დაიკარგება, ადრე თუ გვიან მოსამკალს მოგცემს.

— აკი ამოვიდა შენი დათესილი თესლი, აკი მიიღე მოსავალი! შენივე ნახიზნართან ხიზნად შედიხარ, განა ეს მოსავალი არ არის?!

— ნუ იგესლები, მარგო. ამ ქვეყნად ყოველივე წარმავალია. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დ...დარჩებიანო.

— ჯერ ჯერობით შენმა გადმოგდებულმა წყალმა ჩვენც წაგვიღო, ხოლო რომელი ქვიშანი დარჩებიან, ამის ნახვას ჩვენ ვერ მოვესწრებით.

— მოვესწრებით, ნუ სჩქარობ.

— რამდენი წელიწადია, სულ მაგას გაიძახი, მოსწრებით კი იმასაც მოვესწარი, რომ ჯაყოს სამადლოდ გამიხადე თავი.

— მერე, მე რა ბრალი მედება?

— ათასი. სხვები თუ შეეგუვნენ ახალ ცხოვრებას, რატომ შენ ვერ მოიდრიკე ეგ უხეში კისერი?

— არრრა-სო-დეს!

— მაშ ჯაყოს ხიზნობა გირჩევნიან?

— მირჩევნიან.

— მე? მე რაღას მიპირებ?

— საცა მე ვიქნები, შენც უნდა იქ იყო.

— შენ კიდევ შეგრჩა რაღაც რწმენა, მაგრამ მე რომ აღარაფერი მჯერა?

— მაინც უნდა მომყვე, სამშვიდობოს გ...გაგიყვან.

— არ მჯერა, თემურ, არ მჯერა შენი სამშვიდობო. გული ცუდს რასმეს მეუბნება. ნუ მისდევ ჯაყოს, თავი დაანებე, თორემ იქნება ინანო. აქ თუ ვერ

მოიკიდე ფეხი, იქ ხომ უარესად გაგიძნელდება. მერე რას აპირებ? სამუდამოდ ჯაყოს ხომ ვერ ჩამოეკიდები კისერზე!

— ქვეყანა დიდია, გზას გ...გავიკაფავ.

— თუ ქალაქში ვერ გაიკაფე გზა, სოფელში რა უნდა გააკეთო? შენი ხნისა და ხასიათის კაცი უნდა ტალღას აჰყვეს, უნდა სხვას მოეჭიდოს კალთაზე და ისე გავიდეს ნაპირზე, თორემ, მარტოხელი რომ დარჩე და საკუთარ გზას დაადგე, სულ ადვილად დაიღუპები. შენ ბრძოლისთვის და თავისუფალ შემოქმედებისთვის არა ხარ შექმნილი, თეიმურაზ!

— რატომ არა? განა აქამდის დამოუკიდებელი არ ვიყავი?

— დამოუკიდებლობას ნაშინდარი გაძლევდა. ისიც ვერ გამოიყენე, მამა-პაპეული მამულიც ვერ შეინახე და გაჰყიდე. შენ შეჩვეული ხარ ხარჯს, შოვნა და მოგება კი შენი საქმე არ არის.

— მაშ რას მ...მირჩევ?

— გამოუცხადე ლოიალობა და ერთგულად იმსახურე.

— კარგი მრჩეველი მ...მეუღლე მყოლია! არ მესმის, მაგას, როგორ მირჩევ, როგორ მიბედავ, მარგო?

— გიბედავ, რადგან შენი ერთგული მეუღლე და მეგობარი ვარ.

— მაშ პ...პპოლიტიკურად თავი უნდა მოვიკლა, არა?

— თუნდ ეგრეც იყოს. რა მოგცა პოლიტიკამ?

— ჯერ·არ...რრაფერი, მაგრამ...

— მაგრამ არც შემდეგში მოგცემს რასმეს.

— შეიძლება, მაგრამ ს...სსახელი?

— ვისთვის, ან რისთვის გინდა კერპი კაცის სახელი, რომელმაც ბოლოს-და-ბოლოს სიბრმავით კისერი უნდა მოიტეხოს?

— ორგულობა და ორპირობა არ შ...შშემიძლიან, ეს შენც კარგად იცი.

— არც გაჩუმება შეგიძლიან?

— ბევრჯერ ვცადე, მაგრამ ვერ მ...მმოვახერხე.

— თემურ, ქვეყანამაც იცის, რომ შენ უვნებელი კაცი ხარ, რომ შენ თითსაც ვერ გაანძრევ და ჩიტსაც ვერ დააფრთხობ.

— მაშ რად ეშინიანთ ჩემი? — იწყინა თეიმურაზმა.

— შენი არავის ეშინიან.

— მაშ რად დ...დამითხოვეს ათჯერ სამსახურიდან?

— იმიტომ, რომ ყბედი და ენაჭარტალი ხარ. ერთხელ კიდევ გირჩევ, გამოაცხადე ერთგულება, მერე პირზე კლიტე დაიდე და დადუმდი.

— არ შ...შშემიძლიან.

— მე ჩემი ვსთქვი. ეხლა შენ იცი. თუ ჩვენი საქმე კარგად ვერ წავიდეს, ისევ შენს თავს დააბრალე.

სანამ ცოლ-ქმარი რყევაში იყვნენ და სახიფათო ნაბიჯის გადადგმას აპირებდნენ, ჯაყომაც გაიღვიძა. ზმორებით, ბოყინით და მთქნარებით წამოდგა და წამოიხრიალა:

— ჰა, ნათლიებო, რას ეტყობოდეთ ჯაყოსა? წამოხვიდებოდეთ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზმა უპასუხა:

— ჯაყო, ჩვენ თ..თთანახმა ვართ. ჯერ მე წამოვალ, იქაურობას დავხედავ და მერე მარგოსაც დ..დდავიბარებ.

— მაშ, მაშა! აგრე იქნებოდეს!—მოუწონა ჯაყომ და თვისი ცხვარი და კომბალი იღლიებში ამოიჩარა.—მაშ ხეგ დილით მე შენთან მოხვიდოდე, თეიმურაზ. შენც მზათ ვიქნებოდე. ისე დროგინ-დროგინით გაგიტევდე ნაშინდარისკენ, რომა ქარიც ვერ დაგეწეოდეს, მაშა! აბა, მშვიდობით იქნებოდეთ! მადლობელი ხარ სადილისთვის, კნეინაჯან! შენც მალე წამოხვიდოდე ნაშინდარში, თორემა ამ ოხერ ქალაქში ძალიან გამხდარხარ, შენი წირი მე. ჯაყო ხსეთი ლხინი გამართავდეს ჩემ სახლში, რომა ქუდით წერს დაანგრევდე, მაშა!

და ოყრაყი ნამოურავალი ხარხარით, რახრახით და ჰიხვინით ძლივს გაძვრა ოთახიდან და კინაღამ კარებიც თან გაიტანა.

მეორე დილით თეიმურაზმა მარგოს მრავალი დარიგება მისცა, აბგაში რამდენიმე წიგნი და ცოტაოდენი წვრილმანი ჩაილაგა და ჯაყოს გაჰყვა.

ერთი კვირის შემდეგ მარგომ თეიმურაზისგან წერილი მიიღო. სწერდა: აქ სრული წესრიგი და მშვიდობიანობა ყოფილა, ყველანი თავაზიანად და პატივით დამიხვდნენო და შენც გელიანო. გორშიც და ცხინვალშიც ორივეს ადგილს გვპირდებიან. რაც ზედმეტი ნივთი დაგვრჩა,—წიგნების გარდა,—ეხლავე გაჰყიდე და წამოდი, ხოლო წამოსვლის დღე წინდაწინვე შემატყობინეო.

მარგომ მცირეოდენი ნივთეულობა გადაარჩინა ნაშინდარში წასაღებად, ხოლო დანარჩენის გაყიდვა ერთს ნათესავს მიანდო, რომელმაც მესამე დღეს მარგოს ხუთიოდე თუმანი ჩააბარა.

ეს ხუთიოდე თუმანი, ოციოდე წიგნი და მარგოს ძონძებით სავსე საშიოდე ბოხჩა და კალათი ხევისთავთა გვარის უკანასკნელი ყლუპი იყო.

მარგომ იმ დღეს თავის მშობელ ქალაქს გულისკვნესით შეაქცია ზურგი და დილის მატარებელში ჩაჯდა.

მარგო ორჯერ თუ სამჯერ იყო ნაშინდარში. უწინ რომ წავიდოდა ხოლმე, იცოდა და ჰგრძნობდა, რომ საკუთარ სახლში მიდიოდა, სადაც მას მოელოდა ფუფუნება, პატივი, მოსვენება და უდარდო ცხოვრება. ეხლა კი მარგო თავისივე სახლში სტუმრად მისდევდა თავისივე მოურავს. მარგომ მწვავე ტკივილი იგრძნო იმის გამო, რომ ისედაც მინგრეული ბუდე საბოლოოდ მოშალა, ხოლო თვითონ ჰაერში ჩამოეკიდა, დედამიწას მოსწყდა და თვალუწვდენ მომავალში გადავარდა, რომელსაც არც ძირი ჰქონდა, არც თავი, არც კედელი და არც ხელმოსაჭიდი.

## VII

სამიოდე საათის მგზავრობის შემდეგ ერთ სადგურზე გულმილეულ მარგოს გაბადრული ჯაყო დაუხვდა:

— მშვიდობა შენი მობრძანება, კნეინა მარგო! გამარჯვება შენი! როგორ გიკითხებოდეს ჯაყომა? როგორ ბრძანდებოდე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამარჯვება, ჯაყო! გენაცვა, კნეინას ნუღარ მეძახი. გაიგე, ჯაყო, რომ კნეინობა აღარ არის, გადავარდა.

— არა, შენი წირი მე, სხვა კნეინები და კნიაზები გადავარდი, თორემა შენ ჯაყოსთვის ისევ კნეინა ვიქნები, მაშ, მაშა!

— თეიმურაზი სადღა არის, არ ჩამოვიდა?

— თეიმურაზი არ ჩამოხვედი, შენი წირი მე; თეიმურაზი სახლში დარჩებოდე და შენი თავი ჯაყოს მიანდობდე. ან რათ გინდებოდეს, შენი წირი მე, თეიმურაზი? განა ჯაყო თეიმურაზზე ნაკლები ბიჭი ხარ?! განა ჯაყო იმას არ სჯობნებოდე?! ისე წაიყვანებდე ჯაყოი ჩემ კნეინასა, რომა ზედ ჭიაც არ შეგაჯდებოდე, მაშ, მაშა!

და მარგოს კალათები და ბოხჩები ბუმბულივით აიტაცა:

— წამობრძანდებოდე, შენი წირი მე, აქეთ მობრძანდებოდე.

განიერ ურემზე ლოგინია გაშლილი. ურემს ფარდაგის ჩარდახი აქვს დადგმული. ლოგინზე მარგო გაწოლილა. თავი კოფასთან ბალიშზე აქვს მიდებული. განიერი კოფო ჯაყოს გაუტენია, რომელსაც კისერი უკან მოუღრეცია.

გაბადრული ჯაყო შეუსვენებლივ ლაპარაკობს, მთიულურად ოხუნჯობს, ცხენივით ღრიჯება და წარა-მარა ჭიხვინებს:

— მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

ჭიხვინებს და თანაც შუბლზე აყრილ ხარის თვალებით ხარბად სჭამს მარგოს გაღეღილსა და მოყვითანო მარმარილოს მკერდს, სპილოს ძვლის მკლავებსა და კისერს, ამობურთულ ძუძუებსა და განიერ თეძოებს, შავ კაბაში გამოკრულ ბარძაყებსა და ჯიშიან წვივებს.

ურემი ძლივს მიიზლაზნება. ხანგამოშვებით მარგო იტყვის ხოლმე:

— ჯაყო, ააჩქარე, თორემ საღამომდის ვერ ავალთ.

— შენ ნუ გეშინებოდეს, კნეინაჯან, ახვალთ, ისე ახვალთ, რომა მზე მაღლა იქნებოდე, მაშა! ხარებიც ცოდო ხარ, შენი წირ მე. იმ სიშორეზე მოგიყვანე, დაიღალე საწყალი ხარები. შენ არხეინად იქნებოდეს, თორემა ჯაყო თუნდ ხელით წაგიყვანებდე, მაშა!

მერე ისევ მოჰყვებოდა თავისს პატარა ამბებს,—ნახულსა და გაგონილს, ჭორსა და მართალს, თან უალოგო-ალაგას რახრახებდა, ხვიხვინებდა და მარგოს მკვდარ პირსახესაც აღიმებდა და აცოცხლებდა.

ბოლოს, დუმილის შემდეგ, ჯაყომ ღრმად ამოიოხრა, კოფოდან გადმოიხარა და მარგოს დაბალის ხმით უთხრა:

— ეეეჰ, კნეინაჯან! თეიმურაზი შენი ყადრი არ ვიცის, თორემა...

— რატომ, ჯაყო? რაში მეტყობა?

— იმაში გეტყობება, შენი წირი მე, რომა გამხდარხარ. გენაცვალოს ჯაყოი, ძალიან გამხდარხარ.

მარგომ მხიარულად გადიკისკისა:

— რას ამბობ, ჯაყო? მე რომ გამხდარი ვიყო, თეიმურაზისა რა ბრალია?

ჯაყომ ეშმაკურად ჩაიღიმა:

— ვიცის, ვიცის ჯაყომა! კარგი ვაჟკაცის ხელში დედაკაცი გასუქდები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ კი... ეგრე ცხენი გახდებოდეს, როცა ქალობას მორჩებოდე. შენისთანა ქალსა სხვანაირი მოვლა გინდა.

— რას ამბობ, ჯაყო? ჰა-ჰა-ჰა!

— მართალს ამბობ ჯაყოი, მაშა, მართალსა! შენ კარგი წამა და სმა არა გქონდეს, იმიტომ გახდებოდი აგრე. არც თეიმურაზი ხარ კარგი ვაჟკაცი, ღონიერი არა ხარ ჩემი კნიაზი. შენი სახლიც არ ვარგებოდეს. შენ უნდა სულ ფარცა და ხავერდი გეცმებოდეს, მაშა!

— ჰი-ჰი-ჰი! რა მასხარა ყოფილხარ, ჯაყო!

— ყელზე და ხელებზე სულ ოქრო-ვერცხლის ბეჭდები უნდა გექნებოდეს, მაშა! შენი ქმარი ისეთი ღონიერი უნდა იქნებოდეს, როგორც ჯაყო ხარ, მაშ, მაშა!

მარგო გულიანად კასკასებდა. ხუთიოდე წელიწადი იქნებოდა, რაც მარგოსგან ასეთი გულლია სიცილი აღარავის გაეგო. იცინოდა მარგო, თანაც ხელფეხს იქნევდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა:

— რა მასხარა ყოფილხარ, ჯაყო! ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ძლივს არ გამაცინე!

ჯაყოსაც მარგოს გამხიარულება ბავშვივით უხაროდა და თან-და-თან ხვიხვინსა და კბილების ღრჭიალს უმატებდა:

— მაშ, ხომ გაგაცინებდეს ჯაყოი! მაშა, აგრე ვიცის ჯაყომა!

— ჯაყო, მაშ შენი ცოლი რომ ვყოფილიყავი...

ჯაყო კინაღამ კოფოდან გადმოვარდა:

— ჩემი ცოლი?!

— ჰო, მე რომ შენი ცოლი ვყოფილიყავი, როგორ შემინახავდი? აბა, მიამბე, ჯაყო!—სიცილით ჰკითხა მარგომ, მერე წამოჯდა და პირსახე გაბადრულ ჯაყოს შეუბრუნა.—აბა მიამბე, ჯაყო, როგორ შემინახავდი?

ჯაყოს პირსახე მთვარესავით გაეშალა. მარგოს კბილები დაუკრიჭა და აჭიხვინდა:

— ჰაი დედასა! შენ რომ ჩემი ცოლი იქნებდებოდე? შენ რომ ჯაყოს ცოლი იქნებდებოდე? როგორ შეგინახავდებოდე? მაშ ყური დამიგდებოდე ჯაყოი სულ გაწმევდებოდე ხინკალი, რძე და მაწონი.

— ხინკალი?! მაწონი?! ჰა-ჰა-ჰა!

— მაშა! ხინკალი გაწმევდე, ნამდვილი ხინკალი. კიდევ კარაქი და ნალებიც, დუმა და ერბოც...

— ჰო-ჰო-ჰო! ნალები!.. ნალები და დუმა?!

— მაშ, მაშა! მწვადიც გექნებოდეს, კატლეტიც, ჩიხირთმაც, ბორშიც, კარგი ოსური ყველი, ხაბიზგინა და თეთრი რუსული პური. ჩიტის რძეც რომ მოგინდებოდეს, ისიც გიშოვნებოდე, მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

— ჩიტის რძეც? ღმერთო ჩემო, ეს რა კარგი ბატონი მეყოლებოდა!

— მაშა! დღეში ხუთი ქათამი, ბატი, ინდოური, გოჭი და ცხვარი დაგიკლავდებოდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჯაყო, მე ფრანგულ საჭმელს ვარ შეჩვეული. „პოვარის“ დაქირავება დამჭირდება.

— პოვარისა?! სამი პოვარი დაგიჭერდე, სამი! მაშა!

— როგორ ჩამაცმევდი, ჯაყო?

— როგორ ჩაგაცმევდი ჯაყო ჩემ მარგოსა? ჯაყო ხავერდის ქართული კაბა ჩაგაცმევდებოდე, მაგ წელზე ვერცხლის ქამარიც შემოგარტყამდე, მაგ კლავებზე ვერცხლის სამაჯურები და ოქროს ბეჭდებიც გაგიკეთებდე.

— ვერცხლის ქამარი?! ნეტა მართლა შენი ცოლი ვყოფილიყავი, ჯაყო! ჰა-ჰა-ჰა! ჰი-ჰი-ჰი!

— რას იცინებოდე? შენ რომ მართლა ჯაყოს ცოლი იქნებოდე, შენც გაიხარებდებოდე და ჯაყოცა. როგორც ნამდვილი კნეინა, ისე შეგინახავდე, მაშა! მეც შენი კნიაზი გახდებოდე.

— კნიაზი?! ჰა-ჰა-ჰა! კნიაზი ჯაყო?!

ჰი-ჰი-ჰი! მიამბე, ჯაყო, რას ჩაიცვამდი?

— ჯაყო აბრეშუმის ახალუხი და კარგი ჩოხა შეგიკერავდე... ვერცხლის ხმალი და ხანჯალი ხომ გაქვს ჯაყოსა.... კარგი რუსული ჩექმები, მზეზე რომ ლაპლაპი გაგაქვს... ვერცხლის მასრებიც იყიდებოდე. ხუთი მოჯამაგირე დაგიყენებდე...

— მოახლე ქალი? ჯაყო, მე ქალები უნდა დამტრიალებდნენ თავს.

— ჯაყოს სახლში ხუთი ქალი გყავს. ყველანი შენი მოსამსახურე იქნებოდე, ჩემი რძალებიც და ჩემი ცოლიცა. ერთი კარგი ფაიტონიც გიყიდებოდე.

— არ მინდა ფაიტონი, ჯაყო! მე ავტომობილი მომწონს.

— ატამაბლი იყოს რა! ეგეც გიყიდებოდე ჯაყოი, მაშა!

— მერე, მაგისთანა დიდმა თავადმა და კნეინამ გუთანზე უნდა იმუშავონ?

— რათა გუთანზე? არც მე მუშაობდე და არც შენა. კნიაზი ჯაყო ზაფხულში სოფელში იცხოვრებ, ზამთარში ქალაქში წახვალ. ორივენი ნამდვილი კნიაზი და კნეინა გახდებოდეს, მაშ, მაშ! აგრე ვიცის ჯაყომა!

ასეთ ხუმრობასა და ოცნებაში მზეც ჩავიდა და ბინდმაც მოაღწია. ბაღვენახებით, ჭრელი სოფლებით, პატარა ხევ-ხუვებით და თხელი ჭალებით დაწინწკლული ქართლის უეზარმაზარი მწვანე ხავერდი დამუქდა და საურმე გზა სადღაც დაიკარგა. ურემი ჯერ ბილიკზე გადავიდა, მერე ერთ სოფლის ბოლოში გავიდა, რიყეს დაჰყვა და ჯაგნარს შეერია.

მარგომ გზის გადახვევა გვიან შეამჩნია.

— ჯაყო, საით მივყავს ურემი?

— აქეთა სჯობდე, შენი წირი მე. აქეთ უფრო მოკლე გზა იქნებოდეს.

— რა ვქნა, ჩვენი გზა პირდაპირ უნდა მიდიოდეს, შენ კი მარცხნივ მიუხვიე.

— არა გიშავსრა, შენი წირი მე, შენ არხეინად იქნებოდე, ჯაყომ შენზე კარგად ვიცის აქაური გზები, მაშა!

კიდევ კარგა ხანს იარეს. ჯაყომ ურემი დიდხანს ატრიალა ჯაგებსა და ნახნავებში, რამდენჯერმე გადასჭრა რიყე, და ერთ ბნელ ჭალაში შეაყენა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— კნეინაჯან, შენი წირიმე, შენ ცოტა აქ მოიცადებდე, მეც ახლავე მოხვიდოდე.

და ბინდში შთაინთქა. მერე უცებ ურმის თავთან ამოძვრა და ჩაიხრიალა:

— გზა აგერეოდეს ჯაყოსა, ნათლიაჯან.

მარგო შეჰკრთა:

— ეხლა სადა ვართ, ჯაყო?

— ეშმაკმა ნუ ვიცის ხარების თავი! წალაში ხარ, ლიახვის ნაპირზე ხარ, შენი წირი მე.

— რა ვქნა, აქა ხარ გაზრდილი და ამ მინდორში გზა როგორ აგერია, ჯაყო?

— იმიტომა, რომა მე და შენ ლაპარაკობდი.

— რას შერები, ჯაყო, ხარები უნდა გამოუშვა?

— მაშ, მაშა! ეხლა სადღა წახვიდებოდე? ბნელა, შენი წირი მე, არც გზა ვიცის ჯაყომა.

მარგოს გულში შიში შეეპარა.

— ჯაყო, მაშ ღამე აქ უნდა გავათენოთ?

— მაშ, მაშა! ნუ გეშინოდეს, შენი წირი მე, ჯაყოს თოფიცა გაქვს, მაუზერიც და ხანჯალიცა! ვინ გაბედავ რამესა?! ჯაყო აქ არ იქნებოდეს?! დედას გიტირებს ყაჩაღსა ჯაყოი, დედასა! აბა, ვინც ვაჟკაცია, ახლო მოვიდებოდეს, აბა მოვიდებოდეს! — ჰყვიროდა ჯაყო და იარაღს ისე იმზადებდა, თითქოს ის ქალა სავსე ყოფილიყო ყაჩაღებით, რომელნიც მარგოს მოტაცებას უპირებდნენ, ხოლო ჯაყო რაინდივით გარს უვლიდა თავის კნეინას და საკუთარის სისხლით იცავდა მას.

მარგოს კი უფრო თავის რაინდისა ეშინოდა, ვიდრე ნადირისა და ავაზაკებისა, მაგრამ ჯაყოს ხელში ჩავარდნილ დედაკაცს გაჩუმებისა და მორჩილების გარდა სხვა გზა აღარ ჰქონდა. მარგოც გაჩუმდა და თვისი თავი ბედს მიაბარა.

ჯაყო ურემთან ცოდვილობდა და ისევ მარგოს ამშვიდებდა.

— შენ ნუ გეშინოდეს, გენაცვალე, ნუ გეშინოდეს! ყველას ჯაყო დედას გიტირებდეს, დედასა! ჯაყო ეხლავე ცეცხლი აანთებდე. ჩემი კნეინა კარგი ვახშამი სწამდეს და არხეინად დაიძინებდეს, მაშა!

ჯაყომ ურმის თავი ორკაპიან ვერხვში ჩააგდო, მერე ყოჩაღად დატრიალდა, სიბნელეში ლაწალუწი ასტეხა, ფიჩხი მოაგროვა და მალე იქაურობა გაანათა. მერე ურმიდან მოხარშული ქათამი, მწვანილი და ღვინო გადმოიღო და ცეცხლის პირას პატარა სუფრა გაშალა. ჯაყო მადიანად ილმურძლებოდა და ამბობდა:

— ჩვენი სოფელი აქვეა, შენ გენაცვალოს ჯაყოი, მაგრამ ამ ბნელაში გზას ვერ იპოვნიდე. შენ ნუ გეშინებოდეს, გენაცვალე, კარგად სწამდეს და დაიძინებდეს. ჯაყო კი თოფი აიღებდე და დილამდის კარგი ძაღლივით გარშემო გივლიდე, მაშა! აბა, გაბედოს ყაჩაღი ახლო მოსვლა! დედას უტირებდეს ჯაყოი, დედასა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანგრძლივ დუმილის შემდეგ ჯაყომ თითი ბნელ ცას შეხედა და სთქვა:

— აგერ ჯაყოს ვარსკვლავი. გენაცვალე იმის მადლსა!

აღმოსავლეთით ალის ფერი მარიხი ციმციმებდა.

მარგომ ხმა ჩაიკმიდა და ჯაყოს პასუხს აღარ აძლევდა.

ვახშამი რომ გაათავეს, მარგო ისევ ურემზე ავიდა და მიწვა. ჯაყომ ნაბადი წამოისხა დი ურმის ქვეშ შესძვრა.

— ღამე მშვიდობისა, კნეინაჯან!

— ძილნებისა, ჯაყო!

მარგოს ძილი არ ეკარებოდა. ხშირ-ხშირად მხარს იცვლიდა, სტრიალებდა და თვალებს ჰხუჭავდა, მაგრამ მოსვენებას ვერ ჰპოულობდა, შფოთავდა, უქმაყოფილოს რასმეს მოელოდა და ამ მოლოდინში გული უჩქროლავდა და უფართხალებდა.

. ჯაყო მძიმედ ჰქშინავდა და განგებ ახველებდა, თან დროგამოშვებით მარგოს ეკითხებოდა:

— დაიძინებდე, გენაცვალებდეს ჯაყოი?

— არა, ჯაყო, არ მეძინება.

ბნელი და თბილი ღამე იყო. მთის ნიავი ჭალას აშრიალებდა. ლიახვი ხუოდა. შორიდან ხანდახან ტურას ჩხავილი და ჭოტის კივილი მოისმოდა. სადღაც ძაღლი ხანტად ჰყეფდა. იქვე ჭალაში ზოგჯერ ღამის ფრინველი შეიფართხალებდა და წვრილფეხა ცხოველი ბუჩქებში ჩამიჩუმს ასტეხდა.

სადღაც ქვემოთ თოფმა დაიქუხა. მერე ყოველივე შესწყდა და გაინაბა. მხოლოდ ძაღლმა მოუმატა წკმუილსა და ნიავიც გაძლიერდა.

— მარგოჯან, დაიძინებდე?—ერთხელ კიდევ მოესმა მარგოს ურმის ქვეიდან ჯაყოს ხმა.

მარგომ რაღაც საზარელს მიჰკვლია. თავი მოიმძინარა, გაირინდა და განაბა. სულიც კი შეიგუბა. ხიფათს ჰგრძნობდა და ჯაყოსგან საშინელს ნაჩუმარს მოელოდა.

ერთი წუთის შემდეგ ურემი ოდნავ შეინძრა. ისედაც ბნელ ფარდულში მუქი ჩრდილი ჩამოწვა. იმავე დროს მარგომ თავის ფეხზე ჯაყოს მძიმე თათი იგრძნო. ჯაყო ურემზე ამოდიოდა.

— ჯაყო, რა გინდა?

— სუ, შენი წირი მე, სუ!.. არ დაიყვირებდეს...

— ჯაყო, სად მოხვალ?

— ცოტა იქით მიიწევდეს, მარგოჯან, საწყალ ჯაყოს შეგციედებოდეს... ცოტა გაგათბობდეს ჭაყოსა, გენაცვალოს იმისი თავი.

მარგომ წამოიწია:

— მაშ მე გადავალ ურმიდან.

გვიანლა იყო. ჯაყომ ისევ გულაღმა გადააქცია დაფეთებული მარგო, ზედ ძიმე დათვივით დააწვა, ჩაჰბღუჯა და დაჰბუბნა.

— მხეცო, რას შვრები?!... პირუტყვო!.. ვერაგო!.. ავაზაკო!...

ჯაყომ ერთი სიტყვის ჰაზრიც ვერ გაიგო. მარგოს ნათლიმამა დინჯად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცდილობდა ნათლიდედის დამორჩილებას: დაუნდობლად სთელავდა, ხელ-ფეხს ამტვრევდა და თანაც არხეინად არიგებდა:

— კარგი, გენაცვალებდეს ჯაყოი, კარგი! აბა, რათ გინდებოდეს ჩხუბი? აბა, აქ ვინ მოგეშველებოდეს?!... სუ, შენი წირი მე, სუ! გაჩუმდებოდე თორემა...

— მხეცო!.. ჰარამზადავ! გამიშვი... მიშველეთ! მიშველეთ!

ჯაყო ოდნავ განრისხდა:

— სუ! გაჩუმდებოდე მეთქი, თორემა დაგახრჩობდებოდე!.. სუ მეთქი!

და ერთი თათით მარგოს მთელი პირსახე დაუფარა და მისი ყელი და კისერიც ჩაჰბღუჯა.

ჯაყომ იმძლავრა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ქინმობანილი და დამშვიდებული ჯაყო ოფლიანსა და კაეიან თათს მარგოს მკერდზე უსვამდა და დაბალის ხმით ხვიხვინებდა:

— მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა! ჩხუბი რად გინდებოდის?! პატარა ხომ არ იქნებოდეს, რომ ჯაყოს ეწიდებოდეს?! აბა, რა კნეინას საქმეა ჩხუბი? ხელი გეტკინებოდეს? არა უშავს რა, მალე მოგირჩებოდეს... ჯაყომ მხარში გიკბენდე? ჯაყო აგრე ხარ დაჩვეული. ეგეც მალე მოგირჩებოდეს... კაბაც დაგეხეოდეს? ახალს გიყიდებოდეს ჯაყოი... რა გატირებდეს, ჩემო მზე და მთვარე? კარგი, გენაცვალოს ჯაყოი, კარგი.... სუ, შენი წირი მე, სუ!...

მერე, როცა ყბედობით და ალერსით გული მოიჯერა, ოფლიან თათით მარგოს ცრემლი მოსწმინდა, ისევ ურმის ქვეშ შესძვრა და გოლიათის ხვრინვა ამოუშვა.

მარგო კი,—ნაცემი, ნაბეგვი, დაძალებული და გაჭუჭყიანებული მარგარიტა ხევისთავი—ახდილ ნამუსს, შელახულ პატივსა და გასრესილ თავმოყვარეობას ცხელის ცრემლით ჰგლოვობდა, ჰბორგავდა, სიმწარისგან იკლაკნებოდა და გულში იმუქრებოდა: დაიცადოს ჯაყომ! ძვირად დაუსვამს ამ ნადირს თეიმურაზი ამ საშინელ თავხედობას და სიმხეცეს! საცაა გათენდება და ორივენი ნაშინდარში ავლენ... ვაი ჯაყოს ბრალი მაშინა! ვაი შენ, უბედურო ნადირო! მხეცო! პირუტყო!

შუაღამემ მოატანა. ნიავი ისევ მოჰქროდა, ლიახვიც ისევ შხუოდა. ძაღლები აღარ ჰყეფდნენ და აღარც ჭოტი გაჰკიოდა.

ჯაყომ გამოიღვიძა და ურმის ქვეიდან მარგო ტკბილის ხმით მოიკითხა:

— მარგოჯან! შენი წირი მე, ნეტა გეძინებოდეს თუ გეღვიძებოდეს?

მარგომ ისევ თავი მოიმძინარა.

უძლომელი ჯაყო ურმის ქვეიდან ერთხელ კიდევ გამოძვრა და ჩარდახის ქვეშ ერთხელ კიდევ შებობღდა.

მარგო აღარ ჰკიოდა და აღარც იბრძოდა, რადგან აღარც ბრძოლის თავი ჰქონდა და არც შველას მოელოდა. ბავშვივით სტიროდა, სლუკუნებდა და გაუგებარს რასმეს ჰლუღლუღებდა.

ჯაყომ რომ ერთხელ კიდევ მოიჯერა გული, ისევ მარგოს დამშვიდებას შეუდგა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რა გატირებდეს, ქალო? ძუძუმწოვარა ბალღი ხომ არ იქნებოდე, დედაკაცი ხარ! ალ-უ-უ-უ, ნეკზე არ მიკბინებოდე! ალ-უ-უ-უ! ალუ-უ-უ!

მარგომ ტირილი შეიმაგრა. ჯაყოს გაუხარდა. მარგოს იღლიაში თათი ჩაუყარა და ღიტინი დაუწყო:

— ღიტი-ღიტი მარგოსა! ღიტი-ღიტი პატარასა?

მარგოს ნერვიული სიცილი აუტყდა; ტირილი და კისკისი ერთმანეთში აურია, აძაგძაგდა და აიგრიხა.

ჯაყომ ასეთი სიცილი მარგოს გამხიარულებად მიიჩნია და თვითონაც არახრახდა:

— აი, აგრე! გენაცვალებდეს ჩემი თავი! გაიცინე, გაიცინე, შენი ჭირიმე! ხომ გაგაცინა ჯაყომ! მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომ!

მერე ისევ ურმის ქვეშ შეძვრა და მალე კვლავ ახვრინდა.

რიჟრაჟზე ჯაყო ერთხელ კიდევ აცოცდა ურემზე. და იმ ჩარდახიდან კივილ ის და ტირილის ნაცვლად მადააშლილ დედაკაცის ვნებიანი ღმუილი, ნამარხულევ ჟინის კვნესა და დამშეულის თავდავიწყებული ბოდვა მოისმა.

იმ ქალაში, ლიახვის პირზე, როცა ცამ თვალი მოიფშვნიტა და ფერი იცვალა, მიძინებულმა მარგომაც პირველად გამოიღვიძა, გაკვირვებით თვალი გაახილა და ხარბად დაეწვდა ცხოვრების ერთ საუნჯეს, რომელიც იმ ქვეყნად არც კი ეგულებოდა. რაც უნდილმა და ქიანაჭამმა თეიმურაზმა თავის ლმის ვნებით ათ წელიწადში ვერ გაუთბო მარგოს, ტყიდან გამოვარდნილმა ნადირმა,—ჩაკირულმა ჯაყომ —ათ წუთში აუდუღა და აუჩქროლა.

მარგო უძილობით იყო გალახული, მაგრამ მაინც მღელვარულის თვალით დაინახა და ცხადად იგრძნო უცნაური ცვლილება: ჩაზნექილ გულიდან თითქოს მძიმე ლოდი აეხსნა, გაღვიძებულმა ძარღვებმა სიცოცხლის ჟრიამული მოჰროთეს და დუბელა სისხლმაც ჩუხჩუხი ასტეხა. იგრძნო და გაიგო მარგომ, რომ იმ ღამიდან მას გრილ სულში შარავი ჩაესხა, რომ მისი დაობებული ტანი საამურის შანთით დაიდაღა, დაუტევნელის სიხარულით გაიჟღინთა და სხივნაკრავ კოკორივით გაიფურჩქნა.

## VIII

ეზოში შემოსულ ურემს თეიმურაზი მიეგება:

— მადლობა ღ...ღმერთსა! სადა ხართ, რად დ...დდაიგვიანეთ?

ჯაყომ უმალ პასუხი დაუხვედრა:

— ურემი გაგიფუწდეს, შენი ჭირი მე,ურემი! გუშინ ვერ ამოხვედი.

— მაშ ღამე სად გ.-გგაათენეთ?

— ღამე ლევანაშენში გაათენებდე. ჩვენებიანთ თომასთან იქნებოდე სტუმრათა. ძალიან კარგად დაგიხვდებოდეს თომაი, შენი ჭირი მე, ძალიან კარგათა. მოკითხვაც მოგიტანებდე თომასგან, დიდი მოკითხვა.

გაწითლებული და დადუმებული მარგო განზე იხედებოდა და ქმარს პირსახეს არიდებდა. სდუმდა მარგო და ამ სიჩუმით მან თავის სიცოცხლეში პირველად გამოსცადა ფლიდობის სიმწვავე და სირცხვილის ღალატი. მას გაახსენდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაყოს წუხანდელი ძალადობა და თვისი ქადილი, მაგრამ დილანდელი ზეციური სიტკბოებაც მოაგონდა და დილანდელმა მწვავე სიხარულმა უმალ შთანთქა და დაავიწყა ღამის ჩირქი და უქმური. მარგომ თეიმურაზს თვალი თვალში ველარ გაუყარა; აილანძა და აინთო. ბოლოს თავს ძალა დაატანა, მხიარულად და ცოცხლად ჩამოხტა ურმიდან და ნატკენი მკლავი აითრია.

თეიმურაზი შეშინდა:

--მ...მმარგო, ეგ რა არის? კ...კაბა სად დაიხიე? მხარზე რაღაც იარა გაქვს. მკლავიც ხომ არ დ....დდაგიშავდა?

მარგოს შიშველ მხარზე ჯაყოს ნაკბილარი მოაჩანდა, ხოლო მკლავი გუშინდელ ბრძოლაში ჰქონდა ნაღრძობი.

სირცხვილისგან აჭარხლებულს და შიშისგან განაბულ მარგოს ისევ ჯაყო მიეშველა:

— კნეინა ურმიდან ჩამოხტებოდეს, შენი წირი მე, კაბა წალს მოედებოდეს და ხელიც მიარტყამდეს. არა გიშავს რა, შენი წირი მე, მალე მოგირჩებოდეს ნათლიასა.

სანამ ჯაყოს ბიძა ქიშელა საქონელს აბინავებდა, ხოლო ჯაყო ყვირილით იქაურობას იკლებდა და ყველას აფეთებდა, თეიმურაზი მარგოს თავის ნასახლარში დაატარებდა, იქაურობას აჩვენებდა და გულისკვნესით ეუბნებოდა:

— აი, გ. ·გგასინჯე, ნახე, რა დაემართა ჩვენს უპატრონო ს...სსახლს.

მარგომ ძლივსღა იცნო ხევისთავთა ნაუფლარი. ძველი ავეჯეულობა და სურათები დახეულ-დახვრეტილნი და ჩამტვრეულნი იყვნენ. ჭვარტლით შემურულ კედლებზე მრავლად ეკიდა ტყავეულობა, სამუშაო იარაღი და ხმელი ხილი.

ხარატით ნაკეთები და გრეხილ-ხვეულით შემკული მუხის ბოძები დალურსმული და დაჭდეული იყო ურიდოდ და დაუნდობლად. სახლი გატენილი იყო კასრებით, ქილებით, კოკებით, კალათებით და გოდრებით. ერთ კუთხეში გაურჩეველი სიმინდი ეყარა, მეორეში—გაურჩეველი ლობიო.

ოთახების ზოგი მორთულობა—სუზანები, სარკეები, ლბილი ავეჯი, ქანდაკებანი, ხალიჩები და უძვირფასი შირაზის ჭურჭელი აღარსად მოსჩანდა.

კედელში ჩატანებული მუხის ფართე განჯინები, ისიც ხარატით ნაკეთები, კარაღის ასეთივე საჭურჭლე და საწიგნე სავსე იყვნენ მყრალის ლოგინით, ჯაგრით და მატყლით.

აქა-იქ ეყარა ძველი ხევისთავთა გვარეულობის ოდესღაც განთქმული იარაღი: ჯავშნები, მუზარადები, პერანგები,. საბარკულები, სამკლაურები, ჩაფხუტები და ასნაირი თოფი და მახვილი: ლახვარი ორპირი, ბუნგრძელი, პირპრტყელი და ბუნზომიერი, სათხედები, ხელშუბები, გეონები, ხიშტები, ზუფანები, ლიბადაკები, გმურები, სირმა, სიათა, ყირიმი, ფრანგული, დამასკი, დაღესტნური გორდა და მრავალნაირი ხანჯალი და ხმალი.

ერთი პირმომტვრეული ძველი ხანჯალი და გორდას ხმალი აივანზე ეყარნენ, საცა ფიჩხსა და წნელს გორდას ხმლით სჭრიდნენ. რამდენიმე ძველი ფარი სარქველის მაგივრად ჭურებისთვის და კარსებისთვის დაეხურნათ. ძველი ფრა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნგული და ყირიმული ხარიხებად გადაეკეთნათ და ზედ აკიდოები ჩამოეკიდნათ.

სახლში არც ერთი წიგნი აღარ მოიპოვებოდა. თეიმურაზის მამის სურათი, ფერადებით ნახატი და მშვენიერ მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული, ხონჩად იყო გამოყენებული. ხატები და უძველეს წიგნების ყდები მწნილების და ყველის ქილებისთვის დაეხურნათ.

სახლის უკან გაშენებული ყვავილნარი, სადაც წინად იშვიათის ჯიშის ვარდ-ყვავილი იყო მოშენებული, ეხლა სავსე იყო დიდი ყვითელ-წითელ გოგრებით, მზეუმზვრიტეთი, სიმინდით და ლობიოთი.

წინად სანახევროდ მიცემული და კარგად ნაპატრონევი ბაღი და ვენახი ჯაგნარად გადაქცეულიყვნენ. ხეხილი და ვაზი გაფარჩხულიყო, აყრილიყო და ლიახვის ჭალას დაჰმსგავსებოდა.

თეიმურაზს გული აუჩუყდა და ცრემლი მოერია. მარგოც ხან წარბებს იქმუხვნიდა, ხანაც ნაძალადევად იღიმებოდა.

ბოსტნის კუთხეში ერთს საფრთხობელას წააწყდნენ. დაბალ ბოძზე ჯვარივით გაკრული იყო გადატეხილი სიათას თოფი. იმ ბოძზე და თოფის ხარიხაზე ჩამოეცვათ რკინის აბჯარ-ჯავშანი: თვალ-მრგვალი ჯაჭვი, სამკლაურები, შუბი და საბარკულები. დასკინტლულ რკინის მუზარადზე, რომელსაც უძველესი არაბული წარწერა ჰქონდა:—„ალლაჰ ილ ალლაჰ"—კაჭკაჭი სჩხაოდა.

ორივემ შხამიანის სიცილით გაიცინეს. მერე თეიმურაზმა სათვალეები შეისწორა, საფრთხობელასკენ თითი გაიშვირა და ნაღვლიანად წაიბორძიკა:

— საკ...კვირველია! ეს საფ...რთხობელა ნამდვილი ემბლემაა ჩვენის ბედისა.

ხანგრძლივ დუმილის შემდეგ თეიმურაზმა ჩუმი ცრემლი ჩუმად მოიწმინდა და მარგოს მიუბრუნდა:

— წამო, მარგო, წამო ჩვენს დიდ აივანზე ავიდეთ. ერთ დროს შენ ძალიან გიყვარდა იმ აივანზე ჯდომა.

— ეხლაც მიყვარს, წავიდეთ.

იმავე დროს ეზოში სისხლი ილვრებოდა: ჯაყომ რამდენიმე ქათამი, ინდოური და ცხვარი დაჰკლა, ქვევრსაც თავი აჰხადა და თავის სტუმრების საჩვენებლად სოფლის წარჩინებულნიც მოიწვია.

როცა საკლავს ჰხოცავდნენ, ჯაყომ თეიმურაზს დაუძახა და ერთი ცოცხალი ქათამი გაუწოდა:

— აბა, კნიაზ, ერთი ქათამი შენც დაგკალი. შენი დაკლული ქათამი ამ ოჯახს შეგეწეოდეს.

თეიმურაზი შედრკა:

— არ შ...შემიძლიან, ჯაყო!

ჯაყომ სიცილი დააყარა:

— მაშ, რა ვაჟკაცი იქნებოდე?! ერთი ქათამიც ვერ დაჰკლავდე? ჰაი, შე ქალაჩუნავ, შენა! აბა, უყურეზდეს ჯ ყოსა!

ჯაყომ ქათმებს კისრები დააწყვიტა და ცხვარს ყელში ხანჯალი არხეინად გაუყარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზმა პირუტყვთა სისხლსა და ფართხალს ვერ გაუძლო და სახლისკენ გასწია. სისხლის დანახვაზე გული მიელია და პირსახე გაუფითრდა.

ჯაყო იცინოდა და თეიმურაზს მასხარად იგდებდა, მარგო კი მაღალ აივნიდან თავის მეუღლეს არცხვენდა:

— რა დაგემართა? ქათმის სისხლმა ეგრე როგორ დაგაშინა?!

თეიმურაზიც აივანზე ავიდა და დაშინებულ ბავშვის ხმით თავს იმართლებდა:

— არ შ...შშემიძლიან. შ...შშეჩვეული არა ვარ.

მარგომ მხრები შეიშმუშნა და ტუჩებზე ზიზღის ჩრდილი აისახა:

— შეჩვევა რა შუაშია? მამაკაცის გული რომ გქონდეს, სისხლის დანახვა ეგრე არ გაგაფითრებდა.

— ცოტა ხანს რომ ვიცხოვრებ ამ გაკაჟებულ ხალხში, გულიც გამიმაგრდება და სისხლსაც შევეჩვევი. იქნება მერე კაციც ადვილად მოვკლა.

— შენა? კაცის მკვლელი?!—წამოიძახა მარგომ და გესლით გადიკისკისა.

სანამ სადილი მზადდებოდა, ჯაყომ ხევისთავებს თვისი ჯალაბ-ჯულაბი გამოუყვანა და მათ თვალწინ გამოჰფინა თვისი ბიძები, ძმები, მამიდები, დედიდები და ჩიქორთული ნათესავები: ტურა, ქეშელა, გიბა, ტელა, მეშთა, ელისო, მარიამი და თინა.

მერე ჯაყოს ცოლი ნინაც გამოვიდა და ცხრა ქალ-ვაჟი გამოიყვანა, ყველანი ერთ-ერთმანეთის მიმდევარნი, ზოგი თავისი საკუთარნი, ზოგნი კიდევ გერები. ჯაყომ დოინჯი შემოიყარა და პირსახე გაიბადრა:

— აბა, კნიაზებო, როგორი ბიჭი ყოფილხარ ჯაყო! აბა, დახედეთ ჯაყოს გოჭებსა! ბიჭები ჩემისთანა ვაჟკაცები გამოხვალთ, ქალები კი ისეთი ლამაზი იქნები, როგორც ნათლია მარგოი.

— ჯაყო, ბევრნი გყოლიან.—გაიკვირვა მარგომ.

— მაშა, მაშა!—აჭიხვიხდა გახარებული ჯაყო.—ცხრა შვილი გაგიკეთე ჯაყომა, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

— ჯაყო, ც...ცცხრა შვილი გეყოფა.—უთხრა თეიმურაზმა.

— რათ გეყოფა ცხრა? ჯაყოს ცხრა ბიჭი კიდევ გეყოლება, მაშა! შენ რას იტყოდებოდე, ნინა?

ჯაყოს ცოლმა, გამოწურულმა კნაჰა დედაკაცმა, რომელიც ქალაქში ჯაყომ გაბადრულ მთვარეს შეადარა,—ტუჩები აიპრუწა, ჩაიხითხითა და პირსახე მიიბრუნა. ჯაყომ თეიმურაზს და მარგოს გადმოჰხედა:

— შენა, ნათლია? რატომ ერთი ბიჭი მაინც არ გეყოლებოდეს?

თეიმურაზმა ამოიოხრა:

— რა ვიცი, ჯაყო, ალბათ ღმერთს ასე ჰსურს.

— ღმერთმა რა იცი შენი საქმე? შენ იქნებოდე ქალაბიჭა, თორემა ღმერთს ნუ დაბრალებდებოდე.

მარგომ და თეიმურაზმა ერთმანეთს გადაჰხედეს და გულიანად გაიცინეს.

ჯაყომ თავის ნაჯიშევს ისევ ამაყად გადაჰხედა და ერთხელ კიდევ დაიქადნა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველანი ჯაყოს შვილები ხართ, მაშა! ღმერთმანი, ჯაყოს კიდევ გეყოლება ცხრა შვილი, მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

მარგო ჯაყოს ჩამონავალთა ხროვაში შეერია, თეიმურაზის და თავის ნათლულებს გაუღიმა, სხვებსაც მოუალერსა და ტკბილეულობა დაანახვა. ცხრა ბავშვი მარგოს გოჭივით მიესია. ჰყვიტინით, ჰიჰყინით და ღნავილით ეხვეოდნენ გარშემო და ტკბილეულობას ერთმანეთს პირიდან სტაცებდნენ. ჯაყო კი დოინჯ-შემოყრილი იდგა განზე, მარგოს და თავის ცოლს ერთმანეთს ადარებდა და ორივეს ცხენების დალალივით ჰსინჯავდა: ღიმილით, ურცხვად და მოურიდებლად. შემდეგ სამს უნცროს ვაჟზე მიუთითა თეიმურაზს და სთქვა:

— ესენი მოუნათლავი დაგრჩა.

— მერე, რატომ არ მ...მმონათლე, ჯაყო?

— რათ გინდა მონათვლა? ეხლა ნათლობა მოდაში აღარა ხარ. ჯაყომ ვიცის ეხლანდელი კანონი. ჯაყო ჭკვიანი კაცი ხარ. ჯაყოს მონათლულებიც გყავს და მოუნათლავებიც. ვინ იცის, როდის დაგჭირდეს ჯაყოსა მოუნათლავი შვილები?! მაშ, მაშა!

ერთმანეთის გაცნობა რომ გათავდა, ჯავომ აივნის ჩრდილში ხევისთავთა საგვარეულო სითიკანი დაიდგა, ზედ ჩამოჯდა, გვერდით სტუმრები მოისვა, მყრალი ყალიონი გააბოლა და მუსაიფი გააბა, თანაც ზევიდან წამდაუწუმ ისეთის ომახიანის ხმით გადასძახოდა ფეხმარდ და უხმო ნათესავებს, რომ ჯაყოს ხმა მთელს სოფელს სწვდებოდა:

— ტურა, ჩქარა! თახრაშუ!... ქეშელა, ადამრაშუ!... გიბა, ქადამჩაუ?!...

IX.

სოფლელები—ჯაყოს სტუმრები მარდად მოუსხდნენ ასწლოვან კაკლების ჩრდილში გაშლილ სუფრას და მგლებივით დაეძგერნენ დიდი ხნის უნახავ ხორცეულსა და ღვინოს. თან ილუკმებოდნენ, ჯამებით ღვინოს სვრიპავდნენ, ჩახლეჩილის ხმით სუფრულს გაჰკიოდნენ და ზოგჯერ ბორძიკით ლუღლუღებდნენ:

— ეს გაუმარჯოს ჯაყოს სტუმრებსა... რომელიცა რომა... აგრეთვე და ისა.

გაბღენძილი ჯაყო მამასახლისივით სუფრის თავზე იჯდა, ბეჭს ითლიდა და ჰყვიროდა:

— აბა, თქვენი წირი მე! არ მოიწყინდებოდეთ! სწამეთ და სვამდეთ! ტურა, თახრაშუ!... ქეშელა, ადამრაშუ!

და ზოგჯერ სიამოვნების ნიშნად ამპარტავნულად ხროტინებდა:

— მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

ერთ გვერდით მარგო ჰყავდა, მეორე გვერდით თეიმურაზი. ჯაყო მარგოს საუკეთესო ნაჭრებს სთავაზობდა და არშიყობდა:

— სწამა, შენი წირიმე, სწამა! ისე უნდა გასუქდებოდეს, როგორც სააღდგომო ინდაური, მაშა!

თეიმურაზს ყურადღებას არ აქცევდა, ზოგჯერ სიბრალულით გადმოჰხედავდა და დაცინვით გადმოჰკრავდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კნიაზო, სწამა, თორემ რაც ღალას აღარ გაძლევდეს, იქნება იმ ფულ-დან შენც არ გაძლებოდეს.

მერე თეიმურაზის შიში გაიხსენა და აჰიხვინდა:

— ნეტა ამისთანა ვაჟკაცს კნიაზობა ვინ მოგცემდეს? სისხლისა გეშინიან თეიმურაზსა, შენი წირი მე, სისხლისა! ქათამიც ვერ დაჰკლავდეს, ქათამიცა! შენა, თეიმურაზ, კნიაზი კი არა ხარ, ბრინკა ხარ, ბრინკა!

ბრინკა ჯაყოს ნათესავი იყო,—გონჯი, დავრდომილი, საბრალო და ყველაფრით უბადრუკი,—სწორედ ის ბრინკა ჯივაშვილი, რომელმაც ოდესღაც თეიმურაზისგან ოთხი ათასი დღიური ტყე „იყიდა“.

ჯაყომ თეიმურაზს იმ დღიდან ბრინკა დაარქვა:

— ბრინკა, სადა ხარ?.. ბრინკა, მოდი პური წამა!.. ბრინკა, გაზეთი წამიკითხე!... ბრინკა, ერთი ამბავი გითხარი, ჩვენც გაგაგებინე რამე.... .

თეიმურაზს გვერდით მოუსხდნენ მისი ნამოურავალი პეტრე დევდარაშვილი და ნახუცარი ივანე. ორივენი თეიმურაზის მამის ხელში იყვნენ გაზრდილნი: ერთი მოურავობაში, მეორე კი ჯერ დიაკვნობაში და შემდეგ—ღვდლობაში.

თეიმურაზმა რომ მამისეული ქონება დაიმკვიდრა და ხელი მიჰყო მამულის გაყიდვას და დარიგებას, პეტრემ მაშინვე თავი დაანება სამსახურს და საკუთარ კერას დაუბრუნდა, ხოლო ღვდელმა ივანემ უფრო გვიან აუღო ალლო ახალ ცხოვრებას და ანაფორა ჩოხაზე გასცვალა.

კარგად მობერებული პეტრე თავიდანვე ალმაცერად უცქეროდა თეიმურაზს და ჩუმ-ჩუმად ყორანივით დასჩხაოდა იმის მომავალს. ამბობდა: ბარემ ასიც მინახავს მაგისთანა გააჰენე ბიჭიო. ეგეც სხვებსავით დაილევა და მერე ლობიოსაც ინატრებსო. პეტრეს ეს ულვაშები დააჰერით, თუ გავმტყუნდეო.

არ გამტყუნდა ბებერი მელა. ეხლა თავისივე თვალით დაინახა ჯაყოსთან შეხიზნული ნაბატონევი, მაგრამ პეტრეს თეიმურაზი მაინც ენანებოდა. უკბილო პირს აცმაცუნებდა და თითქოს თავისთვის ჰლუღლუღებდა:

— მაშ ისე წაგივიდა საქმე, რომ სასხვისოდ გაგიხდა ეგ თავი? ვაი დედასა! ავთანდილ ხევისთავო, რას იფიქრებდი, რომ ოჯახი ასე დაგენგრეოდა?

თეიმურაზი პეტრეს ანუგეშებდა:

— ნუ შესწუხდი, ჩემო პეტრე. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

— მართალია, მაგრამ იმ ქვიშაზე გაგუდული თევზიც ხშირად მინახავს. დაუნდობლად და მოურიდებლად ჩაურთო ნახუცარმა ივანემ, რომელიც იმ სუფრას სთამადობდა.—წყლის წასვლის მოლოდინს ისევ ის გერჩივნა, რომ სამსახურში ფეხი მოგეკიდნა, თორემ, ვინ იცის, იქნება წყალნი ან არ წავიდნენ, ან კიდევ ძალიან დაგვიანებით წავიდნენ.

— სანამ პეტრე მიეშველა, პავლეს ტყავი გააძრესო, გამიგონია ცხონებულ მამა შენისგან.—ჩაურთო პეტრემ.

გაკრეჭილი ღვდელი ივანე წამოდგა:

— ხალხო! სმენა იყოს და გაგონება. ეს ქვეყანა ასე ყოფილა მომართული: ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსაო. ასე უთქვამს დიდებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა რუსთაველს შვიდასი წლის წინათ. ისიც უთქვამთ: წინანი უკანაო და უკანანი წინაო.

— დღეს მენაო და ხვალ შენაო.—ჩაურთო ერთმა გლეხმა.

— წინათ თავად-აზნაურები გლეხებს უღელში აბავდნენ, ეხლა კი ბედი პირუკულმა მოტრიალდა.

— მაშ, მაშა!—წამოიძახა ჯაყომ.—ეხლა კნიაზებსა და აზნავირებს ჩვენ დავადგამდებოდეთ უღელსა, მაშა!

— ცხოვრებამ ახალი აზნაურები დაგვიბადა.—განაგრძო ივანემ. რით არა სჯობიან წინანდელ თავადებს დღევანდელი ჩვენი მასპინძელი? განა ჯაყოს აზნაურობა არ შეჰშვენის?

ჯაყო გაიბადრა და აირია; იჭვის თვალი გადაავლო ყველას, პირღია დარჩა და ცხენის კბილებით ძლივს შეიმაგრა ენაზე მომდგარი „მაშ მაშა!“

— ჯაყო ნამდვილი აზნაურია.—კვლავ განაგრძო გაკრეჭილმა ივანემ.—ძალაც შესწევს და შნოც. ზოგს აზნაურს არც უწინ ეტყობოდა აზნაურობა, ეხლა ხომ სულ დაიძირნენ და გადაგვარდნენ. ზოგი კი გვარიშვილობით აზნაური არ არის, მაგრამ თავის ჯანღონით, ჭკუით, გონებით, გავლენით და ქონებით აზნაურიც არის და თავადიც. ასეთმა ძლიერმა გლეხებმა თვითონვე დაიდგეს აზნაურობის ტახტი და თვითონვე დაიწერეს თავადობის გუჯრები. ასეთ აზნაურებს მე პატივსა ვსცემ, წინანდელი ჩვენი თავადი კი.... ჩვენი აზნაურები წყალწასაღებნი იყვნენ და აკი ჩაჰბარდნენ კიდევაც მიმავალ დროსა! ქვეყანამ იცის, რომ ჯაყო ჯივაშვილი ისე დასტრიალებს ჩვენს ღარიბ-ღატაკ გლეხობას, როგორც კარგი მეოჯახე თავის კერას. ვინ მოსთვლის, რამდენი მრუდე საქმე გაუსწორა ჯაყომ ჩვენს სოფელს და რამდენ გაჭირვებულ ქვრივ-ობოლს გაუმართა ხელი! ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამდენი სიკეთის დამთესი ჯაყო არც შემდეგში დაიხევს უკან და ისევ ძველებურად გაგვიწევს დახმარებას. მაშ გაუმარჯოს ჩვენი სოფლის ახალ პატრონს, ახალ აზნაურს ჯაყო ჯივაშვილს!

— მაშ, მაშა!—წამოხტა ჯაყო.—ჯაყო დიდი მადლობელი ხარ, თუ სოფელს გინდა, ჯაყოი კიდევ იმსახურებდებოდეს, კიდევ გაუწევდე საწყალ ხალხს სამსახურსა, მაშ მაშა!

სუფრის ბოლოში ახალგაზრდობამ ყაყანი და ალიაქოთი ასტეხა. ჯაყო ისევ წამოვარდა:

— მაშ! მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

და ივანეს გადაეხვია, თანაც მიაძახა:

— ალავერდი შენთანა, ღვდელო!

ერთმა წაიბურტყუნა:

— ნიძლავი, თუ ივანემ ხვალ ჯაყოს ერთი ტომარა ფქვილი არ გამოართვას.

— ძირს აზნაურები!—დაიძახა სუფრის ბოლოში პეტრეს შვილმა ნინიკამ.

— ძირს აზნაურები!.. არ გვინდა!.. ძირს!.. არ გვინდა!—ხმა აიმაღლეს სხვა ახალგაზრდებმაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და დაიწყო ივანეს ნათქვამის განმარტება, ბოდიში, მიწევ-მოწევა, ყაყანი, ერთმანეთის დაჭერა და ჩურჩული. ბოლოს ყველანი ისევ ჯაყომ დააშოშმინა:

— სმენა იყოს! გაჩუმდებოდეს!... მე რომელი კნიაზი ხარ? ხომ არ გაგიჟდებოდეს! ივანე ხუმრობდეს, თქვენ კი ვერ მიხვდებოდეს. სმენა იყოს! ჩვენი სტუმარი ნჭთლია თეიმურაზი ლაპარაკი გინდა.

თეიმურაზმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა შესახებ ერთობის და თანასწორობისა, სოციალურ მშვიდობიანობის და ახალ თაობის შემოქმედებისა. მერე თავი ბოლოს ველარ მიაბა, აბორძიკდა, წაიფორხილა და თავის სადღეგრძელო ასეთის დარიგებით და დალოცვით დაასრულა:

— დაიცავით ძმობა, მ...მშვიდობა და ამხანაგობა! დ...დდანარჩენი თვითონვე დ...დდალაგდება. ყველამ გულში ჩაიწერეთ შ...შშრომა და პ...პპატიოსნება. ღმერთმა ყველას მოგცეთ მ...მმშვიდობა და მ...მმოთმინება.

ჯაყოს აზნაურობა მალე დაივიწყეს და ხელახლად მისი ღვინო გაიხსენეს. კვლავ სმას შეჰყვნენ და შეყაყანდნენ. სუფრის ბოლოში ნინიკამ დაიძახა:

ცანგალა და გოგონა!

მეორემ უმალვე ხმა მისცა:

გოგნი, გოგნი გოგონა!

სხვებმაც ბანი მიაყოლეს და მძლავრად ტაში დაჰკრეს.

ჯაყო უმალ იქვე გაჩნდა და დასძახა:

— აბა, განი, განი, განი!

მერე ქუდი მოიშვლიპა და ტეტიურად ჩამოუარა.

მომღერლებმა ცეცხლი შეიკეთეს და ჯაყოსაც შეუკეთეს

ბიჭმა გოგო გაიტყუა,
ჩიტის ბუდე ვიცი მეო;
ჩიტის ბუდე არსად იყო,
გოგო, ეგრე ვიცი მეო!

ჯაყომ ორჯერ ჩამოუარა და მარგო წრეში გაიწვია. ოდნავ შებრუცებულ მარგოს უცებ ძველის-ძველი ეშმაკები შეუსხდნენ. ხელები ფრთებივით გაშალა თავი ოდნავ გადაიხარა, პირისახეზე ბედნიერი ღიმილი აისახა და მარდად კოხტად და ტანის რხევით ჩამოუარა.

ოდესღაც მარგოს ძლიერ უყვარდა და უხდებოდა ცეკვა. როცა დროს მიხელთავდა, განზე არ გაიწევდა. მაგრამ ის ბედნიერი და უდარდელი დრო დიდი ხანია გაჰქრა. აღარ ახსოვს მარგოს, სად და როდის იცეკვა უკანასკნელად, ან რამდენი წელიწადი გავიდა მას აქეთ? ხუთი თუ ათი? იქნება მეტიც. დაავიწყდა მარგოს ხანი, მაგრამ იმისმა სისხლმა შორეული წარსული გაიხსენა და აჩუხჩუხდა.

გედივით მისცურავს მარგო განიერ მოედანზე. იმის ფეხებს კვალ-და-კვალ მისდევს მქუხარე ტაშის და სიმღერის მკვეთრი რიტმი:

ცანგლი, ცანგლი გოგონავ!
გოგნი, გოგნი, გოგონავ!
ტაში-ტუში! ტაში-ტუში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაში-ტუში! ტაში-ტუში!

მიჰქრის მარგო და ვერც კი ხედავს თავის ჯაყოს, რომელიც გაგიჟებულ დათვივით დაჰხტის, მორგვის ხელებს მოშლილ ბორბლებივით იქნევს, კუნძის ფეხებით მიწას სთხრის, განიერ თეძოებს ბურთებივით ახტუნავებს, ზღარბის თავს გოგრასავით აგორავებს, ლოჯის კბილებს თეთრად აელვებს და დროგამოშვებით ცხენივით ჭიხვინებს: „ტაში ჯაყოს! ტუში მარგოს! ტაში ჯაყოს! ტუში მარგოს!“

პეტრესშვილი ნინიკა ჯაყოს და მარგოს მკაფიო და მკვეთრის ხმით ჩიქორთულ შაირებით მისდევს:

ეს ჯაყო კარგად თამაშობს,
თითის წვერებზე დგებაო;
ჯაყომ რომ ფეხი ილიკინოს,
ეს მე ნუ დამბრალდებაო.

თეიმურაზიც გაცხარებით უკრავს ტაშს და ნახუცარ ივანეს ეუბნება:

— ს...სსაკვირველია! ს...სსაოცარია! აქამდის არ დაჰვიწყებია მარგოს ახალგაზრდული შნო და მ...მმარდობა.

ნინიკა აღარ ილლება და მისი შაირიც აღარ ილევა. რიხით და ფახით იმეორება.

ორი ცხენი, ერთი კვიცი,
ოციოდე კიდევ ვიცი!

გუნდიც კვლავ ჰქუხს და ჰგრგვინავს:

ცანგალა და გოგონა!
გოგნი, გოგნი, გოგონა!

ჯაყოც ისევ დაჰხტის და ჭიხვინებს:

ტაში ჯაყოს! ტუში მარგოს!
ტუში ჯაყოს! ტაში მარგოს!

თავდავიწყებული მარგო აღარავის ჰხედავს. მხრებიდან უცებ თხუთმეტი წელიწადი ჩამოიგდო, გულიდან ლოდი ჩამოიხსნა, პირიდან ქუში ჩამოირეცხა და ქამის ჟანგიც ჩამოიფხიკა. გაჭაბუკდა, გალაღდა, გაიფურჩქნა და ანაზდეულად დაიბრუნა დროის მიერ შეჭმული ტანის სიმკვირცხლე, მოქნილება, სიფიცხე, უდარდელობის იერი და ახალგაზრდობის ცეცხლი.

ბოლოს, პირ-ალანძული და ბავშურ სიხარულით ალეწილი, წრიდან გამოვარდა და სკამზე დაეშვა.

გახარებული თეიმურაზი სცქმუტავდა, ამაყი ჯაყო იბერებოდა და დროგამოშვებით ისროდა:

— მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

სიმღერა, ცეკვა, სმა და სადღეგრძელო კიდევ დიდხანს გაგრძელდა.

მარგო სუფრიდან ადგა. დანარჩენნი მხოლოდ საღამოზე აიშალნენ.

ჟღონო თეიმურაზს ნაძალადევი ღვინო ადვილად მოერია. ფეხებ-გახლართული ნაბატონევი ჯაყოს ჩამოჰკიდებიყო და ლუღლუღებდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შ...შეგვინახე, ჯაყო..., დრო მოვა და გ...გგადაგიხდ[illegible] მუშა-ვებ და გ...გგიშველი...

გოდრებთან მიწვა, უმალ მიიძინა და ბავშვური ფშვინვნა ამოუშვა.

შუაღამეს მსუნაგი ჯაყო ჩოჩვით შემოცურდა ოთახში, დაფეთებულ მარგოს გვერდით მიუწვა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ტსს... გაჩუმდებოდეს, თორემა...

თეიმურაზი ისევ ფშვინავდა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ჯაყო სიბნელეში უკანვე გაცოცდა და ერთი საათის შემდეგ ისევ შემოცოცდა. შიშნაჭამი მარგო წყვდიადში ბინდ-ბუნდად ხედავდა ჯაყოს, რომელიც ფოთფხვით მომავალს ორანგუტანს ჰგავდა. მარგოს გული საგულედან ამოვარდნას ჰლამობდა, მაგრამ ქალი შიშით და იდუმალ წუწურვილით იყო შებოჭილი და განაბული. მარგომ თვისი პირსახე თეიმურაზის პირსახეს მიუახლოვა და ყური მიუგდო.

თეიმურაზი კვლავ არხეინად ფშვინავდა.

მარგომ სიბნელეში მკლავები გაშალა და ფაშვნიერი ჯაყო ძალუმად ჩაიხუტა.

იმ დღიდან ჯაყოს და მარგოს მხოლოდ ის-ღა ჰქონდათ საზრუნავი და საფიქრებელი, რომ თეიმურაზს არ გაეგო მათი ნაღამური. ორივემ იცოდნენ, რომ თეიმურაზმა მკვდრის ძილი იცოდა, ამიტომ არც ძალიან შიშობდნენ და არც ძალიან ერიდებოდნენ.

მარგოს შერყეულმა სულმა იმ ღამეს ველარ მოისვენა. მარგომ თავის წარსულს თვალი გადაავლო და შეიზიზღა იგი. თვალწინ დაუდგა თეიმურაზი,— სახულით მჩატე, წიგნებზე დალეული და სულით დაჭიავებული. ძალაუნებურად შეადარა მან თვისი ნაკაცარი ქმარი, მისი ნაცოხნევი და უნაყოფო სიყვარული გამხეცებულ ჯაყოს, რომელიც ნადირივით თავაგლეჯილიყო, კადნიერი და რეგვენი, ხეპრე და მოუხეშავი, სამაგიეროდ დათვივით ღონიერი, სულით და ხორცით ბუჯი, ბუნების შიშველი ნაყოფი, გულით და გონებით ზომიერად შეზავებული, ნაბარი, გაუბზარელი, მთლიანი და ურყევი.

თეიმურაზმა ცოდნით თითქმის ყველაფერი იცოდა: სამაგიეროდ მას არაფერი შეეძლო; ჯაყომ არაფერი იცოდა, სამაგიეროდ იგი ბევრის შემძლე იყო; პირველი თვალხილული და სმენიანი იყო, ხოლო მეორე— თითქმის უთვალჩინო და სმენადახშული; სამაგიეროდ ჯაყოს დაგუბებული ჰქონდა სიცოცხლის დიდი წყურვილი, უნარი და ცხოვრების ფხა,—სამართებელივით გალესილი, და ალლო-გარეულ ძალლივით განვითარებული.

არსებულ გარემოებაში ერთი ბალლივით უძლური იყო, ახალ ცხოვრებისგან მოტეხილი, წაქცეული, წყალწალებული და უკვე მიმავალი, ხოლო მეორე— თავის კალაპოტში ჩავარდნილი, თავით-ფეხებამდის სადღეისო იარაღში ჩამჯდარი და სამშვიდობოს გამორიყული, ფეხამდგარი და მომავალი.

თეიმურაზი დასრულებული ადამიანი გახლდათ: განათლებული, ტვინდიდა, ბჭიანი, ჯიშიანი, ათიოდე საუკუნის განმავლობაში ბამბა-ფარჩაში ნაზარდი ნატიფი ნამუშავარი, ნათალი და დაფერილი, ხოლო ჯაყო მხოლოდ მეათე თაო-

ეროვნული

ობა იყო მაიმუნისა, პირუტყვივით ბნელი და უმეცარი, მიუვალ [illegible] უღრან ტყეში გაზრდილი. იგი ბნელ ხეობიდან გამოვარდნილი ველური, რომელმაც მხოლოდ ათი წლის წინა დაინახა პირველად კრამიტი და დანა-ჩანგალი, საათი და სურათი, საყელო და ცხვირსახოცი. აი, ამისთანა ნადირ-კაცმა, რომელიც დღეს მინდორსა და ტყეში აღამებდა, ხოლო ღამეს ბოსელში ათენებდა, მარგოს ასე ხეპრულად, ასე უდიერად და მხეცურად აჰხადა პატივი.

მარგოსთვის ცხადი იყო, რომ გუშინდელ დღიდან ის გადაიქცა ჯაყოს ხასად. ამის გამო მარგო გუშინ სტიროდა და იმუქრებოდა, მაგრამ დღეს მან აღარც კი იცოდა, კარგი იყო ჯაყოს ხასობა თუ ავი, ბედნიერი იყო მარგო თუ უბედური, კეთილად დასრულდებოდა ეს ამბავი, თუ მარგო უარესს დღეში ჩავარდებოდა.

მარგო დედაკაცი იყო, ამიტომ იმის გულსაც ყოველთვის ულიტინებდა იდუმალი წყურვილი საყვარელის აჩენისა. მას ადვილად შეეძლო აქამდის თუნდ ათიოდეს შოვნა, მაგრამ მან უჩინარი მაცდური დასძლია, გაუძლისს გაუძლო და თხუთმეტი წელიწადი სზიდა მძიმე ტვირთი ძალით ალაგმულ ბუნებისა.

ეხლა კი პატიოსანი მარგო ასე ტუტუცურად და მოულოდნელად ჯაყოს საყვარლად გადაიქცა!

მერე როგორ! იქვე, თეიმურაზის გვერდით! ოოჰ, ღმერთო მაღალო! შენ ხარ მოწმე, რომ მარგოს ჰაზრად არ ჰქონია ქმრის ღალატი; რომ რაც მოხდა, თავის-თავად მოხდა; რომ მარგო ფიცის გატეხაში უბრალოა. ან რა უნდა ექმნა დათვის მკლავებში ჩავარდნილს უმწეო დედაკაცს?! მეორე დღესვე ყველაფერი ეამბნა თეიმურაზისთვის? ამას მოჰყვებოდა საშინელი დრამა, საქვეყნოდ თავის მოჭრა მარგოსთვის და სირცხვილი თეიმურაზისთვის. თეიმურაზი და მარგო სხვაფრივაც რომ კეთილად გადარჩენილიყვნენ, უმალ ტფილისშივე უნდა დაბრუნებულიყვნენ, სადაც ხევისთავები თავს ვეღარავის შეაფარებდნენ.

ახია თეიმურაზზე, ახი! რად მიანდო თავის ცოლი ნადირს?! მაშ რა ეგონათ მარგოს ან თეიმურაზს, რომ საქმე სასხვისოდ გაიხადეს?! რომ თავი აიღეს და სამაღლოდ შეეკედლნენ ჯაყოს, თავიანთ ნამოჯამაგირევს, რომელმაც მათი სახლ-კარიც და ბაღ-ვენახიც საკუთარის მკლავით, მუქარით და თინბაზობით შეიძინა?!

ვინ იყო მათთვის ჯაყო?

არც ნათესავი, არც ტოლ-ამხანაგი, არც ქველმოქმედი. მაშ რას უშველის მარგოს ან თეიმურაზს წინააღმდეგობა ბედის და დაცვა პატიოსნებისა, რომელიც ორივემ ერთ ლუკმა პურზე მიჰყიდეს ჯაყოს, მიჰყიდეს იმ დღეს, როცა გადასწყვიტეს თავიანთ ნასოფლარში და ნასახლარში ამოსვლა... სტუმრად, ჯაყოს სტუმრად!

მარგომ გაიგო და შეიგნო, რომ გვიანღა იყო თითზე კბენანი და კბილთა ღრჭენანი, რომ ის მხოლოდ ვალს უხდიდა ჯაყოს, რომ აუცილებელი ისევ აუცილებელი იყო, ხოლო უძლეველთან ბრძოლას არც მიზანი ჰქონდა და არც ხილული ჰაზრი.

მარგომ რომ ყოველივე მოისაზრა და ასწონა, თითქოს ბედს შეურიგდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გარდუვალს დაემორჩილა. რაც მოსახდენია—მოხდეს, ოღონდ არ გაიგონ, თეიმურაზს და მარგოს სირცხვილი არ აჭამონ და საქვეყნოდ თავი არ მოსჭრან, თორემ...

ვიღაცამ გულში ჩააწვეთა:

„რომ გაიგონ კიდეც... ვინ იცის, იქნება სჯობდეს კიდევაც, რომ სამუდამოდ შერჩე ჯაყოს... ჯაყო ყველაფერს მოგცემს, რაც შენ გინდა: სიყვარულის ცეცხლს, კეთილ ცხოვრებას, ახალგაზრდა ვაჟკაცის ჯან-ღონეს და... დღევანდელზე უკეთესს მომავალს... თეიმურაზი კი... მას აქვს წარსული, მიმავალთა შორის პატივისცემა, საჭურისის ცოდნა და... ზანზიბარი! დაანებე თავი თეიმურაზს!“.

„არა, არა! მარგო ასე ადვილად ვერ დაანებებს თავს საწყალ თეიმურს. არასოდეს! არასოდეს! აბა რა სათქმელია: ველური ჯაყო და განათლებული თეიმურაზი?! ტყის დათვი და საზოგადო მოღვაწე?! ყაჩაღი და პატიოსანი პატიოსანთა შორის?! ხა-ხა-ხა! რა შედარებაა! სადაური არჩევანია!"

ის უხილავი ვინმე და მარგო დიდხანს ებრძოდნენ ერთმანეთს. ძაღლები აღარ ჰყეფდნენ, ქოტიც აღარ გაჰკიოდა. მხოლოდ ლიახვი შხუოდა, ბაღში დილის სიო ჰფუსფუსებდა და კუთხეში თაგვი ცოდვილობდა. ბინდი შეთხელდა; ცამ ფერი შეიცვალა; ბაღში ჩიტებმა ჟივილ-ხივილი ასტეხეს; სადღაც კაკაბი ჰკაკანებდა; მარგო კი ისევ ვიღაც უჩინარს ებრძოდა და თანდათან ბრძოლის ველს თითო ნაბიჯით უთმობდა.. მაგრამ გონების და უჩინარის ცხარე ბრძოლაში წილს არ იღებდნენ მარგოს გული და სისხლი. ისინი თითქოს უცხონი იყვნენ, თითქოს განაპირდნენ, განზე გადგნენ და თითქოს იმ უჩინარსაც კი ემხრობოდნენ.

მარგოს გულს საამური ჟივილი გაჰქონდა, სისხლი ძლიერად უჩქეფდა და აქამდის მოდუნებული და გახევებული ტანი სასიცოცხლოდ თითქოს ეხლა ილვიძებდა და იფურჩქნებოდა. კვირტს ხანგრძლივ და სუსხიან ზამთარში მძიმე ძილით ეძინა. მაგრამ ყინული ერთ ღამეში გალხვა და სუსხიც აიკრიფა. ცხელმა მზემ გაათბო ის კვირტი, ხოლო მიწამ იდუმალი წვენი მიაწოდა. და გრძნეულმა ძალამ იგი კვირტი გაჰშალა, გაზარდა და გააცოცხლა.

ფეხშიშველი, თმაგაშლილი და გალეღილი მარგო აივანზე გავიდა. უცნაური მშვიდობა და სიხარული ეწერა იმის გაშლილ პირსახეზე. გაგანიერებული და მღელვარე მკერდი ამომავალ მზეს მიუშვირა. თვალებს ამოებით ჰკუტავდა, ორივე ხელით გაღეღილ მკერდს იზელავდა და ტკბილად იზმორებოდა.

ზაფხულის ლამეს ხის ფოთოლსა და ბალახზე ნამი უუთვალავ ბრწკინავ თვალმარგალიტად გაებნია. ეზოში და ბაღში მოისმოდა ძროხების და ბოჩოლების ბღავილი, ღორების ჭყივილი, გოჭების ჭყვიტინი, ბატების ყიყინი, ასნაირ ფრინველთა ჭივილი, ჭიკჭიკი, ჭრინვა, ჟღურტული და ხივილი. მათი ჟრიამული, კამათი, სიხარული და ლოცვა ერთ გაუთავებელ სიმღერად გადაიქცა, რომელსაც არ ჰქონდა არც თავი, არც დასასრული, არც ფორმა და არც კილო.

ქათმები და წიწილები ჟივილ-ხივილითა და კაკანით შემოეხვივნენ მარგოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აივანის მოაჯირზე ჩხიკვი შემოჯდა და მარგოს პირსახეში დაჟინებით გაუგებარსა და უცნაურს რასმეს შესძახოდა.

უცებ მარგომ ჯაყოს მოჰკრა თვალი. ჯაყო კაკლის ხის ჩრდილში დოინჯ-შემოყრილი იდგა, გულმოდგინედ იქექებოდა და თითქმის შიშველს, ქანდაკებულ მარგოს ხარბად სჭამდა მშიერ თვალებით. მარგო შეჰკრთა და მკერდი პერანგით დაიმალა. ჯერ ჯაყოს მორცხვის სიხარულით გაუღიმა და გაუცინა, მერე მობრუნდა და ოთახში შევარდა.

— მაშ, მაშა!—მოესმა მარგოს უკნიდან ჯაყოს მხიარული ჰიხვინი.—აგრე ვიცის ჯაყომა!

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნაწილი მეორე.

### I

— მარგო,—უთხრა თეიმურაზმა საღამოს ჟამზე თავის ცოლს,—წამო, კოშკზე ავიდეთ და ძველ ქართლს ერთხელ კიდევ გადავხედოთ. მახსოვს, შენ ძალიან გიყვარდა ამ კოშკზე ჯდომა. აი, ჩვენი ივანეც წამოვა. წამოიღე ჭოგრი.

— რა სთქვი? ჭოგრი რა არის?

— ქართულად დურბინდს ჭოგრი ჰქვიან. დურბინდი ჩვენებური სიტყვა არ არის. მე ჭოგრი მირჩევნიან დურბინდს. შენ რას იტყვი, ივანე?

— ჭოგრი მოკვდა, თეიმურ, მას ველარ აღადგენ. დურბინდი კი ცოცხალია ხალხის თავში.

— კეთილი, ჩემო ივანე. მაგაზე მერე ვილაპარაკოთ. აბა, წამოდით.

უკვე დაზიანებულ ხვიულ ქვითკირის კიბეს შეუდგნენ და ხვნეშით და კანკალით კოშკის თავზე ძლივს ავიდნენ.

— აი, საქართველოს გული.—სთქვა თეიმურაზმა და ირგვლივ ხელი შემოავლო.—აიღე ჭოგრი და გაიხედე.

თავად ხევისთავთა უწინდელი საბუდარი—დიდი სოფელი ნაშინდარი დაბალი სერის ფერდობზე იყო გაშენებული. თვითონ სოფელი ლიახვის ნაპირზე ვიწრო ზოლად გაჭიმულიყო, ხოლო თეიმურაზის ნასახლარი იმ სოფლის თავზე მაღალ ტახტივით ამართულიყო. ძველს, ორსართულიან დარბაზს, ხუთიოდე სხვა შენობას და უუზარმაზარ ეზოს მაღალი, ქვითკირის გალავანი სარტყელივით ერტყა, ხოლო ამ გალავნის ამაღლებულ კლდოვან კუთხეში ქარით და ჟამით პირჩამოჭმული კოშკი იდგა. ოდესღაც იმ ციხე-კოშკზე ქართლისა და ხევისთავთა მტრები კბილებს იმტვრევდნენ და რკინისებურ დუღაბით ნაშენ გალავანს სისხლით რწყავდნენ, მაგრამ ეხლა გალავნის კარები ყველასთვის ღია იყო, ხოლო კედლებს იმიტომ არ ანგრევდნენ მასალის წასაღებად, რომ ძველს დუღაბზე რკინის წერაქვიც კი კბილებს იმტვრევდა.

იმ ციხე-კოშკის ირგვლივ გადაჭიმულ ქართლის მინდორს ოთხივ მხრიდან მაღალი მთები სდარაჯობდნენ. ჩრდილოეთით, მთელი ქართლის გაყოლებაზე, კავკასიონის უღელტეხილი აღმართულიყო; აღმოსავლეთით, ქსნისა და არაგვის სათავეებთან ბებერი დევი მყინვარი წამომჯდარიყო; დასავლეთით ბრუტ-საბზელას ჭაღარა თავი აწეულიყო, ხოლო მათ შორის როკისა და რაჭის მთებს სამ-ოთხ რიგად ჩაებათ ფერხული. უკანა რიგში თეთრად შესუდრული ქედი ასვეტილიყო, მეორე რიგში თალხი მწვანე საძოვრები ჩალაგებულიყვნენ, ხოლო წინა რიგში მუქის ტყით შემოსილი გორები ჩამწკრივებულიყვნენ. იმ მთებსა და გორებს აქა-იქ ღრმა ჭრილობებივით ჰერსავდნენ დიდი ლიახვის, როკის პატარა ლიახვის, ქსნისა და მრავალი სხვა ხეობები და ნაოჭები, რომელნიც მთავარი ქედის გულამდის შეჭრილიყვნენ და მის კალთებში ღრმად ჩაწოლილიყვნენ.

მზე ჩასავალს იყო გადასული. სამხრეთით და დასავლეთით ცა უცნაურად

ეროვნული

დაიბურა და აჭრელდა: სურამის, ბორჯომისა და ჯავახეთის ქედების თავზე ღრუბლები შეიკვრნენ და ერთმანეთს უთვალავ ფერებით ჩაექსოვნენ: ჩალა და ალი, აგური და სპილენძი, ფირუზი და ლალი, ია და ვარდი, ზაფრანა და იასამანი, ოქრო, თითბერი და ფოლადი საარაკო ფრთებივით გაიშალნენ და გარს-შემოეხვივნენ სისხლიან საზღაპრო ფრინველს, რომელსაც თავი უკვე სურამის ქედზე ჰქონდა დაბჯენილი. ჭალებით შემოსილი დიდი ლიახვი და შიშველი მტკვარი ალაგ-ალაგ ოქროთი და ალით იწვოდნენ. უზარმაზარი ქართლის ხალიჩა ქრელის სოფლებით, რუხის რიყეებით, მუქის ჭალებით, მოტვლეპილ გორაკებით, მოყვითანო ქერებით და მწვანე ნათესებით იყო მოქარგული.

— გადაჰხედე, ივანე, დღევანდელ ქართლს. უწინდელ ქართლისა მეოთხედიც აღარ არის. მას ჩამოეცალნენ სამცხე და საათაბ.. ბბაგო, არტაანი, ჯავახეთი, ტაშირი, მ...მცირე სომხითი, აბოცი, ბამბაკი, ბორჩალო, ყაზახი და ტფილისის მიდამოები. ეხლა ყველანი ცალ-ცალკე სცხოვრობენ.

— ისტორიამ დაანგრია ძველი ქართლი.

— ჰო, მეც მაგას ვამბობ. ვინ არ გადმოიარა იმის ზურგზე! საწყალი, მთელი ქვეყნისთვის შარა-გზად გადაიქცა. როცა ქართლი ძლიერი იყო, ს...სსაქართველოც ძლიერი იყო. ქართლი დაეცა და საქართველოც დასუსტდა.

— ქართლის პატრიოტობა გალაპარაკებს, თეიმურ.

— არ-რა, ღმერთმანი, არა! ყური მიგდე, ჩემო ივანე. ყოველ ქვეყანას აქვს თვისი პრუსია და ჰყავს პრუსიელები, რომელნიც ხალხის ცხოვრებაში დუღაბის მაგივრობას ასრულებენ. გერ...რმანია პრუსიელებმა შეჰქმნეს, რუსეთი მოსკოველებმა მოაგროვეს, დიდი ბრიტანეთი უელსის საჰერცოგომ ააშენა, რომის იმპერიის ისტორია თვითონ რომისა და კაპუას ისტორიას უდრის, ხოლო ძველი საბერძნეთი ათონმა და ატტიკამააყვავეს. ასეთივე როლი დ...დდააკისრა ბედმა ქართლსაც, რომლის ისტორია საქართველოს ისტორიის ნახევარს მაინც უდრის. ქართლი იყო საქართველოს პრუსია, ხოლო ქართლელნი ქართველთა ტომის პრ...რრუსიელნი იყვნენ. მე იმას ვჩივი, რომ საქართველოს პრუსსია აღარ აქვს და აღარც პრუსიელნი ჰყავს.

— ეყოლება. პრუსსიელნი არც სხვაგან გაჩენილან ხუთიოდ-ათიოდე წელიწადში.

— არა სჩ...ჩჩანან.

— მე ვხედავ. პრუსსიელნი ხალხის გულიდან ამოდიან. ასობით და ათასობით მოდიან.

— შეიძლება, მაგრამ პრუსია მაინც არ მოსჩანს.

— ეგეც თავის-თავად გამოჩნდება.

— საწ...წწყალი ქართლი! — ამოიოხრა თეიმურაზმა. — იგი მომაგონებს დაბერებულს, ქაჩალს, უკბილოს, ბრუტიანსა და დაყრუებულ ნაკაცარს, რომელსაც ჭამისა და განძრევის შნოც აღარ აქვს.

— გუშინდელი საფრთხობელა მომაგონდა. — სთქვა მარგომ და გაიცინა. — ივანე, ჯაყოს ბაღში რომ საფრთხობელა სდგას, ხომ არ გინახავთ?

— როგორ არა, ვნახე. მთელი სოფელი იცინის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის კი აღარა სთქვა ნახუცარმა ივანემ, რომ სოფლის ბუმბერაზებმა იმ საფრთხობელას თეიმურაზ ხევისთავი დაარქვეს და მასზე ენებს ილესავდნენ.

— წელში გაწყდა ქართლი.—კვლავ ამოიოხრა თეიმურაზმა.

— ნუ შეშინდი, თეიმურ!—გაამხნევა ივანემ.—მე აქა ვსცხოვრობ და აქაურობას შენზე უკეთ ვხედავ. ქართლიც იზრდება და მაგრდება. აბა, მოიგონე, უწინ რა იყო და ეხლა რა არის. ქართლი მხოლოდ ეხლა ამოდის მიწიდან, მრავლდება, ბაღებს აშენებს, თვალს იფშვნეტს და სკოლებს ამრავლებს. გახსოვს, მე და შენ რომ გვინდოდა თხუთმეტი წლის წინად ნაშინდარში სკოლის დაარსება. მაშინ შენ აქაურობას თავი გააშორე, მე კი კინაღამ ჩამაქვავეს. რაც მაშინ ვერ მოხერხდა, წლეულს შესრულდება. ნაშინდარს შემოდგომიდან სკოლა ექნება.

— მართლა, თეიმურ, არ გინდა იმ სკოლაში მასწავლებლად შეხვიდე?—ჰკითხა მარგომ.

— მართლა, მეც ეგ უნდა მეთქვა.—გაუხარდა ივანეს.—მაგაზე უკეთესი რაღა გინდა, თეიმურაზ? ჰა, რას იტყვი?

— არას...სსოდეს!

— მაინც, რატომ?

— მიზეზი თქვენც კარგად იცით. ოცდაათი წელიწადი იმისთვის კი არ ვიმუშავე, რომ ბოლოს სოფ...ფლის მასწავლებლობით დავასრულო ჩემი სიცოცხლე და მ...მმოღვაწეობა.

— მაშ ჯაყოს ხიზნობა გირჩევნიან, არა?—გესლით წამოიძახა მარგომ და კიბისკენ წავიდა.—წამო, ჩამიყვანე, თორემ ბნელა.

თეიმურაზმა დასავლეთისკენ გაიხედა და დიდხანს უცქეროდა სურამის ქედს. იმ ქედის თავზე ფირუზის, ვარდის და ალის ზოლი გაწოლილიყო. მტკვრის ხეობა უკვე ჩაბნელებულიყო. ჩრდილოეთიდან ყინულის სუსხი მოდიოდა.

— იქით გაიხედე, ივანე.—ხმის კანკალით სთქვა თეიმურაზმა დუმილის შემდეგ და თითი დასავლეთისკენ მიიშვირა.—გაიხედე, რა მ...მშვენებით არის შემოსილი დასავლეთი.—მერე ღრმად ამოიოხრა და თითქოს თავისთვის წაიბუტბუტა:—ყოველივე დასავლეთიდან მოდის: სიმდიდრე, გ...გგანათლება, ზნეობრივი სიფაქიზე, თ...თავისუფლება და მშვიდ...დდობა.

— თეიმურაზ, მოდიხარ?—დაიძახა კიბიდან მარგომ.

თეიმურაზმა მარგოს ხმა ვერ გაიგო და ვერც მარგოს და ივანეს წასვლა შეამჩნია. გულხელდაკრეფილი იდგა კოშკის თავზე და ისე გასცქეროდა დასავლეთს, თითქოს იქიდან მოელოდა თავის საარაკო საბედოს და სიცოცხლის ნატვრას.

II

თეიმურაზისა და მარგოს ამოსვლის მეორე დღიდან ჯაყო და მისი სტუმრები ახალ ცხოვრებას შეუდგნენ.

ჯაყო არც იმ დღემდის ითვლებოდა ბეჯით მუშაკად; მძიმე და ჭუჭყიან სამუშაოს ერიდებოდა, სამაგიეროდ თავის ნათესავებს-მამაკაცებს და დედაკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენებსაც—ისე ამუშავებდა და იმეტებდა, რომ მუყაითი და გულკეთილი ზლები იმ რიგად თავის საქონელსაც არ გაიმეტებდა, ხოლო იმ დღიდან, როცა მარგო ჯაყოს გულსა და ოჯახში ჩასახლდა, მან საბოლოოდ ხელი აიღო შრომაზე.

ჯაყომ სამაგიეროდ მოუმატა თავის ცოლისა და ნათესავების დატუქსვას და დატვირთვას. რიჟრაჟიდან დაღამებამდის მთელს სოფელს მისი ომახიანი გრგვინვა ესმოდა:

— ტურა, ჩქარა!.. ქეშელა, თახრამუ!.. გიბა, ადამრამუ! აბა, ხელი გაანძრევდე! წელი ნუ გიწყდებოდეს!

თვითონ კი, ზურგზე ხელდაწყობილი, ბატივით დაბაჯბაჯებდა ეზოსა და ბაღში, ან თავის სამფლობელოს მაღალ აივნიდან ფაშასავით გადმოსცქეროდა და იქიდან ბრძანებას ბრძანებაზე ჰგზავნიდა, ან კიდევ ხევისთავთა ჩუქურთმიან სავარძელში გაიჭიმებოდა, მყრალ ყალიონს აბოლებდა და იქექებოდა.

მუშაობაში ჯაყომ სხვებზე უფრო მეტად თვალი დაადგა თავის ცოლს,—უენოს, მორჩილსა და დაშინებულ ნინას, რომელიც უხილავ მიზეზით აითვალისწუნა და შეიძულა. ისედაც შრომით გატეხილსა და მილეულ დედაკაცს ხევისთავთა ამოსვლის დღიდან ტვირთი ერთი ორად აჰკიდა და მუდამ, თითქოს განგებ, სცდილობდა, რომ ის უნჯი დედაკაცი, უპატრონო და ჯინჭველასავით ფუსფუსა, მარგოს თვალში გაელახნა და დაემცირებინა.

ჯაყოს საქონელიც ბლომად ჰყავდა და დავაჟკაცებული ნათესავებიც, მაგრამ წისქვილისთვის თითქოს განგებ არავის იმეტებდა: კოდიან საფქვავს თავის ცოლს აჰკიდებდა და დასჭყივლებდა:

— აბა, თახრამუ!

ის ორფეხა პირუტყვიც წელში სამად მოიკაკვებოდა და თავჩაღუნული, სანამ წისქვილში ჩალასლასდებოდა, დაღლილ ცხენივით ორი საათი მაინც ჰხვნეშოდა და ოფლში იწურებოდა. ნინო მუდმივ წელსა და ფეხებს იტკიებდა, მაგრამ ხმას აღარ იღებდა, რადგან იცოდა, რომ ჯაყო უდიერად მიახლიდა:

— ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებოდე!

ჯაყოს აღარაფერი მოსწონდა თავის ცოლისა: არც იმის ხელით დაგვილი ოთახები, არც იმის ხელით დამზადებული საჭმელი, არც მისი ხმა, არც ღიმილი, არც კაბა და არც სიარული.

ერთხელ თეიმურაზმა უთხრა ჯაყოს:

— ჯაყო, ეგრე რათა სტანჯავ შენს ცოლს? ძალიან ბევრი სამუშაო აქვს.

— დედაკაცი მუშაობისთვის ხარ გაჩენილი, მაშა!

— ყველანი მუშაობისთვის ვართ გაჩენილი, ჯაყო. მაგრამ დედაკაცს უფრო ადვილი სამუშაო ერგო, რადგან მამაკაცზე სუსტია.

— დედაკაცი ხარ სუსტი? შენ რა გესმის, ბრინკა? ქალაქელებმა გააფუწეთ დედაკაცი, თორემა ჩვენ ჩვენი ძველი ადათი შეგვინახებდეს.

— ცოდოა ნინო, ჯაყო, ცოდო!

— ჯაყომ ცოდო არ ვიცის.

— ჯაყო, ახალი კანონით დედაკაცი და მამაკაცი თანასწორნი არიან.

— ვიცის ჯაყომა დედაკაციც და მამაკაციც ლოგინში ხართ თანასწორები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დედაკაცის დაჩაგვრა მხოლოდ თათრებმა იციან.

— ეგეც ვიცის ჯაყომა. გენაცვალე თათრებსა, კარგი ვაჟკაცები ხართ თათრები.

— ჯაყო, შენ ხომ ქრისტიანი ხარ?

— მაშ, მაშა! ქრისტიანი ხარ ჯაყოი.

— მაშ ყური მიგდე. სახარებაში სწერია, რომ...

— ვიცის ჯაყომა, ვიცის! ჯაყომ სამჯერ დაიწერე ჯვარი და მღვდელმა სამჯერ გითხრა ეკლესიაში, რომა ქმარმა ცოლი უნდა დაგაშინოო და აი ასე უნდა შეინახო, აი! მაშ, მაშა!

და ჯაყომ ხუთგირვანქიანი მუშტი ისე შეანძრია, თითქოს შიგ ქვა ედო და მისი გაქყლეტა უნდოდაო.

თეიმურაზი მალე დარწმუნდა, რომ მგელს სისხლიანის ჭამას უკრძალავდა, ამიტომ ნინოს გამოსარჩლებას თავი დაანება.

ჯაყომ ნინო მარგოს მოსამსახურედ დაუყენა და წარა-მარად ბრძანებას იძლეოდა:

— ნინო, ქალბატონს პოლსაპოჩკები გაგხადე!.. ნინო, კნეინას წყალი დაგისხი!.. ნინო, ნათლიას კაბა გაგიწმინდე!.. აბა, რაშუ! ჩქარა! თახრაშუ!

მარგომაც რამდენჯერმე სცადა ჯაყოს მორბილება და ნინოს წასარჩლება, რადგან იმის მოსამსახურეობას ერიდებოდა და ისედაც დაბრიყვებული დედაკაციც ეცოდებოდა, მაგრამ ჯაყო უარესად გაკაპასდა: ყვირილს და ტვირთს მოუმატა და წვრილ-შვილის პატრონი ნინო მარგოს ხელზე მოსამსახურედ დაუყენა.

ბოლოს, თავის ცოლის ავადმყოფობა გაიხსენა და წამალიც თვითონვე დაუწერა: ერთხელ ქეშელა ცხენზე შესვა, ავადმყოფი დედაკაცი ფეხით უკან გააყოლა და ჭავის გამოსაცვლელად როკის მთებში გაისტუმრა.

ჯაყო არც სძლებს ინდობდა, რომელნიც თავიდანვე ნინოსავით მარგოს ფეხქვეშ გაუშალა: ხოლო ნინოს გასტუმრების შემდეგ პირი მოიხსნა და დღედა-ღამ მარგოზე ლაპარაკობდა, მასზე ზრუნავდა და მისთვის უშოვნელს შოულობდა. ალარავის და ალარაფერს ერიდებოდა: თეიმურაზის ცოლი დედოფლად დაისვა და ყველანი მას ყმებად დაუყენა.

ერთხელ ჯაყომ თეიმურაზს უთხრა:

— შენი კნეინა ძალიან ფინთად გაცვია. ჯაყო ფული გასესხებოდეს. ჩააცმევდებოდე მარგოსა, თორემა შენი სირცხვილი ხარ.

თეიმურაზს ბავშვივით გაუხარდა:

— მადლობელი, ჯაყო, დიდი მადლობელი. ერთს ოდესმე გ...გადაგიხდი შენს სიკეთეს არასოდეს დავივიწყებ. ოდესმე ბედი ჩ...ჩემსკენაც მოიხედავს. შენ არხეინად იყავი, ჯაყო. ყური მიგდე ჯაყო, ერთი ამბავი უნდა გითხრა. გუშინ ქალაქიდან ამბავი მოვიდა, რომ...

და თეიმურაზმა ჯაყოს ლამბაქის ყურში ქალაქიდან მოფრენილი ჭორჩიტი აუფრინა. ჯაყომ ის ჩიტი მეორე ყურიდან გააფრინა და გულში სთქვა: „მამა გიცხონდება! კარგი ამბავი მოგიტანე ჯაყოსა. ვიცის ჯაყომა, ვიცის! ეგ საქმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გაკეთდებოდეს, ჯაყომ ეს სახლ-კარი და ბაღი ისევ [illegible] თეიმურაზს უნდა დაგიბრუნდე, განა! ვერ მოგართვი! აპრუწუწუნ! ვიცის ჯაყომა, ვიცის!"

თეიმურაზს თვალებზე მადლობის ცრემლი მოერია და მაშინვე მარგოც გაახარა:

— აი, რა კ…კკეთილშობილი ადამიანი ყოფილა ჯაყო. მაგის მადლს როგორ დავივიწყებთ! არა უშავს რა, მოვა დრო და სიკეთეს ერთს სამად გად… ღდავუხდი. მოდის ის დრო, მოდის!

— შენ სახლში დარჩებოდე და აქაურობას თვალი გადევნებოდე.—უთხრა მეორე დღეს თეიმურაზს ჯაყომ.—მე ნათლია მარგო სტანციაში წაგიყვან და იქ მოგიცდი კნეინას. ერთი დღე გინდა ქალაქში, მეტი ხომ არა?

და სანამ ჯაყო და მარგო ქალაქიდან დაბრუნდებოდნენ, თეიმურაზი მეცამეტე გოჭივით ყველას ფეხებში ედებოდა და ეხვეწებოდა:

— ქეშელა, ს…სსაქონელს წყალი დაალევინე… გიბა, გ…გგომური დაჰხვეტე… მართა, საქათმე დ…ღდაასუფთავე.

— ვიცის, შენი წირი მე, მეც ვიცის.—უპასუხებდნენ თეიმურაზს ჯაყოს ჯალაბნი და ჩუმ-ჩუმად დასცინოდნენ ახალ მოურავს, რომელმაც რამდენიმე დღით ძლივს იშოვნა ფუჭი საქმე.

საღამოობით თეიმურაზი კვლავ კოშკის თავზე ადიოდა და იქიდან დიდხანს გასცქეროდა დასავლეთს, სადაც სურამის ქედი გაწოლილიყო: ზოგჯერ ვარდის ფერი, ზოგჯერ მუქი ლილისა და ზოგჯერაც ათასნაირად შეღებილი, მაგრამ მუდმივ ბინდიანი, ნისლიანი და ლანდიანი.

ჯაყო და მარგო ხუთი დღის შემდეგ დაბრუნდნენ. თეიმურაზმა რომ მარგოს ნავაჭრი დაინახა, გაიხარა და გაიკვირვა:

— რ…რრამდენიმე წელიწადს გ…გგეყოფა ამოდენა საქონელი, ნეტა როდის უნდა ამოვიდე ჯაყოს ვალიდან?

— ამოვალთ, მალე ამოვალთ.—გაამხნევა თეიმურაზი გაცოცხლებულმა მარგომ და დაუმატა:—ნიკო ზივაშვილი შემხვდა:

— რა დ…ღდაგაბარა? სთქვი მალე, სთქვი.

და როცა დანაბარი მოისმინა, აცქმუტდა, აიშალა და ნახუცარ ივანესთან გაიქცა მოშლილ ენის დასალღელად და აქავებულ გულის მოსაფხანად.

თეიმურაზის ვალის გამო ჯაყომ გულში გაიცინა და როცა თეიმურაზი ოთახიდან გავარდა, მარგოს უთხრა:

— ვიცის ჯაყომ მაგისი ვალი, ვიცის! ან რათ გინდა ჯაყოს თეიმურაზის ვალი? ჯაყო თავისი კნეინას ჩაგაცვა, მორჩებოდე და გათავდებოდე, მაშ, მაშა!

მარგომ მართლა კარგად ივაჭრა. ჯაყოს ნებართვით და მოთხოვნით მან ყველაფერი მრავლად იყიდა და მოიტანა: ჩითი და მიტკალი, ფარჩა და ხავერდი, საზაფხულო და საზამთრო, ფეხსაცმელი და ათასი საქალო წვრილმანი.

თეიმურაზმა ნახუცარ ივანესთან შეირბინა. ივანე და მისი მეუღლე თინა თეიმურაზს ყოველთვის დიდის პატივით და სიხარული უხვდებოდნენ.

— აქა მშვიდობა და სიყვარული!—მიესალმა ცოლ-ქმარს თეიმურაზი.

— მობრძანდით, ბატონო თეიმურაზ, მობრძანდით.—მიიპატიჟა თინამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაბრძანდი, ჩემო თეიმურ, დაბრძანდი.—მიიწვია ივანემაც.

— ივანე, ახ...ხხალი ამბავი მომიტანა მარგომ. ნიკო შივაშვილს დაუბარებია, რომ...

და თეიმურაზმა ივანეს ყურში ქალაქიდან მოტრენილი ჩიტი შეუფრინა.

— შენგან მიკვირს, ჩემო თეიმურ, რომ მაგისთანა ამბებს აჰყოლიხარ.

ცხარე ბაასი გააბეს. თეიმურაზი სცდილობდა, რომ ივანესთვის თავის გულის ცეცხლი მოეკიდებინა, ივანე კი თეიმურაზის აპრიალებულ სულს ყინულს აყრიდა და ანელებდა. ბოლოს ივანემ სთქვა:

— მოდი მაგას თავი დავანებოთ, თეიმურ. ჩვენში ვინ გამართლდება, მასაც მალე ვნახავთ. ეხლა კი, აბა, თინა, მოიტა არაყი, მწვანილი, ყველი, პური და კეთილი გული.—შეუკვეთა ივანემ თავის მეუღლეს.

— ოოჰ, გული, გული!—ამოიკვნესა თეიმურაზმა.—რკინის დროებაში ვსცხოვრობთ, ჩემო ივანე, ამიტომ ეხლა ყველაზე ძნელი საშ...შოვნელი გული ყოფ...ფილა. სიყვარული მოკვდა, ჩემო ივანე, მოკვდა!

— რად მოკვდა, თეიმურ? მართალია, ანაფორა გაეიხადე, მაგრამ ქრისტეს მოძღვრება ეხლაც ძვალ-რბილში მაქვს გამჯდარი. სადაც სიყვარული არის, იქ არც მეგობრობაა, არც ოჯახი, არც საზოგადოება და არც სახელმწიფოთ.

— მ...მმართალია, მბგრამ ეხლა სიყვარულის ნაცვლად ქვეყანაზე და ხალხის გულშიც მხოლოდ შხამი, გესლი, ცოფი და ბალღამი დაგ...გგუბებულა. ვერ გამიგია, როგორ სცხოვრობენ ერთ გულში ასეთი თავგანწირული სიყვარული და ასეთი საშ...შშინელი მძულვარება და ზიზღი? ცეცხლი და წყალი ერთმანეთში არეულად და მშვიდობიანად შეწყობილან.

— ვისაც უყვარს, იმას სძულს კიდევაც, ჩემო თეიმურ.

— არ მეს...სსმის, როგორ უნდა აშენდეს სიყვარული მძულვარებაზე.

მე კი ასე მესმის. სიყვარული უეჰველად ჰშობს შურს, იჭვსა და სიძულვილს. ვისაც უყვარს მოძმე თვისი, იმას უძირო სიძულვილით უნდა სძულდეს მტერი თავის მოძმესი.

— მაშ სიყვარული და სიძულვილი ერთმანეთის მშობლები ყოფილან, არა?

— არა. სიყვარულია სიძულვილის მშობელი, ხოლო სიძულვილი სიყვარულს ვერ ჰშობავს. ქრისტიანული სიყვარული ლანდია, მოჩვენებაა; იგი განყენებული რელიგია გახლავს და მიწის ხალხს არ უდგება. კბილი კბილისა წილ და თვალი თვალისა წილ,—აი ნამდვილი საამქვეყნო რელიგია. იქნება მე ჩემი პირადი მტერი შევიყვარო, მაგრამ მე ჩემი მოყვასის მტერი უნდა გავსრისო და მოვსპო, ვინაიდგან მოყვასი ჩემი მე უფრო მიყვარს ვიდრე თავი ჩემი.

— მაშ შენ ანაფორა მარტო იმიტომ კი არ გაგიხდია, რომ დღევანდელ ცხოვრებას შეჰგუებოდი, არამედ იმიტომაც, რომ ქრისტეს მცნებასაც გადასცდენიხარ.

— შენ, თეიმურ, შენ კი ქრისტიანი ხარ?

თეიმურაზი დიდ ხანს სდუმდა, მერე სთქვა:

— ღმერთი არა მწამს, მაგრამ ქრისტე მაინც ღმერთ-კაცი იყო. ერთი მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხარი, ქართველ ხალხზე რას იტყვი, ივანე, განა ქრისტიანია ეგი თავის სულით და ხასიათით?

— არა, წარმართები ვართ.

— მაშ ვინ გაავსო საქართველო ეკლესიებით და მონასტრებით?

— თავ...ვვად-აზნაურებმა, მთავრებმა და მეფეებმა. მართალია, ქრისტეს სჯულის დაცვას ქართველებმა მრავალი მილლიონი შესწირეს, მაგრამ, ჩემის ღრმა რწმენით, ქართველთა ქრისტიანობა მხოლოდ ფარი იყო ეროვნულ პირსახის დასაცავად და შესანარჩუნებლად. ჩვენ სემიტები ვართ, მაშასადამე, ჩვენ უფრო მუსლიმანური ან ებრაული მატერიალისტური რელიგია გვიდგება, ვიდრე არიული ქრისტიანობა. ამიტომ გამოიცვალა ქართველთა მესამედმა ისე ადვილად ქრისტიანობა მუსლიმანობაზე, გაიხსენე იეზუიტების მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში. იქ ქრისტიანობა ისე არ ჰხარობდა, როგორც ვაშლზე დამყნილი ატამი არ ჰხარობს, წარმართობის ატავიზმი ჩვენში ყოველთვის მძლავრად ჰფეთქდა. აი, მაგალითიც. მთელმა სამეგრელომ ორ კვირაში ყველა ეკლესიები დაჰკეტა და არც დანარჩენმა საქართველომ გამოიდო ეკლესიისთვის თავი.

— ხალხი მაინც ინათლება და ჯ...ჯჯვარს იწერს.

— მართალია, მაგრამ ეგ ქრისტიანულ რწმენით კი არ მოსდით, არამედ მაგას ადათის, ჩვეულებისა და ტრადიციის შესანახად სჩადიან. გარდა ამისა, ქართველს ვერ ნახავ, რომ წარმართული სახელი არ ჰქონდეს: კუროკი, ტოგო, ტიპი, ჯვებე, პუპი, ცანგალა, ჩიკორა, დრუნჩა, დრუზა, ყბაჩა და სხვა ათასი. ევროპიელებში ან რუსებში ამისთანა ამბავს თითქმის ვერ გაიგებ. ზოგს უკვირს, რატომ საქართველოში სექტანტობა არ იყოო? იმიტომ არ იყო, ჩემო თეიმურ, რომ ქართველი ხალხი ყოველთვის ურწმუნო იყო, ხოლო სადაც რწმენა არ არის, იქ ჭეშმარიტი ღმერთის ძიებაც არ არის, ხოლო სადაც ძიება არ არის, იქ არც სექტა იქნება.

— კეთილი, ვთქვათ შენ მართალი ხარ, მაგრამ სადაც სარწმუნოება არ არის, იქ ხომ არც სიყვარულია!

— მაგას ნუ იტყვი, ჩემო თეიმურ. დღევანდელი ქვეყანა ჩვენთვის უცნაურია და გაუგებარი, მაგრამ ბოლოს-და-ბოლოს იგიც სიყვარულზე შენდება.

— ეგეც მესმის, მაგრამ ისიც ვიცი, რომ სიყვარული აი ამ ტომარას ჰგავს: თუ შიგ ჩაჰყარე რამე, ტომარა ზეზე დადგება, თუ არა და—წაიქცევა. მე არ მესმის ც...ცცალფეხა და ც...ცცალხელა სიყვარული. ცოცხალ ადამიანს მარჯვენა ხელფეხს სჭრიან და ასე ანუგეშებენ: სამაგიეროდ მ...მმარცხენა ხელფეხი გაგეზრდებაო.

— შენ შენს ხელფეხს მოუარე, თეიმურ, სხვის ხელფეხს ნუ მისდევ, თორემ ისიც გეყოფა, რაც დაჰკარგე.

— მართალი ხარ, ჩემო ივანე. მეყო, რაც შევსწირე ჩვენს ხალხს. რა მივიღე სამაგიეროდ? მათხოვრის აბგა და ჯ...ჯჯაყოს ხიზნობა.

— მწარე ხვედრი ჰქონია საზოგადო მოღვაწეს, ჩემო თეიმურ.

— შეუსმენლობა, უნდ...დდობლობა და უმადურობა, აი მისი ხვედრი.

— კეთილი, მაგრამ ზოგჯერ სხვისი წუნის დადება და [illegible] წუწუნი საკუთარი თავის უსაქმობისა და ქინის ფარია ხოლმე. ეს შენზე ვსთქვი, ჩემო თეიმურ. ერთი მითხარი, რატომ არაფერს აკეთებ?

— რატომ არ ვ...ვაკეთებ? რა უნდა გავაკეთო? ჩემს საქმეს არ მაძლევენ, სხვისას კი ხელს ვერ მ...მმოვკიდებ. თუმცა დღეს ისეთი დროა, რომ პროვიზორს მატარებელი მიჰყავს, ხოლო მემანქანე აფთიაქში მუშაობას. ერთი მატარებელს ამტვრევს, ხოლო მეორე ხალხსა სწამლავს. ასე სჩადიან სხვები, მაგრამ მე სხვის სკამზე ვერ დ...დდავჯდები.

— იწამე ახალი ქვეყანა და...

— ესე იგი, ქ...ქქედი მოვიდრიკო?

— ეს ქედის მოდრეკა არ არის. მხოლოდ გაჩუმდი და საცა არ გეკითხებიან, იქ ნუ ჩაერევი.

— გ...გგავჩუმდე?·მე? მე ნუ ჩ...ჩავერევი? გაჩუმება ჩემთვის ხომ ს...სსულიერი სიკვდილია!

— თუ მეტი გზა არ არის, მოკვდი.

— მე თვითონვე მოვკვდე? ეს ძალიან კარგი ფონია, მხოლოდ ერთ ალაგას ახჩობსო, ხომ გ...გგაგიგია?

— გამიგია. სად ახჩობს ეგ ფონი?

— ერთგან. მე თვითონ ჩემის ხელით თავს არ მოვიკლავ.

— ეხლა, თეიმურ, ეხლა არ ჰკვდები განა?

— ხორცით ვკვდები, ივანე, ხორცით მაგრამ სული ჩემია, ჩემი!

— შენია?

— დიაღ, ჩემია!

— მართლა შენია?—ერთხელ კიდევ ჰკითხა ივანემ და თეიმურაზს თვალი თვალში გაუყარა.

— ჩემია მეთქი!—ერთხელ კიდევ წამოიძახა თეიმურაზმა, მაგრამ ივანეს თვალებს რომ თვალი გაუსწორა, შეირყა და შედრკა:—შენ ალბათ სხვას რასმეს მეკითხები, ივანე: მშვიდად და დინჯად განისვენებს ჩემი სული, თუ...

— ჰო, თეიმურ, სწორედ მაგას გეკითხები.

აშლილი და აფორიაქებული თეიმურაზი უცებ მოსწყდა და მოეშვა:

— მესმის, ძ...ძძალიან კარგად მესმის. საიდან, ან როგორ უნდა ქონდეს მშვიდი გული და სული ჯაყოს ხიზანს?—მორჩილის კნავილით განაგრძო ნაკაცარმა მწიგნობარმა.—მესმის, კარგად მესმის, მაგრამ...

— მაგრამ?

— მაგრამ ისა, რომ... მალე გ...გგადავუხდი.

— როგორ? საიდან?

— ცხინვალში ან, გორში სამსახურს მომცემენ.

— შე კაი კაცო, რაღა ცხინვალში ან გორში მირბიხარ? აკი გითხარი ამას წინად, ნაშინდარში სკოლას გავხსნით მეთქი. აქვე დარჩი და შემოდგომაზე მასწავლებლობას შეუდექი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არა, ივანე, არ შემიძლიან მეთქი. ქუჩის დამგველად წავალ, მაგრამ მ...მმასწავლებლობას ვერ ვიკისრებ. მიზეზიც გ...გგითხარი: მე ბავშვს ისეთს რასმეს ვერ ვასწავლი, რაც მე თვითონ არა მწამს.

— ანგარიში და გეოგრაფია ასწავლე.

— ვნახოთ. მოვ...ვვიფიქრებ, მოვ...ვვისაზრებ. შემოდგომა ჯერ შორს არის. ეხლა კი აი რა უნდა გითხრა, ჩემო ივანე...

და თეიმურაზს ხელმეორედ აუვარდა ენის კულტურული ქავილი და კიდევ მოედო ლაყბობის მენი, რომელიც შუაღამემდის ძლივს მოითხანა და ძლივს ჩამოირეცხა.

## III

მარგო ერთ თვეში ისე გამოიცვალა, რომ მოუცლელი თეიმურაზიც კი ცვლილებას ამჩნევდა და ხანდახან გაკვირვებას ეძლეოდა:

— საკ...კკვირველია! საოც...ცცარია! ნეტა ვიცოდე, მარგო, რამ გარგო აგრე რიგად?

იდუმალ მიზეზის გამო მარგოს სპილოს ძვალი სისხლით გაიჟღინთა და მზისაგან გაირუჯა; მიმქრალ თვალებს ნაკვერცხალის შუქი დაედო: მაღალ ყელზე ორკეცი ფაფუკი ღაბაბი გამოუჩნდა; პირისახე აულაჟღაჟდა, მიმღნარი ტანი დაუსრულდა, დაშრეტილი მკერდი გაუფუვდა, თეძოებიც გაეწია და მიხვრა-მოხვრას ჯიშიან კატის სილბილე და გველის მოქნილება მიეცა.

რამ არგო აგრე რიგად მარგოს? თეიმურაზი ამბობდა:

— აი, რა ძალა ჰქონია სოფლის სიმშვიდეს, ს...სსუფთა ჰავას და ნოყიერ ჭამა-სმას!

ჯაყო კი გულში იღიმებოდა და გულშივე ამბობდა:

— ვიცის ჯაყომა, რაც მოუხდა მარგოსა, ვიცის! ჰავა, წამა-სმა და...ჯაყოს მკლავები, მაშ, მაშა! ჯაყომ მარგოს ჯადო გაგიკეთე, უკვდავების წყალი დაგალევინე და მარგოც იმიტომ გაცოცხლდი, მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

და უბირი ჯაყო უფრო ხშირ-ხშირად და მოურიდებლად ეტანებოდა მარგოს: ხან ბნელ ოთახში შეუცოცდებოდა, ხან გოდრების უკან მიატანდა, ხან ვენახში მიუსწრებდა და ხანაც ბოსელში შეიმწყვდევდა.

მაიმუნივით მრუში და მსუნაგი ჯაყო ძაღლივით იკბინებოდა, ამიტომ მისი ნაკბილარის დასამალად მარგომ კაბები გადააკეთა და მკერდი და მხრები დაიფარა.

ჯაყოს და მარგოსაც თეიმურაზის ჩანჩალი და ხეტიალიც ხელს უწყობდნენ. თუ თეიმურაზი სახლიდან წასვლას დააგვიანებდა, ჯაყო ან თოფს ან ფაცერს გამოუტანდა და ეტყოდა:

— ნათლია, ჯაყოს ძალიან მოგინდა ახალი თევზი... კნეინას გულით გინდა მწყერი. აბა, მოგიტანე მარგოს ცოტა საჩუქარი.

თეიმურაზსაც უხაროდა:

— ეხლავე, ჯაყო, ეხლავე. მივდივარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლში თეიმურაზი მოწყენით იყო. ჯაყო მას ერიდებოდა, თითქოს თითქმის ხმას არ სცემდა.

როცა დაქანცული თეიმურაზი უკან დაბრუნდებოდა, ხშირად გაიგონებდა ხოლმე ჯაყოს ღინცილს და მარგოს მაღალს, მოხდენილ სიცილს. მაგრამ როცა გალაღებულნი არშიყნი თეიმურაზს დაინახავდნენ, სიცილ-კისკისს დაუკლებდნენ და ერთმანეთს დაშორდებოდნენ.

ერთხელ ჯაყომ უთხრა მარგოს:

— შენისთანა კნეინას არ გიხდება ასეთი ფინთი ოთახი.

და იმავე დღეს დაკეტილიდან გამოიტანა ხალიჩები და ფარდაგები, ნაქსოვი ფარდები და ხავერდის ავეჯი, ლბილი სავარძლები და მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული სარკეები, მარმარილოს პირსაბანი და ერთი განიერი ინგლისური ტახტი.

მარგო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. გახარებულ ბავშვივით სცქმუტავდა, კისკისებდა, ფუსფუსებდა და ლაღობდა. როცა ოთახის დალაგება გაათავეს, გულაჩუყებული და მადლიერი მარგო ჯაყოს გაპოხილ კისერზე ჩამოეკიდა:

— ჯაყო, ჩემო კარგო!.. ჩემო მეგობარო!

ჯაყომ მარგო ბავშვივით აიტაცა, დალოშნა და მიაძახა:

— მაშ, მაშა! აგრე ვიცის მარგოსთვის ჯაყომა!

თეიმურაზი თევზაობიდან დაბრუნდა. ოთახი ველარ იცნო. თვალებს იფშვნეტდა და ჰკვირობდა:

— საკკკვირველია!.. ს...სსსაოცარია!

მერე იცნო თვისი ხალიჩები და ავეჯეულობა, სუზანები და პირსაბანი, რომელნიც—ჯაყოს სიტყვით—რამდენიმე წლის წინად იქაურმა ხელისუფლებმა წაიღეს.

იცნო და ისევ გაიკვირვა:

— საკკვირველია! სად იყო აქამდის ჩვენი ნივთები? ჯაყო ამბობდა, ზოგი მოიპარესო, ზოგიც ხელისუფლებამ წაიღოო.

— კარგი, გაჩუმდი!—შეუტია მარგომ.— ხმა არ ამოიღო. სირცხვილია, სტუმრები ვართ. უფასოდ გვასმევენ და გვაჭმევენ. ესეც საკმარისია.

თეიმურაზმაც თავი მოიკატუნა და ჯაყოს მადლობა გადაუხადა ესოდენ ზრუნვისთვის, მაგრამ მას არც ნივთეულობის დაკარგვა გაახსენა, არც მისი პოვნა გამოჰკითხა.

ამის შემდეგ ჯაყო თეიმურაზს და მარგოს აღარ ერიდებოდა და რომელიღაც ჯურღმულიდან თავისთვისაც ხელი-ზედ გამოჰქონდა ოქროს ვარაყიანი სურათები, ატლასის სავარძლები, მოქარგული სუზანები, ფაიფურის ჭურჭელი, აბრეშუმის საბნები და მრავალი ისეთი წვრილმანი, რომელიც აღარც თეიმურაზს და არც მარგოს ახსოვდათ. მაგრამ უმთავრესი განძეულობა, რომელიც რკინით ნაჭედ უზარმაზარ მუხის სკივრში იყო ჩაწყობილი, მაინც არსად სჩანდა. ბოლოს ჯაყომ უნებურად ერთი ძვირფასი ნივთი კიდევ გამოაჩინა. ერთხელ თეიმურაზი საღამო ჟამზე აივანზე იჯდა და მივიწყებულ ძველ წიგნს კითხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდა. ჯაყო წინა დღით ქორწილში წასულიყო. უცებ ცხენისა და ჯაყოს ქიხვინი მოისმა:

— მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

და გალეშილმა ჯაყომ გაქაფული ბედაური ეზოში შემოაჭენა. სარკმელში გადმომდგარ მარგოს თვალი მოჰკრა და კვლავ დაიხვიხვინა:

— ჯაყო გენაცვალე ნათლია მარგოსა, მაშ, მაშა!

მერე თეიმურაზიც დაინახა და იმასაც სალამი მისცა:

— ჯაყო გენაცვალე ორივე ნათლიასა. როგორა ხართ?

და ცხენიდან მარდად გადმოგორდა. თეიმურაზმა თვალი მოჰკრა ცხენის საუცხოვო რახტს და იცნო იგი. მთელი რახტი,—საძუე, გულისპირი, ლაგამი, უნაგირის თავი და უზანგები—მოოქროვილ ვერცხლით იყო შეჭედილი, ხოლო ალაგ-ალაგ იმ რახტზე მსხვილი ლალი, ფირუზი, მარგალიტი და ზურმუხტი იყო გაბნეული.

ჯაყო კიბეზე ამოგორდა, ხოლო მეშტამ ცხენი უმალ სახლს მიაფარა. იცნო თეიმურმა მამა-პაპეული განძი და მოიგონა გუშინწინდელი დღე. ჯაყო ქორწილში უნდა წასულიყო, მაგრამ მას ალბათ არ უნდოდა რახტის გამოჩენა, ამიტომ მარგოსთვის ახალი თევზი მოიმიზეზა და თეიმურაზი ლიახვზე გაჰგზავნა, ხოლო თვითონ, იმ ძვირფას რახტზე გაჰიმული, ქორწილში გაემგზავრა.

იმავ საღამოს მარგომ ერთხელ კიდევ შეუტია თეიმურაზს:

— ხმა არ ამოიღო, სირცხვილია.

მარგოსაც რომ არაფერი ეთქვა, თეიმურაზი კულტურულად გაჩუმდებოდა, და გაჩუმდა კიდევაც.

IV

ერთი ხანია, რაც ჯაყოს ცვლილება დაეტყო. წინათ, სანამ მარგოს დაიახლოვებდა, თავით ფეხებამდის ქონში იყო ამოვლებული და პირსახე და ხელებიც მუდმივ ზეთით გაპოხილი და ჭუჭყით ჩაშავებული ჰქონდა. მარგომ თანდათან ხელი მიჰყო ჯაყოს გასუფთავებას, გაკაცებას, გალამაზებას და გარეცხვას. რად ეტყოდა ხოლმე:

— ჯაყო, თავი დაიბანე!.. ჯაყო, კბილები გამოიწმინდე!.. ჯაყო, საცვალი გამოიცვალე!... ყურები გამოიჩიჩქნე!... წვერი გაიპარსე!.. ცხვირს თითეხშიბით ნუ იხოცავ!...

და თითონაც ჰშველოდა, ასწავლიდა და ნესესერის იარაღს ათხოვებდა. ჯაყოც თან-და-თან შეეჩვია სისუფთავეს და მალე დაეტყო იერის გამოცვლა.

ქალაქში რომ წავიდნენ, მარგომ ჯაყო კბილის ექიმთან წაიყვანა და ყავის ფერი კბილები გაათეთრებინა. მერე თითქმის ძალით აყიდვინა ახალი ჩოხა, თეთრეული, ხელის საპნები, კოხტა ჩექმები, თხელი წინდები, ბუხარის ქუდი, ცხვირსახოცები, წიგნები, რვეულები, ცარცი და კბილების საწმენდი.

იმ დღიდან სოფლის დალაქი ყოველ დღე ჰპარსავდა ჯაყოს.

და ჯაყოც გამოიცვალა: ბანჯვლიანი დათვი პირგაპარსულ მაიმუნს დაემსგავსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაყომ მყრალი ყალიონიც გადააგდო და მარგოს ხელით გაკეთებულ სოფუმის პაპიროსს ეწეოდა. თანდათან ოფლის სუნიც მოიშორა და ტანის ქონიც ჩამოირეცხა.

მარგომ ჯაყოს ახალუხი და საცვლები თვითონ შეუკერა, თავით-ფეხებამდის ჩააცვა, ხევისთავთა ხმალ-ხანჯალი ჩამოჰკიდა, და ჰკითხა.

— აბა, შეადარე შენი თავი წინანდელ ჯაყოს, როგორ მოგწონს ახალი ჯაყო? და სარკეში ჩაახედა.

ჯაყო მთვარესავით გაიბადრა:

— აი, ეხლა კი კაცი გახდი ჯაყოი! როგორ გიხდება ჯაყოსა ყველაფერი! ეხლა ჯაყოს მარტო ხევისთავის გვარი და შენისთანა კნეინა გაკლია.

და იმ სარკეს ძლივს-ღა მოჰშორდა.

მერე სოფელში გავიდა, მთელი დღე დოინჯ-შემოყრილი კარ-და-კარ დადიოდა და თავის თავს ქვეყანას აჩვენებდა, თანაც წარა-მარად ბაქიობდა:

— როგორი ბიჭი ხარ ჯაყოი?! მაშ, მაშა! აგრე ,ვიცის ჯაყომა! დაიცადებდე, ჯერ წიგნიც ისწავლო ჯაყომა, მერე ნახეთ ჯაყოი!

დედა-ენას ჩაუჯდა და გულმოდგინედ იწურებოდა:

— აი თითი... თათი... აი თათი... თუთა...

ერთი კვირის შემდეგ მარგოს შეგირდი რვეულში გოჯის ოდენა ასოებით სჯღაბნიდა: „ჯაყო ხევისთავი... გენაცვალე მარგოსა."

მერე თავის ოთახიდან ათიოდე სხვა-და-სხვა ნაირი ჩხიოები და ჯოხები გამოიტანა, რომელზედაც თვისი დავთარი ჰქონდა დაჭდეული, და ორი დღე იმ ჯოხებიდან ცალკე რვეულში ალებ-მიცემის ანგარიში გადაჰქონდა: „გიბა ფუხაშვილი გმართებს ჯაყოსი ცხრა კოდი სიმინდი... სოლო გელაშვილი გმართებს ხუთი ჩანახი ლობიო... სანდრო თვაურსა რვა ფუთი მატყლი"...

დასწერა და განაცხადა:

— მორჩი და გათავდი! ახლა ჯაყოი ნასწავლი კაცი ხარ. ახლა ჯაყოსა ვერავინ მოგატყუებდე. ახლა ჯაყომ ბუღლატერიაც ვიცის, მაშ, მაშა!

და მარგოს შეეხვეწა:

— მარგოჯან, ერთი ქაღალდი დაგწერე ქალაქში, რომ ჯაყოს გაზეთი გამოგიგზავნებოდეს. ჯაყოს ძალიან გინდა იცოდე ქვეყნის ამბები და ახალი ზაკონები, თორემა ილაი და ნინიკაი გჯობნიან, ისინი სულ იციან ზაკონები და საწყალ ჯაყოს გიბრიყვებენ.

ჯაყოს ნათესავები თვალხილულნი იყვნენ, მაგრამ თავიანთ მრისხანე ბატონს თვალს არიდებდნენ, ხოლო თეიმურაზს მარგოსთვის არც ეხლა ეცალა:

ან დილიდანვე სათევზაოდ წავიდოდა, თან ყველსა და პურს წაიღებდა და საღამოზე ზეიმით და რიხით ორიოდე ჭიჭყინას მოათრევდა, ან საფანტის თოფს გაიდებდა მხარზე და საღამოზე ორიოდე მწყერს მოაჩანჩალებდა.

ხან მინდორში გაჰყვებოდა გლეხებს და თიბვა-მკაში ცოდვილობდა, ხან უსაქმოდ დატანტალებდა ჰალებსა, კალოებსა და მინდვრებში, ხან ბუნების შეცნიერებას აიჩემებდა და ქაქანით ათასნაირ ჭია-ღუას, მწერსა და პეპელას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასდევდა, ხან კიდევ ყოველგვარ ბალახ-ბულახს, ხავსს, ქარაგოზს და მცენარეულობას აგროვებდა, ახმობდა და ამბობდა:

— გერ...რრბარი უნდა შევადგინო. კარგ ფასში გავ...ვვყიდი.

სოფლის ბიჭები სიცილით იხოცებოდნენ:

— გამხმარ ჭიაყელაში და მატიტელაში ფული უნდა მოიგოს ხევისთავმა. აბა, ბიჭებო, ჩვენც ვუშველოთ!

და ყოველ-დღე ახალ-ახალი ბუზები, ჭიები და ბალახ-ბულახი მოჰქონდათ თეიმურაზთან.

თეიმურაზი საათობით ძველ ლექსიკონს ჩქქავდა, საპოვნელს იპოვნიდა, ნიმუშს თავის ალაგას დააბინავებდა და შესაფერ წარწერას წააწერდა,—ლათინურს, რუსულსა და ქართულს.

როცა ლექსიკონის ჩხრეკა მოსწყინდებოდა, ცუდმავალი თეიმურაზი ისევ სოფელს და ბალებს მოედებოდა.

ჭია-ღუების დევნა რომ მოჰბეზრდებოდა, ხან ჯაყოს ბაღში ერთი საათის ჩხირკედელობით ოდნავ ოფლს მოიდენდა, ხან საზაფხულოდ ნაშინდარში ამოსულს სოფლის მასწავლებელს აუხირდებოდა, ხან გაკრეჭილ ღვდელს ივანეს ან სხვას ვინმეს შეებმეოდა და იქამდის არიგებდა და ეკამათებოდა, სანამ ენა არ დაებმებოდა და ყელის ძარღვები არ დაუწყდებოდა.

ჯაყოს ხიზანს ქალაქიდან ახალი ჩვეულება მოჰყვა, რომელიც შეუმჩნევლად და თანდათანობით განუვითარდა და გაუძლიერდა: საკუთარ თავთან საუბარი, მსჯელობა, კამათი და დავა. სოფლელები ხშირად ხედავდნენ ერთ ალაგზე გახევებულსა და გაშტერებულ ნაკაცარს, რომელიც ცხვირ-წინ თითებს ითამაშებდა, ხელებს იქნევდა და უცნაურსა და გაუგებარს რასმეს ჰბოდავდა, ზოგჯერ კი მათ ყურამდის ორიოდე სიტყვაც მიაღწევდა: „ს .. სსაკვირველია!.. ს... სსაოცარია!» გლეხები ხმამაღლა იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ, მაგრამ ორეულთან ბაასში გართობილ მწიგნობარს მათი სიცილი და მასხრობა არ ესმოდა.

კვირა დღეობით და საღამოობით თეიმურაზი სოფლის რომელიმე კუთხეში ან ერთ-ერთ გლეხის ეზოში ლექციებს ჰკითხულობდა შესახებ ქვეყნის ტრიალისა, ცხოვრების კანონებისა, ჩვენის ჩამორჩენისა და ევროპის დაწინაურებისა. ხალისით უამბობდა პირდაღებულ გლეხებს ნასმენს და ნახულს, უხვად აბნევდა დარიგებას და ჰქადაგებდა მშვიდობას, ძმობას, ერთობას და თავისუფლებას.

მადააშლილი გლეხები ყურს უგდებდნენ გაქადაგებულ თეიმურაზს და ხან-გამოშვებით წამოიძახებდნენ:

— ეჰეე, ერთი დახე ი ჩემა ნალებსა! მაშ აგრე ადვილად დადიან ი ეშმაკები წყალქვეშა?

— ეგ კ...კკიდევ არაფერი. ჰაერშიც დაფრინავენ.

და აუწერდა ავიაციის დღევანდელ ვითარებას.

— ეჰეე! ჩვენ არა გვვანებიან, ე ურმებით რომ ძლივს დავცოცავთ!

— ამ...მმერიკაში რვა სულზე ერთი ავ...ვვტომობილი მოდის... იქ ერთ დღი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ურზე ოთხმოცი კოდი ხორბალი მოჰყავთ, ჩვენში კი თხუთმეტი კოდიც ძლივს მოვა.

— პა, პა, პა! ერთი დახე, რა ხალხი ყოფილა, და!

მერე იმ გლეხებს წინ გადაუშლიდა საერთაშორისო ვითარების რთულ ნაქსოვს, სოფლურ ბნელ გონებას უარესად დაუბნელებდა და თვითონაც თავისივე დახლართულ ქსელში გაებმეოდა.

თეიმურაზმა არ იცოდა, რომ მან იმ დროს ბევრი არაფერი იცოდა, რომ იგი ძველსაც მოსწყდა და ახალსაც ვერ მიეკედლა, რომ მას ყველა გზები აერია და რომ იგი ახალ ქვეყანას განუზომელ მანძილზე ჩამორჩა, და რომ ეს უცნაური ცხოვრება და თეიმურაზი ერთმანეთს ველარ სცნობდნენ, ველარ ურიგდებოდნენ და ერთ კალაპოტში ველარ ეტეოდნენ. თევზივით ნაპირზე გარიყული ნაადამიანევი სულს ძლივსღა ჰლაფავდა და წყალწაღებულ თავს უიმედო იმედით ინუგეშებდა და სხვებსაც ანუგეშებდა.

— არა უშ...შავს რა, კიდევ წამოვდგები ფეხზე. თქვენს სიკეთეს არ დ...დდავივიწყებ და ერთს ათად გადაგიხდით

და თავის იმედი, უხვი დაპირება და უკეთესი მომავალი გულში თვითონაც აღარ სჯეროდა.

როცა მოღლილი და მოქანცული თეიმურაზი ლაპარაკით გულის ჟანგს მოითხეკდა, სულის ობს მოიბანდა და აქავებულ ენას მოიფხანდა, სახლისკენ გასწევდა, გლეხები კი ლასლასით მიმავალ ნაბატონევს თვალს გააყოლებდნენ და სიბრალულით იტყოდნენ:

— ჰაი დედასა! ეგეც კაცი იყო და ცხოვრობდა, ეხლა კი ჯაყოს სამადლოდ გაიხადა თავი.

— თვითონ არ გაიხდიდა სამადლოდ თავს. ცხოვრებამ მოზნიქა, თორემა ე სახლ-კარი და ბაღ-ვენახი მაინც შერჩებოდა.

— ერთი დახე, წინანდელს რომ მაინც არ ივიწყებს! იმედს არა ჰკარგავს, რომ ჯაყო, ნინიკაი და თედო ი ბაღებს და ნაფუზრებს ისევ დაუბრუნებენ.

— ვერ მივართვი!

— ვინა, შენა?! სხვისი კი რა ვიცი და, მე კი იმ მიწაში მოვიკლავ თავსა და ცოცხალს თავით ი ნაფუზრებს არავის დავანებებ.

გლეხები თეიმურაზს ხშირად მიჰმართავდნენ ხოლმე რჩევისა და დარიგებისთვის.

— თეიმურაზ, ახალი კანონი გამოსულა მიწების გაყოფაზე. შენი ჭირიმე, გაგვაგებინე.

— ახალი კან...ნნონებისა მე არაფერი ვიცი და არც მინდა ვიცოდე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ კანონი ქაღალდზე იწერება, ცხოვრება კი თავის გზით მიდის და წავა.

— თეიმურაზ, ერთი გვასწავლე, შენი ჭირი მე, როგორ უნდა გასუქდეს მიწა?

— დიდის სიამოვნებით გ...გგასწავლით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და თეიმურაზი ისეთს რთულსა და განყენებულ ლექციას წაუკითხავდა, თითქოს მეცნიერთა ყრილობაზე მოხსენებას კითხულობსო.

— სასუქის ამ თეორიას ჰქვიან ლიბ...ბიხის კანონი... მცენარეს უმთავრესად სჭირდება აზოტი, ფოსფორის სიმჟავე, კალიი და კირი.

— ჩვენ მაგისი არაფერი გვესმის. გვითხარი, როგორ გავასუქოთ მიწა, ან რა დავაყაროთ?

— დააყარეთ გუანა, ნეხვი...

— ჩვენ არა გვაქვს გუანაა/თუ რაღაც ჯანდაბაა, ნეხვი კი გაგვაქვს მინდორზე, მაგრამ, ამბობენ, სხვანაირად უნდა შევინახოთო, თორემ ჩვენებური ნეხვი, ჰაერზე რომ ჰყრია, იფიტებაო. გვითხარი, როგორ შევინახოთ?

ეს კი თეიმურაზმა არ იცოდა არც ის იცოდა, მწივნობარმა, რომ ქართლში რუსული ფურგონი და ცხენი ურმისა და ხარ-კამეჩის მაგივრობას ვერ გასწევდნენ, რომ შვეიცარული ან ჰოლანდიური ძროხები ქართლის მინდვრებში ვერ გასძლებდნენ, რომ ჩვენი გლეხი მსუბუქსა და იაფ ქალამანს არ გაიხდიდა და მძიმე ჩექმას არ ჩაიცვამდა, რომ ნაშინდარში მუსკატის ღვინო არ მოვიდოდა, რომ ქართლი ბელგია არ იყო, ხოლო ქართველი ინგლისელს არ წააგავდა, მაგრამ მაინც მუდმივ თავისას გაიძახოდა და გამოცდილ გლეხებს ისეთს დარიგებას აძლევდა, რომ მისი გამოყენება ან არავის შეეძლო, ან ვიდევ საზარალო და სახიფათო იყო. რაც გლეხს სჭირდებოდა, თეიმურაზმა არ იცოდა, რაც თეიმურაზმა იცოდა, გლეხს არ სჭირდებოდა. გლეხებმა მალე გაიგეს თეიმურაზის უვარგისობა და იმის დანარიგს რომ ერთ ყურში შეიშვებდნენ, მას უმალვე მეორე ყურიდან გაუშვებდნენ.

თეიმურაზის ჰაზრი და სიტყვა ხშირად დასტრიალებდა მიწას, სახლკარსა და ციხე-დარბაზს. ნათავადარი ჯერ კიდევ იმედს არ ჰკარგავდა. სახნავსათესი გულიდან ამოიყარა, მაგრამ ქვეყნის გადაბრუნებას და სახლ-კარისა და ბაღ-ვენახის დაბრუნებას დღითი-დღე მოელოდა. ჯერ-ჯერობით კი კვლავ ჩანჩალით დაეხეტებოდა და თავის დახაშმულ სიცოცხლეს ძლივს დაათრევდა, რომელიც თავმობეზრებულ ჯაყოს ხიზანს აყროლებულ ძაღლივით ისევ კისერზე ეკიდა.

V

ერთხელ ჯაყომ თეიმურაზს ჰკითხა:

— ბრინკა, სამსახური იშოვნებოდე?

— მართლა, სამსახური, დ... დღამავიწყდა.

და მეორე დღესვე თეიმურაზი სიცხე-პაპანაქებაში გორის გზას დაადგა და საღამოზე ლასლასით ძლივს ჩავიდა.

მესამე დღეს ნახულცარ ივანეს ურემს ჩამოეკონწიალა და უკანვე წამოვიდა.

ივანემ და თეიმურაზმა იმ გზასავით გრძელი ბასი გააბეს, კვლავ ძველი და ახალი მოიგონეს, ერთმანეთს შეადარეს და მომავალში შეიხედეს·

— ვილუპებით. —სთქვა თეიმურაზმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვშენდებით.—უპასუხა ივანემ.—ქართული სული და კულტურა მხოლოდ ეხლა ილვიძებენ.

— ხა-ხა!— გესლით ჩაიხითხითა თეიმურაზმა.—ქართული სული! ქართული კულტურა! ქართული სული ზღაპარია, ქართული კულტურა ჭორია! ერთი სული მხოლოდ ერთს მთლიან ერს აქვს, ქართველობა კი, როგორც ფსიქიური და ეროვნული ერთეული, არ არსებობს. აბა, დააკვირდი, რა აქვთ საერთო ქართლელს და მეგრელს, კახელს და ქვემო იმერელს, ხევსურს და გ...გგურულს? დომხალივით არეულან არიელი და სემიტი, აზია და ევროპა, სლავი და თურანი, სპარსელი და ურია, თურქმენი, ავლნელი, ლეკი და თათარი. ვისი სისხლი არ გვიდგა ძარღვებში, ვისი სული არ გვიტრიალებს სასულეში?!

— მერე რაო? რომელმა ხალხმა შეინახა აურეველად თვისი სისხლი და სული? დღევანდელ ბერძნებს სლავიური სისხლი უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ელინური.

— სწორედ იმიტომ ჰგგგვანან ძველს ელინებს, არა? ხა-ხა! თავით-ფეხებამდის ლევანტიელები არიან, ოდესღაც ჯიშიანი მერანი უჯიშო ჯორცხენად გადაიქცა. ათ-სისხლიან მეტისს არც წარსული აქვს, არც მომავალი. ელლინთა გენიალობამ თვისი თავი მოიჭამა და კაცობრიობისთვის უკვე დაიშრიტა. იგი მოკვდა.

ერი უკვდავია.

— უკვდავია მხოლოდ მეტაფიზიკური ბოდვა, ცრუ და მისტიური ზღაპარი. ეხლა უკვდავება შეყვარებულ სტუდენტსაც აღარ სჯერა. რაღა შორს წავიდეთ: აქვე, ჩვენივე გვერდით, წინა აზიის გულში საშმუდამოდ აღიგავა დედამიწის ზურგიდან და კაცობრიობის ხსოვნიდან ასიოდე ერი, შეიძლება ორასიც და ხ...ხუთასიც. ისტორიამ მათი სახელებიც კი არ იცის. ან გაიხსენე განსვენებულნი ფინიკეთი, კართალენი, ეგვიპტე, აცტეკები, ინკები, ასურელნი, ბაბილონელნი, ამორეველნი და ქალდეველნი, თუნდ ურარტუელნი ან ალაროდნი, ან სუმერიელნი, ხეტნი და ასნი და ათასნი მათნი ნათესავნი, წინაპარნი და მეზობელნი,— ყველანი დრომ შ...შესჭამა და მოინელა, ხოლო დროს წინაშე უკვდავი არაფერია, მასთან შედარებით ღმერთიც კი უძლურია. ჩვენც იმ გადაშენებულთა ბედი მოგ...გვველის.

— თუ აგრეა, მაგისთანა ბედი ყველას მოელის.

—მართალია, მაგრამ ჩვენ ხვალ ან ზეგ უკუნეთს უნდა ჩავბარდეთ, ზოგნი კი მხ...ხხოლოდ გუშინ დაიბადნენ.

— თუნდ აგრეც იყოს. ჩვენ წავალთ, კაცობრიობა კი დარჩება.

— კაცობრიობა! კაცობრიობა! ისე ახირებულხარ, თითქოს კაცობრიობა მართლა არსებობდეს! ერთი ამბავი მაგ...გგონდება. ოციოდე წლის წინათ გენერალმა ალიხანოვმა გურია დაანგრია და გადაჰბუგა. იმავ ხანებში საფრანგეთში ერთი მაღარო ჩამოინგრა და ასიოდე კაცი გასჭყლიტა. გორელებმა წარმოდგენა გამართეს და ორმოციოდე თუმანი იმ მუშების ქ..ქქვრივ ობლებს გაუგზავნეს. გორელებს ვკითხე, გურულებს რამდენი გაუგზავნეთ მეთქი? არაფერიო. გურულებსაც ვკითხე, ფრანგებმა რა დახმარება მოგცეს მეთქი? არაფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიო. იმ ფრანგებსაც რომ ჰკითხო, რომელთაც ჩვენი წვლილი მიუყვიდათ, ს...საქართველო სად არისო, ან სამხრეთ აფრიკას დაატაკებენ თითს, ან კიდევ რომელიმე ტროპიკულ კუნძულს!. არა, ჩემო ივანე, კაცობრიობა და ჩვენ ერთმანეთის ნათესავები არა ვართ. მილიარდერს მორგანს ან გენიოსს ედისონს ასი ან ორასი მილიონი კაცი იცნობს, ისინი კი ათასსაც არ იცნობენ. ასე ვიცნობთ ერთმანეთს ჩვენც—ქართველები და კაცობრიობა.

— თეიმურ, განა ცხადი არ არის, რომ კაცობრიობის კეთილდღეობით ჩვენი ხალხიც მოიგებს?

— ცხადია, ცხადზედ ცხადია! მოვ...ვიგებთ, უეჭველად მოვიგებთ, თუ ამერიკელებმა და ფრანგებმა თავიანთ გატენილ ჯიბეს ჩვენი გახვრეტილი ჯიბე შეუერთეს და მერე ორივე ჯიბის ქონება შუაზე გაგვიყვეს. ოღონდაც, რომ ჩემთვის ხელსაყრელია მორგანთან გაამხანაგება, ჩვენი ქონების გაერთიანება და მერე მისი განაწილება!

— ვინც კაცობრიობისთვის მუშაობს, ის თავის ქვეყნისთვისაც მუშაობს.

— არც ეგ არის მართალი ყველანი თავისთვის სცხოვრობენ, მხოლოდ რუსები და ქართველები ზრუნავენ სხვებისთვის. მე რომ ჩემი სიყვარული და ენერგია მთელ კაცობრიობას გავუნაწილო, ჩემს ძმას ერთი მემილიარდედიც არ ერგება. მე კი გეუბნები, ივანე, რომ ვინც თავის ძმისთვის მუშაობს, ის კაცობრიობისთვისაც მუშაობს.

— ვთქვათ, შენ მართალი ხარ. მერე, რატომ შენ აღარ მუშაობ ქართულ კულტურისათვის?

— ჰმ! ემსახურე ქართულ კულტურას!— გულაჩუყებულ ბავშვის კილოთი წამოიძახა თეიმურაზმა.—ისე ადვილად ლაპარაკობ, თითქოს ჯაყოს ხიზანს კულტურის სამსახური შეეძლოს.

— ნუ მოიყვანდი საქმეს ჯაყომდის. თავიდანვე უნდა თადარიგი დაგეჭირა.

— ეჰ, შე დალოცვილო! დ..დაგიჟინია თადარიგის დაჭერა. რატომ შენ თვითონ არ დაიჭირე თადარიგი? რა გინდოდა, ლვდლად რომ შეხვედი? შენ დროზე უშველე შენს თავს, მე კი უკვე დ...დდავიგვიანე. ეს არის განსხვავება, მეტი ხომ არაფერი?!

— განსხვავება დიდია, ჩემო თეიმურ, ძალიან დიდი. მე ეკლესიის მსახურება მოვწყდი და ხალხს დავუბრუნდი, შენ კი ძველსაც მოსწყდი და ახალსაც ვერ შეურიგდი.

მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა.

— ქართულ ერს და ქართულ კულტურაზე ვლაპარაკობდით.—გაიხსენა ბაასის სათავე თეიმურაზმა.—საიდან და როგორ უნდა შექმნილიყო ერთიანი ქართველი ერი და კულტურა?! ორი ათასი წელიწადი მაინც იქნება, რაც ამერეთი და იმერეთი ერთ ნაჭერ მიწაზე ვსცხოვრობთ, ერთად კი, ერთიან სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში ორასი წელიწადიც არ გვიცხოვრნია. ერთმანეთს ჰირიანებივით გავურბოდით და ისე ვერიდებოდით, თითქოს სხვადასხვა ტომისა და სისხლისანი ვიყავით. მუდმივ ცალ-ცალკე ვილუპებოდით და ცალ-ცალკე ვშენდებოდით. საქართველო ყოველთვის ორპირი ან სამპირი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი პირისახე რომ აღმოსავლეთისკენ ჰქონდა მიღრეცილი, მეორე დასავლეთისკენ იხედებოდა, მესამე კი ან სამხრეთისკენ ჰქონდა მიბრუნებული, ან ჩრდილოეთისკენ. ეროვნული ნებისყოფაც და ენერგიაც ასე დაგვეფანტა.

— ეხლა ხომ გაერთიანებული ვართ. შენც შეები საერთო უღელს და შენი წილი გასწიე. თუ სულიერ კულტურას ჩამორჩი, ქონებრივს მაინც დააწვებოდი.

— კაცო ივანე, მე რა მოსატანი ვარ? მე დავილუპები თუ ავშენდები, ქართველ ხალხს არც ევნება, არც შეერგება.

— აბა მაგას როგორ ამბობ, თეიმურ? ხალხი შენისთანა უჯრედებისაგან შესდგება.

— მართალია, მაგრამ გავაფართოვოთ მსჯელობის ფარგალი. ერთი მითხარი, თავის ხასიათით და სულიერ აგებულებით ქართველი ხალხი დემოკრატია თუ არისტოკრატი?

— ვისაც ვუცნივართ, არისტოკრატებში ჩაურიცხივართ.

— გიშველა ღმერთმა!. მაშ ცხადია, რომ ქართველი ხალხი საშინელ ძალას ატანს და ამახინჯებს თავის თავს. ერთი გამაგებინე, როგორ მოხდა ასეთი უცნაური სასწაული: ზნე-ჩვეულებით, სულით და სისხლით არისტოკრატმა ქართველმა ხალხმა როგორ მოახერხა დამყარება უუდემოკრატეულ რესპუბლიკისა? ხომ გახსოვს, რამდენიმე წლის წინათ მთელი ქვეყანა რომ შევსძარით რიხიან ყვირილით და ბაქიობით: მოდით, გვნახეთ და ჩვენგან ისწავლეთ ნამდვილი დ...დემოკრატიულ რესპუბლიკის აშენება და ნამდვილი ხალხოსნური წესრიგიო?! შუა აზიაში მეორე შვეიცარიის„ შექმნა განვიზრახეთ. ხა-ხა! სასაცილოა. მაგრამ სატირალიც არის ეს ამბავი, ჩემო ივანე. იგი ცხადად ამტკიცებს ჩვენს ფლიდურს, ორპირსა და ორგულ ბუნებას. ეს იყო ყირამალა დგომა და საკუთარ ქერქიდან ამოხტომა. ჩვენ ჩვენს თავსაც ვატყუებდით და ქ...ქქვეყანასაც, ესეც ჩვენი კუდაბზიკურ-აზნაურული მაიმუნობა გახლავთ. ბოლოს-და-ბოლოს საქ...ქართველოს ეს„მაიმუნობა დაჰღუპავს, თუ დროზე არ ვუშველეთ ჩვენს თავს. წამბაძველობის ნიჭი, ჩემო ივანე, უდიდესი საჩუქარია, მაგრამ ღმერთმა გადააჭარბა: მან ჭკუა დაგვაკლო და წაბაძვის ნიჭი ნაჭ...ჭარბევათ მოგვცა. ჩვენც ამიტომ დავემსგავსეთ მაიმუნს. სადაც არ გვყოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, იქ უცხოელთა წაბაძვით ვლამობთ ფონის გასვლას და ლელოს გატანას.

ივანემ კვლავ გაიცინა.

— შენ იცინი, მე კი ცრემლი მომდის.—განაგრძო თეიმურაზმა.—ჩვენს აზნაურობაზედ მოგახსენებდი. ყველანი ბუნებითვე აზნაურები ვიყავით, ვართ და დავრჩით. ყველა შრომას გ...გაურბის და მინისტრობას და კომისრობას თუ არა, იმის ამხანაგობას მაინც ეტანება. მთელი საქართველო ს...სამსახურს ეძებს. მილიცია, კანცელარია, თვეში ხუთი ან ათი თუმანი ჯამაგირი, ერთი სიტყვით, სამსახური, ისევ სამსახური და მუდამ სამსახური,—აი ჩვენი საქმე და იდეალი.

— ვაიმე, ჩემო თეიმურ,—გააწყვეტინა ივანემ,—შენ ამ ქვეყნისა აღარ ყოფილხარ. მე კაი კაცო, თუ აქამდის არ იცნობდი ჩვენს მშრომელ ხალხს,

ეროვნული

ეხლა მაინც დააკვირდი. ამბობ, ჩვენი ხალხი შრომას გაურ[illegible] შუა ძილში ხარ შესული, მთელი სოფელი მინდორშია გაკრეფილი. ჩვენ დილის ოთხი საათიდან საღამოს ცხრა საათამდის ვმუშაობთ. მერე როგორ! ძვლებს ვიმტვრევთ, ძარღვებს ვიწყვეტავთ და სამად ვიკეცებით.

— ზამთარში კი ისვენებთ.

— ეგეც ტყუილია. ზამთარშიც კი კამეჩივით შევებმევით ხოლმე ურემში და ტყეში დავდივართ. სხვა ჩვენ მაგივრად იმ ყინვაში და თოვლში ერთ საათსაც ვერ გასძლებდა. ჩვენი გლეხისთვის ეს ცხოვრება მუშაობა კი არ არის, არამედ განუწყვეტელი წამებაა, შენ კი ამბობ, შრომა გვეჯავრებაო. ჩვენ შრომას კი არ გავურბით, უნაყოფო წამებას ვერიდებით. მართალია, სამსახურს ძალიან ვეტანებით, მაგრამ ამასაც აქვს მიზეზები.

— რა თქმა უნდა, ამასაც თვისი მ...მიზეზები აქვს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბედმა ჩვენს ბუნებას არ დააცალა, რათა მას თავისი გაეტანა, და ისეთი ქურქი ჩაგვაცვა, რომელიც ჩვენს ხასიათს არ უხდება. ამ მძიმე ქურქის ზიდვაში მალე დავილევით და დავარდებით, ვ...ვცინაიდგან ეს ქურქი ჩვენს აზნაურულ მხარ-ბეჭზე არ არის გ...გამოჭრილი.

— ვითომ აგრე ღრმად გვაქვს აზნაურობა გამჯდარი?

— ქეჩოდან მოყოლებული ფეხის ფრჩხილებამდე აზნაურები ვართ. შრომის სიძულვილზე ხომ მოგ...გახსენე. ორიოდესაც გეტყვი. სხვების მდიდარნი სიმდიდრეს ჰმალავენ, ჩვენებური კუდაბზიკები კი ისე იცმენ და იბერებიან, თითქოს ქვეყნის ნახევარი მათი იყოსო, ხოლო თუ მათი ავლადიდება გაჩხრიკე, ხელში შეგ...გრჩება ორი დღის უჭმელობით გამხმარი კუჭი და სამგან გახვრეტილი ჯიბე. უკეთეს მაგალითსაც მ...მოგახსენებ. დააკვირდი: ჩვენში ყველანი მათხოვრობენ გარდა ქართველებისა. ჩვენები სიმშილით იხოცებიან, მაგრამ იმდენად ამაყნი და ამპარტავნები არიან, რომ მათხოვრობას არ იკადრებენ და ქუჩაში ხელს არ გაიშ...შვერენ. ამიტომ არის, რომ ქართველებმა ასე მოუხ...ხშირეს თავის მოკვლას, ცარცვა-გლეჯას და ასნაირ ოინბაზობას. კიდევ გინდა მაგალითი? მოგახსენებ: ქართველს თავის სულივით უყვარს ფული, მაგრამ მას უძირო სიძულვილით სძულს და ეზიზღება ფულიანი კაცი, ესე იგი ფულის შოვნის ხერხი, ესე იგი ვაჭრობა და მრეწველობა, ხოლო ვაჭრობის [illegible]ის და მრეწველობისთვის საჭიროა დიდი ძაოსნობა, გარჯა და ხელმომჭირნეობა, ესე იგი ორის შოვნა და ერთის დახარჯვა, ესე იგი თავდაჭერილი, დინჯი და ანგარიშიანი ცხოვრება, სულისა და ხორცის დისციპლინა, ესე იგი შრომა და ნებისყოფა.

— ისევ შრომა!

— ჰო, შრომა და შრომა. აი, თურმე სად ყოფილა ჩამარხული ძ...ძაღლის თავი! აი, თურმე რა გვკლებია,—შრომა და ნე-ბისყო-ფა, ესე იგი კულ-ტურა! ჩვენს მამა-პაპებსაც სძულდათ ფულიანი ხალხი. მეცხრამეტე საუკუნის მწერლობაც ასეთის ზიზღით და შხამით არის სავსე. გაიხსენე, როგორ გაამასხარეს ვაჭარი გიორგი ერისთავმა, ცაგარელმა, ანტონოვმა და ასმა სხვა მწერალმა. გინდა გაიგო ღრმა მიზეზი ასეთ სიძულვილისა? ინებე: ადამიანს სძულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე, რაც მას არ ეხერხება და არ ძალუძს, ესე იგი მას [illegible] საკუთარი თავის უძლურება, უმწეობა და ჩამორჩენა, მორჩა და გათავდა! ამიტომ მოხდა, რომ ფულიანების მახვილს ჩვენ დავუპირდაპირეთ ჩვენი აზნაურული ფარი,—დენდობა და რაინდობა, ესე იგი ფუქსავატი ცხოვრება, მფლანგველობა, ყოყოჩობა, კუდაბზიკობა, ნებამოშლილ ადიმიანის უძლური ამპარტავნება და ლატაკის ქექა-ქუხილი.

— აი, გიშველა ღმერთმა!—წამოიძახა ივანემ.—ძლივს არა სთქვი სიმართლე?! ჩვენც მანდა ვართ და სწორედ მაგას ვებრძვით: აღარ გვინდა ფუქსავატები, მფლანგველები, ყოყოჩები, კუდაბზიკები და ამპარტავნები. ვინც მუშაობს, იმას არც კუდაბზიკობისთვის სცალიან და არც ქეიფისთვის.

— მერე, რა გამოვიდა ამ ბრძოლიდან?

— თეიმურ, დროებითსა და მუდმივს ერთმანეთში ნუ აურევ. თუ ჯერ ბევრი არაფერი გამოვიდა, ხვალ და ზეგ გამოვა. ორ დღეში სოფელი არავის აუშენებია. დეე ყველამ ერთმანეთს მხარი მივცეთ, ცოტა კიდევ მოვითმინოთ, და როცა მთელ ქვეყანას გადავემმებით, ცვლილება ერთ წელიწადში დაგვეტყობა. შენ მოთმინება და გამძლეობა გაკლია, ჩემო თეიმურ, ამიტომ სტოკავ და შფოთავ.

— რა გაკეთდა მეთქი?

— ძალიან ბევრი. მიიხედ-მოიხედე. შარშან არხი გავიყვანეთ და ათასი დღიური მოვრწყეთ. ახლო-მახლო ათიოდე სკოლა გავხსენით, კოოპერატივები დავაარსეთ, ჩარჩები მოვიშორეთ, აგრონომები მოვიწვიეთ, ხალხს წერა-კითხვას ვასწავლით. ორი თვის შემდეგ ნაშინდარშიც გაიხსნება სკოლა და კოოპერატივი. ერთი სიტყვით, ჩვენი მოსისხლე მტრებიც კი აღიარებენ, რომ ყველგან მუშაობა სდუღს და გადმოდის.

— ეგ მართალია, ძალიან მუშაობთ, მაგრამ ეგ არის დანგრევის მუშაობა. ერთს რომ ააშენებთ, ორი ინგრევა.

— თეიმურაზ, ბრმას რამდენიც უნდა ეჩიჩინო, თეთრს შავისგან მაინც ვერ გაარჩევს. ტყვილია ჩვენი ლაპარაკი.

— მეც აგრე მგონია. ორივეს ერთმანეთი ბრმები გვგონია. მე მკაფიოდ ვხედავ ჩვენს დაქვეითებას, შენ კი მეუბნები, ოდესმე ყველაფერი გასწორდებაო. სანამ პავლე მოვიდა, პეტრეს ტყავი გააძრესო. ამიტომ გეუბნები, ჩემო ივანე, რომ ქართველ ხალხს მალე გაანახევრებს მეთქი სიღარიბე და მასზე ამოსული სიმშილი, ჭლექი, ათაშანგი, სურავანდი და ათასი სხვა ჭირი და ვარამი.

— გამაგრდი თეიმურ, თორემ ურწმუნოების და ეჭვის ჭია მალე შეგჭამს.

— ოღონდაც, ოღონდაც, რომ შემჭამს! ნეტარ არიან მორწმუნენი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა. მე კი ამ ჭ...ჭკიებმა შემჭამეს და გამათავეს. მაგრამ კიდევ ერთი დიდი ჭია მჭამს და სულსა და გულს მიღრღნის.

— რომელი ჭია, თეიმურაზ?

— მოგ...გგახსენებ, ჩემო ივანე. ეს მარქსისტები სხვაგან რომ სცდებოდნენ, ერთგან მაინც ცამდის მ...მართალნი არიან. ამბობენ: სულიერი, ეროვნული და ყოველგვარი კულტურა ქონებრივ კულტურის ზედნაშენიაო. კეთილი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატიოსანი. აბა, გავყვეთ ბოლომდის ამ ჭეშმარიტებას. გეკითხები, შეუძლიან თუ არა ქართველს ქონებრივ კულტურის შ...შექმნა? შეუძლიან თუ არა მას ორი იშოვნოს და ერთი დახარჯოს, ის მეორე კი დაატრიალოს და კიდევ ერთი მოაგებინოს, ან შეინახოს? შეუძლიან თუ არა მას მიწის ნაყოფს მ...მმოუმატოს, ქვესკნელიდან სასარგებლო მასალა ამოიღოს, შრომით წელი მოიწყვიტოს და გამდიდრდეს? გეკითხები, შეუძლიან თუ არა მას გაამრავლოს თვისი ქონებრივი სიმდიდრე, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენი გონებრივი, სულიერი და ზნეობრივი კულტურა?

— რატომ არა, მიიხედ-მოიხედე და დაინახავ. ასი და ორასი წლის წინათ ხალხი უნიფხოდ დადიოდა, ეხლა კი ერეკლე მეფეზე უკეთესად საქართველოში ათასი ოჯახი მაინც სცხოვრობს.

— ვთქვათ მართალია, მაგრამ ისიც საკითხავია, შევედრებით, ან დავეწევით ოდესმე ჩვენ ევროპიელებს? ვერასოდეს. მაშ ტყვილი ყოფილა ჩ...ჩვენი ქინთვა და პრანჭიობა. ჯერ ხეირიანი ფეხის-ალაგი ვერ აგვიშენებია, ჯერ მკბენარი ვერ მოგვიშორებია, ჯერ ათას ჭირისთვის და სახადისთვის თავი ვერ მოგვირიდებია, და ამავე დროს ისეთს დიდრონს ვ...ვევჭიდებით, რომ ჩემი ჰაზრი მას ვერც კი მისწდომია და იგი ვერ გაუზომია.

— იმიტომ ვერ მისწდომია, რომ ცალი თვალი დახუჭული გაქვს და გულში ჩვენი ხალხის უნდობლობის შხამი დაგიგუბებია. ამდენს ჩვენი ხალხი არასოდეს მუშაობდა.

— არც ამდენი მშიერი ჰყოლია ჩვენს ხალხს.

— იმიტომ, რომ ფული გვაკლია.

— ფული იმას აკლია, ვინც არ მუშაობს.

— თეიმურაზ, მე შენისთანა ნასწავლი არა ვარ, მაგრამ ერთი ისეთი რამ ვიცი, რაც შენ არ იცი, ან იცი, მაგრამ არ გინდა გაიგო. სად გინახავს, რომ ხალხმა ასე ძირიან-ფესვიანად ამოაგდოს ძველი ქვეყანა და მეორე დღიდანვე გამდიდრდეს?

— მერვე წელიწადი მიდის.

— საფრანგეთის რევოლუცია ოცდახუთ წელიწადს გაგრძელდა.

— სამაგიეროდ ხალხმა ქონებრივად ხუთიოდე წელიწადში მოითქვა სუ...

— საფრანგეთი მთელ ევროპას სცარცვავდა, ჩვენ კი მხოლოდ იმის ცდაში ვართ, რომ სხვებმა არ გაგვცარცვონ.

— ისევ ჩვენი ხალხის შრომის უნარს ვუბრუნდები. ჩვენი ხალხი ორ ჯგუფად დავყავი. ერთნი დედ-მამას გაჰყიდიან განათლებისთვის და მძიმე მუშაობის თავიდან აცდენისთვის. მეორენიც ასე მოიქცევიან, ოღონდ მათ სკოლას და განათლებას ნუ გაახსენებ.

— რას დაიჩემე, შე კაი კაცო, ჩვენი ზარმაცობა? ჯერ ერთი, შრომას ყველა გაურბის, ვისაც კი შეუძლიან გაქცევა. მეორეც ისა, რომ ჩვენი ხალხი ციებ-ცხელებამ გასწყვიტა წელში. ციებ-ცხელებიანს კი იმდენი მუშაობა არ შეუძლიან, რამდენიც ჯანსაღს.

— ეგ მართალი სთქვი, ჩემო ივანე, მაგრამ საკითხს მეორე მხრიდანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვუაროთ. გამაგებინე ასეთი მოვლენის მიზეზი: გ...გვადმ[illegible] ჩვენს მეურნეობას. იმერეთში ერთს ხეირიანად ნაშენებ მამულს ვერ იპოვნი. რაც არის, უცხოელების გაშენებულია. ამერეთში სამოცი წელიწადი სცხოვრობენ გერმანელები. ბაღებივით გაბბ...ბნეულა უდაბნოში. გარშემო ქართველები ახვევიათ. მერე, რა შეიძინეს მათ გერმანელებისგან? არაფერი. სდგანან პირის-პირ, როგორც ევროპა და აზია, როგორც ედემის ბაღი და უდაბნო, ღმერთკაცი და ველური. ნახევარი საუკუნეა, რაც ერთმანეთს შესცქერიან, მაგრამ ქართველმა გერმანელებისგან ვერაფერი შეიძინა. ან სად ჰნახავ ასეთ მაგალითს: ჩვენი მთიელები ევროპაში უმაღლეს სკოლებს ამთავრებენ, მერე კი ცხვარს დასდევენ მწყემსად. შენ ამას წინათ სიტყვა ატავიზმი იხმარე. აი კიდევ ერთი მაგალითი ჩვენი დაბრუნებისა ევროპიდან აზიისკენ.

— სამაგიეროდ იმერლებს აქვთ დაუშრეტელი წყურვილი განათლებისა.

— მართალია, მაგრამ განათლება მათ მხოლოდ იმისთვის უნდათ, რომ მძიმე სამუშაოს გაექცნენ და თავი შეაფარონ ადვილ ს...სსამსახურს,—მილიციას, მოხელეობას და პოლიტიკას. მაშასადამე, არც ისინი ჰქმნიან ქონებრივ სიმდიდრეს. აი კიდევ ერთი პარადოქსი: განათლებული იმერეთი და... სიმინდის კულტურა! ერთხელ კიდევ გადაავლე თვალი ჩვენს ისტორიას. საქართველოს ისტორიის ეტლში ყოველთვის შებმული იყო მხოლოდ ერთი მერანი, მეორე კი განაპირებული იდგა განზე. ესეც იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ ორნი ვართ, და იმერამერეთის გაერთიანებას ხუთიოდე საუკუნე მაინც დასჭირდება.

— ძალიან გაგშავებია ეგ სული, თეიმურ! ამოიგდე მეთქი გულიდან ეგ ნაღველი, თორემ შეგჭამს.

— აკი გითხარი, შემჭამა და გამათავა მეთქი. ჩემი განკურნება ძნელია. თვალებზე—შავი ბინდი, გულში—შავი ნაღველი და სულშიც შავი ბურუსი, აი დღევანდელი თეიმურაზ ხევისთავი. ოოჰ, ღმერთო დიდებულო! ნეტა როდის დამიბრუნდება სულიერი მშვიდობა და სიხარული?!

— მაშინ დაგიბრუნდება, როცა შენც ჩემსავით დაუბრუნდები ხალხს და ეზიარები იმის სულით და გულით, იმის ჭირით და სიხარულით, იმედით და რწმენით. მე შენსავით განათლებული არა ვარ, ამიტომ ისტორიას და მეცნიერებას ვერ წავწვდები, მაგრამ ეს ცხოვრება შენზე კარგად მესმის. ვინც იგი არ მიიღო, ცხოვრებამ არც ის მიიღო. შენც არ იცი, რა გინდა და რას ეპოტინები. ქართველ ხალხისთვის სიკეთე გინდა, მაგრამ იმავე დროს სწყევლი მას და ცილსა სწამებ. ალარაფერი გწამს: არც ღმერთი, არც ეშმაკი, არც ხალხის შემოქმედების უნარი, არც მისი მომავალი და სიცოცხლე. შენ ხალხს შენის ოთახიდან ხედავდი. ჩვენი ხალხი რომ გცნობოდა, ასეთ ცილს არ დასწამებდი. შენ იმასაც ვერ ჰხედავ, რომ ძველი ლეშის მაგიერ ათასობით ამოვიდა ხალხის გულიდან ახალი მუხნარი. ეს მუხები დღითი-დღე იფურჩქნებიან და ძველ ჯაგნარის ალაგს იჭერენ, შენ კი ეს ახალი ბაღი უდაბნოდ მიგაჩნია. ნეტა ვიცოდე, რას იზამდი, რომ ხელისუფლება შენ ჩაგივარდეს ხელში? ყველა კარებებს გაალებდი და ქართველ ხალხს უცხოელებს ყმებად დაუყენებდი. ზოგს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო ერს ძალიან ემტერები, მაგრამ შენც ძალაუნებურად [illegible] ერთგული მონა გახდებოდი.

— ეგ მართალი სთქვი.

— თუ ესეც მართალია, შენ რაღა შეგრჩა? რად შფოთავ, რად ჰბორგავ, მაშ რისთვისღა სწვალობ, რისთვისღა იკლავ თავს და სხვასაც არ აძლევ მოსვენებას? შეირიგე ეს ქვეყანა და გაათავე?

თეიმურაზი ჯერ ჩაფიქრდა. მერე გაბზარულის ხმით სთქვა:

— მეც ძალიან დამტანჯა მაგ საკითხმა, ჩემო ივანე.

— მერე, რა გადასწყვიტე, ურიგდები თუ არა დღევანდელ ცხოვრებას?

— შესწორებით და დამატებით

ივანე კოფოზე მოტრიალდა. იმის ხმაში სიმტკიცე და ღრმა რწმენა მოისმა:

— არავითარი შესწორება, არავითარი დამატება, არც არავითარი გამონაკლისი! ან უნდა უარჰყო სავსებით, ან მიიღო და შეურიგდე ყველაფერს: ავსაც და კარგსაც, მზესაც და ჭუჭყსაც, ბნელსაც და ნათელსაც! უნდა მიიღო იგი უკლებლივ, მთლიანად, უეჭვოდ, გულღიად, გულწრფელად და სიყვარულით, დიახ, გულწრფელად და სიყვარულით, თორემ ერთი წვეთი ეჭვი ისევ მოგიწამლავს სიცოცხლეს და დღევანდელივით დაგაბნელებს. სთქვი, ურიგდები თუ არა დღევანდელ საქართველოს ამ პირობებით?

— ივანე, ეგრე არ შეიძლება...

— გეუბნები, თუ რამ შეიძლება, მხოლოდ ასე შეიძლება: უკლებლად, დაუმატებლად და შეუსწორებლად. შეგიძლიან თუ არა ირწმუნო მეთქი ეს ქვეყანა?

— არ შ...შშემიძლიან.

— მაშ ისე მოკვდები, რომ მაგ შხამსა და გესლსაც საფლავში ჩაიტან.

თეიმურაზი კიდევ დიდხანს დახტოდა, ხელ-ფეხს იქნევდა, სჩიოდა, ჰბორგავდა და ყველას და ყოველივეს ჰგმობდა და სწყევლიდა: თავის გაჩენის დღეს და გაჩენსაც, აწმყოს და წარსულსაც, მომავალს და იმედსაც, იმ ქვეყანასაც და ზეციურსაც; სწყევლიდა თეიმურაზი ყოველივეს, ცინიან ბავშვივით ანჩხლობდა, ავადმყოფივით კაპასობდა და ხრინწიანის ხმით გაჰკიოდა:

— ახია ჩვენზე, ახი!.. აგრე უნდა გასრესილს, აგრე! ეს ერთი და სხვა ათასი! ეს ერთი და სხვა ათასი!

შორიდან საძნე ურემი თელებზე შემდგარ დიდ გალიას ჰგავდა, ხოლო ხელ-ფეხ აშლილი და აყვირებული თეიმურაზ ხევისთავი იმ გალიაში დამწყვდეულს, აჯანყებულ ქაჩალ მაიმუნს ემსგავსებოდა, რომელიც, ბოლოს, ძლივს დამშვიდდა, ურემზე მიწვა, თავი თივაში ჩაჰყო და მიიბნიდა.

უცებ იმ მაიმუნმა წამოიწია და დაიკნავლა:

— ერთი რამე კიდევ უნდა გითხრა, ივანე. წელან დამავიწყდა.

— რა უნდა გე ,ქვა, თეიმურ?

— ისა რომ... ჩემი უუდიდესი და უმთავრესი უბედურება ის არის, რომ საქ...ქართველოში დავიბადე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაო? რა სთქვი?

— ღმერთმა თავიდანვე სასტიკად დამსაჯა მეთქი, როცა ქარ...რრთველად გამაჩინა.

სთქვა და მოშხამული თავი ისევ თივაში წაჰყო.

ივანემ პირი მიიბრუნა და პასუხის ნაცვლად დიდი დუქი გადააფურთხა.

## VI

თეიმურაზი შინ საღამოზე დაბრუნდა და ამოიკვნესა:

— ვერაფერი ვ...ვვიშოვნე.

ჯაყო გესლით ახვიხვინდა:

— ბრინკა, შენ ადგილი ვინ მოგცემდის?

— რატომ, ჯაყო, რატომ არ მ...მმომცემენ? აი, ც...ცცხინვალშიც მოვსძებნი. ზეგ წავალ. დავიღალე, თორემ ხვალვე წავიდოდი. ნუ გეშინიან, ჯაყო, შენს ვალს ადრე თუ გვიან გ...გგადაგიხდი.

— ვიცის ჯოყომ, რასაც გადაგიხდი, ვიცის! რა გაქვს ბრინკასა, რა უნდა გადაგიხადო ჯაყოსა?

მარგომ სიბრალულით გადახედა თეიმურაზს. მერე წამოდგა და, პირმოღუშული, ოთახიდან გავიდა. პირღრუბლიანი და გულადუღებული თეიმურაზიც გავიდა და კოშკზე აცოცდა. აცოცდა და დასავლეთს გაჰხედა. სურამის ქედი ისევ ნისლით იყო შემოსილი, მაგრამ ის ნისლიც ადრინდელივით ვარდისა და ოქროს ფერით იყო შეღებილი. ნახირი ღმუილით და ბღავილით შემოდიოდა სოფელში. ნაჯაფევი გლეხებიც მინდვრიდან თავიანთ სახლებს უბრუნდებოდნენ და ზოგჯერ ერთმანეთს ერთ ეზოდან მეორე ეზოში ორიოდე სიტყვას ესროდნენ: დედაკაცები ფუსფუსებდნენ, საქონელს სწველავდნენ და ალნავებულ ბავშვებს აჩუმებდნენ. დაქანებულმა მზემ ჩალის ფერი მიდამოები ჯერ გაავითლა, მერე მოოქროვა, შეაწითლა, შემდეგ თვითონაც გასისხლიანდა და ჩრდილოეთის მყინვარების ჭაღარა თავებიც სისხლში ამოავლო.

უკვე შუაღამემ მოატანა, როცა დასავლეთის ნისლით გაბრუებული თეიმურაზი კოშკიდან ოთხით ჩამოცოცდა, ეზო გადასჭრა და კიბეს მიადგა. კიბის ძირში დაბმულმა ძაღლმა ანჩხლის ღრენით და ავის ყეფით თეიმურაზს გზა გადაუღობა. უცებ მარგოს და თეიმურაზის ოთახის სარკმელი გაიღო და ზევიდან ჯაყოს ხვიხვინი მოისმა:

— თეიმურაზ, შენ ვიქნები?

— მე ვარ, ჯაყო, მე.

— ძაღლი არ გაგიშვებოდე? კარგი ძაღლი გყავს ჯაყოსა, იმიტომ არ გიშვებდებოდე. ყაჩაღი აღარ მოხვალ აგრე ადვილათა. ბოღრია, სუ! სუ, მეთქი, შე სამგლე, შენა!

თეიმურაზი კიბეზე ადიოდა და თავის თავს ეკითხებოდა: „რა ვქნა, ეს ჯაყო ასე უცებ საიდან გაჩნდა მარგოს ოთახში? ან იქნება აქამდის მარგოს ელაპარაკებოდა?“. ერთი წუთის შემდეგ თეიმურაზმა ეს ამბავი დაივიწყა, ხოლო ხუთიოდე წუთის შემდეგ ტკბილი ხვრინვა ამოუშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგომ ჩურჩულით იკითხა:

— თემურ, გძინავს?

პასუხი რომ არ მიიღო, ფრთხილად წამოდგა და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა.

თეიმურაზი ცხინვალიდანაც ხელცარიელი დაბრუნდა. მას აქეთ შეშფოთებული და შერცხვენილი ხიზანი უგზო უკვლოდ დასჩანჩალებდა, მარგოს და ჯაყოსაც ერიდებოდა და სადილად და ვახშმად პეტრესთან და ივანესთან დადიოდა.

უკვე შუა ზაფხულმა მოაღწია. სულ-შეგუბებულ სოფელში ბული იდგა. დამწიფებულ და სიცხით დამსკდარ მინდვრებს ალმური ასდიოდათ. ძნით დატვირთული ურმები ერთმანეთს მოსდევდნენ. ქაფმორეული მძიმე ტვირთის ზლაზვნით და ტაატით მოაჭრიალებდნენ. თავახვეული და პერანგის ამარა მეურმეები დასიცხულ ღიღინით ჰღიღინებდნენ და ზანტად შესძახებდნენ საქონელს ზოგჯერ და შოლტსა და სახრეს მოუქნევდნენ. ზოგნი კალოს სთოხნიდნენ, ზოგნი უკვე ლეწავდნენ. გოგოები და დედაკაცები კევრებზე ისხდნენ და იდგნენ, და დილით-საღამომდის კნაჭა ცხენებსა და ხარებს წისქვილის ქვასავითატრიალებდნენ. ქათამი ხორბალს ეტანებოდა. ენა-გადმოგდებული ძაღლი ჩრდილში მიწოლილიყო და ჰქაქანებდა. ტალახ-შემხმარი ღორი კიტრის და საზამთროს ნაფცქვენებს ახრამუნებდა და კვლავ ტლაპოს ეძებდა. დუბელა რუში ბატები და იხვები ყიყინებდნენ და ტიტველი ბავშვები ჰყუპალობდნენ. მინდვრებში ზოგან ჩალას სწვავდნენ, ზოგან კიდევ ხნავდნენ და ოროველას იძახდნენ. ჭალებში ქედანი ღუღუნებდა. მეწველ საქონელს ლიახვის ნაპირებისთვის შეეფარებინა თავი და ფშატებისა და ვერხვების ჩრდილში ჩაწოლილიყო. საღამოობით, როცა ოდნავ ნიავი დაუბერავდა, განიავებული ნალეწი აქა-იქ შადრევანივით სხმდა. ღამეს ნახევარი სოფელი კალოზე ატარებდა, ხოლო მოზრდილი მამაკაცები კვლავ ძნას ეზიდებოდნენ, ურმის ჭრიალით და თავიანთ შეძახილით სოფელს აღვიძებდნენ და მაღალის ხმით ურმულს ამბობდნენ. პეტრეს შვილი ნინიკა შუაღამეს წკრიალა ხმით სოფლის ბოლოში რომ დისძახებდა, სოფლის თავიც ილვიძებდა და, გარინდული, ყურს უგდებდა მეურმისა და კამეჩის ბაასს:

კამეჩო მუხრანელი ხა-არ, გუთანი გეცოდი-ინებაა.
მე გუთნისა არა ვიცი რააა, უღელიც მეჩოთი-ირებააა.

ფეხაკვეთილი თეიმურაზი ქაქანით და ხვნეშით დალასლასებდა სოფელსა, მინდვრებსა, ჭალებსა და კალოებზე. ხან საძნე ურემს მოაჯდებოდა, ხან კალოზე დაბორიალებდა, ხან ნალეწს ანიავებდა, ხან ძნას აწოდებდა და ხანაც მეხრეებს დასდევდა, თან თავისას ლუღლუღებდა, დასიცხულ ენას იფხანდა და იქარვებდა. შვება-მიცემული ჯაყო და მარგოც დროს იმარჯვებდნენ და დღისით და ღამითაც დასიცხულ ვნებას იქარვებდნენ და ალ მოდებულ ქინს იფხანდნენ.

— ვიცი, რა გითხრამ, თეიმურ?—უთხრა ერთ საღამოს ჯაყომ თეიმურაზს.—მუშაობა შენი საქმე არ ვიქნებოდეს. მთავრობაც სამსახური არ მოგცემდეს. საცა თავი შეგიყავი, ყველგან გამოგაგდებდეს. ქალაქშიც ველარ წას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდებოდე და აქაც უსაქმოდ დაეხეტებოდე. ერთი გითხარი ჯაყოსა, ვაჭრობა როგორ მოგწონდეს.?

— ვ...ვვაჭრობა? ჩემი საქმეა ვაჭრობა. ძალიან კარგად მაქვს შ...შესწავლილი. ბანკში და კოოპერატივში ვმუშაობდი.

— თავი დაგანებე კაპრატივი! „კჩორტუ" კაპრატივი! შენ ყური გიგდე ჯაყოსა. ჯაყომ კარგად ვიცის ვაჭრობაც და კაპრატივიც. მოდი, ამ სოფელში ერთი დუქანი გახსნა. რას იტყვებოდი?

— დ...დდუქანი? მე?

— მაშ, მაშა! მე ხაზეინი და შენ დახლიდარი. ყური გიგდე ჯაყოსა.

და ჯაყომ თეიმურაზს თვისი გამოცდილება და ნასაზრი გაუშალა:

— ფული ჯაყომ ასე იშოვნე: გლეხი ტუტუცი ხარ, ძველი ფულისა არაფერი გესმოდეს. ჯაყომ კი ადრე გაიგე, რომ წინანდელი ფული სულ ქვეით მიდიხარ და მიდიხარ, მიდიხარ და მიდიხარ! „კჩორტუ" ასეთი ფული, სთქვი ჯაყომა და ის ფული ერთი დღეც არ შეგინახე. ან რა ფული იყავი, შენი წირი მე ის ფული?! დილაზე რომ ერთი მილიონი ეღირებოდი ერთი არშინი ჩითი, საღამოზე ორი მილიონი გახდებოდი. ჩვენი საწყალი გლეხები კი ის ფული ინახავდი და ინახავდი, გაკოტრდი და გაკოტრდი! ბოლოს ის ფული ისე გაფუწდი, რომა წრეულს გაზაფხულზე ჯაყომ ერთ არშინ ჩითში შვიდიათასი მილიონი მიეცი, მაშა! ასეთი ფული ჯაყომ აღარ მიგიღე. ჯაყომ ეშმაკობა გაგიკეთე და მარტო საქონელით ივაჭრე. ერთი გირვანქა ნავთში ნახევარი ჩანახი ლობიო აიღე, ან სამი გირვანქა მატყლი, ან ათი გირვანქა კარგი ხილი. გლეხები დათვლა აღარ ვიცოდი, ყველაფერი ისე აგერია თავში, რომ ძაღლი პატრონს ველარ იცნობდი. ყველანი გაკოტრდი, ჯაყო კი გადარჩი და ბევრიც მოიგე ახლა ყველაფერი გამოიცვალე, ახლა ნამდვილი ფული გაჩნდი. აი, გენაცვალეაპის მადლსა!—ჯაყომ ჩერვონცების დასტა ამოიღო და ააშრიალა.—ისეთი ძალა გაქვს ამ თუმანსა, როგორც ნიკოლოზის დროს გქონდა. ეხლა კარგი დრო გაქვს დუქანსა. დაჯექი, გაყიდე და ასეთი ჩერვონცები დაგაგროვე და დაგაგროვე, დაგაგროვე და დაგაგროვე, მაშ, მაშა! გენაცვალე ჯაყოი ჩერვონეცსა. ივანეი, ილაი და ნინიკაი კაპრატივი გინდა გახსნა ნაშინდარში, მაგრამ ჯაყოს არ გეშინიან კაპრატივისა.

კიდევ დიდხანს სწყევლიდა ჯაყო ძველს მილიარდებს და ლოცავდა თეთრ ჩერვონცებს, მერე თეიმურაზს ჰკითხა:

— ჰა, რას იტყობოდე? კარგი საქმე გითხრამს ჯაყოი თუ არა?

— მოვიფიქრებ, ჯაყო.

თეიმურაზმა მარგოს ჰკითხა:

— შენ რას იტ...ტყვი, მარგო?

— ცუდუბრალოდ ხეტიალს ისევ დახლიდრობა სჯობიან, ჯაყოს მადლს მაინც არ დაგაყვედრიან.

— მეც აგრე მგონიან.

ჯაყომ და თეიმურაზმა კიდევ იფიქრეს და ილაპარაკეს. ჯაყოს კარგი შეძლება ჰქონდა და მრავალი ნაცნობი და ნათესავი ჰყავდა. როკელები, ჯავე-

ეროვნული

ლები და ბარის მეზობლები ჯაყოს ნისიად მისცემენ მატყლს, ტყავს, ყველს და სხვა საქონელს. ამ საქონელს ჯაყო გორში ან ქალაქში გაჰყიდის, სამაგიეროდ იქიდან სოფლისთვის საჭირო ქსოვილებს, ნავთს, მარილს, საპონსა და წვრილმანს ამოიტანს. გარდა ამისა, ნაშინდარში დიდი გზა გადის და დუქანს მუშტარიც ბლომად მოხვდება. ღვინო და არაყიც ბლომად გასაღდება. ჯაყო ჩუმჩუმად აქამდისაც ვაჭრობდა, მაგრამ მას ბნელ ღამეში მუშაობა და მუდამ შიშში ყოფნა მოსწყინდა.

— აბა, ნათლია, პასუხი მოგვეცი ჯაყოსა.

თეიმურაზმაც პასუხი მისცა:

— თთ...თანახმა ვარ, ჯაყო. საქმე დავიწყოთ. ჯერ ჯამაგირი არ მინდა, მაგრამ თუ საქმე კარგად წავიდა, ჯამაგირი დამინიშნე და ვალში გამომიბარე.

— ჯაყოც თანახმა ხარ. მაშ ღმერთი იყავი ჩვენი საქმის ამხანაგი, დავიწყებდებოდეთ!

ორი კვირის შემდეგ ჯაყომ სოფლის ბოლოს ერთი ძველი ნასახლარი გაასუფთავა. მერე ჯაყო და თეიმურაზი ქალაქში ჩავიდნენ და ორი ურემი საქონელი ამოიტანეს. გარდა ამისა, ჯაყომ თავის ოჯახიდან იმ დუქანში ზედმეტი საქონელი და სანოვაგე გადაიტანა: ღვინო და არაყი, ხილი და ქურქელი, ძველი იარაღი და ფალას-ფულასი.

ვაჭრობა გაჩაღდა. თეიმურაზმა ანგარიშის საქმე წესიერად დააყენა, რამდენიმე რვეული გაიჩინა და ორი საათი ჯაყოს ეჩიჩინა:

— ეს არის ს...სსალაროს წიგნი. ეს კიდევ ს..სსაქონლის დავთარია. ეს იქნება პ...პპირადი ანგარიშების წიგნი. ამას ჰქვიან ბ...ბბუღჰალტერია.

— ვიცის, გაიგებდის ჯაყოი. კარგი რამ ყოფილა ეგ ბუღლატერია.

— ბუღ...ღჰალტერია?! ჯაყო, ეს ქვეყანა ბუღჰალტერიაზე არის აშენებული!—ადუღდა ნაკაცარი.—სადაც ბუღჰალტერია იციან, აქ ყველაფერი იციან: წესი, დის...სციპლინა, შრომა და მომავალი, სადაც არ იციან, აქ მეფობს უწესოება, ანარქია, არევ-დარევა და წყვდიადი.

— ვიცის, ჯაყომა, ვიცის.

— ჯაყო!—არ სცხრებოდა თეიმურაზი.—კაცობრიობის ისტორიაში რამდენიმე სხივმოსილი თაბახია: პოვნა ხორბლის მარცვლისა, ცეცხლისა, ურმის თვლისა და აღმოჩენანი გალილეის, კოპერნიკის, ნიუტონის, სტეფენსონისა და ლუკა პაჩიოლასი, რომელმაც 1494 წელს ბუღჰალტერია მოიგონა.

— ძალიან ჭკვიანი ვიქნებოდი ის კაცი.

— რა თქმა უნდა. სტეფენსონმა მოიგონა ორთქლმავალი და პირველი რკინის გზა ააშენა.

— მალადეც, სტეფანე, მალადეც!

— ეს კიდევ არაფერი: გალ...ლილეიმ დაამტკიცა, რომ დედამიწა ჰბრუნავს.

— ბრინჯა, ხომ არ გაგიჟდი?!

— მაშ, ჯაყო, მაშ! განა აქამდის არ იცოდი, რომ მზე ერთ ადგილზე სდგას, დედამიწა კი თავის ღერძზე სტრიალებს და მზეს გარშემო უვლის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაყომ ისე გადიხარხარა, რომ მისი ხმა ლიახვის ქალას [illegible]

— მზე ერთ ალაგზე სდგეხარ?! ხა-ხა-ხა! დედამიწას ღერძი გაქვს! ხო-ხო-ხო!

თეიმურაზი დიდხანს ეჩიჩინებოდა ჯაჯოს, გონებას უხსნიდა, მაგალითებით უმტკიცებდა და ცხარედ ედავებოდა, მაგრამ მისი საბუთები ჯაყოს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა:

— დედამიწა ურემი ხომ არა ხარ, რომ ღერძი გქონდეს!

— ჭკუაში, ჯაყო, ჭკუაში წარმოიდგინე

— ჭკუაში მე კი არა გაქვს ღერძი, შენა გაქვს, შენა, შე ბრინკავ, შენა! შენი თავი ტრიალებს, თორემ დედამიწა ვინ დაძრავს ადგილიდან? აი, აგრე ვიცის ბევრი წიგნის კითხვამ.

— ჯაყო! გაიგე, რომ...

— კარგი, მორჩი და გაგათავე! შენც გაგიჟდებოდე და საწყალი ჯაყოც გინდა გაგაგიჟო?! არ გინდა ჯაყოს შენი სწავლა! „კჩორტუ“ შენი ღერძიც და ბუღლატერიაც, „კჩორტუ“! მორჩი და გაგათავე!

ჯაყოს სიბნელით და კერპობით გულნატკენი თეიმურაზი დახლში ჩადგა და ყოჩაღად დატრიალდა. მუშტარს თავაზიანად უხვდებოდა:

— რა გ...გვნებავთ?,., რამდენი? ნავთი ელირება თ...თთერთმეტი კაპეიკი.... მარილი ჰღირს ერთი მ...მმანეთი და შვიდი შაური.

ღვინოს და არაყს მუშტარი ბლომად მოაწყდა.

— დ...დდალიეთ, თქვენ გენაცვალეთ, მ...მმირთმვით! ღმერთმა გ...გვადღეგრძელოთ. ალ...ლავერდი შენთან, თედო!

მსმელებს აჰყვა და აღიღინდა:

ავ...ვანთოთ შუშის ფააარნები, ჰარიპარალე-ე-ე-ე,,
მოვძებნოთ ღვიიინის მარნები, ჰარ...რიპაარალე-ე-ე...

საღამო ჟამზე დუქანში ხუთიოდე გლეხი შემოვიდა.

— თეიმურაზ, ჯაყოს დახლიდრად დაუდექი?—ჰკითხა ნინიკამ.

— მაშ რა ვქნა, ნინ...ნნიკა? უსაქმობას ისევ ეს სჯობია.

— რაღა ჯაყოს მიეშველე?—იკითხა ილამ.—განა ის კი არ ეყოფა ამ წურბელას, რაც ჩვენ სისხლი გამოგვწოვა?!

— შენი ოჯახიც მაგან შეჭამა და ეხლაც დახლიდრად დაგიყენა, განა! დაუმატა თედომ.

— მოვ...ვქისაზროთ, ყმაწვილებო, მოვ...ვვიფიქროთ.

და ჯაყოს დახლიდარმა ახალგაზრდა გლეხებს თვისი მდგომარეობა განუმარტა.

— ვიცით, ჩვენც კარგად ვიცით.—უპასუხა ნინიკამ.—საცაა კააპერატივი უნდა გავხსნათ. ჩვენ კაცი არა გვყავს, შენ კი ჯაყოს მიემხრე.

— ჰაზირ ჩვენ გვიშველო, შე კაი კაცო!

— ალბათ ჯერ არ იცნობს ჯაყოსა, თორემ მხარს არ მისცემდა.

— ჯაყო წინანდელ ჩარჩზე უარესია.—გააწყვეტინა სხვებს ნინიკამ.—რა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლა მე გიამბო, შენც იცნობ მაგ ჰარამზადას. ჯერ იყო და შენი ტყე მუქთად ჩაიგდო ხელში.

— ვიცი, ნინიკა, ვიცი.

— გიშველა ღმერთმ, თუ იცი! მერე იყო და, სოფელი აიკლო. შენ რომ ქალაქში იყავი და არაფერს ხედავდი, ეგ კაცი ჩვენ ტყავს გვაძრობდა. აღარაფერი შეგვარჩინა. საქონელს იტაცებდა, ღალას ორჯერ და სამჯერ გვახდევინებდა, გვცემდა, ქალებს ნამუსს ჰხდიდა და შენი შემოსავლის ნახევარს იჯიბავდა.

— ჩემი ბრალია, ძმებოჯან, ჩემი! თქვენს საჩივარს დროზე ყური ვერ დავუგდე და არ მოგ...გგაშორეთ.

— გიშველა ღმერთმა, ეგეც გცოდნია. მერე იყო და, ყველაზე კარგი მიწები მაგან დაიჩემა. ბოლოს ხომ ისე წაიყვანა საქმე, რომ შენი სახლ-კარი და ბაღიც დაიჩემა.

ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, ჰაერში მუშტებს იქნევდნენ და ბრაზიან დორბლებს ჰყრიდნენ:

— მამა ჩემი იმ ვენახში დაბერდა და ჯაყო კი ზედ დააჯდა?! სამართალი სად არის?

— ჩვენ ავაშენეთ შენობები და შიგ კი ჯაყო ჩასახლდა?! რათაო? ვისთვინაო?

— მაგას თავი დაანებე. თეიმურაზის სახლის მორთულობაც რომ დაიჩემა, ეს რაღა არის?!

— მაშა, შენ ეგა თქვი, და! ისე იეშმაკა, ვითომ სახლი ყაჩაღებმა გაქურდეს, ნამდვილად კი თვითონ დაიტაცა ყველაფერი და შენი სიმდიდრე ისევ ჩვენს დაჩაგვრას მოახმარა.

— ჩვენ რომ ტიტვლები და მშივრები დავდიოდით, მაგას სახლი სავსე ჰქონდა ჩითით და საქონლით. ერთ არშინ ჩითში ერთ ფუთ ხორბალს გვართმევდა.

— რაღა გვართმევდა, ახლაც აგრე არა სჩადის?!

— იმიტომ კი არ გავყარეთ თავადები და ბურჯუები, რომ ახალი ბატონი დაგვესვა კისერზე!

— მერე, რატ...ტომ აქამდის არ ალაგმეთ ეგ კაცი?—იკითხა თეიმურაზმა.

— იმიტომა, რომა მთელი სოფელი ხელში ჰყავს გაიძახიან, ბევრი სიკეთე გვიყოო, გაჭირვებაშიც ხელს გვიმართავსო.

— აღარ გვინდა მაგის სიკეთე! ქარისა არც მოტანილი გვინდა და არც გატანილი.

— ცოტა ხანიც მოიცადოს და ნახავს. იმ სახლს ჩამოვართმევთ და სკოლას გავხსნით.

— ამ დუქანსაც დავუკეტავთ.

— ი სახლის მოწყობილებას და სიმდიდრესაც ადგილს ვუპოვნით.

— ი ბაღ-ვენახსაც სხვები ჯაყოზე კარგად მოუვლიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლოს თეიმურაზს პირდაპირ ჰკითხეს:

— სკოლის და კოპერატივის საქმეში დაგვეხმარები?

თეიმურაზი შეყოყმანდა:

— მოვ...ვვიფიქრებ, მოვ...ვვისაზრებ.

— რაღა ფიქრი გინდა, შე კაი კაცო?

— უნდა მოვ...ვვიფიქრო, ნუ დამაჩქარებთ.

— მაშ კარგი, მოიფიქროს.

— მოიფიქრე, მაგრამ ე ჯაყოს თავი დაანებე, თორემაა...

და ყაყანით, მუქარით და ქადილით წავიდნენ.

ერთი საათის შემდეგ ჯაყომ თავისივე ზურგით ჩაუტანა თეიმურაზს ლოგინი, დაჟანგებული დამბაჩა, ხანჯალი, ძველი საეკლესიო წიგნები, ლექსიკონი, გერბარიუმი და ქინძისთავებზე აგებული მწერთა და ბუზთა კოლლექცია, ჩაუტანა და თანაც დარიგება მისცა:

— როცა მუშტარი არ იქნებოდეს, ეს წიგნები წაიკითხებოდის, არ მოგწყინდებოდის.

თეიმურაზმა ლოგინის ჩამოტანა გაიკვირვა:

— ლ...ლლოგინი რაღათ მინდა?

— მაშ, მაშა!—განუმარტა ჯაყომ. მაშ დუქანი უპატრონოდ ხომ არ დარჩები?!

ეს ამბავი თეიმურაზმა წინდაწინვე ვერ გაითვალისწინა. თეიმურაზი მთელ დღე დახლში უნდა მდგარიყო, მაგრამ იგი ღამ-ღამობით მაინც აპირებდა მარგოს ნახვას და... ზანზიბარზე ზრუნვას, მაგრამ საქმის გამოტრიალება გვიანღა იყო.

— ეს დამბაჩა გატენილი იქნებოდი. თუ ყაჩაღი მოხვიდე, შენ ბანზე ავიდოდის და გაისროლებდის. ჯაყოც მაშინვე აქ გაჩნდები და იმ ყაჩაღებს დედას გიტირებ, მაშ, მაშა! დედას გიტირებ, დედასა!

თეიმურაზმა ამოიოხრა:

— კეთილი, მ...მმაგრამ... გიბამ ან ქეშელამ დ...დდაიძინონ დუქანში.

— გიბას და ქეშელას თავისი საქმე გაქვს, დუქნისათვის არ გცალიან. აბა, ეხლა ნავაჭრი გაჩვენე.

თეიმურაზმა დავთრები გადმოალაგა.

— გ...გგავყიდე ათი გირვანქა ნავთი. ეს ექვსი აბაზი. ორი ფუთი მ...მმარილი. ეს ორი მანეთი და თოთხმეტი შაური...

სულ იმ დღის ნავაჭრი ერთ თუმნამდის შესდგა.

— გ...გგაყიდული საქონელი აი აჰ წიგნში ჩავწერე, ნავაჭრი ფული კი დღიურ კასაში ჩავიტანე. ამ წიგნში ჩაწერილია...

ჯაყოს მოთმინება გამოელია:

— შენ ფული მოგეცი ჯაყოსა, თორემა საცა გინდებოდეს, იქ ჩაგწერდე.

— კეთილი, მაგრამ ბ...ბბუღალჰტერია?...

— ბუღლატერია შენთვის შეინახებდეს, მე რა ოხრად გინდა ბუღლატერია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაყომ ფული ჯიბეში ჩაიდო და დალონებული თეიმურაზი ერთხელ კიდევ დაარიგა:

— ბანზე ავიდოდე და დამბაჩას გესროდე. მეც მაშინვე აქ გაჩნდებოდი და იმ ყაჩაღებს დედას გიტირებ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომ! ღამე ნუ წაიკითხებდი, ნავთი ტყვილად დაიწვებოდი და თვალებიც გეტკინებოდის. შენ ნუ შეეშინდების, ჯაყო აქ იქნები, მაშ, მაშა!

დარიგების ნუვეშიც მიაყოლა:

— შენ კარგად ივაჭრებდის, დანარჩენი ჯაყომ ვიცის. კარგი შოგება მოგცემს ჯაყო. როცა ქეშელა ან გიბა მოიცლი, დუქანში ჩადგები, შენ კი მარგოს სანახავად მოხვიდებოდე სახლში. საწმელი ბრინჯა მოგიტანებდე. აბა, ყოჩაღათ იქნებოდი!

თეიმურაზი მარტოდ დარჩა. დუქნის დირეზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა.

## VII.

ეს რა დაემართა თეიმურაზ ხევისთავს?! ეს რა ტუტუცური მასხრობაა ბედისა?! ეს რა უცნაური ნაროშვარი და ნაბოდვარია უკუღმა დატრიალებულ ცხოვრებისა?!

თეიმურაზმა უკან მიიხედა და განვლილი გზა გაზომა. საშინელი, თვალუწვდენი, და უცნაური გაუგებარი. იყო იგი. თავი და ბოლო ერთმანეთს არ ებმეოდა ერთმანეთს ვერ ჰხვდებოდა.

როგორ დაიწყო თეიმურაზის ცხოვრების გზა და როგორ თავდება! რამ მოიყვანა თავმოყვარე, განათლებული, ცნობილი და პატივცემული საზოგადო მოღვაწე თეიმურაზ ხევისთავი ამ დუქანში დახლიდრად? როდის და როგორ მოვიდა ფრიად პატივდებული თეიმურაზი ამ ძველ ნასახლარში, მიყრუებულ სოფლის ბოლოში? რა უნდა მას ამ ბნელ ღამეში ამ მყრდალ სამიკიტნოში? რად სვამდა დღეს თეიმურაზი უცნობ-ნაცნობ გლეხებთან და გამლელ-გამომვლელთან მყრალ არაყს, და იმათი გულის მოსაზიდად ნაძალადევად რად იპრანჭებოდა, რად იკრიჭებოდა, რად ლაზღანდარობდა?

უკან მიიხედა თეიმურაზმა, მიიხედა და ნავალი გაზომა; გაზომა და ვერ გაიგო, ვერ მიჰხვდა, თუ როდის და როგორ განვლო მან ასეთი დიდი მანძილი? რუსთაველის პროსპექტიდან ამ ოროლობის ბოლომდის! საუცხოვოდ მორთულ ექვს ოთახიდან სოფლის ჭუჭყიან დუქნამდის! რედინგოტ-სმოკინგიდან სელის ხალათამდის! საზოგადო საქმის მეთაურიდან თავის ნამოჯამაგირევ ჯაყოს დახლიდრობამდის?!

გაზომა თეიმურაზმა ის განუზომელი მანძილი და იგრძნო, რომ კისერზე ჩამოკიდებული ძაღლის ლეში უფრო დამძიმდა და უარესად აყროლდა.

ძაღლის მძორის ჩამოსავლეჯად და მისი მყრალი სუნის გასაქარწყლად თეიმურაზმა ჭრაქი აანთო, წიგნი აიღო, გადაფურცლა და წაიკითხა.

„სახარება მათესაგან თავი 5.

და ვითარცა იხილა იესო ერი იგი, აღვიდა მთასა და დაჰსჯდა იგი მუნ, და მოუხდეს მას მოწაფენი მისნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აღაღო პირი თვისი, ასწავებდა მათ და ეტყოდა:

ნეტარ იყვნენ გლახაკნი, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ.

ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა."

თეიმურაზმა წიგნი დახურა.

ვითომ? მშვიდთ დაიმკვიდრონ ქვეყანა? თეიმურაზი მგლოვარეა, მაგრამ არავისგან „ნუგეშინის ცემულ" არ იქმნა. ჰო, მართლა: „მათი არს სასუფეველი ცათა". ცაზეა ლაპარაკი, მხოლოდ ცაზე, ხოლო ამ ქვეყანაზე და იესოს ერთმანეთი დაჰგმეს და უარჰყვეს.

თეიმურაზი რომ მარტო ყოფილიყო ძაღლის, მძორის და იმის სიმყრალესაც მოითმენდა, მაგრამ ის მარტო არ არის. მას თვისი ერთად-ერთი მეგობარი, ერთგული და განუყრელი მეუღლე ჰყავს, რომელიც დღეს მას გაჰყარეს და ჩამოაშორეს; თეიმურაზი ამ შმორიან დახლს მაგრად მიაბეს და ძველს ნასახლარში, ტალახიან ორღობის ბოლოში, მყრალ სამიკიტნოში ჩაჰკეტეს, რომელსაც სოფლის ხმაურობაც კი ძლივს სწვდება.

ძაღლის მძორი თანდათან მძიმდებოდა და მისი სუნი თეიმურაზს ჰგუდავდა. ჯაყოს ხიზანმა ისევ სახარებას დაავლო ხელი და ანაზდეულად ისევ მეხუთე თავი გადაშალა:

„ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განჰსძღენ.

ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

ნეტარ იყვნენ მშვიდობის-მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ.

ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა".

წიგნი ისევ დახურა და წანაკითხს ჩაუკვირდა:

— განა ეს ჩვენთვის არის დაწერილი? განა ჩვენი მოშხამული სული მისწვდება ამ ღვთიურ ბოდვას? ვისთვის არის იგი ნათქვამი, მართლა ჩემისთანა ტანჯულთა და ლატაკთათვის, თუ ბედნიერთა და მდიდართათვის? მაშ რატომ ვერ სწვდება მას ჩემი ჯვარცმული სული? ან იქნება ნახუცარმა ივანემ მართალი სთქვა, ვითომ ქართველნი ბუნებითვე წარმართნი იყვნენ და ვითომ ჩვენში ყოველთვის მძლავრად სჩქეფდა წარმართობის ატავიზმი?

თეიმურაზს რელიგიური ძაფი უცებ გაუწყდა და მისი ჰაზრი კვლავ ჯაყოს და მარგოს დაუბრუნდა.

ამიერიდან თეიმურაზი იშვიათად ავა ჯაყოს სახლში, იშვიათად დაინახავს თავის კანონიერ მეუღლეს, რომელიც ეხლა... იქნება... ვინ იცის...

თეიმურაზი გველნაკბენივით წამოხტა.

რასა ჰბოდავს თეიმურაზი?! ეს რა წამოჰროშა იმის სულიერმა ორეულმა?! ეს რა გველი ჩაუძვრა გულში და რა საზიზღარი შხამი ჩაუწვეთა?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეუძლებელია! დაუჯერებელია! სულელური იჭვია! მოშლილ ნერვების ამონახეთქია!

— ვითომ? ნერვების მეტი არაფერია?—ხითხითებს თეიმურაზის გულში ჩამძვრალი მისი ორეული. — მაშ მეტი არაფერია? აბა, დაფიქრდი.

თეიმურაზი ებრძვის დაავადებულ იჭვიანობას და სცდილობს გულიდან იჭვის გველი ამოიგდოს, მაგრამ გველი უფრო ღრმად უძვრება ახრჩობა და პირდაპირით ჰხერხავს იმის გულსა და სულს.

ველარ უძლებს თეიმურაზი მოურევნელ ტანჯვას, უნებურად წამოიჭრება, ჭრაქს გააქრობს, დუქანს დაჰკეტავს და ბნელ ორღობეს ბორძიკით მისდევ. თითქმის მირბის და გულში ბუტბუტებს:

— ნერ...რრვების ბოდვაა! ავი ლანდია! თუმცა... მაინც, ვინ იცის, კაცნი ვართ, ვ...ვვნახოთ.

თავის ნასახლარის კიბესთან ძაღლი დაუხვდა, რომელმაც ანჩხლი ყეფა და ჯაჭვის ჩხარუნი ასტეხა.

მარგოს ოთახის ღია სარკმლიდან ჯაყომ გადმოიხედა და გადმოსძახა:

— ვინა ხარ მანდა?

თეიმურაზი შეჰკრთა და აირია:

— მე ვარ, ჯაყო, თეიმ..მმურაზი ვარ.

— რა გინდებოდეს ამ დროსა, ბრინჯა? ყაჩაღები ხომ არ მოვიდებოდეს?

— არა, ჯაყო, ჩემი სარკე-სავ...ვვარცხელი მინდა.

-- ბრინჯა, აქამდის ვერ დაივიწყებდე შენი კნიაზობაი?—ზიზღით ჩამოუგდო ჯაყომ.—დუქანში ათი სარკე გექნებოდეს, რომელიც გინდებოდეს, იმაში ჩაიხედებდე. დაიცადებდე მანდა.

ოთახში შებრუნდა და ისევ გამოვიდა.

— აჰა, დაიჭირებდე სავარცხელსა. წადი ეხლავე, ნუ შეშინდებოდის, შენ კნეინას არავინ მოიტაცებდეს. ჯაყო აქა ხარ. ისეთი ყარაული ხარ ჯაყოი, რომა ათი ყაჩაღიც ვერაფერს დაგაკლებს, ჩქარა წადი, თორემა დუქანი ყაჩაღები წაგიღებდეს.

თეიმურაზმა იმ ეზოში დიდხანს იცოცა მუხლისთავებზე, მაგრამ ჯაყოს გადმოგდებული სავარცხელი ვერ იპოვნა. ძაღლი მაინც არ სცხრებოდა, ისევ ძალზე იწევდა და ანჩხლად ჰყეფდა.

ჯაყოს მოთმინება დაეკარგა:

— გაანებებდეს თავსა მაგ ოხერ სავარცხელსა! წადი, დუქანი უპატრონე, თორემა, თუ ქურდები გასტეხებდეს და ყველაფერი წაიღებდეს, მე ვიცის მაშინა!

— მივ...ვვდივარ, ჯაყო, მივ...ვვდივარ. არხეინად იყავი.

წელში უარესად მოიხარა, ფეხები ძლივს აითრია და ფეხ-დათათხულ ძაღლივით გამოტრიალდა.

დუქანში კვლავ ჭრაქი აანთო და დირეზე ჩამოჯდა.

ძაღლის მძორმა ისე ღრმად ჩაშჭიდა ბასრი კლანჭები ყელში, რომ თეიმურაზი იხჩობოდა და სიმწარისგან იკლაკნებოდა მესამედ აიღო წიგნი და მესამედვე კვლავ იგივე ფურცელი გადაშალა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყვედრიდენ და გდევნიდენ და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთვის.

გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი ფრიად არს ცათა შინა, რამეთუ ეგრეთვე ჰსდევნეს წინასწარმეტყველნი უწინარეს ქვეყნისა.

თქვენ ხართ მარილი ქვეყნისა, უკეთუ მარილი იგი განჰქარდეს, რათამე დაიმარილოს? არღარა შემძლებელ არიან მერმე, არამედ განგდებად გარე, და დათრგუნვად კაცთა მიერ.

თქვენ ხართ ნათელი სოფლისა; ვერ ხელეწიფების ქალაქსა დაფარვად მთასა ზედა დაშენებულსა“.

თეიმურაზმა კვლავ დაჰკეცა სახარება.

— მაშ „დევნილნი“ არიან მარილი ქვეყნისა და ნათელი სოფლისა! ჰოი, უფალო ძლიერო, მე არ მსმენის სიტყვა ესე; ჰოი, დიდებულო, მასწავე მე ულირსსა მონასა შენსა სიმართლენი შენნი! გუშინ სხვანი იდევნებოდნენ, დღეს კი მე ვარ დევნილი. მაშ რომელნი ვართ მარილი ქვეყნისა და ნათელი სოფლისა? რომელნი ვართ ღირსნი შენის სიყვარულისა ცათა შინა? ალბათ არც ერთნი, რამეთუ ჩვენ არ ვირწმუნეთ წმინდა სახელი შენი. ჰოი, უფალო! უზღურბლო არს მადლი შენი ცათა შინა, გარნა რად გვტანჯვიდე ჩვენ, ულირსთა მონათა შენთა, წიაღსა ამა ქვეყნისასა?

სულმილეული თეიმურაზი დიდხანს ჰვედრებდა, ეძიებდა, ეკითხებოდა და ედავებოდა უფალსა ღმერთსა, გარნა ვერ იხილნა იგი უფალი სულსა თვისსა გვემულსა, ტანჯულსა და გოლგოთის მთაზე ამავალსა.

კალოდან მომავალმა ნახუცარმა ივანემ დუქანს ურემი მიაყენა და ერთი ხელადა ღვინო მოითხოვა.

ორივენი დირეზე ჩამოსხდნენ, ღვინო წინ დაიდგეს და ნელ-ნელა შეაყოლეს. ჯერ დიდხანს სდუმდნენ, მერე ივანემ ნელის ხმით ჰკითხა თეიმურაზს:

— თეიმურაზ, რა შენი საქმეა დახლიდრობა?

— რა შენი საქმეა, ძმაო ივანე, შავი მუშაობა და მიწის ხვნა?

— აკი გითხარი, საქართველოში ატავიზმის კანონი მძლავრად მუშაობს მეთქი. ჩემი წინაპრები მიწის მუშები იყვნენ, ამიტომ მეც მიწას დავუბრუნდი.

თეიმურაზმა პასუხი არ გასცა, ორივენი გაჩუმდნენ და თითო ჰიქა კიდევ დალიეს.

— რას ჩხირკედელაობდი ერთ დროს თეიმურაზ?—რას მოითხოვდი? რას ეძებდი და რას მოელოდი?

— აი ამ დღეს მ...მმოველოდი.

— გეგონა, არც შამფურს დასწვავდი და არც მწვადსა? მგელსაც გააძღობდი და ბატკანსაც გადაარჩენდი?

— ჰო, ეგრე მ...მმეგონა. შენ რა გიშავს, შენ დროზე გამოიცვალე ქურქი.

— ჰკუამ გამიჭრა. სწორე გეზი ავიღე. შენც ჰხედავ, გავგლეხდი და ხვნათესვას დავადექი.

— გრიგალს გადარჩი და ცოლშვილიც გადაარჩინე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რწმენა დაეკარგე, ჩემო თეიმურ. გარდა ამისა, ძველადვე უთქვამთ ჭკვიანებს: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“.

— ხოლო გიჟებს ასე უპასუხნიათ: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.“

— მერე, თეიმურ, რომელს უთქვამს მართალი?

— ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

კვლავ იყუჩეს.

— ბატონო თეიმურაზ, არც ახლა გწამს ღმერთი?

თეიმურაზი დიდხანს სდუმდა და ბნელ ცას გასცქეროდა, მერე მწარე ოხვრით უპასუხა:

— არა, არც ეხლა მწამს.

— აკი გითხარი, ჩემო თეიმურ, რომ ქართველები სემიტები ვართ მეთქი. ქრისტიანობა ისე არ გვიდგება როგორც ქალს წვერ-ულვაში.

— ჩვენც რომ სემიტების რწმენის ძალა გვქონდეს, უკვდავნი ვიქნებოდით. არც ერთ ერს არ სწამს ისეთის სიმძლავრით თავისი ღმერთი, როგორც სემიტ ებრაელს სწამს თავისი იეგოვა და სემიტ არაბს—თვისი ალლაჰ.

— წარმართნი ვართ მეთქი, ეს უფრო სწორე უნდა იყოს.

— ნეტა ეგ მაინც ყოფილიყო. წარმართებს კერპები ჰყავდათ. ისინი ლოცულობდნენ ზევესს, იუპიტერს, ცეცხლს, ელვას და ათასს ცხადს და უჩინარ ღმერთს. წარმართებს, ჩემო ივანე, ვილაც ან რაღაც სწამდათ, ჩვენ კი ურწმუნონი ვართ. ქ...ქართველ ხალხს აღარ სწამს არც ქრისტე, არც მაჰმადი, არც იეგოვა, არც ბუდდა, არც ზევესი, არც საერთოდ რომელიმე ღმერთი და არც ეშმაკი.

— ეგეც კარგი ნუგეშია, თუ ეშმაკიც აღარ გვწამს.

— სცდები, ძალიან სცდები ჩემო ივანე. ჩვენი უდიდესი უბედურებაც სწორედ ის არის, რომ ეშმაკიც აღარ გვწამს. ვისაც ეშმაკი სწამს, იმას რაღაც ან ვ...ვიღაც სწამს, ესე იგი, მას ჰქონია რწმენის წყურვილი და უნარი, ესე იგი, მას ჰქონია ადამიანის სული, ესე იგი, თვითონაც უკვე ადა-მი-ა-ნი ყოფილა, ვინაიდგან მხოლოდ სულით და რწმენით განირჩევა ადამიანი პირუტყვისაგან. ჩვენ კი ეშმაკიც აღარ გვწამს, მაშასადამე აღარც სული გვქონია და აღარც ა-და-მი-ა-ნი ვყოფილვართ. ამიტომ გეუბნები, ჩემო ივანე, ვიღუპებით მეთქი, ვ...ვი-ღუ-პე-ბით!

— ჩემო თეიმურ, ვინ გიშლის რწმენას? რატომ არ ირწმუნებ რომელიმე ღმერთს ან ეშმაკს?

— იმიტომ, ჩემო ივანე, რომ...—რა მაქვს შენთან დასამალი!—ვეძებ და ვერ ვპოულობ.

— ითხოვდით, და მოგეცეს თქვენ; ეძიებდით, და ჰპოოთ, ირეკდით, და განგეღოს თქვენ.

— არც მომეცა, ვერც ვპოვე და არც განმეღო. მ...მეც მაგას ვსტირი. ჩემო ურწმუნო მოძღვარო. დიდი ხანია რაც რწმენის სულს მოვუწოდებ, მაგრამ უფალმან ჩვენმან არ ღირს მყო მოსვლად ჩემდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— თეიმურ, შენ თვითონ უნდა ამაღლდე უფლისადმდე.

— ვერ ავიწიე მიწიდან, ჩემო ივანე, წიგნმა მომტაცა რწმენის სული და მეცნიერებმა დამწყვიტა უფლისადმდე ასაფრენი ფრთები. ცოდნისა და იჭვის ქიამ ისე დამილორღნა გონება და გამომიფიტა სული, რომ ნივთიერ ქვეყანას ერთის გოჯითაც ვერ მოვსწყდი.

— ცოდნას და რწმენას ერთმანეთს ნუ შეახვედრებ და ნუ დაუპირდაპირებ, თორემ ერთმანეთს დაანგრევენ და დასწვავენ.

— მეც მაგ ჭირის ქვაბში ვიხარშები, ჩემო ივანე. ცოდნა და რწმენა ვერ მოვარიგე, ერთად ვერ შევად...დუღე და ვერც ერთმანეთს დავაშორე. რწმენისა და ურწმუნოების ორღობეში გავიჩხირე და ვერც რწმენის სათავესთან გავედი, ვეღარც უკან დავბრუნდი.

— მაინც, საით უფრო მიგიწევს გონება?

— ურწმუნოებისკენ.

— გული?

— ღმერთისკენ.

— ბოლოს-და-ბოლოს, სადა მიდიხარ? არსებობს თუ არა ღმერთი?

თეიმურაზმა დიდხანს იტორტმანა, მერე უცებ წამოიძახა:

— ღმერთი რომ იყოს სადმე, განა ამ დღეში ჩავცვივ...ვდებოდით?

— შენც უმეცარ გლეხივით აზროვნობ: ღმერთი რომ იყოს სადმე, განა ყანას დაისეტყვავდაო? ღმერთი რომ არც არსებობდეს, იგი ჩვენც უნდა მოვიგონოთ და შევქმნათ ჩვენს გულში.

— ვიცი. აგრე სთქვეს ვოლტერმა, კანტმა და სხვებმაც. მაგრამ ჩემს გულში ღმერთის მაგივრად ჯერ-ჯერობით გველებმა და ბაყაყებმა დაიბუდეს.

— მაშ არც სამოთხე გწამს და არც ჯოჯოხეთი?

— ჯ...ჯოჯოხეთი? ჰმ! კიდევ ჯ...ჯჯოჯოხეთი ამ ქვეყნის შემდეგ? თუ ჯოჯოხეთი მართლა არსებობს, მაშ შენი ღმერთი უუსასტიკესი არსება ყოფილა.

— არც საიქიო გწამს და არც ამ ქვეყანას ურიგდები? მაშ რა გაქვს გულში?

— რა მაქვს? აკი გითხარი: ბაყაყი, გველი, შავი ქ...ქქვა და ნ...ნნაცარი ცხელი, აი, ესა მაქვს.

— მერე, როგორ უძლებ, თეიმურ?

— მალე გ...გგავათავებ.

— თუ აღარაფერს ელი...

— აღარაფერს... მე ჩ...ჩჩემი შევასრულე მ...მმეყოფა. ეხლა სხვებმა ჰზიდონ ამ ქ...ქქვეყნის ტვირთი.

სულთ-მობრძავის სასოწარკვეთილი უიმედობა მოისმა თეიმურაზის ხმაში.

— მალე გ...გგავათავებ ამ მასხრობას, ზოგნი რომ ს...სსიცოცხლეს ეძახიან.

— თუ აგრეა, ისევ ის სჯობია, რომ გარემოებას შეურიგდე და დამშვიდდე.

— არრა-სო-დეს! გესმის? არრასოდეს მეთქი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისევ დიდხანს იყურეს და ერთი ხელადა კიდევ დალიეს.

— ეხლა შენ მითხარი, ივანე, შენ მარტო ანაფორა გაიხადე, თუ რწმენაც იმ ანაფორას გააყოლე?

ივანემ ღიმილით უპასუხა:

— რწმენა კი არ გავაყოლე ანაფორას, არამედ ანაფორა გავაყოლე რწმენას. თუმცა ისიც უნდა გითხრა, რომ მე შენსავით არ დავცალიერებულვარ. ღვთის რწმენა დავკარგე, სამაგიეროდ უფრო ძლიერი რწმენა შევიძინე.

— რომელი?

— მრწამს ჩვენი მშრომელი ხალხის ძალა და მისი მომავალი.

თეიმურაზმა ღრმად ამოიოხრა:

— რა ბედ...დნიერი ადამიანი ჰყოფილხარ, ივანე!

— გშურს, განა?!

— არასოდეს არაფერი შემშურებია აგრე ძლიერ, როგორც შენი და შენისთანების რწმენა შემშურდა. ბედნიერნი ხართ, ბედნიერნი! მე კი, მე ჭიებმა შემჭამეს, დამაცალიერეს, დამღრღნეს.

— ახია შენზე, თეიმურ, ახი!

ივანეს შხამიანი ისარი სწორედ იმ ალაგას მოჰხვდა, რომელიც იმ წუთში თეიმურაზს სტკიოდა და უკვნესდა.

შუბლში მუშტი წაიშინა და აღმუვდა:

— ღღ...ღღონდაც, ახია. ღღ...ღღონდაც! აგრე გვინდა ყ...ყველას, აგრე! მაგრამ შენ შენი თავი ნუ გაინაპირე, ივანე, შენც ჩვენი ს...სსისხლის და ხორცის ქ...ქკაცი ხარ. შენც საერთო საფლავში გიდგავს ფ...ფეხი, ამიტომ „თქვენის“ მაგიერ უნდა სთქვა: „ახია ჩვენზე, ახი!“ ტყვილად სცდილობ საერთო ს...სსაფლავიდან ამოხტომას, ტყვილად! რაც აქამდის დაგვემართა, ეს ქ...ქკიდევ არაფერია, მ... მეტის ღირსნი ვართ, მეტისა!

— ეგეც გეყოფათ.—დინჯად მოუჭრა ივანემ.—მართალი რომ ვსთქვათ, თქვენ ადრევე იყავით გასაქრობი. ეხლა სალაპარაკოდაც აღარ ჰღირხართ: მკვდარს მხოლოდ შესანდობარზე გაიხსენებენ. დავლიოთ. ღმერთი იყოს თქვენი გამკითხველი.

თეიმურაზმა ჩაიცინა:

— ისევ თქვენობით ლაპარაკობ? მაშ შენ რომელ ბანაკში სთვლი შენს თავს? ვინა ხარ, მიმავალი თუ მომავალი?

— მე არც მიმავალი ვარ და არც მომავალი. მე დიდი ხანია მოვედი და ჩემი ალაგი მოვნახე.

— მაშ მეორე ბანაკში ჰყოფილხარ.

— მე ჩემი ხალხის ბანაკში ვარ და ყოველთვის ამ ბანაკში დავრჩები.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს. აკი გითხარი, შენი რწმენა და სულიერი მშვიდობა მშურს მეთქი.

— თქვენი მოდგმა დიდი ხანია მოკვდა, თეიმურ, გვიან გასაფლავებენ.

— იმიტომაც ავყროლდით, ივანე, რომ გვიან გვმარხავენ.

— ბედის წინაშე მორჩილება დიდი ძალა ყოფილა, თეიმურაზ. მორჩილე-

ეროვნული

ზას ათასი ხალხი გადაურჩენია. ბედთან ჭიდილი და ურჩობა [illegible] ვინც მას შეეგუა-ის გადარჩა, ვინც არა—დაიღუპა. ვეფხი და კატა ერთის ჯიშისანი არიან, აგრეთვე ძაღლი და მგელიც. ვეფხი და მგელი თითქმის ამოსწყდნენ, ძაღლისა და კატის ჯიში კი გამრავლდა და გაძლიერდა.

— ბედის წინაშე მორჩილება და უძლურება ერთმანეთში ნუ აურიე. მორჩილება ზოგჯერ დასვენება და ძ...ძალების დაგროვება გახლავთ, ზოგჯერ კი იგი სულიერ გამოფიტვის და დაქანცულობის ნიშანია. გარდა ამისა, ძაღლისა და კ...კატის ბედს იქნება გადაშენებული ვეფხი სჯობდეს. რაც უნდა იყოს, მკვდარ ვეფხს მაინც პ...პატივით მოიხსენებენ, ცოცხალ ძაღლს კი ორღობეში ამოუვა სული.

— მკვდარ ლომს ცოცხალი ძაღლი სჯობია მეთქი.

ისევ დიდხანს იყუჩეს. თეიმურაზი წყვდიადს გასცქეროდა. მერე წაიბუტბუტა:

— ჰმ! ს...სსაოცარია! ს...სსაკვირველია! ჩვენი დასაფლავება ჩ...ჩჩვენივე თვალწინ ხდება. ანდერძს გვიგებენ და ჩვენვე ვესწრობით ჩვენს ქ...ქქელეხს.

უცებ ხმა აიმაღლა:

— მაგრამ მე, თეიმურაზ ხევისთავი ჯერ-ჯერობით სიკვდილს არ ვაპირებ, გესმის? მე არ მინდა მეთქი სიკვდილი!

— მესმის, ნუ ჰყვირი. მაგრამ თქვენ რომ არავინ გეკითხება? დინჯად მოაგონა ივანემ.

თეიმურაზი თითქოს გამოფხიზლდა, თითქოს უძლეველ ბედს დაემორჩილა.

— ჰო, მ...მმართლა, ჩვენ არ გ...გგვეკითხებიან.

— გეუბნები, ახია მეთქი თქვენზე!

თეიმურაზი ფეხზე წამოიჭრა და აფეთქდა:

— ახ...ხხია! ახ...ხხია! უძლური ყოველთვის ბ...ბბრალიანია! ხა-ხა! გაგიგონია, რომ გონიერი ადამიანი თვითონვე ითხრიდეს სამარეს? არ გაგიგია, განა! მაშ ეხლა გაიგონე: მე ვარ მაგისთანა გიჟი, მე! ჩვენ თვითონვე გავითხარეთ საფლავი. ახია მეთქი ჩვენზე, ახი! გვმარხავენ? აგრე გვინდა, აგრე!

და აბოდებული ნაკაცარი ფეხით მიწას სტკეპნიდა, თითქოს თავისივე საფლავს მიწას აყრიდა, თან იმედ-დაკარგულ მორიელივით თავის თავს ჰკბენდა და, გაკაპასებული, კვლავ გაჰკიოდა;

— აგრე გვინდა!.. აგრე!.. აგრე!..

ივანემ ძალით დასვა თეიმურაზი.

— რა დაგემართა, შე კაი კაცო? დაჯექი, დამშვიდდი. თითო კიდევ დავლიოთ. აილე თასი. ნუ ჰყვირი.

თეიმურაზი უცებ გამოფხიზლდა. გაოცებული შესცქეროდა ივანეს, თან ისე სცახცახებდა, თითქოს უძლიერესი ციება აუვარდაო. ნახევარი ჭიქა მუხლებზე გადმოელვარა.

— რა სთქვი? მე ვ...ვვყვიროდი?.. როდის?.. ეხლა? არ მახსოვს... რაო? დავლიოთ? კეთილი. მაშ ღმერთმა აღდეგრძელოს ჩ...ჩჩემსავით დამარცხებული გიჟი, რომელმაც თვითონ გ...გგაითხარა საფლავი. აღდეგრძელოს და...

— აღდეგრძელოს კი არა, განუსვენოს, განუსვენოს'

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზს თითქოს ჩაქუჩი ჩაჰკრეს თავში.

— ჰო, მ...მმართლა... გ...გგანუსვენოს! გგგანუსვენოს და სულიერი მშვიდობა მისცეს მიმავალებს, რადგან... იმიტომ რომ.. ვაი ჩვენ! ვაი ჩვენ!

უცებ ჭიქას ხელი გაუშვა და აქვითინდა. ივანე წამოხტა და დუქანში შევიდა. ისევ გამოვიდა და წყალი გამოიტანა.

— აჰა, დალიე. ჰირიც მოისველე. რა დაგემართა, შე კაი კაცო? სირცხვილია, ვაჟკაცი ხარ.

თეიმურაზი მიყუჩდა. თვალები მოიწმინდა, გასწორდა და გამაგრდა:

— არაფერი მიშავს!. დ...დდაივიწყე. წუთიერმა სისუსტემ დამძლია. დ..დდაჯე, დაელიოთ. მთვრალი ნუ გ...გგონივარ.

კვლავ დიდხანს სდუმდნენ და წყვდიას გასცქეროდნენ. შორიდგან ლიახვის შხივილი მოისმოდა. წოტი თავისას ყიყინებდა. ზევით, სოფელში ძაღლებს წკავწკავი გაჰქონდათ.

ივანემ ბაასის ძაფი გამოსცვალა:

— ჯაყოსთანა ბატონი ამ სოფელს არ ჰყოლია, ვერც ახლო-მახლო მოიძებნება. ერთი თვით ერთი კოდი ხორბალი ვსთხოვე, ერთი ორად დამისვა. სხვებსაც ასე უშვრება. აქაური ხალხი თან-და-თან ხელში ჩაიგდო. ყველა ჯაყოს მოვალეა.

— ეტ...ტტყობა, დიდი შეძლება უნდა ჰქონდეს.

— ნახევარ სოფელს მიანც იყიდის. შენი ნივთეულობა ვითომ ყაჩაღებმა და ქურდებმა წაიღეს...

— ვიცი, ეხლა ალარ მერიდება. თითქმის ყველაფერი გამოაჩინა.

— შემოდგომაზე რამდენიმე ვაგონს გაავსებს ხორბლით, მატყლით, ყველით და ერბოთი. ყველგან დიდი ძალა აქვს. ძალიან მოხერხებული კაცია. სოფელს ტყავს აძრობს, მაგრამ ამავე დროს ძალიან ესარჩლება, რადგან თვითონაც ხშირად სჭირდება ჩვენი სოფელი.

— ამას წინათ ც...ცცოლი გააგდო.

— ერთი კი არა, სამი ცოლი გააგდო. ორი სხვას მოსტაცა. ეხლა მეოთხეს ეძებს. ამბობენ, იშოვნა კიდეცაო.

— არ გ. ..გგამიგია. ვინ არის, ვის გადაეკიდა?

ივანემ კარგა ხანს პასუხი არ მისცა.

— არ ვიცი. იკითხე აქეთ-იქით, იქნება გითხრან. ეს ღმერთმა აღდეგრძელოს...

თეიმურაზი ივანეს ყურს ალარ უგდებდა. იმის ნაუბარს გაჰყვა, ჩაფიქრდა და გულში ჩაიხედა. იგი ისევ გველის წიწილებით გავსილიყო. ის წიწილები შავი გორგალივით დახლართულიყვნენ, ნელ-ნელა დაფუსფუსებდნენ, იკლაკნებოდნენ, თეიმურაზს შიგნეულობას ჰკბენდნენ და შხამით უვსებდნენ.

— მეტის მეტად წუწკი და აბეზარი კაცია.—თითქოს თავისთვის განაგრძობდა ლაპარაკს ივანე.—სოფელი აიკლო და წამურტლა. ვინ იცის, რამდენი ოჯახი წაჰბილწა! ზოგი იყიდა, ზოგიც ძალით ჩაიგდო ხელში. მუდმივ იარაღზე და კომბალზე უჭირავს თვალი. ზოგნი მოსაკლავადაც დასდევდნენ, მაგრამ დრო

ეროვნული

და ალაგი ვერ მოიმარჯვეს. ეხლა ცარცვა-გლეჯის ხერხი [illegible] მოვაზე ჯერ არ მინახავს ვითომ ქვეყანას იმადლიერებს, ყველას ელაქუცუნება და ჰპატიჟობს, ნამდვი-ლად კი...

რას ჩააცივდა ჯაყოს ნახუცარი ივანე?! ვინ ეკითხება, რომ ჯაყოს თავგა-დასავალს მოჰყოლია? ნეტა ჯაყოს გარდა სხვა სალაპარაკო ველარ მოიგონა?

— აქამდის თავისი ტოლები ჰყავდა ცოლებად. სანამ მესამეს მოიყვანდა, ჩემს თამარას დაადგა თვალი, მაგრამ დროზე მოვაშორე, გორში გავგზავნე. ჯაყო დადიოდა და ყველგან ჰყვიროდა: „ეხლა ჯაყო ხარ აზნაური! ჯაყოს კნიაზის. ან მღვდლის ქალი გინდა, მაშ, მაშა!“ ხიფათს ძლივს ავსცდი. ეხლაც გაეხსნა წინანდელი მადა, ეხლაც გაჰკივის წარამარად: „ჯაყომ ისეთი თავადის ქალი იშოვნე, რომა!“

— ვინ იშოვნა?—ძლივს ამოიხრიალა თეიმურაზმა.

— არ ვიცი... იქნება სხვებმა იციან... გამოიკითხე.

თეიმურაზმა ვერც კი გაიგო ივანეს წასვლა.

## VIII

რომელი თავადის ქალი მოსძებნა ჯაყომ? რატომ აქამდის არაფერი იცის თეიმურაზმა? ეს ამბავი რომ მართალი ყოფილიყო, ჯაყო დღეში ათჯერ მაინც გაახარებდა თეიმურაზს და ამდენჯერმე დაიჭიხვინებდა:

— ჯაყომ კნიაზის ქალი შეირთე, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

ან იქნება ივანემ მოიგონა ეს ამბავი? არა, ივანე ჭორიკანა არ არის. ან რად მოიგონებდა ასეთ უშნო ხუმრობას? რა აზრით? ვისთვის, ან რისთვის? თუ ივანემ გაიგო ჯაყოს მეოთხეჯერ დაოჯახება, ისიც თავადის ქალის დანიშვნა, უეჭველად იმ ქალის ვინაობასაც გაიგებდა. ორჯერ ჰკითხა თეიმურაზმა ივანეს, მაგრამ ივანემ ორჯერვე პასუხი მოირიდა და ორჯერვე ყოყმანით მიუგო: „არ ვიცი, სხვებს გამოჰკითხე, იქნება გაიგოო“.

თეიმურაზმა ეს სიტყვები გაშალა და ასეთი პასუხი მიიღო: „ვიცი, მაგ-რამ ვერ გეტყვი. სხვებს ჰკითხე და გაიგებო“.

რატომ ვერ უთხრა თეიმურაზს ივანემ ჯაყოს მეოთხე საცოლეს—თავადის ქალის სახელი?

თეიმურაზის გულში კვლავ იჭვმა გაიჩუჩუნა. მერე იმ ნაეჭვმა თანდათან ცეცხლის ფრთები გაშალა და გულმაც ტეხა დაუწყო.

— ცხადია, ცხადია!

ეხლა კი მართლა ყველაფერი ცხადია, ივანემ ყველაფერი სთქვა, მხოლოდ მარგოს სახელი არ ახსენა. აქამდის თეიმურაზი ბრმა იყო, ეხლა კი თვალის ბინდი გაეფანტა და თვალწინ მზაკვრობის და ორპირობის, ვერაგობის და ღა-ლატის საზარელი სურათი გაეშალა.

— ცხადია, ცხადი!

ღმერთო დიდებულო! ღმერთო ძლიერო! ნუ თუ?.. ნუ თუ მართალია? ვინ, მარგომ?.. ვის, ჯაყოს?.. დაიჯეროს თეიმურაზმა? ხა-ხა-ხა! სასაცილოა! ოღონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც, სასაცილოა! საარაკო სისულელეა! ავი სულის ბოდვაა! ადუღებულ ოცნებების როშვაა! ეშმაკის ბოროტი ოხუნჯობაა,—მეტი არაფერია!..

— ჰო, მეტი არაფერია! რა თქმა უნდა, მეტი არაფერია!

მაგრამ...

თეიმურაზმა თვალწინ ორი თვის წარსული გადაიშალა და ცოლ-ქმრული ურთიერთობა მოიგონა.

გაახსენდა:

ორ თვეში მარგო ისე გაიშალა და დასრულდა, რომ ასეთი ლამაზი და სანდომიანი არასოდეს ყოფილა. მარგოს დიდრონსა და შავს თვალებში მუდმივ ულევის პირუტყვის დამცხრალი ვნება და მძუვნობიდან დაბრუნებულის მაძღრობა.

— ეხლა კი ცხადია, ყველაფერი ცხადია! ჰოი, შე უნამუსო! უნამუსო!

ეს კიდევ არაფერი.

რაც მარგო ამ სოფელში ამოვიდა, მას თეიმურაზისთვის ერთი ტკბილი სიტყვა აღარ უთქვამს და თვალიც თვალში ველარ გაუყრია. თეიმურაზი რომ ელაპარაკება, მარგო თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, წინათ კი ხმას არ ამოიღებდა, რომ ის თვალები თეიმურაზისთვის ისარივით არ გაეყარნა. აქამდის თეიმურაზის გონება ყრუ იყო და გულისყური დახშული, ეხლა კი გონებაც გაუნათლდა და გულისყურიც გაეშალა. მაშ რად არიდებს მარგო თვალს თეიმურაზს?

— ცხადია, ცხადი! სინდისი ჰქენჯნის მარგოს სცხვენია! სცხვენია!.

ესეც არაფერი.

თეიმურაზი მარგოს ზოგჯერ მოეალერსებს, მარგო კი პირსახეს გაიმრუდებს, განზე გაიწევს და თეიმურაზს ოდნავ აპრიალებულ ვნებას ჩაუქრობს ხოლმე:

— კარგი, გეყოფა... თავი დამანებე.

ხოლო ღამ-ღამობით საბანში გაეხვევა და თავს მოიმძინარებს, ან ნერვიულად წაიჩურჩულებს:

— თავი დამანებე! ავადა ვარ... რა დროს ეგ არის! მეძინება.. არ შემიძლიან.

თუ თეიმურაზმა ნაჭარბევი ჟინი გამოიჩინა და მაშინვე არ დაწყნარდა, მარგოც ხმას აიმაღლებს:

— კარგი, გეყოფა! თავი დამანებე მეთქი!

თეიმურაზს ხმაურობის ეშინიან ამიტომ ბუზღუნით უმალ თავის ლოგინს უბრუნდება.

წინათ თეიმურაზი ამას ყურადღებას არ აქცევდა, ეხლა კი... ეხლა მისი გულთამხილავი თვალი ყველაფერს ჰხედავს.

— ეხლა ყველაფერი ცხადია, ცხადი!

თეიმურაზმა მოგონების ბასრი და სისხლიანი მახვილი უფრო ღრმად ჩაირჭო გულში და ულმობლად დაიტრიალა.

კიდევ მოიგონა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზმა ღამით რამდენჯერმე გაიღვიძა. მარგო ოთახში არ დაუხვდა. საიდგანღაც დაგვიანებით შემოვიდოდა და იტყოდა ხოლმე:

— არა გძინავს, თეიმურ? ვერც მე დავიძინე .. თავი მტკიოდა, ცოტა გავიარე.

ან კიდევ:

— ძალიან ცხელა... ოდნავ გავგრილდი.

. სად იყო იმ დროს მარგო?

მართლა ნიავზე გავიდა, აივანზე გაგრილდა, თუ...

ჰოო, იცის ეხლა თეიმურაზმა, სადაც იყო მარგო, იცის! იცის!

— ჰოი, მოღალატევ! ჰოი ჭუჭყიანო დედაკაცო! ჰოი მრუშო, ბილწო დედაკაცო!

კიდევ ბევრი რამ მოაგონდა თეიმურაზს.

გაახსენდა მარგოს ამოსვლის დღეც. კაბა შემოხეული, მხარი ნაკბენი და მკლავი ნაღრძობი ჰქონდა. სად იყვნენ იმ ღამეს ჯაყო და მარგო? იქნება ყველაფერი იმ ღამეს დაიწყო?

— ალბათ, ალბათ! რა თქმა უნდა, იმ დღიდან დაიწყო!

რა სთქვა მაშინ ჯაყომ? „ლევანაშენში იყავიო, თომასთან გეძინაო“...

ვითომ? მართლა? კეთილი და პატიოსანი... ამასაც ნახავს და გაიგებს თეიმურაზი.

ჯაყომ მარგო დედოფალივით მორთო. დიდი ფული დახარჯა... ხა-ხა! თეიმურაზს ასესხა! ორივემ ხუთი დღე გაატარეს ქალაქში... მარგომ ჯაყოს სუფთა საცვალი და ტანისამოსი აყიდვინა, სუფთად თავის შენახვასაც შეაჩვია... ხა-ხა, წერა-კითხვაც ასწავლა!.. მუდმივ თავს დასტრიალებს ერთგულ ცოლივით...

ცოლივით? დიაღ, ცოლივით! ცოლივით!

უკანასკნელ დროს, როცა თეიმურაზი შეჩვეულ ნაღოღნს გადმოალაგებდა ხოლმე, მარგო მოუთმენლად მხრებს შეიშმუშვნიდა:

— კარგი, გაათავე! რაც იყო, — წავიდა და აღარ დაბრუნდება! დაგიზეპირებია მოცვეთილი სიტყვები და თუთიყუშივით იმეორებ. უბედობას ისევ ის სჯობია, რომ ხელი გაანძრიო და ლუკმა პური იშოვნო!

როცა თეიმურაზს მართლა ლუკმა პურიც არ ჰქონდა, მარგოსგან ასეთი დაშხამული სიტყვები მაშინაც კი არ გაუგია. ეხლა რაღა მოხდა? რად შეიძულა და შეიზიზღა მარგომ ასე მძაფრად თვისი ქმარი? სად არის ამის მიზეზი?

ესმის თეიმურაზს, ყველაფერი ესმის!

როცა სიტყვა მოიტანდა, და თეიმურაზი ერთმანეთს დაუპირდაპირებდა ცოდნას და ძალას, განათლებულის ჩამოქვეითებას და გაუნათლებლის დაწინაურებას, მწიგნობართა უძლურებას და უმეცრების წარმატებას, მაძღართა დამშევას და მშიერთა გაძღომას, როცა თეიმურაზი შეადარებდა ხოლმე ტყიდან გამოვარდნილ ჯაყოს და თავის თავს, მარგო ბრაზით აიშლებოდა და თეიმურაზს პირში მიჰვარდებოდა:

— გეყოფა, გაათავე! ვნახე და გავიგე შენი წიგნების ძალაც და ნამდვილი ცხოვრებაც. ბუხარს შეუკეთე შენი წიგნებიც და ნაწერებიც!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ან კიდევ:

— რა ჭირად მინდა შენი ფულური სიტყვები და ქიანაჭამი ცოდნა? მჩატესა და უძვალო ჭიაყელას ბუზიც კი იბრიყვებს. ჯაყომ არაფერი იცის, მაგრამ მას ყველაფერი შეუძლიან. შენ კი ყველაფერი იცი, მაგრამ სანაგვეზე გადასაგდები ჩვარი ხარ. რა კაცი ხარ, ქათამიც ვერ დაგიკლავს!

თუ ჯაყო იქ იყო, ისიც მაშინვე წამოხტებოდა, ხელ-ფეხს აიშლიდა და აჭიხვინდებოდა:

— კნეინა მართალი ბრძანებ, მართალი! ბრიყვი ხარ, ბრიყვი! მალე მართლა გადაგაგდებდე სანაგვეზე. კაცსა სისხლისა გეშინებოდე და ქათამიც ვერ დაჰკლავდე?! ფუჰ, შენი ვაჟკაცობა! ჯაყო არ იცის წიგნი, მაგრამ ჯაყოს ყველანი აი ასე ჰყავდეს ხელში, აი ასე!

და ხუთგირვანქიან მჯიღს ჰაერში მოსრესდა და,—სიტყვა რომ შემოაკლდებოდა,—წამოიძახებდა:

— მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

მარგოს თვალში ჯაყო წასაბაძ არსებად, ძალ-ღონის მაგალითად, ახალ ცხოვრების გმირად და დაუფლებულ ბატონად გადაიქცა, რომელსაც უნდა დაეთმოს გზა და მოედანი, მიეცეს ფართე ასპარეზი მოქმედებისა და სრული უფლება ნავარდობისა, ვინაიდან მხოლოდ ჯაყო იყო ახლად შობილი ახალი ჯურის ადამიანი, მხოლოდ მას ჰქონდა დროის შესაფერი კუნთები, ბასრი კლანჭები და ფოლადის კბილები, რომელნიც უძლურ ჭიაყელებს დაიპყრობენ, აღვირაწყვეტილ ბედს დაიმორჩილებენ, მოშლილ უფლებას დაისაკუთრებენ, დაფანტულ ქონებას ხელახლად დააგროვებენ, ხარმაცებს აამუშავებენ, მოდუნებულ ძარღვებს გააცოცხლებენ, ახალ წესრიგს შეჰქმნიან და ახალ თანასწორობას, სამუდამო მშვიდობას და კეთილ ცხოვრებას დაამყარებენ და ყველას გაუჩენენ გემრიელ ლუკმას, ყველას,—თეიმურაზსაც კი, რომელმაც ყველაფერი იცის, მაგრამ მას არ ძალუძს არაფერი.

აი, აკი გაუჩინეს კიდევაც თეიმურაზს ღირსეული ლუკმა! ტყვილად კი არ შესცქეროდა გაოცებულ მონასავით მარგო ანთებულ ჯაყოს, რომელიც ზოგჯერ გალიაში დამწყვდეულ მხეცივით დარბოდა და დორბლს ჰყრიდა:

— ნეტა ჯაყოს გქონდეს ერთი წლით „ნაჩალნიკობაი“! ჯაყომ ვიცის მაშინა, როგორ გინდა კანონის გაკეთება! ისე მოგიგრიხო ნინიკას, თომას და ილას კისერი, როგორც კარგი წნელი, მაშ, მაშა! შენ კი, ბრიყვავ, შენც კარგი ლუკმა პური გიშოვნებოდე მაშინა. შენ ჩემი ბრძანება დაგწერდეს მაშინა. გინდა?

ხა-ხა-ხა! თეიმურაზმა აკი იპოვნა ბოლოს შესაფერი საქმე და ლუკმა პური... ჯაყოს დუქანში! დახლიდრად! ჯაყოს დახლიდრად!

როდის, როგორ და რად მოხდა ასეთი ამბავი? ღმერთო დიდებულო! ძლიერო ღმერთო! ეს რა რისხვა დაატეხე თეიმურაზს? რა შეცოდა კრავივით უმანკომ და ტრედივით უცოდველმა თეიმურაზმა ასეთი შეუნდობარი, რომ იმის კნაჭა კისერზე ასეთი დიდი წისქვილის ქვა დაატრიალე?! როგორ გაუძლოს თეიმურაზის მილეულმა გულმა ამოდენა დარდს და ვარამს?! როგორ უნდა ზიდოს იმისმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძვალო და მოდრეკილმა ხერხემალმა ესოდენი მოურევნელი ტვირთი?! როგორ უნდა განვლონ იმისმა გაძვალებულმა ფეხებმა დაულეველი, თეიმურაზისთვის გაუგებარი, მიხვეულ-მოხვეული და ბნელი გვირაბი დღევანდელ ცხოვრებისა, — ისიც მარტომ, ერთად-ერთმა, ეულმა და დაობლებულმა, ვინაიდგან მისი ერთად-ერთი მეგობარი, სულიერი ძმა და ერთგული მეუღლე მარგო ეხლა... ამ საშინელ გაჭირვების ჟამს, — ოდეს თეიმურაზს ფეხქვეშ დედამიწა გაუსკდა და თავზე ცა ჩამოენგრა, — ეხლა მარგო იქ არის... ჯაყოსთან... ცალკე ოთახში...

უცებ თეიმურაზის ტვინი ცხელის შანთით დასდაღა ორმა წოგონებამ: თეიმურაზმა ადრეც და ორი საათის წინათაც საკუთარის თვალით დაინახა მარგოს ფანჯრიდან გადმოყუდებული ჯაყო. რას აკეთებდა ჯაყო მარგოს ოთახში? ჰო! ჰო! მარგოს ოთახში იყო იმ წუთს ჯაყო, თორემ რატომ აივანზე არ გადმოდგა? ან როგორ მოასწრო ერთ წუთში თავის ოთახიდან მარგოს ოთახში გამოსვლა? ან რად გაჰბედა მარგოს ოთახში შესვლა და მძინარე დედაკაცის გაღვიძება? მაშ ორივენი ისე ურცხვად მაკინტლობენ და ჰყვარობენ ერთმანეთს, რომ ცოცხალ ქმარსაც აღარ ერიდებიან?! ჰოი, უნამუსო დიაცო! ჰოი, ბილწო სალახანავ! აღარც მორიდება, აღარც სინდისი და აღარც სირცხვილი?!

ცხადად და ნათლად ხედავს თეიმურაზი, რომ თმაგაშლილი და შიშველი მარგო ჯაყოს ბანჯვლიან და აღლიან მკერდზეა მისვენებული და დათვის მორგვიან მკლავებში ვნებით და განცხრომით იწურება. ნადუმარი იჭვი ლანდად გადაექცა ხევისთავს და ლანდი თვალწინ მკაფიოდ გაეშალა. თეიმურაზმა გულისკბენას ველარ გაუძლო და ცეცხლ-ნაკრავივით გაიწია იმ სურათისკენ, გაიწია და ბავშვივით ამოიკვნესა:

— ოოჰ, დედილო!

როდის, ან რად ჩაქრა სანთელი დუქანში?

დახლზე რაღაც შავი წამომჯდარა და ორ მწვანე სანთელს თეიმურაზს შამფურივით თვალებში უყრის. თეიმურაზმა მოშლილი მკლავები უნებურად აიქნია, უცნაურის ხმით შეჰკივლა და დაჭრილ პირუტყვივით შეჰბღავლა:

— ვაიმე!

დახლიდან შავმა კატამ ისკუპა და წყვდიადში შთაინთქა.

ეს რა დაემართა თეიმურაზს? დათვრა თუ გაგიჟდა!? მან ისე ცხადად დაინახა ტიტველი და თმა-გაშლილილი მარგო, რომელიც ჯაყოს მკლავებში იკლაკნებოდა, თითქოს თეიმურაზი ორივეს თავს წაადგა, თითქოს საკუთარის თვალებით დაჰყურებდა მათს ხვევნას და სხეულის ყოველივე ასოს მოძრაობას, და თითქოს მათი სუნთქვა და ქშინვაც კი ესმოდა.

მაშ გაგიჟდა თეიმურაზი, თუ დათვრა? თვითონვე ესმის, ხედავს და ჰგრძნობს, რომ ხელებს დაწყვეტილ ფრთებივით იქნევს და ხმამაღლა ჰბოდავს, მას ჰსურს ხმაც ჩაიკმიდოს და ხელებიც დაიმშვიდოს, მაგრამ აღარც ენა ემორჩილება და ვერც ხელ-ფეხი შეუმაგრებია.

ბოლოს, ოდნავ გონს მოვიდა.

ოფლში გაწურული თეიმურაზი ჩაბნელებულ დუქანში რეტიანივით იდგა,

ეროვნული

თვალებს იფშვნეტა, შუბლს ისრესდა, წნორის ფოთოლივით [illegible] და ჰკანკალებდა.

სიბნელეს და მარტოობას ველარ გაუძლო და დუქნიდან ბარბაცით გამოვარდა.

ფეხებში პირუტყვი გაეხლართა.

შეშინებული ძაღლი წკმუტუნით შეერია სიბნელეს.

ელდანაკრავმა თეიმურაზმა ერთხელ კიდევ შეჰბღავლა პირუტყვივით და დუქნის დირეზე ჩაიკეცა, თან მთრთოლვარე ხელით შუბლიდან ცივს ოფლს იწმენდდა და გაუგებარს რასმეს ჰლუღლუღებდა.

ირგვლივ ყოველივე მყუდროებით იყო გაჟღენთილი. მხოლოდ ლიახვი შხუოდა და დუქნის უკან კაკლის ხის თავზე ჭოტი გაჰკიოდა.

თეიმურაზმა ვერ გაუძლო ჭოტის კივილს. ხელების ფათურით გზაზე რამდენიმე ქვა აკრიფა და კაკალს დაუშინა. ჭოტის ფრთების შრიალი ჰაერში დაიკარგა.

დიდხანს იჯდა დუქნის დირეზე მიბნედილი, მოშლილი, გაბრუებული და გულმკვნესარი თეიმურაზი. ბოლოს წამოიწია, მჩატე სხეული ძლივს აითრია, ლასლასით დუქნის უკანა ოთახში შეძვრწდა და გახურებული თავი გაუშლელ ლოგინზე მისდო.

რიჟრაჟზე ძლივს ჩაიძინა თეიმურაზმა, მაგრამ ძილშიც გულზე ლოდივით ედო აყროლებული ძაღლის ლეში,—თვისი ბედის ხვედრი, განუყრელი ძმა და მეგობარი, რომელიც თეიმურაზს ალბათ სამარემდის მიჰყვებოდა, კუბოშიც ზედ დააწვებოდა და იქაურ სიცოცხლესაც მოუშხამავდა, გაუმწარებდა და აუყროლებდა.

ასე ფიქრობდა ბურანში წასული თეიმურაზი, რომელმაც ძილის, ბურანისა და სიცხადის გარჩევის უნარიც კი დაჰკარგა.

ავზნიანმა სიზმრებმა ცივს ოფლში გასწურეს. მაჯლაჯუნამ სულთქმა შეუკრა. ჯაყო და მარგო თვალიდან არ ჰშორდებოდნენ: სტლინკაობდნენ, ლაღობდნენ, ხარხარებდნენ, კუნტრუშობდნენ, ურცხვად ალერსობდნენ და მაიმუნივით მაკინტლობდნენ. ერთ უჯმაჯურ ლანდს მეორე მოსდევდა, მეორეს მესამე და მეოთხეს მეხუთე,—ერთ-ერთმანეთზე უფრო ჭუჭყიანი, ბილწი და მურდალი.

დუქანი დაუკეტავი დარჩა.

ოთახში უპატრონო ძაღლი და კატა შემოვიდნენ და მიმკვდარებულ თეიმურაზის თავზე ბღლარძუნი, ღრენა, კნავილი და ფრუტუნი ასტეხეს.

თეიმურაზს ერთ ხანს თითქოს გამოეღვიძა, თითქოს გონება დაუბრუნდა. მან თვალების გახილება მოინდომა, მაგრამ ვერ გაახილა; მეორე გვერდზე გადაბრუნება მოიწადინა, მაგრამ ვერ გადაბრუნდა; ხსოვნაში მარგოს სურათი გამოიწვია, მაგრამ ვერც ეს მოახერხა: თვისი ცოლის პირისახეც კი დაავიწყდა!

მიბნედილსა და მოთენთილ თეიმურაზს იმდენი ხალისი და ძალაც აღარ შესწევდა რომ ხელი გაენძრია, ან დაეყვირნა, ძაღლი და კატა გაეგდო და დუქანი დაეკეტნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# IX

დილით თეიმურაზი ერთმა გლეხმა გააღვიძა. ხევისთავმა თავისი დაბეგვილი, მიხრწნილი და დაოსებული ტანი ძლივს აიტანა. ჯაყოც მალე ჩამოვიდა.

— როგორა ხარ, ბრინჯა? ყაჩაღები ხომ არ მოხვიდოდე წუხელი? ხომ არ შეგაშინებდეს ჩემს ნათლიასა?

— ავ...ვვად ვარ, ჯაყო!—უპასუხა პირქუშმა თეიმურაზმა.—ექიმს უნდა ვეჩვენო. გ...გვორში მივდივარ.

ჯაყომ ეს ამბავი არც მოიწონა და არც დაიწუნა.

ერთი საათის შემდეგ ზევიდან გიბა ჩამოვიდა და თეიმურაზის მაგივრად დახლში ჩადგა. იმავ დილით თავის ნასახლარში ასული თეიმურაზი მარგოს ეუბნებოდა.

— ახ...ხხირებულ მდგომარეობაში ჩ...ჩჩავცვივდით. ცოლ-ქმარი ვართ, ერთ სოფელში ვცხოვრობთ და ერთმანეთი ველარ გვინახავს. ს...სსტუმრობა მეტის-მეტად გაგვიგრძელდა. დროა, წ...წწავიდეთ.

— სად? საით უნდა წავიდეთ?—ჰკითხა მარგომ ოდნავ შესამჩნევის ღიმილით.

— ს...სსადმე წავალთ. ჯერ არ ვიცი. დღეს გორში მივდივარ. ადგილს მიშოვნი და...

მარგომ ცივად მიახალა.

— წადი. როცა იშოვნი, მერე ვილაპარაკოთ.

— უხ...ხხერხულია, მარტო ხარ ამ თჯახში, მარგო.

მარგომ ნაძალადევად გაიცინა.

— ეხლა მოგაგონდი? ან იქნება იჭვიანობ? ვისი გეშინიან? ჰა-ჰა-ჰა! ჯაყოსი გეშინიან მართლა?

— არა, მარგოჯან, ჯაყო იმის ღირსი არ არის, რომ იმისი მეშინოდეს. მაგრამ...

მარგო უნებურად აინთო:

— ჯაყო შენი შიშის ღირსი არ არის? ვითომ? რას უწუნებ?

— არ მ...მმესმის. განა ამას ლაპარაკი სჭირდება? შენი სიტყვა არ მესმის. ეგ რა საკითხავია?

მარგო თავის უტაქტობას მიჰხვდა და თავის გულის-ნადების გამჟღავნებისა შეეშინდა. უმალ უგულოდ გაიცინა და თეიმურაზს კისერზე მკლავი მოეხვია:

— კარგი, გენაცვა, კარგი... ვხუმრობ. წადი, იქნება მართლა სადმე ფეხი მოიკიდო.

თეიმურაზი უგულოდ გამოეთხოვა მარგოს და წამოვიდა.

ჯაყომ აივნიდგან გადმოსძახა:

— ბრინჯა, ღმერთმა ხერი მოგიმართებდე! არხეინად იქნებოდეს, მარგოს დარდი ნუ გექნებოდეს. ისე მოგივლი ჯაყო ნათლიდედასა, რომ შენი მოწონებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზმა საურმე გზას ოდნავ გვერდი აუქცია და ლევანაშენში შეუხვია.

შუადღე გადასული იყო, როცა თეიმურაზი ლევანაშენს მიადგა. ერთმა მოხუცმა თეიმურაზს ჯაყოს ნათესავის—თომას სახლი მიასწავლა.

ბებერმა თომამ თეიმურაზი მოწიწებით მიიწვია. ფეხთ დაჰბანეს და ამბავი გამოჰკითხეს.

— ჯაყომ მ...მმოგიკითხა, თომა. კარგა ხანია თომასთან არ ვყ...ვყოფილვართ.—შორიდან მოუარა გულის იარას თეიმურაზმა.

— მადლობელი, შენი წირი მე, მოკითხვისთვის, დიდი მადლობელი ხარ. ჯაყო ერთი წელიწადი არ ყოფილხარ ლევანაშენში. დიდი ხანია, რაც არც მე გინახავს ჯაყო. ეხლა ჯაყო დიდი კაცი ხარ, აღარ გკადრულობ ღარიბი ნათესავები...

თეიმურაზს შეჰბედა, სიტყვა შესწყვიტა და წამოიწია:

— შენი წირი მე, ბატონო, რა დაგემართა? ავად ხომ არა ხარ?... დედაკაცო, წყალი!

თეიმურაზმა მიბლეტილი თვალები ძლივს გაახილა, შეკრული კრიჭა ძლივს გაიხსნა და მილეული გული ძლივს მოიბრუნა. ზაფრანის ფერი ედო; ველარ ინძროდა და ძლივს-ღა ლუღლუღებდა:

— მ...მმადლობელი..: წყალმა მიშველა... მზემ დამსიცხა... ნუ სწუხდები. ჩემო თომა, ეხლა კარგად ვარ... მ...მმადლობელი.

— მოისვენე, შენი წირი მე, თორემა უარესი მოგივა.

თეიმურაზი მუთაქაზე მიწვა. დიდხანს ეგდო გულაღმა ყვალდახუჭული და უძრავი. სადღაც ძარღვი ჩასწყდა. გული თითქოს აღარ უცემდა, სხეულში სისხლის დენა შეუჩერდა, კუნთები მოეშალა და თავი სკად გადაექცია. იმ სკაში ფუტკარის ხროვა ფუსფუსებდა, ბზუოდა და თეიმურაზის ტვინს შხამიან ისრებით ჰკბენდა და სჩხვლეტდა, და ის ტვინიც ისე გახევდა და მიიბურა, რომ ველარ მუშაობდა და ერთ ჰაზრსაც ველარ იკარებდა. ჰაზრებიც იმ ფუტკარივით გამრავლდნენ, აირივნენ, ნაკუწ-ნაკუწად დასწყდნენ და ერთ უთავბოლო კორიანტელივით დატრიალდნენ.

თეიმურაზმა კრაზანების ბუდე ვერ დაიმორჩილა, ფიქრს თავი და ბოლო ვერ უპოვნა, ჰაზრის მთლიანი ძაფი ვერ გააბა და გონებას ბილიკი ვერ გაუკვლია. ის მხოლოდ ჰგრძნობდა კრაზანების უთვალავ ნაკბენს, მას ესმოდა მათი შხამიანი კაპასი და მწვავე ბზუილი; ესმოდა და ეშინოდა გამწარებულ კრაზანების უარესად გალიზიანების, დაფრთხობისა და აფორიაქებისა. გაშეშებული იწვა და გულის ცემის შეწყვეტას ელოდებოდა. მერე თვალები ძლივს გაახილა და თომას ჩურჩულით ჰკითხა:

— მაშ რამდენი ხ...ხანია, რაც ჯაყო აქ არ ყოფილა?

— ერთი წელიწადიც იქნება, შენი წირი მე.

— მაშ ჯაყოს ორი თვის წინად ურმით არ შ...შემოუვლია შენთან?

— არა, შენი წირი მე, არ შემოგივლია. მე სულ სახლში იყავი.

— კარგი... ძალიან კარგი. ცოტა წყალი კიდევ მ...მმომაწოდე... ჩქარა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილი და პატიოსანი! თეიმურაზმა ეხლა ყველაფერი იცის!...ძალიან კარგი! გუშინ თეიმურაზი იჭვიანობდა, დღეს კი ყველაფერი ცხადია.

გუშინ მიმქრალ გულში ოდნავ კიდევ ულვიოდა იმედის ჭრაქი, ეხლა კი ისიც ჩაჰქრა და ხევისთავის გულში მოწამლული წყვდიადი ჩაწვა. ოოჰ, ნეტა, ნეტამც ის სანთელი მაინც არ ჩამქრალიყო და თეიმურაზის გული ასე ულვთოდ არ ჩაბნელებულიყო! მაგრამ რაც მოხდა, მოხდა! ეხლა ეჭვის ნატამალიც გაჰქრა და უძირო ბნელეთმა ზავი და საზარელი პირი დააღო.

მაშ ასე! მაშ მარგომ თეიმურაზი ჯაყოზე გასცვალა. ხა-ხა-ხა! ჯაყოზე?! ვისზე გასცვალა? ჯაყოზე, ჯაყო ჯივაშვილზე!... მაშ დაიჯეროს თეიმურაზმა? თუ უნდა, ნუ დაიჯერებს... მაშ როგორ უთხრა მაშინ ჯაყომ თეიმურაზს? „ურემი გაფუწდებოდეს... ღამე ლევანაშენში გაგატარე ჩვენ თომასთანო“ ესეც ლევანაშენი.. აი, თომაც აქა ზის..

მაშ დაიჯეროს თეიმურაზმა? მაშ გასცვალეს თეიმურაზი? ვინ, მარგომ?.. ვისზე, დიაღ ჯაყოზე? ჯაყო ჯივაშვილზე! იმ ჯაყოზე, რომელიც ეხლა ალბათ დოინჯშემოყრილი სდგას და სჭიხვინებს: „მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა“! ხა-ხა! როგორ არ გაიცინოს თეიმურაზმა? ხა-ხა!

თომამ თეიმურაზს შუბლზე ხელი დაადო და გამოაფხიზლა:

— რას ვიცინი, შენი წირი მე?

თეიმურაზი წამოჯდა:

— მე? მე ვ...ვვიცინი? რად ვ...ვვიცინი?

— მეც მაგას გეკითხები, შენი წირი მე, რათ ვიცინის მეთქი ბატონი?

რად იცინის თეიმურაზი? როგორ არ გაიცინოს განა სასაცილო არ არის?! ჯაყომ თეიმურაზს ცოლი წაართვა! დიაღ წაართვა!

ვინ წაართვა ცოლი თეიმურაზ ხევისთავს? ტყიდან გამოვარდნილმა ნადირმა, უგუნურმა პირუტყვმა, გუშინდელმა მოჯამაგირემ, ოღვეენმა, ბრიყვმა და ბნელმა ჯაყო ჯივაშვილმა! იმ ჯაყომ, რომელიც გუშინ თეიმურაზის ნახირს დასდევდა და მუდმივ ნეხვით იყო შეთხუპნილი და ჭუჭყისგან იყო შეჭმული! რომელიც საპონს არასოდეს იკარებდა და არც პერანგს გამოიცვლიდა! ჯაყომ წაართვა, ჯაყომ! ჯაყომ, რომელიც ისე იყო აყროლებული, რომ მისი სუნი,—როცა ჯაყო თეიმურაზის სახლში შევიდოდა ხოლმე,—სამი დღე მაინც სტრიალებდა იმ ოთახებში! და ის სუნი, ის თავბრუდამხვევი სიმყრალე, ეხლაც თან დაჰქონდა გამდიდრებულ ჯაყოს!

მერე, ვის წაართვა ცოლი ჯაყომ? განთქმულ საზოგადო მოღვაწეს, ცნობილ მწერალს, პატიოსანთა შორის პატივდებულს, ამაყსა და ქედუდრეკ თავადიშვილს თეიმურაზ ხევისთავს! ჯაყომ არ იმყოფინა წართმეული სახლი და კარი, ბაღი და ვენახი, ეზო და ნავუზრები, ავეჯი და წიგნები...

— რათ ვიცინის, შენი წირი მე?—კვლავ ეკითხება თომა, მაგრამ თეიმურაზს მისი ხმა აღარ ესმის.

თეიმურაზმა პატიოსნების და ცოლის გარდა ყველაფერი დაჰკარგა. ეხლა კი მათი ჯერიც მოვიდა. ცოლიც ჯაყომ მოსტაცა, პატივიც იმან აჰხადა! განა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეთი ამბავი სასაცილო არ არის?! მაშ არ უნდა გაიცინოს თეიმურაზ ხევისთავმა?

მას მოესმა ისევ თომას ალერსიანი ხმა:

— ალბათ კარგათა ხარ, შენი წირიმე, რომ აგრე ვიცინის. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, მხიარული კაცი ყოფილხარ.

ჰო, რა თქმა უნდა! თეიმურაზი მხიარული ადამიანია. წელან მზემ დაჰსიცხა და ოდნავ უქეიფოდ გახდა, თორემ ბუნებით თეიმურაზი ძალიან მხიარული ადამიანია.

— ეხლა როგორ ბრძანდები, შენი წირი მე?

ეხლა? ეხლა აღარაფერი უშავს თეიმურაზს. ეხლა ძალიან კოჩაღად არის... მაშ თეიმურაზს ცუდი ფერი ადევს? ეს არაფერია, მალე გაივლის... ვითომ ფეხზედაც ძლივსა სდგას? ეს კი ტყუილია! აბა, შეჰხედოს თომამ, რა წარდად გაივლის თეიმურაზი... რა სთქვა თომამ? მაწონი მაინც შესჭამოს, თეიმურაზმა?

— მ...მმადლობელი, თომაჯან, მ.. მმადლობელი. არა მშიან... მ...მმშვიდობით და გამარჯვებით! გამაცილებ? არა, გენაცვა, არა!.. საჭირო არ არის გაცილება, ნუ სწუხდები.

თეიმურაზმა ძალ-ღონე მოიკრიფა, წელში გასწორდა, ფეხები მოიმაგრა და ეზო კოჩაღად გადასჭრა. ღობეს რომ გადასცდა, უცებ ხელახლად მოიშალაკისერი ისევ მოსწყდა, კვლავ ორად მოიკაკვა, ფეხები ერთმანეთში გაეხლართა და ყელში რაღაც ბურთი მოაწვა. საჩქაროდ გზას გადაუხვია, დადამბლებული და ნაგვემი ტანი გატეხილ ღობეზე ძლივს გადაითრია, ვაზებში შეერია, ბალახებში პირქვე დაეცა, მძაფრად დაჭიმული ნერვების სიმები მოუშვა და დაგუბებულ დარდს პირი მოურღვია.

ბავშვივით ატირდა თეიმურაზი.

სლუკ-სლუკით ჰქვითინებდა და გამხდარ მხრებს ისე ახტუნავებდა, თითქო ზნედა დაემართაო.

მხოლოდ ბავშვობაში სტიროდა პაწაწა თეიმური ასეთის წვებით და ასე გულიანად. როცა თხუტმეტის წლისას დედ-მამა დაეხოცა, პატარა გული ასე მძაფრად მაშინაც არ ამოსჯდომია. ეხლა კი, როცა მუგუზი გული აუპრიალდა, ჯავრით ნაგქემი თეიმურაზი სიმწარისგან ვაზის ყლორტებს ამტვრევდა და ბალახს ფესვიანად ჰგლეჯდა.

დიდ ხანს ეგდო ბალახებში გაბრუებული, გონება-გაფრენილი, გარინდული, და განაბული თეიმურაზი. შხამიანი კოღოები თავში აღარ უბზუოდნენ და ტვინსაც აღარ ჰკბენდნენ. ბოლოს, როცა ტირილით გული მოიოხა და ფიქრთა ბრძოლა გაათავა, წელმოწყვეტილი ნაკაცარი ძლივს წამოდგა და ზლაზვნით ისევ გზას გაუდგა.

გადაწყვეტილი არ ჰქონდა, ნაშინდარში დაბრუნებულიყო თუ ისევ თავის გზით წასულიყო, გორში ფეხი მოეკიდნა და ...მარგოს წასაყვანად მერე ისევ ნაშინდარში ამოსულიყო.

თეიმურაზმა ოდნავ პირშეკრულ იარაში კვლავ ჩაირჭო მახვილი და დაა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტრიალა. ურჩი მაჯლაჯუნა ისევ ჩაუძვრა მინელებულ სულში და ცეცხლი მოუკიდა.

რაო, რა სთქვა თეიმურაზმა? ნაშინდარში უნდა ავიდეს მარგოს წამოსაყვანად? ვინ ჰბოდავს თეიმურაზის გულში ასეთს უკადრისს სისულელეს? ალბათ ვიღაც უჩინარი ჰროშავს ასეთს ტუტუცურს, რორემ თეიმურაზი ამას როგორ იტყვის!

მარგოს წასაყვანად?... კეთილი, მაგრამ მარგოც რომ გაჰყვეს თეიმურაზს, განა ისე უნდა დაიმციროს თეიმურაზ ხევისთავმა თავი, რომ კვლავ მარგოს ხმა გასცეს? განა ისე უნდა გაილახოს სახელი და დასთმოს ნათავადური თავმოყვარეობა, რომ ჯაყოს ნახასარს შეუნარჩუნოს ხევისთავის მეუღლის სახელი? ჭუჭყიან ნამრუშალს და ნამძუვნარს განა ისევ უნდა მოუალერსოს და ისევ გვერდით მოუწვეს!? შებილწულ მკერდზე ისევ თავი მიადოს და ჯაყოს დალოშნილ ტუჩებს მიეკაროს?!

— ჰოი, უწმინდურო, ჰოი, მურდალო დედაკაცო! ჰოი, გარყვნილო პიროტყვო! როგორ ატარებდი ამდენ ხანს თეიმურაზ ხევისთავის სახელს და ანგელოზის ნიღაბს?! რამდენი ტალახი და შხამი გქონია დაგროვილი მარმარილოს მკერდის ქვეშ! როგორ ვერ გაარჩია აქამდის თეიმურაზმა გველი კრავისაგან, ნელცოფა სუნნელ ყვავილისაგან და სალოცავი ხატი ქუჩის სალახანა გომბიოსაგან, რომელიც პირველივე ღამეს გაჰყვა ტყის კაცს ჯაყოს, რადგან იმ ნადირს თეიმურაზზე უფრო განიერი მხარ-ბეჭი ჰქონდა, უფრო სქელი ბარძაყები, ძლიერი მკლავები და... ალბათ მეტი ცეცხლიც!

უეჭველია, ცხადია! ცხადია, რომ ასეთი ფეხსუსტი მაწანწალა აქამდისაც დაეთრეოდა კარის-კარ და ყოველ ულაყს, თუნდ მეეზოვეს ან მეჩექმესაც ადვილად მისდევდა. მხოლოდ ეხლა აგონდება თეიმურაზს მრავალი შორეული საეჭვო ამბავი, მარგოს ორპირი ღიმილი და ნაჭარბევი პრანჭიობა... თეიმურაზს მარგოს შორეული ნაცნობი და ნათესავებიც აგონდებიან, რომელნიც ვითომ... აი, თუნდ მიხა ზედაუბნელი, ან ნიკო ჩუხიშვილი, ან კოტე შიქარაძე...

ცხადზე ცხადია, რომ მარგო ყველას სწყალობდა, ემორჩილებოდა, ჰყვარობდა!

— ჰოი, ბიწიერო! ჰოი, ჭრელო გველო! გაუმაძღარო, მსუნაგო გომბიო! ხომ იპოვნე ბოლოს შენი ღირსეული ტოლ-ამხანაგი! თუ ჯაყო არ გეყოს, მიიშველე ქეშელაც, ტურაც, გიბაც, ტელაც, მეშთაც და ყველა ნაშინდარელი გლეხებიც! ორასი კაცი მაინც მოგროვდება, ყველანი ჯერში ჩაიყენე და აქავებული ავი ვნება მოითხანე! ფუჰ, შენს ნამუსსა და ქალობას!

და თეიმურაზმა მტვერში შხამი და გესლი გადააფურთხა.

აშლილი თეიმურაზი მარდად მიაბიჯებდა გორისკენ, თან ოფლს იწმენდდა, ხანგამოშვებით გულ-ღვიძლით ოხრავდა და გზის ჩაყოლებაზე ჩარიგებულ წნორის ფოთოლსა და ყლორტებს შინდის ჯოხით სჩეპავდა. ირგვლივ არც კი იხედებოდა და გამვლელ მგზავრებსაც ვერ ამჩნევდა. შორიდან მხოლოდ ატენის მთებს და გორის ციხეს ხედავდა, რომელნიც თან-და-თან თეიმურაზისკენ მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიოდნენ. გორის ბაღებს და ციხეს რომ გასცდა და მთავარ ქუჩაზე რომ გავიდა, თეიმურაზმა ნაძალადევად გული გაიმაგრა და პირისახე გაიშალა.

თეიმურაზი ერთ კვირას დარჩა გორში. ხან ძველ მეგობარს მიადგებოდა კარზე, ხან კიდევ შორეულ ნათესავს მოიკითხავდა, მაგრამ ფეხი ვერსად მოიმაგრა და თავის-მისადები კუთხე ვერ იპოვნა.

თეიმურაზის ნაცნობნი, მეგობრები და ნათესავებიც შრომით წელებზე ფეხს იდგამდნენ და ერთი ლუკმის გულისთვის ერთ თასს ოფლსა ჰღვრიდნენ. თეიმურაზი გაფაციცებით ეძებდა სამსახურს, თუნდ შავს საქმეს, და თუნდ გადამწერის დარაჯის ან გზირის ადგილსაც დიდის მადლობით მიიღებდა. უცნობსა და ნაცნობს დილით საღამომდის კუდად დასდევდა, ან, ქედმოხრილი, სამ საათს ერთს „არას“ უცდიდა, ხან კიდევ უცნობ ადამიანს ბინის კარებს უკაკუნებდა, ცრემლიანის ხმით ეხვეწებოდა, შვიდ საფიცავს ფიცულობდა და ყველას თავის წარსულს აცნობდა.

ტყვილად ირჯებოდა თეიმურაზ ხევისთავი და ტყვილად უამბობდა ახალ ხელისუფლებას თავის ვინაობას. მას მაინც ეგონა, რო ცხვირწინ კარებს იმიტომ უკეტავდნენ, ვითომ თეიმურაზს არ იცნობდნენ. მხოლოდ მერე მიხვდა ლუკმა პურის მაძიებელი, რომ მას არ ენდობოდნენ, რადგან იმის წარსულს ზედმიწევნით იცნობდნენ. ბოლოს, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვერსად ვერაფერს გააწყობდა, რომ ქვის გულს ვერ გასტეხდა, ყინულს ვერ გაალხობდა და ერთ დაკეტილ კარებსაც ვერსად შეაღებდა, სულშელონებული მწიგნობარი წინანდელზე უარესად მოიბუზა, დაბნელდა და უიმედობის სევდით და შავის ნაღველით გაიგუდა.

X

კვირა დღე იყო თავჩაღუნული თეიმურაზი რიყრაყიდან გორის ბაღების გარშემო დახეტიალობდა,—უგზო-უკვლოდ, უაზროდ და უმიზნოდ. მერე, მინგრეულ ხუთკარიან ციხეში ქაქანით ავიდა, გალავანზე აცოცდა და ჩაფიქრდა.

მარგოზე აყრილი გული იმ ხეტიალსა და მარტოობაში თავის-თავად მოუბრუნდა. გუშინდელი დარდი დღევანდელმა ვარამმა დაჩრდილა. სადღა წავიდეს თეიმურაზი? ვის მიადგეს კარზე? ვის აეკიდოს სამადლოდ? კიდევ ვის შეახიზნოს მოძულებული თავი? არსად და არავის. ყველა გზები გადაჭრილია და მშველელი ხელიც არსაიდან მოსჩანს. ოოჰ, ნეტა შეეძლოს თეიმურაზს ქვის ზიდვა, აგურის ზელვა, შალაშინის, ან ჩაქუჩის მოხმარება! ისიც ხალისით და სიხარულით ჩაერეოდა მაშინ აგერ იმ მუშებში, რომელნიც მიწისძვრისგან დანგრეულ გორის სახლებზე მუშაობდნენ.. ჩაერეოდა და შავს ლუკმას თავის ოფლით გააგემრიელებდა. თეიმურაზმა ითხოვა კიდეც შავი მუშაობა, მაგრამ ზედ რომ შეჰხედეს და სათვალები დაუნახეს, მასხარად აიგდეს და ცივად გააბრუნეს. თეიმურაზს ცოლის ღალატის შხამიც თითქმის დაავიწყდა. გული წინანდელივით აღარ უბორგავდა. იქ დაბუდებული გველის წიწილებიც გაიძურწნენ და შხამიანი ნაღველიც დაიწურა. დარჩა მხოლოდ შავი სევდა,—ისიც დამწყნარი და დაწრეტილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზის ფეხქვეშ მინგრეული გორი ფუსფუსებდა. ციხის მარცხნივ და უკან ბაღები გადაჭიმულიყვნენ. მარჯვნივ მტკვარი და ლიახვი ერთმანეთს ეხუტებოდნენ. გაღმა რკინის გზისა და ნავთის სადგურები მოსჩანდნენ. უფრო ქვეით მატარებელი შავი გველივით ოხვრით და ქშენით მოცოცავდა. გამოღმა ნაცრის ფერ კლდეში უფლის ციხეს მესამე თუ მეოთხე ათასეულით ეძინა. მტკვარი ზევით და ქვეით ვერცხლის ქამარივით ჩაწოლილიყო ქაჩალ ჭალებსა და უდაბურ კალაპოტში. აღმოსავლეთით ტრედის ფერ ნისლში ოდნავ მოსჩანდნენ ქსნის ქედი და ზედაზენი, დასავლეთით და ჩრდილოეთით ქართლის მინდორი დილის ბურუსში და მთების კალთებში იკარგებოდა; ხოლო სამხრეთით, იქვე სადგურის თავზე ტყით შემოსილი თრიალეთის ტოტი აღმართულიყო,

თეიმურაზი გორში რომ მარტო დარჩებოდა,—სადმე კუთხეში მიწოლილი, ლუკმა პურის დევნით მოქანცულ-მოშხამული ან როცა „არას“ მოლოდინში ორსამ საათს იჯდა გახევებული, ჰაზრით ისევ ნაშინდარში გადაფრინდებოდა ხოლმე, ისევ მარგოსკენ მიილტვოდა, ისევ თავის ერთად-ერთზე ჰფიქრობდა და ზრუნავდა, ისევ თავის მეუღლეს ევლებოდა თავს, ის მაინც მას დაჰთრთოდა და დაჰკანკალებდა.

მისი მოღლილი გული ეხლაც ჰკვნესოდა და წუწუნებდა: იქნება მოსტყუედი? იქნება ბევრი თომას დაავიწყდა ორი თვის ამბავი! ან იქნება მაშინ ჯაყომ ხუმრობით დაასახელა თომა, ან მატარებელმა დაიგვიანა, ან კიდევ... ვინ იცის რა იყო და როგორ იყო? რათ დაიჯერე ასე ადვილად მარგოს ღალატი? რათ აფორიაქდი და აფეთქდი თოფის წამალივით. ვსთქვათ, ასეც მოხდა: ჯაყომ მარგო დაიმორჩილა, მისი სუსტი ნებისყოფა დაიმონა. მერე? რა მიზეზია? რათ გაგცვალა მარგომ ჯაყოზე? რათ გამოდგა უგეში ჯაყო იმ ბრძოლაში ჯაღოსანი და დაუჯაბნელი? სად არის ფესვი ასეთ უცნაურ არჩევანისა? ცხადზე ცხადია ერთი რამე: მარგოს რომ ჯაყოს მაგიერ სხვა ვინმე შეჰხვედროდა,—შენზე შეძლებული და ჯანიანი,—ისევ ეს ამბავი დაგემართებოდა: მარგო თავს დაგანებებდა და იმ უცნობს მიეკედლებოდა. მაშ ჯაყო რა შუაშია? ცხადია, რომ ჯაყო უბრალო შემთხვევაა და თეიმურაზის უბედურებაში მას ბრალი არ მიუძღვის.

მაშ ვინ, რამ დაატეხა თეიმურაზს ასეთი უმაგალითო სირცხვილი, ასეთი გაუძლისი უბედურება? ისევ თავის თავს უნდა უჩიოდეს და ემდუროდეს თეიმურაზი, ისევ თვითონ არის ბრალიანი და დამნაშავე, რადგან ის მეტის მეტად გადაჰყვა მწიგნობრობას, საზოგადო საქმეს და ქვეყნის ცხოვრებას—ზანზიბარსა და ეშმაკის კუნძულს, ლლოიდ-ჯორჯს და მაროკკოს, კლემანსოს და ლიბერიის რესპუბლიკას; გადაჰყვა თეიმურაზი და დაივიწყა, რომ გვერდით მას ცოლი ჰყავდა, რომ მარგოც დედაკაცი იყო, რომ იმასაც უნდოდა მოვლა და პატრონობა, მზრუნველობა და სიყვარული. რაც მარგოს თეიმურაზმა დააკლო, ეხლა ჯაყომ შეუვსო,—აი უბრალო, მარტივი და ბუნებრივი ამბავი. რომელიც გაცხარებულმა თეიმურაზმა მეტის-მეტიდ გაჰბერა და გადააჭარბა.

თეიმურაზს ისიც გაახსენდა, რომ ქალი დაუმთავრებელი ბავშვია,—სუსტი ულონო, გულჩვილი, მორცხვი და ლბილი; რომ მას მამაკაცისთვის უცნობი და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უხილავი თავისებური თვალი და ყური აქვს, აზროვნობა და გრძნობა. ქალური ალღო და ზნეობა, მდედრული შეგნება ამ ქვეყნის, მისი ხმის, ფერის, წეს-რიგისა და კანონების. გაიხსენა თეიმურაზმა ის მოურევნელი გაჭირვებაც, რომელიც თეიმურაზის დაუდევრობით თავს დაატყდა მარგოს: ავეჯეულობისა და მორთულობის თანდათანობითი დალევა, ბნელსა და ნესტიან ოთახში სულის შეხუთვა, დაკერებული ორიოდე კაბა, და დაგლეჯილი ფეხსაცმელი. დაძონძილ-დაკონკილი საცვალი, უხეირო საჭმელი, ზოგჯერ სიმშილიც, პუჭყი, სიცივე, დაკნინება და გაველურება.

„ღმერთო ჩემო!—წამოიძახა გულში თეიმურაზმა.—რამდენი უბედურება აიტანა საბრალო მარგომ, რამდენი?! დაიტანჯა და ჯვარს ეცვა საწყალი დედაკაცი! არა, მარგო უბრალოა: მას არა აქვს ნებისყოფა, სიმტკიცე და გამძლეობა. დაიტანჯა საწყალი მარგო! დაიტანჯა და დაილია, დადნა და ჯვარს ეცვა!.. უბედური მარგო!... საბრალო დედაკაცი!“.

ბოლოს თეიმურაზმა გულის ნაუბარს დაუჯერა და მარგოს ბრალი სავსებით თავის კისერზე გადიჭდია. თეიმურაზი კვლავ ციხის კედელზე იჯდა, ისევ შუბლში მჯიღს იცემდა და ზოგჯერ გულში, ზოგჯერ კიდევ ხმამაღლა გაჰკიოდა:

— ახია, ჩემზე, ახი! ეგრე მინდა, ეგრე! ეს ერთი და სხვა ათასი!

გაახსენდა თეიმურაზს ლევანაშენის წამება და ის საზარელი ღამეც, რომელიც ჯაყოს დუქანში გაატარა; გაახსენდა ჩირქი და ტალახი, რომელიც იმ ღამეს და იმ დღეს მარგოს შეასხა; მოიგონა თავისი დაჩაგრული მეუღლის შებღალვა და შებილწება. მოიგონა და თვითონვე შერცხვა თავისი სიფიცხის და აპრიალებისა. მაშინდელ რომვას დღეს გულში ჰნანობდა და უდანაშაულო მარგოს წინაშე ბოდიშს იხდიდა:

— ჩემო საბრალო მარგო! ჩემო უმანკო მარგუში! ჩემო საწყალო მარგალიტო! ჩემო ერთად-ერთო მეგობარო! მიუტევე შენს თეიმურაზს, თუ მან შეურაცხჰყო და წაჰბილწა შენი წმინდა სული და უმწიკვლო სახელი!

მაგრამ ვილაც უჩინარი, ავი და ბოროტი სული გვერდით მოუჯდა უკვე განსპეტაკებულ თეიმურაზს და გაშმაგებით ებრძოდა იმის გულს და ხანგამოშვებით მოაგონებდა მამაკაცის თავმოყვარეობას, ამაყობას და ამპარტავნობას: „სირცხვილი? საქვეყნოდ თავის მოჭრა? შენი გამასხარავება? ყველანი ზურგს უკან დაგცინიან, სთელავენ ხევისთავის სახელს, პატივს აღარ გაძლევენ, კარებს გიკეტავენ და ზურგს გიჩვენებენ“.

ხანგრძლივსა და მწარე ბრძოლაში ბოლოს გულმა ამპარტავნობას დასჯობნა და საბოლოოდ დაიმორჩილა თეიმურაზი.

თეიმურაზმა იმ დღეს პირველად იგრძნო მარტოობის სიმწვავე, ეულობის ტკივილი და უპატრონობის გაუძლისობა. არც წინად და არც ეხლა თეიმურაზს, თურმე მარგოს მეტი ამ ქვეყნად არავინ ჰყოლია. მისი თანაზიარნი და მიმყოლნი თურმე მხოლოდ ქუჩაში, კრებებსა და ჭამა-სმაში ყოფილან თეიმურაზის მეგობრები. ეხლა კი, როცა მას ლხინი ჭირად შეეცვალა, როცა მიშველება, გამხნევება და ნუგეში დასჭირდა,—ყველანი გაიფანტნენ და ცხოვრების ულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობელ მოედანზე თეიმურაზი მარტოდ-მარტო დასტოვეს, [illegible] ერთგული მარგო ედგა მას გვერდით, მხოლოდ მან გასწია თეიმურაზის ავბედითი უღელი, მან გაიზიარა მისი ჭირი და ვარამი, სიმშილი და უძილო ღამე, შავი სევდა და მწარე ცრემლი.

განა მარგომ ცხადად არ დაუმტკიცა თავის ქმარს ცოლის ერთგულება, მეგობრის მოვალეობა, უსაზღვრო მოთმინება და საარაკო გამძლეობა? ეხლა კი თეიმურაზს ეს ერთად-ერთი მეგობარიც უნდა ჩამოაშორონ?!

და თეიმურაზმა ანაზდეულად იგრძნო თავზარდამცემი შიში ბავშვისა, რომელიც დედამ უცხო ქვეყანაში თავის კაბის კალთას ჩამოაშორა და მარტოდ-მარტო დასტოვა. იგრძნო ასეთი შიში თეიმურაზმა და აცრცოლდა, დაიბნა და აჩუყდა. და როგორც უპატრონოდ მიგდებული ბავშვი დარბის ჩაბნელებულ ქალაქში და მთრთოლვარე ხმით გაჰკივის: „დედა! დედილო! სადა ხარ, დედილოო"?, თეიმურაზიც ასე ეულად იჯდა გორის ციხის კედელზე და იძახდა:

— მარგო!.. ჩემო მარგუში'... ჩემო მარგარიტავ! ჩემო მარგალიტო! მომწყინდა უშენობა... დავიტანჯე უშენოდ. ალბად უჩემოდ შენც გიკვნესის გული, ალბათ შენც დაგელია თვალი ჩემს მოლოდინში გზის ცქერით. ვერა, ჩემო ერთავ, ვერა, თეიმური ვერ გაუძლებს ობლობას. ის ვერ დარჩება თავის დახამშულ ბედის ანაბარად, ის მარტო ვერ გასწევს ცხოვრების უღელს, რომელიც რკინასავით დამძიმდა და კლდესავით დააწვა თეიმურაზის კისრის ჩამტვრეულ ხერხემალს.—და გადასწყვიტა: —

წავალ ნაშინდარში, ხელს ჩავავლებ ჩემს ცოლს და წამოვიყვან. ქვეყანა დიდია, სიმშილით არ დავიხოცებით, დღე და ღამეს გავასწორებ, თუნდ მოჯამაგირედ დავდგები... ჩემს მარგოს კი დედოფლად დავისვამ და ერთგულად ვემსახურები; ალბათ თავი და ხელი ვერ გავანძრიე წესიერად, თორემ ჩემისთანა კაცი მართლა სიმშილით როგორ მოკვდება! ვიშოვნი ერთ ლუკმა პურს, ყოველთვის ვიშოვნი. ვიშოვნი და ამიერიდან მხოლოდ იმისთვის ვიცხოვრებ და მხოლოდ იმას შევსწირავ დანარჩენ ჯან-ღონეს და სიცოცხლის დღეებს. კმარა! გათავდა ჩემი საზოგადო მოღვაწეობა! ეხლა ჩემთვის და მარგოსთვის უნდა ვიცხოვრო. თუნდ ერთ საათში დაღუპულან და წყალსაც წაუღია ზანზიბარიც, ლიბერიაც. რურიც, მოსსულიც, სუდანიც, ბესსარაბიაც, ეშმაკის კუნძულიც და ბოტოკუდებიც, ლლოიდ-ჯორჯიც და ერრიოც, პუანკარეც და კერზონიც, მაკდონალდიც და მუსოლინიც, წიგნიც და... ქართული საქმეც! დიაღ, ქართული საქმეც! მორჩა. და გათავდა.

მაგრამ... თეიმურაზის გული გონებას არ ემორჩილება და არ ეთანხმება. ცარიელია იგი. შიგ ბნელი ღამეა. რწმენას ეძებს თეიმურაზ ხევისთავი, ეძებს ღმერთს ან სატანას, ზეციურს ან ამქვეყნიურს. სულის სიბნელეს ისევ ის სჯობია, რომ გულში შავი ქვა ედოს. ურწმუნო სულის ტარება და ცარიელის გულით სიარული მას აღარ შეუძლიან. იმ საშინელ ღამის შემდეგ, როცა ივანემ თვალი აუხილა, თეიმურაზს პატარა სახარება თან დააქვს ჯიბით. მალვით კითხულობს ღვთის სიტყვას თეიმურაზ ხევისთავი, თითქოს სასირცხვილო საქმეს სჩადის და დღის ნათელს ერიდება. ეხლაც ამოიღო იგი და გადაშალა მეექვსე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მათესაგან. ჯერ გულმოდგინებით, სასოებით და პირჯვრის წერით წაიკითხა „მამაო ჩვენო“, მერე მეშვიდე თავი გადაფურცლა და ასეთივე სასოებით ჩაიკითხა:

„ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ.

რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ,— განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ,—მოგეწყოს თქვენ.

ანუ რასა ჰხედავ წველსა თვალსა შინა ძმისა შენისასა, და დვირსა თვალსა შინა შენსა არა განიცდი?

ანუ, ვითარ ჰქვა ძმასა შენსა: მაცადე და აღმოვიღო წველი თვალისაგან შენისა; აჰა ეგერა დვირე თვალსა შინა შენსა.

ორგულო! აღმოიღე პირველად დვირე თვალისაგან შენისა, და მაშინ იხილო აღმოღებად წველი თვალისაგან ძმისა შენისა.

ნუ მიჰსცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა, ნუ უკვე დაჰსთრგუნონ იგი ფეხითა მათითა, და მოიქცენ და განგხეთქნენ თქვენ.

ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდეთ, და ჰპოოთ; ირეკდით, და განგეღოს თქვენ.“

ამ დროს ქვემოდან ზარის რეკვა მოისმა. თეიმურაზი ციხის კედლიდან ჩამოცოცდა და ნელის ნაბიჯით თავქვე დაეშვა. ურწმუნო თეიმურაზი თავის ჯვრისწერის დღიდან ეკლესიაში არ შესულა. თუ ქვაშვეთსან სიონში ოდესმე საზეიმო პანაშვიდი გამოცხადდებოდა, საზოგადო მოღვაწე ეკლესიის ეზოში გამოჩნდებოდა და დროს ლაყბობაში გაატარებდა, ეხლა კი ისე მიაბიჯებდა ღვთის ტაძრისკენ, როგორც ოცდახუთის ან ოცდაათი წლის წინათ თავის დედასთან ერთად მიდიოდა აღდგომის ღამეს ნაშინდარის ეკლესიაში,—სასოებით, გულის ფანცქალით, სიხარულით და რწმენით. თეიმურაზ ხევისთავი ჰგრძნობდა, რომ იმის ნაგვემ სულში სული წმინდა ჩაფრინდა, ან თვითონ თეიმურაზი მოსწყდა ცოდვილ ქვეყანას და მისწვდა ზეციერ მამას, რომელსაც კარგა ხანს ეძებდა და მოუწოდებდა.

ეკლესიაში ოციოდე მოხუცებული იდგა. თეიმურაზი ბნელ კუთხეში დადგა. ძველი მივიწყებული, უბრალო ლოცვები მოიგონა და უჩინარს მთრთოლვარე ჩურჩულით შეჰღაღადა:

— წმიდაო მამაო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდაო, შეგვიწყალენ ჩვენ! დიდება მამასა, და ძესა, და სულსა, ამინ!

დიაკონმა სამოციქულო გაათავა, ღვდელმა ბებრულ ჩურჩულით და სასოებით წაიკითხა. თეიმურაზი სულგანაბული უგდებდა მრუში დედაკაცის იგავს.

მწიგნობართა მათ და ფარისეველთა მოუყვანეს იესოს: მრუში დედაკაცი, რომელიც მოსეს კანონით უნდა ჩაექვავებინათ, და ჰკითხეს იესოს: შენ უკვე რასა იტყვი? ხოლო იესო „აღემართა ზე და ჰრქვა მათ: ვინ უცოდველ არს თქვენგან, პირველად მან დაუტევენ ქვა მაგას ზედა. ხოლო მათ, ვითარცა ესმა, ხილებულნი სვინიდისისაგან, განვიდოდეს თითო, იწყეს მოხუცებულითგან, ვიდრემდის დაშთა თავადი მარტო, დედაკაცი ჰსდგა შორის ხოლო იესო აღე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მართა და არავინ იხილა, გარდა დედაკაცი იგი, და ჰრქვა მას: სადა არიან შე-სასმენელი შენნი? არავინ განგიკითხა შენ? ხოლო მან ჰრქვა: არავინ, უფალო! ხოლო იესო ჰრქვა მას: არცა მე განგიკითხავ შენ. წარვედ ამიერიდან ნუღარა ჰსცოდავ“

ამ იგავის გაგონებაზე თეიმურაზს გული აუჩუყდა. გამხმარ მუხლისთავე-ბით ცივ ქვაზე დაემხო და მეტანიით ჩურჩულებდა:

— ჩემო მარგო!.. მარგუში! არც მე განგიკითხავ შენ. ოღონდ ნუღარა ჰსცოდავ, ოღონდ ხელი ჰკარ ჯაყოს, დაივიწყე ყოველივე და გაჰყე შენს ერთგულ თეიმურაზს, ის თვითონაც და ივიწყებს ყოველივეს და ამიერიდგან იცხოვრებს მხოლოდ შენით და შენთვის. წმიდაო მამაო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვ-დაო, შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვილთა და ულირსთა, რამეთუ დღემდის არა გვრ-წმენიან შენი, ხოლო ამიერიდგან ვარ მლოცველი შენის წმინდა სახელისა და წმიდა ტაძრისა. ამინ!

თეიმურაზს სული შვების გრძნობით აღევსო. მხურვალე ლოცვამ და რწმენის დაბრუნებამ გული აუდუღა და თვალები ცრემლით გაუვსო. ეჭვის ჭიებიც გუ-ლიდან ამოფუსფუსდნენ და გაჰქრნენ. წირვა რომ გათავდა, მხოლოდ ერთი ჭია-ღა შერჩა სულის ჯურღმულში. იმის გასადევნად თეიმურაზმა ღვდელი მო-იხმარა. ეკლესიიდან რომ გავიდნენ, ხელახლა მონათლული ძმა ქრისტესი თეი-მურაზი მიუახლოვდა მოხუც ღვდელს და უთხრა:

— მამაო! აი სახარება მათესაგან, თავი მეშვიდე, მუხლი თუთხმეტიდან ოცდაერთამდე, ამიხსენ და განმიმარტე იგი, რამეთუ ვერა გავიგე.

და თეიმურაზმა წაუკითხა:

ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდენ თქვენ-და სამოსლითა ცხოვართაჲთა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ.

ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი. ნუ უკვე შეჰკრიბიან ეკალთაგან ყუ-ძენი, ანუ კუროსთავთაგან ლეღვი?

ესრეთ ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს, ხოლო ხე-მან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღოს.

ვერ ხელემიწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად, და არცა ხესა ხენეშსა ნაყოფი კეთილი ყოფად.

ყოველმან ხემან, რომელმან არა ჰყოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას.

არა ყოველმან, რომელმან მჰრქვას მე: უფალო! უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა; არამედ რომელმან ჰყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათჲსა“.

ნაყოფთა რამე მათთაგან იცნნეთ იგინი.

გაათავა თეიმურაზმა კითხვა და ჰკითხა ღვდელს:

— მითხარ, მამაო, ვითარ შევუფარდო ეს სიტყვა იესოსი დღევანდელ ცხოვრებას?

ღვდელმა გახსნილ ჯიბის სახარების ერთი ფურცელი გადმოფურცლა, გამ-ხმარი და მთრთოლვარე თითი ერთ ალაგს დაადო და უთხრა:

— წაიკითხე პასუხი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უთხრა, მოტრიალდა და ლასლასით წავიდა, ხოლო თეიმურაზმა ნაჩვენები წაიკითხა: თავი შვიდი, მუხლი პირველი:

ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ.

თეიმურაზმა იმ დღეს სულის სიცხე გაინელჯა, ოდესღაც მორღვეული რწმენა გაიმთელა, ნაგვემ კისრიდან ძალლის მძორი ჩამოიხსნა და წაბილწულ გულიდან ყარტლი ამოირეცხა. აღარც მყრალი ლეშის სუნი ესმის თეიმურაზს. ის დღეც თითქოს განათლდა და ხალხიც გამხიარულდა. ხვალ თეიმურაზი ნაშინდარში ავა, მარგოს თავის გარდაქმნას უამბობს, წამოიყვანს და ბედნიერებით, რწმენით, შრომით, მშვიდობით და სიყვარულით აღსავსე ცხოვრებას შეუდგება.

## X.

თეიმურაზი არხეინად და ყოჩაღად მოძუნძულებს ნაშინდარისკენ, და ზოგჯერ ჩახლეჩილის ხმით ღიღინებს.

შაბათი რომ დაღამდება, კვირა გათენდეეება-ა...

მიდის თეიმურაზი და ჰქარგავს გულისამჩუყებულ სიტყვის, რომელსაც ეტყვის მარგოს.

დააწყო, დახატა და მოჰქარგა.

თუ მარგო მართლა დაძალებულია, თუ ჯაყოც ახირდა და მარგო არ გამოუშვა, თეიმურაზი ეტყვის ჯაყოს:

„ამხანაგო ჯაყო! ახალმა ცხოვრებამ გაიგუნა ჩემი სახლ-კარი, ბაღი და ნაფუზრები. ღმერთმაც შეგარგოს, იმუშავე და მოიხმარე. მაგრამ ჩემი ცოლი ჩემია. მარგო ჩემთვის არავის წაურთმევია და შენთვის არ მოუცია. ჯაყო! შენი ძალა უსაზღვრო არ არის. ჩვენ მთავრობაც გვყავს და კანონიც გვაქვს. ნუ აუხირდები ხელისუფლებას, თორემ ინანებ. ინებე ჩემი გულწრფელი და უღრმესი მადლობა უხვის მასპინძლობისათვის. სამაგიეროდ ერთ-ხუთად გადაგიხდი... დღეს თუ არა, ხვალ მაინც გადაგიხდი“ .. მარგო, წავიდეთ!

მარგოც მადლობას გადაუხდის ჯაყოს, ხელს ჩაავლებს თეიმურაზს და ორივენი წავლენ...

საით წავლენ? მაგას მერე მოისაზრებს თეიმურაზი.

შეიძლება ჯაყომ სთქვას:

„მარგოს ჩემთან გინდა დარჩენა.“

„ვისთან? შენთან? ჯაყოსთან? ხა-ხა-ხა! მარგო, გაიგე ჯაყოს ნაბოდვარი? „მარგოს ჩემთან გინდა დრჩენაო!“ რა მასხარა რამ არის ჯაყო! მაგრამ მაინც შენ რას იტყვი? მარგო?“

მარგო წინ წამოდგება და იტყვის:

„ჯაყო! მე დღერდის პატრონი არ მყავდა. ჩემი თეიმურაზი წიგნებმა, საზოგადო მოღვაწეობამ და საქვეყნო ზრუნვამ დააბრმავეს: თეიმურაზი ოცი წელიწადი იბრძოდა, შენკი არხეინად იჯექი ჩვენს მამულში, გლეხებს ტყავს აძრობდი და სუქდებოდი. ბოლოს თეიმურის თავგანწირულმა ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო, რომელიც შენ მიითვისე, ჩვენ კი სამათხოვროდ გაგვიხდა საქმე. შენც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგათ იცი თუ რაც მოხდა. შენ უხეშად ისარგებლე ჩვენის [illegible] უძლურებით და დამიმონე. ეხლა თეიმურმა თვალები აახილა, ყველაფერი დაინახა და გაიგო, რაც მოხდა—მოხდა! ეხლა ყველაფერი დაივიწყე. მე შენი ტოლი არა ვარ. მე ვუბრუნდები ჩემს ერთგულს, ნაცადს მეგობარს, ჩემს თეიმურს, რომელიც დღეს ხელახლად დაიბადა ახალ ცხოვრებისთვის, ბრძოლისთვის და ჩემი სიყვარულისთვის. ჯაყო! ჩემი ქმარი ეხლა ძლიერია და ახალგაზრდა ის, უძლეველ და დაუშრეტელ ჯანღონით არის სავსე, ამიტომ დღევანდელ დღიდან სამუდამოდ ვუბრუნდები მას. მშვიდობით იყავი, ჯაყო!“

ამაყი მარგო მოტრიალდება, თეიმურაზს ხელს წაავლებს და ორივენი წავლენ...

სად წავლენ ორივენი?

„ქვეყანა დიდია.—კვლავ ფიქრობს თეიმურაზი.—სამსახურის კარები ყველგან დამიკეტეს. მე სხვა კარებს მოვძებნი: სამრეწველო ან სავაჭრო ან ამხანაგობას შევადგენ და პრაქტიკულ საქმეს შევუდგები. მართალია, კერძო ვაჭრებიც დღითი-დღე ილევიან, მაგრამ ვაჭრობის გარდა სხვა ხელობასაც ვიპოვნი ან ხარაზობას შევისწავლი, ან გაკვეთილებით ვიცხოვრებ, ან კიდევ, თუ მეტის მეტად გამიჭირდა, ქუჩაში გავალ და პაპიროზსს გავყიდი, ან ფეხსაცმელის მწმენდავად დავდგები. ბევრი კეთილშობილი და ნასწავლი ცხოვრობს ეხლა ასეთ ხელობით. ერთი სიტყვით, კმარა ესოდენი ფუტურო სიტყვა და ავი ოცნება, კმარა! ხალხი დავახრჩეთ სიტყვების ზღვაში. ერთი წყეული ქალამნის მოქსოვით უფრო მეტს ვარგებდი ჩემს თავსაც და ხალხსაც, ვიდრე თხუთმეტი წლის „მოღვაწეობით“ და თეიმურაზმა „მოღვაწეობა“ ფრჩხილებში ჩასვა. მერე კვლავ განაგრძო თავის თავთან საუბარი: „კმარა! ჩემმა ნამოჯამაგირალმა პეტრემ წერა-კითხვაც არ იცის, მაგრამ იმას ჩემზე ხუთჯერ მეტი ჭკუა ჰქონია. ადრევე მეუბნებოდა: თავვმა თხარა თხარაო და კატა გამოთხარაო. ამას წინად კი თავისთვის ჩაიბურტყუნა: რაც მოვიდა დავითავო ყველა შენის თავითავო. ივანემაც სწორედ მომიჭრა: ურემი რომ გადაბრუნდებაო, გზაც მაშინ გამოჩნდებაო. ჩემი ურემიც გადაბრუნდა დაიმსხვრა და გზაც ეხლა გამოჩნდა. ვხედავ ახალ გზას, ვხედავ! კმარა, კმარა! ეხლა კი ჭკუა ვისწავლე და თვალიც გავახილე.

მაშ რომელ საქმეს შეუდგება თეიმურაზი?

საქმე ათასია: საკომისიო მაღაზია... ან ბაყლეულის დუქანი... ლიმონადის ან საპნის ქარხანა... ან ერბოთი და ყველით... ვაჭრობა... ან გაკვეთილები, ან პაპიროზის გაყიდვა. ერთი სიტყვით, საქმე უთვალავია... ყველაფერი ადვილად მოეწყობა, ოღონდ... ოღონდ... დღესვე წამოიყვანოს თეიმურაზმა მარგო, ოღონდ დღესვე დაიბრუნოს ერთგული, შეუცვლელი მეგობარი და... სულიერი მშვიდობა.

ოოჰ! სულიერი მშვიდობა! სულიერი მშვიდობა! როგორ მოსწყურდა საწყალ თეიმურაზს სულის მშვიდობა! რამდენი წელიწადი დაეძებს მას მშიერი თეიმურაზი, მაგრამ ვერ იქმნა, ვერ იპოვნა და ვერ დაისვენა. ეხლა კი...

დღეს თუ დაიგვიანა თეიმურაზმა, ხვალ დილით მაინც... ხვალ დილით უეჭველად... უეჭველად!

თეიმურაზი დაიღალა. ვერხვის ჩრდილში მიწვა და მიიძინა. გრილმა სიომ გამოაღვიძა. ბინდი ჩამოწოლილიყო. ნაშინდარელ ურემს წამოეწია და შეახტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის თავს რომ მიაღწიეს, ათი საათი იქნებოდა. დუქანში შუქი მოსჩანდა. თეიმურაზი ჩამოხტა და დუქანში შევიდა შიგნით ქეშელა და ბრინკა ფუსფუსებდნენ. ქეშელა დასაძინებლად ემზადებოდა, ბრინკას კი ჯაყოს სახლში მარილი უნდა აეტანა.

— მაშ ერთად წ.. წწავიდეთ, ბრინკა!

— წახვიდეთ, შენი ჭირი მე, რატომ არ უნდა წახვიდეთ!

ერთად წამოვიდნენ. თეიმურაზი ფიქრობდა: „ჯაყომ, ბრინკა დამარქვა, მასხარად ამიგდო. ჯაყოს ბრინკასავით ნაცარქექია და ბედოვლათი ვგონივარ, მაგრამ ჯაყო სასტიკად მოსტყუვდება. ვნახოთ.. ხვალ ვნახოთ“.

თეიმურაზი ცუნცულით მიმავალ ბრინკას მისდევდა, გულში კი თან-და-თან უმიზეზო შიშს, უცნაურ მორიდებას და მოკრძალებას ჰგრძნობდა. ისე ეჩოთირებოდა ჯაყოს სახლში შესვლა, თითქოს მოისხანე ბატონთან მიდიოდა სახვეწნელად და თავის შესაბრალებლად.

ხუთი წუთის შემდეგ თეიმურაზი ჯაყოს და მარგოს ნახავს. მერე? რას ეტყვის თეიმურაზი? იშოვნა სამსახური? ვერ იშოვნა. მერე, რად მიჰყავს მოულოდნელად მარგო? იმიტომ რომ... თავი მოაბეზრა ჯაყოს... სტუმრობა გაუგრძელათ. ეხლა სად მიდიან? ვის მიადგებიან კარზე? თეიმურაზმა არ იცის, ვის შეეკედლებიან და ხვალინდელ ლუკმას როგორ იშოვნიან. ის კი იცის, რომ წელანდელი მოქარგული სიტყვები აპრიალებულ ტვინის ნაბოდვარი იყო, ხოლო ეხლანდელი, უცბად შეთინთიხნილი გეგმა მარგოს გააცინებდა, ჯაყოს აახვიხვინებდა და თეიმურაზსაც გააწითლებდა.

მაგრამ არა უშავს რა, თეიმურაზი ამალამ დასაჯერებელ. მიზეზს მოისაზრებს და დილით მარგოს წაიყვანს, ეხლა ასეთი რთული საქმის გადაჭრა ძალიან ძნელია და დაგვიანებულიც არის, რადგან ბრინკა და თეიმურაზი უკვე კიბეს მიადგნენ.

ბრინკამ ძაღლს დაუყვავა, რომელმაც თეიმურაზი დაუყეფავად გვერდით გაიტარა.. გვიანდაა ფიქრი, გეგმის შემუშავება და შესრულება... სახლი ჩაბნელებულია... ალბათ ჯაყოსაც სძინავს და მარგოსაც.. ყველაფერს ამაღამ მოისაზრებს თეიმურაზი.

ბრინკა სადღაც გასხლტა. თეიმურაზმა ერთი ოთახი ფეხაკრეფით გაიარა და თავის ოთახში შევიდა.

ეს ოთახი თეიმურაზის ახალგაზრდობაშიც მისი საწოლი იყო. ეხლაც ორივენი იმ ოთახში იყვნენ დაბინავებულნი. მარგოს ალბათ სძინავს... სძინავს თხუთმეტი წლის წინად ნაყიდ ინგლისურ საწოლზე, რომელიც მარჯვნივ... დიდი სარკის პირდაპირ... აი აქვე, ფანჯრის ძირში... აი ამ კუთხეში, საიდანაც...

იმ კუთხიდან თეიმურაზს გოლიათური ფშვინვა ესმის. თეიმურაზმა სათვალეები შეისწორა, რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადასდგა და განიერს ინგლისურ ტახტს დააცქერდა.

დააცქერდა და ფანჯრიდან შემონაღენ მთვარის შუქზე ბეცის თვალებით ძლივს გაარჩია იმ ტახტზე გაშოტილი ორი ადამიანი. დააკვირდა თეიმურაზი და სიგრძე-სიგანეზე იცნო გულაღმა გაშლართული ჯაყო, მისი მტკავლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიგრძე ულვაშები, პეშვის ოდენა ღია პირი, ცხენის კბილები და ბალიშივით ამოგდებული მკერდი.

ორივენი წელამდის შიშვლები იყვნენ, ხოლო წელქვეით თეთრი ზეწარი ეხურათ. მარგოს ჯაყოს მარცხენა მკლავზე მიედო თავი, როგორც მუთაქაზე, და მაძღრად ეძინა; პირისახეც მშვიდი, უმანკო და მაძღარი ჰქონდა. გაფუებული ძუძუები მთვარესთვის ამოეგდო; მკრთალი, თითბერის მკერდი გაელელნა და თვისი ხშირი თმა უდარდელ ღიმილით მოსილ პირსახისთვის შავი გველივით შემოევლო. თეთრი, გატიკული და თლილი მარმაროს მკლავი ჯაყოს ბანჯგვლიან მკერდზე დაედო.

თეიმურაზი უცებ თავით-ფეხებამდის ჭიანჭველების ბუდეში ჩაჯდა.

თავში ალი აუვარდა, იმის გულს ცეცხლის სალტე მოუჭირეს და ტვინს მარწუხებით დასწვდნენ. თვალთ დაუბნელდა, თავბრუ დაესხა და მუხლები დასწყდა. მაინც თავს ძალა დაატანა, ორივე ხელით ტახტს დაებჯინა, კისერი წინ გაიწვდინა, თვითონაც გაიჭიმა და ორივეს ჩაციებით დააცქერდა; ორივეს ავის თვალით ათვალიერებდა თეიმურაზი და ხარბის დაკვირვებით სინჯავდა, თითქოს ხანგრძლივ უსმელ-უჭმელობის შემდეგ, და სურათით სძღებოდა, შხამიან წყურვილს იქრობდა, რაღაც უცნაურ ჟინს იკლავდა და აყზნიან სასმელით იწამლებოდა.

როდის. ან სად ნახა თეიმურაზმა ასეთი სურათი? ჰო, მართლა დუქანში ნახა. ეძინა თუ ეღვიძა მაშინ თეიმურაზს? აღარ ახსოვს, ან აკ ზნიანი სიზმარი იყო, ან ცხადი უჟმური, ნეტა ეხლაც ლანდი ხომ არ არის? თვალები მოიფშვნიტა და ჯაყოს მკერდზე აკანკალებული თითი დაადო.

თავში ყინულის ქოფანტელმა დაჰკრა და ქუსლებამდის ჩაურბინა. თვალებზე ბინდი გადაეფარა. მკლავები მოეღუნა. ფეხები უკან წაუცურდა თვითონაც შავ ბურანში შთაინთქა და მოსხლტა.

იმავ წუთს თითქოს იმ იატაკზე ვიღაცამ ნაფოტით გატენილი ტომარა დააგდო.

თეიმურაზმა იმავ ლოგინში გაახილა თვალები, სადაც ერთი საათის წინ ჯაყო და მარგო ჩახუტულნი იწვნენ. გაახილა და თავი საგონებელს მისცა· იქაურობას ათვალიერებდა, რაღაცას იგონებდა რაღაც ლანდს ებღაუჭებოდა' რომელიც თეიმურაზის დაღლილ და დასუსტებულ მეხსიერებას გაურბოდა. ჩაცმული მარგო ქმრის თავთან იჯდა· და კაკლის ტოტებში ჩაწოლილ მთვარეს სარკმლიდან ჩაციებით გასცქეროდა. თეიმურაზი არ ინძრეოდა, კვლავ ოთახსა და მარგოს ათვალიერებდა და დავიწყებულს იგონებდა.

უცებ თეიმურაზს თვალწინ ელვასავით ჩაურბინა წელანდელმა სურათმა, თეიმურაზმა ოდნავ წამოიწია, ერთი დაიგმინა, დაიკვნესა და თითქოს იმ გმინვას თავისი მილეული სულიც ამოაყოლა.

მარგომ თეიმურაზს ხელი შუბლზე დაადო, მაგრამ არ მოიხედა და კაკლის ფოთლებში მილულულ მთვარეს თვალი არ მოაშორა.

თეიმურაზი მარგოს ხელს ორივე ხელით დასწვდა და მიიზიდა. მარგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც არ შეინძრა, კისერი უარესად მიიღრიცა და სულთმობრძა[illegible] მეტად აარიდა თვალი.

თეიმურაზმა ხმა ძლივს იპოვნა:

— მარგო, ჩემო. მ...მმარგუში! ეს რა ამბავია? ეს რა დ...დდამემართა?

მარგოს ხმა ჩაუწყდა.

— ეს რა ღვთის რრრისხვა დამატყდა-! ეს რრროგორ მოხდა, რომ შენ, ჩემმა ერთგულმა მ.,.მმეგობარმა ჯაყოზე გამცვალე?! მ...მმარგუში, ჩემო მარგუში! ხმა ამოიღე! სთქვი, როგორ მოხდა მეთქი?

მარგო კვლავ სდუმდა.

— ჩემო მ...მმარგუში! პასუხი მაინც მომეცი, დ...ддამამშვიდე.,. რათ მოხდა? როგორ მოხდა ეს ამბავი?

მარგომ უძირო ოხვრით ამოიოხრა და ოდნავ გასაგებ ჩურჩულით ორი სიტყვა ძლივს ამოისუნთქა:

— არ ვიცი...

— მესმის, მ...მმესმის. გეძნელება ლაპარაკი... მ...მმესმის. იმ მხეცმა შენზე ძალა იხმარა. რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა, ძალით დ...დდაგიმორჩილა. შენც დამიმალე, რადგან შ...შშეგეშინდა ულუკმო-პუროდ დარჩენისა და ს...სსირცხვილისა, არა? ეგრე მოხდა ეს ამბავი არა? ეხლა კი ყველაფერი მესმის... ძალიან კ...კკარგად მესმის. მართალს ვამბობ თუ არა?

და ერთხელ ვიდევ გაიმეორა:

— მ...მმართალს ვამბობ თუ არა?

მარგომ ერთხელ კიდევ ამოიოხრა და ძლივს ამოისუნთქა:

— ჰო, მართალია.

— პირველად ეს ამბავი მაშინ მოხდა, ტ...ტტფილისიდან რომ მოდიოდით, არა?

მარგომ პირისახე ხელებში ჩაიმალა.

— იმ ღამეს ლევანაშენში არ ყოფილხართ... არც თ..თთომა გინახავთ. ესეც ხომ მართალია?

ისევ დუმილი.

— რაკი ჯაყოს ერთი ძ...ძძალადობა შერჩა, მერე შ...შშეგეჩვია, არა? შენ, რა თქმა უნდა. უძალიანდებოდი, იტ...ტტანჯებოდი, მაგრამ იმ მხეცს ტყვედ ჩაუვარდი. ს...სსირცხვილით ველარ გამიმჟღავნე, სისხლისა გ...გგეშინოდა. რა თქმა უნდა, ასე მ...მოხდებოდა. უეჭველად ასე მ...მმოხდებოდა. ამიტომ გაჩუმდი, არა?. მართალს ვამბობ თუ არა?

მარგო კვლავ სდუმდა.

— მითხარი, გ...გგენაცვალე, მითხარი, მართალს ვამბობ თუ არა?

მარგოს ხმამ სიოსავით გაიფუჩუნა:

— მართალს ამბობ.

თეიმურაზს თითქოს გულს მოეშვა, თითქოს რაღაც გაუხარდა. წამოიწია და ნიდაყვზე დაეყრდნო; დაეყრდნო და აბუტბუტდა:

— მ...მმადლობა უფალსა! მ...მადლობა უფალსა!... ეხლა ყველაფერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხადია... ეხლა ყველაფერი მესმის... გულმა არ მიმტყუნა. მე უარესი მეგონა. ვ...ვვიფიქრე: იქნება ჩემმა მ...მმარგუშამ ჯაყო მამჯობინა? იქნება ხორციელ კავშირის გარდა გრძნობათა კავშირიც დამყარდა? ვინ იცის, როგორ არის მ...მმომართული ქალის გული! მაპატიე, ჩემო მარგუში, ჩემო ერთგულო მ...მმე-გობარო... მაპატიე, რომ ასეთმა უმსგავსმა ჰაზრმა გამიარა თავში... შიშის ბრალია, შიშისა! შიშისა და სიყვარულისა... მ...მმადლობა უფალსა! მადლობა უფალსა; რომ შევცდი. ჯაყოს ამ მ...მმხეცობას არ შევარჩენ, არასოდეს არ შე-ვარჩენ! წავიდეთ აქედან, მარგუში! დ...დდილითვე წავიდეთ. არა, დილით კი არა, ეხლავე, წავიდთ..

და დაფაცურდა:

— ეხლავე, ეხლავე, ეხლავე, შორს ამ ბუნაგიდან, შორს!... ადექი, ჩ...ჩჩა-იცვი... ჩქარა! ჩქარა!..

და თვითონაც წამოდგა გამოცოცხლდა:

— მარგუში! ჩემო მარგუში! ოღონდ ეხლავე წავიდეთ ამ ბილწ ოჯახი-დან და ყველაფერი თავისთავად მოეწყობა: ყველაფერს გაპატიებ, დ...დდავი-წყებ, მე უკვე ნაპატიევი და დავიწყებული მაქვს... მე არაფერი ვ...ვვიცი, არც არაფერი მინახავს. ყ...ყყველაფერი ამოვიგდე თვალიდან და ხსოვნიდან. მ...მმე-ტსაც გეტყვი: ყ...ყყველაფერი ჩემი ბრალია! მარტო მე ვარ დამნაშავე, მარტო მე ვარ ბრალიანი! ახ...ხხია ჩემზე, ახი!.. მაგრამ დღეს წინანდელი თეიმურაზი მ...მმოკვდა და ახლი დაიბადა... რაც მოხდა—მოხდა! მორჩა და გ...გგათავდა! მე არაფერი მახსოვს მეთქი, ყ...ყყველაფერი გაპატიე და დავივიწყე... მარგო! მარგუში! შენც მაპატიე და დაივიწყე. დ...დავიწყოთ ახალი ცხოვრება, მარგუ-ში, დავიწყოთ. ჯაყოს კი... არ შევარჩენ ჩემს შერცხვენას, არ შევარჩენ!

და ჯაყოს მუქარით თითს უქნევდა:

— არ შევარჩენ! არ შევარჩენ!

— ვის არ შეგარჩენდე შენ?!—დაიჭიხვინა ამ დროს კარებში ჯაყომ და ოთახში შემოგორდა. შემოგორდა და მთვარის შუქზე ადლიანი ხანჯალი აბრიალა.

ჯაყო თითქოს ლაშქრად მიდიოდა: თავით-ფეხებამდის იარაღში იყო ჩამ-ჯდარი. ზურგზე თოფი ჰქონდა გადაგდებული, თეძოზე თეიმურაზის პაპი-სეული ხმალი ჰქონდა ჩამოკიდებული, მკერდზე—სამი სავაზნე, ხოლო მარცხენა ხელში მაუზერის დამბაჩა ეჭირა.

— ვის არ შეგარჩენდე მეთქი, ბრინჯა, შენა! ჯაყოს არ შეარჩენდე? ჯაყოსა?!

მარგომ შეჰკივლა. უმალ წამოხტა, ჯაყოს წინ გადაეღობა და მკლავზე ჩამოეკიდა:

— ჯაყო!.. ჯაყო დამშვიდდი, დამშვიდდი!

— ჯაყოს არ შეგარჩენდე? ჯაყოსა?!—კვლავ გაჰკიოდა ჯაყო.—დედას გი-ტირებ ჯაყოი, დედასა!.. გაგიშვი ჯაყოი! გაგიშვი, რომ ლორივით დაგკლა ეს ბრინჯაი, ესა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპრიალებულ ხანჯლის დანახვაზე თეიმურაზს ძარღვებში [illegible]ნაუმალ კუთხეში აიტუზა და კბილების წკაპუნით ლუღლუღებდა:

— მე... მე არ... არაფერი... დამმშვიდდი, ჯაყო, დამ...მშვიდდი! იარაღით როგორ შ...შეიძლება პ...პრინციპიალურ საკითხების გადაჭრა? გ...გგაუგებრობა მოხდა. ჯაყო. გამ...მმოვარკვიოთ, შე კაი კაცო, მ...მმოვისაზროთ, მოვ...ვვიფიქროთ.. ვიმ...მმსჯელოთ.

ჯაყო მაინც არ სცხრებოდა, კვლავ შფოთავდა და თეიმურაზისკენ იწევდა.

— გამიშვი ჯაყო! გამიშვი მეთქი ჯაყო!

— ჯაყოს გემუქრები ბრინკაი? ჯაყოსა?! დედას გიტირებდე ჯაყოი, დედასა!

ბოლოს, როცა ჯაყომ კუთხეში აბუზულ და აცახცახებულ თეიმურაზისგან უვნებლობა იგრძნო, ხანჯალი ქარქაშში ჩააგო. დონჯი შემოიყარა და გადიხარხარა, ისე გადიხარხარა, რომ იმ სახლში ყველანი გამოაღვიძა.

— ხა-ხა-ხა! ბრინკაი ჯაყოს სამაგიეროს გადაგიხდი? ხო-ხო-ხო! ბრინკაი ჯაყოს არ შევარჩენ?! ხი-ხი-ხი!

მერე უცებ ხარხარი შესწყვიტა, თეიმურაზს კისერში ორი თითი დაავლო და წინ წამოაყენა:

— რა გინდებოდეს შენა? ჰა? რა გინდებოდეს მეთქი? მარგო? მარგო გინდებოდეს?

— მარგო ჩემი ც...ცცოლია, ჯაყო, უნდა წწავიყვანო.

— მარგო უნდა წაგიყვანო?! მერე რათ გინდებოდეს? ჰა, რად გინდებოდეს მარგოი? რა შენი საქმე იქნებოდეს ასეთი ცოლი? ვერ აჭმევდებოდე და ვერ შეინახვებოდე. აქამდის შენთან იყავი მარგო? როგორ გახდებოდის მერე? მარგო ძვალი და დაგრჩა. შენ ხელში კალოს ცხენივით გახდი მარგოი, აბა ეხლა გიყურე! ამასავით ინდაურიც ვერ გასუქდებოდე, მაშ! აგრე ვიცის კარგი ცხოვრებამ! მაშ, მაშა? აგრე ვიცის ჯაყომა! შენ კი... ი-ი-იჰ, შე ბრინკავ, შენა! შენც კაცი იქნებოდე, რაღა! ფუჰ!

და ისეთის ზიზღით გადააფურთხა, თითქოს თეიმურაზის მაგივრად იმ ალაგას უწმინდური რამ ეგდო.

— არც ძ...ძძალით შეიძლება, ჯაყო!—უსაყვედურა თეიმურაზმა და ბორძიკით სცადა დარიგების მიცემა შესახებ თავის ოჯახურ უფლებისა.

ჯაყომ ისევ დაცინვით და ზიზღით მოუჭრა?

— რომელი „პრავა“?! რის „ზაკონი“?! აი შენი „პრავა“ ფუ და იატაზე დანაფურთხი ფეხით გაგლისა.

— აი ჩემი „ზაკონი“—და ოდნავ ხანჯალი ამოსწია.—შენა, გაიღვიძებდე! გაიგებდე, რომა „ზაკონის“ დრო აღარ არის! წინათ თქვენა სწერდებოდეთ „ზაკონებსა“. ეხლა კი მორჩებოდით და ჩაძაღლდებოდით. ეხლა მე გწერ კანონებსა, შენა! ჯაყო გწერს კანონსა, ჯაყო! მაშ. მაშა! გაიგებდეს ამასაც, გაიგებდეს!

და ბოლოს დავა ასე გადასჭრა:

—ნუღარ ლაპარაკობდე, გაათავებდე! მარგო ჯაყოსია და ჯაყო აღარ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გცემდი, ალარა! წახვიდოდე და საცა გინდებოდეს, იქ გიპოვლოდე ჯაყოსა, მოჩი და გათავდი.

თეიმურაზმა უკანასკნელი ხერხი სცადა:

— მარგოს მაინც ვ...ვკითხოთ.

ჯაყო ამას არ მოელოდა. ჯერ მარგოს დააცქერდა, ოდნავ შეყოყმანდა, მერე განზე გადგა და დაიძახა:

— მარგოსა? ძალიან კარგი. ეკითხებოდი მარგოსა.

თეიმურაზი მარგოს მიუბრუნდა.

— მარგო, დავა შენ უნდა გ...გგადასჭრა.

— აბა, მარგო, გითხარი, ვინ გინდებოდეს, მე თუ ბრინკაი?

და ორივენი მარგოს მიაჩერდნენ.

მარგომ ხელები პირსახეზე აიფარა.

— მარგუში, რას გ...გგაჩუმებულხარ?

და თეიმურაზის ხმაში თრთოლვა და შიში მოისმა.

ჯაყომ მარგოს პირსახიდან ხელები ააგლიჯა და უბრძანა:

— გითხარი! გითხარი ეხლავე, ვინ გინდებოდეს: მე თუ ბრინკაი?

— თავი დამანებეთ... გრცხვენოდეთ...—დაიკვნესა მარგომ.

— მარგუში!.. ჩემო მ...მმეგობარო!... ხომ ხედავ, რომ სხვანაირად დავა ვერ გ...გგადასწყდება. სთქვი და გაათავე.

მარგომ ისევ საცოდავად დაიკვნესა.

— თავი დამანებეთ მეთქი. გრცხვენოდეთ... გრცხვენოდეთ!

და კარებისაკენ გაიწია, მაგრამ ჯაყომ გზა მოუჭრა:

— სად წახვიდებოდე?! ეხლავე იტყოდეს ყველაფერი, ეხლავე!

თეიმურაზი მარგოს მიეშველა:

— მ...მმარგუში, მე მივდივარ ამ სახლიდან... მოდიხარ თუ რრრჩები?

ქუდი დაიხურა, კარებს მიადგა და მოტრიალდა:

— მარგო, მე მ..მმივდივარ... მოდიხარ თუ რჩები?

ჯაყომ მარგოს გზა მისცა:

— ჯაყო ძალა არ დაგატანებდე... თუ გინდებოდეს წავიდებოდეს! ეს შენა და ესეც თეიმურაზი. აბა, გაათავებდე!

მარგო პირქვე დაეცა ლოგინზე და პირისახე ბალიშში ჩამალა.

თეიმურაზმა ძლივს გაუძლო ერთი წუთის დუმილს. ბოლოს ერთხელ კიდევ კითხა აჩუყებულის ხმით:

— მარგო, უკანასკნელად გ...გგეკითხები, მოდიხარ, თუ რჩები?

მარგომ კვლავ სდუმდა.

ჯაყომ გამარჯვებულ ცხენის კბილები გააელვა.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ თეიმურაზმა ძლივს ამოიკნავლა:

— მაშ რ...რრჩები?.. დავა გ...გგათავებულია...

— მაშ, მაშა!—შეანზანზარა ფანჯრის მინები ჯაყოს ჭიხვინმა:—გათავებული ხარ, ბრინკა, გათავებული! მარგო აქ დარჩებოდის! მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხევისთავის ნამოჯამაგირევმა გამარჯვების დოინჯი შემოიყარა და ორად მოხრილ თეიმურაზს ძლევა მოსილის თვალით გადახედა:

— გათავებული ხარ, ბრინკა, გათავებული! დროა აქედან წახვიდებოდე! აბა, ჩქარა! გაგათრიე ამ სახლიდან!

თეიმურაზმა მოწამლულის ხმით წაილუღლუღა:

— მაშ მ...მშვიდობით, მარგო! მ...მშვიდობით, მ...მმარგუში!..

პასუხად ბალიშიდან მარგოს ქვითინმა ამოხეთქა.

— მარგო!.. მ..მმარგუში!

და თეიმურაზმა უმალ ტახტის წინ ჩაიჩოქა და მარგოს ფეხებს ხელები მოჰხვია; ზედ დააკვდა, აქვითინდა და აყმუვდა:

— მარგო!.. მარგუში!.. ჩემო მარგუში!.. უშენოდ ვერ წწავალ... ვერსად წავალ... გაიხსენე ყყველაფერი... მოიგონე ჩვენი წარსული, ყველაფერი დავივიწყოთ. ახალი ცხოვრება დ...დდავიწყოთ... დამიჯერე, ჩემო მარგო, დამიჯერე, რომ მე ხელ-ახლად დავიბადე... გონს მოდი, ჩემო ძვირფასო! ვისზე მცვლი? ვინ ამჯობინე ჩემს თავს? მარგო! მ...მმარგუში!

ჯაყო ჯერ შედრკა მერე ცალისხელით დასწვდა თეიმურაზს და მარგოს ფეხებს ააგლიჯა:

— კარგი გეყოფოდეს! ჩქარა წახვიდებოდეს აქედან!

და კარებისკენ მიატრიალა.

თეიმურაზი უცებ აინთო. ჯაყოს ხელიდან გაუსხლტა და ისტერიულ კივილით აკივდა:

— მხეცო!.! ველურო.. ეს რა მიყავი?... რას მმმიშვრები? პიროტყვო! არამზადავ! ტყიდან გგვამოვარდნილო დათვო!

და უცებ ჯაყოს ხანჯალს ეცა.

ჯაყომ თეიმურაზი კუნძივით მხარზე აიგდო და კარებისკენ წაიღო. თან დათვივით ბურტყუნებდა.

— არ წახვიდოდე ჩემი სახლიდან?.. არ წახვიდოდე? გაჩუმდებოდეს მეთქი, თორემ ლმერთმანი ისე სცემდი როგორც ძაღლსა!

ჯაყომ ის ორი ოთახი გაირბინა, აფართხალებული თეიმურაზი კიბეზე ჩაუშვა და თანაც მიაყოლა.

— ესეც შენა! არც ეხლა წახვიდებოდე?

ისევ სახლში შებრუნდა და კარები გადარაზა.

## XI.

კიბის ძირში დაბმული ძაღლი თეიმურაზს თავზე დასდგომოდა და გააფთრებული პირსახეში ჰყეფდა. ნაბეგვი და დამლვრეული ნაქმრევი ზლაზვნით კლაკვნით და კვნესით წამოდგა და ნაღრძობი მკლავი ძლივს აითრია.

ჯაყომ აივნიდან გადმოიხედა და გადმოიძახა

— ბოლრია, სუ!

ძაღლი მაშინვე გაინაბა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრინჯა, აბა ჩქარა დაიკარგებოდე აქედან, ჩქარა გაგათრიე ჯაყოს სახლიდან, თორემ ჯაყო მოხვიდოდეს და ვაი შენი ბრალი მაშინა !

თეიმურაზს აღარ მოაგონდა კიბეზე დაკარგული ქუდი და სათვალეები.

ბოღრიას გაუსხლტა. ეზო გადირბინა და ბნელ ორღობეს შეერია.

ფერწასული მთვარე მთის თავზე შამდგარიყო, ზემო ხეობიდან ნიავი მოჰ-ქროდა. სოფელს ღრმა ძილით ეძინა. ბოღრია ძაღლი მოუსვენრად იღრინე-ბოდა და ჯაჭვს აჩხარუნებდა.

ზორძიკით მირბის ცეცხლ-მოკიდებული თეიმურაზი. მირბის და ვერაფერს ჰხედავს მხოლოდ ლიახვის შხუილი, საკუთარი ფეხის ხმა, თავისივე გულის ცე-მა და ხვნეშა ესმის. მირბის და ხან მაღალ ხორხს წამოჰკრავს მოდუნებულ ფეხს და ხან ქვას წააწყდება და ხან კიდევ ეკლიან ღობეს მიაწყდება,

უცებ ფეხებში ლბილი რამ მოედო. შიშისაგან შეჰკივლა, გვერდით გა-სხლტა და სირბილს მოუმატა.

მირბის თეიმურაზი და უკან კნავილით ჯაყოს შავი კატა მისდევს.

წინ ბაყაყების ყიყინი ისმის. კატამ თეიმურაზს გაუსწრო, მერე შემობრუნ-და, და თვალებში ორი მწვანე სანთელი შემოანათა და ჩვილი ბავშვივით და-იკნავლა.

— მიაუ-უ-უ.

თეიმურაზმა ჯაყოს კატა იცნო. იცნო, მაგრამ უნებურად მაინც შეჰკივლა და კოჭებამდის მყრალ გუბეში შესტოპა.

ბაყაყებმა ყიყინი შესწყვიტეს და ტყაპ-ტყუპით ტლაპოში მიიმალნენ.

ისევ მირბის უსინათლო თეიმურაზი. ორღობეს გასცდა და პეტრეს კალოს ჩაურბინა. კალოდან გამოვარდნილი ძაღლი თეიმურაზს ყეფით წამოეწია. საბ-ზლიდან ვიღამაც ხმა მისცა:

— რომელი ხარ?

თეიმურაზმა პასუხი არ გასცა და ისევ გაიქცა. ხორხს ფეხი წამოჰკრა, წაიქცა და ისე შეჰბღავლა, რომ საკბენად მინაწვდენი ძაღლი შეშინდა და გა-იქცა. მერე მოტრიალდა, კუდი ამოიძუა, უკანვე გაიქცა, შორი-ახლოს ჩაცუ-ცქდა და აყმუვდა.

საით მირბის სულადუღებული თეიმურაზი?!

ლიახვისკენ!.. ლიახვისკენ!

რათ მირბის თეიმურაზი ლიახვისაკენ?

იმიტომ რომ...კმარა! კმარა! დროა ყველაფერი გათავდეს! იმიტომ, რომ თეიმურაზს ყველაფერი გაუთავდა, ყველაფერი დაენგრა და დაელუპა.

გორში აშენებული ქრისტიანულ ხუხულასაც უჩინარმა ბედმა თითი წაჰ-კრა და ისე გააბნია, რომ გუშინდელ მორწმუნე თეიმურაზს იმ-ნაცოდვილარ რწმენისა ეხლა ერთი ნაპერწკალიც აღარ ახსოვს!.

აღარაფერი შერჩა ოდესღაც უდარდელ თეიმურაზს: არც ცოტაოდენი ქონება, არც იმოდენა ჯაფით ნაშოვნი სახელი, არც მამა-პაპეული სახლ-კარი. ოროდე დღით განახლებული სული, აღარც ოდესღაც ერთგული ცოლი და აღარც ხალხის პატივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთგული მეგობრის ნუგეშით და უმწიკვლო სახელით [illegible] თეიმურაზს უგემურ სიცოცხლის თრევა, ეხლა კი, როცა მარგოც წაართვეს და პატივიც აჰყარეს, თეიმურაზს მხოლოდ მყრალ ძაღლის მძოვრი ღა შერჩა, რომელიც მან სიკვდილამდის უნდა კისრით ათრიოს.

აღარ შეუძლიან თეიმურაზს ასეთი მძიმე და მყრალი ბარგის ზიდვა! კმარა, ეყოფა! ორმოც არ არი უძირო, ხოლო თეიმურაზის წამების ორმოს ძირიც აღარ უჩანს. კმარა! აღარ შეუძლიან თეიმურაზს მარად ამ ბნელ ორმოში ჩასვლა და ჩაძირვა. სჯობს ორიოდე წუთში გათავდეს ყველაფერი: უაზრო წარსულიც, შხამიანი აწმყოც, ბნელი მომავალიც და... ძაღლის ლეშიც!

რას იტყვიან თეიმურაზის ნათესავები, მეგობრები და მიმდევარნი? ვინ, მეგობრები? ნათესავები? ალარ ჰყავს თეიმურაზს არც მეგობრები და აღარც ნათესავები, თანაზიარნიც ისე დაილივნენ და ისე გაიფანტნენ, რომ მათი კვალიც აღარსად მოსჩანს. მხოლოდ ზოგნი გაიხსენებენ თეიმურაზის ლეაწლს, ფლიდურად მოიგონებენ იმის დათესილ მადლს და გაკვრით იტყვიან:

„საწყალი თეიმურაზი! რა უბედურად დატრიალდა მისი ცხოვრება! როგორ დაიღუპა ასეთი ადამიანი! ღმერთმა საიქიოს მაინც მისცეს შვება და მოსვენება".

და ერთი საათის შემდეგ სამუდამოდ დაივიწყებენ თეიმურაზის მადლსაც და სახელსაც.

კმარა! კმარა! ეყოფა თეიმურაზს გოლგოთის აღმართი ეყოფა!

იქნება ვინმემ თეიმურაზის სიტყვები გაიმეოროს, რომელსაც თვითონ თეიმურაზი ხშირად იტყოდა ხოლმე, როცა უკანასკნელ ხანებში ვინმეს სიკვდილს გაიგებდა:

„ეხლა მივუხვდი აზრს ჩინელების ერთს ადათს: როცა ვინმე დაებადებათ, წინდაწინვე სჭრიან იმის მწარე ბედს; ხოლო როცა ვინმე მოუკვდებათ ილხენენ იმის ტანჯვა-წამების დასრულებას, ამიტომ არც მე ვსტირი ვინმეს სიკვდილს, მშურს კიდევაც."

ოლონდაც! ოლონდაც! მშურს თეიმურაზს მიცვალებულთა ბედი, იცხოვრეს, თვისი ხვედრი მიიღეს და წავიდნენ. წავიდნენ და ამ ჯოჯოხეთს აღარ დაუბრუნდებიან.

ეხლა თეიმურაზის წამების დასასრულიც მოვიდა. გათავდა ყველაფერი! ხუთიოდე წუთში გათავდება ყველაფერი! ეყო თეიმურაზს საამქვეყნო ურვა და ძვინვა, ეყო!

მარგო? მართლა რას იზამს მარგო, როცა თეიმურაზის სიკვდილს გაიგებს? რა თქმა უნდა, მწარედ იტირებს და შავად იგლოვებს, მაგრამ... ოოჰ, შავგულო ფარისეველო! ოოჰ, ორპირო, ფლიდო! ავზნიანო დედაკაცო! ჭრელო გველო! მრუშო, ბილწო, ჭუჭყიანო ორმოვ! წყეულიმც იყავ, ჰოი, უმადურო მეძავო! იყავ წყეული უკუნითი უკუნისამდე, ამინ! ამინ! შხამად ამოგივა ერთდროს ეგ ვერაგობა და მზაკვრობა, შხამად! შხამად!

თეიმურაზს ერთ წუთში თვალწინ ათასმა წვრილმანმა ჰაზრმა, სურათმა და მოგონებამ გაურბინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ რაღაც სათქმელი მოაგონდა, მაგრამ ამ დროს იმ მორევს მიადგა, სადაც წინათ ნემს-კავით თევზაობდა.

— აბა, ერთი!..ორი!..

მიადგა და შესდგა. ოდნავ სული მოითქვა. გული საგულედან ამოვარდნას ლამობდა. ქვაბივით გახურებული თავი საცაა უნდა გასკდომოდა, ადუღებული სისხლი პირისახეში აუვარდა.

— ერთი!.. ორი!..

სიცოცხლის უჩინარმა სიმებმა უკან დასწიეს თავგანწირული თეიმურაზი, და დუმალმა ლანდებმა ფეხი შეუკრეს და მიწას მიაბეს. ვიღაცამ გულში ჩაუწვეთა

— იქნება აჩქარდი... იქნება შეიძლებოდეს მარგოს მობრუნება...

მეორემ შხამიანად ჩაიხითხითა:

— ნუ ფლიდობ!.. ყველაფერი დაიღუპა, დაინგრა, გათავდა!.. მომავალში მხოლოდ სირცხვილი, სიმწილი და ათასი დამცირება მოგელის. მოიგლიჯე კისრიდან ძაღლის მძორი, მოიგლიჯე!... მხოლოდ ერთი წუთი... თუნდ ორიც იყოს... ყველაფერი უცებ გათავდება... აბა, გაჰბედე! ერთი!.. ორი!..

თეიმურაზს ესმის უხილავის კივილი — „ჩამოიგლიჯე, ჩამოიგლიჯე!“ — და გულმკერდს ისე იხოკის და იკაწრავს, თითქოს მძორის ჩამოგლეჯას ჰლამობსო.

წელან თეიმურაზს ღმერთიც და პირჯვრის წერაც დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ ეხლა, შავის უკუნეთის წინაშე მდგომს, ვიღაც უჩინარმა მოაგონა, მარჯვენა ხელი ააწევინა და ფართოდ პირჯვარი გადააწერინა. გადააწერინა და ხელი წაჰკრა:

— სამი!

თეიმურაზმა თვალები დახუჭა და ისკუპა. წყალმა პირი დააღო და უმალ ისევ შეჰკრა.

იმავ წუთს სიბნელეში სასოწარკვეთილი გმინვა მოისმა. თეიმურაზი ფრჩხილებით და კბილებით ებღაუჭება სიცოცხლეს:

— მიშველე-ე-ე-თ!.. მიშველე-ე- თ!

ფართხალობს თეიმურაზი წყლის პირზე და ბლავის; ბლავის და კლდის წვეტიან ნაგლეჯებს ებღაუჭება, მაგრამ ძლიერი ტალღა სუსტ თითებს ჰგლეჯს და მჩატე სხეულს წიათრევს.

შავ კატას თითქოს ესმის თეიმურაზის უიმედო მოწოდება. მდინარეს ნაპირ-ნაპირ მისდევს და სჩხავის. კალოდან ძაღლიც უკან გამოჰყოლიყო. ბექობზე ჩასცუცქდა და გაბმული ყმუილი ასტეხა.

თეიმურაზის ბლავილი პეტრეს შვილს ნინიკასაც მისწვდა კალოზე. მორბის ნინიკა და ჰყვირის:

— რომელი ხარ?... ვინა ხარ?

— მიშვე-ლე-ე-ეთ!

— სადა ხარ?

— მიშველე-ე-ე-ეთ.

— მოვდივაარ! ნუ შეშინდები, მოვდივაარ!

თეიმურაზმა ნაპირის ქვას ხელი წაავლო და ამოტივტივდა. ტალღა პირსახეში სცემს და სცდილობს თვისი კერძი კლდეს ჩამოჰგლიჯოს და ჩაიხუტოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინიკაც მოვარდა.

— რომელი ხარ? სადა ხარ?

თეიმურაზი ძლივს-ღა ხრიალებს:

— თ...თთეიმურაზი... თ...თთეიმურაზი ვარ. მიშველე... მიშველ-ე-ე!

ნინიკა წყლის ნაპირზე ჩაცუცქდა, თეიმურაზს ხელში ხელი წაავლო და გაამხნევა:

— გამაგრდი... არ შეშინდე... აქა ვარ...

რიყრაყმა მოატანა.

ოდნავ მოსულიერებული და გონსმოსული თეიმურაზი ნინიკას საბზელში ეგდო. მისი ნამოურავალი პეტრე, პეტრეს შვილი ნინიკა, ჯაყო, მარგო, ნახუცარი ივანე და ხუთიოდე გლეხი წყალში გაწურულ თეიმურაზს თავს დასტრიალებდნენ.

დოინჯ შემოყრილი ჯაყო იქვე იდგა და იღიმებოდა.

— აკი გითხარი, ძაღლი კოწლობით არ მოკვდები მეთქი!

დაჩოქილმა მარგომ თეიმურაზის სველი თავი მუხლებზე დაიდო და მოუალერსა:

— თეიმურაზ... თემურ!.. არა გრცხვენიან?... რას იტყვიან, რას იფიქრებენ?

თეიმურაზი იკლაკნებოდა, ხელებს ძლივს ალივლივებდა, პირს შოშიასავით აღებდა და წყალს აღებინებდა. ბოლოს, თევზის თვალები მარგოს შეანათა, პირისახე უარესად დაიღრიჯა და ძლივს წაილუღლუღა:

— დაიკარგე... დამეკარგე აქედან, შე უნამუსოვ!.. უსინიდისო!

მარგო გველნაკბენივით წამოხტა.

ჯაყომ მარგოს შეუტია:

— აკი გითხარი, ნუ წახვიდოდე მეთქი. თეიმურაზი არ გინდა მეთქი შენი ნახვა. გაიგებოდე, ადამიანო, გაიგებოდე, რომა ბრინკას აღარ გინდა მეთქი შენი ნახვა.

მერე თეიმურაზს ზიზღით დაჰხედა:

— მაშ ეგდებოდე მაგრე! მოკვდებოდე ძაღლივით! ლობიო! ქალაჩუნა! ქალაბიწა! ფუჰ, შენი ვაჟკაცობა!

— გაეთრიეთ... დამეკარგეთ... მხეცებო! ნადირებო!

— ჯაყო! აღულებულის ხმით წამოიხრიალა ნინიკამ და ცეცხლმოკიდებული თვალები ჯაყოს მიანათა.—გეყო! გეყოფა მეთქი, თორემ-ა...

ჯაყომ ატირებული მარგო ძალით გაიყვანა. მერე კარებიდან შემოიხედა, მიბნედილ თეიმურაზს კბილები გაუელვა და ხეკი გაუშვილა:

— ალუ-უ! ნეკზე არ მიკბინებდე! შე ბრინკა, შე ნაცარქექია, შენა! ალუ-უ! ალუ-უ თეიმურაზსა, ალუ-უ-უ! აკი გითხრამდა ჯაყოი, რომა...

ნინიკამ ჯაყოსკენ გაიწია. ჯაყომ სიტყვა შუაზე გასწყვიტა და კარები გაიჯახუნა.

(დასასრული იქნება).

ა. ბელიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცხრა ცენტრი.

(დასასრული).

თ ა ვ ი 10.

## ანზარიში.

1. საერთო თემა ნასადილევს საუბროთ არის მშვენიერება. ამიტომაც ის ხალხი, რომელიც გემზე ითვლება ყველაზე უკეთეს საზოგადოებათ და, რომელთათვისაც გემზე შექმნილია განსაკუთრებული ზრდილობიანი მოპყრობის ნორმები (სახელმწიფოს სიამაყის ბრწყინვალე თვალნი, რომ არ შეწუხდნენ) საუბრობდა მშვენიერებაზე.

— ჩემის აზრით რასაც კი ეწოდება მშვენიერება ყველაფერი ეს ჩვენ გვეკუთვნის, რასაც შეიძლება ეწოდოს მომხიბვლელი რამ, ეს მხოლოდ ჩვენ მიერ იქმნება.—ამბობდა გარვეი-პოკ-ნაბზსი, რომელსაც ცხვირი ჭარხალივით გასწითლებოდა.

— რასაკვირველია უდავოა—დაუდასტურა დემონტონმა—ისეთ ადამიანს, რომელსაც ყოველდღე სჭირდება ფიქრი კუჭის ამოსავსებათ, სად შეუძლია იფიქროს მშვენიერებაზე.

პოკ-ნაბზსმა ალმაცერად შეხედა,

— თქვენ სხვა გვარათ გამიგეთ. ჩემის აზრით ღარიბ ხალხს სრულიად არა აქვს უნარი მშვენიერების გაგების.

— მჯერა, მჯერა.

უეცრად მიუახლოვდა კაპიტანს.

— შემიძლია გკითხოთ ჩემს გვერდით ვის უჭირავს კაიუტა?

— ეხლავ გაგიგებთ.

კაპიტანმა დარეკა.

— გამიგეთ ვის უჭირავს... უკაცრავოთ თქვენი კაიუტის ნომერი?

— 46.

— გამიგეთ ვის უჭირავს № 47.

ერთი წუთის შემდეგ მოახსენეს.

— გრაფ პეჩერსკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დე-მონტონმა სიამოვნებით გაიღიმა.

— ყოჩაღ, მგონი კიდევაც მაჯობოს – გაიფიქრა მან·

პოკ-ნაბზსი გაცხარებით კამათობდა და ამტკიცებდა ბურჟაზიის პრივილეგიას.

2. Allo! გემი „მავრიტანია, დიახ... პარალელი 45°16'25". მერიდიანი 342°46'02". კურსი № 0 28°52' დიახ № 0... მანძილი? მოითმინეთ ეხლავე... 300 კილომეტრი. ერთი საათის შემდეგ დაეშვებით.

ჯექსონი მიუბრუნდა ავიატორს.

— დააყენეთ შვიდასზე და ასწიეთ ათას სამს მეტრამდი.

მანქანა შესაზარათ გუგუნებდა, ღრუბლებს გაეკრნენ ქვევიდან.

— ალტიმეტრი... 1300 უკვე? კარგი...

ცეისის დურბინდით ათვალიერებდა ჰორიზონტს. უზარმაზარ სიმაღლიდან ზღვა გავდა სარკეს.

— აჰა გემი ჩანს... დაეშვით!

მანქანამ გუგუნი შესწყვიტა და ჰაერში დაცურდა, გემი სწრაფად იზრდებოდა.

ბაქანიდან ნელ-ნელა ეშვებოდა კატერი და ჭიანჭველასავით ფუსფუსებდენ მატროსები.

3. —ვინ უნდა იყოს ეს ორნი ვერ წარმომიდგენია—ამბობდა ქერლო თავისთვის და თან აღელვებული დადიოდა თავის-კაიუტაში—მერე კიდევ ეს უცნაური წერილები... უეჭველათ უნდა გამოვიკვლიო.

პაპიროსი გააბოლა.

— ამას უეჭველათ გამოვარკვევ. ყველაზე ადვილია იმ ქალის საშვალებით.

11 საათზე და 17 წუთზე ის უკვე სასადილო დარბაზში იჯდა. მთელი უმაღლესი წრე მიირთმევდა დილის საუზმეს. მესამე მაგიდას უსხდენ დემონტონი და იმის მოადგილე. მთელი საათი ფიქრობდა ქერლო იმის შესახებ თუ როგორ გაეცნო ის ქალი და აწყობდა ათასგვარ გეგმებს.

საუზმის შემდეგ, როდესაც უკან მოიხედა, დაინახა ვიღაც უცნობი მოხუცი, ლურჯი სათვალებით.

კარებთან ჩუმათ ოფიციანტს კითხა.

—ვინ არის ეს უცნობი? მე მას პირველად ვხედავ!

— გუშინ ჰიდროპლანით მოფრინდა.

რამოდენიმე ხნით ქერლო გავიდა ბაქანზე სასეირნოთ. ბოლოს, როდესაც მოწყინდა დაუსრულებელ ზღვის ცქერა, დაბრუნდა კაიუტაში. უკვე მოემზადა დასაწოლათ, რადგან მცირე დაღლილობას გრძნობდა, როდესაც მაგიდაზე შეამჩნია სადარბაზო ბარათი,

ოლივერ ჯექსონ.

დეტექტივი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნებურად წამოიძახა.

— აი სიურპრიზი... მერე გრიმი რადათ უნდოდა.

კარგა ხანს ატრიალა სადარბაზო ბარათი. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ბოლოს დაიხარა, გამოაღო მაგიდის უჯრა და ამოიღო ბრაუნინგი. ყოველ შემთხვევისთვის არ იყო ცუდი იმის ჯიბეში დება.

უეცრად ჩაიღო კარები.

— მგონია უნდა მიცნობდეთ, ამხანაგო ქერლო, და ამისთვის ნება მოგცით ზრდილობიანათ გთხოვოთ ხელების მაღლა აწევა. დიახ, ეგრე... ნუ ზანტობთ. მგონი დროა, რომ ანგარიში გავასწოროთ.

ჯეკსონი ირონიულათ იღიმებოდა და ხელში ათამაშებდა კოლტის რევოლვერს, ქერლომ გაიხედა იმის უკან, მაგრამ ჯეკსონი მარტო იყო.

— თქვენ არ იშლით ჩემთან ბრძოლას და, როგორც ვატყობ, საჭიროა თქვენთან ანგარიშის გასწორება საბოლოოთ. არა მგონია, რომ თქვენთვის სასიამოვნო იყოს ჩემთან ამგვარათ შეხვედრა, მაგრამ რა ვუყოთ. ჩემმა აგენტებმა მაცნობეს პარიზიდან, რომ თქვენ გამოემგზავრეთ ნიუ-იორკში. ამ ჟამათ მე თამამათ შემიძლია ვთქვა, რომ თქვენ ხელიდან ვეღარ გამისხლტებით. თქვენ საწინააღმდეგოთ მე მაქვს მრავალი ბრალდება და უწინარეს ყოვლისა ის, რომ თქვენ ხართ ბოლშევიკი და გამოემგზავრეთ მოსკოვიდან.

ქერლო ჩუმათ იდგა. მდგომარეობა მართლაც რთული იყო. ძლიერ ძნელი იყო გაქცევაზე ფიქრი. ინსტინქტიურათ გაიხედა სარკმელისაკენ. ჯეკსონმა გაიცინა.

— თქვენ უკვე გაქცევაზე ფიქრობთ? ჯერ ადრეა, ამხანაგო ქერლო. თქვენ ალბათ ჯერ არ მჯდარხართ ელექტრონის სკამზე, რომ იცოდეთ რა სასიამოვნოა, ძლიერ უხდება რევმატიზმებს.

ქერლო გაბრაზდა.

— ბატონო, ჯეკსონ, თქვენ ალბათ არ გიგრძვნიათ მაგ თქვენ არამზადა ყბებზე მუშის ძარღვიანი მუშტები, განსაკუთრებით სასიამოვნოა მაშინ როდესაც ცივა.

— ოჰო!... თქვენი პრიმიტიული საშვალება სრულიად არ არის ჩვენთვის მისაღები. ჩვენ უფრო სუფთათ ვიცით საქმის წაყვანა, რა საჭიროა ცხვირიდან სისხლის გამოდენა. ელექტრონის სკამზე ადამიანი კვდება ისე, რომ არ იღვრება არც ერთი წვეთი სისხლი. განსაკუთრებით თქვენისთანები, ამხანაგო იაშკა, თუ რა გქვიათ...

— დიახ იაკოვ ქერლო. ან იქნებ ნამდვილი გვარი გსურთ მოგახსენოთ....

— ვიცი, ვიცი, თქვენ აქ პეჩერსკის პასპორტით იმყოფებით, მაგრამ მე სრული უფლება მქვს თქვენ დაგატუსაღოთ.

უეცრად ჯეკსონი შეკრთა. კისერზე იგრძნო რევოლვერის ცივი ტუჩი. ნელნელა მოიხედა უკან.

— ჯერ ადრეა, ბატონო ჯეკსონ. ჩემის აზრით, თქვენთვის ძლიერ საჭირო იქნება ზღვის ცივი ვანა.

ეროვნული

მდგომარეობა უცბათ შეიცვალა. ქერლომ სწრაფად [illegible] ჯექსონს კოლტი და თან გაკვირვებული შესცქეროდა ნიღაბიან მამაკაცს.

— ეხლა ჩვენი ჯერია, ბატონო ჯექსონ, შემოგთავაზოთ უფრო უტილიტარული საშუალება. თქვენ გაძვრებით ამ სარკმელში და გადახტებით ზღვაში როგორც ატყობთ ჩვენ უფრო ლმობიერები ვყოფილვართ, რადგან თქვენ, სარგებლობასთან ერთად, ცივი ვანის მიღების შემდეგ, გექნებათ კიდევ 50% გადარჩენის იმედი. თქვენ ელექტრონის სკამზე კი არავინ არ რჩება ცოცხალი. აბა სწრაფად.

ჯექსონი გაფითრებული იდგა და შემდეგ ნელ-ნელა დაიძრა სარკმელისკენ. იქვე ახლო მოთავსებული იყო საწოლი. იქვე ელექტრონის ზარის ფოლაქი. ნელა წაიღო ხელი ფოლაქისაკენ.

— ფრთხილათ, ბატონო ჯექსონ — მიაძახა ნიღაბმა.

მან უცბათ ასწია ხელი.

ნელა უახლოვდება ხერგ შექცეული მრგვალ სარკმელს! წითელი ნიღაბი და ქერლო გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს.

უცბათ ჯექსონმა გადაიხარხარა.

კაიუტაში შემოცვივდენ მატროსები და კაპიტანის თანაშემწე.

— რისთვის დაიგვიანეთ?

ქერლომ ფრთხილათ გაუშვა ხელიდან რევოლვერი და ორივე ხელი მაღლა ასწია.

მდგომარეობა კატასტროფიული იყო.

— შეჰკარით რაც შეიძლება მაგრათ და ჩაკეტეთ კარცერში. თქვენ კი, ბატონო ჩემო, გთხოვთ ეხლავე მოიხსნათ ნიღაბი.

ნიაღბმა უეცრათ ჩაიყო ჯიბეში ხელი, სწრაფათ ამოიღო იქიდან რაღაც პატარა შუშაში ჩასხმული და იატაკზე დაანარცხა. გაისმა ნელი ტკაცანი თითქოს ვიღაცას ყბაში გაარტყესო და კაიუტაში დადგა კუპრივით შავი ბოლი.

იმ წამსვე ქერლომ იგრძნო, რომ მას ვიღამაც ჩაავლო ხელი და ჩუმათ წასჩურჩულა.

— გამომყევით!

მოხდა სრული არევ დარევა. მატროსები ერთმანეთს ეცენ და გაიმართა უთავბოლო ჩხუბი. ქერლომ იგრძნო, რომ ვიღაცამ მაგრათ გასცხო ფერდში, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ისინი უკვე დერეფანში იდგენ და ნიღაბმა გაალო მოსაზღვრე კაიუტის კარები.

მეზობელ კაიუტიდან კი ისმოდა ხაშინელი ყვირილი და აურზაური. ჩატეხეს სარკმელი. გამოცვივდენ დერეფანში, სადაც უკვე დამდგარიყო საშინელი ბოლი;

ქერლომ მიმოიხედა. იქვე იდგა ნიღაბი და რაღაცას ფუსფუსებდა

— როგორ მომაგენით იმ საშინელ ბოლში?

ნიღაბმა გაიცინა.

— მე წინდაწინ მქონდა მანძილი განსაზღვრული. როგორც კი ის იატაკზე დავანარცხე მე თქვენსკენ გადმოვხტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქერლო ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდა. ნელნელა დამშვიდდა. ბოლოს მოახერხა კითხვა.

— ვინა ხართ თქვენ?

— ჯერ მაგის დრო არ არის. აბა ეხლა ჩაიცვით, აი ეს ტანისამოსი. ამ წუთიდან თქვენ უკვე ხართ ოსმალო ჯაფარ-ბუნიატ-ბეი. აი, პასპორტი. გაიკეთეთ გრიმი ამ ფოტოგრაფიულ სურათის მიხედვით.

— მერე ის?

— ჯაფარ-ბეიზე ნუ სწუხართ.

ქერლო შეუდგა საქმეს. როდესაც ტანისამოსი ჩაიცვა და თავისი ზღვაში გადააგდო, უკან მიიხედა. ნიღაბი აღარ იყო კაიუტაში.

4. ჯეკსონი აღელვებული დადიოდა გემის რადიო სადგურის ოთახში. მას სუყველაფერი აერია.

— ეს ვინღა უნდა იყოს წითელი ნიღაბი... ნეტავ ვინ უნდა იყოს გემზე ისეთი, რომ მას ეხმარება... შესაძლებელია მას ჰყავდეს თანაშემწე, რომელიც მოქმედობს ფარულად, ხოლო ქერლო კი— აშკარად.

— ნიუ-იორკი ისმენს, მობრძანდით.

ჯეკსონი მიუახლოვდა აპარატს.

— ალლო! ვინ ლაპარაკობს! a?... შენა ხარ ბობ. ხვალ დილის ცხრა საათზე უკვე მანდ ვიქნებით. იმის საქმე როგორ არის? რას ამბობს ჯონ-ბრემსბერი...a? თანახმა არის? კარგი... ნურაფრის ნუ ეშინია. a?.., ის ვითომ ხელიდან გამისხლტა. გემზე კი იმყოფება. ახლა საჭიროა მთელი გემის გაჩხრეკა. მგონია ხვალამდე მოვასწრო... ეხლა კიდევ მეორეც გამოჩნდა,... არ ვიცი ვინ არის.. ნიღაბით იყო... კარგი! კარგი, ნახვამდის.

ჯეკსონმა გადასცა მსახურს რადიო ტელეფონის მილაკი.

შემოვიდა კაპიტანი.

— ტრიუმი მთლად გადმოვაბრუნეთ. იქ არავინ არ არის. გარდა ამისა, გემზე არ აღმოჩენილა არც ერთი ზედმეტი მგზავრი.

ჯეკსონი ჩუმად იყო, თავში ათასგვარი ფიქრები უტრიალებდნენ. საფეთქლებზე ძარღვები დაებერა.

— უნდა გავჩხრიკოთ 47 კაიუტის მოსაზღვრე კაიუტები. ვინ ცხოვრობს იმ ოთახებში.?

— ბარონ-დე-მონტონი და ვიღაც ოსმალო ბეი.

— მარტო არიან?

— დე მონტონ მეუღლე ახლავს.

— აჰა! ვინ არის ის ქალი?

— ლეა კავალიე.

ჯეკსონი კინაღამ შეხტა. ის ხომ მას კარგად იცნობს. მერე როგორ ვერ შეამჩნია.

5. გემი გაჩახჩახებული იყო ელექტრონებით. მგზავრები მხიარულობდნენ. საერთო დარბაზი სავსე იყო ხალხით. მუსიკა განუწყვეტლივ გრიალებდა.

სასეირნო. ბაქანზე გაჩერებული იყო ორი არსება. ისინი სრულიად ვერ

ეროვნული

ამჩნევდენ მესამე ლანდს, რომელიც აკვროდა კედელს [illegible] ისმენდა.

— სულ რამდენი ხანია, რაც დემონტონს დაუახლოვდით?—კითხა ჯექსონმა.

— ორი კვირა.—უპასუხა ქალმა,—მე ის პარიზში გავიცანი.

— ხომ არ ამჩნევდით უცნაურ რამეს თქვენ ახალ ქმარს ამ ხნის განმავლობაში?

ქალი გაწითლდა.

— მაგით რა გინდათ სთქვათ?

— არა, მე მხოლოდ მინდა გკითხოთ, ხომ არ გტოვებდათ ხოლმე მარტო დიდი ხნით, მაგალითად, მთელი დღით?

— ძლიერ ხშირათ, განსაკუთრებით კი გემზე მე ხშირათ ვამჩნევდი, რომ ის გაქრებოდა მთელი დღე.

— მიზეზებს არ ასახელებდა.?

— ამბობდა, რომ მას აინტერესებს ტრიუმში ღარიბ ხალხის ცხოვრება და იქ დადის.

— ხომ არ იცნობთ იმ ოსმალოს, რომელსაც უჭირავს მესამე კაიუტა თქვენს შემდეგ?

— მართლა, კიდევ ერთი უცნაური მოვლენა. მე ვნახულობდი იმ ოსმალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჰქრებოდა ჩემი ქმარი.

უეცრათ ლანდი მოსწყდა კედელს და მიუახლოვდა მოსაუბრეებს...

— ლეა, ჩემო ძვირფასო, რატომ საცეკვაო დარბაზში არა ხარ? ჯათარბეის სურს შენი გაცნობა.

ჯექსონს სუყველაფერი აერია.

— აი, გაიცანი მისტერ ოლივერ ჯექსონ, ეს კიდევ ბარონ დე მონტონ, ჩემი ქმარი.

რაღაც უცნაურათ ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს.

6. ქერლო ვერ ისვენებდა.

-- კიდევ კარგი, რომ ეს გზა მალე გათავდება, თორემ ამ ოსმალოს როლის თამაშმა მოთმინებიდან გამომიყვანა. ყველა მე მიცქერის. კიდევ კარგი, რომ ცოტა ოდნათ ოსმალური ვიცი თორემ... მაშასადამე, ოსმალოს როლს ჩემამდი ასრულებდა ბარონი, ისიც უეჭველია, რომ წითელი ნიღაბი თითონ ბარონი უნდა იყოს, მაგრამ ჯერ ამას თავი უნდა დავანებო. ჯერ ჯერობით საჭიროა ჯექსონის ალაგმვა, მეგობრების ვინაობას შემდეგშიაც გამოვარკვევ.

ქერლოს მიუახლოვდა დემონტონის მეუღლე.

— აი დასწყევლოს ეშმაკმა! თუ კი ის არ არსებული ოსმალო ვინმეს იცნობდა, რატომ ნიღაბმა არ გამაფრთხილა·—გაიფიქრა უცბათ ქერლომ.

მაგრამ მდგომარეობა გამოკეთდა. დემონტონის მეუღლის უკან იდგენ თითონ დემონტონი და ჯექსონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი 11.

## პალიატივა სხვა და სხვა ფიქრების.

1. სწრაფად იზრდებოდა მაყურებლების თვალწინ მრავალ სართულებიანი სახლებით გიგანტი ქალაქი ნიუ-იორკი- ბაქანი სავსე იყო მგზავრებით. გასცქეროდენ ჭოგრით *) გასაოცარ ქალაქს. ალტაცებაში მოდიოდენ ისინი ვინც პირველათ ხედავდა ნიუ- იორკს. გემმა მოუკლო სვლას, ნავთსადგურში დაფუსფესებდენ აუარება კატერები, სატრანსპორტო გემები, მანქანიანი ბარჟები და სხვა. ზევით ფრინავდენ აეროპლანები და დავსალეთით კი მიიზლაზნებოდა უზარმაზარი ცეპელინი.

ყველამ მიაქცია ყურადღება ერთ პატარა აეროპლანს, რომელმაც ბოლოს საშულებით ზეცაზე გამოსახა გიგანტური ასოები.

დემონტონი ჭოგრით ადევნებდა თვალს.

### მთელ დედამიწის პირველობაზე

### შეჯიბრება

### ბოქსი.

### დემპსეი

### კარპანტიე.

მგზავრები ახმაურდენ, ეკითხებოდენ ერთმანეთს:

— რა საუცხოვო დროს მივდივართ!

— თუ შესძელით დასწრება!

— მორის! მე სრული იმედი მაქვს, რომ შენ, რათაც არ უნდა დაგიჯდეს ბილეთს, მაინც, იშოვი.

— ოო! რასაკვირველია, ჩემო ძვირფასო.

სიამოვნობდენ ახლათ ჯვარ დაწერილნი.

მეორე კუთხეში კი ცხარობდენ,

— მე ვერას დროს ვერ წარმოვიდგენ, რომ მსოფლიოს ფალავანი კარპანტიე დაამარცხოს ვიღაც დემპსეიმ.

— ხა! ხა! ხა! ძლიერ გულუბრყვილოთ მსჯელობთ, ჩემო მეგობარო. კარპანტიე... ეს სუსტი ფრანგი... მან უნდა დასძლიოს დემპსეი...

— ვდებ ათი ათას დოლარს ერთის წინააღმდეგ, რომ კარპანტიე გაიმარჯვებს,

— ოო! მე კი ასი ათასს თქვენი ათი ათასის წინააღმდეგ, რომ დემპსეი გაიმარჯვებს.

გაჩაღდა შეჯიბრება.

წინ კი უძრავათ ამართულიყო Statue of liberty.

2. ნავთ-სადგური აფერადდა ხალხით. ფუსფუსებდენ მუშები. ჩამწკრივებულიყვენ ავტომობილები.

(* ჭოგრი—ბინოკლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემი ნელ ნელა მიადგა ნაპირს.

ყველაზე უწინ კიბე ჩაირბინა ჯეკსონმა. წინ შეეგება მამაკაცი კეპით.

— ბობ, თვალყური ადევნე იმ ოსმალოს სად დადგეს ბინათ. მე ეხლავე-წავალ ბინაზე, რომ ცოტა დავისვენო. ძლიერ დავიღალე. სხვა, ჯონს ბროუმ-ბერი რას ამბობს, თანახმა არის თუ არა?.. ხომ არ...

— ძლივს დავითანხმეთ.. შემდეგ დაწვრილებით მოგიყვები.

— კარგი. მე მივდივარ. თვალყური ადევნე, უკვე ჩამოვიდენ.

ჯეკსონი გაჰქრა. ბობმა კი განგებ გვერდზე გაუხვია, შეერია ხალხში და შემდეგ ავტომობილების მწკრივთან გაჩერდა.

ოსმალო დინჯათ მიაბიჯებდა. მიუახლოვდა ერთ ავტოს. სწრაფათ ჩააწყეს მისი ჩემოდნები ავტოში და ოსმალო გაემგზავრა მილიარდერების ქუჩისაკენ.

ბობი შეხტა მეორე ავტოზე და შოფერს უთხრა გაჰყოლოდა უკან.

3. აეროპლანებიდან, სართულებიდან, ავტომობილებიდან ყრიდენ ფურცლებს.

ყველას! ყველას! ყველას!

ბოქსი
საქვეყნო რეკორდი
გადამწყვეტი შეჯახება
ბოქსი

მსოფლიოს პირველობაზე

დედამიწის ჩემპიონზე

კარპანტიე
საფრანგეთის დაუძლეველი გმირი

მსოფლიო პირველობის
ამერიკის კანდიდატს
დემპსეის

წინააღმდეგ

აგებულია სპეციალური რინგი 50.000 კაცის ტევადობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუჩებში სწრაფად მოძრაობდა ხალხი. აფრიალებდენ ფურცლებს. ხმა მაღლა ლაპარაკობდენ ახალ შეჯიბრებაზე. მთელი ქალაქი შეპყრობილი იყო ამ ამბით.

ბირჟაზე გაჩნდა კარპანტიეს და დემპსეის შეჯახებაზე დასასწრები ბილეთები, როგორც ფასიანი ქაღალდები, მაკლერები ხმა მაღლა ჰყვიროდენ:

— დემპსეის ბილეთები ათი დოლლარი მეასე მწკრივი, ვინ მეტი?..

— 100 დოლლარი!

— 150...

გაზეთებში მოთავსებული იყო კარპანტიეს და დემპსეის სურათები.

**„დილის ცნობები“** სწერდა.

„კარპანტიეს გამოსტუმრება საფრანგეთიდან იყო ნამდვილი ნაციონალური დღესასწაული. ის ხელზე აყვანილი დაჰყვანდათ ქუჩაში და, ამგვარათვე, მიაცილეს ის მატარებლამდე, ვაშას ძახილით და მუსიკით. ტანვარჯიშობის მინისტრმა უსურვა მას ბრწყინვალე გამარჯვება და ფრანგების სახელის დიდებისთვის თავგანწირული ბრძოლა“.

**„ნიუ-იორკ ჰერალდ“** ათავსებდა ასეთ ცნობებს:

დემპესეი სრულიად კარგად გრძნობს თავს.

| | | |
|---|---|---|
| პულსი . . . . . . | 70 | 60 წ. |
| ტემპერატურა . . . . | $36^{06}$ | |
| სუნთქვა . . . . . . . | 17 | 60 წ. |
| სისხლის მოძრაობა ნორმალური. | | |

დიაგნოზი: პროფ. **მ. ხმიტ. გ. ტერნ.**

4. ავტომობილი გაჩერდა სასტუმრო „ავრორას“ წინ. ქერლო გადმოვიდა როგორც ნამდვილი ოსმალო, დინჯათ. ლაქიებმა გადმოათრიეს ჩემოდ-ნები.

როდესაც კარებს მიუახლოვდა, ნელა მიიხედა უკან. ბობი სწრაფად აეკრა კედელს. ქერლომ გაიცინა და მიუახლოვდა ლიფტს.

ერთი საათის შემდეგ ტელეფონმა დარეკა.

— Allo!.. აა, თქვენა ბარონ... ძლიერ სასიამოვნოა ჩვენი ნაცნობობის განგრძობა. საიდან გაიგეთ, რომ მე აქ ვიქნებოდი. როგორ? თქვენ ყველაფერი იცით? სასიამოვნოა... ა?.. კარგი.., კარგი... უმდაბლესი სალამი ბარონესსას.

დადო ტელეფონის მილაკი და მობრუნდა ჩემოდნებისკენ.

— ერთი ვნახო, მართლაც რა უნდა იყოს ამ სხვის ჩემოდნებში?

ფრთხილათ გახსნა. არაფერი აყო გარდა იმ აუცილებელ ნივთებისა, რომელიც ჰირდება მოგზაურს.

ზევიდან ედო წერილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ამხ. ქერლი!

ფაშისტურ ორგანიზაცია „Hank-Hank — Kiank"-ს სურს თავიდან მოიშოროს მუშათა მოძრაობის ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი, სახელდობრ საკო და ვანცეტი. დავალება აიღო ჯეკსონმა.

ნ ი ღ ა ბ ი.

5. ჯონსონის და კომპანიის ფირმა დატრიალდა. იმ შენობასთან, სადაც უნდა მომხდარიყო საქვეყნო შეჯიბრება, სწრაფათ დაიკავეს რამოდენიმე შენობა, სადაც გადაზიდულ იქნა 50.000 ცალი ჰოგრი რამდენი ელამი ბარონესა დაესწრებოდა ამ შეჯიბრებას და, მიუხედავათ იმისა, რომ შეიძლება ბევრ მათგანს თან წამოეღოთ ჰოგრები მაინც შესაძლებელი იყო 20.000-დე გაესაღებიათ. მერე რა საუცხოვო ჰოგრები სადაფის ოქროს, ვერცხლის, საუცხოვო ინგლისური გრავიურებით.

გაძლიერებული იქნა პოლიციის საგუშაგოები წესრიგის დასაცავათ.

აიგო სპეციალური რადიო ფოტო-ფონი, პარიზში ყოველი მოძრაობის გადასაცემათ, პარიზელები ეიფელის კოშკთან, რადიოს საშვალებით, ეკრანზე თვალყურს ადევნებდენ მთელი ამ შეჯახების მსვლელობას.

გამოიცა განსაკუთრებული წიგნები, კარპანტიეს და დემპსეის ბიოგრაფიების, სადაც აწერილი იყო კარპანტიეს მიერ ინგლისის ფალავანის დამარცხება, დემპსეის გამარჯვებები და სხვა.

ერთი კვირით დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „დემპსეი კარპანტიე".

მთელი ამერიკა ლაპარაკობდა ამ ამბავზე ფიცხი იანკები დებდენ სანაძლეოებს.

თ ა ვ ი 12.

## „ფ რ ე ი მ-ა პ"*)

1. ჯონ ბრემსბერი ძლიერ შეზარხოშდა. ჯეკსონი ეწეოდა სიგარებს. რესტორანში დამდგარი იყო თუთუნის ბოლი.

— მაშ, ასე მე თანახმა ვარ. რასაკვირველია, 1000 დოლლარი ჩემთვის მცირე თანხას არ შეადგენს, მაგრამ მეტის მიღებაც არ იყო ცუდი. მერე ასეთი ცოდვის ჩადენა.

— ეეხ, ჩემო კარგო, შენ კარგა ხანია რაც უნდა გეშინჯა ელექტრონის სკამი. რადგან უკვე ხუთი მკვლელობა...

— სრულიადაც არა! მე ერთი ცალფეხა ჰანსიც მიუმატე კიდევ. განა ის რომ ცალფეხა იყო ადამიანათ არ უნდა ჩაითვალოს? თუ გინდათ 5 და $^{3}/_{4}$ კაცათ ვიანგარიშოთ. ის ერთი მეოთხედი მეტროპოლიტენის მსხვერპლი გახდათ და, შეიძლება, რომ მე დანაშაულში სრულიად არ ჩამეთვალოს.

*) ამერიკაში ძლიერ გავრცელებული პროვოკაციული გასამართლება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მაშ, ასე თქვენ ეხლა კიდევ ერთიც მიუმატეთ. კარგათ გახსოვდეთ. როდესაც საღამოს ე. ი. ნაშუაღამევს საკკო და ვანცეტტი კლუბიდან დაბრუნდებიან, სადაც მათ ეხლა გამართული აქვთ კომიტეტის სხდომები, თქვენ გაჩერებული იქნებით სიტიჰოლლის წინ. იქ მოვა არტურ ლარისონი, საკკოს და ვინცეტტის გამოვლის დროს, თქვენ ესვრით ორჯერ ლარისონს და გაიქცევით. იცოდეთ არ ააცდინოთ, თორემ დაიღუპებით. პოლიცია უკვე გაფრთხილებულია და თქვენ არავინ არ დაგაკავებთ. გაიგეთ თუ არა?

— ვერაფერი ვერ გავიგე.

— თქვენთვის ზედმეტის ცოდნა საჭირო არ არის. როგორც კი ამ დავალებას შეასრულებთ თქვენ მიიღებთ ათას დოლლარს,

— საბრალო ლარისონი—აცრემლდა ჯონი—როგორ მეცოდება. მერე რა მცირე კერძს მიირთმევს ტყვიისას, სულ რამოდენიმე გრამმს. ეხლა თუ შეიძლებოდეს ამოყაჭე ცოტაოდენი.

— როგორ?

— ბევრი არა, ასი დოლლარი და საქმე ჩინებულათ წავა

2. ლარისონი თავის ოთახში იჯდა და კითხულობდა წერილს.

არტურ!

მე აღარ შემიძლია ავიტანო მშობლების ჯიუტობა. გადავწყვიტე გაბედული ნაბიჯის გადაგმა. მე სახლში ჩამკეტეს, მაგრამ ხვალ იმედი მაქვს სახლიდან გამოვიპარო; ღამის პირველ საათზე მელოდე სიტი-ჰოლლის წინ.

ელლენ.

რამდენჯერმე გადაატრიალა ხელში. ყველაფერი რიგზედ იყო. მაშ, ისევ უკანასკნელ ხერხს უნდა მიმართოს. ძლიერ კარგი. სასიამოვნო ამბავმა მეტათ მხიარულ გუნებაზედ დააყენა. ნელ-ნელა აღელდა. ოთახში სიარული დაიწყო. შემდეგ ტელეფონის მილაკი ჩამოხსნა, რომ არავის დაერეკა და დაწვა დასაძინებლათ.

3.—მაშ, ასე, ბობ, საქმე ჩინებულათ მიდის. მხოლოთ ეხლა საჭიროა ქეროლის კისერის მოგრეხა. ჩვენ ეხლავე წავალთ სასტუმრო „ავრორა“-ში და დავიჭეროთ ოთახს ყალბი ოსმალოს გვერდით. შემდეგ მე გავემგზავრები ბარონ დე მონტონთან. დღესავით ნათელია, რომ ნიღაბიანი მამაკაცი სწორეთ ის იყო. საჭიროა იმის ვინაობის გამორკვევა.

რესტორანში საშინელი ბოლი იდგა თუთუნის წევისაგან. ხმა მაღლა ლაპარაკობდენ და საიჭვო ყოფაქცევის ქალები მხიარულათ იცინოდნენ.

— მე მგონია, რომ ამაღამვე შევძლოთ ქეროლის დატუსაღება.—სთქვა ბობმა.

— არა, ოფიციალურათ ვერ დავატუსაღებთ, რადგან საბუთი არავითარი არა გვაქვს, რომ ვიფიქროთ იმის დატუსაღებაზე. ჩვენ მას ღამე ხლოროფორმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავაძინებთ და სასტუმროდან ჩემოდანით გავიტანთ. ეხლა კი დროა, რომ წავიდეთ.

დახლთან მივიდენ, და ანგარიში გაასწორეს. რესტორანში კი ისევ ხმაურობდენ, ხრიალებდენ.

ათი წუთის შემდეგ რესტორანი დატოვა ქერლომაც. მან სწრაფათ გაუხვია მეორე ქუჩაზე და დაიქირავა ავტო.

— ვოლლ-სტრიტ—უთხრა შოფერს.

ქუჩებში იძვროდა აუარებელი ხალხი, ავტომობილები. სახლები აფერადებული იყვნენ ელექტრო-რეკლამებით. ერთ ალაგას ელექტრონის საშუალებით გამოყვანილი იყო მთელი კაცის ფიგურა და სწრაფი დაჭრობა ანთების საშუალებით ფიგურა მოჰყავდ მოძრაობაში, რომელიც ისხამდა ჭიქაში ვესტერის ფირმის ღვინოს.

ავტომობილი გაჩერდა სასტუმრო „მავრის“ წინ. ქერლომ გადასცა ბარათი ლაქიას.

— პასუხს ვუცდი.

ლაქია სწრაფათ ავიდა მესამე სართულზე და დარეკა.

— შემოდით!

დე მონტონმა დახედა ბარათს.

| | |
|---|---|
| ჯაფარ ბუნიატ-ბეი. ვეზირობის კანდიდატი | მიხვედრილი არიან- საჭიროა მდგომარეობის შეცვლა. მივდივართ ლარისონთან. ბარათი დასწვით. |

— ქვევით იცდით?

— დიახ!

— გადაეცით მადლობა და ეს ბარათი.

ლაქია დაბრუნდა უკან. ქერლომ დახედა ბარათს და შოფერს უთხრა გამგზავრებულიყო 118 ქუჩაზე, სადაც მას დაჭერილი ჰქონდა მეორე ბინა.

4. „ავრორა“-ს წინ გაჩერდა ავტომობილი. გადმოხტა ორი უცნობი. ერთი ვიღაც წელში მოხრილი მოხუცი ხოლო მეორე სრულიად ბავშური სახის მქონე ახალგაზრდა.

სასტუმროს კანტორაში მოხუცმა უჩვენა გამგეს თავისი ნიშანი ქურქის შიგნით მიმაგრებული.

მან ზრდილობიანათ თავი დაჰხარა.

— ჩვენ გვსურს დავიჭიროთ ჯაფარ ბეის მოსაზღვრე ბინა. ხომ თავისუფალია?

— თვით ის ბინა, თავისუფალი გახლავთ.

— როგორ?!

— ოსმალომ დღეს დასტოვა სასტუმრო.

ჯეკსონმა თვალები დაბრიცა, მერე ბობისკენ მოიხედა. კისრები მოიქნეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ნელ ნელა უკან გამობრუნდენ, ჯეკსონმა გაბრაზებით გამოჰკრა კარებს ხელი და მიუახლოვდა ავტომობილს. გზაში რამოდენიმე ხანს ორივე ჩუმათ იყვენ. ბოლოს ბობმა ჩაილაპარაკა.

— ნეტავ სად უნდა იყოს?

— მე ჯერ ჯერობით ვერავითარ აზრს ვერ დავადექი. სრულიად ვერ წარმომედგინა თუ ის ასე მალე იცვლიდა ბინას. მე მგონია, რომ ის მაინც და მაინც შორს არ წავიდოდა.

ბინაზე მივიდენ. აანთეს ელექტრონი და გააბოლეს პაპიროსები. ჯეკსონი გაეხვია ფიქრებში.

— მართლა, სრულიად ვერ წარმოვიდგინე, რომ ადვილი შესაძლებელია ის რესტორანში ყოფილიყო და ჩვენს საუბრიდან სუყველაფერი გაეგო.

— როგორ?

— ადვილათ, ჩვენ ისე გავერთეთ საქმეში, რომ გარშემო არავის არ ვაკვირდებოდით...

— და შესაძლებელია ის გაემგზავრა ლარისონის გასაფრთხილებლათ.

— მივდივართ ეხლავე.

სწრაფათ გაცვივდენ ქუჩაში და შეახტენ ავტოს.

5. ქერლო აღელვებული დადიოდა თავის ოთახში. ყოველი წუთი ძვირათ ღირდა, რადგან შეიძლებოდა დაგვიანება და ბარათის მიხედვით კი ლარისონის მისამართს გაიგებდა თვით ბარონი.

რამდენჯერმე კიდევ გაიარ-გამოიარა, პაპიროსიც გააბოლა მაინც ვერ დამშვიდდა. ამდენ ხნის განმავლობაში ხომ თითონაც გაიგებდა. მართალია, ხვალ საღამომდი დიდი დრო იყო. მაგრამ მოწინააღმდეგენიც ეცდებოდნენ იმის იზოლიაციას, ასე, რომ ამდენი ცდა აუტანელი იყო. ნუთუ აქამდის ვერ გაიგო.

ტელეფონმა დარეკა!

— Allo! როგორ? ხუთ წუთში აქ იქნებით? ძალიან კარგი.

ქერლომ ველარ მოითმინა.

— აი, ჯანაბას შენი თავი—ჩაილაპარაკა თავისთვის, თუ კი ამდენი ცდა დამჭირდებოდა მაშინ თვით მე მოვნახავდი.

ტელეფონმა ისევ დაჰრეკა.

— გისმენთ! 5? 182 ხაზი, 12 დიახ მესმის...სიმაღლე 8 კარგი, გმადლობთ! სწარაფათ დადო ტელეფონის მილაკი და თან თავისთვის ლაპარაკობდა.

— ვერ გამიგია რას ჭირვეულობდა. მაშასადამე, 162 ქუჩა, სახლი 12 სართული 8. ჩინებულია.

გამოიცვალა ტანისამოსი და ქუჩაში გამოვიდა.

6. ჯეკსონი და ბობი 12 ნომერ სახლის წინ დასეირნობდენ. ორივეს სახე ისეთივე ჰქონდათ, როგორც სასტუმრო „ავრორა“-ში მისვლის დროს. ნახევარი საათის შემდეგ ჯეკსონმა სთქვა.

— მე მგონია, რომ შევცდით. შესაძლებელია, რომ ქერლომ სრულიად არაფერი არ იცოდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მე კი რაღაც დარწმუნებული ვარ, რომ მან ყველაფერი უნდა იცოდეს. რესტორანში მე შევამჩნიე ერთი პიროვნება, რომელსაც ჩვენს გვერდით ეკავა მაგიდა ვიღაც ქალთან ერთად.

— აჰა, ვიცი ზურგი ჩვენსკენ ჰქონდა შექცეული.

ორივე დაფიქრდა. ჯეკსონმა დახედა საათს.

— მოვიცადოთ კიდევ ათი წუთი და შემდეგ კი გავაფრთხილოთ დარაჯი, რომ თუ ვინმემ იკითხა ლარისონი იმ წუთშივე გვაცნობონ.

ისევ დახედეს საათს. არავინ არ სჩანდა. დაიწყეს სიარული მოკლე მანძილზე. დრო კი მიდიოდა. ბოლოს ჯეკსონმა ველარ მოითმინა.

წავიდეთ, როგორ სულელებივით დავყიალობთ.

თან გული მოსდიოდა. საიდან მოუვიდათ აზრათ, რომ ქერლოს ყველაფერი ეცოდინებოდა.

უეცრად სახლის წინ გაჩერდა ავტო.

ჯეკსონი და გარრენდი შეკრთენ.

— მოვიდა.

სწრაფათ მიცვივდენ ავტოსთან და მოფერს ჯერ არც-კი გაეღო კარები, რომ შიგ შეცვივდენ.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ქერლო გრძნობდა საფეთქელზე რევოლვერის ტუჩს და იმას, რომ ავტომობილი მიჰქროდა სადღაც ბნელი ქუჩებისაკენ.

7. ოლვინტ—სტრიტზე გარბოდა ორი კაცი.

— დაიჭით არ გაუშვათ—ყვიროდა ერთი მათგანი და თან რევოლვერს ატრიალებდა.

ამ აურ-ზაურის მიზეზი ორი ვიღაც ლანდი, სწრაფათ გარბოდა და თან უკან იხედებოდა.

— შეჩერდით, თორემ გესვრით!

ლანდები არ გაჩერდენ.

უცნობმა ორჯერ ისროლა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ წამოეწია მეორე ამხანაგი.

— საკკო!,.. რისთვის ესროლე. სულ ერთია ისინი მაინც არ დადგებოდენ.

იმან, რომელსაც საკკო უწოდეს, ნელა მოიხედა. მძიმეთ სუნთქავდა, ბოლოს ძლივს წამოიძახა.

— არამზადები.

რევოლვერი ინსტინქტიურად ჯიბეში ჩაიდო და ორივენი უკან დაბრუნდენ, ქალი კი, რომელსაც არამზადები გაძარცვის მიზნით თავს დაესხნენ, გულ შეწუხებული ეგდო მიწაზე.

— ნეტავ რომელი საათი იქნება?

ვანცეტტიმ დახედა საათს.

— დილის ოთხი საათია.

— რა უყოთ ამ ქალს?

— მოიცა ავტოს მოვიყვან, სადმე იდგომება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანცეტტი ავტოს მოსაყვანათ წავიდა, საკკო კი ქალთან ჰირველობდა.
გაქცეულები კი ასე მსჯელობდენ.

— პირდაპირ გამარჯვება გამარჯვებაზე მოდის ბობ. რა საუცხოოთ მოეწყო ეს ამბავი. ბედი ყოფილა ალბათ. ეხლა მხოლოდ ის არის საშიში, რომ საკკომ დაცლილი ვაზნები არ გამოცვალოს და ხვალ საღამომდი რევოლვერი იმ სახითვე შეინახოს, როგორც ეხლა უდევს ჯიბეში. დანარჩენი თავის თავათ მოეწყობა.

მეგობრები ფეხით მიდიოდნენ.

— ავტოში ჩავსხდეთ!

— არა—უპასუხა ჯეკსონმა—მიუხედავათ იმისა, რომ დაღლილი ვარ, მაინც ფეხით სიარული მირჩევნია, რადგან უკეთ დამეძინება. მე მგონია დილამდი არაფერი არ შეიცვალოს; დილას კი ქეროლს ვესაუბროთ. ა! ის არამზადა ისა მიხვდა თუ არა.

8. ოთახში ელექტრონი ენთო. აქა იქ ეყარა აუარება ნივთები, ყუთები, შეკრული ტიუკები—ბაწრები და სხვა ამისთანა რამ.

ქეროლი მიკრული იყო კედელზე და თავიდან ბოლომდე გაკრული იყო ბაწრებით. ყოვლად შეუძლებელი იყო ადგილიდან დაძვრა. პირში ჩაჩრილი ჰქონდა ცხვირსახოცი და იმითივე აკრული ჰქონდა პირი.

რამდენჯერმე სცადა ბაწრების შესუსტება, მაგრამ ამაოთ.

დრო კი ნელ-ნელა მიდიოდა.

ქეროლი მაინც მოეწყო დასაძინებლათ.

— ეეხ! ჯერჯერობით მეტი არაფერი დამრჩენია—გაიფიქრა მან და თვალები დახუჭა.

9. დილის ათ საათზე ჯეკსონმა დალია ყავა და თან სიამოვნებით ათვალიერებდა კორესპონდენციებს. ბობი რაღაც ქიმიურ ცდას ახდენდა და თან სიამოვნებით უსტვენდა.

— დავესწროთ თუ არა კარპანტიეს და დემპსეის შეჯახებას.

— მართალი გითხრა სრულიად არ მაინტერესებს.

— რატომ?—იკითხა ჯეკსონმა.

— იმიტომ, რომ გვერდების დაზელვა ჩემთვის პირველი არ არის.

ჯეკსონმა გადიხარხარა.

შემდეგ წავიდა ფანჯარისაკენ, რომ გადაეხედა ქალაქისთვის.

ფარდიდან გამოვიდა წითელი ნიღაბი.

— სსს! ხმა! ერთი კრინტი არ დასძრა და ხელები მაღლა ასწი! თქვენც ბატონო ბობ. სწრაფად!

უცბათ დაუჩხრიკა ჯიბეები, თან ჯეკსონის ტუჩებზე მიბჯენილი ჰქონდა ლულა.

— აბა, ეხლა შებრუნდით, ხოლო თქვენ კი აქ მობრძანდით ბატონო ბობ!
ზანტათ მიუახლოვდა. ნიღაბმა გაუსინჯა ჯიბეები და მერე უბრძანა.

— აბა, ეხლა თქვენც შებრუნდით და წამობრძანდით ჩემთან. ერთი კრინ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტი არ დასძრათ თორემ იმ წამშივე გესვრით. მე ცალი ხელი ჯიბეში მექნება რომელშიდაც მეჭირება მომართული რევოლვერი. აბა, გასწით!

ორივენი ერთად დაიძრნენ. ხელებ აწეულები მიდიოდნენ. ჯეკსონი ახრჭიალებდა კბილებს და თან იმუქრებოდა გუნებაში.

მიუახლოვდნენ ლიფტს. კარები გააღეს. ნიღაბმა მიმართა ჯეკსონს.

— შეგიძლიათ ხელები დაუშვათ!

შემდეგ სწრაფად აიკრა თვალებზე შოფერის სათვალეები, რამაც სრულიად დაფარა ნიღაბი.

ბინაზე უცნობმა მკაცრად მიმართა ჯეკსონს.

— მითხარით ეხლავე, სადა გყავთ ქერლი და როგორი გეგმები გაქვთ საკკოს და ვანცეტტის პროვოკაციაში ჩასათრევად.

ჯეკსონი ჩუმად იყო.

— მე მგონია, რომ თქვენ, ბატონო ჯეკსონ, არ იცით თუ. როგორ ზომებს მივმართავთ, თორემ უარს არ დაიწყებდით. უმჯობესია თქვენ თითონ დაგვისახელოთ ყოველივე. მე გირჩევთ.

ჯეკსონი ჩუმად იყო.

— თქვენ არ გსურთ ილაპარაკოთ?

— არა.

მაგრამ უეცრად მოიფიქრა.

— კარგი, გეტყვით მხოლოდ ქერლის მისამართს. გაემგზავრეთ....

ჯეკსონი რამოდენიმე წამს შეჩერდა.

— გაემგზავრეთ ქალაქის ჩრდილო განაპირა უბანში. იქ 756 ქუჩაზე იკითხეთ ცალთვალა პიტერსი. ის გაჩვენებთ ქერლის.

ნიღაბმა მაგრად გაუკრა ხელფეხი ორივე დეტექტივს და გაემგზავრა დანიშნულებისამებრ.

— მე ვერ გამიგია რას ვიგებთ მაგით, რომ მოვატყუეთ ჩაილაპარაკა ბობმა.

— რომ ხვალ დილამდე ქერლი არ განთავისუფლდეს.

დანარჩენზე შემდეგ ვიფიქროთ.

10. დანარჩენი მოეწყო თითქმის მექანიკურად. ნიღაბი წავიდა ქერლის საძებრად.

ჯონ ბრემსბერი დანიშნულებისამებრ მივიდა სიტი-ჰოლლის წინ. ღამის პირველ საათზე მოვიდა ლარისონიც.

ღამის ორ საათზე საქარხნო კომიტეტის სხდომიდან ბრუნდებოდნენ საკკო და ვანცეტტი. როდესაც ისინი მიუახლოვდნენ მუნიციპალიტეტის შენობას, ბრემსბერი მიეპარა ლარისონს, ორჯერ ესროლა და გაიქცა.

ვანცეტტი წაქცეულ ლარისონთან მივარდა, ხოლო საკკო გაეკიდა ბრემსბერს და ისევ იშიშვლა თავისი რევოლვერი. ბრემსბერი უცბად მიიმალა. საკკო დაბრუნდა უკან და ორივემ დაუწყეს თვალიერება მოკლულს.

— სადარბაზო ბარათი ხომ არა აქვს?

ვანცეტტიმ გაუხსნა ქილეტი და პერანგი.

ეროვნული

სწორეთ ამ დროს გამოჩნდნენ პოლისმენები, რომელთაც დავალებული აქვსთ მშვიდობიანობის დაცვა. უბნის უფროსმა სწრაფად გასცა განკარგულება:

— დაატუსაღეთ!

საკკოს ხელიდან გამოსტაცეს რევოლვერი, რომელშიდაც აღმოაჩინეს ორი დაცლილი ვაზნა. ხალხი ნელ-ნელა შეგროვდა, კითხულობდენ, თუ რა ამბავი მოხდა.

— საკკოს და ვანცეტტის გაძარცვის მიზნით მოუკლავსთ ლარისონი.

ერთი პოლიციელი ამბობდა:

— მე მაშინ მივუსწარი, როდესაც ისინი ჯიბიდან ფულის ამოცლას უპირებდენ.

სწრაფათ მოიყვანეს შავი ავტომობილი და ორი მუშათა ხელ-მძლვანელი გააქანეს პოლიციისაკენ.

რეპარტიორები ველოსიპედებით გარბოდენ რედაქციებისაკენ, ხოლო მეორე დღეს გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა:

„საოცარი ამბავი.

წუხელ, ღამის ორ საათზე, საკკო და ვანცეტტი გაძარცვის მიზნით თავს დაესხენ" არტურ ლარისონს, მუნიციპალიტეტის შენობის წინ. საკკომ რევოლვერის ორჯერ გასროლით იქვე მოჰკლა ლარისონი. პოლიციის მიერ ორივე დატუსაღებულნი არიან".

თავი 13.

## ამერიკული რეკლამა.

1. როდესაც დილის 9 საათზე დე მონტონმა გაზეთში წაიკითხა ეს ცნობა, განცვიფრდა. მან სწრაფათ ჩაიცვა კოსტიუმი და გაექანა ჟერლოს ბინისაკენ. გზაში სულ იმას ფიქრობდა, თუ რატომ ვერ მოახერხა ჟერლომ ლარისონის გაფრთხილება.

ბინაზე მას არავინ არ დაუხვდა.

უცბათ მოისაზრა, რომ წასულიყო ჯეკსონთან, რადგან უფრო ადვილათ შეიძლებოდა საქმის გამორკვევა.

არც ჯეკსონი დაუხვდა შინ.

დემონტონი დაფიქრდა. გაბრაზებული სრესდა ხელ-თათმანებს და გამალებული სუნთქავდა.

— ნილაბი ხომ სან-ფრანცისკოში გაემგზავრა, ის ხომ არ ჩაერეოდა—ფიქრობდა ის. ან და ის რომ ჩარეულიყო, მაშინ რა შუაშია ლარისონის სიკვდილი,

აღელვებული იკვნეტდა ტუჩებს.

— ეოლლ-სტრიტ—უბრძანა შოფერს.

ბინაზე ცოლმა უთხრა, რომ 20 წუთის განმავლობაში მას ტელეფონით განუწყვეტლივ ვიღაც კითხულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფათ მივარდა ტელეფონთან.

— allo! საიდან გაჩნდი..... როგორ.... ერიჰა.... არ იცი?... კარგი, კარგი!

უცბათ გამოვარდა გარეთ და შოფერს დაუძახა.

2.—დიახ, თქვენ გეგონათ, რომ საკმარისი იყო ლარისონის სიკვდილი და საქმე გათავდებოდა, არა? მე თქვენ გთხოვთ დამისახელოთ სად არის ქერ-ლო, თორემ ეხლავე დაგჭირდებათ სულის საცხონებლათ უკანასკნელი ლოცვის წაიკითხვა.

— თქვენ სცდებით, ჩემო კარგო, ჩვენ არავითარი დამოკიდებულება არა გვაქვს მაგ საქმესთან.

კარებზე ფრთხილათ დააკაკუნეს. ნიღაბმა გააღო. შემოვიდა დე მონტონი იმასაც აეკრა წითელი ნიღაბი.

ჯეკსონი დააშტერდა.

— აი, ეს არამზადა უკვე ჩემს ხელშია. ცნობილი დედექტივი და ბურ-ჟუაზიის მაიმუნი. აბა, მისტერ ჯეკსონ, ენა ამოიდგით!

ჯეკსონი ფიქრობდა.

— გაანთავისუფლეთ ჩემი თანაშემწე ბობი, რომელიც გამოუშვებს ქერლოს მხოლოდ იმ პირობით, რომ მეც იმ წამშივე განთავისუფლებული ვიქნები.

დე მონტონი და ნიღაბი განზე გადგენ და საიდუმლოთ დაიწყეს თათბირი ბოლოს ნიღაბი მიუახლოვდა ჯეკსონს.

— ჩვენ თანახმა ვართ, მხოლოდ იცოდეთ, ბობი და ქერლო აქ ერთად დაბრუნდებიან და შემდეგ თქვენც გაგანთავისუფლებთ.

ჯეკსონმა გაიცინა.

— სრულიადაც არა. აქ მოვა მარტო ქერლო, ხოლო ბობი კი საპოლი-ციო უბანში.

რამოდენიმე წუთს ჩამოვარდა სიჩუმე.

— კარგი!

სწრაფათ შეუხსნეს ხელები და ბობი ნელ-ნელა წამოდგა ფეხზე.

— იცოდეთ, თუ ვინცობაა თქვენ სხვანაირათ მოისურვეთ მოქცევა, ჯეკ-სონს იმ წამშივე მოვკლავთ.

ჯეკსონმა წამოიწია.

— ბობ, აქ მოდი!

რამოდენიმე სიტყვა უთხრა ჩუმათ და ბობი გავიდა ოთახიდან.

3. ამ დღეს განსაკუთრებულათ აელვარებული იყო ქალაქი. საღამოს 7 საათზე მოხდებოდა დიდი შეჯიბრება კარპანტიეს და დემპსეის შორის. მთელი ტალანტი და ნიჭი ამერიკულ რეკლამების გამოფენილი იყო ქუჩებში.

უზარმაზარ ოჩაფეხებზე შემდგარიყვენ მამაკაცები და რუპორებით გაყვი-როდენ ქალაქში.

— დემპსეის და კარპანტიეს შეჯახების აღსანიშნავათ დაულსონის ფირ-მამ გამოუშვა განსაკუთრებული ხორცის კონსერვები ძლიერ იაფათ.

მეორე ალაგს:

— ამიერიდან „იმშა-მეტამორფოზა“-ს ფირმა უშვებს საუკეთესო ბენზოლის

ეროვნული

საპონს „დჟეკ დემპსეი“. სპეციალურათ სპორტსმენებისთვის [illegible] სიყალბეს.

ერთ ქუჩაზე მოხდა დებოში.

— თქვენ ასაღებთ დიდ სისულელეს სინამდვილეთ — გაცხარებით ამბობდა ერთი. განა წარმოსადგენია რომ დემპსეიმ დაამარცხოს კარპანტიე?, რომელსაც ხელზე ჩაცმული ექნება „სტევენსონის და ამხანაგობის“ ბოკსის ხელთათმანები. ვდებ ორას დოლლარს სანაძლეოთ.

— რა გულ-უბრყვილოთ მსჯელობ, ჩემო მეგობარო. დჟეკ დემპსეიმ შეარცხვინოს ამერიკა?, დჟეკ დემპსეი, რომელიც სავარჯიშოთ ხმარობდა მხოლოდ „ტროლლის და ამხანაგობის“ მიერ დამზადებულ იარაღებს, წარმოუდგენილია. ვდებ ხუთას დოლლარს ერთის წინააღმდეგ.

ხალხი ისმენდა.

მესამე ქუჩაზე ვიღამაც გააერცელა ხმა, რომ შავ ქურქიანი მამაკაცი, რომელსაც საკმაო შეხედულბა ჰქონდა მოჭიდავის, არის დჟეკ დემპსეი.

ხალხი აიშალა, ნელ-ნელა აედევნენ და გაფაციცებით შესცქეროდენ ამ უცნობ მამაკაცს. ერთმანეთს ეკითხებოდენ:

— ვინ არის?

— ნუთუ არ იცით, დემპსეი.

შეგროვდა აუარება ხალხი. უცნობი კი იხტიბარს არ იტეხდა და აქეთ-იქით იცქირებოდა.

ხალხი კი თანდათან მატულობდა. ბოლოს შეუძლებელი შეიქნა ქუჩაზე გავლა. ერთმანეთს აწვებოდენ. წინ მოიწევდენ. პოლისმენები ცდილობდენ ხალხის დაშლას.

უცნობი კი მაინც ჩუმათ იდ.ა.

ბოლოს ერთმა დაიძახა:

— გაუმარჯოს დემპსეის!

რამოდენიმე კაცი მივარადა დემპსეის და ხელით ასწიეს. დაუწყეს ტაშის ცემა. მოულოდნელათ მოგროვდა აუარება ხალხი და აქაიქ გამალებით ყვიროდენ:

— გაუმარჯოს შეერთებულ შტატებს, გაუმარჯოს დემპსეის,

ბოლოს უცნობი მიიყვანეს ავტომობილთან. მან უცბათ ასწია ხელი და ჩამოვარდა სრული სიჩუმე.

— ჯენტლემებო! — იყვირა უცნობმა — ჯენტლემებო....

ხალხი სულის მოუბრუნებლათ ისმენდა.

— იყიდეთ „კორეტსონის“ ფირმის აპიროსები, საუცხოვო სუნი აქვს

ხალხი უცბათ ალრიალდა. იანკები ალტაცებაში მოვიდენ ასეთი მოხდენილი რეკლამით და ხალხის მოტყუებით.

4. ორმოცდათი ათასი კაცი მისჩერებოდა ერთ წერტილს არბიტრი ხმა მაღლა ჰყვიროდა.

— მსოფლიო ფალავნების შებმა. დემპსეი — შეერთებული შტატები, კარპანტიე — საფრანგეთი. ბრძოლა გადამწყვტ მომენტამდე. საერთაშორისო კანონების ძალით ცხადდება სამი რაუნდი. თითო რაუნდი — 2 წამი, თითო წამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესვენებით. სამი რაუნდის შემდეგ ბრძოლა გადამწყვეტ მომენტამდე. აკრძალულია დჟიუ-დჟიტსუს რომელიმე ხერხის ხმარება და საერთოდ ყველა აკრძალული ხერხის. დემპსეი — შეერთებული შტატები, კარპანტიე — საფრანგეთი, გთხოვთ.

არბიტრმა სასტვენში ჩაჰბერა.

მოკრივეები დაიძრენ ნელა და თვალით ზომავდენ ერთმანეთს.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

არბიტრი აცხადებდა შედეგებს:

— შეერთებული შტატების ფალავანმა დჟეკ დემპსეიმ დაამარცხა მსოფლიო ფალავანი კარპანტიე მესამე რაუნდზე. ხუთ წუთში და თვრამეტ წამში. კარპანტიეს გადატეხილი აქვს ხელი, ცხვირი და ფერდის ორი ნეკნი. ამიერიდან ბოკსის პირველობა ეკუთვნის შეერთებულ შტატებს და დედამიწის ფალავნის სახელი ეწოდება დემპსეის.

შეერთებული შტატები დღესასწაულობდა.

საფრანგეთი შეიმოსა შავებით.

ინგლისი აღელდა და დანიშნა სპეციალური ექსპედიცია ახალშენებში ღონიერ მამაკაცების აღმოსაჩენათ.

თავი 14.

## რამოდენიმე დირექტივა.

1. ქერლო გაკვირვებული იყო ასეთი უცნაური განთავისუფლებით.

მასთან მოვიდა ბობ გარრენდი, შეუხსნა ხელფეხი და უსიტყვოთ მიუთითა კარებისაკენ.

ჯერ კარგათ ვერ გამორკვეულიყო, როდესაც მივიდა ბინაზე, ტელეფონი უკვე რეკდა.

— გისმენთ. როგორ?... აჰაა, ძლიერ კარგი.... არაფრის გულისათვის არ გაუშვათ.... მე ეხლავე დავტოვებ ამ ბინას... თვალ-ყურს მადევნებენ? რასაკვირველია... ნუ გეშინიან.

დადო ტელეფონის მილაკი და სიამოვნებით შეიშმუშნა ხელები.

— ცხადია, ეხლა მეც უნდა დავანებო თავი კეთილშობილურ ბრძოლას. მაშ, ლარისონი მოჰკლეს... ძლიერ კარგი... სამაგიეროთ ჩვენც შეგვიძლია ბრძოლა, მისტერ ჯეკსონ. თქვენ უკვე ველარსად წახვალთ და ეხლა თვით მე მოგელაპარაკებით. ამბობდა თავისთვის ქერლო და ოთახში რაღაცას ფათურობდა.

2. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მამა და მფარველი კულლიჯი დინჯათ ათვალიერებდა საქმეებს თავის კაბინეტში. პატივცემული პრეზიდენტი ყოველთვის სცდილობდა თავის თანამემამულეთა ამერიკელთა კეთილდღეობისათვის. სწორეთ ამისთვის ჰქონდა მას საწერი მაგიდის უკან კედელზე ჩამოკიდებული ბენიამენ ფრანკლინის სურათი, როგორც ერთ ერთ სამაგალითო პრეზიდენტის. რასაკვირველია, შეიძლებოდა ჯერ ვაშინგტონის სურათის ჩა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოკიდებაც, მაგრამ იმის სურათი ეკიდა ვილსონს და კულიჯმა არჩია ისევ ფრანკლინის სურათის დაკიდება. კულიჯი ისეთი კაცი იყო, რომელსაც სწამდა შრომა და უდიდესი ამერიკული დევიზი — „დრო ფულია“, ამიტომაც იყო. რომ ის დღეში ორ საათს შრომობდა და ოცდა ორ საათს კი ხარჯავდა გულ-უხვათ, როგორც მილიარდერი, რადგან იმის აზრით პრეზიდენტის ერთი საათი უდრიდა მილიონ დოლლარს.

მან ამოიღო თავისი უბის წიგნი და გადაათვალიერა ჩანიშნული მიმდინარე საქმეები.

ჩ. ა. შ. შ. პრეზიდენტი.

| | |
|---|---|
| 1<br>12 ს. 17 წ. | დეკრეტის გამოცემა იმიგრაციის შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრს. |
| 2<br>12 ს. 23 წ. | მისალოცი დეპეშის გაგზავნა ფორდისათვის ფაშისტების დღესასწაულის გამო. |
| 3<br>12 ს. 29 წ. | 6 ახალი ზედრედნოუტის აგება უკანასკნელ გაუმჯობესების და კაპიტან ჯემსის გამოგონების მიხედვით. სამხედრო მინისტრს. |
| 4<br>12 ს. 52 წ. | მისალოცი დეპეშა პაციფისტების კონგრესს |

დანარჩენი დრო ხელის მოწერას და სიგარების წევას, ნახევარი საათი კი სენატის სხდომაზე დასასწრებათ.

3. ბობ გარენდმა იცადა თითქმის ერთი საათი. პოლიციის უფროსი კი ბრაზობდა.

— ვერ წარმომიდგენია საიდან მოგდით აზრათ, რომ ჯეკსონს გაანთავისუფლებენ. განა თქვენ არ იცით, რომ ის მოსისხლე მტრების ხელში არის და მას არაფრის გულისთვის არ გაუშვებენ?!

— თქვენ, ხომ კარგი დედექტივები გყავსთ?

— მე ვამაყობ ჩემი აგენტებით.

— იმედი გაქვსთ, რომ ქერლის ფხიზლათ ადევნებდენ თვალყურს?

— სრული.

— მაშ, მოვიცდით კიდევ ნახევარ საათს.

სწრაფათ შემოდიოდენ და გადიოდენ პოლისმენები, დედექტივები წამდაუწუმ რეკდენ ტელეფონებს და ოთახებში ისმოდა საქმიანი ხმაური.

გავიდა ნახევარი საათი.

ბობმა შეხედა მაკ-გარდონს. პოლიციის ინსპექტორს, და ბოლოს თითქოს, თავისთვის, ჩაილაპარაკა.

— თქვენ მართალი ხართ.

ეროვნული

— რასაკვირველია. ეი... წამოგვყევს ხუთი გადაცმულ[illegible]

სწრაფათ ჩასხდენ ავტომობილებში და გასწიეს იმ ქუჩისაკენ, სადაც ჯეკსონი ყავდათ ტყვეთ.

იქ უკვე აღარავინ აღარ დაუხვდათ.

4. ქერლი ნელის ნაბიჯით მიდიოდა 178 ქუჩაზე, როდესაც შეამჩნია, უეცრად რომ ვიღაცამ წაიბორძიკა და მიწაზე გაიშხლართა. ხალხი უცბათ მოგროვდა და ერთმანეთს თავზე ახტებოდა, რომ დაენახათ შემთხვევითი მომაკვდავი, რომელიც საბრალოთ იკლაკნებოდა და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. პოლისმენები ახმაურდენ, მაგრამ გზა ვერაფრით ვერ გაიკაფეს; ზოგიერთი მათგანი კი თავ-გამოდებით ყვიროდა:

— ექიმი! ექმი!..

ბოლოს ავადმყოფმა მოახერხა ხმის ამოღება და ერთერთ უცნობს, რომელიც თავზე დადგომოდა, ანიშნა რომ იმის პიჯაკის ჯიბიდან ამოეღოთ პატარა შუშა რაღაც ლვინისფერი წამლით და მისთვის პირში ჩაესხათ.

უცნობმა დიდის სიფრთხილით შეასრულა ეს და მომაკვდავი უეცრად წამოხტა ზეზე.

— ჯენტლმენებო! იყვირა მან, ყველაზე უებარი საშვალება გულის შეწუხების დროს მოსაბრუნებლათ არის პროფესორ ტორშის პრეპარატი „ტარშალინი“, აი, ასეთი. ერთი დოლარი. იყიდება ყველგან. მოერიდეთ სიყალბეს.

ქერლიმ გაიცინა და გზა განაგრძო.

ხუთმეტი წამის შემდეგ პირობისამებრ ის გამოცხადდა დე მონტონთან.

ჯეკსონი სკამზე იყო მიკრული. ქერლიმ ზრდილობიანათ მისცა სალამი.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ნიუიორკის დედექტივები ჩვენ დაგვეძებენ—სთქვა დე მონტონმა.

— ეგ არაფერია—უპასუხა ქერლიმ, მხოლოდ თქვენ, მისტერ ჯეკსონ, გონი დაძინება სრულიად არ გაწყენთ ამდენი ბრძოლის შემდეგ.

სწრაფათ მიუტანეს სახესთან ხლოროფორმიანი ცხვირსახოცი და სამი წამის შემდეგ ჯეკსონმა ხვრინვა ამოუშვა.

— ერთი კითხვა, ბარონ!

— ბრძანეთ.

— ვინ იყო ის წითელი ნიღაბი?

— გეშხე მე, ხოლო აქ კი, საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის წევრი ლანსერე. დ'ორვილის გადარჩენისთვის მადლობის ალსანიშნავათ გამოემგზავრა თქვენ დასახმარებლათ, ეხლა ის უკვე სან-ფრანცისკოში მიემგზავრება.

— თქვენ?

— ჩემ ვინაობას შემდეგ გაიგებთ.

დემონტონი წავიდა.

ქერლიმ კისერი მოიქექა და შეუდგა ჯეკსონის ჩემოდანში მოწყობას.

5. ნავთ-სადგურში ბობ გარრენდმა, რომელიც თითქმის რამოდენიმე საათს ტრიალებდა ორ თანაშემწე დედექტივებით, კინაღამ ისეთი იყვირა, რომ ალბათ მიიქცევდა სრულიად ყრუ ადამიანის ყურადღებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მან დაინახა ქერლი.

და მიუხედავათ იმისა, რომ მას სრულიად გამოცვლილი ჰქონდა სახე, ინსტინქტიურათ იგრძნო, რომ ის იყო.

— აი იმ ავტომობილით რომ მოვიდა, ის არის ქერლი.

დედექტივებმა გაიწიეს. მაგრამ ბობმა შეაჩერა.

— თქვენ ქურდთან ხომ არ გგონიათ საქმე გქონდესთ? ის მოკვდება და მაინც არ იტყვის, სად არის ჯექსონი. ის ხომ კომუმისტია...

დაიჭირეს ის ავტომობილი, რომლითაც მოვიდა ქერლი. 15 წამის შემდეგ, იმ გემზე, რომელზედაც ავიდა ქერლი, ავიდენ ისინიც და კითხეს კაპიტანს მიიღებს თუ არ ბარგი რუსეთის რომელიმე პორტამდე.

— არის ოდესაში.

ჩავიდენ ტრიუმში. ააფორიაქეს ყუთები. გახსნეს ოდესის პორტში მიმავალი ყუთი,

— დასწყევლოს ღმერთმა, აქ კონსერვებია მარტო:

ბობმა ამოყარა კონსერვები და ერთი მწკრივის შემდეგ დახვდა ტიხარი. გატეხეს.

ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხვდვით შიგ მოწყობილი იყო მისტერ ჯექსონი, რომელიც უნდა გამგზავრებულიყო ოდესაში.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

სანამ დედექტივები ჯექსონს გონზე მოიყვანდენ,—ქერლი იძულებული იყო დაეტოვებია გემი იმათზე ადრე.

6. საქარხნო კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო შემდეგი სახის წერილი.:

ამხანაგებო!

საკკოს და ვანცეტტის დასაცავათ უნდა მიმართოთ შემდეგ ზომებს. 1. მოკლულ ლარისონს ამოართვან ტყვიები და მოარგონ საკკოს რევოლვერს. 2. მონახონ ის ქალი, რომელიც გადაარჩინეს გაძარცვას წინა ღამით საკკომ და ვანცეტტიმ, რასაკვირველია, თუ ის ქალი თვითონაც პოლიციის აგენტი არ იყო. 3. დაატუსაღებინონ მკვლელი ჯონ ბრემსბერი. ჩინელთა უბანი, ენტო-გუს ქუჩა. 75 სახლი. მეხუთე სართული. 4. ინახულოთ ელენ დიულვინგის ქალი და აჩვენეთ ის წერილი, რომელიც უნახეს ჯიბეში ლარისონს, რათა მან დაამტკიცოს ის ფაქტი, რომ წერილი მისი დაწერილი არ არის.

ამხანაგური სალამით ქ.

P. S. მე შემეძლო პირდაპირ დამესახელებია ამ ავანტიურის მომწყობი, მაგრამ არავინ დაგიჯერებსთ, რადგან მისი დამტკიცება წლიერ ძნელია.

წერილი დაწვით, მხოლოდ მუხლების ამონაწერი გადაეცით დამცველთა კოლეგიას. ქ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი 15

## გრძელი მოგზაურობა.

1. წყნარ ოკეანეს რკინის გზაზე ას ოცი ვერსის სისწრაფით საათში მიჰქროდა ექსპრესი „Θ8“. პირველი კლასის კუპეში არხეინათ გაწოლილები ხვრინავდენ ჯეკსონი და ბობ გარენდი. ამდენი ვაივაგლახის შემდეგ მათ საკმაოთ მოსვენება ეჭირებოდათ და ამიტომაც უდარდელათ ეძინათ. რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც უკვე ინათლა და ფანჯრიდან უკვე შეიძლებოდა ტრიალი მინდვრების გარჩევა, ჯეკსონი ადგა და გააღვიძა ბობ გარენდი.

— გავიდეთ ბუფეტში.

დილის ტუალეტის შემდეგ ისინი უკვე ისხდენ მატარებლის ბუფეტში და დიდ ბროლის ფანჯრებიდან ათვალიერებდენ მთებს და ტყიან ტაფობებს.

— მე მგონია, რომ ქერლო და მისი თანამებრძოლი ნიღაბი გამალებული დაგვეძებენ ნიუ-იორკში.

— რამდენიც უნდათ, იმდენი გვეძებონ, ჩვენ ეხლა მათთვის არა გვცალია. ამისთანა ქაღალდის ნაგლეჯები ყოველთვის როდი გვხდებიან ხელში.

ჯეკსონმა საფულედან ამოიღო და სიყვარულით დაუწყო ცქერა პატარა ქაღალდის ნაჭერს.

> მოსახევი ადგილი. № 735.
>
> შ. შ. ნაციონალური ბანკი № 735
>
> მიეცეს: ჩემი თანხიდან **ოლივერ ჯეკსონს**
>
> ერთი მილლიონი დოლარი.
>
> — 1.000.000.—გ. ფორდ.
>
> ძალა აქვს ერთი წლის განმავლობაში.

— სასაცილოა. ვერცხლით ან ოქროთი რომ იყოს, მაშინ ძლიერ ძნელი იქნებოდა ამის თრევა ჯიბით. როდესაც ამდენი საქმეები გაქვს და შეიძლება სახელ-დახელოთ მეტიც კი დაგჭირდეს.

2. ეს იყო სრულიად ახალი ცეპელინი, რომელიც დაამზადეს გერმანელებმა და გადასცეს ამერიკას ბეგარის ანგარიშში. წინა გულზე გამოსახული იყო უზარმაზარი ასოები.

„R. 34.“

მგზავრები უკვე ჩასხდენ კაბინებში და ცეპელინი გუგუნით უცბათ აეშვა ჰაერში.

სწრაფათ გაირბინა ქვეშ ნიუ-იორკმა და ცეპელინმა აიღო კურსი სან-ფრანცისკოსკენ.

ქერლო ესაუბრებოდა ერთ ერთ პილოტს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რამდენ კილომეტრს გადის საათში თქვენი ცეპელინი?

— 225.

— რამდენ ძალიანი მანქანები სდგას?

— სამი 400 ძალიანი მანქანა, სენკერსის სისტემის.

ქვევით კი გასაოცარი სისწრაფით იშლებოდენ პეიზაჟები ტოპოგრაფიულ გეგმებივით.

3—ჩვენ აქ გავჩერდებით დიდხანს. არა?—კითხა ბობმა ჯეკსონს, როდესაც ისინი სან-ფრანცისკოს ერთერთ ცნობილ სასტუმროში ჩამოხდენ.

— სულ რამდენიმე საათი და შემდეგ გემზე პირდაპირ იოკაგამისკენ.

— მე მგონია, რომ გემზე გამაცნობ შენ ახალ საქმის ვითარებას. საჭიროა თუ არა, რომ ცოტაოდენი მაინც ვიცოდე.

— კარგი, მხოლოდ აქ ის შემიძლია გითხრა რომ, იაპონიაში კომუნისტებს განუზრახავთ იმპერატორის მოკვლა. ამ საქმის გამორკვევა იძლევა რამოდენიმე მილიონ მანეთის შანსებს.

ბობმა სიამოვნებით გაიღიმა.

გავიდენ ქალაქში და ორი საათის განმავლობაში უმიზნოთ იხეტიალეს ქუჩებზე. ბოლოს დაბრუნდენ სასტუმროში, ჩააწყვენ ნივთები და გასწიეს ნავთსადგურისაკენ. უზარმაზარი ატლანტიკური გემი „ოკიანია“ ნელ-ნელა ივსებოდა მგზავრიბით

როდესაც მიუახლოვდენ ნავთ-სადგურს, სწორეთ ამ დროს გამოჩნდა სან-ფრანცისკოს თავზე ცეპელინი.

4. ქეროლი სწრაფათ გადმოვიდა კაბინიდან და გაემგზავრა ოგოიაოსტრტიზე.

— 116 ნომერი.

შოფერმა გააჩერა ავტო. ქეროლომ გადასცა ბარათი ლაქიას.

— პასუხი ეხლავე.

ლანსერემ, ყოფილმა წითელმა ნილაბმა, დახედა ბარათს.

**ხად იმყოფებიან?**

**ჟ.**

გადმოაბრუნა ბარათი და დააწერა:

**მიემგზავრებიან იოკაგამაში გემ „ოკეანით“**
**ათ წამში გემი გავა ნავთსადგურიდან.**

**ლ.**

ლაქიამ გამოიტანა ბარათი. ქეროლომ დახედა და მიუბრუნდა შოფერს

— ორასი დოლლარი, თუ ხუთ წამში მიხვალთ ნავთ-სადგურამდე.

შოფერმა პედალებს ფეხი დააჭირა. ავტო გაქანდა. გაირბინეს რამოდენიმე ქუჩა. ქეროლი მოუსვენრათ იყო. ხელში ქრონამეტრი ეჭირა და თან შოფერს ეხვეწებოდა:

— რაც შეიძლება იჩქარეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუჩაში კი აუარება ავტომობილები მოძრაობდენ, რაც ძლიერ უშლიდა ხელს სწრაფ მოგზაურობას. 75-ე ქუჩაზე მათ თითქმის ერთი წამის ცდა დასჭირდათ, რომ რიგით გასულიყვენ მეორე ქუჩაზე. ავტომობილები კი ისევ განუწყვეტლივ მოძრაობდენ და დრო კი მიდიოდა.

ბოლოს მიაღწიეს ნავთ-სადგურამდე, ქერლომ გადაუგდო შოფერს ორი ას დოლარიანი ქაღალდი და გაექანა გემისაკენ. სწორეთ ამ დროს ნელ-ნელა ასწიეს კიბე და გემი ნელა დაიძრა.

ქერლო მივარდა ნაპირს. უკვე აღარ შეიძლებოდა გემზე ასვლა.

ბაქანის მოაჯირთან იდგენ ჯეკსონი და ბობ გარენდი.

თ ა ვ ი 16

## იოკაგამის დაღუპვა.

1. ყველაზე მეტათ მორალის დაცვით თავს იწონებს ამერიკა და შეიძლება ეს იყოს მიზეზი იმის, რომ შემოიღეს დახვრეტის დროს ისეთი წესი, რომელსაც შეეძლო ამ სასჯელის ამსრულებელთათვის სინდისის ქენჯნა მოეშორებია.

ქერლო კაფეში იჯდა და ისმენდა რამოდენიმე ჯარის-კაცის საუბარს ამ საგანზე. საკმაო მგზავრობისა და დაღლის შემდეგ საჭირო იყო ცოტაოდენი შეჩერება და მოსმენა იმ ამბის, რომელსაც ესე ხმამაღლა ყვიროდენ ჯარის-კაცები.

— ძლიერ ბნელოდა—ამბობდა ერთი მათგანი, როდესაც გამოგვიძახეს მე, ბილლის, ტომს, ბენს და კიდევ ოთხს. სულ რვა ვიყავით. გვითხრეს: „თქვენ უნდა შეასრულოთ რესპუბლიკის დავალება“. ჩვენ გაკვირვებული ვიყავით. „თქვენ უნდა დახვრიტოთ არამზადა მეამბოხე, რომელიც ცდილობს ჯარის გახრწნას და მოუწოდებს ამბოხებისაკენ“, ჩვენ კი ვამბობდით, რასაკვირველია, ჩვენ ავასრულებთ ყოველგვარ ბრძანებას. წაგვიყვანეს. უნდა დაგვეხვრიტა ჯემსი... საუკეთესო ჯარისკაცი... ყველანი ვწუხდით, მაგრამ რა გაეწყობოდა. მოგვცეს რვა თოფი. ერთი გატენეს უტყვიო ვაზნით და თოფები ერთმანეთში აურიეს. როდესაც ყველამ ვისროლეთ, საბრალო ჯემსი განგმირული დაეცა... ცრემლი მოგვერია მხოლოდ იმით ვინუგეშებდით თავს, რომ ყველა ჩვენგანი დარწმუნებული იყო იმაში, რომ მარტო მან ესროლა უტყვიო ვაზნა და მკვლელობა მას არ ჩაუდენია,

ქერლო მწარეთ ილიმებოდა.

2.—აი, ეს არის მთელი გეგმა ამ საქმის, ადგილზე ყველაფერი უფრო ნათელი იქნება. მით უმეტეს ჩვენ დიდ ანგარიშს გაგვიწევენ

— ვერ გამიგია. ნუ თუ მარტო ეგ არის მიზეზი, რომ განუზრახავათ იმპერატორის მოკვლა.

— დიახ, ჩემო კარგო, მარტო ეს. იმისთანა მუშათა მებრძოლები, როგორც ის, დახვრეტილი, იმპერატორის განკარგულებით, ყოველთვის კი არ იბადებიან.

ასე საუბრობდში ჯეკსონი და **ბობი**, „ოკეანიის“ ერთ ერთ ბაქანზე, სავარძლებზე გადაწოლილნი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მე კიდევ მაცინებს ის მომენტი, როდესაც ქერლი გემთან სწორედ იმ დროს მოვარდა, როდესაც გემი ნაპირიდან დაიძრა.

— მე კიდევ ეს მაკვირვებს, თუ საიდან გაიგო მან აქ ჩვენი გამომგზავრება.

— ყოველ შემთხვევაში ის მაინც ძლიერ უკან ჩამოგვრჩა, ასე რომ ჩვენთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენს; საინტერესოა, თუ შესძლო სან-ფრანცისკოს პოლიციამ იმის აღმოჩენა, თუმცა ჩვენ რადიოთი თითქმის ყველაფერი ვაცნობეთ.

ცოტა მოშორებით, ჰოგრით ზღვას გასცქეროდა ბარონ დე-მონტონი ქართველი თავადის პასპორტით და სრულიად შეცვლილი სახით.

3. ქერლი გაემგზავრა სასტუმროში დასაძინებლათ. მეორე გემი გადიოდა მხოლოდ ორმოცდა რვა საათის შემდეგ. ასე რომ, ჯერ ჯერობით მას არავითარი საქმე არ ქონდა, მხოლოდ საჭირო იყო ლანსერეს ნახვა და დე-მონტონის პინადრობის გაგება.

მან არჩია პირდაპირ გავლა, მაგრამ როდესაც იკითხა ლანსერე, რამოდენიმე წამის შემდეგ ლაქიამ გამოუტანა ბარათი.

**თვალ-ყურს გვადევნებენ. ხჯობს ტანთსაცმელი გამოიცვალოთ და სხვა სახე მიიღოთ. დე-მონტონი ჯექსონთან ერთად მიემგზავრება იოკაგამაში.**

## ლ.

4. — „ორიენტალ ოტელში" დავდგებით, უთხრა ჯექსონმა ბობს, როდესაც გემიდან გადმოვიდენ — ზეგ გავემგზავრებით ტოკიოში, მანამდე კი უნდა დავისვენოთ.

— მე მგონია, რომ ხვალაც შევძლებთ გამგზავრებას, თუმც მეც ძლიერ დაღლილათ ვგრძნობ თავს.

ქუჩებში ირეოდა აჟარება ხალხი. იაპონელები, ინგლისელები, რუსები, ფრანგები და სხვა.

მიუახლოვდენ ყველაზე საუკეთესო სასტუმრო „ორიენტალ-ოტელ"-ს, საითკენაც მიიმართებოდენ აჟარებელი ახლათ მოსული მგზავრები.

5. გათენებული იყო, როდესაც ქერლი პალუბაზე გამოვიდა. წყნარი ოკეანე სრულიად ამართლებდა თავის სახელწოდებას... ზღვა ძლიერ ნელა ირხეოდა სრულიად არ იძროდა ნიავი.

— რამდენი საათის შემდეგ ვიქნებით იოკაგამაში?, ჰკითხა მან იქვე მდგომ მეზღვაურს.

— ხუთი საათის შემდეგ. თორმეტ საათზე ნავთ-სადგურში შევალთ.

6. დილის 7 საათზე, იოკაგამაში ცოტაოდნათ წამოწვიმა. სცურავდენ შავი ღრუბლები. მოსალოდნელი იყო წვიმიანი დღე, მაგრამ 9 საათზე ღრუბლები უცბათ გაიფანტენ და გამოანათა მზემ. ცა სრულიად მოიწმინდა. ჰაერი ჩახურდა და სრულიად არ იძროდა: თერმომეტრი აჩვენებდა 86° ფარანგეიტით.

11 საათზე და 50 წამ. ჯეკსონი და ბობი გამოვიდენ ოთახიდან და დაეშვენ გასავალ კარებისაკენ. სწორედ იმ დროს, როდესაც მიუახლოვდენ კარებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრათ მიწა იძრა ქვევიდან ზევით. ჯეკსონი ინსტიქტიურათ გავარდა გარეთ, რომელსაც უკან გაყვა ბობი. ქუჩაში მათ ვერ მოახერხეს ფეხზე დადგომა, რადგან დაიწყო საშინელი მიწის ძვრა და სახლის სახურავებიდან დაიწყეს ცვენა კრამიტებმა და აგურებმა.

ორივენი ჩასხდენ, რადგან ფეხზე ვერაფრით ვერ დადგენ.

სამი წუთის შემდეგ ქალაქი უკვე წარმოადგენდა მარტო ნანგრევებს.

მიწა ქანაობდა, როგორც საცერი ქალის ხელში, ყველაფერი ინგრეოდა და იდგა საშინელი მტვერი. შორიდან ისმოდა ზარბაზნების ხმები და მძლავრი გრიალი. ის—ინგრეოდენ იოკაგამის საუკეთესო შენობები და ფეთქდებოდენ ქიმიური საწყობები.

ქუჩებში დასკდენ წყალ-სადენის მილები და წყალმა შადრევანივით დაიწყო დენა.

გაგიჟებულებივით ხმა-ამოუღებლივ გარბოდა ხალხი, შეპყრობილი რაღაც განუსაზღვრელი შიშით.

მოტომაცის ქუჩაზე, ერთი ქალი მოყვა ნანგრევებში. მიუხედავათ იმისა, რომ დაშავებული თითქმის არ იყო, თავის განთავისუფლებას მაინც ვერ ახერხებდა. გამოირბინა ახალ-გაზრდა ინგლისელმა.

— ცოცხალი ხართ?

— ცოცხალი ვარ, მხოლოდ თავს ვერ ვინთავისუფლებ.

ინგლისელი სწრაფათ მივარდა და დაუწყო ხეებს და აგურებს გადაყრა. მოაშორა ტანზე დაყრილი ფიცრის, აგურის ნამტვრევები და ქალი ზეზე ააყენა.

— ეხლა წადით—უთხრა მან ქალს,—როდესაც სამშვიდობოს გაიყვანა,— მე კი ჩემ ცოლს მოვნახავ.

— მერე ამდენ ხანს რათ მატარეთ?

— თქვენ ცოცხალი ხართ, ის კი ვინ იცის, იქნებ მკვდარია, ნახვამდის. ინგლისელი წავიდა.

ქალაქში გაჩნდა ცეცხლი. ხალხი უფრო თავგამეტებით დარბოდა. გაურბოდენ ცოცხლათ დაწვას და ერთმანეთს თავზე ახტებოდენ. იბრძოდენ, ელეტდენ.

ქერლო დაღონებული გასცქეროდა გემიდან, ალმოდებულ ქალაქს. 10 წუთით ადრე მისვლა ნაპირთან და, შეიძლება მრავალი მგზავრთაგანი აღარ დარჩებოდა ცოცხალი და მიუხედავათ იმისა, რომ ნაპირთან აუარება ხალხი ითხოვდა შველ ს, კაპიტანმა მაინც გასცა განკარგულება, რათა გემი შორს გასულიყო და დაწოლილიყო დრეიფში. წყალი კი ნაპირთან ხან უცბათ აიწევდა და გადალეკდა, ხან კი უკან დაიხევდა და თან მოქონდა აუარება ადამიანთა მსხვერპლი.

გემს დაუახლოვდა რამოდენიმე ნავი, რომელნიც დატვირთული იყვნენ მგზავრებით. კაპიტანმა გასცა განკარგულება, რომ მგზავრები გემზე აეყ ანათ. ნახევრათ ჩამოფლეთილნი, მეტათ საბრალო შთაბეჭდილებას სტოვებდენ.

როგორ განცვიფრდა ქერლო, როდესაც მას მიუახლოვდა ვიღაც ქართველი თავადის ტანთსაცმელით და უთხრა:

ეროვნული

— წამიყვანეთ თქვენს კაიუტში, ისე რომ, ახლათ ა[illegible]ა-ვინ არ შეგვნიშნოს.

პალუბაზე კი მგზავრები დიდ სულ-გრძელობას იჩენდენ. ეფერებოდენ და თავიანთ კაიუტებში მიყავდათ: ბავშები, ქალები, მამაკაცები.

8.—დიახ, ჩემო მეგობარო, როგორც ატყობთ, გამოვიცვალე. ეხლა მე უკ-ვე ქართველი თავადი ვარ, რომელიც თავის თავადობით სცდილობს რომლიმე მდიდარ ქვეყანაში იყიდოს სიმდიდრე.

— როგორ გადარჩით?

— სრულიად უცნაურათ. ქუჩაზე სასეირნოთ ვიყავ გამოსული და სასტუ-მროში ვბრუნდებოდი. როდესაც მიუახლოვდი, მიწამ დაიწყო რყევა. იმ წამსვე ჩავჯექი, რადგან ფეხზე დგომა შეუძლებელი იყო. სასტუმროდან გამოვარდა რამოდენიმე კაცი: მათ შორის, მხოლოთ ორი საათის შემდეგ ვიცანი ჯექსონი და ბობი. ძლიერ შეშინებული იყვნენ. მით უმეტეს ყოველი მხრიდან ქალაქს ალი მოედო და თავზარდაცემული გარბოდენ. არხებზე გადადებული ხიდები დაინგრენ და აუარება მათგანი დაიღუპა წყალში. ჩვენ ძლივს-ძლივობით გამო-ვახწიეთ დანგრეულ ქუჩებიდან ქალაქის განაპირა უბნებამდე, სადაც ვნახეთ ხლვიდან ამოსროლილი დაუზიანებელი ნავი, რომელიც ჩავუშვით წყალში და მოვაღწიეთ თქვენ გემამდე.

— ჯექსონი და ბობი?

— აქ არიან!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პავლე ნოზაძე.

# დღე და ღამე რევოლიუციის.

რომანის ისტორია.

## ნაწილი მეოთხე.

რომელშიც გარდა თავად განდაბიასი, ამ ღირსშესანიშნავ მომენტში თვალსაჩინო გმირობა ერგო თავად შალვა კონსტანტინეს ძე წერბაშიძეს.

### 1. ორიოდე შენიშვნა პირველ ფურცელზე, თავად წერბაშიძის ოჯახის ვინაობის შესახებ.

1. იანვარი 1905 წელი, ნება მიბოძეთ პირველ ყოვლისა გაგაცნოთ, ერთგული ცოლი ბრწყინვალე თავადის,—ეკატერინე,—მიესალმეთ მაგრამ ერთი პირობით, ყურადღება მიაქციეთ,—(რასაკვირველია ზდილობიანათ, რომ თქვენი თვალების აზიური ცეცხლი არ აგრძნობინოთ!)—მის ტანისამოსს ლურჯი აბრეშუმის კაბა ფართოთ შემოფენოდა ტანზე, რომელიც ანვითარებდა უკანასკნელ გემოვნებას თავად შალვასი, რაც ქალის სიმსუქნეში გამოიხატებოდა. თავზე ჩიხტა-კოპი. ჩიხტა (როგორც მაღალ წრის წევრი) გამოხატავდა გემოვნებას ცისფერ ხავერდისა და **კრამერ მოზერის** ფირმის,—მარკა **მეხის**-ს საათის სამი ბორძელი ებნია. ლეჩაქი შესამჩნევათ პატარა, თითქმის ნახევარ არშინზე მოკლე ჩვეულებრივზე. საყურეები ახალი ოქროსი, მწიფე მარწყვის ფიგურებით. აღსანიშნავია აგრეთვე მუფტა და ბუა **ფანტაზია**, რომელიც 25 მანეთი და 40 კაპიკი დაუჯდა, რასაკვირველია, მხოლოთ სეზონურ მოთხოვნილების გამო. გაზაფხულზე ასეთივე ფუფუნებას შეიძენ 3 მანეთათ. ზოლქები ფეხსაცმლების ფერი,— ფეხსაცმლები კი ღვინის. ლოყები წითელი და ნათელი. თვალები შავი. გულ-მკერდი მასიური. საერთოდ მისი გარეგნობა გამოხატავდა სიმხიარულეს და უდარდელობის.

2. მხატვრული ფოტოგრაფია თავად შალვაასი; გადაღებული 1904 წელს. ქ. ქუთაისში. პუშკინის ქუჩაზე. ფოტოგრაფ პუშკინთან. ზომა 6+12.

საერთოდ. კაკლის ფერი. პირველი ნაწილი, მარცხენა მხრივ. ორი დიდი ბუტაფორიული ქვა ავანტიურისტულ მოყვანილებით,—იქით ტბა, მარჯვენა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხრივ განათებულია მზის სხივებით,—შემდეგ მაღალი ნაპირი ტბის,—ჯეჯილი მობიბინე და გულგანგმირული ვეფხვი—შორს ჭანდრის ხეები ყვავის ბუდეებით.

მეორე ნაწილი მარცხენა მხარის,—ფეოდალური უნაგირი—გაქვავებული მელა,—შემდეგ თიკალბალახის ილუზიისთვის—გადაჭრილი მუხა.—ეროვნული კლდე წყალვარდნილით,—წყალვარდნილთან წისქვილი და დაუსრულებელი ცა.

მესამე ნაწილი სურათის; ცენტრალური მხარე.. წინ ბამბუკის სავარძელი ფირმა **„ელექტრიკა“** იატაკზე გაზეთი **ივერია**. სავარძელში ზის თავადი და ფეხი რუსეთის იმპერიის ქარტაზე დაუბჯენია,—სავარძლის უკან წიგნების თარო,—ბილიარდი.— ხავერდის ფარდები კარებზე,—ხალიჩა.

მეოთხე ნაწილი მარჯვენა მხრივ; წინ ბათუმში ბრძოლის დროს დამტვრეულ ზარბაზნის ლულა,—სამი კუთხე დარბაზის, ბამბუკის მღივნებით, კედლის საათი, 10 ცალი გრამაფონის ფირფიტა „გიგანტი“. კედლის სარკის მოაჯირზე ვაზა. საწერი მანქანა სიმპლექს ტაიპრატერსი,

მეოთხედი მთვარის მკრთალი სხივები. თავადი ზის ფართოთ სავარძელში. ულვაშები იმპერატორულ სტილზე. ნაბადი მარცხენა მხარეზე ჩამოდებული. ცალი ხელი ხანჯალზე, მეორე ქოლგაზე აქვს დაბჯენილი, 6 ჯვარი და 4 მენდალი, თმა ხუჭუჭა, პირში პაპიროსი, სახე გამოხატავს გაკვირვებულ აღტაცებას თანდროულ ტეხნიკის მიმართ,

2. **რამოდენიმე შენიშვნა მეორე ფურცელზე, თავადის სიყვარულის შესახებ.**

1. 1893 წელს 13 მაისს, დაბადებიდან, როდესაც თავადს 33 წელიწადი შეუსრულდა 13 ხანა იყო მის ცხოვრებაში, როდესაც მეცამეტეთ რომანიულმა საათმა ჩამოკრა. შეიძლება, ქალი იქნება თუ ვაჟი პირველ შეხვედრისთანვე სიყვარულმა იფეთქოს მათ გულში, რასაკვირველია თუ ჟულიეტა მზარეული არ არის, ან ბორჯომის წყლის ქიქობით გამყიდველი, რომელო კი აზნაური.

ასეთი სიყვარული არის თვისება ჯიშის, რომელიც გამბედაობით და თავგანწირვით არის დაჯილდოვებული. მხოლოთ რასაც ეკუთვნის, თავად შალვას სიყვარულს, როლები ამ ფაბულაში განაწილებული, თავადებს, აზნაურებს და სასულიერო წოდებათა შორის. ზოგიერთი მამაკაცი უფრო დაბალ განათლებით ან ჩამომავლობით წერბაშიძის უნუგეშო მდგომარეობაში მოყვებოდა ერის დაუსრულებელ - ლანძღვა გინებას. მაგრამ ავტორი აქ სწყვეტს მის სიყვარულის შესახებ მსჯელობას და ხდება მხოლოთ ქრონიკორი.

2. იყო რაჭა. სოფელი. თავად მაგიდის სასახლე. სასახლეში ნადიმი, რომლის მიზანი იყო სასიძოს ამორჩევა. საღამო ისეთი როგორც რაჭაში იცის, შექეთებული მთავარის მკრთალ სხივებით, ფართო ჰაერით, ბალახით ლორის მწვადის სუნით, ბადიმ მოხდილ ქვევრებით, ველი; ველზე ბალი კლასიკური სახელით **„დიანა“**.

3. 1893 წელს 15 მაის საღამოს 7 საათზე და 33 წუთზე წერბაშიძე, მოხდენილათ გადმოხტა ცხენიდან, გული გაიტენა სიამაყით და თავგანწირულ კოსმოპოლიტის სახით მიესალმა მასპინძელს. ის იყო ჩაცმული ისე, რომ აშ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარათ სჩანდა გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო თავადის სახლში. მოვერცხლილ ქამარს ფაშვი შუაზე გაეწყვიტა, რომელზედაც პატარა ხანჯალი, რევოლვერი ეივერდჟენსონი ეკიდა. ხმლის ქარქაშზე დანა, მარცხენა ჯიბეში საწამლავი. გრძელი ბუხრის ქუდის ჩოხა, წითელი ახალუხი, უძირო მესტები და უნაგირზე თოფი ნაბადით.

რადგან თავადს არ აკლდა ყურადღება, როგორც მასპინძლის მხრივ, აგრეთვე სტუმრებისა, მან ნათლათ იგრძნო, რომ ის შეპყრობილი იყო ასტრონომის სიგიჟით გამოწვევული ახალ ვარსკვლავის აღმოჩენით, ან და მხიარული გრძნობა ადამიანის, რომელსაც საჭირო მომენტში, ცხენს ნალები კარგი აღმოაჩნდა. ასეთი გრძნობებით თ-დი წერბაშიძე ეროვნულ რხევით შეიჭრა დარბაზში და შემოსწრებისას ჩარექიანი ყანწი გადაკრა.

4. ღამის 10 საათზე და 15 წუთზე თ-დი წერბაშიძე ჩამოეშვა ბაღში. ბაღში თ-დის ასული უსმენდა გრამაფონს ბებერ ვაშლის ხის ქვეშ. ის გავდა ქვას, რომელიც კლდიდან მომსკდარი ხევში ჩაეშვება. თ-დმა მარცხენა ხელით მარჯვენა ულვაში გაიწია, სწრაფად ჰაერში პანტა ვაშლი ააგდო და ეივერდჟონსონის ტყვიით შუაზე გააპო, შემდეგ თავი დაბლა დახარა, გულზე მაგრათ მიიდო ხელი, ცალი წარბი მაღლა ასწია და როდესაც ქალის გული შეიკუმშა,—და დარბაზობაზე უარი განაცხადა, თ-დმა წარმოიდგინა სიზმარი როგორც უცნობი კიდობანი, რასაც კოცნიდა და რაც იყო ილიუზია სამი დღის ნეტარების.

ქალმა კაბა აიწია მარცხენა ხელით, ის გავდა ლანდს გაქცეულ ლამაზ ოცნებით და სასახლისკენ გაემართა. თ-დი მხოლოდ ეხლა მიხვდა თუ როგორ ძლიერ შეუყვარდა ეს ასული, რომელსაც 9 წუთის შემდეგ ნახავს.

**ყინულოვან ოკეანის დათვსაც ვერ გადაუწყვეტია ჯერჯერობით თუ რა არის სიყვარული.**

5. ღამის 10 საათზე და 24 წ. იყო ღრუბლები გარეთ, გავდა ბებერ ქალს, იატაკზე განართხულს, რომელიც გულზე მატყლს წეწავდა. მოქეიფე სტუმრები ეროვნულ მხიარულებაში იყვნენ.

ცეკვა თამაშს დასასრული არ უჩანდა, ღვინის სმაში დაჯიბრებულები არ ფიქრობდენ ელალატათ ტრადიციისთვის სივაჟკაცობიდან ჩამოვარდნილიყვნენ.

ორ კუთხეში უკრავდა ზურნა; თ-დი წერბაშიძე შეპყრობილი აშკარა თავ-განწირულებით, არწივსავით თვალი მოავლო სუფრას და რა დაინახა სატრფიალო არსება, თამადისგან მოწოდებულმა ფრიად დამახასიათებელი სიტყვა სთქვა პატრიოტიზმის ნიადაგზე და ცამეტ ჩიქიან ყანწი გადაკრა.—კიდევ 23-იანი—კიდევ 33-იანი კუჭი გაებერა, მოაწვა გულს და გული მოემზადა სხვადასხვა საგმირო საქმეებისათვის, გადმოაქაჩინა თვალები, წამოექოჩრა თმა, დაჭიმა მუშტი და შემდეგი ღირს-შესანიშნავი დიალოგი გამართა იმ ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდასთან, რომელიც მის შეყვარებულს გვერდზე უჯდა [illegible] ეკლათ ეჩვენებოდა.

— თუ უკაცრავადა̄ არ ვიყოთ, ყმაწვილო, თუ სმაა, სმა იყოს, თუ არა და გავიდეთ გარეთ და ის იქნება!

— მე მგონი თავის გამოჩენა გნებავთ და შემცდარი ბრძანდებით, ამისათვის ცუდი ადგილი ამოგირჩევია!

— მე უნდა ვიყო შემცდარი და შენ არა? გთხოვთ დალიოთ ეს ერთი ყანწი. თუ ქურდობა გინდა, მამაჩემს საქათმე ყოველთვის ღია აქვს.

— მე გთხოვთ, ყმაწვილო, კეთილ-შობილათ ილაპარაკოთ. მე უკვე გამოვცალე ეს ყანწი.

— აბა ჩვენ სვავები ვყოფილვართ, რომ ვსვამთ, ჩვენ ღვინოზე დახარბებულები ვყოფილვართ, შე შემოგდებულო ძაღლო. — შეყვირა თავადმა და შეციებული საცივი ფართო საინით თავზე ჩამოაცვა, შემდეგ ყანწით ახალუხის გული ღვინით ამოუვსო და სანამ აზნაურს ჯამს თავზე, შემოატეხდენ, წერბაშიძე დარბაზის კარებისაკენ ბზიკივით გავარდა. დაატრიალეს მუშტები, წაიქცა სუფრა, ჩაქრა ლამფა და მხოლოდ მთვარის სხივებზე დაინახავდით, თუ როგორ მოიმარჯვა თ-დმა მუშტი და პირველ მომხვდური აზნაური მარჯვენა ხელით მუშტის დარტყმით მარცხნივ კიბისკენ თავდაყირა გადაუშვა, შემდეგ მეორე, მესამე..,. აზნაურები კიბეზე რახარუხით ეზოში ჩამოეშვენ და ხელებს იმარჯვებდენ ახალ ომის მომლოდინეთ, რომ ამ დროს ერთს თ-დს ეროვნულ მოყვანილობით თ-დ წერბაშიძემ ხელი მხარზე დაადო და კითხა:

— ბრწყინვალე თ-დო, თქვენ რა ლიტერატურული ტიპი ხართ ან და რა როლი გიჭირავთ პავლე ნოზაძის რომანში?

თავადი სასწრაფო საქილედან იღებს სადარბაზო ბარათს და თ-დი წერბაშიძე მთავრის სინათლეზე კითხულობს:

> უწვერ-ულვაშო ლეჩხუმელი თავადი იასონ შამშეს-ძე გულმენაბდე. ოფიცერი. აფრიკაში იბრძოდი ბურებთან ერთად ინგლისელების წინააღმდეგ. ინგლისში ტყვეობიდან განთავისუფლებისათვის რუსეთს 3000 ოქრო დაუჯდა. იტალიაში გარიბალდის რაზმის წევრი. ვარ საუკეთესო და განთქმული ღვინის მსმელი.
>
> **ვითვრები:**
>
> ნაფარეული—16 ბოთლი. კმპისტონი—17 ბოთლი. ოფოლესი—14 ბოთლი. კარდანახი—15 ბოთლი. შანთი—18 ბოთლი. მგალობლიშვილი—20 ბოთლი. წინანდალი—18 ბოთლი. ელისარიონი—34 ბოთლი. ადესა—130 ბოთლი. ცოლიკაური—17 ბოთლი. გიბრიდა—93 ბოთლი. ხვანჭკარა—9 და სხვა.
>
> **საუკეთესო თამადა.** I ტოსტი,—საქართველოზე ნიკოლოზ II-ის დღეგრძელობით. II ტოსტი—სამშობლოს ტურფა ბუნება პირენეის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთებზე მცხოვრებლებით დაბოლოებული. III ტოს[illegible] ქალის, მამულიშვილობის,—ზურნით, არღნით და ღვინით IV ტოსტი—პოეზია,—შოთადან ბარბალე ჯორჯაძემდე და სხვა წვრილმანი. ჩემი პირდაპირი მოვალეობაა ენერგიული კამათი, ლაპარაკი, ბუქნა. ტაშის დაკვრა, სიმღერა: ცხენზე ჯდომისთვის პრიზი მაქვს მაღებული სენაკში. წინააღმდეგი ვარ კაცის სიკვდილის. საჭიროების მიხედვით მოწინააღმდეგეს ვჭრი ხანჯლით ბარძაყში, დუნდულში და სხვა რბილ ადგილებში. ბაბუა ჩემს აქვს მოვლილი მთელი ევროპა და პირადათ იცნობდა მსოფლიო მოკრივეს—მაქს კლენს. ჩემი ინტიმიური მეგობრებია: შეედი მოგზაური, აღმომჩენი კუნძულ „მწუხარესი", რუსი მწერალი, სპეციალისტი პატარა ნოველების და ქართველი რომანისტი, რომელიც, ავტორია ერთადერთ ეროვნულ კრიმინალურ რომანის, ამის შემდეგ ჩემი ტვინი დატვირთულია ყინულოვან ოკეანით, ტურგენევის ნოველებით, გამოუცნობ მკვლელობით და სიყარულით, რომელიც მიძღვნილი მაქვს მასპინძელ თ-დ თედაოზ მაგიდიას ასულზე. თავის დაჭერა ვიცი საზოგადოებაში 36°/₀, სიყვარულის ძალა 93°/₀ და ზნეობა 100°/₀.

— ნუ თუ.... ნუ თუ,— გაკვირებით წამოიძახა თ-დმა, რასაკვირველია ხელი არ გადახვია ისე რომ გვერდების წკნელები ჩამტვრეოდეს, წყლის პირს არ ჩასულა სატირლად, საჭირო იყო ერთი მოფიქრება, ერთი გამბედიობა რომ მათი დამოკიდებულება გამოაშკარებულიყო.

თავადმა ხელი კლავში გაუყარა, პირჯვარი გადასწერა და მასპინძლის ასულის წინ წარსდგენ. ასულს თვალები ძირს დაეხარა და კატის ფრჩხილებზე „იქნება" „არ იქნება" სთვლიდა კარების გაღებისთანავე შეკრთა, ყელი და კაბა გაისწორა და ყველიჟით სახე მოიღო.

— მოვედით ორი ვაჟკაცი ორი სიყვარულით, გვიპატრონე გაგვარიგე ნაწყვეტ-ნაწყვეტათ წარმოსთქვა შალვამ.

— ერთ ჩვენთაგანს უნდა ეკუთნოდეთ თქვენ!

— ერთ ჩვენთაგანი უნდა გეკუთნოდეს შენ!

— ამოირჩიე თავადი არწივი, სამასი ქცევის ყვითელი ოთხის და 400 ყანწის მეპატრონე,

— ჩემი გული გქონდეს შენ, ჩემი სისხლი გაყიდე შენ!

— ამოგვირჩიე!

— ამოგვირჩიე!

— წილი ვყაროთ.

— ბედმა გადასწყვიტოს.

ამაზე მამაც დასთანხმდა. ქალიშვილმა ცხვირსახოცის ორი წვერი აიღო, ერთი მათგანი გამოსკვნსა, ვისაც პირველი ერგებოდა, ასული მისი განუყრელი საკუთრება გახდებოდა.

თ—დები აკანკალდენ. ხელები თვალებზე მიიფარეს, გულები აჩუყნეს და დაკვირვებული თვალი მიხვდებოდა, თუ შუბლზე არა, ღრიავში მაინც ჩამოასკდებოდათ ოფლი სიმწრისაგან. პირველათ მოემხადა წერბაშიძე, გაიხსენა ყველა შემთხვევა უცაბედათ წამოსწრებულ ბედნიერებების, აკოცა ცერს და საჩვენებელ თითს, ცხვირსახოცის წვერი, რომელიც მარჯვენა მხარეზე იყო მარცხენიდან ხელი წაავლო.

— ახ ჩემო მზეო—წამოიკვნესა ასულმა და მოწყვეტილი გადაეჭდო წერბაშიძეს კისერზე. მამა ბეჭებზე კოცნიდა სიძეს, გალახული აზნაურები მისასალმელბათ ემზადებოდენ. ღამის 2 ს. თავადი წერბაშიძე გამოცხადდა სიძეთ ლეჩხუმელ თავად მაგდანიასი. ახალგაზრდა თავადი მენაბდე. გულ-ამოსკვნილათ ტიროდა ბალში.

5. 1893 წ. 16 მაისს, გზებზე, რომელიც გადმოკიდებული იყო რიონზე რაჭიდან მოქროდა დილიჟანსი, აზიურ ნოხებით მორთული, დილიჟანსში იჯდა თ-დი წერბაშიძე, თავისი სიყვარულით—ცოლით დატვირთული და მეგობრების ხმა შეწყობილ მაყრიონით მოჰქროდნენ იმერეთისკენ.

## 1900 წ. 9 იანვარს, თ-დი წერბაშიძე საზოგადო. ასპარეზზე გამოსვლისათვის გაწვრთნას შეუდგა.

### 1. ისტორია ქართულ კლუბში ლაპარაკიხა და მისი პრაქტიკული შედეგები.

— იცით ვის შევხვდი ამას წინათ კლუბში? რასაკვირველია ცნობილ მოხეტიალეს და ფინაჯს, რომელიც ორი წელიწადია ჩვენ აღარ გვინახავს და გვეგონა რომ უგზო-უკვლოდ დაიკარგა—სარია ტანტალას. ყოველთვის მორცხვი, შეშინებული, არაულობისგან ან ვაჭრულ კომბინაციისაგან, ის არასოდეს არ იწვევდა ჩვენ საზოგადოებაში ნდობას.

ახალ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი წამოჭიმულიყო მშვენიერ მაგიდაზე და ლაქიას ამაყათ აძლევდა განკარგულებებს. მე ფრთხილათ შევეკითხე. თუ რა შეემთხვა და რა დარი დაუდგა მის გაფხეკილ ჯიბეს.

ტანტალამ გაიცინა და მიპასუხა: „გაბედე რა ჩემო ძველო მეგობარო მეყანწევ, მითხარი. რომ შენ გაკვირვებული ხარ ჩემი არა ჩვეულებრივ მდგომარეობით, რომ აქ მხედავ ამ უკვდავთა შორის, ეს კიდევ ცოტაა, როცა გაიგებთ რომ მე თელავის სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე ვარ და გზა გახსნილი მაქვს სიმდიდრისაკენ, პატივცემულობისაკენ, მაშინ უფრო დარწმუნდებით, რომ მე მივქრივარ თექვსმეტი ცხენით, ოჯახით და ბავშებით, რომელთაც შესანიშნავი განათლება მოელისთ დიდებისათვის და სასახლისათვის.

**რას გასწავლით თქვენ?**
**როგორ უნდა წარმოსთქვა**
**სადღეგრძელო.**
**როგორ უნდა მოიქცეთ**
**წვეულებაში**

ეს მოხდა 1902 წ. ერთხელ შემთხვევით ტფილისის მთავარ ქუჩაზე მე წავაწყდი განცხადებას, სადაც აქვეყნებდენ, რომ ადგილობრივ ხელისუფლების დახმარებით არსდება რაღაც კურსები, რო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**როგორ უნდა მოყვეთ ანეგდოტს.**
**როგორ უნდა გახდე ყველასთვის სასიამოვნო და მიხადები ადამიანი**
**როგორ უნდა გახადო შენი თავიდან ენერგიული ადამიანი**
**როგორ შეიძლება გახვიდე თავმჯდომარეთ ყრილობაზე.**
**როგორ გახდებით ორიგინალური მოაზროვნე.**
**როგორ შეიძლება გახდეთ ბატონი შენი და სხვისი თავის.**

პროფესორი ორატორის ხელოვნების: მონსიე ხენ-პელ-ბუფ შემოკლებითი კურსების ორატორულ ხელოვნების. ავტორი, — პირველ ხარისხოვანი მოღვაწე კალმოსანი, პრაქტიკულ და თეორიულ ლიტერატურაში, ფსიხოლოგიაში, ოკულტიზმში მაგნეტიზმში, ექიმი ბეითალი, ცხოვრების გამშვენებაში და ორატორიაში, დაჯილდოებულია საფრანგეთის აკადემიის მიერ მეცნიერულ მოღვაწეობისათვის და მთავარ უნივერსიტეტების ხელმძღვანელობისათვის, დაუღალავი ლექტორი, დაუცხრომელი მოგზაურ-აღმომჩენი, წარსულის მოყვარული, მომავლის გულის მხილველი, ავტორი ლირიულ ლექსებისა „მისტერ დაისი“ და პროზულ ლექსების „ღრუბლები“. ერთად ერთი წარმომადგენელი საფრანგეთის უმაღლეს გონების—თავ-გამეტებით გადაწყვეტილი აქვს გაგანდოთ ყოველივე საიდუმლოება ცოდნის, ცდუნების, ნებისყოფის, ამას მოახერხებთ რამდენიმე ადვილ გაკვეთილებზე, რომელიც პატივცემულო ოჯახის მეთაური, სახელმწიფო დაწესებულებების მელიც 93% გარანტიას იძლევა რომ ის გასწავლის: თუ როგორ შეიძლება მუსაიფი საზოგადოებაში, პასუხი შეკითხვაზე ან თხოვნაზე, როგორ შეიძლება აუდიტორია დაიპყრო სხვადასხვა საკითხებზე მოხსენებით, რომ არ გამორჩე არჩევნებისათვის კანდიდატათ, ხუმრობა, ენამახვილობა, ევროპის და რუსეთის ანეგდოტები, კურსებს ხელ-მძღვანელობს ოსტატი ორატორულ ხელოვნების მონსიე სელ-პენ-ბუფ. მე რასაკვირველია ამ განცხადებას ეჭვის თვალით შევხედე, არ ვენდობი, მაგრამ გართობისათვის ჩემი უკანასკნელი შვიდი ფულ-ით დავსწერე წერილი (სახელი, გვარი, მამის სახელი და მისამართი), რომ სურვილი მაქვს გულის გადაყოლებისთვის—გამოვცადო—ფული უკან,—თუ კმაყოფილი არ დავრჩები. მე მივიღე 13 გაკვეთილი 13 ახსნა განმარტებით, 13 ხელოვნების დარგიდან, რისი შედეგიც იყო ჩემი ცხოვრებაში დაწინაურება და ადვილი წარმოსადგენია რომ ყველა მაფასებდა და და თავდადებული მოღვაწე, შარშან ამომირჩიეს თელავის ბანკის თავმჯდომარეთ. წელიწადში 6800 მან. ყოველივე საკითხზე, დაწყებული სპარსეთის რევოლიუციიდან, მსოფლიო გეოგრაფიიდან, ქალთა საკითხიდან, ბანკების ოპერაციებიდან, მე შემიძლია თავისუფალი და ნათელი წარმოდგენა ვიქონიო. როგორც მეგობარი მე გირჩევ რომ საორატორო ხელოვნებაში არის ძალა და სიმდიდრე. ამისათვის თქვენ დაგჭირდებათ უბრალო წერილის დაწერა და უმნიშვნელო თანხის გაშეტება. ამით თქვენ ისეთ გონებრივ და ზნეობრივ განვითარების კალაპოტში ჩადგებით, რომ სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის საპატიო ადგილს დაიჭერთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამსახურევ, საზოგადო მოღვაწევ, ოფიცერო, არ შეუშლის თქვენს სხვა დარგში მუშაობას სამშობლოს ასაყვავებლათ.

— მე აღფრთოვანებული დავეთანხმე. უსათუოთ სასიამოვნო საქმეა.—ცოდნა და გამბედაობა ყოველივე იმის, რასაც პროფესორი იძლეოდა, როგორიც არის საზოგადოებაში გამოსვლა. მე ხანდახან ვფიქრობ რომ ჩემში არის ტალანტი ორატორობის, რადგან ჩემი წინაპრები ერეკლეს დაარსებულ სემინარიის ლექტორებათ იყვნენ მოწვეულნი—კარგათ მესმის, რომ ისეთი კაცი, როგორიც არის ჩვენი ქალაქის თავი, ვინ იცის რას არ ფიქრობს, მაგრამ ლაპარაკის დროს ყველასათვის სასიამოვნო ხდება.

**2. ისტორია ერთი ნადიმის და მისი პრაქტიკული შედეგები.**

1. ასწლოვანი მუხა. მუხის ძირში გათლილი ქვა. ჰიშკრიდან გზა მიდის სასახლისკენ. სასახლეში: ტახტები, ხალიჩები, ლოგინი, ხატები, წიგნები, ბოთლები და დიასახლისი.

ეზოში: ურემი, უნაგირი, ყალიონი, ჰა, მარანი, ხეხილი, საგვარეულო ეკლესია.

და თ-ძე წერბაშიძის მეორე ნაბიჯი, საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობისათვის გადადგმული, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ 1905 წლის 9 ოქტომბრის, ქეიფი, ჩვეულებრივი სტუმართ მასპინძლობა არ ყოფილა, მით უფრო, როგორც მოურავი გადმოგვცემს, ხსენებულ დღეს დაიხარჯა ჩიხირთმისათვის 3000 კვერცხი, 37 გირ. ხახვი, 55 ქათამი, 17 გოჭ-ღორი, 43 ჩაფი ღვინო, 3 ფუთი პური, 3 ფუთი მჭადი, 1 ბათმანი ნიგოზი, 23 გ. მარილი და სხვა, რაც არაჩვეულებრივ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს თ-დის ნადიმის წარმოებაში.

ეს წინა დღე იყო იმ ღირსშესანიშნავ მომენტის, როდესაც იმერეთის თავად-აზნაურებმა გადასწყვიტეს ახლად-გარდაცვალებულ მარშლის ადგილზე ახალ წინამძღოლის ამორჩევა, და რადგან თ-დს არ აკლდა სულიერი და ხორციელი განვითარება, მასაც საკუთარი შეხედულება ქონდა ცხოვრების მრავალფეროვან საკითხებზე, რომ:

I. ყოველი ბრწყინვალე წოდების მამულიშვილი არის ჩემი სტუმარი და ოჯახის წევრი.

II. ყველაზე დიდი მოღვაწე ის არის, ვისაც ნადიმზე მეტი სურსათი ეხარჯება,—აქედან, მოიპოვებ რა სულიერ და ხორციელ ძალებს, ამრავლეთ ოჯახის დოვლათი, ე. ი. მთელ იმერეთში კაცი არ უნდა დარჩეს კეთილშობილ მჭამელების გარდა.

III. კეთილშობილება გამოიხატება, იმაში, რომ აზნაური იქნება ის თუ თავადი, ჰქონდეს საშვალება დღეში 13 საათს ხანჯალზე ხელი ეწყოს და პურმარილს არ ივიწყებდეს.

უკანასკნელ დებულების გამო ბრწყინვალეთა შორის ხმა გავრცელდა, თი-

ეროვნული

თქოს თ-დის სასახლეში რუსულ შალის ჩოხა-ახალუხში ქმარ-ხუნჯლით გლეხებიც შეიძლება შეამჩნიოვო.

— კეთილ-შობილება ბრწყინვალე თ-დების შეურაცხყოფილია, — გაისმოდა უკმაყოფილების ხმა.

თუმც ასეთი უკმაყოფილება ხელს არ უშლიდა რომ თ-დის წვეულებაზე, გარდა მოპატიჟებულთა სხვა სტუმრებიც, შალვასთვის სრულიად უცნობნი, დასწრებულიყვნენ.

2. ღვინისათვის და მამულიშვილისათვის თავ-განწირულმა თამადამ ხელში ყანწი აიღო. ღვინოზე დახარბებულ სტუმრებს მოაგონა მასპინძლის წინაპრების მოღვაწეობა, რომელიც საქართველოს ისტორიას ოქროს ხაზით მისდევდა, და მის შემდეგ, რაც თავადის ჯიბეში ახლად ჩაწყობილ ასმანეთიანის ტკიცინი გაისმა, (თავის მხრივ) წინადადება შეიტანა, რომ თუ კი დასავლეთ იმერეთის აზნაურებს ეყოლებოდათ წინამძღოლი, ვერც ერთი კეთილ-შობილი ადამიანი ვერ იფიქრებდა, თუ ის არ იქნებოდა ჩვენი სტუმართ-მოყვარე მასპინძელი. სიტყვის ბოლოს ბოდიში მოიხადა, რომ ასეთი სერიოზული საკითხი ქეიფის დროს წამოაყენა და ამით შეიძლება ტრადიციულ ნადიმს ელფერი დაუკარგა, მაგრამ რამოდენიმე შენიშვნით დამსწრე საზოგადოებას მოაგონა ის დიდი საჭირბოროტო კითხვები, რომელიც ასეთ გარემოებაში გადამწყდარან და ერისათვის კეთილი შედეგები მოუტანიათ.

სტუმრებმა ერთხმათ მოიწონეს თ-დის წინადადება და ერთხმათ ერთგულება შეჰფიცეს.

ერთმა სტუმარმა გრძელ მისასალმებელ სიტყვის შემდეგ დამსწრეებს მიმართა, რომ ქილებზე ხახვის ფოთლები დაებნიათ და თვალ-საჩინოთ გაეხადათ წერბაშიძის ამომრჩეველთა რაოდენობა. აგრეთვე ამას პრაქტიკული მიზანიც ექნებოდა არჩევნების დღეს არ დოევიწყებიათ, რომ თუ თეთრ კენჭს ჩააგდებდენ ყუთში, ის უნდა ყოფილიყო წერბაშიძის.

თავად-აზნაურობა ამ პროექტს დიდის აღტაცებით შეხვდა და სუფრა სწრაფად იქნა დაცალიერებული ხახვის ფოთლებიდან, რომელბიდანაც ჯიშიანი გულ-მკერდი დაიმშვენეს.

---

ხახვის ფოთლების რაოდენობა, რაც ერთგულ მოურავის თვალს არ გაპარვია: 3 თავი ხახვი — 10 ფოთლიანი.

4 თავი „ — 8 „ „

7 „ „ — 6 „ „

5 „ „ — 5 „ „

ჯამი — 19 ხახვი 132 ფოთოლი

---

შალვამ თამადას ულვაშების ძირში აკოცა, მეგობრისაგან ნასროლი საზაიროო ხანჯლით დაიჭირა და ყველამ სიამოვნებით გაზმორების შემდეგ; **„მრავალ ჟამიერი“**,-და **„ქართველო ხელი ხმალს იკარ“**-შემოსძახეს.

ქეიფმა დილხანს გასტანა. დილის 6 საათზე გაიმართა სანახაობა. დაეპიდნენ ხაბაზები — ლეჩხუმელი და რა რაჭველი. მზარეულები — იმერელი და მეგ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რელი. გამარჯვებულებს ვერცხლის ათ-ათშაური აჩუქეს, დამარცხებულებს დას-ცინოდენ და ესროდენ ლორის, ძროხის, თევზის ძვლებს და ფხებს. სიმღერამ $1^1/_2$ საათს გასტანა.

გულჩვილმა აზნაურმა გოჭის თავიდან გაჭრილი ყბა ბიჭს შეუხვია, ზედ პირ-პილი და მარილი მოაყარა, იმერელმა ღრიალი მორთო და ხელები გაშალა.

3. მეორე დღეს ე. ი. 15 ოქტომბერს თავად-აზნაურთა ყრილობაზე შალ-ვას მომხრეებმა გალახეს 17 თ-დი, 23 აზნ-ური, ამათში 3 არტისტი, 7 პედა-გოგი, 2 რედაქტორი და 4 საზოგადო მოღვაწე. ასეთი ბრძოლის შემდეგ ღა-მის 1 საათზე შალვა კონსტანტენეს ძე წერაბაშიძეს, დასავლეთ იმერეთის ბრწყინ-ვალე წოდებამ გულ-მხურვალეთ ნდობა გამოუცხადა და წინამძღოლის ნიშნის მიცემით თავიანთი ნაციონალური ბედი მას გადააბარა.

**3. შემთხვევა, რომელსაც ქონდა თვისება, თ-ადი შალვას ცხოვრება შებრუ-ნებულიყო.**

1. 1905 წელს მაისის ერთ დილას, შალვამ დაათავა უკანასკნელი ნაწილი ისრიმში გაკეთებულ წიწილის ხორცის, სუფრიდან ფეხები გადმოიღო, გოგოს ღაუძახა და მუცელზე დაწყობილი საინი, მარილი და მონარჩენი პურის ნატეხები აალაგებინა, თავიდან მოიშორა ფიქრი ღმერთზე და მოითხოვა დი-ლის ფოსტა. გადაიკითხა, გაზეთის მეოთხე გვერდი-ქრონიკა და თხოვნები, შემდეგისთვის გადასდო, რადგან მეტად დაინტერესდა ცისფერ პაკეთზე წარ-წერილ სიტყვებით, „**ბრწყინვალე მამულიშვილო**“.

**მამულიშვილ თავად-აზნაურთა სახარდლო, საქართველოს სა-დარბაზო-არისტოკრატიულ სახელმწიფოს აღსადგენათ.**

მის მაღალ-კეთილ-შობილებას
თ-დ **შალვა კონს. წერაბაშიძეს**

**მომართვა:**

**გევალებათ:** მამულიშვილ თავად-აზნაურთა სასარდლოსაგან აღმოაჩინეთ ხელ-შეკრულება დადებული 1783 წ. მეფე ერეკლესა და, იმ-პერატორ ეკატერინე II შორის. დედანი ხელ-შეკრულებისა 17890 წ.

**სოფ. დალმართის** მონასტრის დაწვის დროს განადგურე-ბულ იქნა, მაგრამ არის შესაძლებლობა ვიფიქროთ, რომ 180 მან. იმ შავ-ბნელ დღეს, როდესაც გამოცხადდა უმაღლესი მა-ნიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოსპობისა, მაშინ ხელ-შეკრულე-ბის დამტკიცებული ასლები დაგზავნილ იქნა საქართველოს ყოველ კუთხეში შესანახავათ (თავადთა სასახლეებში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**მონახეთ:** ხსენებული ასლი...... იქნებ ნახევარი მაინც... თუ გინდ მისი ფერფლი.....

**მარშრუტი:** ზემო იმერეთი, ოსეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო — გურია, ქართლ-კახეთი, აჭარა-მესხეთი, ქობულეთი, ფშავ-ხევსურეთი, მოსკოვი — კავკასიის მუზეუმში, ათონის და სინაის მონასტერში.

**მოახთინეთ:** გადასინჯე და გადასჩხრიკე ბრწყინვალე გვართა სიგელ-გუჯარები, დაათვალიერე წიგნთ — საცავები, სამზარეულო შკაფები, ყანწები, ჰები, ქილები, ქარქაშები და სასახლეების ყოველი კუნჭული.

**სასწრაფოთ:** ამისათვის „სასარდლო“ წერილთან ერთად გიგზავნის მოწმობას.

დარწმუნებული თქვენს მამულიშვილურ სისხლში და შთამოებაში, რომლის წინაპრებსაც არა ერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი საქართველოს კეთილდღეობისათვის, ვფიქრობ, რომ პრნათლად შეასრულებთ დავალებას სამშობლოსა და კაცობრიობის წინაშე. დავშთები პატივისცემით სასარდლოს თავმჯდომარე თავადი **სოლომონ ყაფლანისძე აშორდია.**

ქ. დიდგანი.
დაბა ზესთაფონში 1905 წ. 11 მაისი.

შალვა აივსო სიამაყით. ფეხები ისევ სუფრაზე შეალაგა, ულვაშები პირში ჩაიდო და ღმერთი მაღალი ახსენა-ასეთ პატივის-ცემას და ყურადღებას ის არას დროს არ მოელოდა. აშორდია იმისთვის მიუწდომელ და საოცნებო არსებას წარმოადგენდა.

ეხლა კი თავის საგვარეულო მამულში მისი ხელთნაწერი ბარათი ხელში ეჭირა თუ გინდ დახევდა. ან აკოცებდა, — და აკოცა.

— ახ, რა კარგია სიტყვა მომართვა, — ახ, რა კარგია სიტყვა სამშობლოს სისხლი საქართველოსთვის დაღვრილი. მაგრამ მოწმობაც გადავიკითხო.

**საქართველოს თავად-აზნაურთა**
**წინამძღოლი**
**თეიმურაზ თამასისძე ორბელიანი**
№ 133
სასახ .ქ. დიდგანი. გურამიშვილის სამზ.
ტელეფ. 0, 3

**მ ო წ მ ო ბ ა.**

ბრწყინვალე. თქვენო აღმატებულებავ. ბ-ნო თავადო, აზნაურო. ნამდვილო საზოგადო მოღვაწევ! გაერთიანებულ თავად-აზნაურთა არაჩვეულებრივი ყრილობა, შეკრებილი ნაციონალურ ღირსების და კეთილშობილ გვარიშვილთა დასაცავათ, გავალებს ბრწყინვალე თავადს **შალვა კონსტ. წერბაშიძეს** ყრილობის მე-3-ე

ეროვნული

მუხლის შესრულებას [illegible]ქვით. ყველა, რომლებიც კი მუდმივ მცხოვრებლებს შეადგენენ საქართველოს ტერიტორიისას, ვალდებულია თავად-აზნაურთა საზოგადოების შიშის ქვეშ, არავითარ შემთხვევაში წინააღმდეგობა არ გაუწიოთ თ-დ „წერბაშიძეს, რათა იგი აღჭურვილია ვალდებულებით, რომ მონახოს **სიგელ-გუჯარები** ჩვენი უფლების და საქართველოს ეროვნულ სახის შესანარჩუნებლად.

თავად-აზნაურთა წინამძღოლი: **თეიმურაზ თ. ორბელიანი.**
1905 წ.

1905 წ. 13 მაისამდე, წერილის მიღების შემდეგ, შალვას არც ერთი ღამე არ სძინებია. ვისაც კი ჰქონია შემთხვევა ენახა ამ დღეებში. ყველა გაკვირვებული რჩებოდა მის ამაყურ და უცნაურ ქცევით. შეიკერა ახალი ჩოხა-ახალუხი წუღა-მესტები, ქუდი. ჯიბეში 1300 მან. ჩაიდო და აკაკი წერეთლის სასახლეში გასწია 15 მაისს.

**შენიშვნა:** დაინტერესებულ მკითხველს ემახსოვრება, რომ თ-დი შალვა ზესტაფონის ტერორისტულ ჯგუფის დადგენილების მიხედვით მოკლული იქნა წმ. გიორგის ეკლესიაში 1906 წ. 15 მაისს. მის ერთი წლის განმავლობაში ცხოვრებისა და მოგზაურობის შესახებ, ცნობები ავტორს ხელთ არ ქონია, რომ სრულიად შემთხვევით 30 ოქტომბერს 1924 წ. მას ესტუმრა დიდი ხნის მეგობარი· გიორგი წერბაშიძე, რომელიც შალვას უმცროსი ძმა ყოფილიყო. პირველ ყოვლისა მან გადამიხადა ულრმესი მადლობა ხსოვნისათვის, სახელდობრ, იმ ერთი ბათმანი მჭადის ფქვილისათვის, 5 გირვანქა შაქრისთვის, 8 გირ. თევზისთვის და 3 ცალი № 11 ლამფის შუშისთვის, რომელიც მე კოოპერატივ **„საყვარელ კომუნის“** სამსახურის დროს გაუგზავნე მოსაკითხავად. შემდეგ გადმომცა ძმის ხელთ-ნაწერები, დღიური,—რომელიც შემდეგ თავებიდან შესდგებოდა:

**„ცხელი ხმლით სიკვდილი თ-ად ჩოჩაგიასი“,**

**„თუ როგორ ამოიარა. ზესტაფონში მეფის მოადგილემ“ და რა ვქენით“,**

**„კბილები, რომელიც ჩაემტვრა გიორგი წინამდგარიძეს ქალის მაჭანკლობაში“·**

**„როგორ მოინდომა ღვინის სმის შესწავლა და თამადათ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გახდომა ალმასხანმა და მისი ერთი დათრობის ისტორია „ჩემი მოგზაურობა, როდესაც ვეძებდი საქართველოს დიდ განძს, რა ვქენი, რა გავაკეთე, რა მივაღწიე“ და მეცნიერული შრომა „ჟანწთა და წისქვილთა ისტორიის ხმაური“.

მე მხოლოდ რამოდენიმე თავი დღიურისა განვიზრახე დამეტოვებია, რადგას დანარჩენი თავების დაბეჭდვა შეუძლებელი შეიქნა სხვა და სხვა აშკარა დამახასიათებელ თვისებების გამო. „მე კიდევ მახსოვს ის შავ-ბნელი დღე, —სთქვა გიორგიმ, მისი ქუთაისში გამგზავრებისა,—ის დარბაზში ბოლთას სცემდა სამგზავრო ტანისამოსში. —' რა დაგემართა, რამ აგაღელვა,—ასეთი სიტყვებით მივმართე მაშინ, რომელიც ნათლათ მახსოვს თუ გინდ, გუშინ მეთქვას. ის შემოტრიალდა, დამაცქერდა თითქოს ვერ მიცნო, თვალები ჰქონდა ისეთი თითქოს ორმო იყო და მეტი არაფერი, ერთხელ დაახველა—ერთხელ ღრმათ სევდიანმა ამოიხვნეშა და იქვე გადმომცა თავის ხელთნაწერი.

## ნაწილი მეხუთე,

### პოტა რამ იმის, შესახებ, ვინც „ღამის“ მთავარი გმირია

1. იმ დროს, როდესაც ავტორი მკითხველებს „რომანის ორკესტროვკის მიხედვით აცნობდა თავის გმირებს, იქ სადაც ლოუბლუბი ერთად მონგროვილიყო და იწონიდა არა ნაკლებ 100 ფუთისა, მაღალ მთის მწვერვალიდან ბჟუტასინათლე ღამეს სრიდა. ძნელია იმის გამორკვევა, ცხოვრობდა იქ ვინმე თუ არა, რომელიც ფიქრობდა უიმედო სიყვარულზე, გაქცეულ ამ გახრწნილ სქესობრივ ემოციებიდგან თუ დარჩა იქ როგორც ფაქტი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა, და ფიქრობდა ღმერთზე, მწყემს ქალზე და ავანტიურისტულ სინათლეზე. ამის შემახებ დაინტერესებული თვალი ვერაფერს ვერ შეამჩნევდა. მაგრამ დამიჯერეთ რომ. (ავტორის ინტერესი მოითხოვს). დასაძინებლათ გამზდილი სოლომონ აშორდია, დაორთქლილ მონასტრის მინებიდან გადასცქეროდა, სიბნელით მოცულ ველებს და მთებს. დიახ, ის უმღერებდა „მადლიან საქართველოს ბუნებას და ხედავდა: აზნაურებს, ხაჯნლებს, თავადებს, ღვდლებს მოსამსახურეებს, პრასტიტუტკებს, გრამატიკოსებს, ისტორიკოსებს, ქალებს, ზღვებს, ვენახებს, კრწანისის ბრძოლის და თამარ მეფის სახეს. და მეტად ლამაზ—შავ—თვალწარბა, როგორც ეს კლდე, როგორც ეს პორტრეტი, რომელიც კედელზე ეკიდა და, რომელიც აშორდიას ასე გაგიჟებით უყვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ სადაც მოურიდებელ მოძრაობის გამო სავსე წყლის დოქი წაიქცა და იატაკზე დაიღვარა, ღამე იყო და გამალებული მუშაობა სწარმოებდა.

ფართე მაგიდას 13 ბერი, შემოსხდომოდა და ისმოდა ქაღალდების შრიალი. დაკვირვებული წერა. ათასამდე სხვადასხვა თვისების კალმები სრიალებდენ მიწაში გაყვითლებულ ალექსანდრიულ ქაღალდზე. მელნები იდგა ათასი ფერის, და როდესაც იმ წინადადებას „თუ ვინმეს ეჭვი ექნეს შენს გვარიშვილობაში მან თქვენ წოდებას და ჯიშის წინაშე გადიხადოს ერთი წალა კოლოს ტვინისა“ დაათავებდენ, თავებს აიღებდენ და უცდიდენ კარნახს, **საქართველოს არისტოკრატიულ სახელმწიფოს აღდგენის სახარდლოს თავმჯდომარე სოლომონ აშორდიასგან**

ნოემბერი—დეკემბერი 1924 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვალერი ბრიუსოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ გორგაძე

# ვალერი ბრიუსოვი.

მედალიონი.

ვრუბელს აქვს სწორი გაგება ბრიუსოვის:

ტანი მოკვეთილი გრანიტზე. ხშირი, მასსიური თმა. შუბლი ფართე, ოდნავ წამოწეული, გამხდარი სახე, ჩავარდნილი ლოყები. გაქვავებული მზერა—ვილისის თვალებით. მასში არის: სურნელება „შავი მიწი“-ს, თოვლით დაფენილ ტრამალების ქარბუქი. მკერდზე ჯვარედინად დაჭდობილი ხელები, მაგარი, ძარღვიანი... მთელი ფიგურა მოგაგონებს დანგრეული საყდრის ფრესკას. მის გარეგნობაში არის რაღაც პლებეური, გლეხური.

ერენბურგის თქმით:

„ბრიუსოვი მიაგავს განათლებულ ვაჭარს, ბარბაროსს, რომელსაც ყველაფერი უნდა გააკეთოს: რომელიც სურავანდიან სოფლების მაგიერ—აშენებს ჩიკაგოს, პინეგიდან—ფეშენებელურ კურორტს, ყაზბეგის მწვერვალზე კი უნდა გახსნას ოტელ „ექსელსიორ“.

ბრიუსოვს აქვს გამბედაობა—სკვითის აზიელის ტემპერამენტი. „ევროპა მისთვის მხოლოდ ნიღაბია“.

იგი განირჩევა რუსის ყველა პოეტისგან:

პოეზიისთვის თავდადებით, ერუდიციით, კულტურით.

არავის ახსოვს ამდენი ენერგია და შრომის უნარი. ბრიუსოვის სიტყვებია: „მისთვის, რომ გახდე პოეტი—საჭიროა უარი სთქვა ცხოვრებაზე.

„მუშაობს თავის ლექსებზე ყოველ დღე განსაზღვრულ საათებში, სწორად და რეგულიარულად. და ამაყობს ამით, როგორც სულის ბნელ სტიქიაზე გამარჯვებით!“.

ბრიუსოვში მოცემულია ორი, მოპირდაპირე სტიქია: ინდივიდუალიზმი და კოლლექტივიზმი.

ბრიუსოვმა დაიწყო რუსული „მოდერნიზმი“, „რუსეთის პოეზიის ელექტროფიკაცია“. მის სახელს უკავშირდება ახალი პოეზიის რენესანსი.

პოეტურ შემოქმედებაში იგი გამოდიოდა ძველი, ტრადიციული პოეზიის ფორმების აფეთქებიდან. პოეტების იმ ფალანგაში, რომელნიც მოექცნენ ბარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკადების აქეთა მხარეს—ბრიუსოვი იყო ყველაზე ძლიერი, კულტურული, დიდი.

ყველას ახსოვს ის სენსაცია და ფილისტერების გულის წყრომა, რომელსაც იწვევდენ ბრიუსოვის პირველი ლექსები.

პუშკინის შემდეგ მან პირველად წამოაყენა პრობლემა პოეზიის რეფორმაციის: შინაარსით და ფორმით. აგრეთვე ის იყო პირველი აპოლოგეტი პოეზიის ირრაციონალობის—თანამედროვე პოზიტიური გაგების წინააღმდეგ.

ბრიუსოვის სული იყო მეტად ელასტიური. მას არ ახასიათებდა ბოლომდის ლოღიკური მთლიანობა, რომელიც ჰქონდა ტჲუტჩევს. ამიტომ იყო, რომ მან განიცადა მრავალი მეტამორფოზა..

ჯერ: ფანტასტიკა: „გაქცევა სინამდვილიდან". ფონი: დეკორაციები; საშუალო საუკუნოების კოშკებით, ფერადი ხალიჩებით, უდაბნოებით, ეგზოტიური ცხოვრებით,

შემდეგ: „დაბრუნება მიწასთან": მზის სიმოყივრე, ბავშური ალტაცება, ნატვრა „მარადი სიახლის".

პარალელურად იცვლებოდა ბრიუსოვის შეხედულება „ხელოვნებაზე". თუ პირველად იგი მომხრე იყო „უმიზნო ხელოვნები"-ს და „განდეგილობი"-ს, სამაგიეროდ, ბოლოს, მან მიიღო ეს ქვეყანა და ობიექტიურად გარდაჰქმნა იგი შემოქმედების ცეცხლში. ბრიუსოვმა გააფართოვა პოეზიის საზღვრები: პოეზიაში შეიტანა ტემები, რომელსაც წინად სხვები „ერიდებოდენ". მან ადიდა თავის ლექსებში ბრბო, თავისუფლება.

მიუხედავად „მოდერნისტული" მიმართულებისა—ბრიუსოვს აქვს ერთგვარი სისუსტე ისტორიისა და ანტიურ მითოლოგიისადმი. ხშირად გამოჰყავს პერსონაჟები ისტორიიდან: ასსარგადონი, კლეოპატრა, ნერონი, პერიკლეს.

ბრიუსოვის პოეზიაში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი: სიყვარულს, ვნებას, ბუნებას. ადამიანის და ბუნების გაგებაში იგი მთლიანად გამოდის ტჲუტჩევიდან.

ბრიუსოვის პოეზიაში—ურბანიზმი არის მოტივი დომინანტ.

რუსულ პროზაში ქუჩა პირველად დოსტევსკიმ შეიტანა, პოეზიაში—ბრიუსსომა

მის ლექსებში პირველად გაიელვეს: ავტომობილებმა, ომნიბუსებმა და აეროპლანებმა. ბრიუსოვმა სთარგმნა რენე გილის „სამეცნიერო პოეზია. და თითონ ისახავდა მიზნად შეექმნა არა პოეტური პოეზია.

„წინად იყვნენ ქალწული ტყეები და ველური ხალხი, მაგრამ მოვიდა შეუბრალებელი მოახალშენე ლექსების ტომით. ფრინველები ამიერიდან აღარ ჰგალობენ, მაგრამ, ჩვენი შვილები, განახლებული სმენით, შესაძლოა უფრო დასტკბენ მანქანების მონოტონურ გრუხუნით და საყვირების მწყობრი ხმაურით".

არც ერთს რუსს პოეტს ბრიუსოვამდის არ გადმოუცია ლექსში დინამიკა ქალაქის სტიქიის ისე მუსიკალურად, როგორც ბრიუსოვმა.

ბრიუსოვი ოსტატია ლექსის; სწერს ლექსებს: კლასიკურს და თავისუფალს,

ეროვნული

სამოქალაქოს და პარნასულს, ბალლადებს, სონეტებს, ტერციმებს. [illegible]-მიული პროზითაც.

მოთხრობებში იგივე ხაზი, როგორც ლექსებში: ფანტასტიკიდან—ყოველდღიურობისაკენ. პროზას ახასიათებს გადაჭარბებული პსიქოლოგიზმი, ემჩნევა ედგარპოს და გოფმანის: „Schauerromantik"-ის დაღი. მხატვრულ პროზაში და კრიტიკაში აქვს შეუდარებელი სტილი, ნათელი, გამჭვირვალე. განსაკუთრებით უყვარს: პუშკინი და ტძუტჩევი და ცდილობს აღადგინოს მათი პოეტური ტრადიცია.

ბრიუსოვის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა რევოლიუციამ. რევოლიუციაში მან თითქოს მონახა თავის თავი. ეს იყო: ბრიუსოვი „სუხარევკა"-დან. ბრიუსოვი-პლებეის მოდგმის. აკი თითონაც ხმა მაღლა აღიარებდაამას და ამაყობდა იმით, რომ 1919 წლიდან ის იყო კომუნისტური პარტიის წევრი. ტყუილად ფიქრობდენ ზოგიერთები, რომ შემთხვევითია გზები, რომლითაც ბრიუსოვი მივიდა კომუნიზმის სრულს და უდავო მიღებამდისო. კომუნიზმის ერას იგი ჯერ კიდევ 1903 წელში წინასწარმეტყველებდა. მას ესმოდა პროლეტარული რევოლიუციის კოსმიური როლი და აუცილებლობა.

მაშინ, როცა რუსეთის ცნობილი პოეტები (ბლოკის და გორკის გამოკლებით) გარბოდენ საზღვარ გარეთ, როცა რუსეთის ინტელიგენციის ისტორიაში მეორდებოდა ამბავი ბიბლის „გასვლის" ბრიუსოვი ერთად ერთი მიემხრო მუშურ რევოლიუციას და რუსეთის პროლეტარიატთან ერთად განიცადა ინტერვენციის, ბლოკადის და სამოქალაქო ომის მძიმე წუთები.

ის არ იყო რევოლიუციის პოეტი, მაგრამ ის იყო პოეტი რევოლიუციონერი.

მან დაიწყო ღვთაებრივი ფლეიტით და გააავა სპილენძის საყვირით.

აქ იგი თითქო ხელახლა დაიბადა. რევოლიუციამ მისცა მის შემოქმედებას სიმტკიცე და ახალი გაქანება. უკანასკნელი ლექსებით იგი ამტკიცებდა თავის თავს, როგორც რუსეთის ეროვნული პოეტი.

შესაძლოა ბრიუსოვის პოეზიაში იყოს ბევრი ბალლასტიც. მაგრამ თავისი დიდი კულტურით და ერუდიციით იგი დადგება რუსეთის პოეზიაში, როგორც მთა იალბუზი, როგორც პამირის მწვერვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვ. ბრიუსოვის ლექსები

თარგმანი. ვალერიან გაფრინდაშვილის.

# ჩაქუჩი და ნამგალი.

თუმცა გვდევნიდა ილბალი კერპი—
სიმშილის ხმალი ჩვენზედ ალესა,
მაინც ავმართეთ ახალი ღერბი:
ღერბი ჩაქუჩის და ნამგალისა!

ჩვენ მიწას მოვრწყავთ გმირული შრომით,
ხმალსა მტრებისას დავამსხვრევთ მარდათ
ჩვენი ნამგალი ელვარებს კრთომით,
ჩაქუჩმა ცაში გაინავარდა.

ფიქრო! შენ ახლა სცანი დიდება!
ძირს საზღვრები და საუკუნები!
ნამგალო! მომკე ჭეშმარიტება,
ჩაქუჩო! სძლიე რიდე ბუნების!

ქვეყანა დიდხანს სცხოვრობდა! კმარა!
მწიფე ნაყოფი კრთის განაშუქი.
ერთ ძნათ შეგვკარი, ნამგალო, ჩქარა,
ერთ ქვათ გაგვთალე ყველა, ჩაქუჩო!

საგაზაფხულო ბზების ალერსით
ადამიანის ნორჩია სული;
ნამგალი ახალ მკისთვის ალესე,
შენთან ჩაქუჩი იყოს ერთგული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქალაქს.

დითირამბი.

ენ, როგორც მეფე, ბატონობ ბარზე.
ზეცა დასერე ცეცხლის ცხრილებით,
დაუზოგველად შემოიგარსე
შენი საზღვარი ქარხნის მილებით.
მინის, აგურის და ფოლადისა,
გადახაზული რკინის რკალებით,
ხარ ჯადოქარი სამარადისო
ანდამანტიურ იდუმალებით.
როგორც დრაკონი უფროთ და მწყრალი,
ჩასაფრებული, სდარაჯობ წლობით,
დაუშრეტელი გაზი და წყალი
რკინის ძარღვებში დაგიდის ხმობით
შენი სტომაქი ხარბი, მშიერი,
ჟამთა ნადავლით ვერ გამაძღარა;
მასში მრისხანებს ბოღმა ძლიერი
და სილატაკე ღრიალებს მარად.
ჰკუაცბიერო! ავ მოსაზრებით
სივრცე კოშკებით შენ შემორკალე.
შენ საზეიმო დადგი ტაძრები,
სად მიეც ბინა წიგნებს და ქალებს.
შენ თვითონ იწვევ ულმობელ მტრებს.
შენ გამოიხმობ ურდოს თავნებას.
და შავ მიტინგზე გზავნი ქიმერებს:
სიმშილს, სიგიჟეს ამპარტავნებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და როცა ბროლის სახლებში მოდის
კვლავ გარყვნილება ცეცხლის სალამით,
მაღალ ჭიქებში ხმაურობს ოდეს
ტკბილვნებიანი წუთების შხამი,
პირქუშ მონების მოლუნე მხრები,
რომ დაუდგრომელ მძიმე ხვეულებით,
რატაციონის მძლე მანქანები
კვეთდენ მახვილებს მეტ გახელებით.
ცბიერო გველო ჯადოსან ცქერით!
ბრმა გაბრაზებით და წყრომით სავსე,
სიკვდილის დანა გიჟი იერით
შენ თვით ამართე საკუთარ თავზე.

# კალატოზი.

— კალატოზო, კალატოზო, შემოსილო წელსაფარით,
რას აშენებ მანდ და ვისთვის?

— ხელს ნუ გვიშლი, ჩვენ ვაშენებთ მეტ სიჩქარით
საპყრობილეს ბოროტისთვის.

— კალატოზო, კალატოზო, ერთგულო და ნიჩბიანო,
მასში ვინლა ატირდება?

— ალბათ არც შენ ბედნიერი და არც შენი ძმა სვიანი,
თქვენ ქურდობა არ გჭირდება.

— კალატოზო, გრძელ ღამეებს—უძილო და ცრემლმფრქვეველი,
მასში ვინლა გაატარებს?

— შეიძლება ჩემი შვილი—ისეთივე მუშა წრფელი,
ბედი ერთხელ არ გვახარებს.

— კალატოზო, კალატოზო, მოიგონებს იგი, ალბად,
მათ, ვინც ზიდა ქვა და მტვერი!

— მოგვეცალე! ეი, დადუმდი შენ, მანდ, დაბლა,
თვითონ ვიცით ყველაფერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხანჯალი.

ამოგლეჯილი ქარქაშიდან იგი თქვენს თვალებს
აბრმავებს, ისევ ალესილი, მზით შემკობილი.
მე თქვენთანა ვარ, რომლესაც კი გრგვინვა გრიალებს:
სიმღერა არის ქარიშხალის მუდამ დობილი.
როს ვერ ვხედავდი თავხედობას და ძლიერებას,
როცა ულელ ქვეშ ჩაგელუნათ თქვენ ყველას თავი,
ვეშურებოდი მე დუმილის ქვეყნიერებას,
სხვა საუკუნე იყო ჩემი შესადარავი.
მთლად უსამართლო, ულამაზო და საზიზღარი
მე შევიძულე ეს ცხოვრება მონურ სახელით;
ბრძოლის ნაღარავ! შენ გესმოდა ჩემი ხარხარი:
მე არ მჯეროდა ბრძოლისათვის შენი ძახილი!
მაგრამ როგორც კი გავიგონე ძველი საყვირი,
მაგრამ როგორც კი დავინახე ბრძოლის ალამი,
მე გიპასუხებთ: გაბედული ვით ნიაღვარი;—
ზეციურ გრიგალს გაუგზავნე ჩემი სალამი.
ძველი ხანჯალი პოეზიის! მზე მოელვარე
მის მარად ფოლადს გადაურბენს ცეცხლებით ეხლა,
მე ხალხთანა ვარ, ვით პოეტი მუდამ მღელვარე,
რადგან მე ვნახე გაბრაზებულ ელვების შეხლა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ერენბურგ,

# ტრესტი დ. ე.

(გაგრძელება)

15.

## ენს ბოლტის სახელწოდების დღე.

24 ივნისს, 1928 წელს ენს ბოლტის სახელწოდების დღე იყო, და ამაში, რასაკვირველია, განსაკუთრებული რამ არაფერი იყო. ამგვარი ამბავი ხდებოდა რეგულიარულად ყოველ თვე წელიწადში ერთხელ. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ენს ბოლტი სცხოვრობდა დედასთან ტექსელის კუნძულზე, იგი ლებულობდა ამ დღისთვის, ზღვის ფრინველის ყველაზე დიდ კვერცხს, როდესაც ის ძმ. მედრანოს ცირკის სიამაყედ ითვლებოდა, უფროსი ძმა, გასტონ მედრანო, ამ დღისთვის ასაჩუქრებდა მას ყველაზე მაგარ სილით. როდესაც ის ევროპის მილიარდერი იყო, იგი ამ დღისთვის თითონვე ყიდულობდა თავისთვის ყველაზე ძვირფას პიჯამას. სახელწოდების დღეებს აქვთ თავისი ისტორია და თავისი ტრადიციები, რომლებზედაც აქ უადგილოა საუბრის გაგრძელება. 24 ივნისს 1928 წ.

1928 წელს ენს ბოლტის სახელწოდების დღე გადახდილი იყო სრულიად განსაკუთრებით, უკვერცხოდ, უსილოდ და უპიჟამოთ. თავის სახელწოდების დღესასწაულს თვით ენს ბოლტიც კი არ დაესწრო. არც ერთ დამსწრეთაგანს არ ახსოვდა ენს ბოლტის არსებობა. ეს იყო მეტად ორიგინალური დღეობა.

24 ივნის 1928 წელს, დღისით 3 საათზე. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის ტრიბუნაზე ავიდა კაბინეტის ახალი თავმჯდომარე ბ. ფელიქს ბრანდევო. მან გააღო თავისი მტკიცე პირი, წამოიძახა: ბრანდევოს სიტყვა

— კმარა!..

და გაინაბა, მასთან ერთად გაინაბა მთელი პალატაც. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მასთან ერთად გაინაბა მთელი საფრანგეთი, უფრო მეტი—მთელი ევროპა, რადგან, მიუხედავად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრემიერის სიმტკიცის, მისი პირველი სიტყვა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავდა, ხოლო მეორესაგან კი დამოკიდებული იყო ბედი ასეულ მილიონ ადამიანებისა.

პაუზა პირველი და მეორე სიტყვის შორის დიდხანს გრძელდებოდა. ბ. ფელიქს ბრანდევო არ ჩქარობდა ლაპარაკით. სამაგიეროდ ის არასოდეს არ აგვიანებდა თავის სიტყვის ასრულებას. მას სრულებითაც არ მიუღწევია თავის მაღალ პოსტამდის ჩვეულებრივ პარლამენტარულ ხრიკების გზით. არა, სარდინების ქესტის კოლოფების ამ ფაბრიკანტში სჩქეფდა სისხლი დიდ ბონაპარტისა!

23 ივნისი

გადატრიალება.

ენს ბოოტის სახელწოდების წინადღით, ე. ი. 23 ივნისს, ის გამოცხადდა მის მიერ დაარსებულ ნახევრად-საიდუმლო კავშირის 3000 წევრთან ერთად, დეპუტატთა პალატაში. მას არ უშვებდენ შიგნით და ის დიდხანს ედავებოდა პოლიციელებს. მაშინ კავშირის 3000 წევრმა მშვიდობიანის გზით დაანახვეს პოლიციელებს, რომ, მიუხედავად თავის პოლიტიკურ კონსერვატიზმისა ისინი პროგრესის მომხრენი არიან და იცნობენ სახმედრო ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევებს. დეპუტატებმა, გაიგეს რა საქმის ვითარება, მიიმალნენ ზოგი საპირფარეშოში, ზოგი ბუფეტში და თან ყვიროდენ:

— შემოუშვით! ღვთის გულისთვის, დაუყონებლივ შემოუშვით ყველანი!

თავმჯდომარე საპირფარეშოში.

ბ. ფელიქს ბრანდევო ამაყად შევიდა დარბაზში. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე, რომელიც საპირფარეშოს კუთხეში იპოვეს, საჩქაროდ მოელაპარაკა ელსმენით რესპუბლიკის პრეზიდენტს და ნახევარი საათის შემდეგ ბ. ფელიქს ბრანდევო გამოვიდა მოედანზე უკვე პრემიერად. პოლიციელები ზრდილობიანად მიესალმენ მას. კავშირის 3000 წევრი მშვიდობიანად მოთავსდა მახლობელ კაფე-რესტორანში და ტკბილ-მწარე აპპერიტივებს სვამდენ.

დეპუტატებს არ სძინავთ

23 ივნისს ღამით დეპუტატებს ცუდათ ეძინათ, მაგრამ უძილობის დროს ისინი ბევრს ფიქრობდენ. დილით კი მათი უმეტესი ნაწილი მხურვალედ იზიარებდა ბ. ფელიქს ბრანდევოს პოლიტიკურ შეხედულებებს.

3 საათით მოწვეული იყო პალატის კრება, მინისტრთა კაბინეტის ბატონ თავმჯდომარის დეკლარაციის მოსასმენად.

კმარა! — ერთხელ კიდევ გაიმეორა ბ. ფელიქს ბრანდევომ და ისევ გაინაბა.

დაბოლოს, შეეცოდა რა უბედური ევროპა, რომლის მაჯისცემასაც ნათლად ემჩნეოდა უთანასწორო ფეთქა, მან წარმოსთქვა:

— კმარა მშვიდობიანობა!

დეპუტატები წამოხტენ ადგილებიდან და მქუხარე ტაში დასცხეს.

— საკმაოდ ვზოგავდით გერმანიას. ეს მაცდური ქვეყანა განზრახ ინგრევა, რათა შესაჭმელად არ მისცეს თავი, ჩვენს, ათასჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძვირფასეს, სამშობლოს. გავიხსენოთ 1914 წლის საშინელებანი. განა გერმანელებმა არ დაანგრიეს რეიმის ტაძარი?..

დარბაზი უკიდურესმა ექსტაზმა მოიცვა. რეიმსის დეპუტატები ერთ და იმავე დროს სტიროდენ და იცინოდნენ მოზღვავებულ გრძნობებისაგან.

— ჩვენ მომხრენი ვართ მშვიდობიანობისა,—განაგრძობდა პრემიერი,—მაგრამ ჩვენ გავიტანთ ჩვენსას. გამოვიყენებთ სანქციებს. უახლოეს კვირის განმავლობაში გერმანიის წინააღმდეგობის ბუდე ბერლინი განადგურებულ იქნება.

ბერლინი განადგურებული იქნება.

ამ სიტყვების დროს პალატა ისეთმა საშინელმა ყიჟინამ აიტაცა, რომელიც ჯერ არ ახსოვს საფრანგეთის პარლამენტის ისტორიას. ეს ყიჟინა იმდენად დიდი იყო, რომ ბურბონთა სასახლის უძველეს კედლებიდან გავიდა ქუჩაში, მიაღწია თანხმობის მოედნამდე და შეაკრთო ეგვიპტის ძველი ობელისკი.

ობელისკი კრთის.

დეპუტატები ბრძოლისაკენ იწევდენ. მათ იგრძნეს თავისი თავი ახალგაზრდებად, ჯანსაღად, გალლების სიმამაცით და ლათინების გონიერებით აღსავსედ.

თუმცა, ზოგიერთმა ბოროტგამზრახველებმა, რომელნიც ჯერ კიდევ დეპუტატობის რწმუნებით იყვენ აღჭურვილნი და მემარცხენე სკამებზე იჯდენ, სცადეს საწინააღმდეგო გამოსვლა.

— ბ. ფელიქს ბრანდევო მიდის ნაციონალურ ეგოიზმის დამღუპველ გზით,—წამოიყვირა ყველაზე დიდხმიანმა.

მაგრამ პალატა სწრაფად გაუსწორდა მას, ისე რომ ამით არ დაურღვევია კონსტრუქციის კანონები. სამი წუთის განმავლობაში მიიღეს დადგენილება კომუნისტ-დელეგატებისათვის რწმუნებულობის ჩამორთმევის შესახებ, რის შემდეგაც, მავნე ბოროტმომქმედნი გადაგზავნილ იქმნენ სანტეს საპყრობილეში. რაც შეეხება სოციალისტებს მათ მიეცათ მოსაფიქრებლად 15 წუთი თავის მომავალ ბედის გადასაწყვეტად. სოციალისტებმა გონივრულად გამოიყენეს ეს დრო და მიიღეს ორი საპროტესტო რეზოლიუცია: ერთი მთავრობის დამღუპველ ტაქტიკის წინააღმდეგ.

პირველი რეზოლიუცია მათ დაიტოვეს თავის ოჯახურ წრეში წასაკითხად, ასლი კი გადაგზავნეს არქივში, ხოლო მეორე დაუყონებლივ გამოაქვეყნეს, რის გამოც ნასიამოვნებმა ფელიქს-ბრანდევომ სოციალისტურ ფრაქციის ლიდერის შიშისაგან გაციებულ ლოყას აკოცა.

სოციალისტები პროტესტს აცხადებენ

ამის შემდეგ, პრემიერი ბუფეტში გავიდა და მორიდებით მოითხოვა ლიმონადი ყინულით. დეპუტატები უკან ჩადგენ და რიგ-რიგად მის ოფლიან ხელის ჩამორთმევას სცდილობდნენ. ბ. ფელიქს-ბრანდევო ყოველ მათგანს აძლევდა თავის სადარბაზო ბარათს ავტოგრაფით. პრემიერის საფულეზე ოქროს ვარაყით აღბეჭდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო გამარჯვებულ კავშირის „Destruction et Expiation“-ის ინიციალები—Д. Е.

და დეპუტატებიც მიეჩქაროდენ ტყავის ნაწარმოების მაღაზიისაკენ „Union“ rue Rivol-ზე, რომ შეეკვეთათ თავისთვის, იმგვარივე საფულეები.

ენს ბოოტს შეეძლო კმაყოფილი დარჩენილიყო თავის დღეობით. მაგრამ ის შორს, ბერლინში იყო და დეპუტატთა პალატის საზეიმო სხდომის შესახებ შეიტყო მხოლოდ საღამოს 9 საათზე, როდესაც გამოვიდა კინემატოგრაფიდან, სადაც უყურებდა კომიკურ ფილმას: **„პიკს ჰსურს მოცეკვავე გახდეს“**.

კინემატოგრაფის შესავალთან იდგა მოხუცი ქალი და ხრინწიანი ხმით იძახდა:

— **Exstrablatt!** სასიკვდილო განაჩენი ბერლინს! ბერლინი ტყობილობს თავის ბედს

ბერლინელები კითხულობდენ და ამთქნარებდენ. ეს ყველაფერს მიჩვეული ხალხი იყო. წაიკითხეს რა დეპუტატთა პალატის დადგენილება, ისინი ამბობდენ:

— ეს პიკი მეტად სასაცილოა! როგორ მოხერხებულად ეცემა. თუ მათ პარასკევამდე არ გაანადგურეს ბერლინი, ჩვენ წავალთ ახალ პროგრამაზე „პიკი ხელსა სთხოვს“.

ენს ბოოტმა აიღო გაზეთი და გაიღიმა.

— ღირსეული საჩუქარია!

მართლაც, ეს ყოველივე ზღვის ფრინველის კვერცხზე უფრო გემრიელი და ყველაზე მოხერხებულ სილაზე უფრო გამაბრუებელი იყო. რაც შეეხება პიჟამას, როგორც მკითხველებმა იციან, ენს ბოოტმა ერთხელ და სამუდამოდ უარი სთქვა ამ ამაღელვებელ ტანსაცმელზე, რომელიც დაკავშირებული იყო მისი წარსული ცხოვრების ინტიმურ წუთებთან.

### ფარაონ ფერუნკანუნის სიტყვები სიკვდილის წინ.

— უკანასკნელი მატარებელი ერთი საათის წინ გავიდა სადგურ ცოოდან!—მეთოდიურად იძახდა ქალარა მოხელე, ფრიდრიხშტრასეს სადგურის კონტროლიორი. იძახდა მანამდის, სანამ ის არ გათელა გონებადაკარგულმა ბრბომ. 29 ივლისი 1928 წელი.

მაგრამ გათელილი კონტროლიორი მართალი იყო: უკანასკნელი მატარებელი გავიდა ბერლინიდან 29-ს ნაშუადღევის 2 საათზე ბრესლავლის მიმართულებით. ჯერ კიდევ მის გასვლამდე საქალაქო გზების ყველა მატარებლები გადაკეთებულ იქმნა შორეულ მიმოსვლის მატარებლებად. დღის 5 საათისთვის ზოგიერთ მატარებლების დაბრუნებას ელოდენ და ამიტომ მოედნები ბერლინის სადგურების წინ ხალხით სავსე იყო. ზოგიერთი მეოცნებენი ისხდენ დიდ ბოხჩებზე, რომლებიდანაც მოსჩანდა ლუდის ჰიქები, ლეიბები და თხუზულება-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თა სრული კრებულები გერმანელ კლასიკებისა, როგორიც არი კერნერი და ლესინგი. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ფრანგ მფრინავებს დაუზიანებიათ ყველა 28 გზა, რომელიც ბერლინიდან გადიოდა. მოედნები სწრაფად დაცარიელდა.

არა თუ ავტომობილები, არამედ ყველა ურმებიც დილიდანვე გაყვანილი იყო ქალაქიდან. საღამო ჟამს მოხერხებულმა მილიონერმა გერრ ფიშერმა, რომელსაც მეუღლის მშობიარობის გამო შეაგვიანდა ბერლინში, გამონახა სადღაც დაზიანებული საბარგო ავტომობილი, რომლითაც წინათ თევზეულობას ზიდავდენ. გერრ ფიშერი ოჯახით შეძვრა ვიწრო ყუთში, მაგრამ გრუნევალდის ახლოს მუშებმა შეაჩერეს ავტომობილი, გერრ ფიშერი მოკლეს და ამ არეულობაში სრულიად გააფუჭეს ისედაც დაზიანებული მანქანა. ბერლინელები გარბიან.

ბევრმა გადასწყვიტა ბერლინიდან ფეხით წასვლა. მიდიოდენ უმთავრესად აღმოსავლეთისა და სამხრეთისაკენ.

ზოგიერთებს სიარული არ შეეძლო და სულშეხუთულები ძირს ეცემოდენ. ვიღაც დედაბერი მიდიოდა ბავშის ეტლით, რომელშიაც თხა იყო შებმული. თხა გაჯიუტდა, დაიწყო აქეთ-იქით ხტომა და, ბოლოს, დაწიხლა თავის პატრონი. ზოგიერთნი ქირაობდენ ადამიანებს, რომლებსაც ზურგით მიჰყავდათ ისინი. სიგარების ფაბრიკანტმა გერრ ვოლფმა 1000 დოლარად დაიქირავა ოთხი ტვირთმზიდავი. მათ უნდა წაეყვანათ გერრ ვოლფი მეუღლით და საათში უნდა გაევლოთ არა ნაკლებ 6 კილომეტრისა. ტვირთმზიდავთა ძარღვები შესამჩნევად ფეთქავდენ კისერზე. გერრ ვოლფს ქანაობაში ჩაეძინა უმანკოდ, როგორც ბავშს, მაგრამ, როდესაც მტრესს მიუახლოვდენ, ოთხმა ტვირთმზიდავმა უხმოდ გაუშვა ხელიდან თავისი თბილი ტვირთი და გერრ ვოლფმა მეუღლით ერთი წუთით შეარყია მიძინებული მდვრიე წყალი. ვოლფის სიკვდილი.

თუმცა, ამგვარ შემთხვევებს არავინ არ აქცევდა ყურადღებას. მიმავალთ კიდევ ჰსურდათ სიცოცხლე და ამიტომ ჩქარობდენ. უმეტესობა ქალაქში დარჩა. არგენტინის სტატისტიკოსის ბ. რობსის დაახლოებითი გამოანგარიშებით 29 ივნისს საღამოთი ბერლინში იმყოფებოდა 2.600.000-მდე მცხოვრები. ამ ხალხმა გადაიტანა ომი, სამი რევოლიუცია, შიმშილი და სიღატაკე. ისინი თავს არ იწამლავდენ და არც შპრეეში იხრჩობდენ თავს. მაგრამ თუ ამას დაბეჯითებით მოითხოვდა ვიღაც ბ. ფელიქს ბრანდევო, ისინი თანახმანი იყვნენ სიკვდილზე. ეს გამომდინარეობდა არა თავაზიანობისაგან, არამედ ადამიანთა ძალების განსახღვრულობისგან.

მართალია, ზოგიერთ ოპტიმისტებს სასწაულით გადარჩენის იმედი ჰქონდათ. ქალაქში სანუგეშო ხმები დადიოდა. ერთნი ამბობდენ, რომ ბერლინიდან დასავლეთით, 40 კილომეტრზე ჩამარხულია მინები, რომლებიც ააფეთქებდენ ტანკების ესკადრას; მეორენი,— ჭორები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ქალაქის განაპირა ადგილებში დადგმულია რუსეთის ზარბაზნები, რომლებიც ანადგურებენ ბ. ფელიქს ბრანდევოს სასიკვდილო მწერების წყებას. ყველაფერი ეს აშკარა სიცრუე იყო არავის არც მინები ჩაუმარხია და არც ზარბაზნები დაუდგამს. მხოლოდ 108 ახალგაზრდამ შეადგინა „თავდაცვის რაზმი.“ დასეირნობდენ შარლოტენბურგზე და ძველი თოფებით ელოდენ მტერს.

საღამოს 9 საათზე ვიღაც მოხერხებულმა მტერმა დაჰბეჭდა სასწრაფო ფურცელი „Deutsche zeitung“, სავსე სენსაციური ცნობებით:

**პარიზი.** დღეს დილით დაემხო ბრანდევოს მთავრობა. პარიზის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო სალამს უთვლის ბერლინის მშრომელ ხალხს.

**ვაშინგტონი.** ჩ.-ა. შ. შტატების პრეზიდენტმა ულტიმატუმი წარუდგინა საფრანგეთის მთავრობას სანქციების გაუქმების შესახებ. ამერიკის საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგია ბერლინის განადგურებისა.

Leipsiger ztrasse-ზე შეთხზულ დეპეშების წაკითხვის შემდეგ ბერლინელები დაცინვით იღიმებოდენ. შესაძლებელია, ერთი წუთით მათ სჯეროდათ კიდეც ნათქვამი, მაგრამ ეს წუთი სხვა წუთებზე მეტად არ გრძელდებოდა და დაჯერება იცვლებოდა მტკიცე რწმენით, რომ ამერიკას არ აქვს არავითარი საქმე 2.600.000 ადამიანთან, რომლებიც განწირულ ქალაქში დაეხეტებოდენ, რომ ბ. ფელიქს ბრანდევო ულვაშების გრეხით ძველებურად ისევ განაგებდა გაცოფებულ ქვეყანას, რომ, 300 ვეებერთელა გამანადგურებელი ტანკები განოვერის მხრიდან უახლოვდებოდენ ბერლინს.

საღამოთი კიდევ ხდებოდა პოლიტიკური გამოსვლები. 108 ახალგაზრდამ, რომლებიც შარლოტენბურგზე დასეირნობდნენ თოფებით, აღადგინეს იმპერატორის ძალა-უფლება. მათ გამოსცვალეს დროშა რომელიღაც შენობაზე, მაგრამ ქალაქში არავითარი იმპერატორი არ აღმოჩნდა, მცხოვრებლებს დროშებისათვის არ ეცალათ. გადატრიალება არავის შეუმჩნევია. ერთი საათის შემდეგ გამოვიდენ კომუნისტები. ისინი შეეცადენ გაეგზავნათ რადიო ტანკებში მყოფ ჯარისკაცებისათვის პროლეტარიატის სოლიდარობის შესახებ. ვიღაცამ დაიწყო დეკრეტის შედგენა:

კომუნისტური გადატრიალება.

„24 საათში უნდა ჩაიბაროთ ყველაფერი, რაც!!.....

მაგრამ გაახსენდა, რომ ბერლინს დარჩა მხოლოდ 3 საათის სიცოცხლე, გადააგდო კალამი და წავიდა კირშვასსერის დასალევად. საღამოს 10 საათისათვის უკვე არავის არ აინტერესებდა პოლიტიკა. ძველ, გამოცდილ იურისტებსაც კი აღარ აინტერესებდათ საკითხი იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ქალაქში ძალა-უფლება

ბერლინში სიმხიარულე სუფევდა. მუშები და მოსამსახურენი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსტატები და წვრილი მოხელენი შევარდენ შიბერების მოედანზე, რომლებმაც ქალაქი დასტოვეს. ისინი არ ეძებდენ უჯრებში ძვირფას ნივთებს და არც სარკეებს ამტვრევდენ. მაგიდებზე გამოჩნდენ დიდიხნის უნახავი საჭმელები, რეინვეინი და მკრთალი ყავისფერი სიგარები. ზოგიერთი ქალები როიალის კლავიშებს არტყამდენ თითებს და სტიროდენ. შესაძლებელია, რომ ეს სიმხიარულის ცრემლებიც იყო.

Kurfürztendamm-ზე ერთ კაფეს ფანტასტიურმა პატრონმა, რომელიც თავის თავს, ალბად, უკვდავად სთვლიდა, გადაწყვიტა აუარებელი ფულის მოგება. მან გამოაფინა პლაკატი:

კაბარე
# ალპაზარ
ბერლინის უკანასკნელი
## საღამო.
ეჩქარეთ ყველანი!!! ჯერ კიდევ გვიან არ არის!!!

მსახიობები არ იყვნენ, ყველა გაქცეულიყო და მათთან ერთად კლოუნ დიმის გაწვრთნილი მხეცებიც. მაშინ პატრონმა ჩაიცვა ქალის კაბა, ბრჭყვიალა აბზინდებით, და თითონ დაიწყო სხვა და სხვა როლების ასრულება: ცეკვავდა კაფ-ტროტს, მღეროდა შეუფერებელ კუპლეტებს, ჟონგლიორობდა საინებით და სპილოსაც კი ჰბაძავდა, რის დროსაც თავის თავს დიდის წარმატებით სწრთვნიდა თვითონვე. საზოგადოება ბევრი დაესწრო.

ბერლინელებს ამ საღამოთი აშკარად ჰსურდათ დასვენება და გართობა. ბრბო იჭრებოდა დახურულ კინემატოგრაფებში და თითონ აწყობდა სეანსებს. მაგრამ ვინაიდან ფილმის მბრუნავები სპე- ბერლინი მხიარულობს
ციალისტები არ იყვნენ, ამიტომ მოქმედება ხან გადამეტებული სიჩქარით სწარმოებდა, ხან კი გვიანდებოდა. ერთ-ერთ ფილმაში შეყვარებულთა კოცნა გაგრძელდა არა ნაკლებ ერთი საათისა. მაგრამ ეს არავის გაუკვირდა. მაყურებლებს ესმოდათ, რომ ეს კოცნა იყო უსათუოდ უკანასკნელი, ისხდნენ დარბაზში და ერთი მეორეს ასევე ხანგრძლივად კოცნიდენ. მეორე ფილმაში მგზავრები არაჩვეულებრივ სისწრაფით მიჰქროდენ და ამის დანახვაზე ყველანი, ვინც აქამდე წყნარად იჯდა პარტერში, გამოსცვივდენ გარეთ, გაექანენ ქუჩებზე და სცდილობდენ ერთი მეორეს არ ჩამორჩენოდენ. იმათ ხომ 2 ან 3 საათის სიცოცხლე დარჩენოდათ.

ყველა რესტორანები, კაფეები, სამიკიტნოები და საკანდიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როები სავსე იყო ხალხით. მსახურები მაგიდებთან ისხდენ და მაჰმანიურს სვამდენ. დამსწრენი თავის თავს, თითონ ემსახურებოდენ. ფული არავის ახსოვდა. მემუსიკეები ჩვეულებისამებრ უკრავდენ.

ქუჩაზე მთვრალი და მეოცნებე ხალხი დაეხეტებოდა. ისინი ამბობდენ ლექსებს და ჩუმად, ულვარძლოდ, იგინებოდენ. სიბნელეში კაფეების ვერანდები წითელ-ყვითელ ნათურებს ჰგვანდენ. ისმოდა კოცნის მშრალი და მკვახე ხმა.

ვილაც უცხვირო მახინჯმა შეაცდინა გულუბრყვილო ქალწული ერთი მილიარდი მარკით და შოკოლადის ნატეხით. და, რომ შორს არ წასულიყვნენ, მიწვენ მახლობელ მოედნის ბაღში. მათ მიუახლოვდა ძაღლი, დაჰყნოსა ისინი და მწუხარებით დაიწყო ღმუილი. მისი ხმა დაჰფარა ჯაზ-ბანდის დოლმა. დოლის თავზე მთვარის მწიფე ფორთოხალი ირხეოდა. ლიტერატურის მცოდნე პირები ირწმუნებოდენ, რომ ყველაფერი ეს გვაგონებს ჰოფმანსო.

*პროჟექტორები ემზადებიან.*

უეცრად მთელი ბერლინი შეიჭმუხნა ღრო მიდიოდა; დადგა შუაღამე. უეცრად პირდაპირ აუტანელი ნათელი შუქით. გიგანტურმა პროჟექტორებმა შემოანათეს ქალაქში. ბაღში მწოლარე ქალი გაიქცა შორს. მოხუცმა გერმანელმა გამოიტანა ქუჩაში სქელ-კანიანი ფოლიანტი „ფრიდრიხ დიდის ისტორიისა", გაიკეთა რკინის სათვალეები და ხმა-მაღლა კითხვა დაიწყო. ძაღლი ისევ ღმუოდა.

კაფე „Prager Diele"-ში კუშტი მთქნარებით შემოვიდა ახალი სტუმარი. არ იყო არც ერთი თავისუფალი მაგიდა. მაშინ მან თავაზიანად დაუკრა თავი ფანჯარასთან მჯდომ პატივცემულ მოხუცს და ჰკითხა:

— შეიძლება?

ხალხით სავსე კაფეში სიმხიარულე იყო. ვილაც მოქეიფეებმა მოიტანეს სერპანტინი და ნარინჯის ფერი ობობა ჰბურავდა ქალებს. მაგრამ ახლად შემოსული კლიენტი მოუთმენლად უყურებდა საათს და ისე იქცეოდა, როგორც მოუსვენარი მგზავრი, რომელიც ღამეს ათევს რკინის გზის დიდ სადგურზე. ეს იყო ენს ბოოტი.

*ტანკები ახლოვდებიან.*

300 ტანკა ბერლინიდან უკვე 25 კილომეტრზე იმყოფებოდა. ერთ-ერთ ტანკაში იდგა ორი მეგობარი, სრულიად გატიტვლებული აუტანელ სიცხის გამო—პრემიერის ძმისწული ლეიტენანტ ვიქტორ ბრანდევო და სუბ-ლეიტენანტი ჟან ბლანკაფარი. ტანკა სიმაღლით 10 მეტრი იყო. დაბვეული კიბე ადიოდა სათვალყურო პუნქტამდე. გუგუნებდენ 30.000 ცხენის ძალიანი მატორები. ტანკა სწრაფათ მიცოცავდა, სრესავდა ბუჩქნარებს, ანგრევდა ძველ ეკლესიების კედლებს და მიგორავდა ხრამებზე.

— ცხელა,—სთქვა ვიქტორ ბრანდევომ.—საშინლად ცხელა. რითი არ მიაგავს ნიცცას.. ეს ტიტველი ხალხი ზღვაში ბანაობას მომაგონებს. უყურეთ, ჩვენ ეხლა დიდი სახლი გავანგრიეთ. აი ხვრე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიდან მოსჩანს ბავშვის საწოლი და ვილაცას ჩექმები. ეს უკვე ბერლინის განაპირა უბანია.

ჟაკ ბლანკაფარი კარგ გუნებაზე იყო, მაგრამ ჩექმები და ბავშვის საწოლი არ აინტერესებდა მას. მობილიზაციას და ბერლინის განადგურებას ის უყურებდა, როგორც მხიარულ სეირნობას, რომელიც ასულიერებდა მას ეჭვიან ლიუსისთან ყოველდღიურ ჩხუბის და გულის დამანოყიერებელ ხბოს ხორცის ჭამის შემდეგ. თავისი მოსაზრებანი მომავალ სიამოვნების შესახებ მან განუზიარა თავის მეგობარს:

— კიოლნში ერთ ფრანკში მაძლევდენ 4 მილიონ მარკას. ხოლო, ამბობენ, რომ 10 მილიონად ბერლინში შეიძლება იშოვო საუკეთესო გოგო. ხვალ დავტრიალდეთ?..

— მაგრამ ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ერთი საათის შემდეგ ჩვენ უნდა გავანადგუროთ ბერლინი მთელი მისი მცხოვრებლებით, —უპასუხა ვიქტორ ბრანდევომ.

პროჟექტორმა ძლიერ გაანათა სახლის კედლები, წვიმის მილები, ხიდები და წყალის საქაჩავები, 300 ტანკა გაიშალა, ალყა შემოარტყა ქალაქს და მიწასთან გასწორებას უქადდა მას. ვიქტორ ბრანდევომ ისევ დაიწყო: საქმე იწყება

— ფანჯარაში სინათლეა. იცი, ჟან, მე რალაც მეშინია! თითქოს ჩვენ დიდი ხანი ვმოგზაურობდით, თითქოს გავიარეთ არა კილოგრამები, არამედ ასეული წლები. ეს იყო ენა-გადმოგდებული სირბილი. და აი, ეხლა, ვხედავთ უდაბნოს, დასასრულს და დამსხვრეულ სანათურს. მე ეხლა განსაკუთრებით განვიცდი დროს. მე ეხლა გული კი არა, ქრონომეტრი მაქვს მკერდში.

მაგრამ ჟან ბლანკაფარმა არაფერი უპასუხა. მან დაინახა 108 ახალგაზრდა ძველი თოფებით, რომლებიც დაეცენ შეუდრეკელ და საშინელ მანქანებს და გასცა ბრძანება აემუშავებიათ მიტრალიეზები და დაეხვრიტათ ყველანი, ვინც კი ქუჩაში გამორბოდა თავის საშველად.

ვესტანდის უბანი უკვე ნანგრევებად იქცა და კაფე „Prager Diele“-ში კი მხიარული, შავ თვალ-წარბა ვიოლენზე დამკვრელი ჯერ კიდევ უკრავდა პერუანულ კაუ-ტროტს. პატივცემულმა მოქალაქემ შესვა ერთი ჭიქა ლობიოს ყავა და მიჰმართა ენს ბოოტს: უკანასკნელი კაუ-ტროტი.

— მე ძალიან ამაღელვა მომხდარმა ამბებმა. საქმე იმაშია, რომ 15 წუთის შემდეგ მე, ალბად, დავილუპები. მე ვერ მოვასწარი ვინმესთვის მეთქვა ჩემი უკანასკნელი მუშაობის შესახებ. სამი წელიწადი ვიჯექი ჩემს კაბინეტში. არავის ვხვდებოდი. არც კი ვიცოდი, რომ ერთი ომი კიდევ მოხდებოდა. მე ამოვიკითხე წარწერა ფარაონ ფერ— უნკანუნის საფლავზე, რომელიც 1925 წელს აღმოაჩინეს. მხოლოდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს დავრწმუნდი საბოლოოდ, რომ უკანასკნელ სტრიქონში ნათქვამია: **და დასასრულში სუფევს დასაწყისი.“**

ეს უკანასკნელი სიტყვებია ფარაონ ფერუნკანუნისა, რომელიც სცხოვრობდა მე-XII საუკუნეში ქრ. დაბადებამდე, ე. ი. 3.300 წლის წინად, მაგრამ მე ეს ძალიან გვიან აღმოვაჩინე. ფოსტა, მგონი, აღარ მოქმედობს. მე ეხლა დავიღუპები და ვერავინ გაიგებს, რა სთქვა ფერუნკანუნმა სიკვდილის წინ.

ამ დროს მოისმა სახლების ნგრევის საშინელი ხმაური. ორი ტანკა Kaiserallee-ის შენობების ნგრევის შემდეგ მოეშურებოდა Prager Plats-ისკენ. კაუ-ტროტი შეწყდა. ჰიქები იატაკზე გადასცვივდნენ. დამსწრეთა ნაწილი ერთი მეორის ჭყლეტით გაეშურენ გასავალისაკენ. მეორე ნაწილი, შიშით გაქვავებული, წყნარად ისხდა რბილ სავარძლებში.

პატივცემულმა ეგვიპტოლოგმა სრული დამშვიდებით მიჰმართა ენს ბოოტს:

— მიუხედავად ჩემი შრომისადმი თქვენი უყურადღებობისა მე მაინც მოგმართავთ თხოვნით: თუ მე დავიღუპე და თქვენ კი გადარჩით, ამოიღეთ ჩემი საფულედან ფურცელი, რომელზედაც დაწერილია სწორი თარგმანი ფარაონ ფერუნკანუნის აკლდამაზე წარწერისა, და გადაუგზავნეთ ჩემს ქალიშვილს ფრეილ. ელზა კრიგერს ნიურენბურგში Münchener Strasse, 11. ის, ჩემი აღმოჩენის შესახებ შეატყობინებს უცხოეთის მეცნიერებს. შეასრულეთ ეს კაცობრიობის კეთილდღეობისათვის.

ენს ბოოტმა ირონიულად გაიღიმა, მაგრამ მაინც გამოხატა თანხმობა თავის დაქნევით.

საშინლად ჰკიოდა იატაკზე დაცემული ქალი. კიდევ ერთი წუთი, და ყველაფერი დატრიალდა ქვიან გრიგალში. ენს ბოოტი და ეგვიპტოლოგი წაიქცენ. Prager Diele“-ს დაღუპვა.

ტანკი გამარჯვებულად ათამაშებდა ხარბაზნის ტუჩებს და განაგრძობდა წინსვლას.

მაგრამ არც ენს ბოოტი და არც მისი მოსაუბრე მეცნიერი გ. კრიგერი არ დახოცილან. ისინი მალე გამოირკვნენ საშინელ შერყევისაგან და ზეზე წამოდგნენ. ენს ბოოტმა გულ-მოდგინედ გაიბღერტა კირით დამტვერული პიჯაკი და პაპიროსი გააბოლა. ირგვლივ ქვები და ადამიანთა თბილი, გასრესილი გვამები ეყარა. ნანგრევიდან გამოსვლისას მათ შეჰნიშნეს კიდევ რამდენიმე გონებადაკარგული ადამიანი, რომლებიც ქვიდან ქვაზე ხტოდნენ. მათ შორის იყო კაბარე **„ალკაზარის“** პატრონიც ბრჭყვიალა აბზინდებით მორთულ კაბით.

ენს ბოოტმა და კრიგერმა ხელი-ხელს ჩაჰკიდეს და ისე ცდილობდნენ სვლას, ენს ბოოტმა დანამდვილებით იცოდა, რომ არ მოკვდებოდა, რადგანაც **„ტრესტი დ. ე.“** მხოლოდ ეხლა შეუდგა მუშა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ობას. როდესაც ის ვარსკვლავების ოქროს მტვერს უყურებდა—და ფიქრობდა წერილებზე, რომლებიც ხვალ უნდა გადაეგზავნა პარიზში

მათკენ ახლოვდება ერთი ტანკი.

ა. კრიგერმა უთხრა ენს ბოოტს:

— ნუთუ თქვენ არ გესმით, ვის სჭირდება ფარაონ ფერუნკანუნის საფლავის წარწერები?—მე, თქვენ, ამ კაცს კაბაში, ტანკში მსხდომ ჯარისკაცებს, ყველას, საერთოდ ყველას, მე ვხედავ ათას წლების შავსა და გრძელ დერეფანს, ის უკან არის. თქვენ გახსოვთ ფარაონის სიტყვები?

„და დასასრულში"...

ბ. კრიგერმა ვერ დაათავა ფარაონ ფერუნკანუნის სანუგეშო აფორიზმი. ის დაეცა მახლობლად მიმავალ ტანკის მიტრალიეზის ვიწრო ლულიდან გამოსროლილი ტყვიით განგმირული. ფოლადის მწერის შიგნით იდგა ვიქტორ ბრანდევო და ცარიელ შუშის თვალებით გაჰყურებდა ათას წლების შავსა და გრძელ დერეფანს. ბ. კრიგერის სიკვდილი.

17.

## როდესაც ჰყვავის ნუში.

როგორც ზემონათქვამიდან სჩანს, ენს ბოოტს არავითარი საქმე არ ჰქონდა მე-18-ე დინასტიის ფარაონის აფორიზმებთან. მაგრამ მეტად პატიოსანი იყო: დაპირებას ყოველთვის ასრულებდა. 20 ივნისი 1928 წ.

ზაფხულის მშვენიერი დღე იდგა შპრეეს ველზე, სადაც სულ ახლო წარსულში ქალაქის ხმაურობით დაღლილი ბერლინელები ისვენებდნენ, გარბოდენ უბრალო ქალები და მამაკაცები, ქარისაგან აწეწილ საყელოებით, გარბოდენ გულშემზარავ ყვირილით, იგლეჯდენ ტანსაცმელს ეკლიან ბუჩქნარზე, ხტოდენ, ეცემოდენ და გარბოდენ ისე, როგორც გაურბის ჯუნგლის ნადირი ცეცხლ-მოდებულ ტყეს! ეს უბედურნი იყვნენ ის ბედნიერები, რომლებიც გადაურჩენ ტანკების გასრესას და ტყვიებს:

დაახლოვებით 8.000 ბერლინელი გადაურჩა ბ ფელიქს ბრანდევოს პირველ სანქციას.

მათ შორის მშვიდათ მიაბიჯებდა ენს ბოოტი პატარა გაცვეთილ პორტფელით, ის ყოველთვის ასრულებდა თავის სიტყვას. ის არამც თუ ევროპის განადგურებას შეჰპირდა მისტერ ჯებსს, ხარდაილს და ტვაივტს, არამედ გუშინაც,—გარდაცვალებულ კრიგერის თხოვნაზე ფრ. ელზასათვის ფურცელის გადაცემის შესახებ, თავის დახრით უპასუხა.

რასაკვირველია, თავის დახრა უფრო ადვილი იყო, ვიდრე საშინელებით მოცულ გერმანიაზე გავლით ნიურენბერგში შეხვედრა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ენს ბოოტი, როგორც ყველა კარგი ფირმა არ გაურბოდა არავითარ ხარჯებს.

მოტოციკლეტის მოპარვა.

შუადღით, დაბა ბიტერფელდში მისვლისას, მან აილო სიგარების დუქანთან მიყუდებული მოტოციკლეტი ისე, რომ, სამწუხაროდ, ვერ მოელაპარაკა მის პატრონს და გაემგზავრა სამხრეთისაკენ.

უცნაურ სანახაობას წარმოადგენდა იმ დღეებში გერმანეთი. ფრანგმა მფრინავებმა ტრინიტროტოლუოლით გატენილ ყუმბარების ჩამოყრით უკვე გაანადგურეს მთელი რიგი ქალაქებისა: შტუტგარდტი, დრეზდენი, ბრესლავლი და სხვა. ამის გარდა ლიანდაგის სრული დაზიანებით მათ მოსპეს მატარებლების ყოველგვარი მოძრაობა. ერთმანეთს მოწყვეტილი, გადარჩენილი ქალაქები განაგრძობდენ არსებობას ყველა თავისი განსაკუთრებული ცხოვრებით, ან,—უკეთ რომ ვსთქვათ,—ყველა მათგანი თავისებურად ემზადებოდა რევოლიუციისათვის.

სამოქალაქო ომი ლეიპციგში.

როდესაც ენს ბოოტი ლეიპციგში მოხვდა, ქალაქი სამოქალაქო ომის ალში იყო გახვეული. თუმც ცენტრალური მთავრობა ტანკების ქვეშ დაიღუპა ბერლინში, მაგრამ ლეიპციგის სოციალისტები მაინც მხარს უჭერდენ მათი ძალა-უფლების შენარჩუნებას. ლეიპციგის კომუნისტები გამოვიდნენ მათ წინააღმდეგ და მოითხოვეს სრულიად გერმანეთის ქარხკომების ყრილობის მოწვევა. ბრძოლა მთელი დღე გრძელდებოდა. საღამოზე კომუნისტებმა გაიმარჯვეს. მეორე დილისათვის დანიშნული იყო რევოლიუციის მსხვერპლთა საზეიმო დაკრძალვა. მაგრამ, ნაშუადღევის 2 საათზე, ლეიპციგი ფრანგებმა გაანადგურეს.

ლეიპციგიდან ენს ბოოტი მოხვდა გალლეში. იქ, პირიქით, სრული სიმშვიდე სუფევდა. განადგურებულ ქალაქებიდან ლტოლვილთა მოზღვავებამ ვაჭრობა გამოაცოცხლა. ყველა საკონდიტროები სავსე იყო ხალხით, და ასწლოვან მუხის მაგვარი, მაღალი ბაუმკუხენები ერთ წუთში თავდებოდა. ქალაქის საბჭო არჩევდა საკითხს ძაღლებზე ახალ გადასახადის დაწესების შესახებ. საზოგადო ბაღის ორკესტრი ასრულებდა ნაწყვეტებს მეიერბერის ოპერებიდან. საღამოს 9 საათზე მოახლეებს აუცილებელ სეირნობისათვის გამოჰყავდათ 4.000 ძაღლი, რომლებიც გადასახადს იხდიდენ. ნახტლოკალში ცეკვავდა ორი, ორმოც წლიანი მეტად ლამაზი ქალი დები ემმა და მინა ლეიზერ, სრულიად შიშველნი. ისინი მხიარულად იღიმებოდენ და ოფლის სუნი ასდიოდათ. ღამით, 1 ივლისს გალლეც გაანადგურეს.

გალლე იღუპება.

მთელ მხარეში დაეხეტებოდენ „ნაციონალურ თვით დაცვის რაზმები“ ინვალიდები და მოსწავლენი. მტერს რომ არ ხედავდენ, ისინი ჰაერში ისროდენ 1914 წლის ნიმუშის დაჟანგულ ვინტოვკებიდან. შეშინებული ქალები მუხლ მოდრეკით ევედრებოდენ რაზმელებს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნუ აბრაზებთ მას! იქ ხომ... იქ ხომ... ბ. ფელიქს ბრანდევოა.

მინდვრად მოხეტიალე შეშლილი ქალები ბევრი იყო. აგრეთვე მამაკაცებიც. ისინი ბოლოკით და მოუხარშავ სელდებით იკვებებოდენ. ზოგიერთი კითხულობდა ბიბლიას, რადგან გაზეთები, რასაკვირველია, არ გამოდიოდენ.

ენს ბოოტს გაეხარდა, როდესაც მიაწია ბამბერგს. ჯერ ერთი, მან მოახერხა რამოდენიმე საქმიან წერილის გადაგზავნა პარიზში, ვარშავაში და ბუქარესტში. მეორეც, მან დაინახა ნამდვილი მატარებელი — და ეს მატარებელი მიდიოდა სწორედ იქ, საითაც მას უნდოდა წასვლა მოტოციკლეტის გატეხის შემდეგ. ბამბერგის მცხოვრებლები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი და ირწმუნებოდენ, რომ ნიურენბერგში იდეალური სიწყნარე სუფევდა.

ბამბერგელების ოპტიმიზმი.

ენს ბოოტი ჩაჯდა ვაგონ-რესტორანში, მოითხოვა შნიცელი. გაერთო ოცნებაში. მას მოაგონდა წარსული წლები, როდესაც ის არ ფიქრობდა **„ტრესტ დ. ე.“**-ზე, დასეირნობდა ევროპაში და ეცნობოდა სხვადასხვა ქვეყნების პეიზაჟებსა და ჩვეულებებს მაშინ ის იისფერი პიჟამა ჰქონდა, ეხლა ამ პიჟამას ატარებს მისი საქმის მწარმოებელი ბ. ნოგაინი. საინტერესოა, კმაყოფილია თუ არა ბ. ჟან ბლანკაფარი თავის მშვენიერ მეუღლით?..

ასე ფიქრობდა ენს ბოოტი და შეექცეოდა ვენურად მომზადებულ შნიცელს. გამოჩნდა ნიურენბერგის ეკლესიების გოტიური კოშკები. ენს ბოოტს უყვარდა ეს ქალაქი და, მიუხედავად იმისა, რომ მას **„ტრესტ დ. ე.“**-ს დირექტორის პოსტი ეჭირა, მაინც გაეხარდა, რომ ბამბერგელების სიტყვა გამართლდა. ფრანგებს ჯერ ვერ მოესწროთ ნიურენბერგის დანგრევა. ის მოასწრებს ამ ქალაქის ძველებურ ქუჩებზე სიარულს და ფრ. ელზა კრიგერს გადასცემს მოკითხვას დაღუპულ მამისაგან.

გრილი და მოწმენდილი დილა იყო — წინა ღამით წვიმდა და ამიტომ ცაზე გარკვევით მოსჩანდა ქარხნების მილები, ეკლესიების გუმბათები და სახლების წვეტიანი სახურავები.

ბაქანი სრულიად ცარიელი იყო. მგზავრებმა ვერ იპოვეს ვერც ერთი ტვირთმზიდავი. სკამზე იჯდა სადგურის უფროსის თანაშემწე. მას, ალბად, ისე მაგრად ეძინა, რომ არც კი გაუგონია მატარებლის ხმაური. ენს ბოოტს წესრიგი უყვარდა, ამიტომ ის მიუახლოვდა მას, მხარზე ხელი დაადო და შეჰყვირა:

— პატივცემულო თანაშემწევ, გაიღვიძეთ!

მაგრამ ბ. თანაშემწეს არ შეეძლო შეესრულებია ენს ბოოტის სრულიად სამართლიანი მოთხოვნილება.

საკითხი თანაშემწის შესახებ.

ამის დანახვაზე მგზავრები ერთი წუთით დაფიქრების შემდეგ უცბად შესცვივდენ ახლად დაცარიელებულ ვაგონებში. ცხადია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ნიურენბერგს არ ჰქონდა მათ შორის არავითარი გასავალი. გაისმა საყვირის ხმა, და მატარებელი დაიძრა უკან—ბამბერგისაკენ.

მაგრამ მატარებელი ბამბერგიდან გავიდა დილის 7 საათზე, ხოლო უკან დაბრუნდა 11-ზე.—ცოტა დრო არ არის. ბამბერგი აღარ იყო. დიდხანს მიდიოდა მატარებელი იმავე გზით და, ბოლოს, ტრიალ მინდორში შეჩერდა. მეორე კლასის ვაგონიდან გამოვიდა მსხვილი ბავარიელი ტიროლის ქუდით, შეჭამა უკანასკნელი ბუტერბროდი და დაიწყო ტირილი. ბავარიელის გამოსვლა.

როდესაც ყველა მგზავრები საჩქაროდ გავიდნენ ნიურენბერგიდან ბამბერგში, ბაქანზე დარჩა ერთი კაცი, თუ არ ჩავთვლით სადგურის უფროს თანაშემწეს. (მისი ჩათვლა არც კი ღირს). იყო ენს ბოოტი. ის ხომ შეპირებული იყო გადაეცა ფრ. ელზასთვის ბ. კრიგერის ფურცელი.

საღამოს 9 სააათზე ენს ბოოტის ნიურენბერგში ჩასვლის წინ ფრ. ელზა კრიგერი იდგა პატარა სახლის აივანზე, Münchenerstr. № 11, და იღიმებოდა. აივნის ირგვლივ ჰერანი ჰყვაოდა. აივნის ზემოდ ვარსკლავები ბრწყინავდნენ და მოისმოდა ეკლესიის ზარების ტკბილი ხმა. მაგრამ ამიტომ კი არ იღიმებოდა ელზა. მის გვერდით იდგა სათამაშოების მაღაზიის ნოქარი, ქვეყნისათვის ჯერ კიდევ უცნობი ახალგაზრდა პოეტი განს მიულერი. ღიმილი მეტად უხდებოდა ქერა-თმიან ელზას და ამ წუთს მისი სახე წააგავდა შვაბის ვენერას, რომელსაც გამოხატავდა ხოლმე ნიურენბერგის რომელიმე მხატვარი მე-XV საუკუნეში. ელზა უღიმოდა განსს, და განსი კი—ელზას.

ჩვენთვის ძნელია დაღუპულ ევროპის ზნე-ჩვეულებების წარმოდგენა. როგორ შეეძლოთ ახალგაზრდებს, მუშაობის, სპორტის ან ძილის ნაცვლად, მთელი საათები გაეტარებიათ ერთიმეორისადმი უაზრო ღიმილში,—ეს ჩვენთვის აუხსნელ ამოცანად დარჩება. ამგვარი მოვლენები უნდა მივაწეროთ, ალბად, ზემოხსენებულ ფსიქიურ ავადმყოფობას, რომელსაც **„სიყვარული“** ეწოდება.

ელზამ უთხრა განსს:

— მეზობლები ყბედობენ, ვითომც ბერლინი განადგურებულია. ნაშ ჩვენც დავიღუპებით?

— დიახ, ელზა, ჩვენ უსათუოდ დავიღუპებით. მაგრამ მე თქვენ მიყვარხართ, ელზა!..

და ძირს დაუშვა თვალები. ელზამაც თვალები დახარა. ორივე იდგენ გაჩუმებულნი. ვარსკვლავები ციმციმებდენ. მოისმოდა ზარების რეკა.

ელზამ პატარა სარწყავი აიღო და ჰერანს ოდნავ მიასხურა წყალი. მაშინ განსმა დაიწყო თავის უკანასკნელი ლექსის კითხვა

ბაგეთა ხმა ისე შეგვიანდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდვა

რომ თუ მტვრად გადაიქცა ფოლადი,
მხოლოდ მწუხრი, ნელი ქროლვა დარჩება,
ვარდისფერი ნუში და მძიმე ლოდი.

მაგრამ მან, არ დაასრულა, რადგანაც მისი ტუჩები შევების ვენერის ვარდისფერ ტუჩებთან ახლო იყო. კოცნა დიდ ხანს გაგრძელდა. ელზამ თავი მაღლა ასწია, ვარსკვლავებს შეხედა და წაიჩურჩულა:

— ეს თქვენ ლექსებს წააგავს. გესმით—სკდებიან ციკადები...

მართლაც, მთელი ცა სავსე იყო ვერცხლის მსუბუქ გუგუნით. მათ ისევ გადაკოცნეს ერთმანეთი. განს არ გაუშვია ხელი ჩახუტებულ ელზასათვის და ისე უპასუხა;

— დიახ, ეს სამხრეთის ღამეა და გესმის, ნუში ჰყავის ეს არ იყო პოეტური ილიუზია. ელზამაც იგრძნო მწარე ნუშის სუნი.

— ელზა. გესმის?...

მაგრამ ელზამ არ უპასუხა. მას არც შეეძლო ეპასუხნა და არც განს შეეძლო კითხვის გამეორება.

ეს იყო, დაახლოვებით, საღამოს 10 საათზე დილის 9 საათზე კი ენს ბოოტი გამოვ იდა სადგურიდან და დაიწყო Münchenerstrasse-ს ძებნა.

ის შევიდა კაფეში სადგურის პირდაპირ. კაფეში მოსიარულენი არა ჩვეულებრივად გაშხლართულნი ისხდენ სავარძლებში. ზოგიერთი იატაკზე იწვა შეუსმელი ლუდის სასმისები ოქროსფერად ბრჭყვია ლებდენ მზის სხივებზე. გეგონებოდათ ეს იყო დილა ქეიფის შემდეგ და ირგვლივ ლოთებს ეძინათ. მაგრამ ენს ბოოტი, რომელიც ახლო ხან მეტად ახლო იდგა ბ. თანაშემწესთან ეხლა აღარ უცდია გაელვიძებინა კაფეს სტუმრები. ის გარედ გავიდა.

მოედანზე მონახა ავტომობილი, ჩაჯდა უძრავი შოფერის გვერდით და გაემგზავრა. ირგვლივ სიჩუმე იყო. მხიარულად ბრწყინავდენ სახლების წითელი კრამიტები. დროგამოშვებით ენს ბოოტი აჩერებდა მანქანას და სახლებში შედიოდა. სათამაშოების ფაბრიკაში დაუმთავრებელ ტიკინების გვერდით ისვენებდენ მუშები. ეს ღამის მორიგე მუშები იყვნენ. ერთი მათგანი დათვის ბელს ჰკოცნიდა.

ვიღაც სხვის საწოლ ოთახში ცოლ-ქმარს ეძინა. ქმარს თავზე საღამური ქუდი ეხურა, ცოლს კი თავსახური. ღამის პატარა მაგიდაზე საათი მუშაობდა და აჩვენებდა 9 ს. 40 წ.

მყუდრო ოჯახი

ქალაქის სათამაშო ყავახანაში ისხდენ 9 კაცი მაგიდის გარშემო და მწვანე მაგიდას დაჰყურებდენ. ასიგნაციების დასტა ამტკიცებდა, რომ შაგვრიმანს თამაშში ბედი ულიმოდა. მან ეს-ეს იყო ბანკი მოხსნა ცხრიანით.

ერთი საათის შემდეგ ენს ბოოტმა მონახა Müuchenerstrashe. მიუახლოვდა № 11-ს და დაინახა ორი გადახვეული შეყვარებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისინი აივნის მაგიდაზე გადაწოლილიყვნენ. ელზას გაშავებული სახე აღარ წააგავდა ვენერას, განსს კი მუქის ფერი ხორციანი ენა გადმოეგდო.

ენს ბოოტმა ვერ შეასრულა კრიგერის თხოვნა. მან დაიგვიანა სრული 12 საათით. საღამოს 10 საათზე 600 ფრანგმა მფრინავმა ნიურენბერგში ჩამოჰყარა მოწამლული ყუმბარები და ელზა კრიგერმა გაიზიარა ბედი 420.000 მცხოვრებლებისა, რომლებიც 2 წუთის განმაელობაში დაიღუპნენ მოწამლულ გაზებისაგან.

ნიურენბერგი დაიხრჩო 12 აგვისტოს 1928 წ.

ქალაქი ცარიელი იყო, ან,-უკეთ რომ ვსთქვათ,-სავსე იყო გაშავებულ, მოკრუნჩხულ და გახრწნილ გვამებით. ივლისის მზე უკვე ძლიერ აცხუნებდა და მყრალმა სუნმა სუნთქვა შეუხუთა ენს ბოოტს. მან დააჩქარა ქალაქიდან გასვლა.

უცბად, ერთ-ერთ ქუჩაზე მან დაინახა ცოცხალი ადამიანი. ეს მოჩვენება კი არ იყო, არამედ სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც ყალიონს აბოლებდა. ეს კაცი მიუახლოვდა ენს ბოოტს, მოიხადა ტყავის ქუდი და გულუბრყვილოდ გაუზიარა მას თავისი შთაბეჭდილებანი.

— მშვენიერი ისტორიაა! თქვენ თითონ წარმოიდგინეთ. მე მხოლოდ ვმუშაობდი და სხვა არაფერი. კანალიზაციის მუშა ვარ. ხელობა მაინც და მაინც სასიამოვნო არ არის. უმთავრესი ნაკლი ის აქვს, რომ ძალიან ჰყარს, მაგრამ, არა უშავს, მიეჩვევა ადამიანი. და, აი, როგორც მოგახსენეთ, მე ვმუშაობდი, დილით გამოვდივარ და... არც ერთი ადამიანი! ვინც გამირიგდა და ფული უნდა მოეცა,—ისიც კი მომიკვდა, რა სულელური მდგომარეობაა! კანალიზაცია, ალბად, აღარავის დაჭირდება. ეხლა მე უმუშევარი ვარ.

— თქვენ მხიარული ადამიანი ყოფილხართ!—უპასუხა ენს ბოოტმა,—რა დაგრჩენიათ ევროპაში? მე მოგცემთ დავალებას ამერიკაში, წაუღეთ წერილი მისტერ ტვაიტს ჩიკაგოში და იქ გექნებათ სამუშაო თქვენი სპეციალობის მიხედვით. სამგზავროდ მაიღებთ 1000 დოლარს.

კაცმა მოიხადა ქუდი, დაიხურა და ისევ მოიხადა: ის თანახმაიყო.

ენს ბოოტი სწერდა მისტერ ტვაიტს:

„გიგზავნით ვიღაც ფარაონ ფერუნკანუნის სიკვდილის წინ დაწერილ სიტყვების სწორ თარგმანს. მთარგმელი, ბ. კრიგერი, გარდაიცვალა ბერლინში მომხდარ მძიმე ინციდენტების დროს, ა. წ. 28 ივნისს. რაც შეეხება ფარაონს, ის გარდაცვლილა 3.300 წლის წინად. ამას გიგზავნით თქვენ, როგორც ჩვენი ეპოქის ყველაზე ცოცხალ ადამიანს.

დღეს ვათვალიერებდი ქ. ნიურენბერგს. ბევრი რამარის საინტერესო და სამაგალითო. ვნახე აივანზე მკვდარი შეყვარებულები, რომლებიც ისევ გადახვეულნი არიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე კარგად და ჯანსაღად ვარ და ვმუშაობ შეუსვენებლივ“.

ერთი თვის შემდეგ, მისტერ ტვაივტმა ამ წერილის წაკითხვის შემდეგ გაიფიქრა: 3.300 წლის წინად გარდაცვლილი ფარაონი არც ისე სულელია, როგორც გვეჩვენება. ერთი წარმოების დასასრული ყოველთვის ნიშნავს მეორის დაბადებას.

მისტერ ტვაივტმა ჩასწერა თავის ბლოკნოტში:

უ ნ დ ა:

1. **„განვავითარო ფარაონის აზრი“.**
3. **„ვილოცო ბ. კრიგერის სულისათვის“.**

შემდეგ ცოტა ხნით ჩაფიქრდა და მიაწერა:

3. **მკვდარი შეყვარებულები უნდა გავკიცხო და დავივიწყო“**

18.

„იძლევი ევროპას“.

გაზეთი „**Daile Maile**“-ის 1930 წ. 31 დეკემბრის №-ში მოთავსებული იყო მიმდინარე წლის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ამბების მიმოხილვა. 31 დეკემბერი 1930 წ.

1. გერმანეთი საბოლოოთ მოისპო. 55-მილიონ მცხოვრებიდან დარჩა არა უმეტეს 100.000-სა. მიდამო, რეინიდან—ოდერამდე გადაიქცა უზარ-მაზარ უდაბნოთ—სადაც დაძრწიან ყაჩაღთა ბრბოები გერმანეთი განადგურებულია.

მიმოსვლა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის შორის სწარმოებს შემდეგი ხაზით: პარიზი—ბაზელი—ვენა—ვარშავა—მოსკოვი.

ბ. ჟან ბლანკაფარი, პრემიერის ძმიხწულთან მეგობრობით, მეტად გამდიდრდა—და თავის მეუღლეს ქ-ბ. ლიუსი ფლამენგო ბლანკაფარს აჩუქა სასახლე—ვენეციაში, რომელიც წინათ მარკიზ ფერუჩინოს ეკუთვნოდა, მთელი თავის ცოცხალ და მკვდარ ინვენტარით, ე. ი. მშვენიერ გონდოლიერით, მანდალინისტებით, ვერონეზის სურათებით და ლოგინის კარგი თეთრეულით. ლიუსიმ მიიღო სასახლე

3. ციურიხში შესდგა „მუშათა ორგანიზაციების საერთაშორისო კონგრესი: ევროპის საბოლოოდ დაღუპვის ასაცდენად“. მიღებულ იქმნა საპროტესტო რეზოლიუცია. გერმანელმა დელეგატმა ამხ. გრინბახმა, წინადადება შეიტანა უფრო ენერგიული ზომების მიღების შესახებ მაგრამ ის უარყოფილ იქნა. ინგლისის მუშები, გერმანეთის განადგურების და ინგლისის წარმოების აყვავების გამო, თავს კარგათ გრძნობდენ. ფრანგები-კი ყველანი ჯარში იყვნენ გაწვეული და კონსტიტუციის კანონების ძალით, არ ჰქონდათ უფლება—პოლიტიკურ ბრძოლაში მიეღოთ რაიმე მონაწილეობა. რაც შეეხება ამხ. გრინბახს, ის სამწუხაროთ, არავის წარმომადგენელი არ იყო, გარდა მუშათა კონგრესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარ თავისა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გერმანეთი ამ დროს აღარ არსებობდა. რუსმა დელეგატებმა არ დაუჭირეს მხარი ამხ. გრინბახის წინადადებას, ვინაიდან, მათი აზრით, ის არ იყო საკმაოდ გაბედული, სხვათა შორის კონგრესი დასრულდა „ინტერნაციონალის“ ერთ სულოვან სიმღერით.

4. ბ. ფელიქს ბრანდევოს მოღვაწეობით აღტაცებულმა ენს ბოოტმა, აჩუქა მას ბრინჯაოს პრეს-პაპიე, რომელიც ფარაონ ფეროუნკანუნის აკლდამის პირი იყო.

პრეს-პაპიე.

5. ინგლისის პრემიერმა, სერ ბრანდვაიმ განაცხადა დიდ ნადიმზე, რომელიც მას, „ევროპის დემოკრატიულ ემანსიპაციის ლიგამ“ გადაუხადა რომ ერთად ერთ საშიშროებას ევროპის მშვიდობიანობისათვის, რუსეთი წარმოადგენს.

რუსეთი ასანთია.

6. 1930 წელს საფრანგეთში მეტათ დაეცა სარდინების მრეწველობა, და ბ. ფელიქს ბრანდევო სრულებით არ ნანობს, რომ მას სამი წლის წინათ აზრად მოუვიდა, დაუპატიჟებლათ შესულიყო დეპუტატთა პალატაში.

სარდინები არ იშოვეს.

7. საშობაო დღესასწაულების დროს ვარშავა და ბუქარესტი ზეიმით შეხვდა „ფრანგულ, კულტურის გამავრცელებელ საზოგადოების“ წარმომადგენლებს. დადგმული იქმნა საზეიმო წარმოდგენები. პოლონელები ცეკვავდენ მაზურკას. რუმინელები უკრავდენ გიტარაზე. ფრანგები ტაშსა სცემდენ და ვახშმობდენ.

პოლონელები და რუმინელები მუშაობენ.

„Dail mail“-ის საახალწლო ნომერი თავდება სასიხარულო აკორდით.

„მიუხედავათ ზოგიერთ დაბრკოლებისა, ევროპა ჩქარი ნაბიჯით მიდის აღორძინებისაკენ. და ასე, გილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო მკითხველებო.“

"Dail Mail"-ის საახალწლო ნომერი, თავის დროზე დაურიგდა ხელის მომწერლებს, 31 დეკემბერს 1930 წ. საღამოს 7 საათისათვის.

ამ დროს ენს ბოოტი მოსკოვის თოვლიან ქუჩებზე დასეირნობდა. ის იყო მხიარულ გუნებაზე და „Dail Mail“-ის შორეულ რედაქტორის თავაზიან მილოცვის საპასუხოთ მზათ იყო დაეყვირა:

— მოგილოცავთ ახალ წელს! ახალ ბედნიერებას!

მოსკოვი ემზადებოდა ახალ წლის შესახვედრათ და ისიც კარგ გუნებაზე იყო. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. დიდმა ადმინისტრატიულმა და ფინანსიურმა ცვლილებებმა, რომელიც გასულ წელს მოხდა, ხელი შეუწყვეს რუსეთის მრეწველობის განვითარებას. იშვიათმა მოსავალმა, საბოლოვოთ შეავსო წარსული წლების დანაკლისი. მართალია, გერმანეთის დალუპვამ შესამჩნევი ზარალი მიაყენა რესპუბლიკის მეურნეობას, მაგრამ 1930 წლიდან მან ხშირ ხშირათ დაიწყო აღმოსავლეთისკენ ყურება. 1925 წლის ომის შემდეგ დასავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-თის განაპირა ქვეყნები ჯერაც კიდევ ვერ დამდგარიყვნენ ფეხზე. პე-ტერბურგი მიყრუებულ შტატ-გარეშე მყოფ პატარა ქალაქად გადაიქცა, სადაც უმთავრესად სცხოვრობდენ, არქეოლოგები. რევოლიუციის ინვალიდები და ხან გადასული ბალერინები.

რუსეთის ყველაზე მძლავრ და მდიდარ კუთხეთ ციმბირი ითვლებოდა. ამერიკულ კაპიტალის და თვით ციმბირელების ენერგიის წყალობით ამ მხარემ, რომელიც 20 წლის წინათ კატორღელთა საცხოვრებელ ადგილათ ითვლებოდა, დაჩრდილა კანადა. ირკუტსკი და ჩიტა ამიერიდან არ ჩამოუვარდებოდენ კარგ ამერიკულ ქალაქებს. რაც შეეხება ვლადივასტოკს, მას მაშინვე ემჩნეოდა, რომ 20 წლის შემდეგ ის სან-ფრანცისკოს მეტოქე გახდებოდა. სწორედ რომ ვთქვათ რუსეთი იწყებოდა ვოლგიდან,

ლტოლვა
აღმოსავლე-
თისაკენ.

მოსკოვი წარმოადგენდა უცნაურ მაგალითს: ვეებერთელა, მჭიდროთ დასახლებული ცენტრი, მთელი რესპუბლიკის სატახტო ქალაქი, რომელიც განაგებდა აზიის რუსეთს, როგორც ახალშენს, ის ამასთანავე წარმოადგენდა თითქმის მოსაზღვრე ქალაქს, რადგანაც მისგან, დასავლეთით, იმყოფებოდენ დარბეული და ნაკლებათ დასახლებული ოლქები.

მაგრამ, მოსკოვი ჯერ კიდევ მაინც სატახტო ქალაქი იყო. ტრესტების სამართველოებში ისმოდა კაკანი „უნდერვუდების“. მაღაზიები სავსე იყო საქონლით, სკოლები —პროფესორებით, და სამიკიტნოები-ღვინოებით. ახალი წელი ყველას ჰპირდებოდა ბედნიერებას და გამარჯვებას.

ლაპარაკობდენ დასავლეთის გუბერნიის აღდგენაზეც-კი. ციმბირის დიდმა ტრესტმა გამოიმუშავა პროექტი პინსკის ჭაობების ექსპლოატაციის შესახებ.

მხოლოდ ზოგიერთი პესიმისტები, რომლებსაც ახსოვდათ 1920 და 1925 წლები, მტრულათ უბღვეროდნენ დასავლეთით მდებარე მეზობლებს. ექსპერიმენტი, რომელიც ფელიქს ბრანდევუმ მოახდინა გერმანიაზე მეტათ ჭკუის დამრიგებელი გაკვეთილი იყო მათთვის, მაგრამ ისინი, ხომ ამიტომ იყვენ პესიმისტები.

მცხოვრებლები დამშვიდებულათ გრძნობდნენ თავს: რუსეთის დასავლეთის საზღვრები კარგათ იყო გამაგრებული. ამასთანავე ამ მოკლე ხანში, „ფრანგულ კულტურის გამავრცელებელი საზოგადოების“ დელეგაციის მიღების დროს, პოლონეთის და რუმინეთის პრემიერებმა ბ. ბ. ტშეტეშევსკიმ და გროსოტეევსკიმ გამოაქვეყნეს თავის სამშვიდობო განზრახვები.

ამ რიგათ, მოსკოვს ჰქონდა საფუძველი დამშვიდებით შეხვედროდა ახალს 1931 წელს. თევზეულობის ტრესტის გამგეობაში მოქალაქე ილინი ათვალიერებდა ანგარიშებს და ბალანსს, ის ეწეოდა შავ მანილის სიგარას და ძნელი იყო მისი გარჩევა ამერიკის ფოლადის მეფისაგან.

თევზეულო-
ბის ტრესტი
ყვავდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის მისტერ ჯებსისაგან, სამწუხაროთ, მოქალაქე ილინს ჯერ-დევ არ ჰქონდა ბრუნვა სკამი, მაგრამ ეს ერთად ერთი ნაკლი იყო. მოქალაქე ილინი ისე, როგორც მისტერ ჯებსი, სცხოვრობდა წუთებით. ფიქრობდა მხოლოდ და მხოლოდ ციფრებით,—მილიონ ტონნ თევზებით, და მილიარდ მანეთებით. ძილის დროს აქნევდა ხელებს და ფეხებს, რადგან მას ელანდებოდა, რომ ის მიდიოდა ტრესტის გამგეობის სხდომაზე, და სიზმარში აწერდა ხელს არაჩვეულებრივ დიდ ანგარიშებზე, მოითხოვდა რა მთავ ზეცისაგან მთავწყლების ხარჯთ-აღრიცხვის განაღდებას, დაზამხულ მთავთევზის ტრილიონ კილოგრამების შესანახად. უკანასკნელი, რასაკვირველია, სიზმარი იყო და სინამდვილეში კი მოქალაქე ილინი წარმოადგენდა პრაქტიკულობის ნიმუშს.

ანგარიშების და ბალანსების გადათვალიერების შემდეგ მან კმაყოფილათ გაიღიმა;

— საუცხოვო წელიწადია, საფრანგეთში კი სარდინები სრულებით გაწყდენ. ცხადი დაპირისპირებაა!

ამის შემდეგ მოქალაქე ილინმა გაანაწილა ღამე შემდეგნაირათ: „დრო—ფულია.
11 ს. და 30 წ.-დან 11 ს. 59 წ.-მდე ორი ბივშტეკსი და პარფე, 12 საათზე შეხვედრა, 12 ს.—1 წ-დან—12 ს. 14 წ-მდე ტოსტები, 12 ს. 15 ს-დან—12 ს. 30 წ-მდე დასვენება და ყავა, 12 ს. 30 წ-დან—12 ს. 42 წ-მდე ავტომობილით პეტროვკა—არბატ, 12 ს. 43 წ-დან—1 საათამდე ქალების ალერსი. შემდეგ ძილი.

და, რადგან უკვე 11 ს. და 23 წ. იყო, მოქალაქე ილინმა ჩაირბინა ქვევით. ვილაც მართმადიდებელმა დედაბერმა, რომელიც ჩიკაგოს პროსპექტებზე მოხეტიალე ქალს წააგავდა, შიშით გადაიწერა პირჯვარი:

დასწყევლოს ღმერთმა, კინაღამ დამამტვრია! მერიკანელო!

მოქალაქე ილინი თავის დროზე შევიდა რესტორან „ეკცენტრიკ“-ში. იქ მოგროვილიყვნენ მოსკოვის ყველა ტრესტების მმართველები. ისინი საქმიანათ სჭამდნენ თვითეული სამ ოთხ ბივშტეკს და არ კადრულობდნენ წვნიანს. მხოლოდ სმის დროს იცავდნენ ბებერ ევროპის ტრადიციებს—ყველა ვალდებულათ სთვლიდა თავს ესვათ ფრანგული შამპანიური, თან კი ზიზღით იფურთხებოდნენ, რადგან გულში ამჯობინებდნენ კარგ, წმინდა სპირტს.

ყველას გადააჭარბა მოქალაქე საპიანმა. მან შესჭამა 8 ბივშტეკსი,—დალია 5 ბოთლი შამპანიური და გაამზადა წასაყვანათ 11 სხვა და სხვა ჯურის ქალი. სწორეთ, შუაღამისას, როდესაც წამის ისარი უჩვენებდა 60,—მოქალაქე ხაპიანი წამოდგა და დაიწყო რესპუბლიკის ჰიმნის სიმღერა:

„ალსდეგ მშიერო, წამებულნო, ინტერნა-
მონებო მთელი ქვეყნისა“!.. ციონალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა, ვინც კი ლექავდა ბივშტექს და ჰყლაპავდა შამპანიურს, მაშინვე ფიცხლათ წამოდგა ფეხზე.

იმავე სიმღერას მღეროდენ მეამბოხენი, მეოცნებენი და ასკეტები, რომლებიც კომინტერნის შენობაში, ამხანაგურ საღამოზე შეკრებილიყვნენ. გერმანეთის კომუნისტურ პარტიის წარმომადგენელმა წარმოსთქვა სიტყვა:

— მომაკვდავ ბურჟუაზიის უგუნურებამ და პროლეტარიატის ბელადების გაუბედაობამ, უკვე დაღუპეს გერმანეთი, მაგრამ ეს იმპერიალიზმის, პიროსისებური გამარჯვებაა. ჩვენ სრული იმედით შეგვიძლიან ვუცქიროთ მომავალს. საერთაშორისო კონგრესზე, ჟენევაში, ჩვენმა რეზოლიუციამ მთელი ხმების $^1/_6$ მიიღო. თან და თანობით პროლეტარიატი თავისუფლდება ილიუზიებისაგან.

ყველა დამსწრემ აიღო ლუდით სავსე ჭიქები და ეოთმანეთს მიაჯახეს. საფრანგეთის კომპარტიის თავმჯდომარემ, ამხანაგ ლორანსმა, მაგრათ ჩამოართვა ხელი ამხანაგ გეკელს და გადაჭრით მიჰმართა:

დაუვიწყარი ხელისჩამორთმევა.

— ადრე თუ გვიან, საფრანგეთში მოხდება რევოლიუცია (როგორც შემდეგ მკითხველი დაინახავს, ის სრულიად მართალი იყო და ჩვენ მას წინასწარმეტყველს დაუძახებდით, რომ არ ვიცოდეთ, — ადრე თუ გვიან ყველაფერი ცხოვრებაში ხდება).

ენს ბოოტი არ ყოფილა არც კომინტერნის საღამოზე და არც რესტორან „ექცენტრიკ"ში.

პატარა კოოპერატიულ სახაიეში შაბლოვკაზე, იჯდა, იატაკის მწმენდავი ჩუგი—ბუდიონის არმიის—ყოფილი წითელ არმიელი და სახაიე ფინჯანიდან რაღაც გამსჭირვალე და უცნაურ სასმელს ხვრიპავდა. მასთან მივიდა კაცი ტყავის კურტკაში და უთხრა:

— ვერა მცნობ? ჩვენ ერთად ვებრძოდით თეთრებს დიდი ხანი 12 წლის წინათ.

ჩუგს არ ჰქონდა კარგი მეხსიერება. მაგრამ ახლად მოსულს ამფსონს სიამოვნებით შეხვდა და კიდევ მოითხოვა არაყი.

ტრესტ დ. ე.-ს თავჯდომარემ გადასწყვიტა მოეგონა ძველი დრო მოსკოვში, მან თავი ახალგაზრდათ იგრძნო, მოიგონა როგორ უმიზნებდა კრემლს ზარბაზნებს და ან, როგორ ოცნებობდა ევროპის გადარჩენაზე ამ უცოლველ ყუმბარებით.

ამიტომ ახალწელს ის იატაკის მწმენდავ ჩუგთან ერთად ხვდებოდა სახაიეში შაბლოვკაზე, მესამე ფინჯანის დალევის შემდეგ, ჩუგმა წამოისლოკინა და სთქვა:

— მაშ, შენ ამბობ, რომ დენიკინელებს ერთად ვებრძოდით ხოო! მე კი ფრანგებსაც ვებრძოდი ოდესასთან.. პოლონელებსაც.-. „იძლევი ვარშავას!.."

ენს ბოოტმა ნაღვლიანად ამოიოხრა და ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სხვა, ეხლა როგორ ცხოვრობ?

— ეხლა? არა უშავს რა,—ვაწყობთ თანდათან.

მაგრამ ამ ხნის სწორი მნიშვნელობის გაგება ენს ბოლტს არ დასცალდა, რადგან გაისმა საშინელი გრიალი, რამაც შესწყვიტა მათი მშვიდი ბაასი.

ისინი ერთად გამოცვივდენ გარედ.

— საწყობები აფეთქდა!

— სტყუი, ეს სალიუტია, კონგრესის საპატივსაცემლოთ!

— სასწავლო სროლაა!

— ღმერთო ჩემო, ამბობენ პოლონელები მოფრინდენო!

ხალხში სხვადასხვა ნაირათ ლაპარაკობდენ. მაგრამ როდესაც ენს ბოლტი და ჩუგი მდინარე მოსკოვთან მივიდენ, მათ დინახეს საფეიქრო ტრესტის მე-4-ე ფაბრიკის ნაცვლად ნანგრევებთა გროვა. ქვის ხიდიც აგრეთვე დაზიანებულიყო. მთელი მოსკოვი, რომელიც თუთხმეტი წუთის წინათ უდარდელათ ხვდებოდა ახალ წელს, თავზარდაცემული ირეოდა ქუჩაში. კამათი შეწყდა: ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ეს მტრის აეროპლანების შემოსევა იყო.

გაისმა მეორე და მესამე აფეთქების ხმა. გაანადგურეს ელექტრონის სადგური და ქალაქი მოიცვა სიბნელემ. რესპუბლიკის შტაბის უფროსი პეტროვსკი დინჯად იძლეოდა ბრძანებებს. ის იყო დარწმუნებული, რომ რუსეთის ესკადრილია განდევნიდა პოლონეთის აპარატებს.

*მოსკოვი იღუპება.*

აფეთქება გრძელდებოდა. წითელი პრესნა უკვე აღარ არსებობდა. მთავსაერთელოტიდან იტყობინებოდენ, რომ მფრინავებმა ვერ შესძლეს მტრის აღმოჩენა. პეტროვსკი, გაკვირვებული იცქირებოდა ფანჯარაში და თვალებს ბჟუტავდა. აფეთქების ხმა მოდიოდა ეხლა სამხრეთიდან—ეს იღუპებოდა მოსკოვის მდინარის გაღმა ნაპირები.

უცებ შემოვარდა არტილერიის კურსების კომისარი ლუკიანოვი და დაიყვირა:

— ეს აეროპლანები არ არის. ამას არტილერიიდან გვესვრიან

— თქვენ—რა, შეიშალეთ? გვესვრიან? საიდან?

ეს არავინ იცოდა. კიდევ მოახერხეს შეკითხებოდენ სმოლენსკს და ბრიანსკს. იქიდან უპასუხეს: სრული სიმშვიდეა, არავითარი ბრბოები. ბრიანსკს ელაპარაკებოდა პეტროვსკი. ლაპარაკობდა 2 საათი და 26 წუთი. სამი წუთის შემდეგ ის დაიღუპა.

*2 ს. 29 წ. ამხ. პეტროვსკის სიკვდილი.*

რადგან აფეთქებები ხდებოდა დრო გამოშვებით, მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა, მოახერხა ქალაქიდან გასვლა. ყაზანსა და ნიჟეგოროდის რკინის გზებზე მდებარე, ყველა საგარაკო ადგილები—ხალხით გაივსო.

გაჭირვებაშიც განუყრელნი ენს ბოლტი და ჩუგი, დილით სადგურ ბიკოვოში—თბებოდენ ცეცხლთან. აფეთქებები ისევ გრძელდე-

*მოსკოვი აღარ არის*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, თუმცა მოსკოვი ქვებით მიყრილს, უზამრმაზარ [illegible] წარმოადგენდა. კატასტროფის მიზეზი არავინ იცოდა. მართლმადიდებელი დედაბერი, რომელიც რაღაც განგებით გადარჩენილიყო, ბუტბუტებდა, რასაკვირველია, სასწაულზე: მოსკოვი დაისაჯა, განადგურდა, იმიტომ, რომ ქ. კოვროვში დაიღუპა უკანასკნელი მღვდელი.

ვიღაც მუშფაკელი მეცნიერი გაჰყვიროდა:

— ეს ინტრო-ატომიური ყუმბარებია. რადიოაქტიური დაშლა ამაზე უელსი, 20 წლის წინათ სწერდა.

გაყვიროდა ისე თავგანწირულად, რომ დედაბერმა დაიწყო ხვეწნა:

— მოაშორეთ ეს საცოდავი. ღონე აღარ მაქვს. ყუმბარებზე უარესია.

მეორემ, უფრო სულელმა, მოკლეთ სთქვა

— ნაღმია!—

შენ რაღას იტყვი? შეეკითხა ჩუგი ენს ბოოტს.

მაგრამ ენს ბოოტი სვამდა ჩაის და არაფერი უპასუხა. სალონზე აფეთქებები ისევ განახლდენ. ის იწევდა იქითკენ—საითაც ხალხი, ე. ი. აღმოსავლეთისაკენ.

ლტოლვილები შარა გზებს ერიდებოდენ—და თოვლის ნაბუქში იჩეხებოდენ. დაიღუპა დაახლოვებით $^{3}/_{5}$, დანარჩენებმა მიაღწიეს ვოლგამდის.

სოვნარკომის გადარჩენილი წევრები გადასახლდნენ ნიჟნი ნოვგოროდში. რესპუბლიკის დროებით სატახტო ქალაქათ გამოაცხადეს. მოხერხდა აღედგინათ კავშირი ზოგიერთ ქალაქებთან. გამოირკვა, რომ პეტერბურგი, კიევი და ოდესა დაიღუპენ. ციმბირი დაჟინებით მოითხოვდა მთავრობის ჩიტაში გადაყვანას. შეიკრიბა რევსამხსაბჭო, რომელმაც განიხილა, თავდაცვის ზომების მიღება, მაგრამ თავდაცვა შეუძლებელი იქნა, რადგან არ იყო არც იმი და არც მტერი. სოვნარკომი ნ.-ნოვგოროდში. პეტერბურგის დაღუპვა

აფეთქებების ხაზი დიდი სისწრაფით ახლოვდება. 6-იანვარს განადგურდა ხარკოვი, 8-ს რიაზანი და ვლადიმირი. ხარკოვის აღსასრული

— ეშმაკმა წაიღოს! რა ვქნათ? წამოიყვირა რევსამხსაბჭოს თავჯდომარემ.

პასუხი მაინც არ იყო. ენს ბოოტი და ჩუგი არ ჩქარობდენ ისინი უკანასკნელი სტოვებდენ ადგილებს, რომლებიც იღუპებოდენ

— რა ვქნათ? უთხრა ენს ბოოტს ჩუგმა, როდესაც მკვდარ რიაზანიდან გამოდიოდენ. პასუხი ისევ არ ყოფილა.

ამ დროს პოლონეთის კაბინეტის თავმჯდომარე, ბ. ტშეტეშევსკი, ლებულობდა სეიმის პოლიტიკურ ფრაქციების ლიდერებს. ამხ. ტშეტეშევსკის სიტყვა.

— უნდა გაუწყოთ თქვენ მეტად სასიხარულო, მაგრამ სრულიად კონფიდენციალური ცნობები. წარსული წლის სექტემბერში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენმა და აგრეთვე მოკავშირე რუმინეთის მთავრობამ, მიიღო ჩვენს ყოვლად შემძლე მოკავშირე მფარველი საფრანგეთიდან წინადადება, რუსეთის განადგურების შესახებ, რომელიც ევროპის ნათელ ჰორიზონტე, ერთად ერთ შავს წერტილს წარმოადგენდა. ჩვენ, როგორც საკვირველია, თანხმობით ვუპასუხეთ.

— დეკემბერში „საფრანგეთის კულტურის გამავრცელებელი საზოგადოების" დროშის ქვეშ, ჩემთან მოვიდა სამხედრო მისია. მათ მოგვიტანეს ცენტრიფუგა „Devoire Excelsior"-ის სისტემის 28 სასროლი ელექტრონული ზარბაზნები, ეს ზარბაზნები 1928 წელს იყო გამოგონილი. ფრანგ ინჟინერ ბ. დივუარის მიერ, რომლის პატივსაცემლადაც, ზემოხსენებულ ზარბაზნებს დაერქვა მისი სახელი. მუშაობა ხდებოდა მასზე სრული საიდუმლოებით და შარშან, როდესაც ერთი მუშა იკვეხოდა, რომ ქარხანაში აკეთებდენ არაჩვეულებრივ ზარბაზნებს, ბ. დიჟონის სამხედრო სასამართლომ მას დახვრეტა მიუსაჯა. აგრეთვე შეუმჩნევლად მოხერხდა ზარბაზნების გადატანაც. 28-დეკემბერს დასრულდა ცენტრიფუგების დადგმა, ჩვენს სახელმწიფოს სხვა და სხვა პუნქტებში და რუმინეთში. პირველ იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზე, ჩვენ შევუდექით მუშაობას.

1928 წ. დიუარის გამოგონება.

— თქვენ ადვილათ მიხვდებით, რა მიზეზითაც არ შემიძლია მე, აგიწეროთ ამ ზარბაზნების დეტალური ნაწილები. ვიტყვი მხოლოდ, რომ ისინი შესდგებიან ორ დისკოსაგან, რომლებიც ერთ წუთში 2.000 ბრუნვის სისწრაფით მოძრაობენ. ამ ზარბაზნებიდან გამოსროლილ ყუმბარებს შეუძლია 40-წუთში გაიაროს 1000 კილომეტრამდე. რაც შეეხება თვით ყუმბარებს, ისინი გატენილია დელენდიტით და აფეთქება ხდება უკანასკნელ წუთს, საათის მექანიზმის საშუალებით. ერთი ამგვარი ყუმბარა ანადგურებს ყველაფერს, 100 კვადრატიულ მეტრის მანძილზე. ცენტროფუგები მუშაობენ უხმოთ ისე რომ სროლის ხმა არ ისმის. გლეხებს, რომლებიც იმ ადგილების მახლობლად სცხოვრობენ, სადაც ზარბაზნებია დადგმული, სრულებით არავითარი ეჭვი არ ეპარებათ ამ უცნაურ აპარატების დანიშნულებაზე.

ამ გვარად, 1 იანვარს ჩვენ შევუდექით ჩვენი მიზნების განხორციელებას. და ეხლა შემიძლია გაუწყოთ თქვენ ახალი სასიხარულო ამბები: ბატონებო, მოსკოვი, პეტერბურგი, კიევი და მოძალადეთა სხვა ბუდე აღარ არსებობს! რუსეთი დაიღუპა.

სეიმის პატრიოტულ ფრაქციის ყველა ლიდერებს მოზღვავებულ გრძნობებისაგან თვალები აუცრემლდათ და სამჯერ იმღერეს! „Еще польска пе сгинела"!...

ყოფილი იატაკების მწმენდავი ჩუგი, იმის მაგივრათ, რომ იატაკები სანთლით ეწმინდა, დაეხეტებოდა რიაზანის სახლების ნანგრევებ შორის და ენს ბოოტს ეკითხებოდა:

მშვენიერი სიმღერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ვქნათ?

უცებ მან დაინახა რაღაც უცნაური, რომელიც თუჯის ოსპს წააგავდა.

— აი, ოინი! გაკვირვებით წარმოსთქვა ჩუგმა და ენს ბოოტს მიაშტერდა.

„ტრესტ დ. ე.“-ს დირექტორი მეტად მოსაზრებული ადამიანი იყო და ოსპს გულმოდგინეთ ათვალიერებდა.

— ეს აუფეთქებული ყუმბარაა, აი, ამგვარი რამეებით იყო განადგურებული მოსკოვი!—სთქვა ენს ბოოტმა

ამან მეტად დააინტერესა ჩუგი და ყუმბარის შესასწავლათ ერთ საათზე მეტი დაჰყო. შესასწავლი, სწორეთ რომ ვსთქვათ, აქ არაფერი იყო. გარდა მარკისა დ. ე. რომელიც აჩვენებდა, რომ ყუმბარა დამზადებულია „დივუარ ექსელციორის“ ცენტროფუგებისათვის.

— „დ. ე.“ ეს რაღას ნიშნავს? დაინტერესდა ჩუგი.

რა ადვილათ მიხვდებიან „ტრესტ დ. ე.“-ს მკითხველები,—ეს ნიშნავდა ბევრ რამეს და ენს ბოოტმა პასუხის ნაცვლად, მხოლოდ ჩაიცინა.

ჩუგს თითონ უნდოდა აეხსნა უცნაური ინიციალები და ამით გაეგო ვინ იყო ცბიერი მტერი. და მართლაც, ეს, შეასრულა კიდეც მან., ეშმაკმა იატაკის მწმენდავმა, რომელიც ერთ დროს, ტყუილად არ ებრძოდა პოლონელებს და ფრანგებს

— შენ იცი აქ რა სწერია? წამოიყვირა მან. „დ. ე.“ —იძლევი ევროპას.

„იძლევი ევროპას, 4 იანვარი 1920 წ.

— ყოჩაღ, მიაძახა ალტაცებულმა ენს ბოოტმა. C'est te mort! სწორეთ არის შენიშნული.

მაგრამ ჩუგს ფრანგული კომპლიმენტებისათვის არ სცალოდა. ის მირბოდა და ყვიროდა.

— ამხანაგებო, მოაბრუნეთ ნელ ნელა... წავიდეთ დავსცხოთ მათ! დედასა... იძლევი ევროპას!...

მას სირბილით მისდევდა „ტრესტ დ. ე.“-ს დირექტორი და წვრილი ხმით, როგორც ყვინჩილა, გაყვიროდა:

— იძლევი ევროპას!

ლტოლვილები ჩერდებოდენ, ერთი წუთით ყოყმანობდენ, აცეცებდენ თვალებს და შემდეგ ისევ დასავლეთისაკენ ბრუნდებოდენ. საღამოსათვის უკვე არა ნაკლებ 300.000 კაცისა მოდიოდა უჩინარ მტერის შესახვედრათ. ხმები გალაშქრების შესახებ, ვოლგის მიდამოებამდეც მივიდა. იქიდანაც დაიძრა მილიონები. მიდიოდენ ურდოები სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან.

6 იანვარს სოვნარკომმა გამოაცხადა ომი. ვის ეომებოდა რესპუბლიკა—ოფიციალურად გამოურკვეველი იყო. დეკრეტშიაც საკმაო ბუნდოვანათ იყო აღნიშნული: „იმპერიალისტურ მტაცებლებთან“-ო. მაგრამ მთელმა რუსეთმა, რომელიც აზვირთებულ ზვავივით

6 იანვარი ომი გამოცხადებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიოდა დასავლეთისკენ, კარგათ იცოდა, ვინ იყო მისი მტერი და მთელი რუსეთი, უკვე თოვლით დაფარულ და დანგრეულ ქალაქების გავლის დროს, ჰყვიროდა:

— ჰეი! ჰეი! იძლევი ევროპას!

მიდიოდა წითელი არმია და პირველ საფეხურის მოწაფენი. მიდიოდნენ სათვალებიანი მარქსისტები—არაღჩინიანი თათრები. მიდიოდნენ დედაკაცები, მოხუცები, ბავშვები. წითელ არმიელებს ჰქონდათ ტყვიის მფრქვეველები. ზოგიერთი გლეხები მიათრევდნენ ძველ თოფებს უმეტესობა შეიარაღებული იყო კომბლებით. საერთო რიცხვი, უჩვეულო დიდ არმიისა, უდრიდა 28.000.000.—კაცს.

პოლონელებს და რუმინელებს არ ეძინათ. ადამიანთა ურდოების ზევით, დღე და ღამ დაჰქროდნენ აეროპლანები, და ქვევით ყუმბარებს ჰყრიდნენ. ცენტროფუგები ენერგიულათ მუშაობდნენ. ხმარობდნენ მხოლოდ გაზებსაც. 28.000.000 ადამიანიდან, ნახევარზე მეტი, სახელდობრ: 16.000.000 კაცი დაიღუპა—რესპუბლიკის საზღვრებამდე მისვლამდის. მაგრამ გადარჩენილები ისევ წინ მიდიოდნენ და არავითარ ცენტროფუგებს არ შეეძლოთ უკვე მათი შეჩერება. საზღვრამდე მიაღწიეს.

ყველაზე წინ, იატაკის მწმენდავი ჩუგი და ენს ბოოტი მიდიოდა და ყვიროდა!

— იძლევი ევროპას.

ეს იყო უკვე ბრესტ-ლიტოვსკთან.

ყველაზე უკან მიფორთხავდა დედაბერი და ჩუმათ ბუტბუტებდა:

— იძლევი ევროპას! ბრესტ-ლიტოვსკთან.

ის ჯერ კიდევ არ მისულიყო მოსკოვის ნანგრევებამდე.

ენს ბოოტი აღტაცებული იყო ნამდვილ ექსტაზით. მას თავის „ტრესტიც“-კი დაავიწყდა. ის ჰყვიროდა „იძლევი ევროპას“. ეს იყო მონადირის (საყვირის ხმა. გაცოფებულ მილიონ ხალხთან ერთად, ისიც მიდიოდა, რომ სოროდან გამოეგდო ცეცხლის ფერი მელა, მშვენიერი ფინიკიის ასული, ავი ევროპა, დაუვიწყარი M-me ფლამენგო—ბლანკაფარი.

— იძლევი ევროპას!

12.000.000 ადამიანმა გადალახა ყველა ზღუდეები. ისინი შეიჭრნენ პოლონეთსა და რუმინეთში. მათ დალეწეს „დივუარ ექსელციორის“ ცენტროფუგები. 17 თებერვალი ვარშავა ალებულა

1 იანვარს დაიღუპა მოსკოვი.

17 თებერვალს აიღეს ვარშავა.

24 თებერვალს დაეცა ბუქარესტი.

26 თებერვალს, ბ. ფელიქს ბრანდევი, პირდაპირი მავთულით ელაპარაკებოდა სამხედრო შტაბს კაპიტან ლებარს, რომელიც კრაკოვში იყო. 24 თებერვალი ბუქარესტი აიღეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რუსები უახლოვდებიან გერმანეთის უდაბნოს.—ეუბნებოდა კაპიტანი ლებარი.— ისინი გაჰყვირიან რაღაც უცნაურ სიტყვებს „Idslevi Evropas“ და არ ეშინიათ არაფრის, გესმით, სრულიად არაფრის. 28 ცენტროფუგები დაიღუპა. მათ უნდათ გაიარონ უდაბნო და საფრანგეთში შემოიჭრან.

აპარატს რომ მოცილდა, ბ. ფელიქს ბრანდევომ, გამოიძახა რუსულ ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე აკადემიკოსი დელენი.

— როგორ უნდა გადავთარგმნოთ „Idslevi Evropas“,—შეეკითხა ბ. ფელიქს ბრანდევო.

— ეს გადაუთარგმნავი სიტყვებია.—უპასუხა აკადემიკოსმა. ეს არასასიამოვნო ბგერებისგან შესდგება, ეს უზდელი სიტყვებია, და რაც უმთავრესია—ეს სიტყვები მეტად უსიამოვნოა. და მე გისურვებთ, ძვირფასო მინისტრო, არასოდეს არ გაგეგონოთ ეს სიტყვები.

ბ. ფელიქს ბრანდევომ გაისინჯა გული იღლიის ქვეშ. ის რაღაც თავისებურად ფეთქავდა. რუსეთთან გამკლავება ბევრად უფრო ძნელი იყო, ვიდრე დეპუტატთა პალატასთან. გულის ფრიალი.

— დაუძახეთ მე-7-ე საიდუმლო განყოფილების უფროსს, სამხედრო მინისტრს,—წასჩურჩულა მან მდივანს.

— დაუძახეთ მალე' თორემ... თორემ „Idslevi Evropas“.

19.

## აი, ეს პუდრი!

კრაკოვის ძველ სამიკიტნოში „სასიამოვნო შეხვედრა“. ენს ბოოტი და ჩუგი სვამდენ ერთად ტოკაის ღვინის მესამე ბოთლს. ღვინო საუკეთესო ხარისხის იყო, მაგრამ ჩუგი თვალზე ცრემლმორევით იგონებდა მშობლიურ არაყს:

— აი, ჩვენთან, ტამბოვში, ხდიდენ...

ენს ბოოტი არ ეკამათებოდა. ენს ბოოტი მხიარულად და მხნედ იყო. ის უღიმოდა ქვეყანას, როგორც უმანკო ბავშვი. „ტრესტ. დ. ე.“-ს დირექტორი უბრალო წითელ-არმიელი გახდა. გახდა ყოველივე ქვეყნა-აზრების გარეშე, პატიოსნად და უბრალოდ. არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო. ჩვენი გმირი იშვიათი მგრძნობიარობით განირჩეოდა. თუ გაიტაცებდა რამე: სულერთია, იყო ეს ცირკის ტრიუკები, რევოლიუცია, ან ბირჟაზე თამაში,—ის ყოველთვე ამას გონების დაკარგვამდის ბოლომდე მისდევდა. ის არასოდეს არ გადაუხვევდა ხოლმე თავის მიზანს, რადგანაც ეს მიზანი მასზე ძლიერი იყო. ყველა გზები მისკენ მიდიოდენ. და ეხლა, როდესაც ის ველურ ყიჟინით „იძლევი ევროპას“ ალვიძებდა კრაკოვს, საშუალო საუკუნოების ძილისაგან—ის აკეთებდა იმავე საქმეს, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც რამოდენიმე წლის წინად, როდესაც უოლლ-სტრიტის მე-32-ე სართულზე თავის ბიუროში იჯდა.

(ქალის დამორჩილება ზოგჯერ არც ისე ადვილია. ერთხელ ყოვლად შემძლე ზევსიც კი იძულებული გახდა ხარათ გადაქცეულიყო).

ენს ბოოტი რუსეთის არმიის წინა რიგებში იდგა და ევროპის აღება ჰსუროდა. მისი გული,—მოუთმენარი გული მონაკის პრინცის შვილისა,—12 მილიონ ადამიანთა გულთან ერთად ჰფეთქავდა. ეს მშვენიერი დღეები იყო. ჩუგიც მშვენიერი ამხანაგი იყო. და განა ღირდა კამათი იმაზე, რა უკეთესია: ტოკაის ღვინო, თუ ტამბოვის არაყი?

მეგობრებმა მეოთხე ბოთლი მოიათხოვეს. მეორე დილით კი გიგანტურ არმიის ავანგარდი წავიდა წინ: ჩეხიის და გერმანეთის უდაბნოსკენ.

პარიზში დაიხურა ყველა საუკეთესო რესტორანები, რადგანაც კლიენტებს მადა დაეკარგათ.

ჩუგმა გაცვითა თავის ჩექმები. მან გაჩხრიკა კრაკოვის ყველა მაღაზიები. შიგ ნახა აბრეშუმის კომონო, ბუხარის ხალიჩები და ბოგემიის ბროლის ჭიქები, მაგრამ მთელ კრაკოვში არ დარჩენილიყო არც ერთი წყვილი ჩექმა. პარიზში ჩასვლისათვის და ევროპის ასაღებად კი, იატაკის მწმენდავ ჩუგს, რომელიც ოდესღაც ფეხშიშველი სწმენდავდა იატაკს,—სწორედ ჩექმები ესაჭიროებოდა. ეს გაიგო საკანდიტროს პატრონის ქალიშვილმა პანნა იადვიგომ და აჩუქა ჩუგი ლეპ-
თავის მამის ჩექმები: კანდიტერი ხომ არ ემზადებოდა ევროპის ასა-ლობს ჩექმებს
ღებად. ამიტომ იყო, რომ პანნა იადვიგა იჯდა სამიკიტნოში **„სასიამოვნო შეხვედრა“** ჩუგთან და ენს ბოოტთან ერთად. თუ ჩვენ ადრე არ მოვიხსენიეთ ამის შესახებ, მხოლოდ და მხოლოდ სრულიად გასაგებ მორცხვობის მიზეზის გამო, რადგანაც არ გვინდოდა ცრუ ეჭვები აღგვეძრა მკითხველებში.

ჩუგს ქალები არ აინტერესებდნენ. ჩუგს აინტერესებდა მხოლოდ ჩექმები და ევროპა.

სამიკიტნო „სასიამოვნო შეხვედრა“ თბილი და სასიამოვნო ადგილი იყო. დიასახლისს ლამპა აენთო. ენს ბოოტმა შეხედა ჩუგს და გაეცინა:

— ეგ რა არის? მთლად ევროპიელი გახდი? პუდრი წაიცხე? იცოდე, ეხლა ყველა პოლონელი ქალები გაგიჟდებიან...

თუმცა ოთხ დალეულ ბოთლიდან ჩუგმა ორი ბოთლი გამოსცალა, მაგრამ მან მაინც შეამჩნია ამ შენიშვნის უაზრობა და მიუახლოვდა სარკეს, რომელიც კედელზე ეკიდა, გარდაცვალებულ პრემიერის ტშეტეშევსკის პორტრეტის გვერდით.

სარკეში დანახულმა სახემ უფრო მეტად გაანცვიფრა ის. ნაყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილარ და აწითლებულ სახის ნაცვლად, რომელსაც ის თით[illegible]- ისევე შეეჩვია, როგორც თავის სახეს, სარკიდან მას უმზერდა რულა. ფქვილში ამოსვრილი და აშკარად უცხო სახე. ჩუგმა სახელოთი მოიწმინდა ლოყები, მაგრამ ამათ. არაფერი შეცვლილა.

— აი, რა პუდრია! განცვიფრებით წარმოსთქვა მან.

ენს ბოოტმა აიღო მაგიდიდან ლამპა და ჩუგის სახეს მიანათა. ენს ბოოტის ერთს წუთს უყურებდა ის. შემდეგ ლამპა ადგილას დასდო და ცრემლები ატირდა.

ენს ბოოტი მიხვდა, რა პუდრიც იყო ეს. ენს ბოოტი სტიროდა ძლიერი სიძულვილისაგან.

აქ ჩვენ უნდა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა დიდი ხნის წინად გარდაცვალებულ ადამიანის დასაცავად, რომელსაც სრულიად უსამართლოდ დასწამეს ცილი.

არ არის არც ერთი ბოროტება, რომელსაც ენს ბოოტს არ აწერდენ. დღესაც კი, ჩრდილო ამერიკის ზოგიერთ ქალაქებში, სადაც, ევროპის დაღუპვის შემდეგ, გადარჩენილ ევროპიელების ოჯახები დასახლდენ, დედაბრები ასე აშინებენ ბავშვებს:

— აი, მოვა ენს ბოოტი და შეგჭამს!

ენს ბოოტი არასოდეს არ სჭამდა ბავშვებს. ენს ბოოტს არც სხვა სიმხეცე ჩაუდენია. მან მხოლოდ ხელი შეუწყო დაუძლურებულ ევროპიელებს, რომ მათ ჩაედინათ ის, რასაც ისინი 100 წლის შემდეგ მაინც ჩაიდენდენ. მან შეანელა ევროპის აგონია. მას არ გამოუგონია მოწამლული გაზები, მას არ აუგია ცენტროფუგები **„დივუარ ექსცელზიორ“**. მან მხოლოდ საგიჟეთის საკნები გაალო. დანარჩენი თვით გიჟების საქმე იყო. ევროპიელებმა თითონ მოიგონეს ეშმაკური ზომები ერთი მეორის ამოსაჟლეტად. ენს ბოოტი არ ყოფილა არც ავტორი და არც რეჟისორი 1928—1940 წლებში მომხდარ ტრაგედიისა. მას ჰქონდა მხოლოდ სცენარიუსის უბრალო როლი.

ჩუგის გაპუდრული სახე რომ დაინახა, ენს ბოოტი ატირდა სიბრაზისაგან. თუმცა ის თვით ბოროტმოქმედებაში არ იღებდა მონაწილეობას, მაგრამ მას იმდენი მოსაზრება და გამოცდილება მაინც ჰქონდა, რომ იმ წამსვე მიმხვდარიყო, რა საშინელებაც ტრიალებდა.

—ამ პუდრისათვის შურისძიებაა საჭირო!—ხმა-მაღლა წამოიძახა მან.

გაკვირვებული ჩუგი ისევ იღიმებოდა და სარკესთან ილამაზებდა თავს.

ამ სიტყვების წამოძახების შემდეგ, ენს ბოოტს მოაგონდა თავის დავიწყებული პირმშო **„ტრესტ დ. ე“**. ის დარწმუნდა, რომ საქმე წაგებული იყო და ეს 12 მილიონი ხალხი ველარ დაიპყრობდა ევროპას. მაშ, რჩება მხოლოდ ერთი სწორი გამოსავალი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ორი-სამი წელიწადი ტრესტის მუშაობისა. ის [illegible]ებს. ის აიღებს ევროპას.

ენს ბოოტმა თვალები მოიწმინდა და მოკლედ უთხრა ჩვენ:

— მშვიდობით!

ჩვენ კი მაინც ვერაფერი გაეგო. მას ეგონა, რომ ენს ბოოტმა ზედმეტი ღვინო დალია და წაიბუტბუტა:

— შიდიხარ? მოიცა. დიასახლისს მიეცი ღვინის ფული?

ენს ბოოტი გამოვიდა ბნელ მოედანზე და დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, როგორ გამგზავრებულიყო. ბერლინისა და მოსკოვის შემდეგ, მას სიკვდილის აღარ ეშინოდა, მაგრამ დაგვიანება არ შეიძლებოდა.

ენს ბოოტმა გაიარა მთავარი ქუჩა.

აქ უჩვეულო მოძრაობა იყო: დასეირნობდენ წითელ-არმიელები, რიაზანის ქალები თავსაფრებით, ოსტატები გარმოშკით, მშვენიერი პოლონელი ქალები, ყაზანის თათრები ღია ფერის არალჩინებით და პოლონელი გრძელ-თმიანი მხატვრები.

გაზაფხულის პირველი საღამო იდგა და ჰაერი გაჟღენთილი იყო ჩინარის მწარე სუნით. რუსები მეორე დღისით წინ უნდა წასულიყვნენ. ბნელ ქუჩაბანდებში დროგამოშვებით ისმოდა უკანასკნელ კოცნის მოსხლეტილი ხმა: „დასცხე ევროპას“, ჯერ არ მისულიყო პარიზამდე, სამაგიეროდ, მათ დაიპყრეს კრაკოვის მშვენიერ ქალების გული.

ვილაცა გარმონზე უკრავდა. ეს მეტად მშვენიერი საღამო იყო.

მაგრამ, როდესაც ელექტრონების მწკრივმა იელვა, ხალხში განგაში შეშინებული ხმაურობა გაისმა. მოსეირნენი შიშით აკვირდებოდენ სახეზე მეხობელ ქალებს, ამხანაგებს და გამვლელებს. რა საშინელი კარნავალია: 100.000 პიერო თეთრი ნიღაბებით.

— მე მეშინია შენი, გალია, შენ მთლად თეთრი ხარ, როგორც სიკვდილი...

ხუთი წუთის შემდეგ მთავარი ქუჩა დაცარიელდა. შეშინებული ხალხი გაურბოდა სინათლეს და იმალებოდა ბნელ ქუჩაბანდებში და ეზოებში. 2 მარტი 1931 წ.

ენს ბოოტი მარტოდ მიდიოდა მინდვრად. მიდიოდა ჩრდილოეთით, ზღვისაკენ. მისი მოსაზრებით, ეს იყო ერთად-ერთი სწორი გზა. უცბად ის შემკრთალი დადგა: რაღაც საშინელმა აზრმა გაუელვა თავში. თუმცა, ეს აზრი სრულიად უბრალო იყო. ენს ბოოტმა ამოიღო ჯიბიდან პატარა სარკე და შეჰხედა თავის თავს. ჩვეულებრივი, წითელი და ყველა ქვეყნის ქარისაგან დამსკდარი სახე, აღარ სჩანდა. დაინახა მხოლოდ კირივით გათეთრებული სახე.

— მე ვკვდები,—გაიფიქრა ენს ბოოტმა,—რა დაემართება „ტრესტ დ. ე“-ს? თუმცა სულერთია...

და მთქნარებით გაუდგა გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიოდა გათენებამდის; მზის ამოსვლის შემდეგ კი შეჩერდა, ჩამოჯდა ჯირკვზე, შეჭამა გამხმარი პური, რომელიც ჯიბეში აღმოჩნდა და ისევ სარკეში ჩაიხედა: სიკვდილის წინაც კი არ დაუკარგავს ენს ბოოტს ცნობის მოყვარეობა.—მერე რა მოხდა!—მან ისევ დაინახა წითელი და მომღიმარე სახე.

(ზოგჯერ ყველაზე ჭკვიანი ხალხიც კი სცდება: ენს ბოოტს დაავიწყდა, როდესაც სარკეში იყურებოდა, მომწვანო, ვეებერთელა მთვარე, რომელიც პირდაპირ სახეზე ანათებდა).

კრაკოვში კი დილას არ მოუტანია შვება. გახდის შემდეგ ხალხმა შეამჩნია, რომ მათი ტანი გათეთრებულიყო, თითქოს კირში ამოსვრილი.

თვალები ეწვებოდათ და ეცრემლებოდათ. პირი უშრებოდათ. სხიდან ტყავი სძვრებოდათ და ნაჭრებად ეკიდათ. შეშინებული ხალხი მირბოდა ექიმებთან, მაგრამ ვერც ექიმებს გამოერკვიათ ავადმყოფობის ხასიათი. მხოლოდ ვიღაც მოხუცი ფერშალი მნიშვნელოვნად ბუტბუტებდა:

— აღმოსავლეთის ავადმყოფობაა. ჯერ კიდევ სახარებაშია ნათქვამი, რომ...

მაგრამ ეს ფილოსოფიური შენიშვნა წამლად არ გამოდგებოდა.

საღამოზე ყველას კანი აეწვა და დასიებული სახე აუწითლდა. ხალხი შფოთავდა სიცხისაგან. დაჩირქებული თვალები ეხუჭებოდათ. ხალხი ბრმავდებოდა.

სამიკიტნოში „სასიამოვნო შეხვედრა“. იატაკზე ეგდო ტიტველი ჩუგი. ხალათი გაეხადა, მას ეგონა, რომ ის რკინის იყო და ამძიმებდა მის ტანს. დასიებული და დალურჯებული—ის მიაგავდა საყასბოში მიგდებულ ლეშს. იხრჩობოდა, მაგრამ მაინც ჩურჩულებდა:

— იძლევი... იძლევი... იძლევი ევროპას!

მის გვერდით იწვა დაბრმავებული პანნა იადვიგა. ეჰ, რა უცნაური ხალხი სცხოვრობდა ყოფილ ევროპაში. ქალმა მოასწრო ჩუგის შეყვარება და ეხლა, სიკვდილის წინ კიდევ სცდილობდა ეკოცნა ჩუგის დაჩირქებულ და დასისხლიანებულ ხელისათვის:

— თქვენ მშვენიერი ხართ, პან ჩუგ!..

ჰაერი არ ყოფნიდათ. ჩუგი უკანასკნელად წამოვარდა და წამოიხრიალა:

— აი, რა პუდრია!

და გარდაიცვალა. ეს იყო გათენებისას. ერთი დღის განმავლობაში, 3 მარტს, კრაკოვში უცნაურ ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა 23.000 ადამიანი. მათ შორის 17.000 რუსი და 11.000 ადგილობრივი მცხოვრები. 4 მარტს მსხვერპლთა რიცხვი თითქმის გაორკეცდა.

ჩუგის გარდაცვალება.

რუსეთის არმია აღარ მიდიოდა ლაშქრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზი ზეიმობდა. კლერიკალების გაზეთი „Echo de Paris“ სწერდა:

„ღმერთმა გადაარჩინა წმ. მოციქულთა ეკლესიის საყვარელი ასული — საფრანგეთი“.

თავისუფლად მოაზროვნე „Ere Nouvelle“ სხვაგვარად აშუქებდა საკითხს:

„თვით ბუნებამაც კი მიიღო მონაწილეობა კულტურის ლამპარის და დიდი რევოლიუციის სამშობლოს დაცვის საქმეში“.

ორივე გაზეთის მკითხველებს ისევ დაუბრუნდათ მადა. ისევ გაალეს რესტორანები. პარიზელები ცეკვავდენ ახალ ცეკვას „ჩოჲი“, რომელიც ბოლივიიდან გადმოიღეს.

ენს ბოოტი ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა. ლოძს რომ მიუახ- *ლოდინ.*
ლოვდა, მან იგრძნო საშინელი და ნაცნობი სუნი ლეშისა. ის არ შესულა ქალაქში. წინდახედულად ერიდებოდა სოფლებს და თუ ადამიანს მოჰკრავდა თვალს, გვერდს უხვევდა. მას აშკარად არ ჰსურდა, რომ ეს უცნაური პუდრი წასცხებოდა.

მაგრამ მას მაინც მოუხდა კიდევ ერთხელ ენახა მკვდარი ქალაქი.

დანციგის ვიწრო ქუჩები სავსე იყო გვამებით. უცნაურ ავადმ- *დანციგი და*
ყოფობისაგან საშინელი წვალებით იხოცებოდა ხალხი. ჰაერი არ *მიდამოები*
ყოფნიდათ და იმიტომ ჩახუთულ ოთახებიდან ქუჩაში გამოდიოდენ. ჯანსაღს ვერ შეხვდებოდით. გადარჩენილები გარბოდენ ქალაქიდან, ტყეში დაეხეტებოდენ და ერთი მეორეს ერიდებოდენ. მაგრამ ზოგიერთები, ვინც უფრო მაგარი აგებულებისა იყო, კიდევ ებრძოდენ სიკვდილს. ეს უსინათლონი, დაჩირქებული თვალებით დაცოცავდენ გვამების შორის და წყურვილის მოსაკლავად სცდილობდენ ქვაფენილიდან აელოკნათ წვიმის წვეთები.

ნავთსადგურის ერთ-ერთ ბელელში ენს ბოოტმა ნავი ნახა. ნიჩბით ნავი ნაპირიდან რომ გაასცურა—მან ერთხელ კიდევ მოიგონა სამიკიტნოს ლამპით გაშუქებული ჩუგის თეთრი სახე და წამოიძახა:

— მე დავიპყრობ მას!..

ეს იყო 1 აპრილს, 1931 წელს. *1 აპრილი*

უცნაურ ავადმყოფობის ეპიდემია სწრაფად ვრცელდებოდა. *1931 წ.*
მისი მთავარი ბუდე პოლონეთი იყო. ორი თვის განმავლობაში ეს ქვეყნები დაცარიელდა. ევროპაში შესული, რუსეთის გამარჯვებული არმია, მთლად განადგურდა. მისი გადარჩენილი ნაწილები უკან ბრუნდებოდნენ და ავადმყოფობას ავრცელებდენ.

აპრილის ბოლო რიცხვებში, ყაზანში და ვორონეჟში შეამჩნიეს ამ უცნაურ ავადმყოფობის რამოდენიმე შემთხვევა. მიუხედავად ენერგიულ ზომებისა, ეპიდემიამ მალე მასიური ხასიათი მიიღო და „დივუარ ეკსცელზიორ“-ის ცენტროფუგებისაგან განადგურების და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპაზე გალაშქრების შემდეგ დაცარიელებული ევროპიულ[illegible]-სეთის დაღუპვისაგან გადარჩენა ველარ მოხერხდა.

მაგრამ ისეთივე სისწრაფით მოედო ავადმყოფობა — სამხრეთ ნაწილებსაც. ჩეხო-სლოვაკია, უნგრეთი და აგრეთვე ბალკანეთის ყველა სახელმწიფოები დაიღუპნენ, ავადმყოფობა შეიჭრა კონსტანტინეპოლშიაც. ჯემალ-ფაშამ უბრძანა ესროლათ ყველასათვის ვინც კი გაბედავდა ბოსფორის სრუტეზე გადმოსვლას და ამით გადაარჩინა ანატოლია.

7 ივლისს. ჟენევაში შესდგა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კონფერენცია ეპიდემიის საშიშროებასთან საბრძოლველათ. გადასწყდა დაარსებულიყო კორდონი, რომლებიც გაივლიდა ბრემენ-რეინ (გერმანეთის უდაბნოს ხაზზე), და შემდეგ შვეიცარიისა და იტალიის საზღვრებზე. 7 ივლისი კონგრესი ზომებს იღებს

— ეს სტიქიური უბედურებაა. მაგრამ ევროპა მაინც გადარჩება, — სთქვა ბ. ფელიქს ბრანდევომ, როდესაც კონფერენციის ოქმებს აწერდა ხელს.

ინგლისელი მფრინავმა, ჯონ ბელმა შეასრულა მეტად საშიში ექსპედიცია ჭირით მოდებულ ქვეყნებში, რასაკვირველია, ისე, რომ მიწას არ მოახლოვებია. 2000 მეტრის სიმაღლიდან მან გადაიღო მომაკვდავ ვენის ფილმა. ამ ფილმმა დიდი ალტაცება გამოიწვია. გვამებით სავსე მშვენიერ რინგს რომ უყურებდენ, პარიზის ქალებს ცრემლები მოერიათ და შემდეგ ნამტირალებ სახეზე-ახალ პუდრს „ლეატრს“-ს იცხებდენ.

პარიზში შესდგა მე-38-ე მედიკური კონგრესი. პროფესორი ბრიე კითხულობდა მოხსენებას უცნაურ ავადმყოფობაზე, რომელმაც გაანადგურა ევროპის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილები.

— სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არის მეტად მცირე მასალა და ბ. ბრიეს არ შეგვეძლო პირადათ გამოგვერკვია ამ ავადმყოფობის ნორმალური მოხსენება. მსვლელობა. მე მას ვსთვლი კეთრის ჯერ კიდევ უცნობ ფორმათ, რომელიც სისწრაფით ვითარდება. ინკუბაციონური პერიოდი გრძელდება არა უმეტეს 48 საათისა. სიკვდილი ხდება — სუნთქვის დაკარგვით, პერექლის ანთების გამო. შესაძლებელია დაუშვათ, რომ ავადმყოფობა შემოტანილია რუსების მიერ აღმოსავლეთიდან, ალბათ, მონღოლიიდან, და ევროპის ჰავის პირობებში მან სახე გამოიცვალა და მძაფრი ხასიათი მიიღო. მისი მიკრობი ჯერ არ არის აღმოჩენილი, მაგრამ მეცნიერება წინ მიიწევს. ყოველ შემთხვევაში, მე წინადადება შემომაქვს დავარქვათ მას „სწრაფადმომქმედი კეთროვანება“. ავადმყოფობას სახელს არქმევენ

წინადადება მიიღეს. მაგრამ პროფესორი ბრიე, სცდებოდა ერთში: ავადმყოფობის მიკრობი უკვე ცნობილი იყო. ცნობილი სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ ბრიესათვის, რომელიც მუშაობდა სამხედრო სამინისტროს მე-7-ე საიდუმლო განყოფილებაში და, რომელმაც სამი წლის შემდეგ, ჩვეულებრივ კეთრის მიკრობებზე მუშაობით, მიიღო და-ბოლოს გენიალური მიკრობი, რომელმაც რუსეთის არმიის ბარბაროსული შემოსევა შეაჩერა.

მე-7-ე საიდუმლო განყოფილების გამგემ ბ. ბრიემ და 60-მა მფრინავმა, რომლებიც პატარა შუშებით ჰყრიდენ მიკრობებს,—საპატიო ლეგიონის ორდენები მიიღეს.

1931 წ• ნოემბერში გარდაიცვალა უკანასკნელი მცხოვრები ეკატერინბურგისა.

სოვნარკომი იმყოფებოდა ჩიტაში.

ბ. ფელიქს ბრანდევო, ამ დრომდე კარნავალეს მუზეუმში შენახულ, ნაპალეონის ქუდს იზომავდა.

ენს ბოოტი ლონდონის ფოსტის კანტორაში სწერდა საქმიან დეპეშას მისტერ ჯებსთან.

თარგმანი: **შალვა ახათიანის** *).

---

*) მე-6 ნომერში თარგმანის პირველი ნაწილის ქვეშ შეცდომით იყო მოწერილი ს. ჩიქოვანის გვარი.

ანრი გილბო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოსკოვი.

(რაპსოდია).

მეეტლევ, გასწი, გასწი,
სწრაფად გარეკე ცხენები,
მოსკოვის დაკლაკნილ ქუჩებით რიყიან ქვაფენილებზე,—
მეეტლევ, გასწი, გაჰფრინდი,
ცოცხლად შეუძახე ცხენებს,
შეუტიე მედგრად, მიმართე ყველა გამვლელს,
მოიხოცე ცხვირი და მწვანე ლორწით
შესვარე ხალათი, ოდესლაც ლურჯი.

გასწი, გაჰფრინდი, მეეტლევ,
სწრაფად გარეკე ცხენები,
იგინე, როგორც გსურდეს,
დასწყევლე ვინც გნებავს,—
მხოლოდ გამაქანე სწრაფად და მარდად.

ეს არაა რკინის შენობა, ან ბეტონის სიმაგრე
არც სადგური, ხიდი, ელევატორი,
სახალხო სახლი ან ელექტრონის სადგური,
არამედ ფერადი და თან უცნაური შენობა,
როგორც კარვები ნეტარი ვასილის,
რომელთა გუმბათები ჰყვავიან მრავალ ფერად,
როგორც გიგანტური მსუქანი ხეხილი,
დამწიფებული ტროპიკებს შორის,
და ყველგან გაისმის გრუხუნი რიტმების
დანჯღრეულ ეტლების,
საბჭოთა ავტომობილების და
კომინტერნის ავტობუსის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკიტსკის გასწვრივ,
სადაც წინ წამოწეულან დახრული ტროტტუარები,
შავ სალტებიანი,
თოვლქყაპში ტყლაშუნით
მიემართება ქარავანი ნავთიან ბაკებით,
ოფლიანები, მაგრამ ღონიერნი, მიდიან წყვილად შებმული ცხენები
ბუკინისტებს მოძველებული წიგნები გამოუფენიათ ჰაერზე,
მუშები, მოსამსახურენი, ჯარისკაცები კედლებთან თავმოყრილნი
კითხულობენ „Правда“-ს, „Известия“-ს და „როსტა“-ს დეპეშებს;

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ზევით—დახვეული გზაჯვარედინი,
ფართე ქუჩები, ნანგრევების ხროვა,—
ბულვარში ჰკიდია მოლუნული ჩონჩხი ლითონის.
ცენტრში გამომწვარ აგურისაგან, დგას ვეებერთელა პირამიდა ეს—სახლია, —
სადაც გამაგრდენ იუნკრები ჩვიდმეტი წლის ოქტომბერში.

ზევით კიდევ—
ტელეფონის სანახაობა:
ლანჩების ხმაურით, ყურთან მიდებულ ელსმენის ჩილაკით
მონტიორი ასწორებს ხაზს,
ხსნის და აკავშირებს მავთულს.

წალებში, ქურქში ცხვირამდი გახვეული,—გნომების მსგავსად, -
ბავშები ეყვირიან: „papirossi—, სპიჩკი“,
ყაყანებენ,
არ ასვენებენ გამვლელებს.
ტომრებით დატვირთული,
გაწვრთნილნი ეშმაკობაში და ცბიერობაში,
შინაურულად,
ხელის შეხებით,
თავის პრობლემატიურ კლიენტებთან
ლაქუცით და პირფერობით
თათრები ვაჭრობენ ტანისამოსით და ძველი ნივთებით.
ლოთი, ჯიბგირი, ქურდი და ავყია
vasssiliev de dvornik ხვეტავს ტროტტუარს;
მას უძახიან, გლეჯენ ნაწილებათ,—
ის ყველას ჰპირდება შველას
მაგრამ nitchevo, ის სწრაფად ივიწყებს ყველაფერს,
ლოთობს და აბეზარობს,
ხანდახან იგი ამზადებს შეშას, შეაგროვებს ერთ იღლიას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და აქებს თავის დანიურ ხერხს,
რომელიც ბრწყინავს ახალი,
თეთრი კბილებით.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

გასწი, გასწი, მეეტლევ,
სწრაფად გარეკე ცხენები
მოსკოვის დაკლაკნილ ქუჩების ქვაფენილებზე,
ან და ბულვარის გასწვრივ იშვიათ ასფალტზე,
იგინე რამდენიც გსურს,
მიმართე ყველა გამვლელს
დამიძახე რაც გნებავს: „barine“
ან „tovarichtch“— სულ ერთია.—
მხოლოდ გასწიე, მეეტლევ,
სწრაფად გარეკე ცხენები,
იგინე რამდენიც გინდა, იწყევლე
მხოლოდ გამაქანე, სწრაფად და მარდათ.

ივერის ღვთის მშობლის საყდრის წინ
მბჟუტავ და მოელვარე,
ანთებულ სანთლების ისართა შორის,
დაკონკილი და მორთული ხალხი იჩოქებს თაყვანით
და იფრქვევა მათი სურვილი და მისტიური იმედები.
კისრის წამოწევით,
მკერდზე ხელების ცემით
მეეტლები ჯიბრობენ გინებაში, შეკურთხებაში და ყვირილში.

ქალაქის საბჭოს,
თეთრ და წითელ შენობაზე,—
რომლის ფასადი დღესაც ინახავს ტყვია მფრქვეველების კაკანს,—
თავის ბუმბულის შავი ბოლოებით
ყვავები, ჭილყვავები მჭიდროთ დაწყობილან ფრონტონზე
და თან ავსებენ ჰაერს
მოწყენილ და მაგარ ყვანჩალით.

სიმღერის გრიალით,
მწყობრი ნაბიჯებით,—
წითელი არმია მიაპობს ნაცრისფერ მოედანს
და თან მიეშურება „მეტროპოლისაკენ“,
სწორკუთხიან და მმოძრავი სიმჭიდროით.
ღრმათ მთელემარე ტაძარივით ამართულა დიდი თეატრი,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიქრომიული რიტმი „იგორის“, “ბორისის„ ან „[illegible]
ამკრთალებს პურპურს და ოქროს
ჩამოწოლილ უშნო ქანდაკებისას,
როცა ნათელს და პათეტიურს გოლოვანოვს
მიჰყავს თავის ორკესტრი.

ნოემბერია,—ქუჩებში უკვე დადიან მხეცების ქურქებში,
კრავების სპეტაკ ტყავებში, ლეინისფერ ტანსაცმელში.
სპილოს ფეხების მზგავსად მიწიდან სდგებიან valenik-ები
ყვირილით განუწყვეტლად
მოვაჭრეები სთავაზობენ გამვლელებს
მზესუმზირას და პატარა ფრანგულ ბულკებს.
არყით და ფიჭვებით დატვირთულ სტომაქით
ნელი, ხმაჩახლეჩილი,
ზანტად სრიალებენ ტრამვაები.
გულში ჩახუტული, როგორც პაწაწინა ბავშვები,
გაჩქარებით, მაგრამ ფრთხილად, ზოგიერთები მიათრევენ რკინის ღუმელებს.

მძიმე და მთელემალე, როგორც ვირთაგვა გიგანტური.
წითელ კრემლს აუმართავს ყველა თავის შენობა—ნაირი სტილით
და დაწესებულებათა ხროვა.
ტვინ დალარული, შუბლ გაბერილი, მზერა ალმაცერი და სწრაფი,—
ლენინი მუშაობს განუწყვეტლივ და მედგრად;
მისი ხელი ჩასჭიდებია სახელმწიფოს და პარტიის საჭეს
შორსმჭვრეტელი,—ის გამოიცნობს შორეულ და მრისხანე მორევებს.
ემორჩილება მას თამაში—პედალებისა და სისწრაფეთა ცვალებადობის.
ტელეფონის ლამფა ენთება: „ალლო!“—ის უსმენს და პასუხს აძლევს.
აქტიური და ლაკონიური, თავის უდაბურ მაგიდაზე,
ქერა ქართველი ენუქიძე, ღებულობს, და სწერს, ლაპარაკობს ტელეფონზე,
სათვალებიანი, მარდი რადეკი სთხზავს და უკარნახებს.
და იქ კი პატეშნოს სასახლეში,
მოყვითალო და მწვანე არაბესკებით
Anatol vasilieviz ადგენს რომელიმე მოხსენებას ან პიესას.
და მის მისალებ ოთახში, როიალის შავს სარკეში,
აჩქარებულნი მას უცდიან
და ესაუბრებიან ერთმანეთს გამკრთალი მნახველები.
და კრემლის ვეებერთელა,
მძიმე შენობის გვერდით
ზევით, მიწის ქვეშ,
წკრიალებს ტელეფონის ნაირი ხმები.
ჩაკეტილები და მუნჯები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისვენებენ კრემლის ტაძრები:
და შენობებს შორის უხილავი,
შეშების შტაბელებს შორის
მიმალულა მაცხოვარის ხატი
მოფარებით და განმარტოებით
და აქ, კრემლის პირდაპირ,
ნერვიული ცენტრი საბჭოთა რუსეთის—
ჩამოკიდულია ვეებერთელა კვადრატი K. K. P. შენობის.
ზნამენკა, რომლის ბოლო მიძღვნილი აქვს წითელ მარსს,
ზათხულით მიაგავს მშვიდ ქუჩას,
ფოთლებით დაფარულს.
ჩაკეტილს, დადუმებულს, განარტოებულ სახლში—
სიცოცხლის ხალისით,
ალფრთოვანებით, ანთებულ ტილოებით
ვან-გოგ, მონე, მატისს, ვან-დონგენ, სეზანნ, დერენ
უფრო აჩენენ ტრეტიაკოვების განსასვენებლის
მოწყენილ სახეს.

რად ჩერდები—
გასწი მეეტლევ,
გასწიე, გასწიე ჩქარა!
გამაჭქროლე წითელ ალაყაფისკენ, გამაცილე სადგურებს,
დასწურე კბილებიდან გინება;
იგინე და აფურთხე,
გასვარე ხიფთანი შენი ლორწით
ოღონდ გასწი ცოცხლად!
შენ თითქოს გაჭქვავდი ერთ ადგილს,—
გამაქანე ქალაქის შორის,—
გასწი, გასწი, მეეტლევ,
ცოცხლად დაიძერ ადგილიდან!

პოლიფონიები, პოლიქრომები,
სილარიბის და სიმდიდრის
ბნელი შესახვევები,
ფართე ქუჩები
ევროპის სალებავები, აზრის რიტმებთან რო ომობენ,
ერთსართულიანი სახლები,
მრავალ იარუსიანი ფასადები
მკვდარი აკადემიზმი,
მოხმაურე ფუტურიზმი.
ზღაპრული შერევა ორი რასსის, ორი საუკუნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელვის მზგავსი და რბილი როლს-როჲს
და იქვე გვერდით, ზანტი ქარავანი აზიური.
K. S. Ф. K. M. P. K.; Markompros-Markomprod
შემდეგ Gastronomia,
tractir და Konditerskaia,
და თავბრუ დამსხმელი ტრიალი
მილიონ ქაღალდის ფულის.

სახალხო Stolovaia,—მისი განუწყვეტელი მუსიკით—
სუნთქავს ვობლის წვენით—
რწყევას რო იწვევს.
ვიწრო, ბნელ სარდაფში,
შორეულ შესახვევში
მაგიდებთან კვამლის ბოლში
სვამენ მაგარ კავკასიის ღვინოს
სტილიან და ძველ სახლში ბალერინის განცალკევებულ

ფართე სუფრაზე
აწყვია ბლინები, ხიზილალა
და ბრწყინავს არაყი უფერული და მოთეთრო,
მაშინ, როცა ლატაკ და გაშიშვლებულ სენაკში
პურის აგგლომერატის ახლოს, მიწის გუნდების
ალისფერი და ბრწყინვალე
ელავს საინი ბორშჩით.

ტრუბნოიზე ჰყიდიან პურს,
ხორცს, კვერცხებს, ძეხვებს,
დგამს, ტანისამოსს, ნამტვრევებს და ჩემთვის გაუგებარ ნივთებს:

დანჯღრეულ მაგიდებზე მხიარულად მღერიან სამოვრები.
სპეკულიანტები, ჯარისკაცები, გლეხები ირევიან და ჯგუფდებიან,

ირევიან ხმები, ძახილი, გინება
მომწყვლელი და—
სინათლის ნაზი კონუსი, მასსიური კუბი ჩრდილების.
მოტრიალე ბზრიალასავით მიბაჯბაჯებენ შემკრთალი გამვლელები.
მიწიდან მოიწევს ხმაური მრავალ ძარღვიანი, პოლიმორფიული.
ყველაფერი უცნაურია, ბნელი და იდუმალი,
მხოლოდ სინათლე ყავახანების, სადაც ელვარებენ თეთრი სუფრები
და ნიშები აფთიაქების, წითელი და მწვანე.
ტვერის ქუჩა, ძველი კაფე „დომინო“, როგორც გასუქებული ფურცელი
რკინის.—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წამოწეული შენობა,—ეს კლუბია რუსეთის პოეტების კავშირისა.
პოეტების კავშირის თავმჯდომარე განუწყვეტლივ ისვრის ირონიას
უხსნის რა მსმენელებს მოდერნიზმის მკაცრ საიდუმლოს.
ახლოს, ქუჩაზე, ზევით,
გაჯიბრებულნი, ნოვატორების სახელწოდებით,
იმაჟინისტები უკითხავდენ თავის მოძველებულ ნაწარმოებებს.
მძიმედ დაღვრემილ მსმენელებს, ლაქიებს და პროსტიტუტკებს
მაშინ, როცა, პირდაპირ „ლიუქსში“
კომინტერნის სასტუმროში
აელვარებულ ფანჯრების ოქრო იჭრება წყვდიადში.
მოსკოვი—ეს კომინტერნია, ეს კრემლია, ეს—საბჭოთა რუსეთია,
და ეს თითქმის მთელი ქვეყანაა;
მის მოძრაობაში,
მის პულსაციაში
იმედები, თრთოლა, შერევა, შეერთება
მთელი ცხოვრება,
მთელი ქიმია, მთელი დინამიკაა.

თარგმ. **ვასილ გორგაძის**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარსელ მარტინე.

# ღამე.

(გაგრძელება)

## მოქმედება მესამე.

(დარბაზი სამიკიტნოში, რომელიც ახლა ჯარისკაცების მთავარ შტაბად არის გადაქცეული. მცირე მაგიდებისა და ფიცრების საშუალებით ოთახის შუაგულში გამართულია გრძელი დიდი მაგიდა. ირგვლივ სკამები.

მაგიდაზე აწყვია გაზეთები, ქაღალდები, დახვეული გეგმები. სამი საველე ტელეფონი. ძველი გახუნებული დროშა, შეცვლილი ორი წითელი გადაჯვარედინებული დროშით.

ხუთმეტიოდე კაცი უზის მაგიდას. ისინი მუშაობენ ზოგი ცალ-ცალკე, ზოგი ჯგუფ-ჯგუფად და თათბირობენ. მათ შორის უკვე ცნობილი პირები: ლედრიუ, გუტოდიე, ფავროლი. ზოგიერთები საჩქაროდ საუზმობენ მუშაობის შეუწყვეტლად. ზოგიც თამბაქოს ეწევა. ეს ჯარისკაცების კომიტეტია. მისი თავმჯდომარეა ლედრიუ.

მთელი მოქმედების განმავლობაში ყოველ წუთს რეკავს ტელეფონი. ერთი კომისართაგანი ყურს უგდებს და უპასუხებს ან მაშინვე ან ამხანაგებთან თათბირის შემდეგ. განუწყვეტელი მოძრაობა. კომისრები ხშირად გადიან განკარგულების გასაცემად და ისევ ბრუნდებიან).

ლედრიუ.

მეათე არმიის საქმე როგორ არის?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომისარი.

გამოკეთდა. არ არის ცუდად.
საათის უკან დაგვირეკეს.
ყველა სარდლები შეუპყრიათ. ძალა-უფლება
ყველგან ამ ჟამად ჩვენს ხელშია.
მხოლოდ ჯერ კიდევ იარალი არ დაუყრია
კავალერიის ორ ესკადრონს. მაგრამ მათ უკვე
შემოლევიათ მთლად სურსათი და ყუმბარები.
ერთი მათგანი რიგიანად დააზიანეს
და შეიძლება დაგვნებდა კიდეც.
მეორეს ძველი აფიცრობა ამაგრებს, მაგრამ
ჩვენები იქაც საკმაოა.
ის გადავიდა თავდაცვაზე. მაგრამ, მე ვფიქრობ,
რომ სალამომდე შევსძლებთ მაინც მოუღოთ ბოლო.

ლედრიუ.

კარგი. დახოცილები?

კომისარი.

არ არის ცნობა. არა ვფიქრობ, რომ ბევრი იყოს.

ლედრიუ.

გაიგე. ცნობა მოითხოვე დაუყოვნებლივ.
ვალდებული ვართ, რომ ვიზრუნოთ ამაზე ყველამ.
უნდა ვეცადოთ, რომ ლაშქრობას და მთელ სამშობლოს
სწორი ცნობები მივაწოდოთ. განსაკუთრებით
ამ საკითხს ჩვენი ყურადღება უნდა მივაპყრათ.
უნდა ვეცადოთ, რომ სისხლის ღვრა რაც შეიძლება
ნაკლები იყოს, და ეს ჩვენი სურვილი ყველას
უნდა ეუწყოს გარკვეულად და გასაგებად.
ყველაზე უფრო სიმართლის თქმას უნდა ვეცადოთ.
სიმართლე არის ჩვენი ძალა და იარაღი.

ფავროლი.

ტყვიისმფრქვეველსაც რამდენიმეს თუ მიუმატებთ.

ლედრიუ.

(ყოყმანობს, ვიდრე უპასუხებდეს).

ფავროლ, ჯერ კიდევ სწავლა არის საჭირო შენთვის,
ის რომ გაიგო, თუ ჩვენ რაგვარ ომს ვაწარმოებთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგვარი საქმის შესრულებას ვაპირებთ ამით.
მწამს, რომ არც ერთი ჩვენთაგანი არ შეჩერდება
იმის წინაშე, რაც უთუოდ უნდა გაკეთდეს.
და მაინც კიდევ მე, ამისდა მიუხედავად,
არ მავიწყდება აჯანყების მიზანი ერთ წუთს.
და, თუ არ მოვკვდი, არც შემდეგში დამავიწყდება.
მაგრამ გადავსდვათ ეს საკითხი; ახლა მითხარი
ბურბუზს როდისღა მოიყვანენ?

კომისარი.

გზაშია უკვე. მოიყვანენ უთუოდ მალე.

მეორე.

ლედრიუ, ცნობა მოგვივიდა დასავლეთიდან.

(უსმენს და ლაპარაკობს აპარატით).

კეთილი. კარგი. ამ წუთშივე.

(ლედრიუს და სხვებს. იმეორებს იმას, რასაც ტელეფონით ისმენს).

ძალა უფლება დასავლეთით ხელში ჩაიგდეს
ადგილობრივმა პროპაგანდის კომიტეტებმა.
სურსათის საქმეს განაგებენ ისინი ყველგან.
აღარსად არის მღელვარება. გლეხებიც ახლა
იმათთან ერთად გამოდიან. რეკვიზიციას
ნებაყოფლობით ატარებენ.
და მუშების კომიტეტებმაც
კვლავ აღადგინეს სალითონო წარმოებანი.
წვრილ მოხელეთა გადადგომა... ეს კი იქნება
ბიუროკრატიის მოსასპობი საბაბი მხოლოდ·
მოწყობილია ორი პროფესიონალური შკოლა:
ამუშავდენ თეატრები. სოფლებში კითხულობენ ლექციებს...
ჰა? რაო? ალლო!..
ამბობენ, მათ და დროებითი მთავრობის შორის
უთანხმოებას აქვს ადგილი. მთავრობა ცდილობს,
რომ მოახვიოს მათ თავისი პირები თავზე:
თავის ერთგული დამქაშები, ამას წინად რომ
კომიტეტებმა გააძევეს თავიანთ წრიდან.
არამზადები და მშიშრები, რომლებსაც ომში
მხოლოდ და მხოლოდ ძარცვა-გლეჯა აინტერესებს.
აი ამნაირ პირებს გვახვევს მთავრობა თავზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ლედრიუ.**

(დაბალი ხმით).

ასეც ვფიქრობდი. იწყება უკვე.

**კომისარი.**

მთავრობა ურჩევს შეთანხმებას, იგი მოითხოვს
მოვალეობის და უფლების განაწილებას.

**ვიღაცის ხმა.**

ჰო დღის წესრიგში დასმულია უთავბოლობა.
დაბძანებულან უსაქმურად. თავი აიშვეს.
და ინტრიგებსაც ხელი მიჰყვეს გარდა ამისა.
ნუ, თუ ჩვენ კიდევ ნებას მივსცემთ, რომ კვლავ შეგვბოჭონ?

**კომისარი.**

იუწყებიან, რომ ფქვილები გამოლეულა.
მთავრობაც თურმე იმუქრება, რომ შემოზიდვას
შესწყვეტავს, თუ კი არ დაუთმეს კომიტეტებმა.
გვთხოვენ ურჩიოთ.
ალლო! ჰო, დაიცადე აპარატთან.

**ლედრიუ.**

უნდა იბრძოლონ.
უნდა იბრძოლონ უკანასკნელ საზღვრამდე იმათ.
აქვსთ კიდევ ფეტვი, შეუძლიან გალეტის ცხობა.
სტეხონ ყანებში სიმინდები მომწიფებული.
მთავრობაში ხომ სულყველანი ლაჩრები სხედან.
ვერ გაუძლებენ ჩვენს შეტევას და დაგვითმობენ.
რას წარმოადგენს მათი ძალა?—არარაობას
და მარტოოდენ ჩვენს სისუსტეს იმათ წინაშე.
განა ისინი იმგვარივე სულთამხუთავი
და მევახშენი არ არიან, როგორიც სხვები,
ოღონ ამ სხვებზე უფრო მეტად ფარისევლები?
დაიღუპება ყველაფერი, თუ კი დაუთმეთ!

**ფავროლი.**

მაგრამ ეუოფათ, მე მგონია, გამბედაობა,
თავის მუქარა სისრულეში რომ მოიყვანონ.
ასე თუ ისე უნდა შევქმნათ ძალა-უფლება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და შეთახმებას მივაღწიოთ უნდა როგორმე.

ლედრიუ.

რას ამბობ, მაგას? და მერე ვინ?—ფავროლი! არა,
შენ დაგვარწმუნე რამდენიმე კვირის მანძილზე,
რომ გამძლეობა არის შენში ეკლებიანი.
ვიზე ილაშქრებ? ვის მხარეზე გიჭირავს თვალი
მისმინე, ფავროლ, შეიძლება გამარჯვებისთვის
დრო საკმაოა, მაგრამ იგი აღარ იკმარებს.
მისთვის, რომ შევსძლოთ გამარჯვების გამოყენება.
— ამხანაგები გააფრთხილე: გამაგრდენ ყველა.
და სხვებს აუხსნან გულახდილად მდგომარეობა
სიტყვით, ფურცლებით, გაზეთებით და პლაკატებით.
უთხარი, რომ ჩვენ მხარს დაუჭერთ იმათ საცსებით
არა თუ სიტყვით, საქმითაც კი, თუ რომ დასჭირდათ.
მართლა, მთავრობის დელეგატი ხვალ მოვა, ვგონებ.

კომისარი

არა. დღეს უნდა მოსულიყოს.
ეგები კიდეც მოსულია.

ლედრიუ.

კარგი. სცადოს, სანამ მოვრჩეთ ბურბუზის საქმეს.
ბურბუზის საქმე —ეს ჩვენი და ხალხის საქმეა.
და აქ მთავრობას ხმის დაძვრაც კი არ შეუძლია.
დე შეაფასოს დელეგატმა მდგომარეობა
და ამ ძალების ურთიერთი განწყობილება.
ყარაულები გააფრთხილე, რომ დელეგატი
ბურბუზის საქმის გარჩევამდე არ შემოუშვან.
შენ კი მთავრობას ტელეფონით შეატყობინე
ყველა ამბები დასავლეთის, რომ ამხანაგებს
ჩვენ აქ მარტონი ურეზერვოთ უდგივართ ზურგში.
— ის დელეგატი რომელია? აქ თუ იცნობენ?

კომისარი.

ბოდრე დიუ-პატუა, სახალხო დეპუტატი
გარდაცვლილი სახალხო საკრებულოსი.

ფავროლი.

მე ვიცნობ ცოტად. ჩვენი კუთხის დეპუტატია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**კომისარი.**

რას წარმოადგენს, როგორია?

**ფავროლი.**

ასე, რა გითხრათ, არა უშავს.

**კომისარი.**

რას აკეთებდა ის ამ ომის განმავლობაში?

**ფავროლი.**

აი, აქ კი მას ჩაუვარდა ნაცარში კოვზი.
მაგრამ შემდეგში საქმე ისევ გამოასწორა.

**კომისარი.**

ვგრძნობ რაც იქნება!

**ფავროლი.**

ბოლოს და ბოლოს არც ცუდია. არ არის გულქვა
და თავის წრეში უსათუოდ ბევრსა სჯობია.
(ამ დროს ჯარისკაცთა ოცეულს შემოჰყავს
გენერალისიმუსი ბურბუზი).

**ლედრიუ.**

ბრალად გედებათ თქვენ, ბურბუზო, ჩვენი კაცები,
რომ არ მიიღეთ. აგერ უკვე ორი კვირაა,
რაც თქვენ შეგეძლოთ მორჩილების გამოცხადება.
გარდა ამისა არის კიდევ ბრალდება თქვენზე.

**გენერალისიმუსი ბურბუზი.**

(ახლა მას აქვს მოხუცი პროვინციელი ბურჟუას გარეგნობა. მას არ ემჩნევა დიდი შეოცება იმის გამო, რაც ხდება, მაგრამ ის გამუდმებით აქნევს წინ თავს, ისე როგორც ქათამი საკენკზე ნისკარტის დაკვრის დროს).

არ... არ ვიცოდი... ბრ... ბრრ...
მე არ ვიცოდი, ბატონებო, თუ თქვენ ამდენი
ძალა შეგწევდათ, ბრრ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლედრიუ.

ბატონო ბურბუზ, კმარა თავის მოკატუნება.
უეჭველია, თქვენთვის მეტად ხელსაყრელია
ეგ მოგონილი სისულელე და უვიცობა.
მაგრამ ძალიან ბევრი სისხლი გაწევს კისერზე,
სულყველაფერზე, რაც ამ ორი კვირის წინ მოხდა,
იმ დღემდე, როცა თქვენ უარი სთქვით შეხვედრაზე,
სულყველაფერზე პასუხს აგებთ თქვენ და ის თქვენი
დამქაშები და ხელქვეითი თანამშრომლები,
თქვენთან, თქვენს გვერდით რომ ილეწოდენ, ბატონო ბურბუზ.
ამ ბოლო დროსაც ხალხის სისხლი დიოდა კიდევ—
ეს არის თქვენი საკუთარი დანაშაული
და თქვენ პირადად პასუხს აგებთ ხალხის წინაშე.
თავისუფლების ის ლანდიც კი, ბატონო ბურბუზ,
რომელსაც თქვენთვის ამ დღეებში ჰქონდა ადგილი,
ამიერიდან მოგესპობათ. თქვენ გატუსაღებთ.

გენერალისიმუსი ბურბუზი.

ბრრ...

ლედრიუ.

ჯერ თქვენი ბედი მთლად არ არის გადაწყვეტილი.
ჩვენ არ ვიქნებით ერთად ერთი მსაჯული თქვენი.
არა. ცოლები მათი, ვისაც ფრონტზე ჰგზავნიდით
თქვენ სასიკვდილოდ, მშობლები და შვილები მათი,
ყველა გახდება მონაწილე მართლმსაჯულების.
ვგონებ გაოცებთ თქვენ ეს სიტყვა: მართლმსაჯულება.
ო, ეს არ არის მსაჯულება სასწორის, ხმალის,
მდიდართა მონა, დაუნდობი, გულცივი სახით
რადგან იგია თვით სიკვდილის შავბნელი სახე.
— ახლა კი წადით. გაიყვანეთ!

ლედრიუ

ამხანაგებო, თქვენი აზრი?

ფავროლი

მე ხომ გითხარით. დედამიწა! მაგრამ თქვენ ერთხმად
ჩემი ნათქვამი უარყავით და ამის შემდეგ
დავემორჩილე მეც თქვენს გრძნობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჯერაც ხომ აქ არავის არ მოუცია
წინადადება, თუ რა უქნათ ამ ადამიანს.
მე გთხოვთ ასეთი განაჩენი გამოვიტანოთ—
სწორედ ისეთი, როგორიც იქ თხრილებ გადაღმა
გამოიტანეს: მათ გადმოგვცეს ჩვენ თავიანთი,
და ჩვენც სანაცვლოდ გაუგზავნოთ იმათ აქედან
აი ეს ჩვენი მსუქანი ლორი.
ეს იმათ თავის გასართობათ გამოადგებათ
და შემდეგ ისევ გადმოგვცემენ, როდესაც უკვე
გადაწყვეტილი გვექნება თუ რა მოუხერხოთ.

გუტოდიე.

ოჰ, ეს იქნება ყველაფერზე უფრო მარტივი!

კომისარი.

არა! ჯერ იგი ჩვენ აქ უნდა გავასამართლოთ.

მეორე.

მაგრამ ლედრიუმ წელან უთხრა, რომ ჩვენ მარტონი
მისი მსაჯული არ ვიქნებით.

გუტოდიე.

ჰო, მაგრამ ეს ხომ სასამართლო როდი იქნება.
განტვირთვა მხოლოდ. ან აღკვეცის უბრალო ზომა.

მეორე.

ისევ მთავრობას სჯობს გადავსცეთ,

ხმები.

— აა, არა!—არასოდეს!
— განა არ იცი, თუ მთავრობა როგორ იქცევა?
— ვერ გაიგონე, დასავლეთით რას სჩადის იგი?

ლედრიუ.

დავხვრიტოთ ისევ, მე მგონია საუკეთესო
გამოსავალი ეს იქნება. დღესვე დავხვრიტოთ.
— ამხანაგებო. ასე ვფიქრობ და გეუბნებით.
დღესავე, თუმცა დედამიწა არა მგონია
იყოს დარაჯი უკეთესი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წამებულების შექმნა მეტად საშიში არის.
მაგრამ იმ საქმემ, რომლისთვისაც დღეს ჩვენ აქ ვიბრძვით,
განა ხუთმეტი მილიონი არ შეიწირა,
და დედამიწა არ სდარაჯობს ამ წამებულებს?
ეს საცოდავი ჯამბაზი კი იმათ წინაშე
რას წარმოადგენს? ჩემს კისერზე მივიღებ მის სისხლს.
ვიცი, ის არის ჭკუანაკლე, ბებერი მონა.
მე კარგად ვიცი, რომ მთელ თავის ჯალათურ საქმეს
ის ასრულებდა შეუგნებლად. მე ვიცი, იგი
თავის ბატონებს მავნებლობით ვერ შეედრება.
მაგრამ მე მაინც მგონია, რომ იგი ამ ჟამად
საშიში მტერი უნდა იყოს თავისუფლების.
დღეს საშიშია ეს უტვინო ბებერი ჩვენთვის,
მიუხედავად იმისა რომ ეს სასაცილო,
საბრალო გუდა სიძულვილის ღირსიც არ არის.

**გუტოდიე.**

მაგრამ ახლა ხომ გამარჯვება ჩვენს მხარეზეა!

**ლედრიუ.**

ჰო, გამარჯვება მეტის მეტი.
ამხანაგებო! ჩვენ ანგარიშს არ ვაძლევთ ჩვენს თავს.
მასში, რომ ჯერ ჩვენ არაფერიც არ გავაკეთეთ.
ჩვენ ვართ დაღლილი მუშებიეით, რომლებსაც მხოლდ
მხიარულება და ქეიფი მოსწყურებია.
ჯერ დაწყებულიც კი არა გვაქვს აღმშენებლობა,
ჯერ ძველი ნაშთის დანგრევაც კი ვერ დავამთავრეთ.
არა! ნამდვილი გამარჯვება ჩვენ არ გვეკუთვნის,
არამედ იმათ, გუტოდიე, იმ არამზადებს,
გათახსირებულ შულერებს და ხალხის შემჭმელებს,
რომლებიც ახლა დროებითი მთავრობის სახით
დედაქალაქმა თავის ხელით დაისვა თავზე.
პროვინციიდან მოსულია მოხსენებები,
რომ იქ რიგზეა ყველაფერი, მაგრამ ისინი
დაეპატრონენ დედაქალაქს, სადაც მათ თურმე
წინააღმდეგი სულ არავინ არა ჰყოლია.
და, აი, ხედავთ, დღეს ისინი პროვინციისკენ
ფარისევლურად ხელს გვიწვდიან. კიდევაც თითქოს
გვემუქრებიან ეს ლაჩრები, ეს საბრალონი!
უკვე გაბედეს დამუქრება. შენ გუტოდიე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამბობ, რომ ახლა გამარჯვება ჩვენს მხარეზეა.
არა, პირიქით, ამხანაგო, ჩვენ დავიღუპეთ!
და, აი სწორედ ეს მსუქანი პირუტყვი, რომლის
სიცოცხლეს თქვენ აქ გულკეთილად ექომაგებით,
ხვალავე, თავის სისულელის წყალობით ალბად,
ყურმოჭრილ მონად გაუხდება იმ მქლე ბატონებს,
რომლებისაც მე მეშინია და რომლებიც მე
უფრო მძულს, ვიდრე წინანდელი გაბერილები.
დღეს მათ გაბედეს დელეგატის მოგზავნა. ხვალ კი...
არა, უთუოდ დავიღუპეთ, თუ კი დღესავე
არ გავახილეთ ჩვენ თვალები. ვიდრე ჯერ კიდევ
გულში გვინთია ჩირაღდანი განრისხებისა,
აი ამიტომ დღეს ხმას ვაძლევ სიკვდილით დასჯას.

**გუტოდიე.**

მაგრამ შენ თვითონ არა სთქვი, რომ უფლება მასზე
მსჯავრის დადების მარტოოდენ ჩვენ არ გვეკუთვნის?

**ლედრიუ.**

ჰო, ეგ უთხარი მას პირადად.
დღეს კი ჩვენ იმას მთელი ლაშქრის სახელით აქვე
გავასამართლებთ; მთელი ერის—ხალხის სახელით.

**ფავროლი.**

(მდაბალი ხმით).

მაშ აქ ყოფილა დიქტატორი?

**ლედრიუ.**

(მხრებს იჩეჩს. შემდეგ...)

მე ვასახელებ ისეთ ზომებს, რომელსაც მასსა.
გაიგებს კარგად, მოიწონებს იმ დროს, როდესაც
მას გაგების და მოწოდების უნარი შესწევს.
ამ ორი კვირის წინ ბურბუზნის სიკვდილით დასჯა
ჩვენი ქვეყნის მთელ სამ მეოთხედს აამხედრებდა
ჩვენს წინააღმდეგ. დღეს ეს ლაჩრებს დააფრთხობს მხოლოდ
და თავის ნადავლს მათ ხელიდან გააგდებინებს.
მე ხმას ვაძლევ სიკვდილით დასჯას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუტოლდიე.

იმ პირობით, რომ გადავუგზავნოთ თხრილებ გადაღმა

ლედრიუ.

რა მიქარვაა! ჩვენისთანა ხალხია იქაც,
ამნაირივე დროებითი მთავრობის ხელში.
ძვირად კი მაინც არ დაუჯდეს მათ თავიანთი
ბალღური ქცევა—გამოგზავნა ჩვენთან ამ სისხლით
ხელებ გასვრილი და ბებერი მაიმუნისა.
როგორ, ბურბუზი გადუგზავნოთ მათ, რომ შემდეგში
ისევე უკან ჩვენს მთავრობას გადმოაბარონ?
მე ხმას ვაძლევ სიკვდილით დასჯას.

კომისარი.

ასწიეთ ხელი, ვინც ხმას აძლევთ სიკვდილით დასჯას.
(აიწევა მხოლოდ სამი ხელი),

ლედრიუ.

კარგი. კეთილი. ვისურვებდი მე მხოლოდ, რომ თქვენ
სხვების დასჯაზე არ დაგჭირდეთ ხელის აწევა.
აბა?

გუტოლდიე.

წინადადებას ვიძლევი, რომ რეფერენდუმი
მოვაწყოთ ჯარში და აგრეთვე მთელ საფრანგეთში.

ლედრიუ.

კარგი. საერთო სასამართლო მივილოთ ფუძეთ,
უზენაესი ტრიბუნალი ამორჩეული
ყველა ხალხთა და ლაშქართაგან, ორივე მხრიდან,
მთავარ სარდლების, მინისტრების და მმართველების
თავისუფალი ხმის მიცემით და უფლებით, რომ
გამოაცხადონ ომი, თუ კი საჭირო იქნეს.
და იმ ომის დროს იმოქმედონ როგორც უნდოდეთ.

გუტოლდიე.

წინაამდეგი არავინ ხართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხმები.**

— არა!—კეთილი!—გასულია!

**ლედრიუ.**

განვაგრძოთ შემდეგ.
— ადგილობრივი გლეხებია? გაქვთ საჩივარი?

**კომისარი.**

არა, პირიქით.
განსაკუთრებით ამ კუთხეში; აქ იმყოფება
ერთი ვილაცა საუცხოვო მოხუცი ქალი.
გახსოვს იმ ღამეს, პირველ ღამეს, ის ერთი ფერმა,
რომელიც რაღაც სასწაულით გადარჩენილა,
ყველა გლეხები იქ არ დაგვხვდენ თავმოყრილები?

**ლედრიუ.**

ჰო, მახსოვს, მახსოვს. მაგონდება.

**კომისარი.**

რა საოცარი ძალა არის მოთავსებული
ამ მშრომელ გლეხის დედაკაცის მოღუნულ ტანში,
რა გულთბილობა ბუნებრივი! რა გაბედული,
ნათელი ჭკუა. ეს ის არის, რომ ანაწილებს
მასწავლებელის დახმარებით იმ სანოვაგეს,
რომელსაც ვაძლევთ ჩვენ გლეხთათვის. ის ეხმარება
იმათ ამ ჟამად ისე, როგორც ომის დროს—წინად.
ის უხსნის იმათ ჩვენს მიზნებს და არწმუნებს ყველას,
რომ ჩვენს მხარეზე უნდა იყვნენ და გაგვამაგრონ.

**ლედრიუ.**

ჰო და ამათაც ეყურებათ.

(ამ დროს მოისმის დიდი ხმაური გარედან, და ჯარისკაცების ბრბო ტლანქად შემოვარდება სცენაზე ყვირილით:— „გაუმარჯოს ხალხს!“ — „გაუმარჯოს სახალხო ლაშქარს!“ — „ძირს ომი!“ ზიგიერთები ყვირიან: — „გაუმარჯოს დელეგატს!“ დელეგატი ბორდიე დიუ-პატუა, ხალხის არჩეული, დროებითი მთავრობის წევრი, მიდის წინ დარწმუნებული თავის თავში. საკმაოდ სქელი, დაბალი ტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის, სისხლ მოჭარბებული, თმიანი და წვერიანი. აცვია სრული პლაშჩი, რომელიც მას კიდევ უფრო გაბერილს აჩენს.

ლაშქრის კომისრები წამოდგებიან და მჭიდრო ჯგუფით სდგანან ლედრიუს გარშემო).

**კომისარი.**

(გვერდზე).

სიგიჟე არის ამნაირი ყაიდის კაცთან
ჯარისკაცების შემოშვება.

**ლედრიუ.**

(იმგვარადვე).

არ შეიძლება სხვანაირად.
ჩვენ—მათ ვეკუთვნით
მათ უფლება აქვთ
ყველა კითხვების გარჩევაზე დაესწრონ, თუ სურთ.
უმჯობესია დაიღუპოს ჩვენი სხეული,
ვიდრე იმათი სული, რომლის გადასარჩენათ
ჩვენ ვიბრძვით ყველა.

**მეორე კომისარი.**

(იმგვარადვე).

ჰო, მაგრამ ჩვენ კი დავიღუპეთ! ისინიც ჩვენთან.

**ლედრიუ.**

(იმგვარადვე).

ახ, არა, არა!
შეცდომა არის და სიგიჟე მისი დაშვება
აქ ამნაირ დროს. სხვებზე უმალ საჭირო იყო
სწორედ ამისი შეპყრობა და დაპატიმრება.
სიგიჟე იყო ჩვენი მხრით, რომ ვაჩვენეთ ისე,
თითქოს ჩვენ გვსურდა მთავრობას რომ შევთანხმებოდით
მაშინ, როდესაც იერიშის მიტანა მასზე
და ჩვენი ძალის გამოჩენა იყო საჭირო.
სიგიჟე არის, თავის თავსაც რომ აღარ ენდო!
ძალა მასშია, ვისაც სჯერა თავისი ძალა!
დავიღუპენით—არა, არა! ჯერ არა კიდევ!
მანამდე მაინც დავიცადოთ, სანამ მოვკვდებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ეს საუბარი სწარმოებს ბორდიე დიუ-პატუას შემოსვლის მომენტიდან და გრძელდება მთელი იმ ხნის განმავლობაში, როდესაც დელეგატი ლაპარაკობს, ასე რომ ამ უკანასკნელი სიტყვების შემდეგ, რომლებიც მიმართული იყო სანდო ამხანაგებისადმი, ლედრიუ იღებს სიტყვას, რომ უპასუხოს ბორდიე დიუ-პატუას).

ბორდიე დიუ-პატუა.

(მათ რომლებმაც ის მოაცილეს).

მადლობელი ვარ, მეგობრებო.
კარგად ვიცოდი, ამხანაგო ჯარისკაცებო,
როდესაც თქვენთან მოვდიოდი, რომ ფეხი შევსდგი
რევოლიუციის ნამდვილ გულში. ამიერიდან
მე ვიცი, ჩემო მეგობრებო, თუ რა მხურვალედ,
რა გატაცებით და რა ძმურად ჰფეთქავს ეს გული.
მაგრამ სამშობლო უმადური როდი იქნება.
მან კარგად იცის, თუ რა ვალიც დაედო თქვენგან
თავისუფლებას. მადლობელი, მადლობელი ვარ.

(ხელახალი ყიჟინა).

ბორდიე დიუ-პატუა.

(კომისრებს).

აგრეთვე თქვენაც, საყვარელო ამხანაგებო,
თქვენ, ვინც მოზომეთ და პირველმა დაიწყეთ საქმე,
შეუდრეკელო ბელადებო, ამ ღირსეული,
გმირული ლაშქრის ღირსეულო ხელმძღვანელებო,
თქვენც, თქვენც მიიღეთ გულმხურვალე მადლობა ჩემი.
გმადლობთ ამ ძმური და უბრალო მიღებისათვის,
რითაც ძველ მებრძოლს ჩემი სახით პატივი ეცით.
ქვეყნის სახელით, იმ მთავრობის პირით, რომელმაც
აქ წარმომგზავნა, მე უდიდეს მადლობას გიძღვნით
თქვენ, სიბრძნისა და ვაჟკაცობის შემთავსებელნო.
ყველას მადლობა, მეგობრებო, და სხვებზე უმალ,—
აქ მე გადმოგცემთ თქვენ საერთო გრძნობას და სურვილის,—
მას, ვინც ყველაზე ნორჩი არი—დიად ლედრიუს.

(ხმამაღალი ყიჟინა ლედრიუს სახელის გაგონებაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლედრიუ

(მიმართავს ჯარისკაცებს)

ჩვენ აქ საერთო ამოცანას, ამხანაგებო,
შეერთებული ძალითა ვსწყვეტთ. ის ყოველ ჩვენგანს
ავალებს შრომას და გაბედულ თავის განწირვას.
აი ამიტომ ჩვენთაგანი ცალკე არავინ
არ უნდა ვაქოთ და ვადიდოთ. ეგებ შემდეგში
მილოცვებისთვის დრო დაგვიდგეს თავისუფალი,
მაგრამ ახლა კი დრო არ არის დასვენებისა
და სიხარულის ყიჟინისა. აგერ ბურბუზი,
მთავარსარდალი, მხოლოდ ახლა დაჭაპატიმრეთ.
მე ვამბობ, და თქვენ ეს სიტყვები უნდა გესმოდეთ:
აი სულ ახლა ჩვენ ბურბუზი დავაპატიმრეთ.
სხვაგანაც, ყველა სხვა ლაშქრებში, ხალხის გამყიდველ
გენერლებს მხოლოდ ამ საათში აპატიმრებენ.
პროვინციაში ირაზმება მშრომელი ხალხი,
რომელმაც უკვე ხელთ აიღო ძალა-უფლება.
მაგრამ ნუ თუ თქვენ გამარჯვებას ამაში ხედავთ?
ნუ თუ გგონიათ ამაშია თავისუფლება?
ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, ბატონების დაპატიმრება
საკმაო არის იმისთვის, რომ დედა-მიწაზე
წესიერება და სიმართლე დამყარდეს ყველგან?
ფიქრობთ, რომ უკვე დრო დაგვიდგა ცეკვა სიმღერის?
ამხანაგებო, სიმართლესთან გთხოვთ ახლო იყოთ.
განცხრომისა და დასვენების სურვილს გულებში,
რომლებიც ასე მალე დასცხრენ, ნუ გაიტარებთ.
ჯერ ხომ სრულიად არაფერი გაკეთებულა.
ეს დანიშნული საქმე ჩვენ ხომ ერთად დავიწყეთ,
არა იმისთვის, რომ პირველი ნაბიჯის შემდეგ
გამოვაცხადოთ იგი უკვე დასრულებულად.
მაშინ არ სჯობდა იმ მონობის ნაჩვევ ტალახში
უსიტყვოდ ჯდომა და ცეცხლებზე ხელების თბობა,
ვიდრე ხელახლა შიგ ჩაჯდომა სირცხვილის გრძნობით
თავისუფლების ხელმეორედ დაკარგვის გამო,
იმ შუქის გამო, ერთი წამით რომ გაანათა
და ჩაჰქრა ისევ?
დიახ, ჯერ კიდევ არაფერი გაკეთებულა.
ხომ არა ფიქრობთ, რომ მთელი ეს იმათი ბანდა
დაგვნებდა და ჩვენს მოწყალებას მოელის მხოლოდ?
რომ იმას უკვე დაჭრილი აქვს ბასრი ბრჭყალები?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერ ხედავთ, რომ ის ახალ-ახალ ნიღაბების და
სახელების ქვეშ იმზადება, რომ აღადგინოს
იმან თავისი ძველებური ვაჭრობა ხალხით?
ან ვერა ხედავთ, რომ ხვალ უკვე, ისე ვით გუშინ,
თქვენ ხელმეორედ ცხვრების ფარად გადაიქცევით,
რომელიც მხოლოდ გასაკრეჭად თუ გამოდგება?
— მაგრამ დღეს კი ჩვენ ძლიერი ვართ, ამხანაგებო!
აი ამიტომ ჩვენ არა გვაქვს უფლება ძილის.
აი ამიტომ გვმართებს ახლა ჩვენ მოქმედება
გაკაჟებული სიჯიუტით და ბეჯითობით.
ძველი სამყაროს სამარცხვინო ნაშთების ფუძე
უნდა დავშალოთ წერაქვებით და ბერკეტებით,
რომ იქ აღვმართოთ ჩვენ ახალი ქვეყანა შრომის
და სიმართლისა. დახმარებას ელიან ჩვენგან
პროვინციებში ჩვენი ძმები. ამხანაგებო!
იქ, ჩვენს პირდაპირ, ტრანშეების მეორე მხარეს
ჩვენი ძმებია დროებითი მთავრობის მიერ
მოტყუებული. მან მოჰპარა მათ გამარჯვება
მუხანთურად, უნამუსოდ, და ჩვენ ისინი
დასახმარებლად მიგვიხმობენ, —უნდა დავიხსნათ
დაუყოვნებლივ ისინიც და ჩვენივე თავიც.
აი ეს არის, რაზედაც ჩვენ ვმუშაობთ ახლა,
რაზედაც კიდევ გავაგრძელებთ ჩვენ მუშაობას.
დრო არ დავკარგოთ. დროს ორკეცი დაკარგვა არის
უქმი ლაყბობა. თქვენგან მხოლოდ და ისევ თქვენგან
უნდა გვესმოდეს მოწოდება ჩვენ შრომისაკენ.
ამხანაგებო, მუშაობა კომიტეტებში!
შრომა ბეჯითი ადგილობრივ გლეხებთან ერთად!
ხელი მოჰკიდეთ კვლავ სასოფლო მეურნეობას!
კვლავ აღადგინეთ დანგრეული სოფლები ჩვენი!
მიხედეთ ქარხნებს! იმუშავეთ! კმარა ლაყბობა!

(ლედრიუ აკეთებს მოკლე, თითქოს რაღაცის მოლოდინე პაუზას. უკრავენ ტაშს. მცირე მოძრაობა კრებაში, მაგრამ ყველა იქ მყოფი ჯარისკაცები განაგრძობენ თავის ადგილზე დგომას, ახლები კი თანდათან ემატებიან.)

თქვენ, მოქალაქევ, აქ ერთ-ერთი მთავრობის მიერ
გამოგზავნილო, მე ვფიქრობ, რომ უკვე შესძელით
თქვენ შესრულება დაკისრებულ ამოცანისა,
როცა აქ მოსვლა მოახერხეთ დაუბრკოლებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყავი მოწმე, რომ აქ საქმე არც ისე არის.
აქ თავგანწირვას და გმირობას შეიძლებს ყველა,
რომ საქმეს მისცენ სასურველი დაბოლოება.
თქვენ შეგიძლიათ მოახსენოთ თქვენს ამხანაგებს,
რომ აქ ხალხია ათთარივით კბილ გალესილი,
ხალხი, რომელიც ყველაფერზე მზად არის მუდამ.

**ბორდიე დიუ-პატუა.**

(მის პირველ სიტყვებთან აქა-იქ გაისმის დრტვინვა, რომელსაც ის თითქოს არ ამჩნევს. რის შემდეგ მსმენელებში მყარდება სიჩუმე).

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ძმაო ლედრიუ,
აპლოდისმენტით შევეგებე მე სხვებზე უმალ
იმ გმირულ სიტყვას, რომელიც ჩვენ აქ მოვისმინეთ.
მაშ, მეგობრებო, ჩვენ ხელი-ხელს ჩაკიდებულნი
შეუდგეთ შრომას დაუღალელად, თავგამეტებით,
რომ დავასრულოთ ის დიადი საქმე, რომელსაც
ჩვენ დღეს ვაკეთებთ უანგაროთ და სიყვარულით.
აღტაცებაში მომიყვანა ლედრიუს სიტყვამ,
მისმა მაღალმა მოწოდებამ, პატიოსნებამ.
როდესაც იგი ჭაბუკური აღფრთოვანებით
ამჯობინებდა ფერადები დაედოს მუქად,
ვიდრე ენახოს თქვენი ნება შესუსტებული.
სხვები მის ნაცვლად დაგიწყებდენ თქვენ პირფერობას
და გეტყოდენ, რომ ამ დიდებულ, უმძიმეს საქმეს
უნდა თან მოჰყვეს რამდენიმე ხნით დასვენება.
მაგრამ თქვენ შორის, შეიძლება, ამხანაგებო,
იყოს ისეთი, ვინც დღევანდელ მდგომარეობას
სთვლის ხელსაყრელად იმდენად, რომ გაძლევთ უფლებას,
თუ დასვენება არ იქნება, რომ ნაკლებ მაინც
იქანცებოდეთ და დიადი ეს გამარჯვება
აღნიშნოთ დღესვე შესაფერი დღესასწაულით.
ის კი არ იტყვის! ბელადია! თქვენ შეგიძლიათ,
რომ იამაყოთ ამ ბელადით, ამხანაგებო!
მე ვისურვებდი მქონდეს მისი მჭევრმეტყველება,
რომ შესაფერად ვადიდო ის, მაგრამ მე მხოლოდ
ძალმიძს მივმართო გულითადი, უბრალო სიტყვით:
გმადლობთ თქვენ, ხალხის მეგობარო უძვირფასესო,
რომელიც პირად განდიდებას როდი დაეძებ,
და ფიქრობ მხოლოდ წინ წასწიო საერთო საქმე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ პირადათ მე კი უნდა ვსთქვა გულახდილად:
დიახ, მძიმეა ეს საათი ძალიან, მაგრამ
ის იმავე დროს უაღრესად ბედნიერია.
განა ეს, ძმებო, ის საათი არ არის, როცა
მთლად ჩვენი ქვეყნის მაშვრალები შემოკრბენ ერთად,
რომ განამტკიცონ თავიანთი თავისუფლება?
მე სიხარულით გავიგე, რომ დაგიჭერიათ
ეს სისხლის მსმელი ტირანიის ბნელი დამქაში.

(აპლოდისმენტები. ამ მომენტიდან დაწყებული
ბორდიე დიუ-პატუას ხშირად აწყვეტინებენ ტაშით
სიტყვას).

ვიცი, მთავრობას ეს ამბავი გაეხარება.
ამხანაგებო, იცოდეთ, რომ ჩვენ შორის ახლა
ეჭვის ნასახსაც კი ადგილი არ უნდა ექნეს.
მთავრობა რომლის გარეშემო, ამხანაგებო,
შემოკრებილა მთელი ჩვენი ქვეყნის ძალები
ერთსულოვანად, აღტაცებით, ჰგრძნობს, რომ აქ იმან,
უნდა უმადლოს მხოლოდ თავის დიდებულ ლაშქარს.
ის დაამტკიცებს, მეგობრებო, ამ სიტყვებს მალე.
ო, მე შევიტყე გულახდილი ვარ მე სრულიად—
და ვფიქრობ, ჩემო მეგობრებო, რომ ჩვენ ამ ჟამად
დიდად გვჭირდება ერთმანეთთან გულწრფელად მისვლა,—
შევიტყვე, რომ აქ ავრცელებენ საძაგელ ჭორებს,
არ ვიცით ვისი მხამიანი მოსაზრებანი,
ვისიო ცნება მედიდური და ჯალათური,
გზადაბნეული მოტრფიალე უსაშინელეს
და ყველასათვის საზიზღარი დიქტატურისა.
ო, თავს დავახწევთ ჩვენ ამ ღრუბლებს, ამხანაგებო,
და მზის სინათლეს აღტაცებით გაუშვერთ ხელებს!
მთავრობა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით
დაადასტურებს ლაშქრისადმი თავის მადლობას,
და ამაგს იგი არავისას არ დაივიწყებს.
— ჩვენ გვიწოდებენ შტაცკებიდან შემდგარ მთავრობას,
იმ შტაცკებიდან, იმ დიდებულ შტაცკებისაგან,
ვინაც თქვენს ზურგზე იხდის ომის ბრწყინვალე ზეიმს.

(სიცილი)

ამხანაგებო! ჩვენც საკმაოდ გვძაგდენ ისინი,
როდესაც თქვენს ბედს დავსტიროდით ჩუმად, ფარულად.
მაგრამ მათშიაც, მეგობრებო, განსხვავებაა.
ყველა, ვინც შედის მთავრობაში, ისე, როგორც მე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯარისკაცების გულითადი მეგობარია.
ისე, როგორც მე, სულყველანი ფიქრობენ იმას,
რომ დრო მოვიდა ჯარისკაცთა დასვენებისა.
რაც შეეხება შტაცკებს, ჩემო ამხანაგებო,
თქვენც კარგად იცით, რომ ყველაფერს დრო აქვს თავისი.
ჩვენ დავამთავრებთ იმ დიდ საქმეს, რომელიც თქვენგან
ასე თამამად და ბრწყინვალედ დაწყებულია.
— აი რაც მსურდა მეთქვა თქვენთვის, ძვირფასნო შვილნო.
მხოლოდ ეს. თუმცა კიდევ ერთი თხოვნა თქვენდამი:
ახლა ჩვენების საფლავებზე,
ვინც სახელოვან ბრძოლაში მოკვდა,
მათ საფლავებზე თქვენთან ერთად მსურს მე მივიდე,
რომ იქ, მწუხარე ფიქრით მოცულმა,
მე პატივი ვსცე მთელი ჩვენი ქვეყნის სახელით
დიდებულ გმირებს თავდადებულთ ჩვენი გულისთვის.
ძვირფას საფლავებს გთხოვთ, ვეახლოთ, მამულისშვილნო!

(ძლიერი ტაში და ხმამაღალი ყიჟინა. ბორდიე დიუ-პატუა გადის დარბაზიდან ჯარისკაცებით გარშემორტყმული, რომლებიც ესალმებიან მას და ადგენენ მის ამალას. მცირე ყოყმანის შემდეგ კომისართა უმრავლესობა მიჰყვება მას უკან. რჩება მხოლოდ ლედრიუ და კიდევ ორი ან სამი).

**კომისარი.**

(ლედრიუს).

ნახე ხომ ნახე?

**ლედრიუ.**

ჯერ ყველაფერი არ დალუპულა.

ფარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოქმედება მეოთხე.

### სურათი პირველი.

(დეკორაცია პირველი მოქმედების. ექვსიოდე გლეხი ვიწროდ ზის გრძელ სკამზე, ჩაფიქრებულად და დინჯად. უცქერიან კარებს, თითქოს რაღაცას ელიან).

**მოხუცი.**

ჩემს მარანში გადაპარულან.
უნახავთ ქვევრი, მოუხდიათ და მთელი ღვინო დაულევიათ.

(სიჩუმე).

**მოხუცი ქალი.**

მე ჭერის თავზე შემეპარენ.
იქ მქონდა ვაშლი გადამალული,
ბუხრის მილის და ტომრების უკან.
მიუგნიათ და სულ შეუყლაპავთ.

(სიჩუმე).

(შემოდის კიდევ ექვსიოდე გლეხი, რომლებსაც წინ მოუძღვებათ ბაბუა ტუანი, და დინჯად სხდებიან გრძელ სკამზე პირველების პირდაპირ, რომლებიც მათ ყურადღებას არ აქცევენ).

**ქალი**

(ახალი ჯგუფიდან).

საძაგლები.

(ამოიოხრებს).

**მეორე.**

ღორები ყველა. წუნკლები.

**პირველი.**

უარესები მათზე, ვინაც თხრილს იქითაა.

**ბაბუა ტუანი.**

ბატონმა დიუ-პატუამ გვითხრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ საჩივრებით იმას მივმართოთ.

**მოხუცი.**

ისევ, როდესაც ომი იყო, მაშინ გვიჯობდა.

**მოხუცი ქალი**

რა საუცხოვო კაცი ყოფილა
ჩვენი მთავრობის დელეგატი.
მაგრამ მას არავინ ყურს არ დაუგდებს!

**მოხუცი.**

ჰო, პატიოსან კაცს ჩამოჰგავს შეხედულობით.
მაგრამ რად გინდა—ეს წყეული ჯარისკაცობა დამორჩილებას აღარ იზამს.

**ქალი.**

დასწყევლოს ღმერთმა! ნუ თუ ახლა ამ მაწანწალებს
ყოველნაირი უფლება აქვთ?
აი რა ხალხმა მოინდომა თავისუფლება!

**მეორე.**

თვითონ ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეუძლიათ
და მოინდომეს, წინამძღოლად სხვებს რომ გაუხდენ.

**მოხუცი ქალი.**

ამბობენ კიდევ, რომ არიან ჩვენში ისეთნი,
რომლებიც ჩუმად ამ ლოთებთან აბამენ კავშირს.

**ქალი.**

რა ვქნა, როგორც კი დაღამდება შიში ამიტანს.
ჟანდარმები როდესაც იყვნენ,
მაშინ თავ-თავის წესზე იყო სულყველაფერი.

**მოხუცი.**

ყველაზე უფრო ჩვენ მთავრობა გვჭირდება ახლა.

**ბაბუა ტუანი.**

ერთი მთავრობა ხომ გვყავს უკვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ქალი.**

მალე ნახავენ როგორიც არის.

**მეორე.**

იმ ახალგაზრდას რაღა ჰქვია, დღეს რომ მოვიდა?
ბატონ ბორდიე დიუ-პატუას ატაშე, არა?
აი იმას კი, ვგონებ, ვერავინ მოატყუილებს.

**პირველი.**

სტვენს ისე, როგორც ნამდვილი შაშვი.

**მოხუცი.**

და კიდევ ერთი, გარეგნულად პატიოსანი.

**ბაბუა ტუანი.**

ის როდი არის გლეხკაცებთან ამპარტავანი.

**ქალი.**

აი ეტყობა, რომ ის მართლაც შეგნებულია.

**მოხუცი ქალი.**

მაგრამ რა არის, რომ ამდენ ხანს აღარ მოდიან!

**ქალი.**

ალბად თუ ვინმემ გააჩერათ,
მომჩივნები დახვდენ.

**მეორე.**

ან რომელიმე იმ უმსგავსო წუნკალებიდან,
ვის წინაშეც მათ ეპირვებათ ფარისევლობა.

**მოხუცი ქალი.**

კიდევ ჰბედავენ გააცხადონ, რომ აქ ჩვენ შორის
ამ საზიზღრების მიმდევრები მოიპოვება!
მაგრამ, კიურემ როგორცა სთქვა, აცალეთ ცოტა
და მათ მოსტეხავს იმათივე სიგიჟე კისერს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალი.

ან ამ შერყეულ მარიეტას შეხედეთ ერთი!
სულ იმის გამო დაგვატყდა ეს უბედურობა.
— თქვენ კი აქებდით რანაირად!

(შემოდის სტვენით კოხტა, კარგი ტანადი ახალგაზრდა კაცი. ეს არის ბორდიე დიუ-პატუას ატაშე).

ატაშე.

აბა, რას იტყვით, ყმაწვილებო?

ყველა ერთხმად.

ბატონო ატაშე! ბატონო ატაშე! ბატონო!

ატაშე.

ახ, არა! ერთად არ შეიძლება!

ერთი პირველ ჯგუფიდან.

ჩვენ გეახელით აქ პირველი.

ატაშე.

აბა, მითხარით.

ერთი მეორე ჯგუფიდან.

მაგრამ ჩვენ თქვენზე უფრო დიდხანს ხომ მოვდიოდით.

ატაშე.

აი ახლავე. მეგობარო, შენი რიგია.

ორატორი პირველი ჯგუფიდან.

ჩვენ ჯარისკაცებს უჩივით ყველა.
სულყველაფერი აგვიწეწეს და აგვიბურდეს!
აი ვაშლები მოჰპარეს ამ ქალს.
მე კი, ბატონო, ერთი ქვევრი ღვინო შემისვეს.

ატაშე.

ჰო. კარგი. ვნახოთ. დაასახელეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**და ორატორიც.**

(იმავე დროს)

ოფლის გოგოებს მოსვენებას აღარ აძლევენ.

**და ბაბუა ტუანიც.**

(იმავე დროს ოხვრით).

ჩვენ კი ბორდიე დიუ-პატუამ
გვითხრა, რომ ყველა საჩივრებით მივმართოთ იმას.

**ატაშე.**

ჰო, მართალია. შენ რაღას სჩივი?

**ბაბუა ტუანი.**

აი ეს ქალი სულყველაფერს გეტყვით, ბატონო,
მან უკეთ იცის ლაპარაკი.

**ქალი.**

გვეუბნებიან, რომ ყველანი თანასწორი ვართ,
მაშასადამე, რაც შენია, ის ჩემიაო.
დაეთრევიან ჩვენს ყანებში დაუკითხავათ
ბარებითა და წერაქვებით.

**ატაშე.**

კარგი, შემდეგში მაგგვარი რამ აღარ მოხდება.
მხოლოდ ჯერ ცოტა მოითმინეთ.

(შემოდის კიურე ბაიონი მნახველების ახალი ჯგუფით. თითქმის უშუალოდ მის შემდეგ გამოჩნდება ბორდიე დიუ-პატუა საქმეზე ფიქრით მოცული, მაგრამ მაინც მხიარული).

**კიურე ბაიონი.**

ბატონო ატაშე, ბოდიშს მოვიხდით,
ჩვენ გეახელით სათხოვარით. გთხოვთ აიძულოთ,
რომ ჩვენ მოგვიზღონ ის ზარალი, რაც მოგვაყენეს.
ახ, აგერ ჩვენი დელეგატიც!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ატაშე.**

მობრძანდით! მაგრამ აქ საჩივრებს ველარ გაუხვალთ.

**ბორდიე დიუ-პატუა.**

ბედნიერი ვარ, მეგობრებო, რომ გხედავთ ყველას.
სულყველაფერი რიგზე არის. კმაყოფილი ვარ.
მე შემიძლია გადაჭრილი მოგცეთ პირობა,
რომ მალე, ჩემო მეგობრებო, თქვენ ხსნა მოგელით.
არავინ იცის ისე კარგად, როგორც მე ვიცი,
თუ რა სიმწარე გამოსცადეთ თქვენ ამ დღეებში.

(ბორდიე დიუ-პატუას სიტყვების დროს ეშვება ფარდა).

**სურათი მეორე.**

(წინანდელი სამიკიტნოს დარბაზი, მორთული ისე, როგორც მესამე მოქმედებაში.

ფარდის აწევის დროს სცენაზე მხოლოდ ექვსი თუ შვიდი კომისარია, რომლებიც ლედრიუს შემოხვევიან ირგვლივ. სათათბირო და სამუშაო დარბაზში ადგილები ცარიელია.

ვინც სცენაზეა სწერენ და ტელეფონით ლაპარაკობენ.

ლედრიუ სავსებით თავის სამუშაოს მისცემია და უყურადღებოდ სტოვებს ყოველივეს, რასაც გარშემო ამბობენ და აკეთებენ.

მოლურჯო მწუხრი. სთოვს ძალზე)

**კომისარი**

„არ არის გულქვა“.
ერთი კი იყო, რომელიც ჩვენ სულ გვაფრთხილებდა.
როგორ ქაჯურად ეხერხებათ ხალხის მოწამვლა!
სწორედ რომ მართლაც ეს მთავრობის დელეგატები
საუკეთესო საწამლავად გამოდგებიან,
და შეუძლიათ, რომ ბრწყინვალედ გაუბატონდენ
ამ მოზეიმე გახრწნილებს და დამყაყებულ ხალხს.

**მეორე.**

რა ვქნათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გუტოდიე.**

ყველა ავჯანყდით—
თქვენ, ჯეელები, ვინც მხურვალედ უარყოფთ სიკვდილს
და იმზირებით შორეული მომავალისკენ,
სადაც მოსჩანან უთვალავი თქვენი დღეები,
სავსენი შრომით და სიტკბოებით,
ჩვენ, მოხუცები,
დაღონებულნი წარსულზე და ოჯახზე ფიქრით,
ყველანი სიკვდილს აუჯანყდით,
და აი ახლა ჩვენ აღმოვჩნდით მოიჯარადრე
კიდევ ახალი საფლავების.

**კომისარი**

ერთი მათგანით ჩვენ უთუოდ ვართ უზრუნველი:
ჩვენი საფლავით. დე მოისპონ დამარცხებულნი!
ო, მე ისინი მეტისმეტად ბევრი ვიხილე!
ხუთი წლის ომი და ეს სამი თვე...
მე თავს ისე ვგრძნობ, ვით ასი წლის მოხუცებული.
მეტი სიცოცხლე მე არ მინდა.

**მეორე**

სიკვდილი, მაგრამ მარტო კი არა.
დე ჩვენთან ერთად დაიხოცონ მოღალატენიც.
ან ჩვენზე უმალ: ო, სიკვდილი მეც მენატრება!
მინდა, რომ მალე მიმიბაროს მე დედა-მიწამ.
მაგრამ სიკვდილი ჩემთვის მწარე იქნება მეტად,
თუ მათ გვამებზე არ დავეცი.

**კომისარი.**

(რომელიც ამის წინათ ლაპარაკობდა).

რა? შურისგება? ის მე უკვე აღარ მიზიდავს.
გარდა ამისა... ჩვენ შეცდომა დაუშვით უმალ.
ეს ხომ ნამდვილი ბოროტების ჩადენა არის,—
შეუტიო და გამარჯვებას ვერ მიაღწიო.
ძილი. მე მხოლოდ სამუდამო ძილი მწყურია.

**მეორე.**

ეგ ცარიელი სიტყვებია. რა გავაკეთოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მესამე.**

სიკვდილი? ძილი? დამარცხება? სხვა არაფერი?
მე კი ამაზე გიპასუხებთ:
გამარჯვებისთვის არ არსებობს დაგვიანება,
და ბრძოლისთვისაც სწორედ ახლა დაგვიდგა ჟამი.
ჩვენ გავიმარჯვებთ, ჯერ აცალეთ, ჩვენ გავიმარჯვებთ!

**გუტოლდიე.**

საბრალო ბავშვო!

**კომისარი.**

(რომელიც ამის წინათ ლაპარაკობდა).

ხმა ჩაიწყვიტე!
მაშინ, როდესაც დროებითი მთავრობის ფეხ-ქვეშ
უკვე მზად არის, რომ გასკდეს ბომბი,
აი თქვენ სწორედ მაშინ ჰკარგავთ ყოველგვარ იმედს,
მზად ხართ დანებდეთ და სიკვდილზე მართავთ საუბარს!
დიახ! ჩვენ მხოლოდ აი ახლა მივიღეთ ცნობა,
რომ იქ თანდათან მტკიცდებიან ამხანაგები.
ისევ ვით ძმებმა, ჩვენთან, ერთად მტერს შეუტიეს;
თქვენ კი შეშინდით და უმზადებთ ვერაგულ ღალატს,
მაშინ, როდესაც ისინი მხეცს ეტაკენ ყელში.
ორი უბანი, უკვე მთელი ორი უბანი
იმათ ხელშია. წინ! გონზე მოდით!
სწორედ ახლაა დრო ბრძოლის და გამარჯვებისა!

**ლედრიუ.**

(ის თავის ფიქრებში იყო გართული და მხოლოდ უკანასკნელ სიტყვებზე ასწია თავი).

ჰო, დღეს დილაზე ჩვენ ხელთ ვიგდეთ ორი უბანი,
ხოლო ხვალ დილით, ან იქნებ დღეს საღამოსვე
ორივე უბანს გასწმენდს მათი ტყვიის მფრქვევლები,
ორივე უბანს ზარბაზნები მოსრავენ მათი.
მამაკაცები, ქალები და ბავშვები მთელი
ორი უბნისა დაუნდობლად განადგურდება
შავი სამხედრო სასამართლოს განაჩენებით;
და მათი ხორცის ჯერ ისევ ცხელი ნაჭრები
შიშით შეპყრობილ მძულვარებას გაუძღებს მდიდრებს,
რომლებმაც მხარი დაუჭირეს ახალ ცხოვრებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა. ძალიან გვიან არის! ძალიან გვიან.
ან, ეგები, ძალიან ადრე.

(ამ მომენტიდან მოისმის შორიდან ყრუ ხმაურობა, რომელიც თანდათან ახლოვდება და რომელშიაც გასარჩევი ხდება სიძულვილისა და სიკვდილის გამხეცებული ყვირილი. არც ერთ კომისარს ეს ამბავი არ აღელვებს გარდა ერთის ან ორისა, რომლებიც ნერვიულობას იჩენენ).

მაშ ომი ისევ. ხუთი წელი სისხლის ნთხევისა!
გაცრუებული იმედების, სიკვდილის, ტანჯვის,
შეუბრალებელ რღვევისა და ღრმა მწუხარების.
წლები საშინელ სილატაკის, რომელიც მუშტით
კისერს უდრეკდა ადამიანს თან და თან დაბლა—
ხმელი მიწისკენ, დღითი-დღე რომ შრებოდა უფრო.
ადამიანო! საცოდავო პირუტყვო! რა გსურს?
რა არის შენი მისწრაფება და შენი რწმენა?
მოულოდნელად მივარდები გახელებული
ხან შენს მეგობრებს,
ხან კი შენს მტრებს,
ხან საკუთარ თავს,
და შემდეგ ლაფში, ისე როგორც დამთვრალი მხეცი,
ამოევლები და ხელ ახლა დაიწყებ ფორთხვას.

**კომისარი.**

(რომელიც ამის წინათ ლაპარაკობდა).

ო, შენც, შენც, ლედრიუ, შენც ამბობ!
შენც იჭვნეულობ და ხასიათს უფუჭებ იმათ.

(ბრბო ახლოვდება ღრიანცელით. უკვე მოისმის გარკვეული ძახილი:—დ ი ქ ტ ა ტ ო რ ე ბ ი!—ს ი კ ვ დ ი ლ ი ლ ე დ რ ი უ ს!—ძ ი რ ს დ ი ქ ტ ა ტ ო რ ე ბ ი!).

**ლედრიუ.**

იქ აჯანყება, აქ კი ბუნტი—ეს სულერთია.
მხოლოდ იქ ჩვენებს მიუშვირეს ტყვიის მფრქვეველები
და ჩვენ კი ამას არ ჩავიდენთ უეჭველია.
ქარიშხლის ფრთებზე შევავარდნა, კვლავ ძირს დაცემა!
საუცხოვოა. სიკვდილი ხომ ვერა ჰკლავს რწმენას,
ამხანაგებო ტანჯვაში და ლხენაში მუდამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ, მეგობრებო უკანასკნელ საათებისა,
რომლებსაც ჩვენ აქ ღირსეულად უნდა დაუხვდეთ:
დამშვიდებული სახითა და ამაყი გულით,
რაღას უყურებთ?
შენ, გალეშილი როსკიპივით რომ უხმობ სიკვდილს.
შენ, დაუნდობელ შურისგების მომწოდებელო;
შენ, გამარჯვებას რომ უმღერი ბრმა ალტაცებით,
ამხანაგებო, ნუ თუ თქვენთვის კვლავ საჭიროა
სიმართლის ნაცვლად ყალბ ოცნებას აპყრობდეთ თვალებს?
არა! მეგობარს თქვენ ერთად ერთს ნუ უღალატებთ.
შიშველ სიმართლეს!

ხმები.

ჰო, მაგრამ რა ვქნათ?—როგორ მოვიქცეთ?

(ქარიშხალი შემოერტყა სცენას. ყვირილი უფრო და უფრო გარკვეული, უფრო და უფრო მოკვეთილი და საშინელი. სიტყვებს აწყვეტინებს დარბაზში მყოფთ და მათ ძლივს ესმით ერთმანეთის ნათქვამი. მუქარა უმთავრესად ლედრიუზეა მიმართული. გარდა ამისა ყვირიან:—გაგვიშვით დასასვენებლად.—გვეყოფა ტანჯვა—მკვლელებო!)

ლედრიუ.

ლოდინი ჩემი, უიმედო,
არასოდეს არ უნდა იმედობდე.
მაგრამ, ვინ იცის,
გამოფხიზლების სასწაული რომ მოხდს უცებ.
უნდა მზათ ვიყოთ ყველაფერზე.
უნდა ველოდოთ.

ხმები.

— როგორ, მათ შორის სასწაული?
— არა სიკვდილი დაგვრჩა მხოლოდ სხვა არაფერი

ლედრიუ.

ჰო, სჯობს ისევ რომ არ ველოდოთ.
ლოდინი—ეს ხომ ცოტა არი.
მეგობრებო, თქვენ ვაჟკაცნი ხართ.
მზათ ხართ ყველაფრისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაუხანებლად.
მაშ მოისმინეთ. ყველა ჩვენგანი,
სათითაოდ
გავიდეს მოდი. შეერიოს
იმათ მასსაში,
ჰო, მათ მასაში.

(ახლა, როდესაც მივიდენ შემომტევთა უახლოესი რიგები, უცბად ფანჯარაში და კარებში გამოჩნდებიან ჯარისკაცები, შემოდიან, ლედრიუ მიდის კარისაკენ. იქ სდგება გულზე ხელებდაჭდობილი, დამუნჯებული, მიუახლოვდება ისე რომ ტანით ეხება მათ ვინც წინა სდგას.

ბრბო იხევს უკან. ზურგს იბრუნებს და მიდის ნელნელა. თუმცა ყვირილი და მუქარა არ კლებულობს.

ლედრიუ აუღელვებლად ბრუნდება უკან დაჯდება თავის ადგილზე. ორი ან სამი ამხანაგი იმასვე სჩადიან. სხვები ფანჯრებისა და კარის წინ რჩებიან).

ლედრიუ.

ჰო მათ მასსაში.
ვიდრე ისინი დაბრუნდებიან
ყველა ჩვენგანი სათითაოდ.
სულ თითო თითო. ცალკე ჯგუფებად,
გონს მოვიყვანოთ,
დავაწყნაროთ იმათში მხეცი.
გამოვაღვიძოთ ადამიანი.
განა ისინი ხალხი არ არის.
ჩვენი ძმებია. ისინი ხომ თვითონ ჩვენა ვართ.

(კომისარი, რომელიც კარებში იდგა, უკან იხევს. შემოდის კაცი. ის ერთია. ხელები ჯიბეებში უწყვია ეს არის ფავროლი).

ფავროლი.

მაშ ასე!

(სიჩუმე).

მაშ ასე! სიკვდილი, არა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**კომისარი.**

ჰო. შენაც. შენ პირველად.

**ფავროლი.**

ჰმ. ამას ჩვენ ვნახავთ.
არა მგონია.

(კომისარი, რომელიც ლაპარაკობდა, წამოდგება და უნდა რომ ეცეს მას. კომისარს აკავებენ).

**ფავროლი.**

ლაწირაკო!
— მე არა ვბრაზობ. გინებით და ყელში ტაკებით
ვერას მიშველით.
თქვენ შეგიძლიათ გადარჩენა. დანებით მხოლოდ.
აბა, წავიდეთ, მეგობრებო! დავნებდეთ ერთად!

(მოშორებული ყვირილი ისევ ახლოვდება ბრბო ბრუნდება).

წავიდეთ! მე თქვენ გადაგარჩენთ.
ისინი არც თუ ბოროტები არიან ისე.
შენაც, ლედრიუ. ჩემთან ერთად? ხომ თანახმა ხარ!
არა? ჯიუტობთ? როდი ვარგა გაჯიუტება.
მეგობრები ხართ ხალხის, არა? ძალიან კარგი.
დაემორჩილეთ იმის ნებას თუ კი აგრეა.
ვინ მოგახსენათ, რომ უთუოდ თქვენ ხართ მართალი?
განა თქვენ იმათ სულ იმას არ ჩასჩიჩინებდით,
რომ იმათშია, მასებშია სიმართლე მხოლოდ?
მთავრობა, არა? სხვა იქნება. მოვაწესრიგებთ.
აბა რას იტყვით? გსურთ თუ არა? ერთი საათი
და თქვენ ისევე მეგობრები გახდებით ხალხის.
აი, როგორც მე. საჭიროა უჩქაროთ მხოლოდ.

(ბრბო მოვიდა ისევ უფრო გამხეცებული, ვიდრე პირველად. ახლა კი ის შემოიჭრა დარბაზში ყველა შემოსასვლელიდან. გრიგალი ყვირილის).

ლედრიუ ახტება მაგიდაზე წინააღმდეგობის გასაწევად. რამდენიმე სიტყვა, რომლის წარმოთქმასაც ის ასწრებს აორკეცებენ ღრიალს, რომელიც მოითხოვს მის სიკვდილს).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ლედრიუ.**

ამხანაგებო!
მოიგონეთ თქვენ მხოლოდ, თუ კი
პატიოსნების ნატამალი...

**ჯარისკაცი.**

ო, კმარა, კმარა!
სიკვდილი გამცემს!

(დარბაზის კუთხიდან მოისმის სროლა. ლედრიუ ეცემა მკვდარი. გაქვავება, შემდეგ ისევ ღრიანცელი. ლედრიუს გვამს სდებენ მაგიდაზე).

**ერთმანეთში.**

— მზად არის.—მოკვდა?—კი.—კი!
— მით უარესი.—უკეთესი.—ყველას მაგიერ.
— ეგ გამყიდველი.—პატიოსანი ადამიანი.
— ყოვლად მართალი.— არამზადა.—რომელმა მოჰკლა?
— ვერ დაინახეს.—არა სჩანს რა.—მოკლეს ბრძანებით.
— ვისი?—მთავრობა!—ეს მსუქანი ქაჯები ესა!
— აი ამ ღორმა!—აჯანყება ვინაც ჩააქრო.
— ეს იყო ჩვენი მეგობარი საუკეთესო.
— ჰო, დიახ. შტერო!—შენ რაღა ჩემი ფეხები ხარ?
— ესეც შენი თავისუფლება!

(ჯარისკაცები შემოდიან და გადიან, როგორც ჭიანჭველები სოროში საფრთხის დროს. ერთერთ ჯგუფს შემოჰყვება ბორდიე დიუ-პატუა, ყალბი პათოსით, თეატრალური. მიუახლოვდება გვამს და ფართე ჟესტით ანიშნებს თავის იქ ყოფნას.
მყარდება სიჩუმე).

**ბორდიე დიუ-პატუა**

ის იყო დიდი ადამიანი.

(ატყდება ხმაური).

ამხანაგებო. ის შეცდომებს უშვებდა ხშირად.
შეცდომებს მძიმეს.
შეცდომებს საშიშს.
შეცდომებს დაუშვებელს.
მაგრამ ნუ თუ ეს ჩვენ დაგვიშლის, სამართლიანად
რომ დავაფასოთ მაინც იგი? არავის ჩვენგანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავის ჩვენგანს არ სურს იყოს აქ უსამართლო
და მკვდარ ამხანაგს, თუმცა შემცდარს, თუმც დამნაშავეს,
ჩვენ პატივსა ვსცემთ მის შესაფერს უკანასკნელად.
შენი სიცოცხლით, თვით სიკვდილით და შეცდომებით
გვასწავლე, ჩვენო დიდებულო მასწავლებელო.
დაეცა იგი. ვისი ხელით—ეს სულ ერთია.
ის იყო მუშა უანგარო ამ ჩვენ საქმეში,
როგორც ყველა ჩვენ. მე ძახილიც მესმის იმისა:
დეე მოვკვდე მე, თქვენ წინ გასწით, ამხანაგებო!
მე გეუბნებით: ვსცეთ პატივი უკანასკნელად.
რადგან თქვენც იცით, ჩემი ძალა გულწრფელობაა
და ერთგულება. ვსცეთ პატივი, როგორც თვით სურდა—
გვახსოვდეს მისი შეცდომებიც და ღვაწლიც მისი.
მას არ ესმოდა მოვლენების თანდათანი სვლა
და გადასრისა ის ამიტომ ბედის ბორბალმა.
დე ეპატიოს. რას გვასწავლის ჩვენ, მეგობრებო,
მისი სიცოცხლე და სიკვდილი? პასუხს ვკითხულობ
მე თქვენს გულებში და თვალებში, ამხანაგებო:
— კავშირი მტკიცე. პატიება დანაშაულის.
და დიდ მშრომელებს დასვენება მცირედი მაინც.
პატიება მას, ვინც ამ ჟამად მკვდარია უკვე,
პატიება მათ, ვინც სცდებოდენ იმასთან ერთად.
ამხანაგებო! ნეტარება მშვიდობის მყოფელთ.
დეე ლედრიუ ერთად ერთი მსხვერპლი აღმოჩნდეს
თავისუფლების გულისათვის ახალ ბრძოლაში.
მასაც აგრეთვე პატიება, ვინც ისე მკაცრად
და უსამართლოდ დაისაჯა, ამხანაგებო.
ის არის ერთი მშვენიერი ადამიანი,
რომელიც უფრო მაღალია თავის მუნდირზე.
მან მოიპოვა ჯარისკაცთა მამის სახელი,
მას თქვენ მიჰყავდით, მეგობრებო, გამარჯვებისკენ;
ის მსხვერპლი გახდა,—ეს ლედრიუს შეცდომა იყო.
ნუ თუ არ ვიცით, რომ ჩვენ გვმართებს ერთსულოვნობა,
ნუ თუ ეს კაცი ჩვენ აქ ახლა არ მოვიგონოთ?
ახ, არა, ვიცი,—ეს შეადგენს თქვენს გულწრფელ სურვილს!
მაშ შემოვიდეს ჩვენთან იგი, ამხანაგებო.
ვინაც ყოველთვის, თვით უმძიმეს გაჭირვებაში,
თქვენზე ზრუნავდა მარტოოდენ გულმტკივნეულად.
ისე ვით მამა თავის ძვირფას შვილების წრეში,
მოვიდეს ჩვენთან. მეგობრებო, აჰა ის კაციც!

ეროვნული

(შემოდის გენერალიმუსი ბ[illegible]დამშვი-
დებით და მძიმეთ. მას ხმამაღლა ესალმებიან).

**გენერალისიმუსი ბურბუში.**

ჰო, ეს მართალია. ჩემო ბავშვებო, ჩემო შვილებო!
ოჰ, უდიდესი, უდიდესი სულის მოძრაობა!
ლოიალობა, ერთგულება, ძმობა, შვილებო,
აჯანყებაზე მაღლა სდგანან. ბრ, ბრრ...
თქვენ ხართ პირველი მეომრები მთელ ქვეყანაზე.
უნდა დავკრიფოთ ჩვენ ნაყოფი გამარჯვებისა.
ჩემო შვილებო, გამარჯვება, ოჰ, გამარჯვება!

**ბორდიე დიუ-პატუა.**

გენერალია მეტის-მეტად აღელვებული.
როგორც ყველანი ჩვენ აქ, ჩემო ამხანაგებო.
ის ნებას მომცემს, რომ გაუწყოთ მისი სახელით
მე თქვენ ამბავი უდიდესი სიხარულისა,
რომელიც, მისი მშვენიერი სიტყვის მიხედვით
მოგვცემს ნაყოფის მოგროვების საშუალებას,
იმ ნაყოფისა, რომელიც თქვენ დაგვაკარგვინეთ
ასე უაზროდ გამოწვეულ არევ-დარევით.
იქ ჩვენმა მტრებმა,
ეგრედწოდებულ თავისუფლების საშუალებით
და გაბერილი რევოლიუციის დახმარებით,
სცადეს თავიდან აეცდინათ პასუხისგება
მათი ცოდვების გამო, მაგრამ ამაოდ, ვერა!
ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ მათ შორის ხელისუფლება
უფრო გონიერ ელემენტმა დაიპყრო ისევ
საბედნიეროდ. აი სწორედ იმ ელემენტმა,
რომელთანაც ჩვენ მოკლე ხანში დავსდებთ საზავო
ხელშეკრულებას სამართლიანს და დიდებულსა.
ზავი დიადი თქვენი ბრძოლით მოპოებული.
დამშვიდდით, ჩემო მეგობრებო: გრძელდება ომი
მანამდე ვიდრე არ მივაღწევთ სრულ გამარჯვებას.
მთავრობამ დაადგინა.
რომ იმათი იმპერატორი
ჩვენი მოსისხლე, ჩვენი მტერი, ვინაც პასუხი
ყველაფრის გამო უნდა აგოს, კვლავ გადეგზავნოს
ყოვლად უმწეო და საბრალო იმის არმიას.
აწი კი მათი საბოლოო კისრის მოგრეხა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ადვილია. წინ გვიგდია ნანადირევი!
თავის საკუთარ ხვედრს მიიღებს ყველა თქვენგანი
მაშ ისევ წინ, მამულისშვილნო!
თქვენი წამება, თქვენი ტანჯვა მოგიტანთ ნაყოფს.
იარაღს ხელი, მეგობრებო, გამარჯვებისკენ!

(ფარდა ეცემა ჯარისკაცების ყიჟინისა და აპლოდისმენტებთან ერთად).

ფარდა.

## მოქმედება მეხუთე.

(პირველი მოქმედების დეკორაცია.

სუსხიანი, მოწმენდილი, ვარსკვლავებით მოელვარე ღამე.

ქარი დაჰქრის და ღმუის კარებსა და უცეცხლო ბუხრის შუა.

ოთახი სავსეა იმავე გლეხებით დაკონკილ ტანსაცმელში, რომლებიც პირველ მოქმედებაში იყვნენ).

**ახალგაზდა ქალიშვილი.**

გუშინ ჩვენ კიდევ გვესმოდა კარგად,
როდესაც ცივი ქარი მოჰქროდა.

**ლუი.**

დღეს დილით თითქმის ბელ-ერამდე აღწევდა ხმები.
მაგრამ შორიდან, ოდნავ, ოდნავ,
როგორც გაილის ზარების რეკა
წვიმიან დარში.

**ქალი.**

მაგრამ დიდხანს კი არ ისმოდა
ამ ხელად მაინც.

**კაცი მთებიდან.**

რაღაც ახალი არის მაინც იქ, ჩვენს ტყეებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განადგურებულ ჩვენს ტყეებში.
ახლად დახოცილთა გვამები.
აწყვიან ისინი ყინვით გათოშილ მიწაზე.
გაფშიკებული გვამები ჩვენი დახოცილ ჭაბუკებისა.
დაუმარხავი.
წიფელების და ნაძვების ქვეშ.
გუშინწინ მათთვის მე გავთხარე ორი საფლავი.
გუშინ სამი და ერთიც კიდევ დღეს საღამოთი.
და მაინც ისევ ბევრი ჰყრია.

**ქალი მკვდარი ბავშვით.**

სისხლი, სისხლი! ჯერ საკმაო სისხლი არ დაულევრია ადამიანებს,
რომ ჩამორეცხონ ყველა თავის დანაშაული.

**კიურე ბაიონი.**

ყველა თავის შეცოდებანი.

**ქალი მკვდარი ბავშვით**

სისხლი!
დაწყევლილია ჩემი სახელი! დაწყევლილი ხართ სულყველანი.
მე, ისე როგორც დედა-მგელი,
ვითვრები სისხლით, როდესაც კი დავყნოსავ ამ სისხლს.
ო, თითქოს მხეცი საშინელი მიგლეჯავს გულ-ღვიძლს.
ბედნიერი ვარ, ოჰ, ახლა კი ბედნიერი ვარ!

**ქალი.**

ჰო, მართალია, იხოცებიან ჩვენები კიდევ.
მაგრამ იმათაც ხომ ომი აქვთ.
გარბიან უკან ხოცავენ და ჰგლეჯენ ერთმანეთს,
მათი რიგია: დაიტანჯონ. ჩვენ კი გვეშველა.
სამაგიერო გადახდებათ, სამაგიერო.

**ბაბუა ტუანი.**

ძველი ამბის სამაგიერო.

**ქალი.**

რა საუცხოვო იქნებოდა!
ფეხით გასთელეს ჩვენი მიწა,
გვამები ჩვენი მოხუცების, ახალგაზრდების,—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი სისხლი და ჩვენი ხორცი.
ცეცხლს გვიკიდებდენ, გვატყავებდენ და მიგვიყვანეს
იქამდე, რომ ჩვენ, ვისაც თავის შენახვა ჩვენი
საკუთარი და ბედნიერი შრომით შეგვეძლო,
ვართ უარესად, ვიდრე თავის ბნელ ბუნაგებში
ტყის ნადირები დამშეული და მოცახცახე.
ღმერთმა აკურთხოს ის დღე როცა ეს ქოფაკები
ერთმანეთს ყელში ეტაკენ და დაუწყეს გლეჯა.
პასუხს აგებენ! ო, ახლა კი მათი რიგია.

**ხმები.**

— ო, საზიზღრები!—ჩვენი ხელიდან ველარ წავლენ.
— შეიძლებოდა კი გაშვება ხელიდან მათი?
— სწორედ გიჟები ვიქნებოდით.—მწუხარებამ გამოგვატვინა.
— ეს ამ ქვემძრომთა საქმე იყო.
— რა ყოჩაღია ეს ჩვენი გენერალი! მას მიჰყავს ისინი!
— აი ახლა კი ტყავს გავაძრობთ ჩვენს ნანადირევს.
— შური ვიძიოთ ჩვენი მკვდრების გამო!
— ჩვენი ყანების გამო!
— ჩვენი ფერმების გამო!

**მარიეტა.**

ჩვენი მკვდრების გამო. ჩვენი მკვდრების გამო.
ჩვენი ახალი მკვდრების გამო.

(სიჩუმე).

**კიურე ბაიონი.**

მარიეტა...

**მარიეტა.**

აბა მაშ სისხლი სისხლით უნდა ჩამოირეცხოს?

**ბაბუა ტუანი.**

რას ამბობ, რას, ბებია მარიეტა.
განა თვითონვე არ დარჩები შენ კმაყოფილი
მაშინ, როდესაც ჩვენს სამშობლოს ხსნა ეღირსება?
ნუ თუ შენ კიდევ დაიწყებდი ოცნებას მასზე,
რაც ჩვენ აქ ახლა ჩავიდინეთ, ამ სიგიჟეზე,
ამ საარაკო, სამარცხვინო სისულელეზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(სიჩუმე).

**ლუი.**

როგორი სიცივე იყო ამ დღეებში.
მაგრამ მე მაინც მთბილოდა, კარგად ვიყავი, ბედნიერი ვიყავი!
ბები, ხომ მართლა ბედნიერი ვიყავით ყველა
ჩვენ იმ დღეებში, როცა ომი სულ აღარ იყო,
როცა ამწყვდევდენ ციხეებში...

**ბატონი პიერი.**

გაჩუმდი, ბიჭო!

**მარიეტა.**

(მასთან ერთად).

გაჩუმდი, ჩემო პატარა ლუი.
— ანა-მარია, ბავშვს გააცივა.
მეტად ბევრი აქვს საზრუნავი მის პატარა თავს.

**ანა-მარია.**

ახლავე დაეძინება, ბები.

**კიურე ბაიონი.**

მარიეტა, ხომ ხედავ თვითონ...

**კაცი მთებიდან.**

(თითქოს თავისთვის).

ჰო, ჰო, სჯობს ბავშვი რომ გაჩუმდეს.
მოგონებები გავაჩუმოთ. შეიძლება...
ახ, ჩვენ ძლიერი ვიყავით მაშინ!...

**ბაბუა ტუანი.**

ძლიერი, ძლიერი?—ეხ ჩემო შვილო! შეხედე აბა,
შენც, მარიეტა შენც შეხედე:
რათ ვართ ჩვენ ყველა, რას წარმოვადგენთ,
რა საშინელი სილატაკე ჩვენი განადგურებული გულების ფსკერზე
ძლიერი! როდესაც ჩვენი ბორბენანი, ეს ჩვენი ღელე,
ყანებს რომ გვირწყავს ძეწნებ შორის ჩამომდინარი,
როცა მოზღვავდა შემოდგომის დიდი წვიმებით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ კარგად გახსოვს, მარიეტა,
შენც, მთიელო, გაგონდება ეს დრო უთუოდ —
როდესაც თავის ნაპირები მან გადალახა
და გაეშურა, როგორც მხეცი გაგიჟებული,
როდესაც ჰგლეჯდა და მიჰქონდა მას ჩალასავით
დიდი ხეები, ნაპირიდან მიწის ბელტები,
სახლის ფიცრები, განჯინები, აკვნები, — მაშინ
ძლიერი იყო ის უთუოდ, ასე არ არის?
— ახ, შევარცხვინე ის რისხვა და ის აჯანყება,
რომელსაც თან სდევს მხოლოდ ნგრევა და მწუხარება.

კაცი მთებიდან.

შენ უეჭველად მართალი ხარ, ჩემო მოხუცო,
შენ უეჭველად მართალი ხარ. ეჭვი არ არის,
ალარაფერი აყვავდება ჩვენთვის ამ ქვეყნად.
მე მსურდა კიდევ ჩემი თავის მქონოდა რწმენა.
მაგრამ მე ახლა კარგადა ვგრძნობ სიმძიმეს ტანში
და აუტანელ დაღლილობას მთელი ამ ჩვენი
მოუსვენარი ცხოვრებისგან- ვით მეორე დღეს
ჩვენი ქეიფის და ხელჩართულ ჩხუბების შემდეგ.
ჰო. შენ უთუოდ მართალი ხარ.

დედა.

ახ, ნუ თუ კიდევ არა კმარა ამდენი ხოცვა,
ამდენი ტანჯვა, მწუხარება, დაქცევა ქვეყნის!
გადავარჩინოთ ჩვენ ის მაინც, რაც დარჩენილა.
ჩვენ არ მოგმართავთ საყვედურით შენ, მარიეტა,
ჩვენ მოვდიოდით შენს უკან და ირგვლივ ყველაფერს
შენი თვალებით უცქეროდით. მაგრამ რა უყოთ,
მეტად დიდია შენი გული — ჩვენ ვერ გაუძლეთ,
ვერ ავიტანეთ, მარიეტა, მისი სიდიდე.

ქალი.

არა, არაფერს არ გაყვედრით.
მაგრამ ყველას რომ შენთვის გვეგდო ბოლომდე ყური,
მაშინ შენ და ეს თავგასული ჯარისკაცები,
სთქვი, რას გვიზიდავდით?
შენ ბებერი ხარ, ყველაფერი ერთია შენთვის,
მაგრამ ნუთუ შენ გეცოტავა რაც დაიხოცნენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კიურიე ბაიონი.**

შენ ჭეშმარიტ გზას აგაცდინა შენმა სიამაყემ, მარიეტა.

**ბაბუა ტუანი.**

ჩვენ არ გაყვედრით, ჩემო საწყალო, ბებერო მეგობარო.
განა ვინ არის ჩვენ შორის შენზე უფრო კეთილი და ძლიერი?
ხელს უმართავდი შენ სულყველას იმ შავ დღეებში.
მაგრამ ხომ ხედავ როგორ დავბერდით. შეხედე, აბა შეხედე
სად შეგვიძლია ჩვენ, სურვილი რომ ვიქონიოთ
სულყველაფრის გამოცვლის და დიდი გმირობის,
რომლის მაგვარი ჯერ არავის უნახავს ქვეყნად.
ნუ თუ ფიქრობ, რომ ჩვენისთანა საწყალ მცხოვრებლებს
ძალუძთ გაუძლვენ სახელმწიფო საქმეებს თვითონ.
ჰო, ახალგაზდებს შეუძლია როგორმე კიდევ. იმათ შესახებ არას ვამბობ.
მაგრამ ისინი ხომ სრულიად დახოცეს იმათ.

**ქალი.**

და იმაში რომ ვიყოთ მაინც დარწმუნებული,
რომ ისინი, ვინც დღეს ცოცხლები არიან კიდევ,
ხვალ, როგორც სხვები, დახოცილნი არ იქნებიან.
ჩვენ, რა თქმა უნდა, აქ ყველანი—ქალი და კაცი—
შენ გაპატიებთ, მარიეტა შენს დანაშაულს.
მაგრამ ეს სახლი—შენი სახლი—და შენაც თვითონ
ერთ კეთილ საათს, ერთ კეთილ აზრს ვერ მოგვაგონებთ.
არა, ამ სახლში აღარ მოვალ ამიერიდან!
და გზიდანაც კი გადაუხვევ მის დანახვაზე.
მშვიდობით, ჩემო მარიეტა. ღმერთმა შეგინდოს.
შეგინდოს იმან, ვინც შენს სახლში მოვიდეს აწი.
შენც მშვიდობით, ანა-მარია.

(აიღებს თავის ფანარს, მოუკიდებს და გადის).

**ბაბუა ტუანი.**

ის სულყოველთვის გესლიანი და გულქვა არის.
ის ხომ ყველაზე უფრო ნაკლებ იტანჯებოდა.
მას ეშინია ღარიბების, ჯარისკაცების
და ჩვენიც, ვგონებ. ყველამ ვიცით, რომ მას მიწაში
დამარხული აქვს კარგა ბლომად ვერცხლის ფულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოხუცი ქალი.**

მაგრამ მაინც, მაინც. ჩემო ბებერო მარიეტა,
შენ გესმის, ეს რა თქმა უნდა, ხე-ხე-ხე,
რომ შენთან ხშირად სიარული არ შეგვიძლია.
ხე-ხე, შენ გესმის კარგად, რომ შეიძლება,
აქ შეიძლება ჩვენ შეგვემთხვეს უბედურება.

**დ ე დ ა.**

გარდა ამისა ჩვენ გვყავს ბავშვები.
მაგრამ ჩვენ მაინც გვეყვარები კვლავ, მარიეტა.

(გლეხები მეტ ნაწილად ჰკიდებენ თავიანთ ფანრებს, ემზადებიან წასასვლელად, მაგრამ ვერ ბედავენ კარის ზღურბლზე გადაბიჯებას და კარებთან შეჯგუფდებიან).

**კიურე ბაიონი.**

კვლავ ღია არის სალოცავი სახლი თქვენთვის, ჩემო შვილებო.
სალამო მშვიდობის, ბებია მარიეტა, სალამო მშვიდობის, ჩემო შვილო.
ახლა კი უკან დამიბრუნებ შენ ჩემს ვიზიტებს, ხომ მარიეტა?
არ დაიზარებ შენ ღვთის სახლში სიარულს, არა?

(კიურე ბაიონი ასწევს ფანარს, ამოიკალთავს ანაფორას და გაბედულად უჩვენებს გზას გლეხების პატარა ჯგუფს და მასთან ერთად გადის სიბნელეში.)

**კაცი მთებიდან.**

(გადის უკანასკნელი).

მეც მივდივარ, მშვიდობით, მარიეტა.
მე შორსა ვცხოვრობ. და შენ არას დროს, ჩვენო დედა, არ დაგივიწყებ.
მე დავბრუნდები.
ვფიქრობ, რომ ქვეყნად არაფერი არ დაგვრჩა აწი.
მაგრამ მე კიდევ მეგულები შენ, შენ ყველაზე უკეთესი ამ ქვეყანაზე.

**მარიეტა.**

(ის განაგრძობს ისევ ისე კერასაკენ მიბრუნებული ჯდომას უსიტყვოდ. ახლა ის ადგება მიდის კაცთან მთებიდან, დაუჭერს ხელით ხელს).

მშვიდობით, ჩემო შვილო, მშვიდობით.
არა. მე სხვებზე უკეთესი არა ვარ, შვილო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძნელი ყოფილა იმის გაგება, თუ სად არის სიმართლე.
უფრო ძნელია კიდევ იმის ცოდნა, თუ რა უნდა აკეთო.
მშვიდობით.

(კაცი მთებიდან მიდის. მარიეტასთან და მის ბავშვებთან რჩება ბაბუა ტუანის სულ მცირე ჯგუფი. მარიეტა სდგას კარის წინ და გასცქერის ღამეს. სიჩუმე).

ბაბუა ტუანი.

ჩვენ დიდი სიყვარული გვაქვს შენი, ჩემო საბრალო მარიეტა.

(სიჩუმე).

ბაბუა ტუანი.

შენ არ იძლევი, მარიეტა არაფრის პასუხს.
მეც ძლიერ მოვხუცდი და ყოველთვის ვსაჭიროებდი შენს სიახლოეს.

მარიეტა.

ბედნიერებას მიაღწიეთ თქვენ ახლა თითქოს.
თქვენ ახლა თითქოს ყველასა გსურთ დარწმუნდეთ მასში,
რომ მიაღწიეთ ბედნიერებას.
მე კი იმდენად მოხუცი ვარ ამ ჟამად უკვე.
არავინ თქვენში, სულ არავინ არ იცის იგი,
თუ მე რა ძლიერ მოხუცი ვარ.
ო, საკმაოა მიზეზები ჩემი მოტეხის:
ახალგაზრდული მათი წლები, ვინაც დაეცნენ.
და მაინც კიდევ, მაინც მიცემს ბევერი გული,
გული ნაღვლით და მწუხარებით გამოტანჯული.

(სიჩუმე).

ბაბუა ტუან, თქვენც მიბძანდით; თქვენც სულყველანი.
დრო არის უკვე დაუბრუნდეთ საკუთარ სახლებს.
მშვიდობით, ჩემო საყვარელო შვილებო. ღმერთმა
ყველას მშვიდობა მოგანიჭოთ.

(გადის გლეხების უკანასკნელი ჯგუფი ჩუმად და ისეთი სახით, თითქოს მარიეტას თხოვნით მიდიან. მარიეტა რჩება მარტო თავის რძალთან და ბავშვთან, რომელსაც იქვე ერთ-ერთ საწოლში სძინავს).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიეტა.

ანა-მარია, ჩვენაც ხომ მეტად დავიღალეთ.
წადით ახლა დაიძინეთ.

ანა-მარია.

ჰო, ბები.

(ის წავა კიბისაკენ, აივლის რამდენიმე საფეხურს, მაგრამ შეჩერდება, ნელა ჩამოვა ისევ ძირს და დადის ოთახში, თითქოს რაღაცას დაეძებს.

მარიეტა ისევ სავარძელში ზის კერის წინ.

ბავშვს მოუსვენრად სძინავს. ხანდახან ისმის იმისი კვნესა.

ბებია მარიეტას არ ესმის. ანა-მარია მიუახლოვდება მას).

მე, ბები,
მე მინდა გითხრათ.
თქვენ იცით, რომ მე ლაპარაკი არ მიყვარს ბევრი,
მაგრამ ახლა კი, ამ საღამოს მე მინდა გითხრათ.
მე ხომ ამ ხანში, ჩემო ბები, სულ თქვენთანა ვარ.

(მარიეტა მიბრუნდება მისკენ და თავის ხელებში ჩაიწყობს მის ხელებს).

თქვენთან ვიყავი ამ საშინელ ხოცვა-ჟლეტის დროს.
თქვენთან ვიყავი,
მაშინ, როდესაც თქვენ ფიქრობდით, რომ ვითომც ხალხი,
მშრომელი ხალხი თვით მოაწყობს თავის ცხოვრებას,
და თქვენთანა ვარ ამ საღამოსაც.

მარიეტა.

ჩემო საყვარელო შვილო,
როგორი მიხედვრილი, რა გულკეთილი ხარ. ჩემო ხმაგაკმენდილო შვილო.
მე გიცნობ კარგად.
შენ ჩუმი ხარ და შეუმჩნევი,
ვით ნაცრისფერი ცინდალი კატის.
მაგრამ მე ვიცი, თუ რამდენად მიხვედრილი ხარ.
ბევრს ხომ აღარც მე ვლაპარაკობ.
მაგრამ ძალიან კარგად ვიცი,
რომ მე შენ მუდამ გიყვარდი და გესმოდა ჩემი.
არა ყოფილა ჩემი შვილი ცუდი ვაჟარი,
როცა შენ ჩვენთან მოგიყვანა, ჩემო ცინდალო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა-მარია.

და ამის გარდა მე მაქვს, ბები, სათქმელი კიდევ.
თქვენ ამბობთ, რომ მე მიხვედრილი ვარ.
ყოველთვის არა.
და აი, ბები, რა მაქვს კიდევ სათქმელი თქვენთვის.
მე მეშინია, ბები, მეშინია.

მარიეტა.

ო, ჩემო შვილო, ნურას იტყვი, ამის შესახებ ნურას იტყვი!
არა, ნუ იტყვი, მე ვიცი თვითონ, ვიცი.
როცა მოხუცი გადიოდა აქედან, მაშინ
მე ერთი სიტყვა წამომცდა... შვილო,
მაგრამ მე ხომ თქვენი დედა ვარ,
თქვენი ბებერი, გესმის შვილო, ბებერი დედა,
მე ვგრძნობდი ნაღველს
ადამიანთა ყველა ბედკრულ შვილების გამო.
სხვა არაფერი, გეფიცები, სხვა არაფერი.
ჩემო საყვარელო შვილო, ჩემო ძვირფასო შვილო.

(მარიეტა მიიზიდავს რძალს და ახლა ის, მოხუცი ბებია, მალავს თავის სახეს ანა-მარიას წინსაფარში. სიჩუმე).

რა რიგ წვრილი ხარ, ჩემო გოგო.
რა რიგ ნატიფი და დაღლილი.
მითხარი შვილო, შენაც უკვე მოხუცდი, არა?

(ლუი ტრიალებს ლოგინში და კვნესის ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით).

მარიეტა.

არა, შვილო, არაფერია. არაფერს არ ამბობს.
სიზმარიშია. სიცხე აქვს, გააცივა ალბად.
რაღაც სიტყვის ნაწყვეტებს ლაპარაკობს.
მისი წლებისთვის მზრუნველობა დააწვა მძიმე.
შენ გესმის შვილო, და მერე შრომა,
სიღარიბე...
მაგრამ იცოდე, შენი შვილი, ანა-მარია,
ბოლოს გახდება ჭეშმარიტი ადამიანი.
ჯერ ახლაც კი აქვს გული იმას გამობრძმედილი.

(სიჩუმე. ყურს უგდებენ ბავშვის სუნთქვას).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა კი წადი, ჩემო შვილო.
ადი ზევით და დაიძინე.

**ანა-მარია.**

(დგება).

ჰო, ბები.
აწი თქვენც უნდა მოისვენოთ.

**მარიეტა.**

მეც დავწვები. ახლავე, შვილო.
მხოლოდ ცოტა ხანს კიდევ მინდა, რომ ვიყო ბავშვთან.
ბებერს, შენც იცი, ბევრი ძილი არა სჭირდება.
და არც ოუ გვიყვარს ბევრი ძილი.

**ანა-მარია.**

(მან უკვე აიარა კიბე და ადის ჭერზე)

ღამე მშვიდობის, ბები!

**მარიეტა.**

ღამე მშვიდობის, ჩემო შვილო.
ღმერთმა ჰქნას, ღამეს რომ გაევლოს კეთილად ჩვენთვის.

(ახლა მარიეტა მარტოა. ის ზის სავარძელში უძრავად, მაყურებლებისაკენ ზურგშექცეული, ბავშვის საწოლსა და კერას შუა.

ფარდა ეშვება და თითქმის იმ წამშივე აიხდება. სცენაზე ყველაფერი ისეა, როგორც იყო. ხანგრძლივი სიჩუმე.

შემდეგ ნელი კაკუნი კარზე. შეიძლება გარედ რაღაც ფიგურების გარჩევა).

**მარიეტა.**

(ყრუ ხმით).

ვინ არის მანდ?

**ხმები გარედან.**

გააღეთ! გააღეთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**მარიეტა.**

ვინ არის?

(კარი გაიღება. გამოჩნდება კაცი მთებიდან. მარტო. კარი გაღებული რჩება. კაცი მთებიდან მიდის მარიეტასთან, რომელიც ეგებება მას. ის აიღებს ხელებში მარიეტას ხელებს).

**კაცი მთებიდან.**

მარიეტა, ბებია მარიეტა,
ჩვენო საცოდავო დედა მარიეტა.
თქვენ ხომ იყავით სულყველაზე უფრო ძლიერი,
ჩვენ ვიცნობთ შენს სულს,
რომელიც ისე ანათებდა ჩვენს ბნელსა და გაყინულ ღამეს,
როგორც სანთელი.
საცოდავო მარიეტა, ჩვენო საბრალო დედა.

(მოჰკიდებს მარიეტას მხრებში ხელებს და მაგრად მოეხვევა. როგორც ბავშვს, რომლის გამაგრებაც უნდათ, რომ არ წაიქცეს).

შემოდით, ბიჭებო!

(ორი გლეხი შემოდის და შემოაქვთ გალურჯებული სხეული, გაყინული და საშინელი. სდებენ მას მეორე საწოლზე. თავთან უდგამენ ორ ფანარს, თითქოს ეს მკრთალი ნათელი გვამის ლურჯი სახიდან იფრქვევა. მარიეტა შიშისაგან გაქვავებული უცქერის მთელ ამ სცენას. შემდეგ უცბად ეცემა ადამიანის ნაშთს).

**მარიეტა.**

(ხმამაღალი ჩახლეჩილი ყვირილით)

ო, მაშ ეს მართალია!
ჩემო შვილო, ჩემო პირმშო!

**კაცი მთებიდან.**

მე მივდიოდი. შევეყარე ამ ორ კაცს ტყეში.
იქ დახოცილებს ნახულობენ ყოველ დღე, დედი.
იქ სულყოველ დღე ნახულობენ ხელახლა ამტყდარ
უსასტიკესი ომის მსხვერპლებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომის, რომელიც მიდისა და უკან იტოვებს
სულ ახალახალ უზარმაზარ სისხლის ჭაობებს.
თქვენ, მარიეტა, ძლიერი ხართ და გონიერი.
და, მარიეტა, აი, აი, ჩვენ ეს იქ ვნახეთ.
გამოვიცანით. ამათაც სთქვეს: მისი არისო.
ო, ჩვენო დედა! ავსწიეთ და შენ მოგიტანეთ.
აჰა. უტეხმა შენმა ძალამ ამის ატანაც
უნდა შეიძლოს.

მარიეტა.

შვილო. ჩემო შვილო.

კაცი მთებიდან.

ამის შესახებ
დიდიხანია არაფერი იცოდა ვინმემ.
და ეს კი მონავალა სახლისკენ, თქვენთან.
მოგიახლოვდათ, მაგრამ თითქმის კართან მოსული
თქვენ ის ხელიდან გამოგტაცათ ერთბაშათ იმან,
მან თქვენი შვილი ხელში იგდო მაშინ, როდესაც
იგი სიცოცხლეს დაუბრუნდა.
აჰა.

მარიეტა.

შვილო. ჩემო შვილო.

კაცი მთებიდან.

თქვენს ბავშვსა სძინავს აგერ, ბები.

მარიეტა.

შვილო. ჩემო შვილო.

კაცი მთებიდან.

იქ, ზევით, ბები, თქვენს ქალსა სძინავს.
თქვენი ბავშვია ისიც, ბები.

მარიეტა.

შვილო. ჩემო შვილო.

კაცი მთებიდან.

შენ უკეთესი და ძლიერი იყავ ყველაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენი გვჯეროდა, შენ ყველასი იყავი დედა.
წარმოიდგინე, მარიეტა,
ყველა ისინი, ვინაც მოკვდა, ვინც დაიღუპა,
ისე, როგორც ეს შენი შვილი.
ყველა, ვინც კიდევ სასიკვდილოდ გაემგზავრება.
მათი დედები მოიგონე, მათი ცოლშვილი.
ყველა, ვინც დარჩა და დარჩება ცოცხალი იმათ.
შენ გესმის კარგად, მარიეტა.
გვჯეროდა შენი, შენცა გქონდა ჩვენი იმედი.

**მარიეტა.**

შენ მთებიდან ხარ, მაღლობიდან.
საიმედო, ადამიანი.
მახსოვს რაც მოხდა ყველაფერი.
შენი სიტყვები, შეიძლება, მართალს ამბობენ,
მაგრამ შეხედე, როგორ არის ის გაყინული.

**კაცი მთებიდან.**

გრძელი გზა იყო.

**მარიეტა.**

მე გავაკეთე, ჩემო შვილო, ის, რაც შემეძლო.
ძლიერ მოვხუცდი და სიბერემ გამტეხა მეტად.

**კაცი მთებიდან.**

მაგრამ ყველანი შენგან ელიან შველას.

**მარიეტა.**

ო, არა, შვილო, ჩაიხედე ჩემს გულში ერთი.
მე დახმარება აწი უკვე არ შემიძლია.
თვით ვსაჭიროებ სხვებისაგან მე დახმარებას.

**კაცი მთებიდან.**

თქვენ გყავთ ყმაწვილი აგერ რომ სძინავს.
და ქალი კიდევ, ზევით რომ წევს.
და ჩვენ ყველანი, ჩვენ და ჩვენი მიცვალებულნი.

**მარიეტა.**

მახსოვს რაც მოხდა ყველაფერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენი სიტყვები, შეიძლება, მართალს ამბობენ.
შენ, ჩემო შვილო, და თქვენ, ვინაც ის მოატანეთ.
რომელიც ახლა მკვდართა შორის მკვდარია მხოლოდ,
აბა შეხედეთ: ღამე უკვე თენდება აგერ.
ჩემს მოხუც გულში შევინახავ იმ ხსოვნას, რომ თქვენ
მე დახმარება გამიწიეთ.
მშვიდობით, შვილებო. ღმერთმა გაკურთხოთ.
მე მინდა ახლა მარტოდ-მარტო დარჩენა მასთან.

**სამნი.**

მშვიდობით, ბები.

**მარიეტა.**

მშვიდობით. ღმერთმა მშვიდობა არ მოგაკლოთ.

(სამი კაცი გადის. მარიეტა არ უბრუნდება გვამს, ის ზის გრძელ სკამზე კართან და დიდხანს გასცქერის გაყინულ ყანებს.

ამ დროს წამოდგება ლუი და ჩუმად მიუახლოვდება მამას. ის დაიჩოქებს, დახრის თავს და შემალავს მიცვალებულზე გადაფარებულ თხელ საბანქვეშ. ის არაფერს ამბობს და არც ტირილი მოისმის მისი.

ამ დროს მიუახლოვდა ბებია. შეამჩნევს შვილიშვილს და მიდის მასთან).

**მარიეტა.**

ჩემო შვილო, ჩემო შვილო!

**ლუი.**

ბებია.

**მარიეტა.**

ჩემო შვილო!
ჩემო ბიჭიკო, შენ მარტო ხარ, სულ მარტო ახლა.

**ლუი.**

მე ხომ ვამბობდი, უსათუოდ დაბრუნდება თქო.

**მარიეტა.**

ჩემო ბიჭიკო! გიგრძვნია, შვილო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლუი.

მე არ მეძინა, ბებიკო, წელან.
გავიგე, როგორ შემოვიდენ ისინი სახლში.
და მივხვდი, რომე ეს მამა იყო.
მე მივხდი, ბები, მე ვიგრძენი.

მარიეტა.

ნუ ლაპარაკობ, ჩემო შვილო, აგრე ხმამაღლა.
იქ სძინავს დედას:
უნდა დაისვენოს.

ლ უ ი.

მე ყველაფერი გავიგონე.
ნუ დაგვტოვებ, ბებიკო, მარტო!

მარიეტა.

იქ სძინავს დედას.
ის გაიღვიძებს, როგორც ინათებს.

ლ უ ი.

ნუ დაგვტოვებ, ბებიკო, მარტო!

მარიეტა.

რა მიხვედრილი ხარ, ჩემო ბავშვო,
რა ძლიერი ხარ, შვილო, შენ უკვე!

ლ უ ი.

ნუ დაგვტოვებ, ბებიკო, მარტო!

(მარიეტას მიჰყავს შვილიშვილი მამის საწოლთან. დაიჩოქებს მასთან ერთად. ასე სდგანან ორივე, შემდეგ მარიეტა წამოდგება).

მარიეტა.

მკვდარს სასთუმალთან მარტოთ მარტო ბავშვი უდგია.
ო, რაოდენი, რა ბევრი რამ მოხდა ამ სახლში!

(სიჩუმე. ის მიდის კართან).

რამდენი რამე მაქვს სათქმელი მე ზეცისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(უკანასკნელად უცქერის [illegible])

ჩემო ბიჭიკო,
ნუ მოიხედავ, გენაცვალე. ნუ მოიხედავ... დასძინებია.

(მარიეტა სდგას კართან. მზათ არის წასასვლელად. შემდეგ ნელა გამობრუნდება უკან და დაჯდება).

არ შემიძლია... არაფერი მე აღარ ვიცი...

(მიდის მიცვალებულის საწოლთან და გაჩერდება მძინარე ბავშვის გვერდით).

მე ხომ მოვხუცდი მეტისმეტად.
მეც ცალი ფეხი სამარეში მიდგია უკვე.
მაგრამ მათ ძალუძთ კვლავ სიცოცხლეს რომ დაუბრუნდენ?
და მე შევიძლებ დავეხმარო რამეში კვლავ მათ?
მიპასუხე, მიცვალებულო.

(სიჩუმე, თენდება. მოხუცი დაიხრება ბავშვისაკენ, ასწევს მას და ჩააწვენს მიცალებულის საწოლში. ერთ წუთს უცქერის მას).

იძინე წყნარად. შენ იცოცხლებ.
ჩვენ ყველანი დაგეხმარებით.

(აია კიბეზე, აკაკუნებს ჰერის კარზე და ეძახის რამდენიმედ მიყრუებული ხმით.)

ანა-მარია, ანა-მარია...
ადექი, დღე ახლოა. დროა უკვე, ადექი.

ფარდა.

თარგმანი **კონსტანტინე ჭიჭინაძის.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიტიკა, მხატვრობა და მემუარები

 რ. კალაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ეგნატე ნინოშვილის ისტორიული დანიშნულება და მისი პიროვნების მნიშვნელობა.

(მისი ნაწერების ახალი გამოცემის გამო).

**ეგნატე ნინოშვილი** მთელი თავისი ნაკლითა და ღირსებით, ნიჭითა და გონიერებით, მის „უბედური ბედით“, საქართველოს ხალხის მოწინავე ნაწილმა, გურიის ხალხმა მოგვცა, ისეთ მსწრაფლ გარდამავალ ხანაში, როცა ჩვენმა ხალხმა რაღაც ათეული წლების განმავლობაში მთელი კაპიტალისტური გარდაქმნა, თუმცა თავისებური, მარა მაინც გარდაქმნა განიცადა. ყველა სხვა კულტურული ქვეყნების ხალხი ამ ხანას მთელი საუკუნეები მოუნდენ, ხოლო ქართველ ხალხს ამ მანძილის გავლა სულ რაღაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოუხდა.

ამით წინდაწინვე განისაზღვრა ამ ხალხის უკეთესი შვილის, ამ ხანის მისი უკეთესი გამომხატველის, ეგნატე ნინოშვილის „ბედიც“. მან ვერ მიიღო დროის შესაფერი ნივთიერი პირობები, რომ თავისი მხატვრული შემოქმედება შესაფერათ გაეშალა. ვერ „მოესწრო“ სოციალური რევოლიუციის მასიური ძალების აღორძინებას, რომ თავისი რევოლიუციონიზმი მუშათა მოძრაობაში ჩაექსოვა.

მაგრამ ჩვენი ხალხის ისტორიამ მას ბელადის როლი მაინც აკისრა.

რას წარმოადგენდა მაშინ ჩვენი ხალხის ცხოვრება, რა ტენდენციებს იჩენდა ის და ვინ იყვენ ამ ტენდენციების უკეთესი გამომხატველნი?

40-იან წლების ძველმა „რუსეთუმეებმა“, და „არარუსეთუმეებმა“ ორბელიანებმა, ბარათაშვილებმა, ერისთავებმა და სხვებმა „ჩაილურის“ წყალი დალიეს“ და მიიძინეს. გაიმარჯვეს „თერგდალეულებმა“.

60-იან წლების „მოღვაწეებმა“ კიდევ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით ერთი მხრით, მეორე მხრით პოეტ აკაკის მგოსნობით საქართველოს მკვდარი პოლიტიკური მდგომარეობის ხელოვნურათ „აღდგენა“ —,სცადეს, რაღაცნაირი ნაციონალური ოპორტიუნიზმით და ბიუროკრატიული ლიბერალიზმის იმედით.[1]) ქართველი ხალხის საზოგადოებრივათ წარმატების იმედი დამოუკიდებელი

[1]) იხ. ილია ჭავჭავაძის სტატ.—„კანონი და ცხოვრება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზით უკვე დაჰკარგეს მათ და სასოწარკვეთილ პატრიოტულ გრძნობას შეეცენ.[2])

მათ შორის დამოუკიდებელი (ე. ი. საკუთარი ძალების) განვითარების იდეია და ისიც რევოლიუციური გზით, წამოაყენა მხოლოდ ერთმა მწერალმა, სახელდობრ **ანტონ ფურცელაძემ**; და მანვე დაინახა, რომ ამ იდეის გამტარებლათ ის ძველი გაბატონებული წოდება, თავად-აზნაურობა აღარ გამოდგება; რომელმაც თავისი პარტიკულიარიზმით საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა სამუდამოთ დაღუპა.[3])

ამიერიდან ქართველი ხალხის განვითარების იდეას მისი აზრით მხოლოდ დემოკრატია ატარებს.[4]) მაგრამ მაშინ მას კიდევ არ შეეძლო ცოდნოდა, რომ კაპიტალისტური პროცესი ორგვარ დემოკრატიას ჰქმნის: ბურჟუაზიულს და პროლეტარულს. ის საერთოთ ეტრფოდა რევოლიუციურ დემოკრატიზმს და თავის ნაწერებშიაც ასეთ აზრებს გვიქადაგებდა. (ბოლო ხანებში 1898 და 900-იან წლებში) ამავე დასკვნამდე მგოსანი აკაკიც მივიდა. იგივე მწერალი (ან. ფურცელაძე) არის ჩვენებური „ტეტიათა მოტრფიალეთა“ ჯგუფის წინამორბედი, რომელიც უტოპიურ სოციალიზმს აშკარათ ემხრობოდა. ბოლოს მანვე; ანტონ ფურცელაძემ, სცნო კარლ მარქსის უდიდესი მნიშვნელობა ეკონომიურ მეცნიერებაში.[5]).

ჩვენებური „ტეტიათა მოტრფიალენი“ (სტ. ჭრელაშვილი, ყიფშიძე გრ. ნანეიშვილი და სხვები) ცარიელ სიტყვას და ბეჭდვით ორგანოს ვერ გაშორდენ და მალე ილიას და აკაკის კუდში გამოებენ.

ცხოვრების ძარღვი სცემდა ბურჟუაზიული წყობილობის გულში და ტენდენცია ყოველ სფეროში ძლიერდებოდა. ამიტომ იდეოლოგიურ სფეროში და მწერლობაშიაც ამის გამომხატველი მიმდინარეობა გამაგრდა. (გაზ. „დროება“, ჟურნალი „კრებული“, აგრეთვე შემდეგში ნიკო ნიკოლაძის რუსული გაზეთი „обзор“-ი).

**ეს იყო ოპორტუნისტული დემოკრატიული ლიბერალიზმი**, ე. ი. წმინდა ბურჟუაზიული იდეოლოგია ეროვნული ელფერით, თუმცა მისი უკეთესი გამომხატველი, ნიკო ნიკოლაძე, ამ ფერს მოკლებული იყო,

ამ მიმდინარეობის გამომხატველთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დაკავებული ევნატე ნინოშვილთან დაახლოვებულს იდეოლოგ მწერალს გიორგი წერეთელს.

[2]) იხ. აქაკის ლექსთა კრებულები: „თავო ჩემო ბედი არ გიწერიას“ ნმაზე

[3]) იხ. ანტონ ფურცელაძის პოემა—„იერემიას გოდება“ და მესამე დასი. ძველი გამოცემის მე II ტომში. მისივე ნაწერების კრებულები, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, და ისტორ. პოემა „თამარ ლაზნელი“

[4]) საქართველოს ძველი დემოკრატიის გამომხატველი, მან ისტორიულ პიროვნებაში „დიდ მოურავში“ (გიორგი სააკაძე) დაინახა, ხოლო ახალ დემოკრატიისა ახალი დროის დემოკრატ-ინტელიგენტში, რომელიც რევოლიუციას და სოციალიზმს ეტრფის. იხ. მისი მოთხრობები: „სამი თავგადასავალი“ და „ვაი მართალთა“.

[5]) იხ. ზ. ჭ. გამოცემა ანტონ ფურცელაძის ნაწერები ტ. 1. ლი „ბანკები და მისი მნიშვნელობა“.

ამნაირად ქართველი ხალხის დამოუკიდებელი (უკეთ — სა[illegible]) განვითარების იდეა და რევოლიუციონიზმი თითქო სამუდამოთ ჩაკვდა. 80-იან წლებში მთელი საზოგადოებრივი ასპარეზი ორმა მებრძოლმა ძალამ დაიკავა: თავად-აზნაურულმა და ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ. აი ვინ იყვნენ მაშინდელი „მოღვაწეები". ანტონ ფურცელაძე დარჩა სრულიად გარიყულ — განმარტოებული.

მაგრამ კაპიტალიზმმა (80—90 წ. წ.) ერთი ნაბიჯი კიდევ გადადგა წინ საქართველოში და აწით ახალი, პროლეტარული დემოკრატიისათვის ნიადაგი მოამზადა. ახლა საჭირო იყო ამ ახალი მიმდინარეობის გამომხატველი ძალა და მისი წინამორბედი.

ისტორიული მსვლელობა მოითხოვდა ასეთ პიროვნებას და ხალხის საშოში ასეთი ვინმე უნდა გაჩენილიყო და გაჩნდა კიდეც.

ასეთი იყო გურული ღარიბი გლეხისშვილი, რომელმაც მოახერხა და რამდენათაც კი შეიძლებოდა მეცნიერული მსოფლმხედველობით შეიარაღდა.

მეორე მხრით ქართულ მწერლობაშიაც სოციალურმა კითხვამ სულ უფრო და უფრო მეტი ადგილი დაიკავა.

ეხლა თავადაზნაურული ინტელიგენციის ბელადმა, 60-იან წლების მოღვაწემ, ჯერ ისევ 1881 წელს „ხმლისა და გუთნის" დაკავშირების პრინციპი „წამოაყენა [1]) და მერე 1887 წელს თავად-აზნაურობასა და გლეხკაცობას შორის „ჩატეხილი ხიდის" შეკეთება, „გამთელება" მოინდომა (ილია ჭავჭავაძის რომანი „ოთარანთ ქვრივი", გაზ. „ივერიაში"—1888 წელს) ილია ჭავჭავაძემ თავის ორგანოს, ერთადერთ გაზ. „ივერიის" საშუალებით ბურჟუაზიულ ტენდენციას ომი გამოუცხადა, პრესის მონოპოლიაც ხელთ აიღო, რადგან გაზეთი „დროება" შეჩერდა (1885 წლ.) და ბურჟუაზიული ინტელიგენციაც თავის გავლენის ქვეშ დააყენა (ჭრელაშვილები, ყიფშიძეები და ნალები), მაგრამ, ცხადია, მას ასეთი ძალები, როგორიც იყვენ ნიკოლაძე, წერეთელი და ივანე მაჩაბელი უბრძოლველათ არ დანებდებოდენ და ასედაც მოხდა.

ნიკოლაძემ რუსული პრესა აირჩია ასპარეზად, ივანე მაჩაბელმა ბანკი, ხოლო გიორგი წერეთელი შესაფერ მომენტს ელოდა, რომ თავისი ორგანო გაეჩინა.

ცარიელი იყო მხოლოდ ანტონ ფურცელაძის მიერ დატოვებული ასპარეზი (დემოკრატიულ-რევოლიუციური) [2]) რომელზედაც ისტორიული მსვლელობით ახალი მებრძოლნი უნდა გამოსულიყვნენ, სხვანაირათ, მოღვაწეთა ახალი ჯგუფი ანუ „დასი" გაჩენილიყო.

---

[1]) იხ. 1900 წელს გამოც. ნოე ჟორდანიას—„ქართული პრესა", გვ. 56, სადაც მოყვანილია 1981 წლის გაზ. „ივერიის" №-დან ილია ჭავჭავაძის შემდეგი დებულება: „დიახ ბატონებო, ჩვენის გულითადის ფიქრით, ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხ მ ა ლ ი უჭირავს და მეორეში გუთანი. ხ მ ა ლ ი იცავს გ უ თ ა ნ ს, (ე. ი. თავად-აზნაურობა იცავს გლეხკაცობასაო რ. კ.). ხოლო გუთანი ასაზრდოებს ხმალს"

[1]) რაკი განმარტოვებული დარჩა, ფურცელაძემაც ილია ჭავჭავაძესთან შერიგება არჩია. და ისიც მალე ბანკში შევიდა. იხ. მისი მოკლე ბიოგრაფია ზ. ჭ. მიერ გამოცემული.

ეროვნული

ეგნატემ განსაკუთრებით მწვავეთ იგრძნო ეს საზ[illegible] მობრუნების შემდეგ. 1887 წლიდან მან ალღო აუღო ახალი დროის მოთხოვნილებას, დაინახა დაცლილი ასპარეზი, რომელზედაც მას ბრძოლა უნდა გაეწია მოწინააღმდეგე ჯგუფებისათვის. და ის მზათ იყო ამ ასპარეზზე გამოსულიყო, როგორც რევოლიუციონერი; მაგრამ ამისთვის ჩვენში ჯერ კიდევ არც ტრადიცია იყო და არც დასაყრდნობი ძალა.

ჩვენებური მოღვაწე მწერლობით, უკვე მხატვრული მწერლობით იწყებდა თავის მოღვაწეობას და მწერლობითვე ათავებდა. ეგნატეს არ შეეძლო ამ ტრადიციისთვის ეღალატნა. მით უფრო, რომ იმ დროს ჯერ კიდევ არც პროლეტარული დემოკრატია, მუშათა კლასი იყო ჩამოყალიბებული და არც ამ ნიადაგზე სამოღვაწეო პროგრამა და ტაქტიკა იყო შემუშავებული.

ამიტომ ეგნატესაც მხატვრული მწერლობით უნდა დაეწყო და ახალი ცხოვრების ახალი მიმდინარეობა სახელოვნო ფორმით გამოეთქვა.

ის მართლაც 1887 წლიდან ხელაღებით შეუდგა ასეთ მოღვაწეობას, მაგრამ სოციალური მდგომარეობა მას ხელს არ უწყობდა, ამიტომ ის საოცარი მოთმინებით და ტიტანიური ენერგიით ცდილობდა, რაც შეიძლება მალე შეექმნა, უკეთ გამოეძებნა, ეპოვნა თავისთვის შესაფერი პირობები. მას ასეთი პირობები მხოლოდ 90 წელს დაუდგა და აი ამ წლიდან ის მხატვრულ მწერლობას სისტემატიურათ ემსახურება.

ეგნატემ თავის ბელეტრისტიკის საგნათ დაისახა გურიის სოფლის ხალხი, ვინაიდან სამოქალქო ასპარეზზე თვით ეს ხალხი ჯერ კიდევ სავსებით ვერ გამოსულიყო.

მან მხატვრული ანალიზი გაუკეთა ამ ხალხის ცხოვრების ვითარებას მთელი გარდამავალი ხანის განმავლობაში და ამ პროცესში აღმოცენებული ახალი ტიპებიც ნათლათ გვიჩვენა, როგორც მომავალი წინამორბედი ელემენტები.

მხატვრული სახეების საშუალებით მკაფიოთ დაგვისურათა ეს გარდამავალი ხანა, რომელიც ამ წერილის თავშია მოხსენებული.

არც ერთ ზემოთ დასახელებულ მიმდინარეობის და ტენდენციის გამომხატველ მწერალს არ შეუსრულებია ეს ისე ზედმიწევნით, თუნდაც თავისი კლასის თვალსაზრისითაც, როგორც ეს ეგნატე ნინოშვილმა შეასრულა. **მან გურიის ხალხის ამ გარდამავალი ხანის, მთელი ეპოსი მოგვცა.**

ყველა მისი მოთხრობები, როგორც თვით ხანა ამ ნაწერებში გამოხატული, სამ რიგათ შეგვიძლია დავყოთ, რომელთაც როგორც პროლოგი წინ მიუძღვის ისტორიული რომანი „ჯანყი გურიაში“, სადაც ავტორმა თავისი შეხედულება რუსეთის მთავრობისა და ბატონ-ყმობის წინააღმდეგ გურიის ხალხის ბრძოლაზე რომანის ერთი **გმირის მაღალ განათლებული** თავადის №-ის პირით გვამცნო.

აი რა სთქვა ეგნატემ მაშინ (1889 წელს) რუსეთის მთავრობის და ბატონ-ყმობის წინაღმდეგ მიმართული 1841 წ. გურიის აჯანყების გამო:

„... **ვინც ჩვენს ხალხს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას ურჩევს, ამას ჩვენი ქვეყნის დაღუპვა მოუწადინია...** რა რომ რუსეთს შეუერთდით, მას

შეძლევ ამ მხრით (გარეშე მტრების თავდასხმის), სრულიად უზრუნველ[illegible]ქე-ნით. შესაძლებელია, **დღეს ჩვენთვის უმჯობესი იყოს, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი შეიქნებოდეს**, მაგრამ... რა ვიქნებოდით აქამომდე რუსეთს რომ ჩვენთვის პატრონობა არ გაეწია?... ბარბაროსი ოსმალეთის ან სპარსეთის ყურ-მოჭრილი ყმა....... რაც შეეხება იმას, რომ გლეხ-კაცობა ცუდ მდგომარეობაშია (ბატონ-ყმურ მდგომარეობაზე ლაპარაკობს რ. კ.). თუ ვინიცობაა ნება-ყოფლობით არ გამოვიდა რა, და გლეხკაცობა აჯანყდება, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენი გლეხ-კაცობაც მიხედავს რუსეთის მაგალითს და იომებს თავისუფლების მოსაპოვებლად“. [1]).

აქედან აშკარაა, რომ ეგნატეს აზრით საქართველოს გლეხ-კაცობა მანამ არ უნდა შეებრძოლოს და ვერც შეებრძოლება რუსეთის თვითმპყრობელობას, ვიდრე თვითონ რუსი გლეხ-კაცობა არ აუჯანყდება მას. „მაშინ კი მასთან ერთად იომებს“. ეს პირდაპირი წინასწარმეტყველებაა 1905 წ. და 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ—დემოკრატიული რევოლიუციების.

ეგნატეს მოთხრობები: „პალიასტომის ტბა“, „მოსადილე“ „გოგია უიშვილი“ და „პარტახი“ გარდამავალი ხანის პირველ პერიოდს გვისურათებენ; „არშიყნი“, „განკარგულება“ და „უცნაური სენი“ უკვე მეორე პერიოდის მწვავე ტკივილებს აგვიწერენ, ხოლო ეგნატეს სოციალური რომანი „სიმონა“ და დანარჩენი მოთხრობები: „ქრისტინე“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, „მოსე მწერალი“ მესამ პერიოდის სრული ყოველმხრივი ანალიზია.

ამნაირათ ეგნატემ დახატა რა ეს სამი პერიოდის ვითარება, გადაჭრით სთქვა: კაპიტალიზმი და რუსული თვითმპყრობელობა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრენ, ხალხს სახეს უცვლიან, კლასებათ ანაწილებენ და ახალი ფორმით კლასობრივი ბრძოლის გაჩაღებას ამზადებენ.

ამიტომ საჭიროა, ეგნატეს აზრით, ხალხში სოციალისტური და რევოლიუციური იდეები ახლავე შევიტანოთ, „თვარა გვიანღა იქნებაო“, ამბობდა ის.

აქედან ნათელია ის, რომ ეგნატემ ანტონ ფურცელაძისაგან უნებურათ დატოვებული ასპარეზი დაიკავა და სოციალიზმისა და რევოლიუციონიზმის დროშა კვლავ აღმართა: „წავიდეთ ჩვენც, ჩვენც შევწიროთ თავი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას.“ [2]).

რევოლიუციონიზმი, არამედ პროლეტარული, რომელიც წმინდა ბურჟუაზიული წყობილების ალაგას კომუნიზმს დაამყარებს. [3]).

---

[1]) აღნიშნული რომანი—„ჯანყი გურიაში“. ძველი (1820 წ.) გამოცემის ტ. III-ის გვ. 96.

[2]) იხ. „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ მე-II თავი, დესპინეს სიტყვები.

[3]) ეგნატე რომ გათანასწორების აზრზე მტკიცეთ დადგა თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებს, ეს ცხადათ სჩანს მისი უკანასკნელი პოლემიკურ წერილიდან—„უებარი საშვალება საქართველოს გამდიდრებისათვის“, სადაც იგი დაასკვნის: „არც სასურველია მრეწველობის შეძენა არც ერთი ქვეყნისთვის; სიმდიდრე თავისთავათ ბოროტება-კი არაა, ბედნიერებაა. მხოლოდ სიმდიდრით შეუძლია ადამიანს დააკმაყოფილოს თავისი ათასგვარი მოთხოვნილება. მაგრამ უთანასწოროთ განაწილებული სიმდიდრე თუ გნებავთ ბოროტებაც გახლავს“. იხ. 1920 წლის გამოცემის 361 გვ. ტომი მე-III.

ეროვნული

მალე ჩვენი ქვეყნის პროლეტარულმა რევოლიუციურ[illegible]ებმა, უკეთ, იდეოლოგებმა: ეგნატეს დროშის ქვეშ იწყეს შემოკრება. სამაგიეროთ მოპირდაპირე ბანაკიდან, ერთი მხრით თავად-აზნაურული ინტელიგენციის ბელადმა ილია ჭავჭავაძემ და ყველა მისმა დამქაშებმა: ურბნელებმა, ყიფშიძეებმა, პლებსებმა, მეველეებმა და სხვებმა და სხვებმა, ხოლო მეორე მხრიდან ნიკოლაძის გაზრდილებმა, ასტეხეს ყვირილი: „ეგნატე ნინოშვილი თუმცა ნიჭიერი ბელეტრისტია, მაგრამ უსწავლელი გლეხის შვილია, უვიცია და თანამედროვე რთული ცხოვრების არაფერი გაეგებაო“. (იხ. 1893 წლის გაზ. „ივერიის-ხაფხულის და შემოდგომის №№-ები) და როცა ეგნატეს საფლავზე მის ამხანაგთა და თანამოაზრეთა ჯგუფი იხილეს, შეკრთენ და სთქვეს: ეს რა „უვიცნი“ და ყბედნი შეკრებილანო.

მხოლოდ გიორგი წერეთელმა აუღო ალღო და მიხვდა რომ უამჯგუფოდ მას ილია ჭავჭავაძის და ნიკოლაძის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეეძლო, ამიტომ მან იწამა ეს ჯგუფი და თავისი ქრონოლოგიურ-ისტორიული თვალსაზრისით „მესამე დასი“ უწოდა. მისი აზრით ეს ვითომ მესამე თაობაა, რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრებას სათავეში ჩაუდგა და სასურველ გეზს აძლევს.

ცხადია გიორგი წერეთელს არ ესმოდა, რომ „მესამე დასი“ არა მარტო მესამე თაობა იყო საერთოდ მთელი ერთიანი ქართველი ხალხისა გარდამავალ ხანაში (ეს მართლაც ასე იყო), **არამედ იგი იმ კლასის პირველი თაობის იდეოლოგიური გამომხატველია, რომელსაც ისტორიამ მსოფლიო მასშტაბით კაპიტალიზმის დამხობა დააკისრა.**

ეს შეიგრძნო და შეიმცნო მხოლოდ ამ კლასის წინამორბედმა ჩვენში, **ეგნატე ნინოშვილმა** და კიდეც შეასრულა მან წინამორბედის და წინასწარმეტყველის ეს ღირსეული და ისტორიული დანიშნულება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. გორგაძე:

# ბესარიონ გაბაშვილის დღემდე უცნობი სამგლოვიარო ოდა—„სამძიმარი“.

## I

## წინასიტყვაობა.

ამ თორმეტი წლის წინეთ, როცა ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილის) ნაწარმოებთა სრული კრებულის გამოცემაზე ვმუშაობდით[1], დარწმუნებული ვიყავით, რომ ხელთ გვქონდა არა მხოლოდ საკუთრივ ამ მგოსნის ნაწარმოებნი სრულად, არამედ ბევრი რამ ისეთიც, რაც ამ მგოსანს მხოლოდ შეცდომით მიეწერებოდა, მაგრამ საკუთრივ მის თხზულებად ვერ ჩაითვლებოდა[2]. ვფიქრობდით, რომ შემდეგი დროის ჩხრეკა-ძიება, ამ მხრივ, თვალსაჩინოს ველარას მოგვცემდა. საბედნიეროდ ჩვენი ფიქრი არ გამართლდა. პროფესორის ე. თაყაიშვილის ქაღალდებში, რომელნიც საბჭოთა მთავრობამ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას“ გადმოსცა, აღმოჩნდა, ორ ხელნაწერად, ბესარიონ გაბაშვილის დღემდე უცნობი ვრცელი სამგლოვიარო ოდა, რომელიც მგოსანს „სამძიმრის“ სახით მიუწერია თავის მეგობრის დავით ორბელიანისთვის, ლეონ ბატონიშვილის გარდაცვალების გამო.

სანამ თვით ოდისა და მის შემცველ ხელნაწერთა შესახებ ვიტყოდეთ რასმე, ორიოდე სიტყვა—მისი დაწერის დროისა, ადგილისა და იმ პირთა შესახებ, რომელთაც ოდა შეეხება.

ოდა მიმართულია **დავით სარდლისადმი**. ეს იყო დავით რევაზის ძე ორბელიანი (ყაფლანისშვილი), ერეკლე მეორის მოწინავე ლაშქრის სარდალი და სახლთხუცესი, მეფის სიძე (ცოლად ჰყავდა ერეკლეს ქალი თამარი) და ბესარიონ გაბაშვილის გულითადი მეგობარი, რომელსაც ბესიკისაგან მიძღვნილი

---

[1]. იხ. „ბესიკი“. ქართული კაზმულსიტყვაობის საზოგადოების გამოცემა, ს. გორგაძის რედაქციით. ტფილისი. 1912 წელი.

[2]. იქვე გვ. 191—222.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს მთელი რიგი მაღალპოეტურის ელეგიებისა [3]; გარდაიცვალა თავის მეგობარ მგოსანზე ხუთი წლით გვიან, სახელდობრ 1796 წელს [4].

ოდა გამოწვეულია **ლეონ ბატონიშვილის** გარდაცვალებით. ეს იყო ერეკლე მეფის პირველი ვაჟი დარეჯან დედოფლისაგან: დაიბადა 1756 წელს, თებერვალში, და გარდაიცვალა 5 თებერვალს 1781 წელს [5]. „ლევან ბატონიშვილს“ ხალხური პოეზიაც იცნობს, როგორც მამამისის მარჯვენა ხელს და დაღისტნის დაუძინებელ მებრძოლს. აი ეს მშვენიერი ნაწარმოები ხალხურის შემოქმედებისა:

ხმალი სჭრის ბაგრატივნისა,
მეფისა ირაკლისაო.
ნეტავი გამაცნობინა,
ლევანს უქებენ, შვილსაო:
აჯობა თავის მამასა,
სანამ იცვლიდა კბილსაო;
ურჯულო გამოამტვერია,
როგორც ნაპირი ტყისაო;
თუ ლევან იქით მიბრუნდა,
საქმე სჭირს დაღისტნისაო! [6].

ოდა წარმოადგენს „სამძიმარს“ ლეონ ბატონიშვილის გარდაცვალებისა გამო; და, რადგან ეს უკანასკნელი მოხდარა 5 თებერვალს 1781 წელს, მაშასადამე ოდის დაწერის თარიღი უნდა იყოს **1781 წლის თებერვალი, ან მისი მახლობელი თვეები.**

ვამბობთ: „თებერვალი, ან მისი **მახლობელი თვეები**“, რადგან, ოდის დაწერის დროს, ავტორი ქართლ-კახეთში არ იმყოფებოდა, არამედ, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია [7], 1779 წელზე ცოტა უფრო ადრე, უთანასწორო სიყვარულისა გამო მეფის დის ანა დედოფლისადმი, იგი ერეკლე მეფის მიერ ქართლიდან იყო გაძევებული და მას შემდეგ იმერეთის მეფის სოლომონ I-ლის კარზე მოღვაწეობდა. ამგვარად ოდის დაწერის ადგილი უნდა იყოს **იმერეთი.**

ახლად აღმოჩენილი ოდა წარმოდგენილია ორ ხელნაწერად, რომელნიც „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ხელნაწერთა კატალოგში ჩაწერილნი არიან № 2539 და № 2540-ით. ამათგან უძველესი უკანასკნელია (№ 2540), ამიტომ მას A-ლიტერით აღვნიშნავთ; ხოლო № 2539, როგორც უფრო გვიანდელი, B-ლიტერით გვექნება აღნიშნული.

**A-ხელნაწერი** წარმოადგენს სქელი ლურჯი ქაღალდის ორად შეკეცილს დიდ თაბახს, ზომით 35,5×22 სანტიმეტრს: ოთხი გვერდიდან პირველი ცარიელია, ხოლო დანარჩენებზე ოდის ტექსტი გადაწერილია ორ-ორ სვეტად მე-18-ე

[3]. იქვე გვ. 150—169.

[4]. პლ. იოსელიანის „ცხოვრება მეფის გიორგი მეცამეტისა“, გვ. 308. შეად. Brosset. Hist. de la Géorgie. t. II, livr. 1, p. 636 —საგვარეულო ტაბულა.

[5]. იხ. Brosset, იქვე. გვ. 249; 377 (სხოლიო); 431.

[6]. იხ. ჩვენი ქრესტომათია: „ჩვენი ხალხური პოეზია“. ქუთაისი. 1920 წ., გვ. 113—114.

[7]. იხ. „ბესიკი“, გვ. X და შემდეგნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნის მხედრული ნუსხით, რომელიც რამოდენადმე მიემსგავსება ბესიკის ავტოგრაფებს[8]. ყოველი ხანა ასომთავრულით (ხუცურით) იწყება, ხოლო ტექსტში საკმაოდ ხშირად ნახმარია ეგრეთწოდებული „ზედმეტი" ასოები და საზოგადოდ ძველებური ორთოგრაფია, თუმცა საჭირო ერთგვარობა ამ ასოების ხმარებასა და ძველ ორთოგრაფიაში იქ დაცული არაა. ხელნაწერს არავითარი თარიღი არა აქვს. ქაღალდს კი უზის წყლოვანი ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ვარსკვლავად გადაჭდობილს ორს სწორგვერდიან სამკუთხედს, რომლის ცენტრში ზის ორი ასო: WC. ოდას ამ ხელნაწერში არავითარი სათაური არა აქვს, არამედ ტექსტი პირდაპირ იწყება პირველი ხანის პირველი ტაეპით.

**B-ხელნაწერი** მოსქო თეთრი ქაღალდისაა, ოთხ ფურცლად, ზომით 34×21 სანტიმეტრი. ტექსტი გადაწერილია მხედრული ნუსხით არა უადრეს მე-19-ე საუკუნის პირველი ნახევრისა. ეგრეთწოდებული „ზედმეტი" ასოები ამ ხელნაწერში ძალიან იშვიათად გვხვდება და საზოგადოდ ტექსტი მარტივი ორთოგრაფიითაა წარმოდგენილი. A-ხელნაწერთან შედარებით, აქ ოდას წინ მიუძღვის შემდეგი სათაური:

**„სამძიმარი არს მოწერილი ბესარიონ გაბაევისაგან ლეონის მეფის ძისა სარდალს დავით ორბელიანთან".**

ამას გარდა ტექსტის ბოლოში B-ხელნაწერი ათავსებს ერთ ზედმეტ ხანას, რომელიც შეუძლებელია თვით ბესიკისა იყოს, რადგან იქ წარმოდგენილია ბესიკის ქება და თან ბესიკზე ლაპარაკია, როგორც მესამე პირზე: დაუჯერებელი რამ იქნებოდა, ავტორს (ბესიკს) ბატონიშვილის **„სამძიმრის"** ბოლოში (გინდ თავში) თავისი თავის ქება დაეწყო და ისიც მესამე პირით. ცხადია, ეს ბოლო ხანა ბესიკს არ ეკუთვნის, არამედ შესაძლოა B-ხელნაწერის გადამწერისა იყოს. აი ეს ხანა:

მას ბესარიონს, ქკუით ველისარიონს
მე ამად ვაქებ, არ ცუდად დავიბაქებ
გონება სრულსა, ცოდნითა შენასრულსა
დიდთა და მცირეთა, ყოველთგან სატიროთა
ვამის მკარგავსა, რას მიხვდება თვარ ავსა
ბ:—გ:

ორი უკანასკნელი ასო: **ბ** და **გ** ალბათ ბესარიონ გაბაშვილის ინიციალებს უნდა წარმოადგენდეს, მხოლოდ აშკარაა, რომ თვით ბესიკის ავტოგრაფში, საიდანაც B-ხელნაწერია გადმოწერილი, ეს ინიციალები ოდის ტექსტის ბოლოში იქნებოდა, ე. ი. მე-34-ე ხანის შემდეგ; გადამწერს-კი იგინი საკუთარი ნაწარმოების შემდეგ მოუთავსებია. A-ხელნაწერში ეს ინიციალები არ არის, თუმცა ტექსტის ბოლოს თავისუფალი ალაგი საკმაოდ მოიპოვება.

[8]. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ბესიკის ავტოგრაფებიც აღმოჩნდა. იხ. ჩვენი წერილი: „მასალები ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) ბიოგრაფიისა და კრიტიკული ტექსტისათვის", გაზეთ „ბახტრიონში" 1922 წ. № 1; და ჩვენივე წერილი: „ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) ახლად აღმოჩენილი ლექსები და ავტოგრაფები", რომელიც დაიბეჭდა 1924 წლის (წელიწადი მეორე) „ჩვენი მეცნიერების" პირველ ნომერში.

ეროვნული

დასასრულ, ორიოდე სიტყვა ჩვენი გამოცემის შესახებ: სტამბაში საჭირო „ზედმეტი“ ნიშნების უქონლობისა გამო, ოდის ტექსტი გამარტივებული ორთოგრაფიით იბეჭდება; გამოცემას საფუძვლად უძევს A-ხელნაწერის ტექსტი, ხოლო B-ხელნაწერიდან უმთავრესი განსხვავებანია აღნიშნული. ხელნაწერებში ოდა გადაწერილია ხუთ-ხუთ ტაეპოვან ხანებად (ისე როგორც ზემოთმოყვანილი დანართი ხანა) და ყოველ ტაეპში მეხუთე მარცვლის შემდეგ ცეზურა აღნიშნულია მძიმის (,) მსგავსი ნიშნით. ხანებს და ტაეპებს იქ არავითარი სათვალავი არ უზის. შინაგანი რითმების გამოსაჩენად და ცეზურების ნათელსაყოფელად ყოველ ტაეპს ჩვენ ორ-ორ სტრიქონად ვჭრით და მთელ ხანას ათ-ათ სტრიქონად ვბეჭდავთ; ყოველი ხანის წინ არაბული ციფრით მის სათვალავს ვათავსებთ, ხოლო სტრიქონების რიცხვი თვითეულ ხანაში აღნიშნული გვაქვს ორ-ორი არაბული ციფრით (5 და 10) მეხუთე და მეათე სტრიქონის წინ.

სპეციალისტების საგულისხმოდ, ტექსტში შავი ასოებით აღნიშნული გვაქვს A-ხელნაწერის ორთოგრაფიული თავისებურობანი, სახელდობრ: შავი ი-ნით—ეგრეთწოდებული „ჰიე“ ანუ „იოტი“; შავი ე-ნით—ეგრეთწოდებული „ჰეი“ ანუ მერვე ასო ქართულის ანბანისა; შავი ხ-ანით—ეგრეთწოდებული „ხარი“; შავი მარცვლით ვი-თ ეგრეთწოდებული „ვიე“; ხოლო შავი მარცვლით ჰო-თი—ეგრეთწოდებული „ჰოე“ ანუ ქართული ანბანის უკანასკნელი ასო.

გარდა ამისა A-ხელნაწერი საკმაოდ ხშირად ჰხმარობს ეგრეთწოდებულს უ-ბრჯგუს (ზოგჯერ ნიშნით, ზოგჯერ უნიშნოდ), რომელიც ჩვენ ყველგან აწყობილი გვაქვს შავი ვ-ნით; ხოლო ჯგუფი: „უ-ბრჯგუ“ და „ჰეი“ (მერვე ასო ქართულის ანბანისა) ჩვენს გამოცემაში ყველგან გადმოცემულია შავი ვე-მარცვლით.

სასვენებელ ნიშნებს ჩვენი დროისას ვხმარობთ, სხვა მხრივ-კი A-ხელნაწერის ტექსტი უცვლელად გვაქვს წარმოდგენილი.

რაც შეეხება ოდის ლიტერატურულ თავისებურობასა და ღირებულებას, ამაზე აქ არას ვიტყვით, რადგან ამჟამად ჩვენი მიზანია მხოლოდ ახლად აღმოჩენილი ნაწარმოების გამოქვეყნება; მისი ანალიზი, კრიტიკული გამოცემა და შეფასება-კი სხვა დროისათვის გვაქვს განზრახული. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ბესარიონ გაბაშვილის ნაწარმოებთა შორის და საზოგადოდ მე-18-ე საუკუნის ქართულს ლიტერატურაში ეს ოდა ფრიად საპატიო ადგილს დაიჭერს, როგორც შინაარსით, ისე ლექსის ტექნიკითა და პოეტური სტილის თავისებურობით.

II

## სამძიმარი.

B1r

1

მეწყნეს ხსენებად, A2t

წარსულთა მათ ცვნებად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაჟამს გეშებად
ადამ ისთვლო ხე ვნებად;
აწ არს ჩვენებად
ენა მკბენი მთენებად,
მით ულხენებად
ვსტირთ სამოთხესვე ნებად,
ვაი მტკენებად,
ვაი ძნელ ნასენებად!

2

მოვედინ, ევა,
ტირილთა არს მოწვევა!
განახლდა წყევა,
სამოთხით გამნმოსრევა!
დახშულ არს ძლევა,
ჰსჩანს მახვილით შეწყვდევა!
აჰა, ვა მე, ვა!
მორჩი მტილთა ისხლევა!
არღა დახრწევა,
არცაღა ცრემლთა თნევა!

3

აბელის მტყებთა,
მშრომელთა უდროდ მმცნებთა,
მათ თანამდებთა
აღვახსენებ ნაკრებთა.
შემოვჰყვნეთ გზებთა,
სხვებრ სატირალთა სხვებთა,
ძმათა და დებთა
სადა სად ალაგებთა,
ცეცხლ მონაგზებთა,
საყვარლის განაშვებთა.

4

სეითს ვიტყოდეთ,
ადამისადმი ვრბოდეთ,
მსგავსსა ვიგლოვდეთ,
მსგავსსავე მამას ვჰსთხოვდეთ,
მათ შორის ვხმობდეთ,
ნუმცა სახელს ვსთმობდეთ,
ლეონს უთხრობდეთ,
თავთა და სვეთა ვგმობდეთ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისდამი ვლმობდეთ,
ცრემლის ნამცვრევთა ვსთლობდეთ!

5

ნოეს ზე ნართნი,
ჴმა საზარო-საბავთნი,
მღელავნი ზავთნი,
უთმენნი, არლა სათნი,
ალმსპობნი მათნი,
ვითარ ლესულნი შანთნი,
აჰა, აწ სართნი,
მუნებურ უკულმართნი,
დავიდეს მნათნი,
საფლავად მოკამათნი.

6

შენდა ვჰსთქუ, ლომო, A2²
მაღალ გვარითო ტომო, B1v
მისებრვე მხტომო
ბრძოლადმი განუძლომო,
სად უსაზომო,
სად გზა შენდა საწთომო,
სადა მიდამო,
სად გეახლნეთ საგნომო,
ლეონ საჴსომო,
ყმათ გულებისა ჴომო!

7

გამოჩნდა კალო
ატადის სავალალო,
ოდეს გცანთ, ძალო,
ჴელდაკრებით საბრალო!
განფხიზლდი, მთვრალო,
წყლულ-გულო და ნავალო!
ვლა ვიმსთვნეთ, მალო,
მარიხად სარბიალო!
ვჰრქვნეთ: „ვინ მოჰკალო,
ჰოი, ურცხვად შეუწყალო?“

8

ეგიპტით გამო
ხმა ისმის მიწყ სავამო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰრულავს საჰამო,
ძილი იოსებს ცსწამო;
ძმანი მიდამო
ჰროთვენ სისხლის ცრემლთა მნამო;
ლომო, შენდამო
ესელა არს საქრთამო,
ნავლლის სასვამო,
რათა გვეპყრნეს ნასხამო.

9

დაერთნეთ ნოსესნი, A3[1]
ისრაილთ განაწესნი,
გლოვა საქვნესნი
მისდამი, ჩვენდა დღესნი
ცეცხლების კვესნი,
შენთვის ჩემ ურჰამესნი
და მახვილ მლესნი,
გულთ გარემო ნათესნი,
ვაი, უალრესნი
დღენი მისხენ და მსგეფსნი!

10

გტირ, სიცოცხლეო,
არ დროით მინასთვლეო,
დავითის ძეო,
იდუმალ განაძეო,
სამოთხის ხეო,
უწყალოდ შენარხეო,
ყმათ მაორძეო,
თვალითლა ვერ ნაძეო!
სადათ, ლეო,
სად ვპოვნეთ სიახლეო?

11

ალდეგინ, დავით!
მითხარ: ლეონ სადა ვით?
შესახედავით
ავესალომ ჰგვანდა ვით?
ვით დასთმენ და ვით?
ბედნიერი სადავით,
რომელმან ზავით
განსცა სიცოცხლე ნავით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და დასანთქავით
განლელვნა თმანი თავით!

12

ქალაქსა შენსა B2r
ხელ ჰყვეს შენ მიერ შენსა;
სოლომონს ბრძენსა
რლვევად ჰკადრებენ მძენსა!
ვა დროსა ჩვენსა,
მსგავსადვე მოსაწყენსა!
ჩემსა ირემსა,
ჩემად დლედ მონაცემსა,
აწ განაცემსა,
სოფლით ურგების თემსა!

13

იროდი მეფობს,
სისხლის მახვილს იეფობს,
ბრძანება მჩქეფობს,
ხმა მუნებური მკრეფობს!
რაქელ შვილთ მყეფობს,
ძუძუ ნავლლითა მცქეფობს;
ქუხილი მჭეხობს,
გრგვინვა ელვითა მგრეხობს;
სიკვდილი მკვეხობს,
ლომსა მძინარეს ფერხობს.

14

მივხედნეთ დლესა,
რა ალმართების ხესა,
სიტყვისა მზესა,
მკვდრად ვნებულსა განმგესა!
მას ზედა მდესა
მარიამ დედის ძესა,
ლეონის მწესა,
მათ ვსთხოვდეთ მისთვის სვესა!
ნუთუ მერმესა
ვემთხვივნეთ სიმარჯვესა!

15

ლაზარეს დათა
ვესტუმარნეთ ცრემლზლვათა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოვედინ, მართა,
მოძღვრისად ვჴმობდეთ თქმათა!
აღვზიდნეთ ქვათა,
ყურნი მივაპყრნეთ ჴმათა!
ქრისტემან რათა
სიცოცხლე განუმართა,
კვალად აღმართა,
კვალადმცა წარუმართა?

16

ძუხს ღრუბლებრ გული, A3[2]
დუღს შინაგანთა წყლული;
სწვიმს თვალი კრული,
სიბნელისა ნატრული;
სჭრის ღვიძლთა მტრული
მახვილი ორპირული;
გეძიებს სული
შენდა ზრდილი აღკრული;
ვაი, დასასრული,
ურგებ არს ჩემგან თქმული!

17

სადა ვის ვჰგულებ,
პატრონად მოვიძულებ,
ვერ აღვისრულებ,
სული ინაკლებს მტრულებ;
ლეონ, მით ვჰსწყლულებ,
მოგიჴსენო რა თქმულებ,
შენდამი ვკრულებ,
შენდავე ვინატრულებ,
ველი თვალ დაჴშულებ
სიკვდილისდამი ვჰრულებ!

18

შევბრალდე ამით, B2v
სარდარ სპასპეტო, წამით:
წარტყვევნეს ღამით
ლომი შთამოი მამით,
აღწონეს დრამით
პილოტანი მოდგამით,
იგ დასაბამით
ურჩეულესი გვამით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემო ვჴვნეთ ვამით
ნავაჰრები ადამით.

19

იხსენებდე რა,
ჩემიცა ჰსთქუ ეგერა!
ვინა მაქვს მზერა,
თქვენდამივე საჯერა;
მაყენებს წერა,
ცრემლიცა განმემტერა;
მან მიგო სერა,
სამსალისა ჰყო ფერა!
აჰა ესერა,
ერთგულთა გულის ბგერა!

20

ჰოი, ცისა ლომო,
ლეო, ცისავე ხომო!
მაღალო ტომო,
მხოლოდ მოვედ მარტო, მო,
სად სასადგომო,
სადა არს სრა სახსომო!
ვა შენდა, ომო,
უმისოდ მოსანდომო,
ვაი, მიუწთომო,
ხილვადლა მიუხდომო!

21

მინდორთა თავი
მოსძაგდეს მონართავი,
ოდეს რა ზავი
თავს იდევ დასათვლავი;
მთა იქმნა შავი,
ზაფხულის განათავი,
წყალიცა მცნავი,
შენდამი დანანთქავი,
და გზათა კავი
აქვნ ზებმით შენასწავი.

22

ასპარეზი ხმობს
უქმად ყოფისა ხმას შობს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაბახს არღა ჰფლობს,
ისარი უკუღმართობს;
ყირღაჯი შიწვლობს,
ბურთსა რა ობლად იცნობს;
ჯირითი მისნობს,
გარდიხვეწის, განმქისობს,
ულეოდ სისრობს,
გული სისხლითა მისრობს.

23

ლეონის თოფი A4'
ნეტარ თუღა არს მყოფი?
ლეონის ხრმალი,
ვაი, თუმცა არს მშრალი?
ლეოის შუბი
აწ თუ სხვათ შენატყუბი?
ლეონს დაბანჩა
ცოცხალიღა თუ დარჩა?
ვაი, სატევარი,
უმისოდ საწყევარი!

24

ლეონის ჯაჭვნი B3r
ერთგულთ სახსენნი მანჭვნი!
ლეოს ხელნავნი
მომგონებელთა მავნი!
მისნი ბეგთარნი
ვისად და სად შემდგარნი?
სად არს ჩაჩქანი
ახალ შლილთ ამაჩქანი?
და ლახტი ტახტი
სიმტკიცით გარდანახტი?

25

სადალა ცხენი
არა სადა შემრცხვენი?
სადა აბჯარნი
მაქებელთა დამჯარნი?
ერთი თუ ობლად,
ვაი, მეორე უხმობლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაი ჩემდა თვალნი,
მათგან მიერ დღე მკრთალნი,
ასხურებნ ცრემლთა,
განხვრეტს გულისა გრდემლთა!

26

ქორთა ქლერანი,
ხამლით შენაფერანი,
ძალლთა ბგერანი,
შემაქცევნი მზერანი,
აწ, ვეჰვ, ჯერანი
რებს უვნებოდ, მერანი!
წყალთა ჩქერანი
არლა თევზთ გამჩერანი!
და სხვა მღერანი
მისადვე ჰქმნა მტვერანი!

27

მინდვრად ირემნი
თავისუფლად მზირენი,
ლორნი მღირენი
იშვებნ განაპირენი!
არლა მმტირენი
ქურციკთ დედის მცირენი!
აწ განმრინენი
მგელნი მაღლად მყვირენი!
არლა ჰსჩანთ მრენი,
წარხდეს მონადირენი!

28

ფრინველნი შვებით,
დურაჯნი არლა ტყებით!
ხოხობ-კაკაბნი
არლარა დანანაბნი!
წერო-სავათნი,
გნოლ-ლალლა წანამართნი!
ტრედ-მწყერნი-გვრიტნი,
განბევრდებიან ჩიტნი!
ბაზიერს ჰრულავს,
ძილით თავს მოიძულავს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

29

ამისნი მგრძნობნი A4²
უშორესნი და მცნობნი!
მტერნი საგმობნი,
ხრმალთა მისთა ნაყმობნი,
აწ მაღლად მხმობნი,
იზმაიტელთა მწყობრნი,
გველით ნაშობნი,
მზისა დასვლის შემტყობნი,
ბედისა მმსწრობნი,
ალმართებითა მმსტრობნი!

30

ვაი, დუმან ხმანი B3v
სამოვნონისა კმანი:
მუსიკთა თქმანი,
მუტრიბთა დასწყდეს თმანი!
მეტოლნი ყმანი
მგოსან-ნოტების თნვანი,
ჭამანი, სმანი,
ლხინნი სრულ დასანთქმანი!
ყოვლად სულთქმანი,
ყოვლად სვეთ უკუთქმანი!

31

სრა ცალიერი,
უპოვარი, მშიერი,
სახლი ძლიერი
აწ სახე მიწიერი!
შვება ციერი
წარნაპარ-ნაცბიერი!
სადალა სერი,
სტუმართა განმაბევრი?
ვა, მგონე ერი,
ლეო, სად ბედნიერი?

32

სად მეგობრობა,
სად პატრონისდა ყმობა?
სად ერთსულობა,
სად მოყვარულთ თხზულობა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სად კაზმულობა,
სადღა დარბაზულობა?
ვაი, სრულობა!
ვაი, დაკარგულობა!
ვა, ყმაწულობა
დახსნილ-დანაზრულობა!

33

შორს წარხდა თემად,
ულხოთა თანა გემად;
ლეონ მოცემად
ვისმცა ძალუძს საჩენად?
გარნა სად მრწემად
ვიყომცა მსახურ-მგემად?
მწირობა-მსხემად
მისდა არა მაქვს კდემად;
მას ვჰსდევ ირემად,
მას ნუკრად მადლის მმფენად!

34

ესე იმრთმელე,
სპასპეტო, ჰზრიად ვრცელე
და განიმრთელე,
ვით მე არ განვიგრძელე!
ალავსე ღელე
ობლის ცრემლით ნასველე,
მიმრავალ-წელე
ივ სიმაღლით ნაძველე B4v
და განაველე
გზა იწრო ძვილ ნაძნელე!

III

## განსხვავებანი.

ოდის სათაური „**სამძიმარი**“ B-ხელნაწერიდან გვაქვს შემოტანილი; A-ში იგი არ მოიპოება. აქა-იქ B-ხელნაწერის ტექსტი სხვაშხრივაც განსხვავდება A-ხელნაწერის ტექსტისაგან. მოგვყავს უმთავრესი განსხვავებანი, ჩვენს გამოცემასთან შედარებით, როგორც A-ნიდან ისე B-ხელნაწერიდან *.

**ხანა** 1: 1,2 სხენებად. 6,3 მთმენებად. 8,1 ვსტირ. 9,2 მტკევნებად.

*. ლიტერით (B) აღუნიშვნელი ვარიანტები ყველა B-ხელნაწერიდანაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ხანა 2:** 2,1 ტირილით. 4,1—2 სამოთხითგან მოსრევა. 6,1 სჩანს. 6,3 შემწყვდევა. 9,1 არღარა.

**ხანა 3:** 2,2-3 უდროოდ მცნებთა. 5,1 შამოვჰყუნეთ A, შემოვჰყვეთ B. 6,1 სხვებ. 10, 1—2 სიხარულის განმშვებთა.

**ხანა 4:** 3,1 მგზავსსა, 4,2 მამასა. 8,3 სხვეთა.

**ხანა 5:** 4,1 უთმენი. 8,1 მუნებრივ.

**ხანა 6:** 1,2 ვსთქვი. 2,2 გვარითა. 3, 1-2 მისებრივ მხლტომო. 8,2 გიახლნეთ.

**ხანა 7:** 7,3 „მალო“ ეს სიტყვა B-ში აკლია. 9,1 ვრქვნედ.

**ხანა 8:** 3,2 საამო. 6, 3-4 ცრემლთ მიდამო, 7,2 შენგამო. 9,1 ნაღვლის.

**ხანა 9:** 4,1 მისადმი. 5,1—2 ცეცხლ უშრეტ კვესნი. 6,1 უამესნი. 10,4 მგზეფსნი.

**ხანა 10:** 2,3 მონასთვლეო. 7,2 მოარძეო. 8,1 თვალითა. 10,2 ჰპოვნენ B; A-ხელნაწერში ჯერ ყოფილა „გპოვნეთ“, შემდეგ პირველი ასო იმავე მელნით გადაუხაზავსთ და ზემოდან დაუწერიათ ასო ვ-ინ, მაგრამ ისე კი, რომ ეს ასო შეიძლება „ჰ“-ედაც მიღებულ იქნეს.

**ხანა 11:** 4,5—6 გუნდავით. 6,1 ბედნიერის. 8,1 განსცა.

**ხანა 12:** 1—2 ამ ტაეპების შემდეგ A-ში დაუწერიათ სტრიქონი: „ტიტე სახსენსა, განახლდეს დღეს ჩვენსა“, რომელიც შემდეგ იმავე მელნით გადაუხაზავსთ. 4,3 ბრძენსა B. 5,1 ვაი. 8,2 დღე. 10,1 სოფლის.

**ხანა 13:** 5,1 რაქაელ. 6,2 ნაღვლითა. 10,2 მძინარსა.

**ხანა 14:** A-ხელნაწერში ამ ხანას წინ იმავე მელნით დასმული აქვს ასო ბ-ან, ხოლო შემდეგს ხანას ასო ა-ნ, რაც შეიძლება იმას ჰნიშნავდეს, რომ ეს ორი ხანა (14 და 15) ერთიმეორის ალაგას უნდა გადაისვას; მაგრამ B-ხელნაწერი ამგვარ გადასმას მხარს არ უჭერს და ამიტომ ხანებს თავთავის ადგილას ვტოვებთ. 2,1 რად B. 3,1 სიტყვითსა. 4,2—3 ვნებულს განმაგესა. 5,2—3 ზედან მწესსა. 6,1 „მარიამ“—ეს სიტყვა B-ში არ არის. 6,2 დედისა B. 7,1—2 ლეონ მხნესა B.

**ხანა 15:** 2,1—2 ვესტუმრნეთ ცრემლის ზღვათა. 8,2 „განუმართა“,—ამ სიტყვის ნაცვლად A-ში წერებულა „წარუმართა“, რომელიც იმავე მელნით გადაუხაზავსთ და ზემოდან დაუწერიათ „განუმართა“.

**ხანა 16:** 1,2 „ლრუბლებრ“—ეს სიტყვა A-ის გადამწერს გამორჩენია და შემდეგ წაუწერია იმავე მელნით სტრიქონის ზემოდან. 6,1 მახვილი B.

**ხანა 17:** 2,1 „პატრონად“, ამ სიტყვის წინ A-ის გადამწერს დაუწერია „ვეოლა“, რომელიც შემდეგ იმავე მელნით გადაუხაზავს. 4,3 მტრულებს B. 5,3 ვსწყლულებ. 3,2 ვჰკრულებ. 9,1 ვლი. 10,1—2 სიკვდილისად მივრულებ.

**ხანა 18:** 3,1 წარტყვევნეს. 9,2 ვსვნეთ B; ხოლო Ä-ში ამ სიტყვის მეორე ასო ისეა დაწერილი, რომ შეიძლება ხ-ანადაც წაკითხულ იქნეს და ს-ანადაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხანა** 19: 2,2 სთქუ. 3,1 ვისა. 10,1—2 ერთგულ გულისა.

**ხანა** 20: 1,2 ცის. 2,1 ლეონ. 7,1 ვაი. 10,1 ხილვადცა.

**ხანა** 21: 10,1 აქუსთ.

**ხანა** 22: 2,2—3 ჰყოფს ხმასა. 3,3 ფლობს. 5,2 შიშლობს. 9,1 ულევად.

**ხანა** 23: 3,2 ხმალი. 4,3 „არს“, ეს სიტყვა B-ში არაა. 5,1 ლეონის. 7,1—2 ლეონის დამბაჩა. 8,1—2 ცოცხალი არლა.

**ხანა** 24: 2,2 სახსენი. 3,2 ხელნავი. 8,2 შლით.

**ხანა** 25: 2,2—3 სად შემარცხვენი. 10,1 გვხრეტს.

**ხანა** 26: 2,1 ხმალით. 7—8 აწ განრინენი, მგელნი მაღლად მყვირენი. 9—10 არლა სჩანთ მრენი, წარხდეს მონადირენი.

**ხანა** 27: 1,2 ირემი. 5,2 მტირენი. 7—8 „წყალთა“ ჩქერანი, არლა თევზ გამჩერანი. 9—10 და სხვა მღერანი, მისადმე ქმნა მტვერანი.

**ხანა** 28: 1,1 მთვრინველნი. 9,2 რულავს.

**ხანა** 29: 1,1—2 ამისი მცნობნი. 2,3 მგრძნობნი. 4,1 ხმალთა. 8,1 მზის. 10,2 მსტრობნი.

**ხანა** 30: 2,1 საამოვნისა. 6,3 თვნანი. 8,1—3 ლხინი სრულ დასანთქავნი.

**ხანა** 31: 1,2 ცარიელი. 2,1 უპავარი. 6,1 წინაპარ. 9,1 ვაი. 10,1 ლეონ. 10,3 „ბედნიერი“; ამ სიტყვის ნაცვლად A-ში წერებულა „შვენიერი“, რომელიც გადამწერს იმავე მელნით გადაუხაზავს და მიუწერია „ბედნიერი“.

**ხანა** 32: 2,2 პატრონისად. 9,2 ყმაწვილობა.

**ხანა** 33: 4,1 ვისცა B. 4,1—2 წინათ A-ში აქ წერებულა „ვისლა ულირს“ შემდეგ იმავე მელნით გადაუხაზავსთ და გაუსწორებიათ ისე, როგორც დაბეჭდილია. 8,1 ვისდა B. 9,2 ვსდევ. 10,4 მფენად.

**ხანა** 34: 2,2 ზნიად. 3,2 განიმართლე. 6,1—3 A-ში ჯერ წერებულა „ცრემლითა განასველე“ და შემდეგ იმავე მელნით გაუსწორებიათ ისე, როგორც დაბეჭდილი გვაქვს: „ობლის ცრემლით ნასველე“.

ასეთია ტექსტის განსხვავებანი ხელნაწერებში. ირკვევა, რომ B-ხელნაწერის განსხვავებანი ისეთი ხასიათისაა, რომ შეუძლებელია ეს ხელნაწერი A-ხელნაწერის პირად ჩაითვალოს; შესაძლოა მათი უშუალო დედანიც კი ერთიდაიგივე არ ყოფილიყოს, არამედ სხვადასხვა დედანი ედვასთ საფუძვლად. მართალია, უნაკლულო არც A-ხელნაწერის ტექსტია, მაგრამ ის-კი ეტყობა გარეშეა, რომ პრიორიტეტი, როგორც ქრონოლოგიურად, ისე ტექსტის ღირებულების მხრივ A-ხელნაწერს უნდა მიეკუთნოს.

1924, VII, 24.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ელისაბედ ყაზბეგი.

# დიმიტრი ყაზბეგის და ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიის მასალები.

(გაგრძელება *).

### თავი მეშვიდე

მე აქ რამოდენიმე სიტყვა უნდა ვსთქვა ჩემს უფროს ძმას დიმიტრიზე. დიმიტრი ყმაწვილობიდგანვე სხვანაირი ხასიათის იყო. ის იყო პირმშო შვილი მამის ჩემისა, ჩემზე ბევრით უფროსი, ასე, რომ თაობიდგანვე მე ის მოსწავლეთ მახსოვს. პირველათ დუშეთში სწავლობდა და შემდეგ თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. რაც ჩემი თავი მახსოვს მე დიმიტრის, როგორც უფროსს, ისე ვუყურებდი და, მაშასადამე, შიში და პატივისცემა მქონდა. ის იყო ჭკვიანი და სწავლაში მეყაითი ყმაწვილი. იმ თაობიდგანვე ნიჭი გამოიჩინა და საგანგებოთ სწავლობდა; შინაც რომ მოვიდოდა ხოლმე ზაფხულობით, სულ მუდამ წიგნებს კითხულობდა, ამასთან იყო ლექსების მოთამაშე, უყვარდა სოფლური სიმღერა, ცხენზე მშვენივრათ იჯდა და იარაღს მარჯვეთ ხმარობდა. მონადირობას ეჩვეოდა. ვინც ნადირობ(ას) წავიდოდა (და ეს ხომ ხშირი იყო ჩვენში), ისიც გაუამხანაგდებოდა. შინ ყველაფერს მთის ჩვეულებას ასრულებდა: როცა სტუმრები მოვიდოდნენ, თავს დაადგებოდა, ცხენს ჩამოართმევდა და სხ. მანდილოსნებთან, როგორც დიდი მამაკაცი, ისე მოკრძალული და მორიდებული იყო. არც ერთ ხატობას, ღამის თევას არ მოაკლდებოდა და სადაც ის იყო, მხიარულებაც იქ ბედობდა!

ბიძა ჩემს თუმცა პატივსცემდა, მაგრამ არ უყვარდა და ნამეტავად ძალუა კეკე ხომ საშინლად ეჯავრებოდა! მე მუდამ მტუქსავდა იმაზედ, რომ ძალუასთან ხშირად დავდიოდი და ნამეტნავად მაშინ, როდესაც იმასთან წავედი საცხოვრებლად. ცემა და ლანძღვა თავის დღეში ჩემთვის არ უკადრებია, მაგრამ ხშირათ კი მიჯავრდებოდა ხოლმე. მე არ ვიცოდი ძალუა კეკე ისე, რათ ეჯავრებოდა? მაგრამ, ძალიან ხშირათ მეტყოდა ხოლმე: „ნეტავი ვიცოდე, რა გინდა, რომ სულ ძალუა შენთანა ზიხარ? რას ისწავლი იმასგან კარგსა? შენ ეხლა სწავლის დრო გაქვს და ის შენ ჭორაობას მეტს არას გასწავლის“. მე ამგვარი აზრის გამოთქმა უსამართლობა მეგონა და დიმიტრის რჩევას ყურს არ უგდებდი. ძალუა ჩემსაც დიმიტრი არ უყვარდა და თითქმის იმისი ეშინოდა კიდეც: „ეგ იმისთანა ავგულია, რომ მოჰკლავს ვისმე!“ ხშირად იტყოდა ხოლმე.

*) იხ. „ენათობი“ № 5.

ეროვნული

ძალუა ჩემის ერთგულს მახლობლებს—სოლომონას ბიძას და დიმიტრი-სა ძალიან ეშინოდათ და იმას რომ დაინახავდნენ, ერიდებოდნენ, სადაც მოახერხებდნენ იქ ღრმად ემალებოდნენ.

მე არ ვიცოდი სად იწყებოდა ერთის მხრით ასრეთი სიმძულვარე და მეორეს მხრით სიმძულვარის გარდა შიშიც. მე ვხედავდი, რომ სანდრო, როცა ეზოში თამაშობდა, თუ დიმიტრი გამოჩნდებოდა საიდანმე, ან სულ მოარიდებდნენ და ან გარს შემოეხვეოდნენ: თითქოს უკბენსო. ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, რომ დიმიტრი არ მინახავს, რომ სანდროსთვის ელერსნოს. დიმიტრის ისე უყურებდნენ, როგორც სანდროს მტერსა და მეც ისრე ჩამაგონეს, რომ ეს აზრი სწორედ მართალი მეგონა. დიმიტრის ბავშვობიდგანვე ჩვეულებათა ჰქონდა ლევორველის ტარება: ვიღამაც აჩუქა პატარა ლევორვერი და მამის ნება დართვით გვერდზე ატარებდა ხოლმე. (იქნება გაუტენიც დაჰქონდა) ეს ანბავი დიდს ისტორიათ გაეხადნათ: „რა არის რათ აძლევს ჩემი მაზლი ნებას, რომ მაგოდენს ბავშს და აგრე ავგულს, მუდამ დამბაჩა წელში აქვს გაკეთებული? მე მაგ ყმაწვილისა მეშინოდა!“

ერთს დილას დიმიტრი ჩვეულებისამებრ, არ მიშვებდა ძალუასთან, მეც დავნებდი; გავერთე შინა და სადილათ ჩემს და-ძმასთან დავრჩი. რამთენიმე კაცი მომივიდა „გეძახიანო“ და ყველას დიმიტრიმ ჩემს მაგივრათ პასუხი მისცა: „არ მოვაო“. მე ძალიან მხიარულად გავატარე დრო ალბათ იმიტომ, რომ დიმიტრი დამიტკბა. „შენ, ლიზავ, ნუღარ წახვალ ძალუასთან, მითხრა დიმიტრიმ, თუ ისე უნდათ შენი იქ ყოფნა და ნახვა, აბა ერთხელ სანდრო გამოგზავნონ ჩვენთან. არ ეკადრება? თუ ჩვენ და, ნამეტნავათ, შენ მუდამ იმათთანა ხარ, ერთხელობა ისიც მოიყვანონ, ის ჩვენზე რით არის მეტი?.“ მე დავპირდი არ წავალ მეთქი. შემდეგ სადილისა ეზოში გავედით სათამაშოთ, დიმიტრი კი ეზოს გარეთ გასულიყო, სოფლისკენ გაევლო. მე და ჩემი და-ძმა გავერთეთ ბავშურს თამაშობაში და ფანჯრების წინ დავხტოდით. საწყალმა სანდრომ ფანჯარიდან გადმოყო თავი, ალბათ, მარტოობა მოსწყინდა და დამიძახა; ძიძა გვერდით უჯდა და იმანაც ხმა მისცა იმის ძახილს: „სანდრო მარტოკა არის და აქ მოდიო“. მე სანდროს დანახვაზე დამავიწყდა დიმიტრის ნათქვამი, ჩემი პირობა და გავიქეცი სანდროსკენ. შესვლის უმალ მრავალი საყვედური მითხრეს, რომ მთელი დღე სანდრო გკითხულობს და შენ-კი თავი დაანებეო. თურმე, მე რომ სანდროსთან გავერთე, იმ დროს დიმიტრი მოსულიყო შინა და, რომ აღარ დავვენახე—სწყენიყო და გამოეგზანა გოგო დასაძახებლათ. გოგო ჩემთან არ შემოუშვეს და, ჩემს მაგივრათ უარი შეუთვალეს, იმას მეორე გამეუგზანა, მეორესაც უარი, მესამესაც უარი...

ჩვენ პატარა ოთახში ვისხედით და მყუდროთ მე და სანდრო რაღაც სურათებს ვშინჯავდით, როდესაც ხმაურობით კარი შემოაღო და დიმიტრი შემოვიდა, მოვიდა პირდაპირ ჩემთან, მომკიდა ხელი და გამიყვანა. მე მაშინვე დავნებდი და გაკვირებით უყურებდი იმის გაანჩხლებულს სახესა.—„არ უყურებს მაგათ კაცი?! მოსამსახურეები ისე გაათამამეს, რომ ჩვენს ბრძანებას გროშათ აღარ აგდებენ. ოთხჯერ გოგო გამოვგზავნე შენს დასაძახებლათ და არ

შემოუშვეს. მეც არ მიშვებდენ! ბატონსა სძინავსო! მამა არ [illegible] ისეთნაირათ გავჯავრდი, რომ იმ ქალაჩუნა სოლომონას ერთი უარი რომ კიდევ ეთქვა კიბიდან დავაგორებდი...“.

ჯავრობდა დიმიტრი და სამართლიანადაც! მე როგორც ბავშვს, რასაკვირველია არ მესმოდა იმისი სრული სიმართლე; ამასთან იმათგანვე ჩაგონებით, მართლა დიმიტრი ამათი მტერიც მეგონა.

ამ შემთხვევამ დიდი ავალ-მაყალი გააჩინა, დიდი მითქმა-მოთქმა.

ძალუას ოთახში ბუზბუზით შემოდიოდენ მოსამსახურები და თავიანთებურის **გარდაკეთებით** მოახსენებდნენ ვინ რა ნახა და გაიგონა: დიმიტრი როგორ შემოვარდა, დამბაჩას ხელი იკრა, ქვეყანას გაწყვეტას ექადდა და სხ. და **სხ.** ძალუა კეკე თანდათან შეშინებული კაპასდებოდა და კიდევ და კიდევ უფრო მეტი უნდოდა გაეგონა ამ **შემაწწუნებელს** ანბავზე.

— ბიჭო, სოლომონ! დაწვრილებით მიამბე, როგორ შემოვარდა ის დამთხვეული?!

— შემოვარდა წივილ-კივილით: სად არიან?... სანდრო სად არისო? მე მოვახსენე, ყმაწვილო ნუ კივი მეთქი, ბატონსა და ქალბატონს სძინავს მეთქი. იმან უფრო მეტად დამიკივლა შენც შეგარცხვინათ და შენი... უკაცრავათ მე ვერ გავბედავ ამისთანა უკადრის სიტყვების თქმასა.

— ჰო, თქვი მამა გიცხონდა, ყველაფერი სთქვი, რაც იმ რეტიანმა სთქვა.

— ... შენც შეგარცხვინეო და....შენი...ბატონ—ქალ-ბატონიცაო! პირდაპირ სანდროსკენ წავიდა, მე კარებთან გადაველობე: ვენაცვალე სანდროს, არ შეეშინდეს მეთქი! (ძალუამ პირჯვარი გარდაიწერა) იმან ხელი მკრა, ლევორვერით ხელში მივარდა, უნდა მოვკლაო...

— ვინა ბიჭო?! ვინ უნდა მოვკლაო, ჩემი ალექსანდრე?!! უწინამ დღე დალევია! ღმერთო შენ დაიხსენ ჩემი ალექსანდრე ყოველის განსაცდელისაგან? — კიდევ გადაწერა ძალუამ პირჯვარი,— მერე ბიჭო, სთქვი!

— მერე რომ ვერა გახთა რა, გაჯავრებულმა ლიზას დაავლო ხელი და ბოწიალით წაიყვანა; ლიზა არ მისდიოდა და იმან სულ ცემა-ტყეპით წინ გაიგდო.

— უი, საცოდავი, რაზედ მოჰკლავდა ჩვენის გულისათვის!

ამ დღის შემდეგ დიმიტრის უფრო მორიდება დაუწყეს და როგორც მოსისხლე მტერს ისე ერიდებოდნენ. ყველას ნაბრძანები ჰქონდათ, რომ სადაც დიმიტრი გაჩნდებოდა, სანდრო უთუოდ მოერიდებინათ.

მე ორს წყალს შუა ვიყავ ჩავარდნილი: ჩემები მიყვარდნენ და იმათთან არ მაყენებდნენ, იმათგან მგლეჯავდნენ; ბიძა ჩემი და იმის ცოლ-შვილი მიყვარდნენ და იქ ყოფნას დიმიტრი მიშლიდა, მუდამ მტუქსავდა და ჩემზე უსიამოვნებას აცხადებდა, ასე, რომ დიმიტრისა და სანდროს შუა ცეცხლში ვიწოდი. ამისდა დაუხედავათ, მანამ პატარა ვიყავ, სანდროს მხარე მეჭირა, სხვანაირი, მომხიბლავი ძალა მიზიდავდა ჩემი სიყმაწვილით მეგობრის სანდროსაკენ! იმასთან ძალიან კარგათ ვგრძნობდი ჩემს თავს: ერთად ვთამაშობდით. კარგათა ვცხოვრობდი, თავისუფლათ ვიყავ, არავინ მისწორებდა შეცდომას, რომ-

ლითაც ბავშვობაში უფროსები თავს მოგვაწყენენ ხოლმე. [illegible] ჩემი ქცევა არ მოსწონდათ და ამის გამო ბიძები და გამდლებიც უცხოსავით მექცეოდნენ და ჯეროვან ყურადღებას აღარ მაქცევდნენ. ბიძი ჩემის სახლში იმთენს რასმე ლაპარაკობდნენ და მასმენდნენ დიმიტრის თაობაზე, რომ მეც ნამდვილი სანდროს მტერი მეგონა,., აი, ამისთანა ერთობა გვქონდა პირველ ჩვენს სიყმაწვილეში მე და ჩემს გალაღებულს, ალვირ აწყვეტილს და ყოველისფერის შემძლებელ მეგობარ—სანდროს.

ამგვარის წვალებით გავატარე მთელი ზაფხული და ველოდი შემოდგომაზე ქვეშეთს წასვლას, რომ მომესვენა. ძალუა ჩემი როცა აიბარგა ქვეშეთს წასასვლელათ, დიმიტრი ისევ შინ იყო. მე თუმცა მამზადებდნენ წასაყვანათ, მაგრამ დიმიტრიმ გარდაწყვეტით მითხრა, რომ ყოველს ღონის ძიებას მოიხმარებს, რომ არ გამიშვას. მე ზემოთ ხომ ვსთქვი, რომ სანდრო და ძალუა მიყვარდა და იმათი მხარე მეჭირა. წასვლის დღეც მოვიდა. ეტლი შეაბეს და სხდებოდნენ კიდეცა. მამა ჩემი მგონებ გაერიდა ამ ანბავსა, არსადა ჩანდა. მე დიმიტრიმ ხელი დამიჭირა და მითხრა: „არ წახვიდე, შინ უნდა იყოვე." დამხვდა ოთახში და თითონაც კარებთან დადგა. ჯერ კი ჩუმათ ვიყავ, მაგრამ როდესაც ცხენების ფეხის ხმა გავიგონე და დავრწმუნდი, რომ წავიდნენ, მოვრთე ტირილი! ვიტირე და ვიღრიალე!! იქამდე ვიღრიალე, რომ ყველანი შევაწუხე; ჩემმა ანდრიამ ველარ მოითმინა, ცხენი შეკაზმა, შემომისვა და კობის სტანციაში მიმწია· ისე დავოხრდი ტირილით, ისე დავიღალე, რომ მოსვლის უმალ გული შემომეყარა.

ძალუა ჩემი ხშირათ მოიგონებდა ხოლმე ამ შემთხვევას და თავის მოსაწონებლათა ჰქონდა ჩემი ამგვარი სიყვარული, რომელიც (იმის აზრით) მომდინარეობდა იმისავე დედობრიულის ჩემდამი სიყვარულით და მშობლურის ზრუნვით. ძალუა ჩემი ყოველთვის ამას მარწმუნებდა.

## თავი მერვე.

ჩემი ბიძა-ძალუის მისწრაფება სანდროს სწავლა-განათლებაზე, სხვა და სხვა ნაირი იყო. ბიძაჩემს გაგიჟებით უყვარდა თავისი შვილი, და ამას მხოლოთ იმითი ამტკიცებდა, რომ ანებივრებდა და მეტის-მეტათ რყვნიდა. თავის ერთად-ერთ მემკვიდრეს თითქმის აღმერთებდა! რაღა თქმა უნდა, რომ თავის სიყვარულით სანდროსთვის ყოველი კეთილი სურდა და ამეტებდა, მაგრამ თითონ უსწავლელ კაცს გამორკვეული წარმოდგენა არა ჰქონდა სწავლა-განათლებაზე, რომლის გამოც სანდროს სწავლის საქმეს ნორმალულათ ვერ აყენებდა. ხშირად იტყოდა ხოლმე: „ჩემმა ალექსანდრემ ოღონდ იცოცხლოს და თუნდ სულაც ნურას ისწავლისო!... რაც უნდა ისა ქნას, როგორც ესიამოვნება, ისე იცხოვროს".

ძალუა კეკეს შეხედულება ამ საგანზე სულ სხვა იყო: იმას ძალიან უნდოდა, რომ ალექსანდრე ფრიად განათლებული კაცი გამოსულიყო, ყველაფერი კარგათა და ზემიწევნითა სცოდნიყო, რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე უკეთესი ისა ყოფილიყო. ასე ვრცელი იყო იმისი მისწრაფება სანდროს სიკეთის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის! იმასა შურდა ხოლმე, როდესაც გაიგონებდა: ამა და ამ კაცის შვილი კარგათა სწავლობსო, ამა და ამ კაცის შვილი სამსახურში დაწინაურდაო. ძალუა ჩემი, როგორც ზემოთა ვსთქვი, ბუნებით ჭკვიანი დედა-კაცი იყო, ძალიან ბევრი ღირსება ჰქონდა, მაგრამ საშინელი ბოროტი და შურიანი იყო! მეტისმეტი მედიდური ხასიათიც ჰქონდა, თავის გამოჩენა მეტად უყვარდა და ოღონდ კი თავის მიზნისთვის მიეღწია, ის არაფერს და არავის არ დაზოგავდა. ზემოთა მოვიხსენე რომ ძალუა კეკე იყო ესტატე თარხნიშვილის ქალი, ციციანთ ქალიშვილი, საიდანაც ენათესავებოდა ჩვენის მეფის ოჯახს—როგორ ახლო ნათესავი იყო იმათი—ეს არ ვიცი, მაგრამ შვილი რომ მოესწრო, ხშირათ დასცინოდა ხოლმე დედას და ეტყოდა: „დედავ, აბა თითებზე ჩამოთვალე, მერამდენე ნათესავი ხარ საქართველოს მეფეებისა. რომ იესიან, დავითიან, (ამასთან მარჯვენა ხელით, მარცხენა თითებს ჩამოსთვლიდა) სოლომნიან და პანკრატოვანი!“ ხან და ხან, რასაკვირველია, ოხუნჯობას გამოიწვევდა და ალერსით დედა-შვილს თავში ჩაუფაცურებდა, მაგრამ ჩხუბიც ბევრჯერ აუტეხიათ; მაშინ დედა გაჯავრებით შვილს ეტყოდა ხოლმე: შენმა თავის გახეთქამა ჩემი ნათესავები სწორედ შენი ნათესავების ამხანაგები არიან!

კეკე დიდკაცობას ძალიან ეტანებოდა და თავიც მოსწონდა თავის შუამავლობით ხან და ხან თავის ქმარსა და შვილს თავის ულირსათაცა სთვლიდა.

ძალუა ჩემი ბიძა ჩემზე ბევრათ უფრო ჭკვიანი იყო და განვითარებული; ბუნებითი ნიჭი შესწევდა და კითხვაც ძალიან უყვარდა, სამხთო წერილი კარგათ იცოდა, და სახარებას და დავითნს ხშირათ კითხულობდა.. აგრეთვე ყველანაირის წიგნების კითხვა უყვარდა: „ქართლის ცხოვრება“, „ვეფხის ტყაოსანი“ გავარჯიშებული ჰქონდა; „ცისკარი“ მოსდიოდა და საზოგადოთ თვალყურს ადევნებდა ქართულს ლიტერატურას. ალექსანდრე ჭავჭავაძის ზოგიერთი ლექსი ზეპირად იცოდა და ხშირად დამღეროდა ხოლმე. განსაკუთრებით „ქართლის ცხვრებაზე“ და ძველ ციხე მონასტრებზე უყვარდა ლაპარაკი. როცა იმისთანა ადამიანს შეხვდებოდა, რომელთანაც შეეძლო ებაასნა, მაშინ სიამოვნებით რამდენსამე საათს განაგრძობდა ხოლმე მუსაიფს. იმისი გძირი მესაუბრე იყო—მამა ჩემი, რომელმაც ძალიან კარგათ იცოდა ქართული ენა და განვითარებული იყო.

ამისთანა განვითარებულ მანდილოსანს **დიდ ღირსებასთან** ფრიად **დიდი ნაკლულებაც** ბევრი ჰქონდა: მეტის მეტი მედიდური (ზემოთაც ვსთქვი) თავმოყვარე, **თავის თავის მთაყვანებელი** ხასიათი ჰქონდა. ბევრჯელ ადამიანი თავისი ქცევით ეჭვში შეჰყავნდა, რომ ვითომც ქმარიც და შვილიც მხოლოდ იმიტომ უყვარდა, რომ იმისები იყვნენ. თითქოს თავისი ლამაზი სანდრო იმიტომ შეუყვარდა, რომ **იმისი** დედის-ერთა ვაჟი-შვილი იყო, **იმისი** შემკვიდრე, და **ის** ამის გამო ყველაზე უკეთესი უნდა ყოფილიყო. ამისმა დაბრმავებულმა სიყვარულმა იქამდენ მიაღწია, წარმოდგენილი ჰქონდა, რომ რაც იმის შვილს შეეფერება, სხვა ღირსი არ იყო, რასაც თავის შვილს მიუტევებდა, იმას სხვას ხომ ზრახავდა და მიწასთან ასწორებდა... აი ამისთანა ჯოჯოხეთის ზნეობის იყო ძალუა კეკე და ამზე იყო გადარეული,..

პირველ ქმართან სამი ქალი დარჩა, თუმცა იმათთვისაც [illegible]. მაგრამ იმისთვის სანდრო, **სხვა** ღვთაება იყო! ქალები თითო-თითო მოიყვანა სიყალბით, მოტყუებით და ვაი-ვაგლახათ დაათხოვა და ყველა შემთხვევაში რაკი თავის მიზანს მიაღწევდა ხოლმე, შემდეგში თითქოს იმისი შვილები არ იყვნენ, რაც უნდა გადახდენიყოთ აღარ აწუხებდა და თავმოწონებით მოიგონებდა თავის გამარჯვებას, (იმათი თავიდან მოშორებას), თუმცა რომ ხან და ხან იმისი—ზნეობით დაცემას ამტკიცებდა ხოლმე.

ნინო, რომელიც რადენჯერმე ზემოთ ვახსენე, ჩვენს ოჯახში დაბადებული და გაზრდილი მოახლე იყო, რომელმაც შემდეგ სანდროს გამდელობა დაიმსახურა. ნინო იყო ყოველს შემთხვევაში მარდი მოხერხებული მოხმსახურე, ძალუას ყოველივე სურვილის ალმსრულებელი და დიდი მესაიდუმლე. ამ ღირსების პატრონი მთელს ოჯახს **განაგებდა:** ეს ნინო ძალუასთან ჩურჩულ კურკურით ბევრს საქმეებს არიგებდა: ბევრჯელ ბალიშის ქვეშ **მადლობის გადასახდელ** ფულებს ამოუდებდა, რომ ის ბატონს შეხვეწნიყო და ნათხოვნი საქმე გაერიგებინა. ნინოს მნიშვნელობა ოჯახში დიადი იყო: ბევრჯელ ენის ტანტალით ბატონ-ქალბატონს იმაზე გაარისხებდა, ვიზედაც თითონ გაჯავრდებოდა და ამის გამო ყველას იმისი ეშინოდა, ძალიან ხშირათ სამზარეულოდან ცალკე შემოურბენდა იმ ლუკმებს, რომელიც ქალბატონს უყვარდა, და ამგვარის ქცევით და ფლიდობით, და სანდროს ფიცილით ბევრს საქმეს არიგებდა.

ბიძა ჩემსაც ჰყვანდა ამორჩეული **მდივანი**, თავისი—ეხო, ეს იყო იორდანე, თავისთან შეზრდილი ბიჭი. იორდანე იყო ლამაზი, წამოსადეგი, შუა ხნის კაცათ მახსოვს: მუდამ თეთრი გახამებული პერანგი ეცვა, მთლად სუფთად ჩაცმული; წვერ მოპარსული, პატარა ულვაშებით, თმა პომადა წასმული, გვერდზე გაყოფილი და მაგრა დავარცხნილი: დუხებ დასხმული თეთრი ცხვირსახოცით, რომელიც ახალუხის გულთან დაკერებულის ჯიბით მუდამ მოსჩანდა: კავალერისტის ლურჯი მაუდის შარვლით და კოხტად გავაქსულის წაღებით, იორდანე ყოველთვის მორთული გვეჩვენებოდა. რუსული ლაპარაკი ბატონზე უკეთ იცოდა, **პოლშურსაც** ლაპარაკობდა. იორდანე ლაპარაკობდა ჩქარა, სხაპა-სხუპით; მუდამ ზრდილი და მოცინარი იყო. დაფანტული მეხსიერება ჰქონდა; ვერც არავის სახელს მოიგონებდა და ვერც წლოვანობას, მაგრამ ამის სამაგიეროთ სადაც ლამაზი ქალი ენახა, ვისაც იმისი ბატონი გაარშიყებია ან თითონ, ესენი თითო-თითოთ მშვენიერად ახსოვდა და მოგონების დროს მუსაიფში, არა ერთხელ აცინებდა ძალუას და თითონაც სიამოვნებით იცინოდა ხოლმე. ბიძა ჩემი ყმაწვილ კაცობის დროს რამთენიმე ხანი ვარშავაში ემსახურებოდა და ეს იორდანე თან ახლდა. თითონ ბიძა ჩემი ლამაზი, ყმაწვილი, გვარდიის ოფიცერი, გართული იყო ლამაზ პოლონელ ქალებში და იმის ერთგული იორდანეც ბატონის კვალზე მიდიოდა. თითონაც ლამაზი ყმაწვილი ბიჭი, სადაც რა სიამოვნებას მოასწრობდა, არაფერზე არამც თუ უარს არ ამბობდა. ბატონის მეტოქეთაცა ხდებოდა. მახსოვს, საწყალი იორდანე, ძალუა ჩემის ტახტის წინ ჩამოცუცქული (ჩემს დროს იორდანე არც ლაქიობდა და არც კარში მუშაობდა, ისე უსაქმოდ შედიოდა დი გამოდიოდა და სულ წარსულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებზე ლაპარაკობდა) ინდაყვს ტახტს დააყუდებდა და [illegible] ყურს უგდებდა ხოლმე. უანბობდა: წარსულს დროებაში იმისი ბატონი ვის ეარშიყებოდა, ვისთან და როგორ დადიოდა და სხ. და სხ. ძალუა ჩემსაც უყვარდა იმის ლაპარაკი და თითის ტარით ხელში, ან ზორნების ქსოვის დროს გულ მოდგინეთ ყურს უგდებდა ხოლმე.

ერთხელ, სწორედ იმ დროს, როდესაც მე ძალუას პირდაპირ, გაშორებით ტახტზე მოკეცილი ვიჯექი და მუხლზე ბეჰზე დაწერილი ანბანი მედო და თუთიყუშივით ვიმეორებდი ძალუასგან დასახელებულს ასოებს (ღმერთმა იცის იმ ასოებს ვადებდი თითს, რომელსაც ვანბობდი თუ არა, რადგანაც ძალუა ჩემი თავის ზორნის ქსოვაში იყო გართული და ძალიან შორსაც იჯდა, რომ ჩემთვის თვალყური ედევნებინა) იმ დროს იორდანე შემოვიდა, ქალბატონს თავი დაუკრა და ჩვეულებისამებრ წინ დაუცუცქდა.

— რა არის ახალი ანბავი იორდანე—ჰკითხა ძალუამ:

— დალოცვილო, რა ახალი ანბავი უნდა იყოს სსოფელში?! გაკვირებით მიუგო იორდანემ. სკუჩნაობაა ქალბატონო!

მე ამ დროს გავჩუმდი და ვუყურებდი იმათ, თუმცა თითი კი არ მომე შორებია იმ ასოსთვის, რომელზედაც იორდანემ შემომასწრო.

მიიხედ-მოიხედა იორდანემ, თავისებური ზმუკუნით, მე თვალი შემასწრო და მითხრა, „წაიკითხე ქალო, ჩვენ რას გვიყურებ?!“ მე გაჩუმებულმა თავი ჩავღუნე. რა უნდა წამეკითხა, რომ არა ვიცოდი რა? ძალუას **კამანდას** ველოდი.

— საშინელი უგუნურია; ამოდენა ხანია ანბანს ვასწავლი და ვერ ისწავლია: სულ ეშმაკობაში აქვს თვალ-ყური... სთქვა ძალუამ, და უსიამოვნების ნიშნათ უფრო მაგრა დაუწყო ბეჭვა თავის ზონარს.

— ჰო, ნურას ისწავლი და ხელმწიფის შვილი შეგირთავს! სიცილით მითხრა იორდანემ,

მე მეწყინა, თვალებში ცრემლი მომერია და გაჯავრებულმა უფრო თავი ჩავღუნე.

იმათ არაფრათ არ ჩააგდეს ჩემი გულ-ნატკენი მდგომარეობა და თავიანთ ჩვეულებრივ, სასიამოვნო საგანზე დაიწყეს ლაპარაკი.

— შენ რომ ვარშავაში იყავ იორდანე, ის როგორ იყო, რომ შენ ბატონის ტანისამოსი ჩაიცვი და ქალებს ბატონის მაგივრათ გამოეცხადე? მამა გიცხონდეს მიამბე!..

— რა როგორ იყო, მოვიდა ერთი ლამაზი ქალი და მკითხა: ბატონი შინ არისო? მე ძალიან მომეწონა. ჩემი ბატონი იმისთანა ალაგას იყო მოწვეული, რომ მეგონა დილხანს არ მოვიდოდა. ვიფიქრე დრო რათ დავკარგო მეთქი? (ამ მოგონების დროს სიამოვნებით იცინოდა, ხან ულვაშებზე ხელს ისვამდა და დუხებით ნასხურებ ხელსახოცით შუბლს იწმენდდა: თითქოს ოფლი შესკდაო) უთხარი: მობრძანდით, მე თითონა ვარ მეთქი, მხოლოდ ნება მიბოძეთ ჩავიცვა· ის გასტინაში დავსვი, მე შევედი საჩქაროთ ლაზათიანად მოვირთე, ჩემის ამგვარი ბედნიერების სადღესასწაულოთ შესაფერი პერანგი არ მქონდა, ბატონის

ეროვნული

გახამებული პერანგი ჩავიცვი,—დუხი და პომადა ბლომათ [illegible] შევედი სტუმართან. დავჯექი ლაზათიანათ სავარძელში, ფეხი ფეხზე შემოვდე და ალერსიანი ლაპარაკი დაუწყე: აკი გამიწყრა ღმერთი და კარების ზარი დაჰკრეს! მე ჩვეულებისამებრ გავარდი და ვაი, ჩემს შერცხვენას, როდესაც ბატონს შევეფეთე! „კარგათ მორთულხარო“?... მიბრძანა ბატონმა და შეიარა კარი. მე თავზარდაცემული ვიდექი, ბატონის განცვიფრებას სამზღვარი აღარა ჰქონდა, როდესაც მორთული, **ნაცნობი ქალი** გასტინაში დაუხვდა! რაღა თქმა უნდა, მიხვდა ჩემს ანბავს, გამიჯავრდა და მე შერცხვენილი დავრჩი.

— ეხლაც რომ შენი ბატონი მოიგონებს ხოლმე მაგ ანბავს, სიცილით მოკვდება. დაგწყევლოს ღმერთმა, როგორ მოახერხე?

ამისთანა მხიარულმა ლაპარაკმა მეც დამავიწყდა ჩემი ანბანი, წყენამაც გაიარა, სმენათ გადაქცეული ვიყავ და, თითქოს, მეც მონაწილეობას ვიღებდი იმათ მხიარულობაში, პირლია შევყურებდი იმათ მოცინარე სახესა; იორდანემ თვალი მომკრა და დამიკივლა:

— ქალო, წაიკითხე, ჩვენ რას ყურს გვიგდებ, რა შენი საქმეა?! ნუროს ისწავლი და ხემწიფის შვილი მოგიტაცებს!.. ზმუკუნით და სხაპასხუპით მტუქსავდა იორდანე.

სწორეთ ამ დროს სანდრო შემოვარდა და ყური, რომ მოჰკრა ამ უკანასკნელს სიტყვებს, შესდგა, იმათ შეხედა, მე შემამხედა და განიმეორა: „შენცა სიცოცხლემ ნუროს ისწავლი და ხემწიფის შვილი მოგიტაცებს!“ თანაც ქოქლა მომაყარა. მხიარულმა მოსაუბრეებმა ალტაცებით სიცილი დაიწყეს სანდროს მოსწრებულს მახვილობაზე. მე იმათ სიცილზე უფრო შემრცხვა, ის იყო უნდა ღრიალი მომერთო, როდესაც სანდრო მომიახლოვდა, ხელი მტაცა და მითხრა: ადეგ, წამოდი ვითამაშოთო. მე თუმცა მინდოდა წავყოლიყავ, მაგრამ ძალუას ბრძანებას ველოდი: **სწავლისთვის** თავი როგორ უნდა დამენებებინა და **გასათხოვარი ქალი** სათამაშოთ როგორ უნდა წავყოლიყავ? სანდრომ მომტაცა მუხლიდან ბეჭზე-დაწერილი ანბანა (ღმერთმა უშველოს!), ფანჯარა ღია იყო და იქიდან გარდასტყორცნა, მერე მე ორივე ხელით დამეჭიდა და ქინიანის ტირილით მეხვეწებოდა: შენი ჭირიმე წამოდი, სტუმრობანა ვითამაშოთო. სანდროს წუწუნზე იმათ ლაპარაკი შესწყვიტეს და ძალუა ჩემმა გაჯავრებით მითხრა: „წაჰყევ მაგ ბაშვს, რას ატირებ? ვითომც შენ-კი არ გინდა თამაშობა?!...“ მე სიხარულით წამოვხტი, გავყევ სანდროს; მეორე ოთახში შესვლის უმალ გადავეხვიე და მადლობით კოცნა დაუწყე.

— შენი ჭირიმე, სანდრო, როცა ეგრე ნახავ, რომ ძალუა ვისმეს ელაპარაკება, შენ წამომიყვანე ხოლმე.... მე არ დავნებდები და შენ თავს ნუ დამანებებ.. გესმის? ჰო? მპირდები?!..

— კარგი, ეგრე ვიზამ! როგორ გითხრეს? „ნუროს ისწავლიო და ხელმწიფის შვილი მოგიტაცებსო“. ამდროს სანდრომ ტუჩებზე ორი თითი დაიდო და დედა გააჯავრა. ეს სიტყვები სანდრომ დაიხსომა, და შემდეგში, როდესაც **მოჩხუბარიძეთ** გახდა, ხშირათ მოვიგონებდით ხოლმე. ამდროს ჩემი მდგომარეობა შეიცვალა: განჰქრა ის **დედობრიული** ზრუნვა და სიყვარული, რომელსაც

ეროვნული

ძალუა კეკე თავის მხლებლებით მიცხადებდნენ, ჩემი მდგომარეობა [illegible]დებოდა, მე ვიხდებოდი და ჩემს შევიწროებას თანდათან უფრო ვგრძნობდი. მე ვიფანტებოდი: ჩემი ყმაწვილური გრძნობა წარსულს ალერსს და აწმყოს შევიწროებას,—ვეღარ ატმასნებდა ერთმანეთს. მაგრამ, ყმაწვილობის მომხიბლავი ზნეობა ყველასთვის აშკარა არის: დიდხანს ვერ დააკვირდება ბაში თავის მდგომარეობას და, რაც უნდა გულით მოტირალი იყვეს, იმისი გართობა ადვილია—სხვა და სხვა ხტომა—თამაშით. ჩემზედაც ეს საერთო კანონი მოქმედობდა, სანდროს მფარველობა და მეგობრობა, ჩემში ყველა უსიამოვნოებას აყუჩებდა და თავ დავიწყებული ველტოდი იმის საზოგადოებას.

ჩვენი თამაშობა უფრო მეტჯერ შეადგენდა ხოლმე სტუმრობანას და ქორწილის წარმოდგენას. ჩვენი საზოგადოება, როგორც ზემოთა ვსთქვი, გოგობიჭებისაგან იყო შემდგარი. მთელი სახლობა სანდროს ალმერთებდა, და მაშასადამე, ჩვენ რაც გვესიამოვნებოდა იმას ვთამაშობდით, დავკეტავდით ხოლმე ოთახის კარებს, სტოლებს, სკამებს, მუთაქებს, ბალიშებს სულ ერათ ავრევდით, იმისდაგვარათ რა როგორ უნდა წარმოგვედგინა. მაგალითს ვიტყვი: თამაშობის დროს ვისაც რა უნდოდა და მოაგონდებოდა საჭმელათ, იმას დაასახელებდა და სანდროს ეტყოდა: „ეხლა მოდი და ჩვენს სტუმრებს ესა და ეს ხილი მივართვათო“ (სტუმრები—ბალიშები, მუთაქები და სხ. და სხ. საგნები იყვნენ), მაშინვე სანდრო ნინოსთან გაიქცეოდა და დაუყოვნებლათ დასახელებული ხილი მოგვერთმეოდა. შემდეგ ვისმეს ხმელი ხილი მოაგონდებოდა და სანდროს ეტყოდა: „სტუმრებს ხმელი ხილი უნდათო“ და ხმელი ხილიც გაჩნდებოდა, დავიყოფდით ხმელი ხილსა, ვფანტავდით, ერთმანეთსა ვტაცებდით და ერთი კიჟინა და წიაკობა გაჭგვქონდა, თუ, რომ თამაშში სანდროს ვატკენდით რასმე, ვატირებდით, მაშინ მთელი სიამოვნება მოიშლებოდა: ვინც დამნაშავე გახდებოდა, ის დაიტუქსებოდა, ხანაც გაილახებოდა და, რასაკვირველია, ინსტინქტიურათ ყველანი ამასა ვერიდებოდით და თამაშობაში უპირველესობას სანდროს ვაძლევდით, ვემორჩილებოდით, ხათრს უწევდით. თამაშობის გათავებაც სანდროზე იყო ხოლმე დამოკიდებული, თუმცა, როგორც ბავშს, ამხანაგები აქეზებდნენ და ნება-უნებურათ იმის ნება სურვილზე გავლენა ჰქონდათ.

ერთხელ თამაშობის დროს სანდროს ვილამაც უთხრა: „იცი გუშინ ნინამ სვინტრის მურაბა მოხარშა, და შენ კი არ გაჭამაო“ სანდრო მაშინვე გაიჭრა და ნინოს უსაყვედურა და თხოვნა დაუწყო. ნინომ ალექსანდრეს სიცოცხლე დაიფიცა „არ მომიხარშავსო“. ამაზე გაჩნდა უსიამოვნოება: სანდრო გაჭირვეულდა, დედა მამა და გამდელი დიდათ შეწუხდნენ და ველარაფრით ამშვიდებდნენ, სანდროს სვიტა ამის გამო დაიტუქსა, ზოგს კიდეც კარგი სილებიც მოხვდა. სანდრომ განიზრახა დამტუქსველების დასჯა და დაიქადა: „მოიცადეთ მე რა მოვახდინოვო?!“. ეს დაქადება ყველამ დაივიწყა. მეორე დღეს, ჩვეულებისამებრ, —თამაშობის და ცელქობის დროს სანდრო უეცრათ მიიმალა, ძებნა დაუწყეს. ერთის საათის განმავლობაში საშინელი სირბილი შეიქნა; ყველანი ერთმანერთს ეკითხებოდნენ: სანდრო ხომ არ გინახავსთ? სანდრო რა იქნაო? ეს მოხდა ქვეშეთში, სადაც ნაჩალნიკის სახლი ტყის-შუა მინდორზე იდგა, არაგვის პირს,

ეროვნული

სახლის პირდაპირ საიასაულო სახლი იდგა, სადაც ოცამდე [illegible] ცხოვრობდნენ და, აბა, ისინი, როგორც პოლიციის მოსამსახურენი ჩინოვნიკებითურთ ისე დაფაცურდნენ, კაცს ეგონა მტერი შემოესია; შინა მოსამსახურეებიც თავდავიწყებამდენ მიხწეულნი შფოთამდნენ, დარბოდნენ და სანდროს დაეძებდნენ. თითონ ბიძა ჩემი კანცელერიიდან თავშიშველი გამორბოდა, ძალუა ჩემი თავ დაუხურავი, ნინო გაწეწილი, ტირილით შერბოდნენ გამორბოდნენ! არაგვის პირებს ხალხი მოედო, ტყეში და მინდორში კივილი და ძახილი შეიქნა, ყველანი სანდროს ეძებდნენ, იმას ეძახოდნენ!! ამგვარს უნაყოფო ძებნაში, სახლი დაცარიელდა. მეც, რასაკვირველია, შიშით მოცული. ვტიროდი და აქა იქა ვაწყდებოდი; მარტოკა სახლში დავრჩი და აღარ ვიცოდი, საით გავქცეულიყავ, სწორეთ იმ დროს, როდესაც დიდი, ნახევრათ-ბნელი ოთახი უნდა გამევლო, სადაც დიდი პურის საჭმელი მაგიდა იდგა, აქა-იქა ფრთა ჩამოშვებული, ნელის ხმით ვიღამაც დამიძახა „ლიზა!“ მე შევკრთი და შეშინებულმა ფეხი ავაჩქარე, მეგონა თითქოს მავნე სული მამდევდა. აჩქარებული რომ გავრბოდი უფრო ხმა მაღალი მომესმა ძახილი „ლიზა!.. ნუ გეშინიან მე ვარო“, ვიცანი სანდროს ხმა და ჩემს სიამოვნებას და გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა. სულ შეხუთებული სიამოვნებით მაგიდას ქვეშ შევყურებდი და დაუჯერებლათ შევჩხახოდი: „სანდროჯან, მანდ რა გინდა? მთელი ოჯახობა შენ გეძებს! ჰგონიათ წყალში ჩავარდი, ან აგიტყდა რამე... ლამის არის ძია-ძალუა გაგიჟდნენ შენის ჯავრით... იმან სიცილით მიპასუხა: „მეც იმიტომ დავიმალე, რომ ეგენი შევაშინო უნდა გამოვსცადო, თუ რამდენათ უყვარვარ!“ ამ ჩვენის მუსაიფის დროს ვიღამაც შემოირბინა და სანდროსთან რომ მოლაპარაკე დამინახა, კიჟინა მორთო „სანდრო ვიპოვნე! სანდრო აქ არისო!!“ ჩვენ ისევ იმ მდგომარეობაში ვიყავით: ის სტოლქვეშ მჯდომი, მე მოკუზული გარედან შევსცქეროდი და ვლაპარაკობდით, როდესაც ამოდენა ხალხი დაბრუნებული ისევ სახლს მოაწყდა, ყველანი შინისკენ მოილტოდენ რომ დარწმუნებულიყვნენ, მართლა თუ სანდრო შინ არისო? ძალუა ჩემი სასოწარკვეთილებით ძლივს ფეხს მოადგამდა და ტირილით ხელმოკიდებული მოჰყვანდათ: „აბა სად არის ჩემი სანდრო? მაჩვენეთ თორემ თავს მოვიკლავ“ გაიძახოდა. ბიძა ჩემი თავშიშველი, ფერ მიხდილი, მთლათ ცახცახებდა და თვალებს აქა იქა ატრიალებდა და გაიძახოდა: „აბა, ჩემი სანდრო სად არის?!

სტოლქვეშიდან დიდის ხვეწნით და მუდარით გამოიყვანეს ჩემი სანდრო! ეხვეწებოდნენ ისე გამოძვერი, რომ არა იტკინო რაო და გაჯავრება და დატუქსვა ამისთანა **ხუმრობისთვის**, არც კი ვისმე მოჰგონებია.

როდესაც შიშმა გაიარა და ყველანი დამშვიდდნენ. სალაპარაკოთ ბევრი მასალა გაჩნდა! გადასცემდენ ერთმანერთს ვინ სად წავიდა, ვინ რა იფიქრა სანდროს დაკარგვზე და ვინ რა მოაგვარა, მერე უეცრათ ვიღამაც წამოიძახა: „ამ ეშმაკმა კი იცოდაო!“ მოაღირა ჩემზე ხელი — იცოდა სანდროს განზრახვა და ჩვენ არავის არა გვითხრა რაო, ეს მოთითება საკმარისი იყო, იმისვის, რომ დიდი ალიაქოთი და სამდურავი გაჩენილიყო: ყველანი მაყვედრიდნენ, რომ მე სანდრო დავმალე და ჩემის მოუფიქრებელის ქცევით ბიძა და ძალუა კინაღამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავრით მოკლული, ჩემი თავის მართლება არავისა სჯეროდა და [illegible] ღვთისა და სანდროს სიცოცხლის ფიცმა, რომ ამ საქმეში მე უბრალო ვიყავ. მარტო სანდრო იცინოდა და აჯავრებდა თავის დედას და გამდელს: „მე ეს იმიტომ მოვახდინეო—ეუბნებოდა,—რომ ყური დამეგდო, როგორ იტირებდითო“ ამასთან მოსთქვამდა და სისწორით არდგენდა რაც იმათგან გაეგონა და ენახა. ძალუა კეკე ისე გაჯავრებული და გულ ნაკლული დარჩა ჩემზე რომ გულით წყრებოდა და ბოლომდინაც სარწმუნო იყო, რომ სანდროს გამოხუმრების მონაწილე და მოკავშირე მეთაური—მე ვიყავ.

### თავი მეცხრე.

სანდრო შვიდი-რვა წლისა იქნებოდა როდესაც ლაპარაკი გაჩნდა იმაზე, რომ დრო არის სანდროს სწავლისაო.

ერთხელ იორდანე შემოვიდა და ჩამოცუცქდა თავის მოწონებულს ალაგას, საკვირველია, რომ მეორე სხვა ალაგას არ მახსოვს იორდანე დამჯდარი, არც სხვა პოზით და არც არაფერი საქმე გაკეთებული. განსხვავება ის იყო, რომ თუ იმის იქ ყოფნის დროს ჩემი მამა—ბიძა შემოვიდოდნენ მაშინ ფეხზე წამოდგებოდა და ალაგობრივ ტოკვას მოჰყვებოდა, როცა გავიდოდნენ და თავისუფლებას იგრძნობდა, მაშინვე ჩვეულებრივ საყვარელს ალაგას ჩამოცუცქდებოდა.

— ქალბატონო, ეხლა სანდროს რომ ეგრე თავისუფლათა ზრდით, დრო არ არის მაგისი სწავლისა? ძალიან ანებივრებთ და არ ვარგა. „შვილი გაზარდეთ მტრულათა მოყრულათ გამოგადგებათ“. იცი ეს ანდაზა ქალბატონო?

— ეჰ, როგორ არ ვიცი, ჩემო იორდანე, მაგრამ რა ვქნათ? ცასა და ქვეყანას შუა ეგ ერთი ბავში გვაბადია, და, აბა, რავქნათ, როგორ გამოვიმეტოთ სადმე გასაგზავნათ? ეგ რომ ავათ გაგვიხდეს, დაემართოს რამე... ხომ თავი უნდა მოვიკლათ მეცა და შემნა ბატონმაც.

— რათა, ქალბატონო, შეძლება გაქვსთ და შინ გაზარდეთ. ან არა და რა უშავს, აგერ ბატონის ძმის შვილები სხვაგან არა სწავლობენ, რა უშავსთ მერე?

— არა ჩემო იორდანე, იმათი საქმე სხვა არის და სანდროს საქმე სხვა. ისინი ბევრნი არიან და ერთი რომ არ იყვეს, იმათ მამას მეორე და მესამე კიდევ სხვა დარჩება: ჩვენა? ჩვენ რაღა გვეშველება მაგას რომ აუტყდეს რამე?.. ამას გარდა ისინი შინ **მუჟიკურათ** არიან დაჩვეულები, ყველას აიტანენ და ჩემი სანდრო კი ნაზია, ის სხვა არის....

— სხვა დედმამის შვილია, ის უნდა ბძანო ქალბატონო?!—ზმუკუნით შესძახა იორდანემ—„შვილი გაზარდე მტრულათა, მოყრულათ გამოგადგება“. ეს ანდაზა ძალიან უყვარდა იორდანეს და ხშირათ იმეორებდა ხოლმე. თითონაც ერთი ვაჟის მეტი არა ჰყვანდარა, და თავის დაგვარათ ისიც ანებივრებდა; გამოვიდა ლოთი და უზნეო და ამის გამო გულ დაჭწვარი იყო.

ამ დღემდინ სანდროს პატარა ბავშვათ უყურებდნენ და ამის შემდეგ თითქოს უეცრათ გაიზარდაო ხშირათ იყო ხოლმე ლაპარაკი იმის სწავლა-განათლებაზე.

— ბატონო, (ძალუა ჩემი თავის ქმარს მუდამ ბატონს ეძახდა. სახელს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხსენებდა მაშინაც, როცა სხვას იმაზე ელაპარაკებოდა: მამაჩემს ეტყოდა (თქვენი ძმა, მე ბიძა შენი, მოსამსახურებს, შენი ბატონი და სხ.) ეხლა კი დროა, რომ სანდროს სწავლაზე ვიზრუნოთ.

— რადროს მაგისი სწავლაა?! გინდა დაგიჭლექდეს!..

— არა, ბატონო, რათ უნდა დაჭლექდეს. აგერ ჭავჭავაძის შვილი, ერისთავის შვილი, ორბელიანის შვილი მაგისი ტოლები არ არიან, რომ ფრანგულსა ლაპარაკობენ? ისინიც დედის-ერთები არიან, მაგრამ სწავლობენ, ფორტეპიანსაც უკვრენ...

— ეგ იმათი პატრონების ნებაა, მაგრამ თუ მე მკითხავ, დააცალე ბავშმა იცელქოს, ითამაშოს, რომ ჯანმრთელი გამოვიდეს, ეხლავე სწავლაში უნდა ჩააბა?!...

ამ გვარი ლაპარაკი სადილ—ვახშამის მირთმევის დროს მოუხშირეს, რადგანაც უფრო ხშირათ ამ დროს ატარებდნენ ერთ-დროს და დიდხანს მუსაიფობდნენ ხოლმე.

გარდასწყვიტეს, რომ შინ დაუჭირონ გუბერნანკა, უთუოთ ფრანგის ქალი და შინ თავიანთ **თვალწინ**—როგორც ძალუა ანბობდა ხოლმე—ასწავლონ. გარდასწყვიტეს, რომ იორდანე გაგზავნონ თბილისს და **მადმაზელა** მოიყვანონ.

იორდანეს დაუძახეს და უბრძანეს, რომ თბილისს წასასვლელად მომზადებულიყო.

— როგორც შენგან მაქვს იმედი, ჩემო იორდანე, ისე კარგი **მადმაზელა** მამიყვანე ჩემის ალექსანდრესთვის. ფასს ნუ დაერიდები.—არიგებდა ძალუა იორდანეს.

— აბა, მე რავიცი როგორი შამხვდება? დალოცვილო, ახალი თევზი ხომ არ არის, რომ ავარჩიო? მე რა ვიცი!.. ზმუკუნებდა და ტოკავდა იორდანე,

— ბიჭო, აქეთ იქით მოიკითხე და ისე დაიჭირე. დ. ჭავჭავაძესა ჰყავს თურმე ძალიან კარგი გუბერნანკა და, თუ იმის წამოყვანას მოახერხებ, ძალიან კარგი იქნება.

— არ ვიცი, არ ვიცი ხელების შლით იმეორებდა იორდანე, „შვილი გაზარდე მტრულათა, მოყვრულათ გამოგადგება“, აბა მე რავიცი, კარგი იქნება თუ ცუდი!..

იორდანე გაგზავნესს თბილისს და თან წაიღო გრძელი სია. ერთი დიდი თაბახი მსხვილი ქაღალდი შუა შეკეცა ძალუამ და რეცეპტივით გააჭრელა: თავში ქ. დასვამდა, და შემდეგ რაც საჭირო იყო იმასა სწერდა. პირველს ქ. შემდეგ, რასაკვირველია, გუბერნანკა იყო ჩაწერილი.

იორდანეს წასვლის შემდეგ გუბერნანკის ლოდინში, სხვა და სხვა მოაზრებაზე იყო ხოლმე მუსაიფი.

— ნეტავი გუბერნანკა კარგი გამოგვადგეს და ფრანგული კარგათ იცოდეს, ეუბნებოდა ძალუა ჩემი თავის ერთგულს ნინოს.

— ნეტავი თქვენის სიცოცხლით, თქვენი მოსაწონი და ერთგული იყვეს, ქალბატონო, ახლა მე რომ სანდროს აღარ მიმაკაროს?.. სთქვა და ცრემლები მოერია ნინოს.

— რას ამბობ, დედაკაცო, როგორ თუ არ მიგაკარობ? გაზარდე ჩემს შვილსა!.. მე მხოლოთ ის მინდა, რომ ეხლავე ჩემმა სანდრომ ფრანგული ლაპარაკი დაიწყოს. ისე უნდა გავზარდო ჩემი ალექსანდრე, რომ საქართველოში სამაგალითო იყოს!.. გასაგზავნათ კი მე ვერ გამოვიმეტებ: ეგ ერთი შვილი გვაბადია ცასა და ქვეყანას შუა და მაგას სხვაგან უჩემოთ როგორ გავგზანი...

ეს ყველა ლაპარაკები ერთსა და იგივე ოთახში ხდებოდა ხოლმე: ხან ქვეშაგებში წოლის დროს, ხან ტახტზე მოკეცით ხელსაქმის კეთებაში... მოკეცით ჯდომა—სამუდამო პოზა იყო ძალუა კეკესი. ეხლა რომ მომაგონდება მიკვირს: იმთენს ერთს ალაგას ჯდომას როგორ სძლებდა?! ქვეშეთში, სტეფანწმინდას და თბილისშიც კი იმის საწოლის უსაჭიროეს მორთულობას შეადგენდა: დიდი კაკლის ორ საწოლიანი კრაოტი, უთუოთ მოფენილი ტახტები; ფანჯრების წინ უფრო ვიწრო, ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდენ.

(ჩვენი სახლის თავობის) საგულისხმოთ და განსაკუთრებით, ჩვენი მომავალი დიასახლისებისთვის მისათითებლათ უნდა დაწვრილებით და, როგორც ძალა შემწევს, ზემიწევნით დავასურათო ძალუა კეკეს შინაური ცხოვრება და რეჟიმი. მომავალი თავობა ვეღარ ნახავს ამ მანდილოსნის მზგავს დედას და ამის გამო მომიტევებს და მოთმინებით შეიჭურვება თუ თავი შევაწყინე გრძელის მოთხრობით. აი ასე იყო ძალუას დღიური ცხოვრება): დილის ძილი ძალიან უყვარდა (ბიძაჩემი ადრე დგებოდა) და როდესაც ადგომას ინებებდა, მაშინ კრაოტიდან მხოლოთ ფანჯრის წინ ტახტზე გადმოვიდოდა; იქ მოკეცილი მიირთმევდა ჩაის, ნაღებით, ნაზუქით, კარაქით; ძალიან ხშირათ ჩაის ისევ კრაოტშივე პირდაუბანელი შეექცეოდა. როდესაც ჭამით და ლაპარაკით გაძღებოდა, უბრძანებდა გოგოს „პირი დამაბანინეო“;, რომელიც ხელზე გოგო ემსახურებოდა, იმ მიიტანდა ქირმანის შალის ბოხჩას, გაშლიდა ძალუას წინ ტახტზე, ამოალაგებდა: უმარილის—სარდაფს თავის პიშუსტაკით. მოსალესავათ, პირსახოცს მუხლებზე გადააფარებდა, საპონს ხელში ჩაუდებდა, ტაშტს ტახტზე წინ დაუდგამდა და თითონ სავსე ალთაფით ხელში იმის წინ გამოჭიმული დადგებოდა და ელოდა ქალბატონის ბრძანებას. ძალიან ხშირათ, მანამ ჩემი მეგობარი სალომე ამ მზადებაში იყო ხოლმე, ძალუა ჩემი ნინოსთან, ან სხვა რომელიმე მოსამსახურესთან მუსაიფს გამართავდა და მთელი საათები საწყალს სალომეს კი ლოდინში გული უწყალდებოდა. ამ დროს არც მე მადგა უკეთესი დღე: მე ნაბრძანები მქონდა ძალუასაგან, რომ, როგორც ადგებოდა, მე სალოცავათ უნდა დავმდგარვიყავ ღვთისმშობლის ხატის წინ. დავდგებოდი და ვიმეორებდი ხოლმე იმ ლოცვებს რომელსაც ძალუა მეუბნებოდა.

— „სახელითა, მამისათა და ძისათა...

— გოგო, იმოტენა კიტრი რომ მოიტანეს,—მიუბრუნდებოდა გამდელს ნინოს—წნილათ მაინც შეინახე. ძალიან კი არ დაამლაშო მამაგიცხონდეს, მე მლაშე წნილი არ მიყვარს.

— რას ბრძანებ ქალბატონო, სამწნილე კიტრი სადღა არის? ბატონს ისე უყვარს ახალი კიტრი და მე რომ წნილათ შევინახო, ბატონი გამიჯავრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას მიჰქარავ დედაკაცო! ორი დღე არ არის, რაც კავკავიდან 1000 კიტრი მოიტანეს, მაშ სულ ჩაყლაპეთ?!

მე ვიდექი ხვთისმშობლის ხატის წინ გულზედ ხელ დაკრეფილი და ველოდი როდის გავათავებდი ლოცვას. რასაკვირველია, კიტრის წნილის ამბავი მეც გამიტაცებდა და კისერს იმათკენ მივიგრეხდი. შემდეგ ძალუას მოაგონდებოდა ლოცვის ამბავი და დაიწყებდა:

— თქვი ქალო! სახელითა, მამისათა, და ძისათა, და სულისა, წმინდისათა, ამინ! დაიწერე პირჯვარი! თქვი: მამაო ჩვენო, რომელი ხარ... გოგო, ნინო!.. ხმა მოისმოდა „ბატონო!“ და მეორე ოთახიდან ნინო შემოვიდოდა.

— გოგო, სანდრო სად არის?

— ბოსლის კარებთან თამაშობს.

— ბოსლის კარებთან რა უნდა?.. რა არის, დედაკაცო, მიგინებებია ბიჭებისთვის და ათას ნაირს ეშმაკობას ასწავლიან, წადი დაუძახე, დედა გეძახისთქო, შენთვის ვიღასაც კანფეტები გამოუგზავნია თქო.

— შენ კი პირი დაალე და მიყურე!...—გამიჯავრდებოდა გულმოსული.— თქვი, მამაო ჩვენო!!..

ამ გვარათ მასწავლიდა ძალუა ჩემი ლოცვებსა. მანამ მე ვილოცავდი, მთელი ოჯახის საქმეები იმართებოდა: ხან ჩხუბი, ხან მოსამსახურეების დატუქსვა და ხანაც მრავალი ჭორი ითქმოდა ხოლმე. ლოცვის შემდეგ ავიდოდი ტახტზე, მოვიკეცავდი, ანბანს (სანდრომ ჩემი ბეჭზე-დაწერილი ანბანი ფანჯრიდან რომ გადააგდო ძებნეს და ველარ იპოვნეს: ძაღლებს მოეტაცნათ, ტყისაკენ გაეთრიათ და დაეღრღნათ. მე დიდი მადრიელი ვიყავ სანდროსი, რადგანაც შემდეგ სხვა დაბეჭდილი ანბანი მიშოვნეს) მუხლზე დავიდებდი და ველოდი ძალუას ბძანებას. ძალუას დაავიწყდებოდა: მოჰყვებოდა პირისბანას, ნელა, სვენ-სვენებით, მუსაიფით. შემდეგ მუხლებიდან აიღებდა პირსახოცს, შეიმშრალებდა ხელ-პირს და ისევ მუხლებზე გადაიფარებდა, წინ ვერცხლის სარკეს დაიდგამდა, ვერცხლის ბადიას წყლით სავსეს და მოჰყვებოდა ფერუმარილის პირზე სმას. საკურველია, ძალუა არ იყო შავგვრემანი, მაგრამ მაინც ფერ-უმარილს ისვამდა, სიბერის დროსაც. დაივარცხნიდა კავებს და მოჰყვებოდა თავის ხურვას! დაიხურავდა ჯერ ლეჩაქს, შემდეგ შუბლის-საკრავს, მერმე ქალალდის თასაკრავს, მერმე შავს ხავერდის ლენტს შემოიკრავდა, მერმე მისაფარებელს, მერმეც თასაკრავს და შემდეგ ყველა ამისა ჩაიდებდა კოპს! ამ ცერემონიას უნდა დავუმატო, რომ თასაკრავების ბოხჩა ცალკე ჰქონდა და ყოველ თავის დახურვაზე რამთენსამე მიიფარებდა, დააკვირდებოდა: რომელიც მოუხდებოდა იმას შემოიკრავდა. ეხლანდელი ჩიხტები ეჯავრებოდა, ის ისევ ძველებურათ იხურავდა თავსა. ამ ხათაბალა ცერემონიის შემდეგ სადილობაც მოახწევდა და სუფრა გაშლილ მაგიდას სოლომანა და ქია იქვე ტახტთან მიუდგამდა, ისე, რომ პურის საჭმელადაც არ ეჭირებოდა ძალუას ალაგიდან დაძვრა!...

მე ამას არას უმატებ და სრული მართალი იქნება, რომ ვსთქვა: 24-ი საათი, ძალუა ჩემი ერთს ალაგას იჯდა! აქა კითხულობდა, აქვე საქმობდა, აქ პურს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიირთმევდა, აქ არიგებდა ყველა თავის საქმეს და აქვე ზრუნავდა ალექსანდრეს სწავლა-განათლებაზე.

მაგრამ სანდრო, სანდრო იყო იმისი ღვთაება, და იმის სიყვარულს და ზრუნვას ანდომებდა უფრო მეტს თვისი სიცოცხლის წუთებს. გაჩუმებული, ფიქრში გართული კრიალოსნით ხელში, უეცრათ წამოიძახებდა: სანდრო სად არის? ღმერთო შენ გამიბედნიერე!...

— გოგო! სანდრო სად არის? შენ არ გიბძანე სანდროს დაუძახე მეთქი?

— უთხარი, ქალბატონო, და და არ წამოვიდა.

— ლიზა! ერთი შენ გაიქეც და დაუძახე, შენ უფრო დაგიჯერებს; მოატყუვე, დედა კანფეტებს მოგცემსთქო.

მეც ეგ მინდოდა! ძალიან ყურებით, გული გასივდა: გავირბენ მაინც და ჰაერს ჩავყლაპავ . მივრბივარ სანდროს საძებნელათ.

სანდროს ვპოულობ მინდორზე, ბიჭები შემოხვევიან და ძერა-ძერას თამაშობენ. სანდრო ძერას ემზგავსება: ქათამს შვილი უნდა მოსტაცოს, მოსძახიან: ძერა უფრო დიდია!... ყვავი უფრო დიდია!!... უვლიან და გააქვთ ერთი კიჟინა. სანდროს როცა გაუჭირდება ბიჭის დაჭერა, სხვები ასე მოახერხებენ, რომ ადვილათ ჩაუარდეს ხელში, ის დაიჭერს და აქვს სიამოვნება და სიცილი. სანდრომ როგორც კი დამინახა, მაშინვე შესძახა: „დამიკარით ლიზასა!“ თითონვე გამომიქანა და ჩამკრა; მე არ მივრბოდი და ამით უარს ვყოფდი იმათთან თამაშს: მინდორში, ბიჭებთან თამაში არ შეკადრებოდა **გასათხოვარს** ქალსა. იმა რა საქციელი იქნებოდა ბატონის ქალისაგან, გლეხის ბიჭებთან სირბილი, რომ იმათ ჩემთვინ ეტყაპუნებინათ!.. მე თითონ ჩემის პატარა ჭკუით; მივხდი, რომ არ ეკადრებოდა ჩემს საპატიო მდგომარეობას, სირცხვილათ მიმაჩნდა.

— სანდროჯან, წამოდი, დედა გიბრძანებს.

— არ წამოვალ! შინ რა მინდა? აქ მშვენიერათ ვთამაშობ. მოდი თუ ჭკუა გაქვს, შენც ჩვენთან დარჩი: ეხლა ყეინობა უნდა ვითამაშოთ და შენ ყეინის ცოლი იყავ. მოდი ჩემო ლიზავ, პირბადე ჩამოიფარე და დაჯექი. შენმა გაზრდამ, შენ არ გარბენინებთ, დედა არ დაგინახავს და არც არავინ გამიჯავრდება.

— რას ანბობ ყმაწვილო! როგორ იქნება?!... ძალიან შემოგითვალა, ეხლავ აქ მოდიო, კანფეტები მაქვს შენთვინაო. წამოდი, ჩემო სანდრო, გენაცვალე!...

— არა მეთქი, არ წამოვალ! სულ ერთია, ჩემთვინ შენახულს კანფეტებს, ხომ არავის მისცემენ. უთხარი აქ გამომიგზანოს.

— შენი ჭირიმე, სანდრო, წამოდი! ესე გეხვეწები (ყელი გამოუწიე), თორემ მე გამიჯავრდებიან: რატომ არ მოიყვანეო.

— მაშ კარგი, მე წამოვალ იმ პირობით, რომ მერე შენც წამომყვე და ერთათ ყეინობა ვითამაშოთ.

— თუ გამომიშვებენ ბატონი ხარ!

ჩავკიდეთ ერთმანერთს ხელი და სირბილით გავიქეცით შინისაკენ. გზაგზა ერთმანერთს ვებღლარძუნებოდით და სიცილით და მხიარულებით ძალიან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთახში შევსცვივდით. სანდრომ შესვლის უმალ დაიძახა; მომეცი, აბა სად არის კანფეტებიო!

— აქ მოდი, შვილო! რა არის ამთენი სიგიჟე, დედა გენაცვალოს, მთელი დღე გლეხის ბიჭებთა, სირბილი რას გამოგადგება? მოდი, დედა გაახარე, გენაცვალე! უთხრა და ხელები წინ წაილო, რომ თავისი სანდრო გულთან მიეკრა: მაგრამ ის გაუსხლტა და უთხრა: „მომეცი ჩემი კანფეტები!... მომეცი,უნდა წავიდე და ვითამაშო"!...

— რა არის სულ მუჟიკებთან გდება?! გაჯავრებით უთხრა ძალუამ.

— ჰო, მეც ხომ მუჟიკი ვარ! შენ არ მითხარ გუშინ, „შენ მუჟიკის შვილოვო", მომეცი ჩემი კანფეტები და ჩვენ მუჟიკები ერთათა ვსჭამთ,

— მაინც ეგრე იქნება: თქვენი ცხოვრება გოგობიჭებმა უნდა შეჭამონ!.. კვიცი გვარზე ხტისო—ნათქვამია, მამის შვილი არა ხარ: გოგობიჭებში გძვრება სული!..

— ჰო, და რითი არიან ისინი თქვენზე ნაკლებნი? ისინიც ჩვენსავით არ გაუჩენია ღმერთსა? იესიან, დავითიან, სოლომონიან და პანკრატოვანი, ჩაითვალა თითები სანდრომ და ჩაიცინა.

— გაიწყვიტე ხმა, თორემ სიცოცხლე მაქვს, ავდგები და იმთენს მოგარტყამ რომ...

— აბა ადეგი! მე გავიქცევი და თუ დამიჭერ, მაშინ რაც უნდა შიყავი!. ხელები მიიტანა დედასთან სანდრომ და გამოწვევით ჯავრობა დაუწყო,.

— მომეცა, შე გიჟო! სიცოცხლე მაქვს. რომ მე შენ ჩაგაბა?.. მოგივიდეს გუბერნანკა, მაშინაც ეგდე ხოლმე ბიჭებში.!,. ეგ არის ნურას ისწავლი და... სანდრომ შეაწყვეტინა სიტყვა და თითონ განაგრძო „ნურას ისწავლი და ხელმწიფის შვილი შეგირთავს" ეს უნდა მითხრა? ლიზა ხომ არა ვარ?..

— მაშ არ მომცემ კანფეტებს? მაშ რალათ მომატყუევე?!..აი მაშა!—მივარდა, თავისს დედის წინ ტახტზე ბოხჩა იდო, რომელშიაც ძალუას წვრილმანი ელაგა; დაავლო ხელი უმარილის სარდაფს და პიშუსტაკს და გავარდა ოთახიდან ამ სიტყვებით: მანამ კანფეტს არ მომცემ, შენს მოსართავებს აღარ მიიღებო! ამ სიტყვების შემდე ისე სწრაფათ გაიქცა, რომ თვალიც ველარ მოჰკრეს.

ძალუამ ერთი კივილი მორთო:

— არიქა, უშველეთ გოგო! გამოუდექით და წაართვით, მაგ გიჟსა;—უბრძანებდა ძალუა გოგოებს, რომელნიც იქვე იდგნენ. გოგოები კისრის ჩეხით დაედევნენ სანდროს. ნინო საჩქაროთ ეძგერა დიდს ხის ყუთსა, სადაც ხმელი ხილი ჰქონდა ხოლმე შენახული, საჩქაროთ გაივსო ჯიბე და გაიქცა სანდროს და იმის ამალისკენ, ნინოს მისვლამდენ ორნი სალომეები, მეწია, ყალაგანა, (სახელებია) და სხ. მიზდევენ სანდროს; ის სიცილით და კასკასით მიარბენინებდა უმარილის სარდაფს და გაფართოებულ პიშუსტაკს: ვის უნდა უმარილო წაისვას?! ვის ვაჩუქოვო?"—კიოდა. მდევარი გოგოებიც სანდროს საქციელში სასაცილობის მეტს არასა ხედავდნენ და მარტო ფორმისთვის, ბრძანების ასასრულებლათ მიზდევდნენ. იმათ სირბილს ეტყობოდა იმათი ეშმაკური მოაზრება; ჯერ ერთი ესა, რომ სანდრო არ წაექციათ და არა ეწყენინებინათ რა, და მეო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეც იმიტომ ნაზათ მირბოდნენ, რომ თითონაც დრო გაეტარებინათ. ნინო იმათზე კიდევ უფრო ეშმაკურათ მოიქცა. მისვლის უმალ დასძახა: აჰა, სანდრო, კანფეტის მაგივრათ ხმელი ხილი მოგიტანეო.. სანდრო შესდგა, ეჭვის თვალით შეხედა და უთხრა: აბა, დაიფიცეო? ნინომ სანდროსი დაიფიცა და მაშინვე მუჭით ჯიბიდან ამოუღო ხმელი ხილი, რომელმაც სანდროს ჯიბები გაუმსო. სანდრომ სარდაფი და პიშუსტაკი მიუგდო და თითონ თავის პატარა ჯართან მივიდა, რომელთაც ბაირალები ეჭირათ და სალდათის რაზმათ დაწყობილიყვნენ; ისინი მზათ იყვნენ და მხოლოთ თავიანთ სარდალს—სანდროს ელოდნენ. აბა ყურთა გლეჯა! დასძახა სანდრომ, და მუჭით ხმელი ხილი შეაყარა, იმათ შეშალეს თავიანთი წყობილება, დაივიწყეს ბაირალის ღირსება და დაუწყეს ხმელ ხილს კრეფა: ერთმანერთს მუჯლუგუნსა სცემდნენ ერთმანერთს, ზურგზე ახტებოდნენ და ყირამალა გადადიოდნენ. საერთო სიცილი და მხიარულება გაჩნდა. ბიჭები ხმელ ხილსა ჰკრეფავდნენ და საჩქაროთ პირში იყრიდნენ. გოგოებიც სტაცებდნენ და კასკასობდნენ. სანდრო სიამოვნებით გატაცებული უფრო და უფრო იცლიდა ჯიბეებსა და იმათი გორვით და ტაციობით მხიარულებდა.

— ღმერთო, შენ გაზარდე სანდრო, სთქვა ერთმა გოგომ და პირი ნუშით და ქიშმიშით ამოიმსო; ღმერთო, შენ გააბედნიერე სანდრო, მეორე გოგო თხილის კვნეტით ანბობდა და სხ. და სხ.

— აბა, მე რომ დედასთვის უმარილი არ მომეტაცნა, ამოდენა ხმელ ხილს ვინ მოგცემდათ?; ანბობდა სანდრო და, მინამ დაიქანცებოდა,—სიამოვნებდა.

სანდროს სიყმაწვილეში ამგვარი თამაშობა და შექცევა ყოველ დღე და ყოველს ჟამსა ხდებოდა და განსხვავება მხოლოთ იმაში იყო ხოლმე რა დღეს რას მოიწადინებდა? ჩვენ კი მოკლეთ უნდა ვსთქვათ, რომ დაღონებისა ანუ სიამოვნების სათაური მთელს ოჯახისა: ბატონისა თუ ყმისა, ნათესავისა, თუ სტუმრისა—მარტო სანდრო იყო და სანდროზე თავდებოდა! თუ სანდროს ღამე კარგათ ეძინა,—მთელი სახლობა განცხრომაში იყო, თუ სანდრო მხიარულათ იყო,—ყველანი მხიარულობდნენ და ბედნიერათა გრძნობდნენ თავიანთ თავსა. და თუ, რომ სანდრო ან ავათ გახდებოდა, ან ჟინიანობდა, მაშინ ღმერთმა თქვენს მტერს მისცეს! ბატონ-ყმიანათ, ნათესავ-სტუმრიანათ სულ გადაირეოდნენ ხოლმე: დარბოდნენ, ოხრავდნენ, ჩურჩულობდნენ და რა ვიცი რას არა სჩადიოდნენ....:

ერთხელ სანდრო ხველა-სურდოთი ავათ გახდა, სიცხე მისცა და ღმერთმა თქვენს მტერს მისცეს, რაც ჩვენს ოჯახში შეწუხება და საიდუმლო მისვლა-მოსვლა შეიქმნა. მთელი სახლობა თითის წვერებზე დადიოდა. მე სანდროს კროტზე ვიჯექი და სათამაშო ქაღალდით სახლებს უშენებდი. ერთს მხარეს ბიძა ჩემი სავარძელზე ბძანდებოდა ჩამომჯდარი, მეორე მხარეს ძალუა, რომელსაც პატარა სახარება ხელში ეჭირა და რაღაც ლოცვებს ბუტბუტებდა, ნინო, სოლომანა, და სხ. სიმრგვლივ ოთახში იდგნენ და სუყველანი, რასაკვირველია, სანდროს შეჰყურებდნენ: რაღაც ნაირი, განსხვავებით სიჩუმე და სიმდუმარე იყო, როდესაც, უეცრათ რაღაც მძიმე დაეცა და ჭურჭლის ზრიალიც შემოისმა — „ეს რა მოხდა?“ ყველანი კარებში გაცვივდნენ და დაინახეს, რომ შიუკა ბიჭს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე სამზარეულოდან გარეცხილი ჭურჭელი მოჰქონდა და კოკამ ფეხი მოუსხლეტია, დაცემულა და მთლათ ეს ჭურჭელი დაულეწია. წაქცევის შემდეგ შიუკა ბიჭმა, რომ დაინახა ამოდენა ჭურჭლის დამტვრევა, დაავიწყდა მუხლის ტკივილი (წაქცევის დროს მუხლი დაისისხლიანა), ტირილით და ვაი-ვაგლახით არაგვისაკენ გაიქცა, ვითომც თავის დასახრჩობათ. ძალუამ და ძიამ როგორც შეიტყეს ბრახუნის მიზეზი და ჭურჭლის დალეწვა, სიხარულით წამოცვივდნენ და ღმერთს მადლობას სწირავდნენ: ჭურჭლის დამტვრევა იმის ნიშნათ მიიღეს, რომ სანდრო უთუოთ კარგათ შეიქნებაო.

— კეკე! განა კარგია, როდესაც იმ ოჯახში, სადაც ავადმყოფია გატყდებოდა რამე? როგორ დაგიცდია?!

— ბატონო, შენმა სიცოცხლემ და ალექსანდრეს ბედნიერებამ, რომ დღეს რამთენჯერმე ვინატრე, გატეხილიყო რამე! ხან შენი სტაქანი დავზდგი მაგიდის ნაპირას; ხან ჩემი ფინჯანი, რომ ეგება უეცრათ ხელი წამოჰკრას ვინმემ და გატყდეს მეთქი!.. მაგრამ ეს შეჩვენებული (ხელი მოსამსახურეებისაკენ მიიღირა), თითქოს განგებ უფრთხილდებოდნენ...

— მადლობა ღმერთს, ჩემი სანდრო კარგათ გახდება!.. იაგო წადი დაუძახე, რომელი ბიჭი იყო, რომელმაც ჭურჭელი დაამტვრია?

— შიუკა გახლდათ. ისე შეშინდა სანდროს სიცოცხლეზე, რომ სულ აცახცახებდა. კინაღამ წყალში ჩავარდა: ბიჭებმა დააბრუნეს და საიასაულოში შეაგდეს.

— სულელი ყოფილა! ჩვენ გაგვეხარდა, რომ სანდროს ჭირის სანაცვლოთ ოჯახში გატყდა რამე და ის კი თავს იხრჩობს? წადი დაუძახე!..

იაგო, ლაზათიანათ შეყრილი, მაღალი და სასიამოვნო სახის ბიჭი, მარდათ შემოტრიალდა და გავიდა; რამდენიმე წუთის შემდეგ შემოიყვანა ნამტირალევი, შეშინებული, მთრთოლვარე, 15—16 წლის ბიჭი შიუკა. ამ ბიჭს არ სჯეროდა იაგოს რწმუნება, რომ ბატონი არ გაგიჯავრდებაო. ან კი როგორ წარმოედგინა საწყალ ბიჭს, როდესაც, ერთის თვის წინათ ამავე ჭურჭელს ერთი თეფში მოაკლო და ორი თუ სამი პირი სცემეს: ჯერ ნინომ, მერე სოლომანამ და მერე ქალბატონს გაალახვინეს. ეხლა ისევ იმ ძვირფას ჭურჭლისა რომლის **ერთის** თეფშისათვის იმდენი ცემა მიიღო, ეხლა დუჟინობით დაამტვრია და ეუბნებიან, ბატონი არ გაგიჯავრდება, მოგიწონებსო?!.

შემოიყვანეს საცოდავი შიუკა, და ბატონის წინ თრთოლით დადგა

— ბიჭო, შენ დაამტვრიე ჭურჭელი?

ბიჭმა პასუხის მაგივრათ ღრიალი მორთო.

— სუ! შე სულელო, არ გიჯავრდებით, სანდროს ჭირის სანაცვლო იყოს! შენი ბედია, რომ სანდროს ავათმყოფობის დროს დაამტვრიე. კვლავ კი გაუფთხილდი, თორემ მოგხვდება. აჰა! შენთვის მიჩუქებია,—და გადაუგდო ბატონმა თეთრი აბაზი. შიუკამ სიხარულით აბაზი აიღო და ბატონთან მივიდა ხელზე საკოცნელათ, მაგრამ ბატონმა მოიშორა და უთხრა.

— წადი სანდროს აკოცე მუხლზე და მაგისი სიცოცხლე ღმერთს შეავედრე

ეროვნული

შიუკა მივიდა სანდროსთან, მუხლზე აკოცა, იმანაც [illegible] და ჩვენი საცოდავი შიუკა კუხნისკენ გავარდა სიხარულით აღვსილი.

ამ შემთხვევას მე და სანდრო ხშირათ მოვიგონებდით ხოლმე და გვიკვირდა ცრუმორწმუნოება ჩვენის უფროსებისა.

— გახსოვს ლიზა, შიუკას ანბავი: ჩემს ავათმყოფობაში ჭურჭელი რომ დაამტვრია? რა საცოდავი სანახავი იყო—მოიგონებდა ხოლმე სანდრო.

## თავი მეათე.

ერთს დილას გავიღვიძე კი, მაგრამ ჯერ ქვეშაგებიდან არ ამდგარიყავ, ჩემი მეგობარი სალომე მოვიდა ახლო და ყურში ჩამჩურჩულა: „წუხელის მადმაზელა მოსულა, იორდანეს მოუყვანია. ადეგი ჩქარა: იორდანემ ხურჯინები სავსე მოიტანა“—მითხრა და შევარდა მეორე ოთახში. მეც რაღას დავაგვიანებდი ადგომას: საჩქაროთ ტანთ ჩავიცვი, პირი დავიბანე და ძალუას საწოლში შევედი. ძალუა ისევ თავის ქვეშაგებში იყო წამომჯდარი, შალი მხრებზე წამოესხა და ნალებით ჩაი წინ ედგა. ნინოც იქვე გულზე ხელ დაკრეფილი, თავს ადგა.

— მაინც, შეხედულობა როგორი აქვს მადმაზელასა?—ჰკითხავდა ძალუა.

— შეხედულობით რა უჭირს, მოწითანო ქალია, ცხვირი კი ისეთი მსხვილი და დაჩენჩილი აქვს: ყვავილიან კომბოსტოს უგავს.

— უიმე, ავათმყოფი კი არ იყვეს დედაკაცო?! იორდანე სად არის? მომეცი კაბა გარდავიცვა და დაუძახე, უნდა ახალი ანბები ვკითხო.

ძალუამ მორთმეული კაბა საჩქაროზე გარდაიცვა, კრაოტიდან ტახტზე გარდავიდა, მოიკეცა, ერთი-კი სარკეში ჩაიხედა, რომელიც იქვე იდგა და ნინოს უბძანა იორდანეს დაძახება.

იორდანე შემოვიდა თავისებური ჩქარის სიარულით, ქალბატონს თავი დაუკრა, ზმუკუნით მიიხედ მოიხედა და თავის მუდამ საყვარელს ალაგას ჩამოცუცქდა.

— ოოო! მოხველ მშვიდობით, ჩემო იორდანე! მოდი, თბილისის ანბები მიანბე, როგორ მოიარე იქაობა, ვინა ნახე და რა გაიგონე??—ეკითხებოდა ძალუა ღიმილით.

— მშვიდობა, ქალბატონო, მშვიდობა! ყველანი კარგათ არიან, მოგიკითხესთ. თქვენი ძმაც ქალაქში ვნახე, კარგათა ბრძანდება. სხვა რაც დამაბარეთ, ზოგი ავასრულე და ზოგი კი ვერა, რადგანაც ფული დამაკლდა. მადმაზელა ამოგიყვანეთ და ახლა კი თქვენ იცით.

— მე ჯერ არ მინახავს და ნინომ მითხრა, მახინჯი თურმე არის. ავათმყოფი კი არ იყვეს?

— აბა, ქალბატონო, ჯერ არ გინახავსთ და იწუნებთ!.. მაშ, ლამაზი რათ გინდათ? ბატონი აღარ გაუარშიყდება,—ჩაიზმუკუნა თავისებურათ და ოხუნჯობა დაიწყო, იმაზე თუ როგორ იმგზავრეს.

— რა მენაღვლება მაგის უსახურება, ჩემს ალექსანდრეს კარგათ ასწავლოს და ჯანიც გავარდნია,—სთქვა ძალუამ და თითქოს სურვილმა აიტანაო, რომ ჩქარა დაენახა თვალით თავისი ალექსანდრეს გამნათლებელი,—დაიძახა: გოგო,

ეროვნული

ნინო? ერთი უთხარი ჩქარა პირი დამაბანინონ, თავი დავი[illegible]ზელა ვნახო.

— ბატონი ბრძანდებით!—იყო პასუხი. იორდანე გავიდა ოთახიდან და ძალუამ დაიწყო პირის და ტანის ბორთვა.

ძალუა რომ ტანთ იცვამდა, მე თვალს ვადევნებდი: ისე მხიარულათ და მოცინარე, დიდი ხანია არ მენახა! მაშინ ისე არ ვიყავ მიმხვდარი იმის მხიარულების სათაურისა, როგორც ეხლა ვარ. როგორ არ გახარებოდა: იმის საყვარელს სანდროს მოუყვანეს მასწავლებელი, გუბერნანკა, სანდრო ფრანგულს ისწავლის, ფორტეპიანსაც დაუკრავს, ლამაზს სანდროს—კარგათ გაზდის, ფულიანიც იქნება და მაშასადამე, იმედია, რომ მდიდარს და კარგი ოჯახის შვილს შეირთავს. სიამოვნებით ილიმებოდა სარკეში ყურების დროს და ამ მომხიბლავმა ფიქრებმა ისე გაიტაცეს, რომ ყველა ეს წარმოდგენა შესრულებული, ჭეშმარიტება ეგონა და უთხრა თავის ერთგულს ნინოს:

— მადლობა ღმერთსა ნინო, რომ სანდროს ჯავრს მოვრჩი. ისე უნდა გავზარდო ჩემი სანდრო, დედა ენაცვალოს, რომ მრთელი ქართლის თვალი იყოს!... მერე კარგის ოჯახის ქალსაც შევრთავ და მაგისი საქმე გაიჩალხება!. მამა გიცხონდეს, ნინო, ეხლა შენ რალაცაებს ნუ მოჰყვები: სანდროს ნებივრობას თავი დაანებე, რომ კარგათ ისწავლოს.

— რათ იცით, ქალბატონო, სულ ჩემი ტუქსვა, მე რას ვავნებ სანდროსა? ენაცვალოს ჩემი თავი, მაშ, პური რომ მოშივდება—ნუ მივსცემ?! მაშ, ჩაისთან ნაღებს და ნაზუქს ნუ მიუტან? აბა რა ვქნა, ისეც ცოტას სჭამს, გამხდარია, ენაცვალოს ჩემი თავი. სანდროს სიცოცხლემ, ქალბატონო, რაც უნდა გემრიელი საჭმელი მიუტანო, მაშინვე ბიჭებს დაურიგებს და თითონ კი მშიერი რჩება ხოლმე...

— კარგი ახლა, მე შენ გიბრძანებ გუბერნანკას დაანებე და შენ კი ცოტა ჩამორჩი, რომ სანდრომ გაუგონოს ხოლმე თავის მასწავლებელს.

— ვაი, ჩემს სიცოცხლესა, მაშ, მე ნულარ მივეკარები?!.. თუ კი სანდროს აღარ მიმაკარებთ, მაშ თავი ცოცხალი რაღათ მინდა?..—დაიწყო ნინომ ტირილი, გაებუტა ქალბატონს და ოთახიდან გავარდა.

— კარგი, ერთი სე სულელობ მამა გიცხონდა,—სთქვა ძალუამ ღიმილით, ერთი კიდევ ჩაიხედა სარკეში, ტუჩებით თითი დაისველა, წარბზე და წამწამზე მოისვა და, როდესაც დარწმუნდა, რომ უმარილი არ ატყვია, მაშინ გატრიალდა კარებისაკენ, გასტინაში გასასვლელათ; კარებში ბიძა ჩემს შაეფეთა, რომელიც იმასთან მოდიოდა სიხარულის განსაზიარებლათ.

— კეკე, რატომ მადმაზელასთან არ გახვალ, მარტოკა ზის საწყალი?

— აი, მივდივარ, ბატონო, აბა შენც წამოდი და მითოლმაჯე.

— არა კეკე, მე არა მცალიან და ან რა ჩემი საქმეა?! აგერ ნინო, ან სოლომონა წაიყვანე და ეგენი გითოლმაჯებენ.

აქ საჭიროა ვსთქვა, რომ ძალუამ რუსული სრულებით არ იცოდა; გარდა ქართულისა, არაენაზე არა ლაპარაკობდა და სტუმართან მუდამ თოლმაჯი სჭირდებოდა. თუ რომ გასტინაში იმისთანა ადამიანი შაემთხვეოდა, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოლმაჯობას გაუწევდა, ხომ კარგი და თუ არა, მაშინ ნინოს ან სოლომანს დაუძახებდა და ისინი უთარგმნიდნენ. ნინო იყო, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შინაური გოგო, ბიძი ჩემის დენშიკებს, სიყმაწვილის დროს დამეგობრებიყო და იმათაგან რუსული ესწავლა; ადვილი წარმოსადგენია, რა გვარი რუსული ენა იცოდა. სოლომანსაც კუხნაში ესწავლა რუსული და სულ **ლოვორიტს** გაიძახოდა. აი, ესენი იყვნენ ხოლმე ძალუა ჩემის მუდამი თოლმაჯები.

— გოგო, ნინო! ჩქარა, შენ გელი დაუძახა მოუთმენლათ ძალუამ.

— ბატონო!? შემოსძახა ნინომ და თავზე მოსახვევის სწორებით წინ წამოდგა—რა გნებავსთ?

— წამოდი, მადმაზელასთან მითოლმაჯე მეთქი.

— ქალბატონო, მე რა ვიცი თოლმაჯობისა? აგერა სოლომანს უბძანეთ, ის გიახლებათ.—ნინო წელანდელ ლაპარაკზე გულნატკენი იყო.

— რას მიჰქარავ გოგო?!—შეუტია ძალუამ,—მე გიბძანებ, უნდა წამოხვიდე!

გავიდა კარებში ძალუა და გაჰყვა ნინოც. მე სმენათ ვიყავ გარდაქცეული; ჩემის პატარა მეგობარის სალომეს შავი თვალებიც ნაპერწკლებსა ჰყრიდნენ და მოუთმენლათ აბრიალებდნენ. მე და იმას ძალიან გვეჩქარებოდა იმ ქალის ნახვა, რომელიც ძალუას სიტყვით, სანდროსთან თამაშობას დაგვიშლიდა. ისინი გავიდნენ თუ არა, მე და სალომემ ვტაცეთ ხელი ხელს და გავიქეცით მეორე მხრის კარებისაკენ, რომელიც გასტინის გვერდით პატარა ოთახისკენ გადიოდა. სალომე ჩემზე უფრო მარდი და გამოცდილი იყო, როგორც მოსამსახურე, ყურის გდებაში და ეშმაკობაში გავარჯიშებული. ცოტათ შეაღო კარი და ისე დადგა კარებთან, რომ ყველაფერსა ხედავდა და ესმოდა. მეც იქვე ჩავჯექი და იმის მიხედვით, მეც ზვერაობა დავიწყე. მანამ ძალუა შემოვიდოდა ჩვენ გუბერნანკას ვათვალიერებდით.

ახალი მოსული ქალი კრესლაში იჯდა და ოთახის მოწყობილებას ათვალიერებდა. ხან შეკერილს ბალიშს აიღებდა ხელში, ხან ფანჯრისკენ გაიხედავდა. ამდროს მოისმა ფეხის ხმა და სტუმარს კარებისკენ დარჩა თვალი. შემოვიდა ძალუა ლამაზათ ჩაცმული, ქათიბით; ქარვის კრიალოსანით ხელში და უკანაც ნინო შემოჰყვა. ძალუას ისეთი შეხედულობა ჰქონდა, ისეთი წამოსადეგი და დიდკაცური სანახაობა ჰქონდა, რომ სტუმარმა იმ წამსვე იგრძნო, რომ სახლის პატრონი შემოვიდა და ფეხზე წამოდგა. ძალუამ მძიმეთ თავი დაუკრა, ხელი მისცა, შემდეგ დაბძანდა მდივანზე და იმასაც ხელით ანიშნა და სთხოვა დაბძანება. მოიკითხა: როგორ იმგზავრეთო, ხომ არ დაიღალეთო და სხ.

ნინო როგორ უთარგმნიდა ძალუას სიტყვებს, ეს ღმერთმა იცის, მაგრამ ეხლა რომ მომაგონდება ხოლმე ეს და ამ გვარი სხვა კიდევ სცენები, მაშინ ვიცინი გულში და ვფიქრობ, რომ ბევრი კომიზმი უნდა ყოფილიყო. მე და ჩემმა პატარა ამხანაგმაც არ ვიცოდით რუსული და, მაშასადამე, ნინოს თარგმანს ვერ დავაფასებდით.

ძალუას საუბრის აზრი ეს იყო, რომ ძალიან მოხარულია, რომ შვილისთვის გუბერნანკა მოუვიდა, შეატყობინა რომ ერთი შვილი ჰყავს ცასა და ქვეყანას შუა და სთხოვა, რომ კარგათ ასწავლოს. ყური უგდოს და შეიყვაროს. არც

ეროვნული

გაფთხილება დაავიწყდა, რომ არ დასტუქსოს, რადგანაც [illegible] და გამზდარია, ამასა სთხოვს და იმის განსაკუთრებულს ყუდადღებას აქცევს. ის, რასაც ამის პასუხს ეტყოდა, ადვილი მისახდომია: ალბათ დაჰპირდა ძალუას სურვილის აღსრულებას, ამ საგანზე კარგა ხანი რომ ილაპარაკეს, ძალუამ ნინოს უბძანა: გოგო, სანდრო სად არის? წადი მოიყვანეო.

ნინო გავიდა სანდროს დასაძახებლათ, მაგრამ სანდროს პოვნა და შინ შემოყვანა, აგრე ადვილი არ იყო. ნინო რომ გავიდა და დაიგვიანა, სტუმარ-მასპინძლის მუსაიფიც შესწყდა: ერთმანეთს უცნაურათ შეჰყურებდნენ და შინჯავდნენ. ძალუას მოსწყინდა ნინოს ლოდინი და, რადგანაც სადილობაც მოახლოვდა, გავიდა საბძანებლათ, რომ სუფრა გაეშალათ, მე და ჩემი მეგობარიც გავძვერით, რომ ძალუას არ შაემჩნივა ჩვენი იქ საიდუმლოთ ყოფნა.

სადილობამ მოახწია, ყველანი პურის საჭმელათ შევიკრიფენით, რადგანაც უცხო სული მოემატა ოჯახს ამას ისიც დავამატოთ, რომ ამ ახალს მოსულს სანდროს გვერდით საპატიო ალაგი უნდა დაეჭირა, ამის გამო რაღასაც სადღესასწაულო განსხვავებას ვხედავდი სუფრის წყობილებაში: უფრო დიდი სპეტაკი სუფრა-სალფეთკით იყო მოზდილი მაგიდა გაშლილი, და სუფრის დასამშვენებლათ კიდევ ზოგი რამ საგანიც მოემატებინათ. აქ საჭიროა ვსთქვა, რომ ბიძი ჩემის სუფრა ყოველთვის სავსე და მოწყობილი იყო ხოლმე. ყველანი შევიკრიფენით, ერთმანერთი გადავათვალიერეთ, მარტო სანდრო გვაკლდა. ძალუას რამდენჯერმე გაეგზავნა სანდროს დასაძახებლათ ბიჭი და ძალიან უსიამოვნოთ იყო, რომ აქამდინ ხელში ვერ ჩაიგდო, რომ გუბერნანკისთვის გაეცნო და ჩაებარებინა, თავისი სათაყვანებელი შვილი. ძალუა იქით აქეთ იხედებოდა და უსიამოვნოთ რაღასაცა ბუტბუტებდა.

— კეკე, დავსხდეთ, ვიღას ელი? სანდროს? ისიც ეხლავ მოვა: ეზოში ბიჭებთანა თამაშობს.

— ბატონო, საკვირველი კაცი ხარ; ვერ გაუჯავრდებოდი და მოიყვანდი?! რამდენი ხანია ვეძახი და ვერ მოვიკარე!.. ამ ადამიანს, პირველშივე ისე აჩვენებს თავს, რომ გიჟის სახელს დაარქმევს. ბიჭო, სოლომან! კიდევ წადი სანდრო იპოვნე და მოიყვანე. ჩვენ კი, ბატონო, (მიუბრუნდა ქმარს) დავსხდეთ.

სანდროს მოსვლამდენ რამდენიმე სიტყვა, ჩემს მდგომარეობაზე უნდა ვსთქვა. გუბერნანკა რომ მოიყვანეს, მე ჩემს თავს სხვანაირათა ვგრძნობდი: გულში საშინლათ მიხაროდა, რომ მეც ვისწავლიდი რასმე, მაგრამ ჯერ ვერ გამომერკვია, ეს ქალი ჩემი ოსტატიც უნდა ყოფილიყო, თუ არა? მამაჩემთან ძალუას მრავალჯერა ჰქონია ლაპარაკი რომ მე და სანდროს ერთნაირის სიყვარულით გვიყურებს და ერთნაირათ გაგვზდის. მე ამის გამგონე, ოსტატის მოსვლას გულის ძგერით მოველოდი, მაგრამ, ეხლა მე ყურს არავინ მათხოვებდა და არც კი წარმადგინეს, ყველას თითქო დავვიწყებოდი და, როგორც მეტი რამე, ფეხებში ვედებოდი. მოსული ქალიც მათვალიერებდა, მაგრამ, მგონია, ვერ მიმხვდარიყო: მეც იმ სახლის შვილი ვიყავ თუ არა? ან იმას ჩემდამი რა საქმე და მოვალეობა ექნებოდა? იმას ეს კითხვები ალბათ თავში მოზდიოდა და იმიტომ ცნობის-მოყვარეობით მათვალიერებდა.

ყოველს კარების გაღების დროს, ის იყურებოდა, თვალ[illegible] და ეტყობოდა, რომ ვიღასაც ელოდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა ხედავდა იმას, ვინც იყო მიზეზი იმის მოყვანისა.

ძალუა და ბიძა ჩემი დასხდნენ თავ-თავის ალაგას, იმათ შუა ყოველთვის სანდრო იჯდა ხოლმე; ძალუამ მიბძანა რომ სანდროს ალაგას მე დავჯდარიყავ და ჩემი ალაგი სანდროსთვის დამეტოვებინა, რადგანაც გუბერნანკა გვერდით უნდა სჯდომოდა, მე ბძანება შევასრულე.

— რათა კეკე, რატომ სანდროს თავისავე ალაგას არა სვამ? ჰკითხა ბიძა ჩემმა.

— იმიტომ, ბატონო, რომ გუბერნანკა სანდროს გვერდით უნდა იჯდეს: უნდა ელაპარაკოს, ხორცი დასჭრას და სხ. ნახე იმ დღეს კახანოვისას, ყმაწვილები რამ სიშორეთ ისხდნენ? უთუოთ ალექსანდრე შენს გვერდით უნდა იჯდეს?

ამდროს კარები შემოეღო და სანდრომ შემოირბინა; გაქანებულმა მოირბინა, რომ თავის ჩვეულებრივ ალაგას დამჯდარიყო; მაგრამ დამინახა, ცოტა შეჩერდა, მერე დამავლო ხელი და მითხრა; შენ აქ რათ დამჯდარხარ, წადი შენს ალაგასო.

— ყმაწვილო, სანდრო, შვილო, ჯერ აქ მოდი გენაცვალე, თავი დაუკარ შენს გუბერნანკას. მერმე ისა, რომ შვილო, შენ ამის გვერდით უნდა იჯდე. ამ ქმნის შემდეგ ძალუამ მოსულ ქალს სანდროზე ხელით ანიშნა და ქართულათ უთხრა: ეს არის ჩემი შვილიო.

ქალი ღიმილით, გაწითლებული შეჰყურებდა სანდროს, და რაღა თქმა უნდა, მიხვდა, რომ სახლის **ბატონი** შემოვიდა.

სანდრო ლამაზი ბავშვი იყო. წითელი ყანაოზის პერანგის საკინძე, ზონარ მოვლებული გვერდზე ჰქონდა შეკრული და უმშვენებდა ლამაზ ყმაწვილურ სახეს, რომელიც ცელქობით ამოსწლითლებიყო. ლაზათიანათ თავი დაუკრა მოსულს სტუმარს, მაგრამ მე კი არ მეშვებოდა: მეჭიდებოდა რომ ავმდგარიყავ. მე მანამ ძალუამ არ მიბძანა, რასაკვირველია, ალაგიდან ვერ დამძრა, ბძანებას ველოდი.

— დედავ, არ მინდა მანდ ჯდომა, მე ჩემს ალაგას უნდა დავჯდე. სანდრო გაჭირვეულდა, ძალუა ძალიან უმადური დარჩა, მაგრამ მაინც, ჩვეულებისამებრ, როგორც სანდროსა სურდა ყველანი ისე მოვიქეცით: მე მიბძანეს ისევ ძველს ალაგას დაჯდომა.

— ახლა ისე მხეცურათ აჩვენებ ამ ადამიანს შენს თავსა, რომ იტყვის გიჟიაო. ლიზას გუბერნანკა ხომ არ არის, შენია, და შენთან უნდა იჯდეს, რომ გელაპარაკოს: ფრანგული ჩქარა უნდა ისწავლო. შენმა სიცოცხლემ სანდრო, თუ ჭკვიანათ მოიქცევი, რასაც მთხოვ იმას გიყიდი, მოქცემ, უთხრა და შუბლზე თმები გადაუსწორა თავის ლამაზს სანდროს. ბიძა ჩემი ღიმილით შეჰყურებდა შვილსა, ნინო შორიახლო, გულხელ დაკრეფილი იდგა და სიამოვნებდა, რომ სანდრო ახალ მოსულთან არ მივიდა და იმედოვნებდა, რომ ნინო მეტათ ეყვარებოდა და სანდროზე თავის ძალას და გავლენას არ დაჰკარგავდა.

ასე დაიწყო პირველი დღე სანდროს ოსტატის მოსვლისა. რომელსაც მთელი სახლობა, დიდის გულმოდგინებით ელოდა. დედ-მამამ იგრძნო და ეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდა, რომ შვილს უთუოთ უნდა ასწავლონ, მაგრამ არ იცოდნენ როგორ. მეყური ვერ მოვკარ როგორ მოილაპარაკეს გაკვეთილების დაწყებაზე, მაგრამ პირველსავე დღეს გადასწყვიტეს კი, რომ ხვალ სანდროს სწავლა უნდა დაწყებულიყო.

სრლამოს, ჩაის დროს მასწავლებელი-ქალი მოუჯდა სანდროს და უნდოდა ჩაის დალევის რაიმე სამსახური გაეწია, გაეწი მაგრამ სანდრომ უარი ჰყო: სწავლებით იმის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა და თავის ჩვეულებებს არ იშლიდა: დაძინების დროს ნინოს მიეკრა გულში, იმან გახადა ტანთ, ჩააწვინა ქვეშაგებში და თავისებურათ ზღაპარი უთხრა. სანდრომ დიდი ხანი იკოტრიალა ლოგინში და ბოლოს დაიძინა.

ამ მასწავლებელი-ქალის მოსვლაზე ბევრს ვერას ვიტყვი, რადგანაც ვერაფერი ვერ მოხერხდა: ვერც ძალუამ შესძლო, რომ თვიხი შვილი რიგზე ჩაებარებინა და როგორც სხვების ოჯახებში ხედავდა ისე დაეწყო შინაური წესი: ვერც მაწავლებელმა ქალმა გაიგო თუ, რასა თხოულობდნენ იმისგან და რა გზას დაზდგომიყო. ამისა ენა იმათ არ ესმოდათ და იმათი ენა ამას! შინაური ცხოვრება და ჩვეულება ალბათ, ეუცხოვებოდა, საქმე იმას არა ჰქონდა და მთელი დღე იჯდა გულხელ დაკრეფილი!.. მართლა, რომ საცოდაობა იყო იმისი მდგომარეობა: როგორც ზემოთა ვსთქვი, გარდა ბიძაჩემისა, რომელსაც სადილვახშმათა ხედავდა, არავინ რუსული და არც ერთი ევროპიული ენა იცოდა, სანდრო იმას არ ეკარებოდა და სხვა გარეშე საქმე იმას არა ჰქონდა და იყო ასე საცოდავათ გამოყრუებული. ძნელათ ითქმის: იცოდა რამე ამ ქალმა? სწავლა შაეძლო ბავშისა? ან ზედმიწევნით რომელი ენა იცოდა, რუსულს ძალიან ცუდათ ლეჭავდა და ეს ნაკლი იმათ ღირსებათ მიიჩინიეს, რადგანაც იმას აწერდნენ, რომ ფრანგის ქალმა, ფრანგული იცის კარგათო... ქვეშეთში არც მეზობელი ჰყვანდათ, რომ იმისგან გაეგოთ რამე და აი ამ გვარს კომიკურს მდგომარეობეში იყვნენ საწყლები.

მე რამდენჯერმე გავბედე მისვლა და სურვილი გამოუცხადე, რომ გაკვეთილები მოეცა, თითონაც სურვილს მიცხადებდა, მელტოდა, მაგრამ როგორცვე შეგვნიშნავდნენ ამ მომაკვდინებელს ცოდვას მაშინვე რაღაც მანქანებით, რაღაც მოულოდნელი გარემოება ხელს შეგვიშლიდა... ნინოს რამდენიც ენა შესწევდა აუხსნა, რომ ჩემი სწავლება იმის მოვალეობა არ არის და ამასთან ჩაითვლება პირობის დარღვევად. მე ცალკე დამარიგა ნინომ, რომ მოსულმა სანდროს უნდა ასწავლოს და მე ძალუა რასაც მასწავლის, ისიც მეყოფა, მე რასაკვირველია ვემორჩილებოდი და ჩემის ნაკუწებით და ბოლჩებით ვატარებდი დროს. კუკლები თავის დღეში არ მითამაშნია და არცა მქონია; მარტო ნაკუწებს ვაგროვებდი და ბოლჩებსა ვკრეფავდი, ზონრებსაც ვქსოვდი და ჩვენებურს ხელსაქმეს ყველაფერს ვაკეთებდი: .ოქრომკერდითაც ვქარგავდი, წუღა-პაჭიჭის, ჩოხა-ახალუხის კერვას მიხვედრილი ვიყავ და სხ. და სხ. შინაურს საქმეს ვაკეთებდი.

მაგრამ გაჭირვება ის იყო, რომ მე ესეები არ მაკმაყოფილებდნენ და წიგნის სწავლისათვის ვიყავ გაგიჟებული; **სწავლა** მეგონა მარტო რუსულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკშია—და ამას ველტოდი. მშურდა სანდროსთვის, რომ [illegible] ემას დასდევდნენ და ეხვეწებოდნენ ისწავლეო და მე კი მიშლიდნენ კიდეცა!..

კიდევ ორიოდე სიტყვით შევამსოთ ჩვენი წარმოდგენა სანდროს ლაღობა-თავისუფლებაზე.

ჩვენი მთის გზატკეცილები (Воен. Груз. дорога) მუდამ სავსეა მგზავრებითა და აქლემების ქარავანიც ხშირათ დადიოდა ხოლმე. სანდროს ძალიან უყვარდა აქლემები და თავისი ამალით გზატკეცილებზე გამოვიდოდა ხოლმე იმათ საწვალებლათ. სანდროს ყველაფერი თამაშობა მოწყენილი ჰქონდა და, ალბათ, სხვა ნაირს გართობას ეძებდა.

ერთს დღეს ძალიან გუნება აშლილი იყო, რადგანაც დედ-მამა ძალიან ჩააცივდნენ, რომ გუბერნანკასთან ფრანგული ენა ესწავლა და სანდრო ჭირვეულობდა: მაგან რა იცის, რომ მე რა მასწავლოსო, გაიძახოდა. დედმამა სხვა და სხვა ფეშქაშებს ჰპირდებოდნენ, ამ დროს აქლემების ქარავანი გამოჩნდა; გძელათ, მიბმულები თოკებით, თავიანთი ჟღარუნებით მიიზლაზნებოდნენ.

— იცოდე დედა, თუ რომ აქლემს არ მიყიდი, არც ვისწავლი და მოვკვდები კიდეცა, სთქვა ჟინმოსულმა სანდრომ.

— რათ გინდა შვილო აქლემი?

— უნდა შევჯდე ხოლმე და ვიარო.

— უიმე ჩემს თვალებსა, მაგოდენა ვაჟკაცმა, დიდი ოჯახის შვილმა აქლემზე უნდა იაროს?!.. შვილო, საჯდომი ცხენები გყავს, ეკიპაჟი გაქვს და აქლემებით სიარული რაღა არის?!. გაკვირვებითა ჰკითხა დედამ.

— შენ არ მითხარ, რასაც მეტყვი გიყიდიო? მე აქლემი მინდა და თუ არ მიყიდით თავს მოვიკლავ...

დედის სურვილი, რომ შვილი დაარწმუნოს: აქლემებზე სიარული არც რიგია და არც საჭიროაო,—სრულებით უქმი იყო. სანდრო თავისას არ იშლიდა და ატეხით გაიძახოდა: აქლემზე მინდა შევჯდე, აქლემი მიყიდეთო!!!

ზემოთაც რამთენჯერმე ვსთქვი, რომ სანდროს ნება და ბრძანება ყოველთვის სრულდებოდა და სანდრომ კარგათ იცოდა, რომ რაც უნდა უარი ეთქვათ დედ-მამას, მაინც ბოლოს სანდრო დარჩებოდა გამარჯვებული. ეხლაც ისე მოხდა; თუმცა მანამ ისინი ლაპარაკში და ბაასში იყვნენ, ქარავანი მიდამოებს დაშორდა კიდეც, მაგრამ მაინც საჩქაროთ გამოუყენეს ბიჭები და სანდროს უყიდეს აქლემის კარგათ მოზდილი კოზაკი! არ გამოვიდა რამთენიმე საათი რომ სანდრო აქლემზე იჯდა. (ახალი საზრუნველი გაუჩნდათ სანდროს პატრონებს). ზოგი ბიჭი ჯილავში უჯდა, ზოგს თითონ სანდრო ეჭირა, გვერდით მიზდევდნენ, რომ არ გარდმოვარდნილიყო... მანამ კარგათ მოსწყინდებოდა აატარეს და ჩამოატარეს მინდორი, ეს აქლემი თითქმის ორი წელიწადი დიდ პატივში ჰყვანდათ; ბევრჯელ გაკვეთილებს მოსცდებოდა ხოლმე: სანდრო, თავის აქლემს თითონვე უვლიდა, თითონვე წყალზე დაჰყავდა (რასაკვირველია, მანამ მოეწყინებოდა) და, ვაი, იმისი ბრალი ვინც იმის უნებურათ მიეკარებოდა!..

მე მგონია, რომ საკმაოთ დავასურათე ოჯახში სანდროს **განსხვავებითი** ნებივრობა. უკანასკნელათ კიდევ ვიტყვი, რომ რასაც სანდრო მოინდომებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითაც გართობას ისურვებდა,—არავინ დამშლელი არა ჰყვანდა. ის იყო მთელის სახლობის ბატონი. ასრე გაიარა იმის ცხოვრებაში პირველმა 10 მა-წელიწადმა, შემდეგაც, ხომ დავრწმუნდებით, რომ ყველგან და ყოველთვის თავისუფლება და ლაღობა არ აკლდა.

## თავი მეთერთმეტე.

როგორც ხანი და დრო გადიოდა, ისე მე და სანდრო ერთმანეთისა ვშორდებოდით: მე უფრო ჩემს ნაკუწებში და ბოხჩებში ვეხვეოდი, და ის უფრო სირბილსა და სიგიჟეს ეძლეოდა. მასწავლებელი სწუხდა მარტოობას და ბევრჯელ სადილათ ნამტირალევის თვალებით გამოვიდოდა ხოლმე. გარს სულ ქართულათა ლაპარაკობდნენ და ის უსაქმური მუნჯივით შედიოდა და გამოდიოდა.

პირველ მასწავლებელი ქალის ამისთანა მდგომარეობას უეცრად ბოლო მოელო: თბილისიდან ერთი საპატიო ოჯახის სახლობამ გამოიარა და ღამე ჩვენსა დარჩნენ. ეს განათლებული სახლობა ძალუასი კარგი ნაცნობები იყვნენ, რომელთაც სიამოვნებით მიეგება, კარგათ დაუხვდა და დიდი შესვლა-გასვლა ჰქონდა. მოსულს სტუმრებს ბავშვებიცა ჰყვანდათ, მასწავლებელი ქალიცა ასე რომ საკმაოთ ბევრნი იყვნენ. მე შურით უყურებდი მოსულ პატარა ქალებს, რომლებსაც გუბერნანკა ქცევას უსწორებდა და კუდივით უკან დაზდევდათ. შემდეგ ჩაის მირთმევისა, რადგანაც ნამგზავრები და დაღალულები იყვნენ, ბავშვებს ადრე ლოგინები გაუშალეს, გუბერნანკამ ალოცა და ტანთ გახდის დროს, ტანისამოსი თავთავის ალაგას დაალაგებინა, ხელპირი დააბანინა და დააწვინა. მე ყველა ამას ცნობის მოყვარეობით ვითვალისწინებდი და მინდოდა, რომ ამ კეთილშნეობის ბავშვებთან გავჩერებულიყავ, იმათთან მელაპარაკნა, მაგრამ იმათმა მასწავლებელმა მოუღო ბოლო ჩემს სიამოვნებას: ახლა ამათ უნდა დაიძინონ და შენ წადიო, მითხრა. მე გამიკვირდა ამისთანა ზრუნვა და მეწყინა კიდეც, რომ იმათ მაშორებდა. კიდევ შევნატრე და ვიფიქრე: ნეტავი ამ ბაშვებს რომ ამისთანა მზრუნველი და მასწავლებელი ყავსთ მეთქი!...

ბავშვები როცა მიწყნარდნენ, იმათმა დედებმა გასტინაში მუსაიფის დროს შვილების აღზრდაზე დაიწყეს წლაპარაკი. ძალუა კეკემ ცოტა არ იყოს სიამაყით უთხრა: „მადლობა ღმერთსა, მეც ფრანგის ქალი, გუბერნანკა მოვაყვანინეო. ჩემი სანდრო ძალიან კარგათ უნდა გავზარდოვო“.

იმ დროს, როდესაც დედები მორთულ დარბაზში თავიანთი შვილის აღზრდაზე ლაპარაკობდნენ, იმათი შვილების აღმზრდელებმაც ერთმანერთი იპოვნეს: მიუსხდნენ ერთმანეთს, ვინაობა ჰკითხეს და იმათ მუსაიფის შემდეგ ყველამ გაიგეს, რომ სტუმრების გუბერნანკა თურმე ფრანგის ქალი ყოფილა, და ჩვენ კი ნემეცისა! მითქმა-მოთქმას და გაკვირვებას აღარა ჰქონდა საზღვარი!...

— ქალო,—უთხრა მისულმა სტუმარმა ძალუას—შენი შვილის გუბერნანკა ფრანგის ქალი კი არ არის, ნემცისა არის! მე მაგას ვიცნობ: ჩემს ნაცნობ ოჯახში ჰყვანდათ ბონნათა. ყმაწვილების მოვლა კარგათ იცის, მაგრამ სწავლა არ შეუძლიან: იმთენი არა იცის რა.

ეროვნული

— სანდროს სიცოცხლემ, ჩემმა ალექსანდრემ მაშინვე სთქვა: თითონ რა იცისო, რომ მე რა უნდა მასწავლოსო?! განა არა, მეც შევამჩნიე ქალი, რომ არა იცის რა: ჩემი ალექსანდრე ხომ სულ არ მიეკარა, ვენაცვალე იმას,—მიხვდა! უნდა დავითხოვო!..

— სასაცილო ეს არის, რომ თავისი თავი ფრანგის ქალათ გაუცვნია! იქ, სადაც ჯავიცანი უფრო ხშირათ კრუჟოვებს არეცხინებდნენ ხოლმე, მშვენივრათა რეცხავს!... როგორც ბონნა ბავშვებს უვლიდა, თეთრეულს უკერებდა და სწავლის კი რა მოგახსენოთ...

მეორე დილას, სტუმრები როგორც წავიდნენ, მაშინვე მითქმა-მოთქმა განაახლეს: თურმე **მადმაზელას** ფრანგული არა სცოდნიაო?! მაშ, რიღას მად-მაზელა არისო?! რაღა ჰქვიანო?

იმათი წარმოდგენით **მადმაზელას** უთუოთ ფრანგული უნდა სცოდნიყო და უამენოთ **გუბერნანკის** წარმოდგენა შეუძლებელათ მიაჩნდათ.

ძალუამ დაიბარა იორდანე და დიდათ უსაყვედურა: მე შენი იმედი მქონდა, რომ კარგს მადმაზელას მომიყვანდიო,—უთხრა თითქმის ტირილით, -და შენ კი ვიღაც ოხერი მომითრიეო, რომელსაც არაფერი არა სცოდნიარაო!...

— რა ვქნა, ქალბატონო, მოახსენა იორდანემ თავისებურის ზმუკუნით, მე როგორც მიბძანეთ ისე მოვიქეცი: მივედი ვისთანაც მიმითითეთ იმათ კა-რებთან და ვსთხოვე გუბერნანკას დამიძახეთ მეთქი. გამოვიდა ერთი ქალი და მკითხა რა გნებავსო? მე გახლავართო. მე უთხარ, რომ იმასთან მორიგება მინდა ფასზე და იმიტომ მოვსულვარ მეთქი, რომ თუ მოვრიგდებით წავიყვა-ნო: გამომკითხა ვინაობა, სად და როგორ წავალთო და მითხრა რომ 30 მან. ნაკლებ არ წამოვალო. მე გამეხარდა, რომ ისე იაფათ მოდიოდა, გაურიგდი და წამოვიყვანე. მე რა ვქნა? წაიბზუკუნა იორდანემ. აკი მოგახსენეთ, დალოც-ვილო, რომ მე გუბერნანკის არა ვიცი რა მეთქი? მე ახალი თევზის არჩევა ვი-ცი, გუბერნანკა რა ჩემი საქმეა?...

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ იორდანეს ჩაუსვეს ეს ქალი და გაისტუმ-რეს. იორდანემ ბევრი უარი სთქვა ახალი გუბერნანკის მოყვანაზე, მაგრამ ვინ გაუგონებდა. გაატანეს ნაცნობებთან წერილები, რომ კარგი ფრანგულის ენის მცოდნე ქალი მოენახათ; მისცეს სხვა სავაჭრო სიებიც, ფული და გაისტუმრეს, ჩვენ კი ახალი მასწავლებელის მოლოდინში, ჩვეულებრივ განცხრომას მივე-ცენით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მეცნიერება და პუბლიცისტიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წერილები ვ. ი. ლენინის მაქსიმ გორკის მიმართ 1908—1913.

(დასასრული*).

პირადი ალ. მ—ჩს.

24 III 08.

ძვირფასო ა. მ! მივილე თქვენი წერილი ჩემი და მახისტების ჩხუბის შესახებ. მესმის და ვაფასებ თქვენს აღელვებას: თითქმის ასეთივე ბარათებს ვღებულობ ჩემ პეტერბურგელ მეგობრებისაგან, მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სცდებით.

თქვენ უნდა გაიგოთ, და კიდევაც გაიგებთ, რომ ადამიანი, რომელიც ეკუთვნის პარტიას, თუ ის შეიგნებს ამა თუ იმ ქადაგების უსწორობას და სიყალბეს, ვალდებულია გაილაშქროს მის წინააღმდეგ. მე არ ავტეხდი განგაშს, რომ არ დავრწმუნებულიყავ მასში (და ამაში მე ვრწმუნდები დღითი-დღე, რაც ვეცნობი ბაგდ(ანოვის), ბაზ(აროვის) და ამხ. (სიბრძნის წყაროს), რომ მათი წიგნი თავიდან ბოლომდე არის მავნებელი უაზრო, ფილისტერული, ხუცური, დაწყებული მახით და გათავებული ავენარიუსით. პლეხანოვი, სავსებით მართალია მათ წინაშე, მხოლოდ ის ვერ ახერხებს, არ უნდა, ან და ეზარება კონკრეტიულათ, გასაგებათ და უბრალოთ ილაპარაკოს ისე, რომ საზოგადოება არ დაშინდეს გადაჭარბებულ ფილოსოფიურ თვალთმაქცობით. მე, მიუხედავათ ყველაფრისა, ვიტყვი ამის შესახებ ჩემებურად.

რა „შერიგებაზე“ შეიძლება აქ საუბარი, ძვირფასო ა. მ.? ამის შესახებ სირცხვილია ლაპარაკიც. ბრძოლა აბსოლიტიურად აუცილებელია. პარტიულებმა უნდა ეცადონ მოახმარონ თავის ძალ-ღონე არა გადადებას, გამოძრომას და საქმის გადაფუჩეჩებას, არამედ იმას, რომ აუცილებელი პარტიული მუშაობა არ დაზიანდეს. ამაზედ თქვენ უნდა იზრუნოთ, და $^{9}/_{10}$ რუსეთის ბ(ოლშ)ე(ვი)კებისა გეტყვიან თქვენ მადლობას და დაგეხმარებიან ამ საქმეში.

როგორ უნდა მოხდეს ეს? „ნეიტრალობით“? არა. ნეიტრალობა ამგვარ საკითხში წარმოუდგენელია, და არც იქნება. ამაზედ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ერთი პირობით: საჭიროა მთელი ეს კინკლაობა ფრაქციას ასცდეს. აქამდის თქვენ წერდით ფრაქციულ გამოცემების გარეშე, შეგიძლიათ შემდეგშიც მასე სწეროთ, მხოლოდ ამნაირათ ფრაქცია არ იქნება დაკავებული, არ იქნება

* იხ. „მნათობი“ № 6

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩამბმული, მას არ ექნება საშუალება ხვალ ან ზეგ გადაწყვიტოს, მისცეს ხმა, ე. ი. არ ექნება უნარი დაამთავროს ეს გაუთავებელი, და დაუსრულებელი ჩხუბი·

აი რისთვის ვარ მე წინააღმდეგი ყოველ გვარ ფილოსოფიის ჟურნალში გაშობისა.[1]) ვიცი, რომ ამისათვის მე მლანძღავენ; ამბობენ: უნდა სხვებს პირი აუკრას, მაშინ როდესაც თვითონ ჯერ კიდევ პირი არ გაუღია! მაგრამ თქვენ იფიქრეთ ამაზე აუღელვებლათ.

ჟურნალი ფილოსოფიით № 1—სამი წერილი ბაზ(აროვისა), ბაგდ(ანოვის), ლუნაჩ(არსკის) პლეხ(ანო)ვის საწინააღმდეგოთ. ერთი ჩემი წერილი, სადაც ნათქვამია, რომ „მარქსისტულ ფილოსოფიის მიმოხილვა“ ბერდიაევშჩინას და „პაპოვჩინას“. № 2—სამჯერ სამი წერილი ბაგდ(ანო)ვის, ბაზ(აროვის) ლუნ(აჩარსკის) პლეხ(ანო)ვის და ლენინის წინააღმდეგ აწეულ კილოთი. ერთი ჩემი წერილი, სადაც მეორე მხრით მტკიცდება, რომ „მარქსისტულ ფილოსოფიის მიმოხილვა“-„პაპოვჩინას“.

№ 3—ღრიალი და ლანძღვა!

მე შემიძლია დავწერო ექვსი ან თორმეტი წერილი „მარქსისტულ ფილოსოფიის მიმოხილვის“ საწინააღმდეგოთ; თითო წერილი ყოველ ავტორის, ან და მათ ყოველივე შეხედულების წინააღმდეგ. შეიძლება ეს ასე გაგრძელდეს? როდემდის? იქნება თუ არა გათიშვა აუცილებელი ამ გამწვავების და დაუსრულებელ სიავის მიზეზის გამო? ეს არ შეზღუდავს ფრაქციას გადაწყვეტილებით: არჩიე, განიხილე, გაათავე „დისკუსია“ ვოტუმით.

მოიფიქრეთ ამაზე კარგათ თუ გეშინიათ გათიშვის. იკისრებენ თუ არა პრაქტიკოსები გაავრცელონ წიგნები ამგვარ „ბრძოლით“?

უკეთესი არ არის სხვა გზა: ძველებურათ წეროთ ფრაქციულ გამოცემების გარეშე? იჩხუბეთ ცალკე, ფრაქცია ჯერ-ჯერობით მოგიცდით.

თქვენ მწერთ: მე(ნშევი)კები მოიგებენ ამ ჩხუბითო. სცდებით ღრმათ ა. მ! ისინი მოიგებენ იმ შემთხვევაში, თუ „ბეკების“[2]) ფრაქცია არ ჩამოშორდება სამ ბ(ოლშ)ე(ვი)კის ფილოსოფიას. მაშინ ისინი მოიგებენ საბოლოოდ. მაგრამ თუ ფილოსოფიური ჩხუბი გატარდება ფრაქციის გარეშე, მენშევიკები საბოლოოდ იძულებული გახდებიან გადავიდნენ პოლიტიკაზე, და აქ იქნება მათი სიკვდილი.

მე ვამბობ: ჩამოშორდეს ჩხუბი ფრაქციას. რა თქმა უნდა ცოცხალ ადამიანებზე მოახდინო ეს ჩამოშორება ძნელია და სატკენი. საჭიროა დრო. საჭიროა არიან თავდადებული ამხანაგები. აქ დაგვეხმარებიან პრაქტიკოსები. აქ უნდა დაგვეხმაროთ თქვენ,—აქ არის „ფსიხოლოგია“—თქვენ წიგნებიც გაქვთ ხელში. მე ვფიქრობ, რომ თქვენ აქ შეგეძლებათ ბევრ რამეში დაგვეხმაროთ, თუ, რა თქმა უნდა, „მიმოხილვების“ საწინააღმდეგოდ დაწერილ ჩემი წიგნის წაკითხვის შემდეგ, თქვენ არ გაბრაზდებით ჩემზე ისე, როგორც მე მათზე. მოიფიქრეთ კარგათ ჟურნალის შესახებ და საჩქაროთ მიპასუხეთ. მე ცოტათი მეეჭვება ღირს თუ არა, რომ ახლა ჩვენ ერთად ჩამოვიდეთ თქვენთან? რა საჭიროა ტყუილათ ნერვების აშლა? „შორი გაცილება“ უჩხუბრათ არ ჩაიარს. უკეთესი არ იქნება,

ეროვნული

რომ გრძელი მოლაპარაკების, გაზვიადებულ და უაზრო შეკრ[illegible] უბ-რალოთ გავათაოთ ჟურნალის საქმე? ამას მე თქვენ გეკითხებით მხოლოდ მის-თვის, რომ გაგიზიაროთ აზრი.

დიდი სალამი მ· ფ. კიპროსზე მე უსათუოდ ჩამოვალ და ვეცდები ცოლიც წამოვათრიო, მხოლოთ ვცდილობ რომ ეს მოხდეს ფილოს(ოფიურ) ჩხუბის თა-ვიდან აცდენით.

მაგრად გართმევთ ხელს თქვენი **ლენინი.**

P. ვაყოლებ მნიშვნელოვან ცნობას თქვენთან მყოფ „შპიკ“-ზე [4])

[1]) აქ ლაპარაკია ა. მ. გორკის მიერ განზრახულ ჟურნალის გამოცემაზე, სადაც თანამშრომლებათ ბოლშევიკები უნდა ყოფილიყვნენ. ჟურნალის გამოცემა არ განხორციელდა.

[2]) ბოლშევიკებს, სიტყვის შესამოკლებლად ხანდისხან ბეკებს უწოდებდენ; აქედან „ბეკების ფრაქცია“ „ბოლშევიკურ ფრაქციის“ მაგიერ.

[3]) ე. ი. ალ. ალ. ბოგდანოვი.

[4]) ეს ცნობა ჩვენ განკარგულებაში არ არის.

**წერილი 9.**

(აპრილი 08).

რით უნდა აიხსნეს, ძვირფასო ა. მ., რომ თქვენგან არავითარი ცნობები არ მოდის? თქვენ მწერდით, რომ დიდი ხანია რაც თქვენ გაათავეთ დიდი შრომა და აპირებდით „პროლეტარში“ დაგეხმარებოდით. როდის-ღა? რა იქ-ნებოდა რომ ერთი ფელეტონი გამოგექანებიათ ტოლსტოის, ან კიდევ სხვა რა-მის შესახებ? მომწერეთ, აპირებთ თუ არა? ალ. ალ. ბოგდანოვი გამოემგზავრა თქვენსკენ. მე არ შემიძლია არც გაზეთის, და არც საქმის მიტოვება. მაგრამ ეს მხოლოდ დროებით, ჩამოვალ კი უსათუოდ. როგორია თქვენის აზრით „პროლე-ტარი“? უპატრონოა ის. მე არასოდეს ასე გულგრილათ არ მოვპყრობივარ ჩემ გაზეთს: ვკითხულობ მთელი დღეები ამ დაწყევლილ მახისტებს, წერილებს კი გაზ(ეთში) ვწერ საოცარი სიჩქარით[1]).

გართმევთ ხელს თქვენი **ლე(ნინი).**

მ. ფ. ათასი სალამი. მე ველოსიპედით ჩამოვალ მასთან, შეუკვეთეთ ანატ-(ოლი) ვას(ილევიჩსაც) დაწეროს რამე „პროლეტარისთვის“ მომეცით საშუალება მეც ავყეფდე ფილოსოფიურად, დაეხმარეთ ჯერ-ჯერობით „პროლეტარის“.

[1]) წერილს თარიღი არ აქვს. მისი ალაგი გამორკვეულია შინაარსით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

16. IV. 08.

ძვირფასო ალ. მ.!

მივიღე დღეს თქვენი წერილი და ვიჩქარი გიპასუხოთ. წამოსვლა ჩემთვის მავნებელია და უაზრო: ლაპარაკი იმისთანა ხალხთან, რომელიც ჩამოსულა რელიგიის და მეცნიერულ სოციალიზმის შეერთების საქადაგებლად. მე არ შემიძლია, და არც მინდა. რვეულების [1]) დრომ განვლო. კამათი არ შეიძლება, ნერვების ტყუილად აშლა სისულელეა. საჭიროა დავაშოროთ პარტიულ (ფრაქციულ) საქმეებს ფ(ილოსო)ფია: ამას ა. ც. [2]) გადაწყვეტილებაც გვავალებს. მე უკვე გავაგზავნე დასაბეჭდად [3]) აშკარად ფორმალური ომის გამოცხადება. აქ დიპლომატიას აღარა აქვს ადგილი—მე, რა თქმა უნდა, ცუდი აზრით არ ვლაპარაკობ დიპლომატიაზე, არამედ კარგი.

„კარგი“ დიპლომატია თქვენი მხრივ, ძვირფასო ა. მ. (თუ თქვენც არ იწამეთ ღმერთი) იქნებოდა იმაში, რომ დაგვეშორებიათ ჩვენი საერთო (ე. ი. ჩემიც მათ შორის) საქმეები ფ(ილოსო)ფიას.

სხვა საქმეებზე საუბარი ფ(ილოსო)ფიის გარდა არ გამოვა: არა ბუნებრივი იქნება. მაგრამ თუ ჭეშმარიტად ეს სხვა საქმეები ფილოსოფიას არ შეეხება, ან „პროლეტარი“ ითხოვს საუბარს მაინც და მაინც ახლა და მაინც და მაინც თქვენთან, მე მოვახერხებდი ჩამოსვლას (არ ვიცი მხოლოდ ვიშოვი ფულს თუ არა: სწორედ ეხლა მაქვს გაჭირვება), მაგრამ ვიმეორებ: მხოლოდ ერთი პირობით—ფილოსოფიაზე და რელიგიაზე მე არ ვლაპარაკობ.

მაგრამ თავისუფალ დროს მე უსათუოდ ვეპირები თქვენთან ჩამოსვლას, როდესაც გავათავებ მუშაობას; მინდა გესაუბროთ.

მაგრად გართმევთ ხელს თქვენი **ლ(ენინი).**

მ. ფ. დიდი სალამი: ის, ვფიქრავარ ჯერ ღმერთს არ მიკედლებია.

[1]) „რვეულები“—ნიშნავს იმ მიწერ-მოწერას ვლადიმერ ილიჩის და ა. ბაგდანოვის შორის ფილოსოფიურ საკითხებზე, რომელზედაც ვლადიმერ ილიჩი მოყვა წერილში № 5.

[2]) ბ. ც. ბოლშევიკური ცენტრი, ფაქტიურად ცენტრალური კომიტეტი ბოლშევიკურ ფრაქციის, მაშინ კიდევ შეერთებული პარტიის. „ბოლშევიკური ცენტრი“ იყო არჩეული ბოლშევიკების ფრაქციულ თათბირზე—ლონდონის ყრილობის დელეგატებისაგან მაისში 1907 წ. მასში შედიოდნენ ლენინი, ზინოვიევი, ბაგდანოვი, დუბროვინსკი, როჟკოვი, კამენევი და სხვა. ბ. ც. გადაწყვეტილება, რომელზედაც წერილშია ნათქვამი, გამოიხატებოდა ფრაქციულ საქმეებიდან ფილოსოფიურ კამათის დაშორებაში. აგრეთვე აკრძალული იყო საკამათო ფილოსოფიურ საკითხების გადატანა „პროლეტარის“ ფურცლებზე.

[3]) აქ ვლადიმერ ილიჩი ლაპარაკობს თავის წერილზე: „მარქსიზმი და რევიზიონიზმი“ კრ. „კარლ მარქს“ (ს. პეტერბურგი, 1908 წ.), რომელიც სწორედ

ეროვნული

იმ დღეებში მზადდებოდა გამოსაცემათ ბოლშევიკების ჯგუფი — ლიტერატორებით (ვ. ვოროვსკი, ლ. კამენევი, ზინოვიევი, როჟკოვი) პეტერბურგში. თავის წერილს ვლადიმერ ილიჩმა მისცა ამგვარი შენიშვნა: „იხილ. წიგნი“ მარქსისტულ ფილოსოფიის მიმოხილვა ბაგდანოვი, ბაზაროვი და სხვ.“ აქ არ არის ადგილი ამ წიგნის გარჩევისათვის, და მე იძულებული ვხდები მხოლოთ განვაცხადო, რომ ახლო მომავალში, მე მთელი წერილების რიგით, ან ცალკე ბროშიურის საშუალებით, დავამტკიცო, რომ ყველაფერი, რაც ტექსტშია თქმული ნეოკანტიანურ რევიზიონისტებზე, არსებითად ეხება ამ „ახალ“ ნეოიუმისტურ და ნეობერკლეანურ რევიზიონისტებსაც“. წერილის ტექსტში კი ვლადიმერ ილიჩი ახასიათებდა რევიზიონიზმს ფილოსოფიაში შემდეგი სიტყვებით: ფილოსოფიაში რევიზიონიზმი მიჰყვებოდა კუდში ბურჟუაზიულ პროფესორულ „მეცნიერებას“. პროფესორები „იხევდენ კანტისაკენ“ — რევიზიონისტებიც მიჩანჩალობდენ ნეოკანტიანცების უკან; პროფესორები მეასეჯერ იმეორებდენ გაცვეთილ ხუცურ სისაძაგლეს მატერიალისტურ ფილოსოფიის წინააღმდეგ — რევიზიონისტებიც თავაზიანი ღიმილით ბუტბუტებდენ (სიტყვა სიტყვით), რომ მატერიალიზმი დიდი ხანია „უარყოფილია“; პროფესორები ჰკიცხავდენ ჰეგელს, როგორც „მკვდარ ძაღლს“, ქადაგაბდენ იდეალიზმს მხოლოდ ათასჯერ უფრო წვრილმანს და გაცვეთილს, ვიდრე ჰეგელის, ზიზღით ჰიმავდენ მხრებს დიალექტიკის შესახებ — რევიზიონისტებიც მიძვრებოდენ მათთან ერთად მეცნიერების ფილოსოფიურათ გახრწნის წუმპეში, და სცდილობდენ შეეცვალათ „თვალთმაქცი“ (და რევოლიუციონური) დიალექტიკა, „უბრალო“ (და მშვიდობიანი) „ევოლიუციით“.

პროფესორები იღებდენ „კაზიონი“ ჯამაგირებს და უთანასწორებდენ თავის იდეალისტურ და „კრიტიკულ“ სისტემებს გამეფებულ საშუალო საუკუნეების „ფილოსოფიას“ (ე. ი. ტეოლოგიას) — რევიზიონისტები მიჩოჩავდენ მათკენ, სცდილობდენ გაეხადათ რელიგია „კერძო საქმეთ“ არა თანამედროვე სახელმწიფოსათვის, არამედ მოწინავე, კლასის პარტიისათვის.

არსებითად როგორი კლასიური მნიშვნელობა ჰქონდათ მარქსის შესახებ ამგვარ „შესწორებებს“, ამაზედ ლაპარაკიც ზედმეტია — ყოველივე თავის თავად ცხადია.

ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ერთად ერთი მარქსისტი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში, რომელმაც გაუკეთა კრიტიკა მატერიალისტურ დიალექტიკის თვალსაზრისით, ყველა იმ დაუჯერებელ სისაძაგლეს, რომელიც რევიზიონისტების მიერ იყო წამოროშილი, იყო პლეხანოვი. ამას მით უმეტეს საჭიროა გაუსვათ ხაზი, რომ ჩვენს დროში არსებობს უაღრესად შემცდარი ცდა, რომლითაც სურთ გაატარონ ძველი, რეაქციონური ფილოსოფიური ნაგავი პლეხანოვის ტაქტიურ ოპორტიუნიზმის დროშის ქვეშ“ (გვ. 211—212).

ვლადიმერ ილიჩის მხრით ეს იყო ლიტერატურაში პირველი და აშკარა გამოცხადება თავის შეხედულებისა ბაგდანოვის, ბაზაროვის და სხვ. ფილოსოფიაზე. ყველაზე უფრო არსებითია აქ, თუ მივიღებთ მხედველობაში მაშინდელ ფრაქციულ ურთიერთობას, პირდაპირი და აშკარა სოლიდარობა პლეხანოვთან. ეს მართლაც „ომის გამოცხადებას“ ნიშნავდა ბაგდანოვის და ამხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. IV 08.

**ძვირფასო ა. მ.!**

მივიღე თქვენი და მ. ფ. დეპეშა და ვაგზავნი დღეს, ან ხვალ დილით ჩემს უარს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არავითარ შემთხვევაში არ არის დასაშვები, რომ ლიტერატორთა ფილოსოფიაზე კამათი გადაერიოს პარტიულ (ე. ი ფრაქციულ) საქმეს. მე ამის შესახებ უკვე ვწერდი ან(ატოლი) ვას(ილიჩს) (ლუნაჩარსკის), და ყოველგვარ გაუგებრობის და შემცდარ დასკვნების თავიდან ასაცდენად, რომლის მიზეზი შეიძლება ჩემი ჩამოსვლის უარი გახდეს, ვიმეორებ ყველა ამხანაგებისათვის. ჩვენ, ჩვენი ფრაქციული საქმე უნდა ვაწარმოოთ როგორც წინად თანხმობით: იმ პოლიტიკაში, რომელიც ჩვენ რევოლიუციის განმავლობაში გავატარეთ, არავის არ მოუწონიებია. მაშასადამე, ჩვენი ვალდებულებაა დავიცათ შემდეგშიაც ის პარტიის წინაშე. ამის გაკეთება ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ერთად, და ვალდებული ვართ გავაკეთოთ ეს „პროლ(ეტარში)“ ისე, როგორც მთელ პარტიულ მუშაობაში.

თუ ამასობაში, ა. გალანძლავს ბ.-ს ან და ბ. გალანძლავს ა-ს. ფილოსოფიისათვის, ჩვენ ვალდებულნი ვართ მოვაწესრიგოთ ეს ცალკე, საქმის წაუხდენლათ. დაჟინებით გთხოვთ თქვენ და ყველა ამხანაგებს ცუდად არ გაიგოთ ჩემი უარის თქმა ჩამოსვლაზე. ძრიელ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ საქმის და რედაქციის მდგომარეობის და მიხედვით წამოსვლა არ შემიძლია.

მაგრად გართმევთ ხელს თქვენი **ლენინი**

ან(ატოლი) ვას(ილიევიჩი) დან (ლუნაჩარსკიდან) მოველით საჩქაროთ დაპირებულ წერილს რომში გაფიცვის შესახებ. ყველა ლიტერატორებიდან ველით დახმარებას „პროლეტარისათვის“. ყველა პასუხს ვაგებთ რუსეთის ხალხის წინაშე, რომელიც უკმაყოფილოა.

ალ. ალ. (ბაგდანოვმა) იზრუნოს კარგათ ფულზე!

ღმუიან რუსეთში უფულობით [1])

---

[1]) იმ წერილებიდან, რომლებიც ინსტიტუტის განკარგულებაშია, სჩანს, რომ მიწერ-მოწერა ამ წერილის შემდეგ, წყდება, თითქმის 2 წლით. წერდა თუ არა ამ ხნის განმავლობაში (აპრილი 1808 წ. აპრილი 1910 წ.) ვლადიმერ ილიჩი გორკის? შეიძლება ამ პერიოდის წერილები დაიკარგა? ეს ჩვენ არ ვიცით. საფიქრებელია რომ მიწერ-მოწერა ამ ხნის განმავლობაში დროებით შეწყდა. ბრძოლა ვლადიმერ ილიჩისა და ა. ა. ბაგდანოვის ჯგუფის შორის, რომელზედაც ზემოთ მოყვანილ წერილებშია ნათქვამი მწვავდებოდა იმ ხანებში დღითი-დღე. შემოდგომაზე 1907 წ. ვლადიმერ ილიჩმა გაათავა თავის წიგნი ბაგდანოვის, ბაზაროვის, ლუნაჩარსკის და სხ. წანააღმდეგ („მატერიალიზმი

ეროვნული

და ემპირიოკრიტიციზმი. კრიტიკული შენიშვნები ერთ რეაქციონერულ ფილოსოფიაზე.“ გამოვიდა მოსკოვში გაზაფხულზე 1909 წ.) 1909 წ. დასაწყისში „პროლეტარმა“ დაარღვია თავის მდუმარება საკამათო საკითხებზე და დაბეჭდა № 42, 25 (12) 11 1909 წ. ლ. კამენევის წერილი: „Не по дороге“, რომელიც მიმართული იყო ბაგდანოვის ჯგუფის წინააღმდეგ. უკანასკნელმა, როგორც ბოლშევიკურ ცენტრის წევრმა განაცხადა ფორმალური პროტესტი. მაგრამ ამასთანავე ერთად ა. ა. ბაგდანოვმა ა. ვ. ლუნაჩარსკიმ, და სხვ, ა. მ. გორკის უახლოეს დახმარებით, შეუდგენ კაპრიზე „სკოლის“ ორგანიზაციას. მათ მიერ რუსეთიდან გამოწვეულ მუშებისათვის.

ამ „სკოლაში“ ვლადიმერ ილიჩი და მისი უახლოესი ამხანაგები თავის თავად ხედავდენ ცდას, რომ შექმნილიყო ფრაქციული ორგანიზაცია ბაგდანოვის მომხრეებისათვის. ვლადიმერ ილიჩმა ამ „სკოლაში“ ლექციების წაკითხვაზე უარი განაცხადა (იხ. მისი უარყოფის წერილი-თხუზ. კრებ. ტ. XI ნაწ. I. გვერ. 287—288) ივნისში 1909 წ, პარიზში მოხთა „ბოლშევიკურ ცენტრის“ თათბირი (ეგრეთ წოდებული „პროლეტარის“ გაფართოებულ რედაქციის თათბირი). რომელზედაც მოხდა საბოლოო გათიშვა ბოლშევიკებ-ლენინცების და ბაგდანოვის ლუნაჩარსკის, ალექსინსკის და სხვ. შორის. რეზოლიუციები, რომლებიც ამ თათბირზე იყვნენ შემუშავებულნი ვლადიმერ ილიჩის უახლოეს მონაწილეობით, ეხებოდენ, სხვათა შორის, იმ საკითხებსაც, რომლებმაც გამოიწვიენ ვლადიმერ ილიჩის და გორკის მიწერ-მოწერა.

რეზოლიუცია: „О богостроительских тенденциях в социал-демократической среде“ ამბობდა: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ახლა, როდესაც საზოგადოებრივი მოძრაობის დაცემის ატმოსფერა, და კონტრ-რევოლიუციონერ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის რელიგიური სულისგანწყობილება ათვისებს. ამ საკითხებს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ხასიათს და რელიგიურ სულიერგანწყობილების გაძლიერებასთან ერთათ, ზოგიერთი სოციალ-დემოკრატები ცდილობენ შეუერთონ სარწმუნოების და ღმერთისძიების ქადაგება სოციალ-დემოკრატიას და თვით მეცნიერულ სოციალიზმს მიანიჭონ რელიგიის ხასიათი— „პროლეტარის“ გაფართოებული რედაქცია აცხადებს, რომ ის ამ მიმართულებას, ყველაზე უფრო გამოაშკარავებულს ამხანაგ ლუნაჩარსკის წერილებში, სთვლის მიმართულებათ, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება მარქსიზმის ძირითად დებულებებს, და აგრეთვე, მთელი თავის ქადაგების შინაარსით, და არა მარტო ტერმინოლოგიით, ის აფერხებს რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიის მუშაობას მასსების განათლების საქმეში და ამისათვის, ბოლშევიკურ ფრაქციას იმ მოძღვრებასთან, რომელიც მეცნიერულ სოციალიზმს ამნაირათ ამახინჯებს,—არაფერი საერთო არა აქვს.

შემდეგ ვადასტურებთ, რომ ეს მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ წვრილ-ბურჟუაზიულ მიდრეკილებათა ბრძოლის ფორმას, წინააღმდეგ სოციალიზმისა და მარქსიზმისა. და რამდენათაც ის ეხება პოლიტიკურ საკითხებს (როგორც, მაგალითად, ლუნაჩარსკის წერილში: „литературный распад“)—ცვლის უკანასკნელს პირველში, და ამისათვის გაფართოებული რედაქცია „პროლეტარის“

ამართლებს № 42 „პროლეტარში“ დასტამბულ წერილს: „Не по дороге“ და მოუწოდებს რედაქციას, განაგრძოს მტკიცე ბრძოლა ამგვარ ანტიმარქსისტულ ტენდენციებთან“. შემდეგი რეზოლიუცია, ამავე საკითხებთან დაკავშირებული, ამბობდა: „რაც შეეხება ამხ. მაქსიმოვის (ა. ა. ბაგდანოვის) პროტესტს, „პროლეტარის“ გაფართოებულ რედაქციის მიმართ, რომელიც გამოწვეულია „პროლეტარში“ მოთავსებულ წერილით: „Не по дороге“ (ლ. ბ. კამენევისა), და რომელშიდაც ის გვემუქრება გათიშვით—„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქცია სთვლის საჭიროთ განაცხადოს: 1) ამხ. მაქსიმოვის უკმაყოფილება იმის გამო, რომ თითქოს რედაქციამ დაარღვია დადგენილება,—არ იქნეს გაზეთში მოთავსებული წერილები ფილოსოფიურ ხასიათისა—არის უსაფუძლო, ვინაიდან ბრძოლა ყოველ გვარ რელიგიურ მისწრაფებასთან და რელიგიურ აზროვნებასთან, საიდანაც არ უნდა გამოდიოდეს ის, შეადგენს მორიგ და აუცილებელ ფრაქციის მოვალეობას, და „პროლეტარის“ ფურცლები არ შეიძლება ყოფილიყო დახურული ამგვარ ბრძოლისათვის; 2) ამ პროტესტში ჩვენ ვხედავთ სურვილს დაფარულ იქნეს ს. დ. წრეში „ღმერთის ძიების“ პროპაგანდა, და ამით „პროლეტარი“ იძულებული გახდეს ვერ შეასრულოს თავის მოვალეობა“.

უკანასკნელად, რეზოლიუცია კიპროსზე დაარსებულ „სკოლის“ შესახებ აცხადებდა: „პროლეტარის“ გაფართოებულმა რედაქციამ, განიხილა რა საკითხი კიპროსზე დაარსებულ „სკოლის“ შესახებ, აღიარა, რომ ამ „სკოლის“ ორგანიზაცია ინიციატორთა ჯგუფით (მათ შორის ერთი წევრი „პროლეტარის“ გაფართოებულ რედაქციისა ამხ, მაქსიმოვი (ა. ა. ბაგდანოვი) მოქმედებდა „პროლეტარის“ რედაქციის გარეშე და ეწეოდა აგიტაციას მის წინააღმდეგ).

გაფართოებული რედაქცია, მთელი ამ „სკოლის“ ინიციატორთა მოქმედების მიხედვით, ამტკიცებს, რომ ინიციატორები იცავენ არა საერთო ფრაქციულ ინტერესებს ე. ი. არა ბოლშევიკურ ფრაქციის ინტერესებს, როგორც იდეურ მიმდინარეობას პარტიაში, არამედ თავის განსაკუთრებულ, ჯგუფურ იდეურ პოლიტიკურ მიზნებს. გაფართოებული რედაქცია „პროლეტარის“ ამტკიცებს: იმისდა მიხედვით, რომ ჩვენს ფრაქციაში არსებობს უთანხმოება ოტზოვიზმისა, ულტიმატიზმისა, ღმერთის ძიებისა და საერთოთ ბოლშევიკების პარტიულ შინაგან მოვალეობათა საკითხების შესახებ, და, გარდა ამისა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ ინიციატორები და „სკოლის“ ორგანიზატორები კიპროსზე არიან წარმომადგენელნი ოტზოვიზმის, ულტიმატიზმის, და ღმერთის ძიების—იდეური და პოლიტიკური ფიზიონომია ამ ახალი ცენტრის ირკვევა თავის თავად. ამის გამო, „პროლეტარის“ გაფართოებული რედაქცია ამ „სკოლის“ შესახებ არავითარ პასუხისგებლობას არ კისრულობს.

ყველა ეს რეზოლიუციები დაბეჭდილი იყო „პროლეტარის“ № 46 (3(16) ივლისი 1900 წ. დამატება) და გადმობეჭდილი „რ. კ. პ. რეზოლიუციების კრებულში შესახებ ყრილობებისა და კონფერენციების“ ლ. კამენევის რედაქტორობით 1898—1922 წ. წ. (გვ. 113).

ა. ბაგდანოვი თავის მომხრეებით, მათ შორის ა. მ. გორკიც გამოილაშქრენ როგორც ცალკე ფრაქცია გაზეთით „Вперед“. (კრიტიკა ახალი ფრაქციის

ეროვნული

„ვპერიოდოვცების“ იხ. ლენინის წერილი: „ვპერიოდოვცების [illegible] შესახებ“ თხზულებ. ტ. XI ნაწ. II გვერ. 93—99.

ბოლშევიკების და ბაგდანოვის გათიშვამ გამოიწვია ბურჟუაზიულ პრესაში ათასი მითქმა-მოთქმა, განსაკუთრებით გორკის და ბოლშევიკების ურთი-ერთ შორის დამოკიდებულებაზე.

„პროლეტარმა“ (№ 50. 11 დეკემბერი 1900 წ.) გასცა ამ ხმებს პასუხი სპეციალური წერილით: „არაკი ბურჟუაზიულ პრესის გორკის გაძევების შესახებ“, რომელიც დაწერილი იყო ვლადიმერ ილიჩის მიერ. აი ეს წერილი: რამოდენიმე დღეა, რაც ბურჟუაზიული გაზეთები საფრანგეთის („Z'Eclaire“, „le Radical“) გერმანეთის („Berl. Tageblatt“) და რუსეთის („Утро России“, „Речь“, „Русское Слово“, „Новое Время“) სტკბებიან სენსაციურ ამბით: „ს. დ. პარტიიდან გორკის გამორიცხვა“. „Forverts“-მა უკვე უარყო ეს სისულელე. „პროლეტარის“ რედაქციამაც გამოაქვეყნა რამოდენიმე გამოსარკვევი ბარათი, მაგრამ ბურჟუაზიული პრესა მას არ აქცევს ყურადღებას, და განაგრძობს ჭორის გავრცელებას.

ცხადია საიდან დაიწყო ყოველივე ეს: ვინმე უსაქმომ მოჰკრა ყური ჩვენ უთანხმოებას, გამოწვეულს კამათით ოტზოვიზმზე და ღმერთის ძიებაზე (საკითხი, რომელიც, თითქმის ერთი წელიწადია, დაუფარავათ ირჩევა საერთოთ პარტიაში, და კერძოთ „პროლეტარში“) ულმერთოდ გადაურია ერთმანეთს ყველა ცნობები და „კარგათ წაიმუშავა“ მორომილ „ინტერვიუებით“

მიზანი ამ ჭორიკანობის არა ნაკლებათ ცხადია. ბურჟუაზიულ პარტიებს უნდათ, რომ გორკი გამოვიდეს ს. დ. პარტიიდან. ბურჟუაზიული გაზეთები მთელ ძალ-ღონეს ხმარობენ, რათა გაალვივონ უთანხმოება ს. დ. პარტიაში და წარმოადგინონ ის დამახინჯებულ სახით. ტყუილად სცდილობენ ბურჟუაზიული გაზეთები. ამხანაგი გორკი, თავის მშვენიერ შემოქმედებით, მეტის მეტათ მჭიდროთ არის დაკავშირებული რუსეთის მუშების და მთელი ქვეყნის მოძრაობასთან, და ამისათვის მას შეუძლია მხოლოდ ზიზღით უპასუხოს ყოველივე ამას“. (ლენინის თხუზ. კრებ. ტ. XI ნაწ. 1. გვერ. 360).

ლეგალურ ლიტერატურაში ა. ბოგდანოვი, ა. ლუნაჩარსკი და სხვ. ამ პერიოდის განმავლობაში გამოვიდნენ კრებულით: „Очерки философии колективизма“. (კრებული პირველი 1909 წ. პეტერბურგი) სადაც ა. მ. გორკის წერილი მოთავსებული იყო ბოგდანოვის, ბაზაროვის და სხვ. წერილებთან ერთად. შინაარსი: ნ. ვერნერი (ა. ბოგდანოვი)—„მეცნიერება და ფილოსოფია“. ა. ბაგდანოვი—„ფილოსოფია თანამედროვე ბუნების მკვლევარის ვ. ბაზაროვი: „მასალა კოლექტიურ ცდისა, და მისი შემადგენი ფორმები“. ა. ლუნაჩარსკი: „მეშჩანობა და ინდივიდუალიზმი“. მ. გორკი: „პიროვნების დანგრევა“.

შესაძლებელია, რომ ამ გარემოებამ გამოიწვია ვლადიმერ ილიჩის და გორკის შორის ორი წლის ვადით მიწერ-მოწერის შეწყვეტა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. მაქს—ჩს.

11—IV—10.

ძვირფასო ა. მ! მხოლოთ დღეს მივიღე თქვენი და მ. ფ. ბარათი მ. ს. ბოტკინის საშუალებით, რომ არ დამავიწყდეს: შეგიძლიათ მომწეროთ პირდაპირ ჩემ მისამართზე (Oulinoff 4 rueMerie Rose 4. Paris XIV) და პარტიის; ამ შემთხვევაში უკეთესი იქნება ორ კანვერტში წერილის ჩადება: შინა პაკეტზე დააწერეთ პირადათ ლენინისთვის. (110 Avenue d'orlèans der Katliarenko. Paris. XIV). გამოცემები, რომელსაც თქვენ მთხოვთ, ვეცდები გამოგიგზავნოთ ხვალვე. თქვენ მეკითხებით გაგინებდით მე თქვენ თუ არა, ან კიდევ სად? ალბათ „Дискусионный Листок“ში. № 1 (იცემა ცენტრალურ) ო(რგანოსთან [1]) გიგზავნით მას. თუ იმათ, ვინც თქვენ ეს გაცნობათ, მხედველობაში სხვა შემთხვევა ჰქონდათ—არ ვიცი, არ მაგონდება. ამ ხნის განმავლობაში სხვა არაფერი დამიწერია. ახლა შესახებ შეერთებისა. ფაქტია თუ ანეგდოტი? მეკითხებით თქვენ. ამის შესახებ შორიდან უნდა დავიწყო, ვინაიდან არის ამ ფაქტში „ანეგდოტიურიც“ (უფრო ცოტა) და, ჩემის აზრით სერიოზულიც. პარტიულ შეერთებისაკენ მივყავართ, ან მივყავდით ღრმა და სერიოზულ ფაქტორებს: საჭირო იყო გაგვეწმინდა ს(ოციალ)-დ(ემოკრა)ტია იდეურ სფეროში „ლიკვიდატორობის“ და „ოტზოვიზმისაგან“. ძრიელ მძიმეა პარტიისთვის და მთელ ს(ოციალ)-დემოკრატიისათვის) მის მოქმედებაში ის, რომ თან და თან ჩნდება ახალი ტიპი მუშა ს(ოციალ)-დ(ემოკრატის) პრაქტიულ სფეროში. ც(ენტრალურ) კ(ომიტეტის) [2]) პლენუმზე („გაუთავებელი პლენუმი“. სამი კვირის განმავლობაში ზოზინი, ღმერთმა დასწყევლოს, ამეშალა ნერვები!) ამ სერიოზულ ფაქტორებს, რომლებიც ბევრისათვის კიდევ შეუგნებელი დარჩა, მიემატა წვრილმანი, უბრალო; მიემატა სურვილი შერიგებისა საერთოდ (გამოურკვევლათ იმისა რაში უნდა გამოსახულიყო ეს შერიგება, ან და როგორ), მიემატა ზიზღი ბ(ოლშევიკურ) ც(ენტრისადმი) მის დაუზოგველ იდეურ ბრძოლის გამო, მიემატა „კინკლაობა“ და ცდა მენშევიკებისა მომხდარიყო სკანდალი; ყოველივე ამან დაბადა მუწუკებიანი ბავში. ახლა ვნანობთ: კარგ შემთხვევაში ამ მუწუკებს გავჭრით, გამოუშვებთ ჩირქს და გადავარჩენთ ბავშს.

ცუდ შემთხვევაში—ბავში მოკვდება. მაშინ ვიცხოვროთ რამოდენიმე ხანი უბავშოთ (კვლავ აღვადგენთ ბ(ოლშევიკურ) ფრაქციას) და შემდეგ შევქმნით ჯანსაღ თაობას. მე(ნშევიკები) მიდიან სერიოზულათ შერიგებისაკენ (ნელა, დიდ შეგნებას მოკლებულნი, ბარბაცით, მაგრამ მაინც მიდიან, და, რაც უმთავრესია არ შეუძლიათ არ წავიდნენ) მიდიან პლეხანოველები მიდიან, „პარტიულები“ მიდიან მუშები. მხოლოდ „გოლოსოველები“ აფუჭებენ საქმეს და ყოყმანობენ. ისინი ჰქმნიან მაგარ ოპორტიუნისტულ ცენტრს რუსეთში (პეტრესოვი და ამხ. ლიტერატურაში; იხ. „Наша Заря“ № 2, ახ, ეს პეტრესოვი! მასთან—მიხაილი, იური, რომანი+16 ავტორი ღია ბარათის № 19|20 „Голос“-ში, რომლებიც მასთან არიან პრაქტიკულ, საორგანიზაციო მუშაობაში[4]) ც(ენტრალურ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ(ომიტეტის) პლენიუმს სურს შეარიგოს ყველა. ახალი „გოლოსოველები“ გვცილდებიან. ეს მუწუკი უნდა იქნეს მოცილებული. ამ შემთხვევაში ვერ ასცდები სკანდალებს, ყოველგვარ სისაძაგლეს, ჩხუბს და კინკლაობას. ჩვენ ახლა ვართ მომწყვდეული ამ კინკლავის შუა გულში. ან რუსეთის ც(ენტრალური) კ(ომიტეტი) გაფცქვნის გოლოსოველებს, იმით რომ გააძევებს მათ თვალსაჩინო დაწესებულებებისაგან (მაგ. ც(ენტრალური) ორგანოსაგან და სხვა). ან აუცილებელი იქნება ფრაქციის აღდგენა. პლეხანოვმა თავის „დღიურის“ მე № 11 დაახასიათა პლენუმი და გვიჩვენა ნათლად, რომ **ახლა** მასში სჭარბობს სერიოზული და გულწრფელი სურვილი ებრძოლოს ოპორტიუნისტებს და მათ ვიწრო და წვრილმან სურვილს გამოიყენონ ოპორტუნისტები—გოლოსოვცები ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ. აქაც საქმე ჭიანურდება, მაგრამ რუსეთში შემდგარ ლეგალისტურ და ლიკვიდატორულ მე(ნშევი)კების ცენტრს იმგვარათ მიჰყავთ საქმე, რომ მათ აუცილებლათ უნდა დაშორდენ სერიოზული ს(ოციალ)-დ(ემოკრატ)ები[6]).

ახლა ვნახოთ „ვპერიოდოველები“.. ერთ ხანს მე მეგონა, რომ ამ ჯგუფში არსებობს ორი მიმდინარეობა: ერთი მარქსიზმისაკენ მახიზმის და ოტზოვიზმის უარყოფით, მეორე კი წინააღმდეგი ამისა. პირველ შემთხვევაში პარტიული შეერთება გაუხსნიდა მათ გზას „ოტზოვიზმის“ აშკარა შეცდომების არა უხეროხულად გასწორებისაკენ და სხვა. მაგრამ, მეორე მიმართულება, როგორც სჩანს, სჭარბობს. ალექსინსკი (პოლიტიკაში პირდაპირ ბავში, რომელიც გაგულისდა და ერთი-მეორეზე სისულელეს ჩადის), სკანდალით გამოვიდა „Дискуссионный Листок“-ის რედაქციიდან და პარტიის სასკოლო კომისიიდან. ალბად, ისინი შეუდგებიან თავის სკოლის მოწყობას, რომელიც იქნება ხელახლა ფრაქციული, და ხელახლა გვერდზე გამდგარი. ასე თუ მოხდა, ვიომებთ კიდევ, და მოვტაცებთ მათ მუშებს.

ამნაირათ, ხდება ის, რომ „ანეკდოტიური“ ამ შეერთებაში სჭარბობს, იკავებს პირველ ადგილს და აძლევს საბაბს ყოველგვარ დაცინვის. ამბობენ, რომ ს(ოციალისტ) რ(ევოლიუციონერმა) ჩერნოვმა დასწერა ვოდევილი ს(ოციალ)-დ(ემოკრატების) შეერთების შესახებ ამ სათაურით: „გრიგალი ერთ ჭიქა წყალში“ და ამ დღეებში ამ ვოდევილის დადგმას აპირებენ აქ, ერთ-ერთ (ყოველგვარ სენსაციამდე ხარბ) ემიგრანტულ ახალშენის ჯგუფში [6]).

საზიზღრობაა ყოფნა ამ „ანეკდოტიურ“ წრეში, ამ კინკლაობაში და სკანდალებში. საზიზღრობაა აგრეთვე უცქირო ყოველივე ამას. მაგრამ დაუშვებელია, აჰყვე მათ სულის განწყობილებას. „ემიგრანტშჩინა“ ახლა 100 ჯერ უფრო აუტანელია, ვიდრე ის იყო რევოლიუციამდე. „ემიგრანტშჩინა და კინკლავი“ (склока) ერთ მანეთში გადადუღებულია.

მაგრამ დავანებოთ „კინკლაობა“-ს თავი; $^{9}/_{10}$ ამ კინკლაობის რჩება საზღვარ გარეთ. „კინკლაობა“ აკსესუარია.

მხოლოთ პარტიის განვითარება, განვითარება ს(ოციალ)-დ(ემოკრატიულ) მოძრაობის მიდის სულ წინ, მიუხედავათ ჯოჯოხეთურ დაბრკოლებებისა, რომელიც მას წინ ელობება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს(ოციალ)-დ(ემოკრატიულ) პარტიის განთავისუფლება მისთვის სახიფათო „გადახრისაგან“ და ყოველგვარ ოტზოვიზმისა და ლიკვიდატორობისაგან შეუჩერებლათ მიიწევს წინ. შეერთების ჩარჩოში მან გაცილებით უფრო მეტად წაიწია წინ, ვიდრე წინათ. იდეურათ „ოტზოვიზმი“ ჩვენ თავიდან მოვიშორეთ პლენუმამდე მაინც. ლიკვიდატორობა მაშინ ვერ მოვსპეთ; მ(ენშევი)კებმა მოახერხეს დროებით გადაემალათ ეს ველი; მაგრამ ახლა ის გამოათრიეს სინათლეზე. ახლა მას ყველა ხედავს და ჩვენ დავიწყებთ მის მოსპობას და მოვსპობთ კიდევაც!

და ეს გაწმენდა სრულებით არ არის მხოლოდ იდეური ამოცანა და „ლიტერატურშჩინა“—როგორც ამას პეტრესოვი ფიქრობს, რომელიც ექომაგებოდა „მახისტებს“ სწორეთ ისე, როგორც მ(ენშევი)კები პლენუმში ექომაგებოდენ „ვპერიოდოველებს“.

არა, ეს გაწმენდა გადახლართულია მთელ მუშათა მოძრაობის სიღრმესთან. ის სწავლობს ს(ოციალ-დ(ემოკრატიული) მუშაობის დაყენებას ამ გაჭირვებულ დროს. ოტზოვიზმის და ლიკვიდატორობის უარყოფით ის გამოდის თავის გზაზე.

მხოლოდ... ტროცკი ფიქრობს, რომ შესაძლებელია ამ უარყოფას აუარო გვერდი, რომ ეს ზედმეტია, რომ ეს მუშებს არ ეხება, რომ ოტზოვიზმის და ლიკვიდატორობის საკითხი ისმება არა ცხოვრებით, არამედ პრესსაში ბოროტ პოლემისტების მიერ.

მე შემიძლია წარმოვიდგინო თუ რა სიმწუხარით უცქერენ ახალ ს(ოციალ)-დ(ემოკრატიულ) მოძრაობის მძიმე ზრდას ისინი, ვისაც არ უნახავთ და არ გამოუცდიათ ეს მძიმე ზრდა 80 და 90 წლებში. მაშინ ამგვარი ს(ოციალ)-დ(ემოკრატები) თითებზე ჩამოსათვალი იყვნენ. ახლა ისინი ასობით და ათასობით არიან. აქედან—ყველა ეს კრიზისები. მაგრამ (სოციალ)-დ(ემოკრატია) მოინელებს მათ პირნათლათ და პატიოსნათ.

მაგრად გართმევთ ხელს თქვენი **ლენინი.**

[1]) „Дискусионный Листок“ № 1 გამოვიდა პარიზში—6 (19) მარტი 1916 წ. იქ იყო დაბეჭდილი ვლადიმერ ილიჩის წერილი „Заметки публициста, о „платформе“ сторонников и защитников отзовизма“. (გადმობეჭდილია თხუზულ. კრებულ. ტ XI ნაწ. II, გვ. 13—22) იმ წერილში გორკის შესახებ წერია: „არ შეიძლება ითქვას, რომ სრულებით უარყოფითი იყოს რეალური შინაარსი „პლატფორმის“ ზემოყვანილ სიტყვებისა. მათში იფარება დადებითი შინაარსიც. ეს დადებითი შინაარსი ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ ერთი სიტყვით: მ. გორკი“.

გორკი, უსათუოთ, ყველაზე უფრო დიდი წარმომადგენელია პროლეტარული ხელოვნების; მან ამ საქმისთვის გააკეთა დიდი საქმე და კიდევ შესძლებს გააკეთოს. ყოველ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას შეუძლია იამაყოს იმით, რომ მ. გორკი ეკუთვნის მას, მაგრამ ამის და მიზეზით შეტანა „პროლეტარულ ხელოვნების“ პლატფორმის, ნიშნავს ამ პლატფორმისადმი სიღარიბის მოწმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მიცემას, და კიდევ იმას, რომ მიიყვანო მთელი შენი წრე ლიტერატურულ ჯგუფამდე, რომელიც თვით თავის თავს „ავტორიტეტობაში“ ამტკუნებს. „პლატფორმის“ ავტორები ბევრს ლაპარაკობენ ავტორიტეტების მიღების საწინააღმდეგოთ, მაგრამ არ არკვევენ თუ რაში არის საქმე. მაგრამ საქმე იმაში არის, რომ მათ გონიათ, თითქოს, მატერიალიზმის და სხვა ფილოსოფიაში ბოლშევიკების ბრძოლა ოტზოვიზმის წინააღმდეგ, იყოს ცალკე ავტორიტეტების საქმე, რომლებსაც „მახიზმის“ მტერნი, ვითომ ბრმათ ენდობიან. ამგვარი საქციელი, რა თქმა უნდა, ბავშურია. მაგრამ სწორედ „ვპერიოდოველები“ ეპყრობიან ცუდათ ავტორიტეტებს. გორკი—ავტორიტეტია პროლეტარულ ხელოვნებაში; ეს უდაოა. მაგრამ, „გამოყენება (რა თქმა უნდა) ამ ავტორიტეტის „მახიზმის“ და ოტზოვიზმის გასამაგრებლათ, ნიშნავს,—მისცე ნიმუში იმისა, თუ როგორ არ უნდა ხდებოდეს ავტორიტეტისადმი მოპყრობა.

პროლეტარულ ხელოვნების საქმეში მ. გორკი არის დიდი „პლიუსი“, მიუხედავათ იმისა, რომ ის მომხრეა „მახიზმი“-სა და ოტზოვიზმის. მაგრამ სოციალ-დემოკრატიის პროლეტარულ მოძრაობაში, პლატფორმა, რომელსაც ცალკე პარტიათ გამოყავს მახისტების და ოტზოვისტების ჯგუფი, და სცდილობს გამოაცხადოს, როგორც სპეციალური, ჯგუფური ამოცანა ვითომდა „პროლეტარული“ ხელოვნება, ნიშნავს „მინუსს“, ვინაიდან ეს პლატფორმა, თვალსაჩინო ავტორიტეტის მოქმედებით, სცდილობს გაამაგროს და გამოიყენოს სწორეთ ის, რაც შეადგენს მის სუსტ მხარეს; ეს კი, თავის თავად, უარყოფით ნაწილათ შედის იმ დიდ სარგებლობის ჯამში, რომელიც მას პროლეტარიატისათვის მოაქვს.

2) აქ ლაპარაკია პარტიის ც. კ. პლენუმზე, რომელიც შედგა პარიზში 1910 წ. ვლადიმერ ილიჩი იძლევა უფრო ვრცელი პლენუმის დაფასებას, ვიდრე წერილში გორკის მიმართ. იხილე ვლადიმერ ილიჩის წერილი: „Заметки публициста. об'единительный кризис в нашей партии“ („Дискуссионный Листок“ № 2—24 მაისი (7 ივნისი) 1910 წ. გადაბეჭდილია თხუზ. კრებ. ტ. XI ნაწ. II გვ. 48—94)

3) „გოლოსოვცები“—მომხრენი „Голос Социал-Демократа“-სი მენშევიკების ორგანოსი (1908—1913 წ. წ. პარიზი). რედაქტორები იყვნენ: მარტოვი, ფ. დანი, პ. აკსელროდი და სხვ.

4) „Наша Заря“—ლეგალური მენშევიკური ჟურნალი პეტერბურგში (1910—1914 წ. წ.) ამ ჟურნალის № 2, 1910 წ. მოთავსებულიყო იყო ა. ნ. პეტრესოვის წერილი ამ სათაურით: „О том, почему пустяки одолели“. ამ წერილმა გამოიწვია ყველაზე უფრო დიდი უკმაყოფილება ბოლშევიკების, და აგრეთვე ყველა იმათ მხრივ, რომელთაც უნდოდათ არა ლეგალური პარტიის გამაგრება და შენახვა. მიზეზი ამისა იყო ის, რომ წერილში აშკარათ აღიარებული იყო სრული ლიკვიდაცია რევოლიუციონურ „პოდპოლიესი“.

მიხაილ (ისუფ), რომანი (ერმოლაევი), იური (ჩაცკი—ბრონშტეინ)—მენშევიკები, წევრები ც. კ. იმათ განაცხადეს უარი ც. კომიტეტის და არა ლეგალურ ორგანიზაციის აღდგენაზე და მით მოხსნეს ც. კ. პლენუმის გადაწყვეტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება. „ღია ბარათი“ № 19—20 (იანვარი—თებერვალი 1910 წ.) „Голос Социал-Демократа“-ში იყო ხელმოწერილი 16 ცეკისტი-მენშევიკების მიერ, რომლებიც იზიარებდენ პეტრესოვის თვალსაზრისს და იცავდენ „ლიკვიდატორების“ პოზიციებს.

პეტრესოვის წერილმა, სამ ცეკისტ-მენშევიკების საქციელმა და „ღია ბარათმა“, რაშიდაც ბოლშევიკები ხედავდენ პროლეტარიატის რევოლიუციონურ პარტიის დაშლის პროპაგანდას, გამოიწვია ვლადიმერ ილიჩის მხრივ სასტიკი ბრძოლა ლიკვიდატორების წინააღმდეგ. (იხილე მისი წერილი: „Голос ликвидаторов против партии“ და სხვა. თხუზულ. კრებულ ტ XI ნაწ. II გვ. 29—36).

⁵) გ. ვ. პლეხანოვმა, რამოდენიმე თვით ადრე, ვიდრე ვლადიმერ ილიჩის წერილი იქნებოდა დაწერილი, გაწყვიტა ყოველივე კავშირი მენშევიკებთან, გამოვიდა ყველა ლეგალურ და არა ლეგალურ მენშევიკურ გამოცემათა რედაქციებიდან და განაგრძო გამოცემა თავისი საკუთარ ორგანოსი: „Дневник С.-Д.“, რომელშიდაც ის იცავდა რევოლიუციონურ „პოდპოლიეს“. ამგვარათ გახთა შესაძლებელი პლეხანოვის და ლენინის ბლოკის თანამშრომლობა ლიკვიდატორების საწინააღმდეგოთ. ეს თანამშრომლობა მართლაც განხორციელდა: პირველათ გათიშვის შემდეგ, რომელიც მოხთა 1903 წ., პლეხანოვმა 1910—13 წ. წ. მოათავსა გაზეთებში და ჟურნალებში, რომლებიც გამოდიოდენ ლენინის რედაქტორობით, წერილების მთელი წყება. (Социал-Демократ“, ჟურნალი: „Мысль“, გაზეთები „Звезда“ „Правда“).

⁶) ამას მართლაც ჰქონდა ალაგი პარიზის ახალშენში ვოდევილის ავტორი იყო „ცნობილი“ ს. რ-ი ვ. ჩერნოვი.

**წერილი 13.**

ძვირფასო ა-მ!

22/XI—10.

რამოდენიმე დღის წინათ გამოგიგზანეთ „Раб(очая) Газета“ [1]. მე გეკითხებოდით წერილში თუ რა გამოვიდა იმ ჟურნალიდან, რომლის შესახებ ჩვენ ვლაპარაკობდით ზაფხულზე [2]) და რომელზედაც თქვენ დამპირდით მოგეწერათ.

დღეს წავიკითხე „Речь“-ში განცხადება „Современник“-ის შესახებ, რომელიც თითქოს უნდა გამოიცეს ამფიტეატროვის და თქვენი უახლოვეს თანამშრომლობით. (პირდაპირ ასეა გამოცხადებული) რა მოხდა? რას ნიშნავს ყოველივე ეს? „დიდი ყოველთვიური“ ჟურნალი „პოლიტიკის, მეცნიერების, ისტორიის, საზოგადოებრივ ცხოვრების“ განყოფილებით! მაგრამ ეს სრულებით არ ჰგავს იმ კრებულს, რომელმაც უნდა მოახდინოს საუკეთესო მხატვრული ძალების კონცენტრაცია. ამგვარ ჟურნალს უნდა ჰქონდეს სრულებით გარკვეული და სერიოზული მიმართულება; წინაღმდეგ შემთხვევაში ის აუცილებლათ შეარცხვენს თავის ხელმძღვანელებს. „Вестник Европы“-ს აქვს მიმართულება, ცუდი, უნიჭო, მაგრამ მიმართულება, რომელიც ემსახურება ზოგიერთ ბურჟუაზიულ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრეებს და აერთებს პროფესორებს, „ჩინოვნიკებს და, ეგრეთ წოდებულ, ლიბერალებს „ზრდილობიან“ ინტელიგენციას.

აქვს მიმართულება Рус(ская) мысль“-ს—საზიზღარი თავის თავად, მაგრამ ამ მიმართულებამ გაუწია კარგი სამსახური კონტრრევოლიუციონურ ლიბერალურ ბურჟუაზიას. აქვს მიმართულება „Рус(ское) Богатство“-ს „ნაროდნიჩესკი—კადეტური“ შეიძლება, მაგრამ მიმართულება, რომელსაც ათი წლობით ჰქონდა თავის ხაზი, და ზურგს უმაგრებდა ზოგიერთ საზოგადოების წრეებს.

აქვს, აგრეთვე, მიმართულება „Совр(еменный) Мир“-საც ხშირად მენშევიკურ—კადეტური (ახლა პარტიულ მენშევიზმისაკენ გადახრით) მაგრამ მაინც მიმართულება. ჟურნალი, რომელსაც არა აქვს მიმართულება, არის უაზრო, წარმოუდგენელი, სკანდალური და მავნებელი. რა მიმართულება შეიძლება იყოს ამფიტეატროვის [3]) „უახლოეს“ თანამშრომლობით? ხომ არ შეუძლია გ. ლოპატინმა [4]) მისცეს მიმართულება მაშინ, როდესაც დაჟინებით ლაპარაკობენ (ამბობენ, გაზეთებმაც გაიგო ეს ამბავი) კაჩაროვსკის [6]) თანამშრომლობაზე. ამ შემთხვევაში „მიმართულება“ იქნება, მაგრამ ის იქნება უნიჭო, ესერული.

ზაფხულზე ჩვენ საუბარის დროს მე თქვენ გიამბეთ, რომ განზრახული მქონდა გამომეგზავნა თქვენთვის საყვედურის წერილი „Исповедь“-ის შესახებ. მე გითხარით, თქვენ რომ ეს წერილი არ გამოგიგზავნეთ იმ მოსაზრებით, რომ მაშინ უკვე დაწყებული იყო „მახისტებ“-თან გათიშვა, რაზედაც თქვენ მიპასუხეთ: „შეცდით რომ არ გამომიგზავნეთ“-ო. შემდეგ თქვენ მისაყვედურებდით იმას, რომ მე არ წავედი კაპრის სკოლაში [7]) და, სხვათა შორის, მიმტკიცებდით, რომ მახისტების—ოტზოვისტების ჩამოშორება იქნებოდა თქვენთვის სხვა პირობებში ნაკლებათ საგრძნობი და ამაღელვებელი. ვიგონებ ყოველივე ამას, და ვჩქარობ მოგწეროთ ჩემი შთაბეჭდილება გადაუდებლათ, ეხლავე. მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკური და ეკონომიური სქელი ჟურნალი ამფითეატროვის განსაკუთრებულ თანამშრომლობით, გაცილებით უფრო ცუდი მოვლენაა, ვიდრე მახისტებ-ოტზოვისტების ფრაქცია. ცუდი იმ ფრაქციაში იყო ის, რომ იდეურათ არ შორდებოდა მარქსიზმს და სოციალდემოკრატიას, სცდილობდა აცდენოდა მარქსიზმთან საბოლოოთ გათიშვას და რევდა საქმეს.

ამფიტეატროვის ჟურნალი (კარგი ქნა მისმა „Красное Знамя“-მ [8]), რომ დროზე მოკვდა) წარმოადგენს პოლიტიკურ გამოსვლას, რომელშიდაც არ არსებობს, ოდნავ მაინც, გაგება იმის, რომ 1905 წლის შემდეგ პოლიტიკისათვის საერთო „მემარცხენეობა“ არ არის საკმარისი, და პოლიტიკაზე ლაპარაკს, საზოგადოთ, წარმოუდგენელი და შეუძლებელია მარქსიზმის და სოციალ-დემოკრატიისადმი თავის გამოურკვევლათ.

არ ვარგა ყოველივე ეს. ცუდ ხასიათზე ვარ. თქვენი ლენინი.

მ(არია) ფ(ედოროვ)ნას salut et fraternité! [9]).

---

[1]) „Рабочая газета“. პოპულიარული გაზეთია, რომელსაც სცემდენ პარიზში ბოლშევიკები 1910—1912 წ.წ. მენშევიკებთან და ტროცკისთან გათიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის შემდეგ (რედაქტორები იყვნენ: ლენინი, ზინოვიევი, კამენევი). № 1 გამოვიდა 31 ოქტომბერს (13 ნოემბერს). 1910 წ. № 9 (და უკანასკნელი) გამოვიდა 30 ივლის (12 აგვისტოს) 1912 წ.

2) ზაფხულში 1910 წ. ვ. ი. რამოდენიმე დღე გაატარა გორკისთან კაპრიზე.

3) ამფიტეატროვი ბელეტრისტი, პუბლიცისტი. დაიწყო ლიტერატურული მუშაობა იუმორისტულ ჟურნალებში, დიდხანს თანამშრომლობდა სუვორინთან „Новое Время"-ში. შემდეგ „გამარცხენდა", მაგრამ დარჩა მაინც უპრინციპო და პოლიტიკურათ უვიცი, როგორც „Новое Время"-ში იყო. 1905 წ. რევოლიუციის შემდეგ წავიდა საზღვარ გარეთ, სადაც, 1906 წ., შეეცადა ჟურნალ „Красное Знамя"-ს გამოცემას. პირველი № გამოვიდა აპრილში 1906 წ. პარიზში. ვინაიდან მან ვერ იპოვა ვერავითარი დახმარება და თანაგრძნობა, მისი მიზეზი ჟურნალის პოლიტიკური უშინაარსობა იყო—ჟურნალი მეხუთე წიგნის შემდეგ დაიხურა.

4) გერმან ლოპატინ, შლისელბურგელი, ციხიდან გამოშვების შემდეგ სრულებით დაშორდა ლიტერატურას და პოლიტიკას.

5) კ. კაჩაროვსკი—სო-ი ავტორი „Русская община"-სი და სხვა წერილების აგრარულ საკითხზე ძველ ხალხოსნურ მიმართულებით.

6) „Исповедь" ა. მ. გორკის მოთხრობა გამოვიდა კრებულ „Знание"-ს მე 23 წიგნში 1908 წ. იმ დროს, როდესაც გაჩაღებული ბრძოლა იყო ვლადიმერ ილიჩის და ბაგდანოვის ჯგუფის შორის.

ლენინის წერილი „исповедь-ის შესახებ ჩვენ არ ვიცით, ზოგადი შენიშვნები მის შესახებ არის ლ. კამენევის წერილში „Не по дороге" (პროლეტარი" № 42, 25 (12) თებერვალი 1909 წ.), რომელიც დაწერილი იყო ვლადიმერ ილიჩის თანხმობით, და მისი კარნახით

7) იხ. შენიშვნა 1 მეთერთმეტე წერილის შესახებ.
რეზოლიუცია კაპრისისის სკოლის შესახებ)

8) იხილ. შენიშვნა 3.

9) „სალამი და ძმობა".

**წერილი 14**

ძვირფასო ა. მ!

3/I 11 წ.

დიდი ხანია ვემზადები გიპასუხოთ თქვენ წერილზე, მაგრამ აქაურმა „სკლოკამ" *) (100.000 ეშმაკმა წაიღოს ის) შემიშალა ხელი.

ლაპარაკი კი მსურს.

უპირველესათ, რომ არ დამავიწყდეს: ტრია დაჭერილია ჟორდანია და რამიშვილთან ერთად. გადმოგვცემენ რომ ეს ჭეშმარიტებაა. მეტის მეტათ საწყენია; კარგი ყმაწვილია და რევოლიუციონერი.

Соврем(енни)к" ის შესახებ. წავიკითხე დღეს „Речь"-ში შინაარსი პირველი წიგნის და ვიგინები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოდოვოზოვი მუშამცეცის შესახებ... კოლოსოვი მიხ(აილოვსკის) შესახებ ლოპატინი „Не наши“ და სხვა, და სხვა. განა შესაძლებელია არ დავაგინო? თქვენ კი თითქოს მახელებთ და ამბობთ:“ რეალიზმი, დემოკრატია, აქტივობა“.

თქვენ ფიქრობთ რომ ეს კარგი სიტყვებია?

ეს საძაგელი სიტყვებია, რომელსაც ხმარობენ ყველა ბურჟუაზიის „ლოვკაჩები“ დაწყებული კადეტებით და ესერებით ჩვენში და გათავებული ბრიანით, და მილიერანით აქ [2]) ან ლოიდ-ჯორჯით ინგლისში. საზიზღარი, გაბერილი სიტყვებია; შინაარსი კი უთუოთ ესერულ-კადეტური იქნება. არ ვარგა ეს. ტოლსტოის შესახებ სრულებით ვეთანხმები თქვენს აზრს: ფლიდები და ქულიკები იმას წმინდანათ გადააქცევენ. პლეხანოვიც გააბრაზა ტოლსტოის შესახებ ამგვარმა სიცრუემ და მონურმა წელში მოხრამ. ამაში ჩვენ შევთანხმდით. ის აგინებს ამისათვის ჩვენ „Наша заря“-ს ც. ო-ში (შემდეგი ნომერი) [3]) მე ვაგინებ „Мысль“-ს (დღეს მოვიდა პირველი ნომერი. მოგვილოცეთ: ჩვენი მარქსისტული ჟურნალი გაჩნდა მოსკოვში. დღეს, ამის გამო დიდი სიხარული განვიცადეთ.) [4])

„Звезда“-ს პირველ ნომერში (გამოვიდა ს. პეტერბურგში. 16. XII) მოთავსებულია პლეხანოვის კარგი ფელეტონი ცუდი შენიშვნით, რის გამო ჩვენ გავლანძღეთ რედაქცია. [5]) ალბათ იორდანსკი და ბონჩმა (ბრუევიჩმა) შეადგინეს ის. მაგრამ როგორ შეუძლია „Современик“-ს ებრძოლოს: „ლეგენდებს ტოლსტოის შესახებ და მის რელიგიას“ ვოდოვოზოვს და ლოპატინს? თქვენ ალბათ ხუმრობთ. თუ სტუდენტობას სცემენ—ეს სანუგეშო მოვლენაა. მხოლოდ ჩვენ ვერ ვაპატიებთ ტოლსტოის ვერც „პასივიზმს“, ვერც ანარქიზმს და ვერც „ნაროდნიჩესტვოს“. ს(ოციალ)-დ(ემოკრატიის) საერთაშორისო პოლიტიკაში დონ-კიხოტობის შესახებ, მე ვფიქრობ, თქვენ არა ხართ მართალი.

დიდი ხანია რაც თვით რევიზონისტები გაიძახიან, რომ ახალშენური პოლიტიკა არსებითად პროგრესიულია, ალრმავებს კაპიტალიზს, და ამისათვის იმის განკიცხვა სიმკაცრეში და სიხარბეში უაზროა, ვინაიდან, ამ თვისების გარეშე კაპიტალს ეკარგება თავის ძალა.

პირიქით, დონ-კიხოტობა იქნებოდა, რომ ს(ოციალ)-დ(დემოკრატებს) ეთქვათ მუშებისათვის, რომ კაპიტალიზმის განვითარების გარეშე, იყოს მათი ხსნა. მაგრამ ჩვენ ამას არ ვლაპარაკობთ. ჩვენ ვამბობთ: კაპიტალი გჭამთ თქვენ: შეჭამს სპარსელებს, შეჭამს ყველას და ეს იქნება მანამდე, სანამ თქვენ იმას არ დასცემთ. ეს ჭეშმარიტებაა. ჩვენ არ გვავიწყდება დავძინოთ. ისიც, რომ მხოლოთ კაპიტალიზმის განვითარებაში არის საშუალება მისივე მოსპობის.

არც ერთ რეაქციონურ ზომას, როგორიც არის ტრესტების აკრძალვა, ვაჭრობის შევიწროვება და სხვა, მარქსისტები არ იცავენ. მაგრამ ყველას ერგოს თავისი: ხომიაკოვებმა და ამხ. გაიყვანონ რკინის გზა სპარსეთში, გაგზავნონ ლიახოვები! მარქსისტების მოვალეობაა ეს ყველაფერი გამოაშკარაონ [6]),

გჭამთ, შეგჭამთ, გახრჩობთ, დაგახრჩობთ—თუ არ გაუწიეთ წინააღმდეგობა. პროლეტარიატის ორგანიზაციული ბრძოლა ახალშენურ პოლიტიკა-

სთან და საერთაშორისო ცარცვასთან, პროლეტარული, [illegible] თავისუფლების დაცვის საშუალებით, არ აჩერებს კაპიტალიზმის განვითარებას; პირიქით, აჩქარებს მას და იძულებულ ხდის მიმართოს უფრო ტეხნიკურათ მაღალ საშუალებებს. არის კაპიტალიზმი და კაპიტალიზმიც არსებობს შავრაზმელ-ოქტიაბრული კაპიტალიზმი, და აგრეთვე „ნაროდნიჩესკი“ (რეალისტური, დემოკრატიული, სავსე „აქტიობით“) კაპიტალიზმი.

რაც უფრო მეტათ გამოაშკარავებთ მუშების წინაშე კაპიტალიზმის „სიხარბეს“ და „სიმხეცეს“, მით უფრო გაუჭირდება პირველ კატეგორიის კაპიტალიზმს არსებობა, მით უფრო მალე მიიღებს ის კაპიტალიზმის მეორე კატეგორიის ფორმას. ჩვენთვის კი ეს ხელსაყრელია; ეს ხელსაყრელია თვით პროლეტარიატისათვისაც.

თქვენ ფიქრობთ, რომ მე ვეწინააღმდეგები ჩემ თავს? წერილის დასაწყისში ვამბობდი, რომ სიტყვები „რეალიზმი“, „დემოკრატია“, აქტივობა“ არ ვარგა, ახლა კი ეს სიტყვები მიმაჩნია კარგათ? აქ არ არის წინააღმდეგობა: პროლეტარიატისთვის ცუდია, ბურჟუაზიისთვის--კარგი.

ნემცებს აქვთ საუცხოვო ოპორტიუნისტული ჟურნალი:“ Социалистически Ежемесячник“ („Soziaeistthe Monatsnefte“). იქ დიდი ხანია რაც ვაჟბატონები, როგორიც არიან შიპელი და ბერშტეინი, ჰკიცხავენ რევოლიუციონურ ს(ოციალ) დ(ემოკრატიის) საერთაშორისო პოლიტიკას, და გაჰყვირიან რომ ეს პოლიტიკა ჰგავს „გულ შემატკივარ პირთა ლამენტაციას“. მაგრამ ეს ფოკუსია ოპორტიუნისტულ ჟულიკების, მეგობარო.

მოითხოვეთ, თუ გაინტერესებთ, ნეაპოლიდან ეს ჟურნალი, და გადაათარგმნიეთ წერილები საერთაშორისო პოლიტიკაზე. ალბათ, იტალიაშიდაც გყავთ თქვენ ამგვარი ოპორტიუნისტები; მაგრამ, უბედურება იმაშია, რომ იტალიაში თქვენ არ გყავთ მარქსისტები; აი, რით არი ის საზიზღარი.

საერთაშორისო პროლეტარიატი ორგვარათ აწვება კაპიტალს: პირველ შემთხვევაში, ოქტომბრული კაპიტალი გადაჰყავს დემოკრატიულში; მეორეში კი—ოქტომბრულ კაპიტალს იშორებს თავიდან და გადააქვს ველურებში. ეს გარემოება კი აფართოებს კაპიტალის ასპარეზს და უახლოებს მას სიკვდილს.

დასავლეთ ევროპაში, თითქმის, აღარსად აღარ არის ოქტომბრული კაპიტალი; მთელი კაპიტალი დემოკრატიულია. ოქტომბრული კაპიტალი ინგლისიდან და საფრანგეთიდან გადავიდა რუსეთში და აზიაში. რუსეთის და აზიის რევოლიუცია ებრძვის ოქტომბრულ კაპიტალს და სცდილობს შეცვალოს ის დემოკრატიულ კაპიტალით, დემოკრატიული კაპიტალი არის უკანასკნელი. მეტს გამოსავალი მას აღარ მოეპოება. შემდეგ ის უნდა დაიღუპოს.

როგრ მოგეწონათ „Звезда“ და „Мысль“? პირველი, ჩემის აზრით, მკრთალია. მეორე კი—სრულებით ჩვენია და უზომოთ მახარებს. მხოლოთ მას მალე დაჰკრავენ [7]) შეგეძლებათ თუ არა გამოარკვიოთ საკითხი ჩემი წიგნის შესახებ აგრარულ საკითხზე “Знание“-ში [8])? მოელაპარაკეთ პიატნიცკის. ვერ ვიშოვე გამომცემელი. არ ვიცი რა ვქნა.

ვკითხულობ თქვენ წარწერას: „ხელი მიკანკალებს და მიყინდება“ და აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შფოთებული ვარ. რა საზიზღარი სახლები ყოფილა კიპროსზე! ეს პირდაპირ საძაგლობაა. ჩვენთან ორთქლის საშუალებით თბება სახლები და ძრიელ თბილა. თქვენ კი „ხელები გიყინდებათ"! აჯანყდით.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი **ლენინი.**

მივიღე ბალონიიდან მოწოდება, რომ წავიდე სკოლაში. (20 მუშაა) შეუთვალე უარი. ვპერიოდოვცებთან არ მსურს საქმე დავიჭირო. გადმომყავს მუშები აქეთ.[3])

---

[1]) ტრია—ვლასა მგელაძე, ქართველი, მუშა, მენშევიკი; დელეგატი კავკასიის საოლქო კომიტეტის აგვისტოს კონფერენციაზე 1905 წ. შემდეგ მონაწილეობას ღებულობდა სპარსეთის რევოლიუციაში. 1910 წ. „სოციალ-დემოკრატმა" გამოსცა მისი ბროშიურა „კავკასიის სოციალ-დემოკრატები სპარსეთის რევოლიუციაში", ვოლონტერის (მ. პავლოვიჩის) წინასიტყვაობით.

ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი—ლიდერები კავკასიის მენშევიკების.

[2]) „აქ" ე. ი. საფრანგეთში. ვლადიმირ ილიჩი იმ დროს ცხოვრობდა პარიზში.

[3]) წერილი გ. ვ. პლეხანოვის „კარლ მარქსი და ლევ ტოლსტოი" დაბეჭდილი იყო № 19-20 „სოციალ-დემოკრატში"—პარტიის ცენტრალურ ორგანოში (13(26) იანვარი 1911 წ.).

[4]) „Мысль"—პირველი ლეგალური ჟურნალი, რომელიც შესძლენ ბოლშევიკებმა გამოეცათ 1905-1906 წ. წ. განადგურების შემდეგ. № 1 გამოვიდა 1910 წ. დეკემბერში, მოსკოვში. გამოვიდა სულ 5 ნომერი. სხვათა შორის უკანასკნელ ნომერს გაუკეთეს კონფისკაცია, და ამის გამო სულ არ იქნა გავრცელებული.

„Мысль"-ის რედაქცია იყო სავსებით საზღვარ გარეთელ ბოლშევიკების ცენტრის ხელში (ლენინი, ზინოვიევი და კამენევი). ვლადიმერ ილიჩის წერილი მენშევიკების მიერ ტოლსტოის უკანონო დაფასების შესახებ, გამოვიდა სათაურით: „Герои оговорочки" „Мысль" № 1. (იხ. თხუზ. კრებულ. ტ. XI ნაწ. II).

[5]) „Звезда"—პირველი ლეგალური გაზეთი ბოლშევიკების 1907 წ. შემდეგ. მისი გამოცემა გადაწყდა ვ. ი. ლენინის, გ. ე. ზინოვიევის, ლ. ბ. კამენევის, და ნ. გ. პოლეტაევის (ს. დ. ფრაქციის წევრი მესამე სახელმწიფო სათათბიროში) მოლაპარაკების დროს საერთაშორისო სოციალისტიურ კონგრესზე კოპენგაგენში, აგვისტო 1910 წ. „Звезда"-ში (№ 1 გამოვიდა 16 დეკემბერ 1910 წ.) მონაწილეობას ღებულობდენ ბოლშევიკების გარდა პლეხანოვი და მისი უახლოესი ამხანაგები.

„Звезда"-ს ხშირათ აჯარიმებდენ და უკეთებდენ კონფისკაციას, მე-68 ნომერზე ის იქნა დახურული 19 აპრილს 1912 წ. იმის მაგიერ გამოიცა „Нев-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ская звезда". № 1 გამოვიდა 26 თებერვალს. „Звезда"-ს № 13 ნაცვლად მეორე № გამოვიდა 3 მაისს 1912 წ. 5 სექტემბერს 1912 წ. მე.27 № შემდეგ იქნა დახურული· ამ ხანებში ბოლშევიკებმა მოახერხეს შეექმნათ ყოველდღიური გაზეთი „Правда".

შესახებ პლეხანოვის ფელეტონისა „Звезда"-ს № 1-ში „Заметки публициста" და „Отсюда и сюда", რედაქცია განმარტებს: „რედაქცია აპირებს მოათავსოს რამოდენიმე წერილის შესახებ ტოლსტოის მოღვაწეობის საზოგადოებრივ მნიშვნელობისა, რომელიც აუცილებლათ მოითხოვს ყოველმხრივ გაშუქებას".

[6]) საკითხი რუსეთის კაპიტალის მიერ სპარსეთში რკინის გზის გაყვანის ხელში ჩაგდებისა, იდგა მეტის მეტათ მწვავეთ. „Мысль"-ის № 1-ში ამ საკითხის შესახებ მოთავსებული იყო ლ. კამენევის წერილი Великий путь в Индию" „Мысль". დეკემბერი 1910 წ. № 1 გვერ. 73-79).

[7]) იხ. შენიშვნა 4.

[8]) „Книга об аграрном вопросе"—„Аграрная программа социал-демократии в первой русской революции 1905-1907 годов" დაწერილი იყო ვლადიმერ ილიჩის მიერ 1907 წ. ის არ დაბეჭდილა, და როგორც ხელთნაწერი ინახებოდა 1917 წ. ოქტომბრამდე. ვლადიმერ ილიჩმა ათი წლის განმავლობაში ვერ იპოვა გამომცემელი თავის ერთ-ერთ შესანიშნავ ნაწარმოებისათვის. „Знание"—გამომცემლობა, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობდა ა. მ. გორკი.

გამომცემლობის მოურავათ ითვლებოდა ვილაც პიატნიცკი. (ნუ აურევთ ამხ. პიატნიცკის, რომელიც ეხლა მუშაობს კომინტერნში).

[9]) სკოლა ბალონიაში წარმოადგენდა „ვპერიოდოვცების" ცდას, რათა მოეწყოთ ორგანიზაციული ბაზა თავის ფრაქციისათვის. როგორც პირველი, ისე მეორე ცდა დაბოლოვდა დამარცხებით. უმრავლესობა მუშების, რომლებიც ჩამოსული იყვნენ ამ სკოლაში რუსეთიდან, ჩვენ მოწოდებით გადმოსახლდენ პარიზში, სადაც მათთვის გაიმართა მთელი რიგი ლექციების.

---

წერილი 15.

ძვირფასო ა. მ.!

(აპრილი 1911 წ.)[1]).

როგორ ხართ? მ. ფ. მომწერა, რომ თქვენ დაბრუნებულხართ ხველებით და სხვ. მაქვს იმედი რომ ეხლა უკეთ იქნებით.

ჩვენ „Мысль"-ს ეწვია უბედურება. „Речи"-ს და სხვა გაზეთების საშუალებით თქვენ, ალბათ, გაიგებდით თუ რაშიდაც არი საქმე. იძულებული ვხდებით გადავიტანოთ საქმე პიტერში, და ხელახლა შეუდგეთ მუშაობას. მაგრამ ჩვენ არა გვყავს საიმედო ლეგალური პირები. ნუ თუ თქვენ არ შეგეძლებოდათ დაგვხმარებოდით თუ თანაუგრძნობთ „Мысль"-ს? ან და შეიძლება პიატნიცკი[2]) მოგვხმარებოდა? საქმე იმაში არის, რომ ჩვენ კიდევ გვაქვს იმდენი თანხა, რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოვცეთ პატარა ჟურნალი (რა თქმა უნდა იმ პირობით, თუ ჩვენ [illegible]-რომლებით უფასოთ, და გარეშე პირთ კი მივცემთ ფურცელში 20 მან. როგორც ხედავთ, არც ისე ბევრია!) მაშასადამე, ახლა დახმარება საჭიროა უმთავრესად ტეხნიკური. უნდა მოვნახოთ იმნაირი გამომცემელი, რომელმაც შესძლოს ჟურნალის გამოცემა ისე, რომ მას **არ დაეხარჯოს თავის ერთი კაპეიკიც.** სხვათა შორის, ჩვენ იმდენათ ვიცავთ მკაცრ ლეგალობას, რომ უფლებას ვაძლევთ გამომცემელს, და აგრეთვე რედაქციის მდივანს, დააკავოს ყოველივე, რაც საშიში იქნება. ოთხი ნომერი ჩვენ გამოუშვით ისე, რომ სასამართლოს არავითარი მიზეზი არ უპოვნია. მეხუთე ნომერი დაკავებულია კაუტსკის გამო!! ცხადია რომ ეს—მიზეზის პოვნაა!

არაფერი არა ლეგალური კ(აუტსკის) წერილში არ ყოფილა. ნუ თუ არ შეუძლია პიატნ(იცკის), ან სხვა ვინმეს, დაგვეხმაროს ამგვარ, არა სახიფათო, საქმეში?

თუ გამომცემელის შოვნა შეუძლებელია, არის თუ არა საშუალება ვნახოთ მდივანი ლეგალური პიროვნება—რომელსაც ჩვენ დაუნიშნავთ თვეში ორმოცდაათ მანეთს, მხოლოდ იმისათვის, რომ თავად იკისროს სტამბასთან და ექსპედიციასთან ხლაფორთი. ჩვენ არა გვყავს ლეგალური პირები გარდა მუშებისა (ისინი არ გამოდგებიან) ეს არის ჩვენი უბედურება.

მეორე საქმე. ჩვენს განკარგულებაშია მასლოვის[3]) წინააღმდეგ კაუცკის უკანასკნელი წერილების თარგმანი, ფული გადახდილია. წერილები ლეგალურია, და მეტათ საჭირო, ვინაიდან მასლოვმა უსინდისოდ მოატყუა რუსეთის მკითხველი. იქნება სამი, ან ოთხი, ნაბეჭდი ფურცელი.

მოვახერხებთ თუ არა გამოვცეთ უჰონორაროთ. (ვინაიდან თარგმანში ფული უკვე გადახდილია) იმ ფასში, რაც ჩვენ თავად დაგვიჯდება? ვარგა ამ საქმისათვის პიატნ(იცკი) (ან სხვა ვინმე) თუ არა?

მესამე საქმე. ნახამკესი, რომელიც გამოგზავნილია აქ პეტერბურგიდან ს(ოციალ)-დ(ემოკრატიულ) ფრაქციასთან დამოკიდებულების გამო (ნევზოროვი, იგივე სტეკლოვი, ავტორი ჩერნიშევსკის შესახებ კარგი წიგნისა) ეძებს სამუშევარს, და მთხოვს შევეკითხოთ შესაძლებელია თუ არა გამოიცეს **პირრი**: „მოგზაურობა ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ“. ფიქრობს რომ გავრცელდება. რას მაცნობებთ ახალს „გეგმების“ შესახებ? მომწერეთ. ჩვენი სკოლის მუშებს უპასუხეთ. კარგი ხალხია. ერთი პოეტია, საცოდავი, სულ ლექსებს სწერს და არ ჰყავს წინამძღოლი, თანამშრომელი, დამრიგებელი და საქმის მრჩეველი.

გართმევთ ხელს თქვენი **ლენინი.**

Robert E Peaery:

„La dècouverte du pole nord“. Paris- საუცხოვო ილიუსტრაციები. კლიშე შეიძლება იაფათ შეიძინოთ აქ. იქნება თითქმის 15 დაბეჭდილი ფურცელი 40.000 ასოთი. (ეს არის ვიყავი სტეკლოვთან, რომელმაც მაცნობა ყოველივე წვრილმანი).

ეროვნული

[1] წერილის თარიღი არა აქვს. შინაარსით ეკუთვნის [illegible] როდესაც დაიწერა „Мысль"-ი. ე. ი. 1911 წ. აპრილს.

[2] იხ. შენიშვნა 8 მე თოთხმეტე წერილის შესახებ.

[3] ლაპარაკია მასლოვის წერილებზე „Neue Zeit"-ში 1911 წ. № 17 27 იანვარს, გვერ. 583—587, მასლოვმა მოათავსა წერილი: „Угрожает ли человечеству переноселение" წერილი იყო მიმართული კაუცკის წიგნის წინააღმდეგ: Vermehrung und Entvicklung in Natur und gesecellschaft".—„გამრავლება და განვითარება ბუნებაში და საზოგადოებაში", რომელიც გამოიცა 1910 წ. კ. კაუტსკიმ უპასუხა მასლოვს მკაცრი კრიტიკით დიდ წერილში, რომელიც მოთავსებული იყო „Neue Zeit"-ის სამ ნომერში, (18, 19, და 20. 1911 წ. გვერ. 620—627, 652—662, 684—697) შემდეგ სათაურით: „Maltusianismus und Socialismus"—„მალტუზიანიზმი და სოციალიზმი".

„Neue Zeit"-ს № 29, 21 აპრილს მასლოვი წერილში: „Virtschäftssystem und die Steuerung" უპასუხებს კაუცკის და აყვედრებს რომ კაუცკიმ ის ცუდათ გაიგო.

კაუცკიმ უპასუხა ახალი წერილით: „Boden fragen" („Neue Zeit„—№ 33 19 მაისი გვერ. 209-219 და № 34 26 მაისი გვერ. 259-270).

**წერილი 16.**

27. V. 11;

**ძვირფასო ა. მ.**

ამ დღეებში მივიღე ბარათი პოლეტაევისაგან [1]) სხვათა შორის ის მწერს: „მივიღე წერილი გორკისაგან. ის აძლევს წინადადებას ნ. ი. [1]) წამოვიდეს საზღვარგარეთ, რათა შემუშავებულ იქნას გეგმა რომელიმე ორგანოს გარშემო შეკავშირების შესახებ; ამასთან ერთად დასძენს, რომ ამის შესახებ გელაპარაკათ თქვენ და მ(ენშევი)კს მ. (მიხვდი, მარტოვი უნდა იყოს).

პოლეტაევი, გარდა ამისა, მწერს, რომ ნ. ი. (იორდანსკი) ამ გეგმისათვის არ გამოდგება, და თუ ჩამოსვლა საჭიროა, უნდა წამოვიდეს კიდევ სხვა ვინმე. პოკროვსკი [3]), ვგონებ, არ წამოვა.

პოლეტაევის წერილის წაკითხვის შემდეგ მე შემეშინდა, ღმერთმანი, შემეშინდა!

შეერთება ჩვენი მ(ენშევი)კებთან, როგორც მარტოვია, აბსოლიუტურათ უიმედოა: ამის შესახებ მე თქვენ აქაც გელაპარაკეთ·

თუ ჩვენ შევუდგებით „ყრილობის" მოწყობას ამგვარ უიმედო საქმისათვის მოგვეჭრება თავი (მე პირადათ არც კი წავალ მარტოვთან მოსალაპარაკებლად).

პოლეტაევის წერილიდან სჩანს, რომ განზრახულია სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციამაც მიიღოს მონაწილეობა. საჭიროა თუ არა ეს? თუ საქმე ეხება ჟურნალს, მაშინ სახელმწიფო სათათბიროს ფრაქცია არაფერ შუაშია. თუ ეს ეხება გაზეთს, მაშინ უნდა იქონიოთ მხედველობაში ის, რომ „Звезда"-სთან ჩვენ გვქონდა და გვაქვს **საკმაო** უთანხმოება: მათ არა აქვთ თავის ხაზი: მათ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეშინიათ ჩვენთან ერთად სიარულის; ეშინიათ იყონ ლიკვიდატორებთან; იკუნტებიან, იგრიხებიან და ყოყმანობენ.

გარდა ამისა, თუ განიზრახავთ პლეხანოვცების, ჩვენი და სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციის გაერთიანებას, უნდა იქონიოთ მხედველობაში ისიც, რომ ამით ჩვენ მივცემთ წარმატებას პლეხანოვს, ვინაიდან სათათბიროს ფრაქციაში უმეტესობას შეადგენენ მენშევიკები. განა სასურველია ეს, ან აქვს რაიმე აზრი, რომ მივცეთ წარმატება პლეხანოვს? მე ძრიელ ვშიშობ, რომ იორდანსკი ამ გეგმისათვის არ გამოდგება (მას აქვს **თავის** ჟურნალი, და ყოველნაირად შეეცდება ან საქმე გააჯახიროს, ან ყველაფერი გამოიყენოს თავის ჟურნალისთვის, რომელიც დარჩება ისეთივე ნახევრად ლიბერალური).

თავი რომ დავახწიოთ იმედების გაცრუებას, ან და უიმედო კინკლაობს (склока), საჭიროა, ჩემის ფიქრით, ვიყოთ მეტის მეტად ფრთხილი „გაერთიანების“ შესახებ: მერწმუნეთ, ეხლა შეერთება კი არა, დაშორებაა საჭირო! თუ გამოჩნდება გამომცემელი ჟურნალის, ან გაზეთის, საჭიროა მასთან შეჰკრათ პირობა, მხოლოდ თქვენ. (შეგიძლიათ გამოართვათ მას ფული ხელშეკრულების დაუდებლათ, თუ შეგეძლებათ) რაც შეეხება ყრილობის მოწყობას—გამოვა „დომხალი“, მერწმუნეთ, მხოლოდ „დომხალი“ გამოვა.

გწერთ ამას იმისათვის, რომ ყველაზე ნაკლებათ მსურს, რომ დაჰკარგოთ დრო, აიშალოთ ნერვები და სხვა. თავად მე, 1908—1911 წ. წ. მწარე გაკვეთილით, **ვიცი**, რომ გაერთიანება ეხლა შეუძლებელია.

„Мысль“-ში, მაგალითად, პლეხანოვი ჭირვეულობდა არა ერთხელ; უკმაყოფილო იყო ჩემი წერილით გაფიცვების და პოტრესოვის [5]) შესახებ; ამბობდა, რომ მე ის თითქოს გავლანძღე!

საქმე მოვაწესრიგეთ გაჭირვებით; პლეხანოვთან მუშაობა, ჯერ-ჯერობით, შეიძლება და საჭიროც არი, მაგრამ ფორმალური გაერთიანება და „ყრილობები“ საქმეს უსათუოთ წაახდენენ.

ნუ უჩქარით „ყრილობებს“!

აქ დანამდვილებით ლაპარაკობენ, რომ არსებობს სტოლიპინის ცირკულიარი, რომლითაც სუყველა ს. დ. ორგანოები გამოცხადებულია დახურულათ. ეს სიმართლესთან ახლოა. მე IV სახელმწიფო სათათბიროს გახსნამდე, ალბად, ათჯერ უფრო მეტათ მოგვიჭერენ ხელს.

ლეგალური საშუალებანი ახლო მომავალში, როგორც სჩანს, შემცირდებიან; უნდა მივაწვეთ არალეგალურ მუშაობას.

მ. ფ. მწერდა, რომ თქვენ სულ დაშორდით „Знание“-ს. მაშასადამე მოხთა სრული გათიშვა პიატნ(იცკისთან) და ჩემმა წერილმა დაიგვიანა [6])?

გართმევთ ხელს თქვენი **ლენინი.**

P. S. „Современная жизнь“ დახურეს ბაქოში და ჩაახრჩვეს! [7]).

ეროვნული ბიბლიოთეკა

[1]) ნ. გ. პოლეტაევი—ბოლშევიკი, წევრი III სახელმწიფო სათათბიროსი ორგანიზატორი „Звезда"-ს და „Правда"-ს დაარსებაში.

[2]) ნ. ი.—ნ. ი. იორდანსკი "Современный Мир"-ის რედაქტორი; ემხრობოდა გ. ვ. პლეხანოვს და იღებდა მონაწილეობას ორგანიზაციაში და ითვლებოდა თანამშრომლად „Звезда"-ში. ეხლა კომუნისტია.

[3]) ი. ნ. პოკროვსკი—სოციალ-დემოკრატი; მე-III სახელმწიფო სათათბიროს წევრი; იღებდა მონაწილეობას ორგანიზაციაში და ითვლებოდა „Звезда"-ს თანამშრომლად.

[4]) ე. ი. სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მე-III სახელმწიფო სათათბიროში. მე-III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ბოლშევიკების და ლიკვიდატორების ბრძოლის ხანაში, ყოყმანობდა და ვერ ახერხებდა დაეკავებია რომელიმე გარკვეული პოზიცია. ფაქტიურად იყვენ უფრო ახლო მენშევიკებთან, ზოგიერთ წევრების და ნ. გ. პოლეტაევის გამოკლებით, რომელიც ყოველთვის ბოლშევიკებთან იყო და ეხმარებოდა მათ დაეყენებიათ „Правда" და „Звезда".

[5]) ლენინის წერილი: „გაფიცვების სტატისტიკა რუსეთში" № 1 „Мысль" დეკემბერი 1910 წ. და № 2 იანვარი 1911 წ.

ლენინის წერილი: „Герои Оговорочки" № 1 „Мысль" დეკემბერი 1910 წ.

[6]) „Знание"-ს და პიატნიცკის შესახებ იხ. № 14 წერილზე შენიშვნა № 8.

[7]) „Современная жизнь" გაზეთი ბაქოს მუშების, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობდენ ბოლშევიკებიც. გამოვიდა სულ სამი ნომერი 1911 წ.

### წერილი 17.

(1912 წ. ზაფხულამდის).[1]).

ძვირფასო ა. მ!

შაბათს ვარ თავისუფალი და სახლში ვიქნები. გეხერხებათ თუ არა 2½ საათზე? თუ არა შემიძლია საღამოს.

გართმევთ ხელს თქვენი **ლენინი.**

4. Rue Mapie Rose, მეორე სართული (რუსულათ მესამე) მარცხენა კარები.

[1]) სწორი თარიღის აღდგენა ვერ შევძელით. ეკუთვნის პარიზის პერიოდს. ე. ი. ზაფხული 1912 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### წერილი 18.

კრაკოვის 1 აგვისტო
1912 წ.
Krakau Oesterreich
Zwierzyniec 218
Ul. Uljanov.

ძვირფასო ა. მ!

მივიღე თქვენი და ციმბირელების ბარათი. ჩემი მისამართი ეხლა პარიზი კი არა—კრაკოვი არის—იხილე ზევით.[1])

ვერ გავიგე, რომელ პარტიიდან გსურთ თქვენ ჩემი გამორიცხვა? ესერების პარტიიდან ხომ არა?

ხუმრობის გარეშე, თქვენ აგირჩევიათ ცუდი გზა მოქალაქეობრივი, ბურჟუაზიული—ჩააქნიოთ ხელი და თქვათ: ,,თქვენ ყველანი ,,კინკლაობის" მომხრე ხართ", გადაავლეთ თვალი ესერების ახალ ლიტერატურას: ,,Почин" ,,Изв(естия) загр(аничной) областной о(рганиза)ции" და შეადარეთ Рев(олюционная) мысль"-ს, „Рев(олюционная) Россия"-ს ან კიდევ როპშინს [2]) და სხვა. მოიგონეთ ,,Вехи",[3]) და მისი პოლემიკა (quasi—პოლემიკა) მილიუკოვთან; გროდესკული, (რომელმაც ახლა აღმოაჩინა, რომ რუსეთში მეორე რევოლიუცია საჭირო არ არის) და სხვა, და სხვა.

შეუთანაბრეთ ყოველივე ეს, ე. ი. 1908—1812 წლებში არსებულ ესერების, ტრუდოვიკების, ბეზზაგლავცელების [4]) და კადეტების იდეური მიმდინარეობათა ჯამი იმას, რაც ჰქონდათ და აქვთ ს. დ. (ოდესმე, რომელიმე ისტორიკოსი უსათუოთ ამ საქმეს გააკეთებს). თქვენ დაინახავთ, რომ ყველანი თითქმის ყველანი ს. დ. გარეშე, სწყვეტდენ იმ საკითხებს, რომელთა გამო ჩვენ პარტიას ჩამოშორდენ პატარა ჯგუფები ლიკვიდატორების და ოტზოვისტების მისამხრობლათ.

ს. დ—ბთან ,,კინკლაობის" შესახებ უყვართ ყვირილი ბურჟუებს, ლიბერალებს, ესერებს, რომლებიც ,,მტკივნეულ საკითხებს" ეხებიან არა სერიოზულათ, მიჩანჩალობენ სხვებს უკან, ეწევიან დიპლომატიას და თავს იქცევენ ეკლექტიზმით. ყველა იმათგან ს(ოციალ)დ(ემოკრატები) განირჩევიან იმით, რომ ს. დ.—ბთან ,,კინკლაობა" ახასიათებს ღრმა და ნათელ იდეურ მიმართულების ბრძოლას პატარა ჯგუფებთან; მათი ,,კინკლაობა" კი გარეგნულათ შელამაზებულია, შიგნით ცალიერია, წვრილმანი და საცოდავი.

არასდროს არ გავცვლიდი მე ს. დ—ების მიმდინარეობათა გამწვავებულ ბრძოლას, ს. რ—ების და ამხ. შელამაზებულ სიცალიერეზე და სისაწყლეზე.

გართმევთ მაგრათ ხელს თქვენი **ლენინი**

P. S. სალამი მ. ფ!

P. P. S. რუსეთში კი არსებობს რევოლიუციონური აღტაცება არა რაიმე სხვა, არამედ ნამდვილი რევოლიუციონური. ჩვენ, სხვათაშორის, მაინც მოვა-

ეროვნული

ხერხით დაგვეყენებია ყოველდღიური „Правда“ სწორეთ ამ [illegible] კონფე-რენციის საშუალებით, რომელზედაც ყეფენ სულელები [5])

---

[1]) ზაფხულში 1912 წ. ვლადიმერ ილიჩი გადავიდა კრაკოვში, სადაც მან იცხოვრა 1914 წ. აგვისტომდე, ე. ი. ომის დაწყებამდე. მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ვლადიმერ ილიჩის და მასთან ერთად სხვა ემიგრანტი-ბოლშევიკების (გ. ზინოვიევის, ლ. კამენიევის) გადასახლება პარიზიდან კრაკოვში, ნაჩვენებია ვლადიმირ ილიჩის მიერ შემდეგ წერილში (№ 19).

[2]) „Почин“ „Известия заграничной областной партии С. Р.“ „Революционная Мысль“—ორგანოები სხვა და სხვა ჯგუფების ემიგრანტ—ეს—ერებისა, რომლებიც იდგენ მარცხენა ან მარჯვენა ოპოზიციაში ს. რ—ების პარტიის ცენტრალური ჯგუფის მთავარ ხაზისსადმი, რომელსაც, თავის მხრით, ჰქონდა ოფიციალური ორგანო: „Знамя Труда“ ამ ორგანოს ვლადიმირ ილიჩმა შეცდომით მიაკუთვნა „Революционная Рассия“-ს სახელი.

შეცდომა აიხსნება იმით, რომ 1905 წლამდე ცენტრალურ ეს—ერების ორგანოს ეწოდებოდა „Революционная Россия“ ყველა ზემოთ მოხსენებული ორგანოები გამოდიოდენ საზღვარ გარეთ 1908—1913 წ. წ.

ამ წლებში ეს—ერმა სავინკოვმა, ვ. როპშინის ფსევდონიმით, გამოაქვეყნა ორი რენეგატული რომანი რევოლიუციონერების ცხოვრებიდან: „Конь бледный“, „Русская Мысль“-ში 1909 წ. წიგნი პირველი იანვარი; და „То чего не было“ („Три брата“) ჟურნალ „Завети“-ს წიგნაკებში—პირველში 1912 წ. აპრილში, და მეოთხე წიგნაკში 1913 წ. აპრილში. ეს აქვს მხედველობაში ვლადიმერ ილიჩს.

[3]) „Вохи“—წერილების კრებულია რუსეთის ინტელიგენციის შესახებ. მოსკოვი 1909 წ. შინაარსი:

წინასიტყვაობა. ნ. ა. ბერდიაევი—„Философская истина и интеллигентская правда“.

ს. ნ. ბულგაკოვი—„Героизм и подвижничество“

მ. ო. გერშენზონი—„Творческое самосознание“.

ბ. ა. კისტიაკოვსკი—„В защиту правды.“

პ. ბ. სტრუვე—„Интеллигенция и революция.“

ს. ლ. ფრანკ—„Этика нигилизма“.

ა. ს. იზგოევი—„Об интеллигентной молодежи“. კრებულმა შეასრულა კონტრ-რევოლიუციონური ინტელიგენციის მანიფესტის როლი.

წიგნის გამომცემლობაში „Земля“ 1910 წელში, გამოვიდა წერილების კრებული: „Интеллигенция в России“, რომელიც ეკამათებოდა „ვეხებს“.

შინაარსი ამ კრებულის: ი. ი. პეტრუნკევიჩი—Интеллигенция и вехи“. კ. კ. არსენევი—„Пути и приемы покаяния“ ნ. ა. გრედესკული—„Перелом Русской интеллигенции и его действительный смысл“. მ. მ. კოვალევსკი—„Взаимоотношения свободы и общественной солидарности“. პ. ნ. მილიუკოვი—„Интеллигенция и историческая традиция“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ნ. ოვსიანიკო—კულიკოვსკი—,,Психология русской интеллигенции''. მ. ა. სლავინსკი—,,Русская интеллигенция и национальный вопрос''. მ. ი. ტუგან-ბარანოვსკი—,,Интеллигенция и социализм''.

ვლადიმირ ილიჩმა უძღვნა „ვეხებს" რამოდენიმე მოხსენება რუსეთის კოლონიებში საზღვარ გარეთ და რამოდენიმე წერილი (იხ. თხუზულ. კრებული ტ. XIX გვ. 23—25 „Веховцы и национализм'' და ტ. XI ნაწ. 2).

[4]) ბეზზაგლავცელებს უწოდებდენ ე. კუსკოვაიას, ს. პროკოპოვიჩის, ვ. ბოგუჩარსკის და სხვ. ჯგუფს ჟურნალის სათაურით: „Без заглавия", რომელსაც ეს ჯგუფი სცემდა 1906 წ. კადეტების პარტიიდან გამოსვლის შემდეგ.

[5]) იანვრის (1912) კონფერენცია პრაგაში მოწვეული იყო ბოლშევიკების მიერ მენშევიკებთან, „ვპერიოდოვცელებთან" და ,,ტროცკისტებთან" საბოლოო გათიშვის შემდეგ. ამ კონფერენციაზე აღდგენილ იქნა პარტიის ცენტრალური აპარატი.

აქვე გადაწყდა საკითხი, რომ ყოველკვირეულ ,,Звезда''-დან გადასულიყვნენ ყოველდღიურ გაზეთზე, რომელიც ,,Правда''-ს სახელით გამოვიდა 1912 წ. აპრილში.

**წერილი 19.**

(აგვისტო—სექტემბერი 1912) [1]).

**ძვირფასო ა. მ.**

თუ თქვენ აღიარებთ, რომ ,,ჩვენი კინკლაობა გამოწვეულია იდეურ მიმართულებათა შეურიგებელ განსხვავებებითა", რომ ესერებიდანაც აგრეთვე—(რომ კადეტებსაც აქვთ აგრეთვე—,,Вехи''—ეს თქვენ არ დაგიმატაბიათ, მაგრამ ეს იქვს გარეშეა)—არსდება რეფორმატული (მოსწორებული სიტყვაა!) პარტია—მაშინ **შეუძლებელია** თქვას ლიკვიდატორმა ან და მისმა მტერმა: ,,თქვენ ორთავე კინკლაობის მომხრენი ხართ''-ო.

მაშინ იმათი საქმე, რომლებმაც გაიგეს კინკლაობის იდეური ფესვები მონაწილეობის მიუღებლად, გამოიხატება იმაში, რომ მოეხმარონ მასსას ამ ფესვების მონახვაში, და არა იმაში, რომ გაამართლონ მასსა იმისათვის, რომ ის უყურებს ამ კამათს ისე, როგორც „კერძო გენერლის საქმეს".

ჩვენ „ლიდერებმა ვერ დავწერეთ ვერც ერთი გასაგები წიგნი, ვერც ერთი დიდი წიგნაკი"... ტყუილია. როგორც შეგვეძლო, ვწერდით. არა ნაკლებ გასაგებათ, არა ნაკლებ შინაარსიანათ, ვიდრე უწინ. და ბევრსაც ვწერდით. იყო შემთხვევა—ვწერდით ,,კინკლაობის" გარეშე მდგომ ზოგიერთ ადამიანთა წინააღმდეგ. („ვეხების" წინააღმდეგ, ჩერნოვის წინააღმდეგ, როჟკოვის წინააღმდეგ და სხვა) [2]). (ნახულობთ თუ არა თქვენ ,,Нев(ская) Звезда-ს ყველა ნომრებს?)... „ამის შედეგი ასეთია: რუსეთში ეხლა არის ბევრი კარგი ახალგაზრდა მუშებთა შორის, მაგრამ ისინი ისე მკაცრათ არიან განწყობილი საზღვარ გარეთის წინაღმდეგ''... ეს ფაქტიურათ მართალია, მაგრამ

ეროვნული

ეს არა „ლიდერების“ შეცდომების შედეგია, არამედ ემიგრან[illegible]ების რუსეთთან დაშორებისა, ან და, უკეთ რომ ვსთქვათ, ჩამოშორებისა საჭიროა გაწყვეტილი გადავაბათ, ლიდერების გინება კი იაფფასოვანია, პოპულიარული, მაგრამ ნაკლებათ სასარგებლო... „რა უშლის მუშებს მიიღონ მონაწილეობა კონფერენციაზე“...

(რომელ კონფერენციაზე? რომელსაც ეხლა ლიკვიდატორები აწყობენ? ამას ჩვენც უშლით! ეგებ აქ თქვენ რაიმე გაუგებრობაში ვარდებით? [3]).

წავიკითხე რომ ამფიტრიატროვი თითქმის ვარშავას გაზეთშიც კი უცხადებდა მე IV სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტს. შეიძლება თქვენ გაქვთ ეს წერილი. გამომიგზავნეთ—დაგიბრუნებთ.

ბალტიის ფლოტში კი დუღს! ჩემთან იყო პარიზში (ეს ჩვენ შორის დარჩეს) განსაკუთრებული დელეგატი, გამოგზავნილი მატროსების ყრილობიდან და ს. დ.-ბიდან. ორგანიზაცია არ აქვთ—ტირილი მომდის!! თუ თქვენ გაქვთ ოფიცრებთა შორის რაიმე დამოკიდებულება—საჭიროა ყოველი ძალ-ღონე იხმაროთ, რათა ეს საქმე მოაგვაროთ.. მატროსების სულიერი განწყობილება მებრძოლია, მაგრამ შეუძლიათ ხელ-ახლა ყველაფერი უსარგებლოთ დაღუპონ.

თქვენი წერილები „Запросы жизни“-ში არ გამოდგა კარგი [4]) უცნაური ჟურნალია, სხვათა შორის!—ლიკვიდატორული, ტრუდოვიკული, ვეხისტური. თუმცა, სწორეთ „არაწოდებრივი, რეფორმატული პარტიაა“..

თქვენ მე მეკითხებით თუ რატომ ვარ ავსტრიაში. ც. კ.-ამ დაარსა აქ ბიურო (ეს ჩვენ შორის დარჩეს): ახლოა საზღვარი, ახლოა პიტერი, მესამე დღეს მოგვდის იქიდან გაზეთები, იქაურ გაზეთებში წერა ძრიელ გაგვიადვილდა, თანამშრომლობა გაცილებით უფრო ადვილი შეიქნა. კინკლაობა აქ ნაკლებია—ეს პლიუსია. ბიბლიოთეკა არა გვაქვს კარგი—ეს მინუსია., წიგნების არ ქონებლობა მეტად მძიმეა.

გართმევთ მაგრათ ხელს. თქვენი **ლენინი**

სალამი მ. ფ.

---

[1]) წერილს არა აქვს თარიღი. ეკუთვნის აგვისტოს, ან 1912 წ. სექტემბერს.

[2]) ვლადიმერ ილიჩის წერილები „ვეხების“ წინაღმდეგ ნაჩვენებია № 18 წერილის მესამე შენიშვნაში. ვლადიმერ ილიჩის სპეციალური წერილები ჩერნოვის წინაამდეგ ამ წლების განმავლობაში არ არსებობს. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ, ამ შემთხვევაში, ვლადიმერ ილიჩს ჰქონდა მხედველობაში ლ, კამენევის წერილები ჩერნოვის შესახებ: „Об обязанностях демократа“ (პასუხი ვ. ჩერნოვს) (№ 8—9 1912 წ. ივლისის და აგვისტოსი და № 2 „Просвещение“-სი თებერვალი 1913 წ.) ნ. როჟკოვის საწინაღმდეგოთ. რომელმაც ბოლშევიკებისაკენ გადიხარა, ვლადიმერ ილიჩმა გამოილაშქრა წერილით: „Мани-

ეროვნული ბიბლიოთეკა

фест либеральной рабочей партии „Звезда“-ს № 32 3 დეკემბერი 1911 წ.

[3]) ვლადიმერ ილიჩს ჰქონდა მხედველობაში ეგრედ წოდებული „ავგისტოს კონფერენცია“ 1912 წ., რომელიც მოწვეულ იქნა ბოლშევიკების იანვრის კონფერენციის საწინააღმდეგოთ, მენშევიკების, ვპერიოდოვცელების ტროცკისტების და სხვ. შეერთებულ ძალების მიერ. ბოლშევიკებმა, ცხადია, არავითარი მონაწილეობა ამ კონფერენციაში არ მიიღეს.

[4]) „Запросы жизни“—ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1909—1912 წ. წ.

პირველი № გამოვიდა 18 ოქტომბერს 1909 წ. უკანასკნელი № 52—დეკემბერში 1912 წ.) მაქსიმ კოვალევსკის, და რ. მ. ბლანკას უახლოეს თანამშრომლობით. საბოლოო დახასიათება მოცემულია თვით ვლადიმერ ილიჩის წერილში.

ა. მ. გორკიმ მოათავსა იქ წერილები: „Издалека“ № 11 16 დეკემბერი 1911 წ. და №№ 7 17 თებერვალი) 11 ( 16 მარტი), 13 (31 მარტი) 27 (6 ივლისი), 29 (20 ივლისი) 1912 წ. და აგრეთვე რამოდენიმე ნაწილი თავის „ზღაპრები“-დან

---

WERILI 20.

(7 ნოემბერი 1912 წ.) [1])-

ძვირფასო ა. მ!

რამოდენიმე დღეა რაც პიტერიდან მომივიდა წერილი: „Правда“-ს რედაქცია მე მთხოვს მოგწეროთ თქვენ, რომ მისთვის მეტის-მეტად სასიხარულო იქნებოდა თქვენი მუდმივი თანამშრომლობა. მწერენ ასე: „გვინდა შევაძლიოთ გორკის ხუთი შაური სტრიქონში, მაგრამ გვეშინია, რომ არ ეწყინოს.“-ო.

ჩემის ფიქრით აქ საწყენი არაფერია. არავის არ შეუძლია იფიქროს, რომ თქვენი თანამშრომლობის საკითხი შეიძლება შეიცვალოს გონორარის მოსაზრებით. ყველამ კარგათ იცის აგრეთვე ისიც, რომ მუშურ „Правда“-ს, რომელიც ჩვეულებრივად იძლევა ორ კაპეიკს სტრიქონში და უფრო ხშირად კი სრულებით არაფერს არ იძლევა, გონორარით მოხიბლვა, საერთოდ, არ შეუძლია.

მაგრამ, მუშური გაზეთის თანამშრომლებმა რომ მიიღონ, თუნდაც მცირეოდენი, მაგრამ რეგულიარული გასამჯელო, ამაშიდ გლახა არაფერი არ არის, გარდა კარგისა. ტირაჟი ეხლა უდრის 20—25 ათასს. დრო არის იზრუნონ იმაზე, რომ თანამშრომლების შრომის ფასის საკითხი იქნეს ბეჯითად დაყენებული. რა არი აქ ცუდი, თუ რომ თანდათანობით ყველა მომუშავენი მუშურ გაზეთში იშოვიან რამეს? და რა შეიძლება იქნეს ამ წინადადებაში საწყენი?

მე დარწმუნებული ვარ, რომ პიტერის „Правда“-ს რედაქციის შიში სრულებით უსაფუძლოა, და თქვენ მათ წინადადებას შეხვდებით მხოლოდ ამხანაგურად. მისწერეთ ორიოდე სიტყვა ან მათ პირდაპირ რედაქციაში, ან მე.

ეროვნული

ხვალ პიტერში მოხთება ამრჩეველთა არჩევნები (მუშათა [illegible]) ლიკვი-დატ(ორებთან) ბრძოლა გაჩაღდა. მოსკოვში და ხარკოვში გაიმარჯვეს „პარტი-ცებმა“.

ნახეთ თუ არა „Луч“-ი, და ლებულობთ თქვენ მას თუ არა? როგორ შე-გვიცვალეს კარტი და თავიც მოიკატუნეს [2])?!

ვნახე განცხადება „Кругозор“-ის შესახებ. თქვენი საკუთარი საქმეა ის, თუ თქვენ იქ მხოლოდ სტუმარი ხართ?

გართმევთ მაგრად ხელს და უპირველესად ყოვლისა გისურვებთ ჯანმრთე-ლობას. სალამი მ. ფ- თქვენი **ლენინი**.

47. Ulica Lubomirskiego. Krakau.

---

[1]) წერილს თარიღი არა აქვს. მაგრამ თარიღი თავის თავად ირკვევა წე-რილის შინაარსით, ამომრჩეველთ ამორჩევა მუშურ კურიაში, პეტერბურგში მოხთა 25 ოქტომბერს (8 ნოემბერს) 1923 წ. წერილი, მაშასადამე, დაწერილია 7 ნოემბერს 1912 წ. ახალი სტილით.

[2]) „Луч“—ლიკვიდატორების გაზეთი პიტერში.

---

**წერილი 21.**

(23 დეკემბერი 1912 წ.) [1])

**ძვირფასო ალ. მ!**

დიდიხანია რაც თქვენგან არავითარი ამბავი არ არის. როგორ ცხოვრობთ? ხართ კარგათ თუ არა?

დღეს მივიღე „Правда“-ს № 187, 1913 წელზე ხელის მოწერით. გაზეთის მდგომარეობა ძაან მძიმეა; ზაფხულში მომხდარ ტირაჟის დაცემის შემდეგ, ტი-რაჟი ძრიელ ნელა იწევს და დეფიციტი რჩება. დროებით შეწყვიტეს კიდევ ორ თანამშრომელისათვის ფულის მიცემა, და ამით უალრესად გაართულეს ჩვენი მდგომარეობა

განვიზრახეთ გავაღრმაოთ მუშებთა შორის ხელის მოწერის აგიტაცია, რომ მოგროებულ ფულით გავაძლიეროთ და გავაფართოოთ გაზეთის საქმე, თორემ სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დროს ჩვენ არ გვექნება ადგილი წერილებისათვის.

იმედი მაქვს, რომ თქვენ მიიღებთ მონაწილეობას ხელის მოწერის აგი-ტაციაში, რათა როგორმე გავიტანოთ გაზეთი. როგორი ფორმით? თუ რომ გაქვთ ზღაპარი, ან რაიმე შესაფერისი, მაშინ ამის შესახებ განცხადება იქნებოდა მშვენიერი აგიტაცია.

თუ არ გაქვთ—დაპირდით, რომ ახლო მომავალში და უეჭველათ 1913 წელში მისცემთ რამეს. ბოლოს და ბოლოს მუშურ გაზეთში თქვენი წერილის

ეროვნული

რამოდენიმე სტრიქონი მუშების მიმართ, შესახებ აქტიურ [illegible] მნიშვნელობისა (ხელის მოწერის, გავრცელების, ფულის შეგროვების სახით), მშვენივრათ შეასრულებდა აგიტაციის როლს. [2])

გთხოვთ მისწეროთ რაიმე პირდაპირ „Правда"-ს რედაქციას (იამსკაია, 2, ს-პეტერბურგ), ან და მომწერეთ მე Ulianov.

(47 Lubomirzkia Krakov) ომი, დარწმუნებული ვართ, არ იქნება და ჯერ ჯერობით ვრჩებით აქ, რომ „გამოვიყენოთ" [3]) პოლონელთა უალრესი სიძულვილი ცარიზმისადმი.

ლიკვიდატორებს ეხლა მიაქვთ იერიშები რევოლიუციონურ გაფიცვების წინაამდეგ! მიაღწიენ საზღვარს! ღადის ხმები, რომ ცხრა იანვარს უნდა მოხთეს გაფიცვები და დემონსტრაციები [4])

სამი სახელმწიფო სათათბიროს ისტორიის განმავლობაში (2, 3, 4) მუშათა დეპუტატებიდან პირველათ პარტიის მხარეზე არიან ექსივე დეპუტატები ამორჩეულნი უმთავრეს გუბერნიებიდან. გაჭირვებით, მაგრამ საქმე მაინც წინ მიდის.

დაინახეთ „ზავეტებში" როპშინის „დაცვა" აზროვნების და კრიტიკის თავისუფლების სახელით? (ნატანსონის და ამხ. მიერ რედაქციის მიმართ გაგზავნილ წერილის საპასუხოთ) [5]) ეს ხომ ყოველ გვარ ლიკვიდატორობაზე უფრო ცუდია! ეს არის რენეგატობა აბურდული, საშიშარი, გაიძვერული და, მიუხედავათ ამისა, სისტემატიური!

მივცურავთ „მდინარის წინაღმდეგ"... მასებში რევოლიუციონურ აგიტაციისათვის ეხლა გვიხთება ბრძოლა „თითქოს რევოლუციონერებთან?!.... მუშათა მასებში რევოლიუციონური სულის განწყობილება უსათუოთ არსებობს, მაგრამ ახალი დემოკრატიული ინტლიგენცია (და მათ შორის მუშურიც) რევოლიუციონურ იდეალოგიასთან ვერ ასწრებს ზრდას, რჩება უკან, და კიდევ ვერ ახერხებს დაწევას. უდიდესი სალამი. მომწერეთ ორიოდე სიტყვა.

თქვენი **ლენინი.**

P. S. სალამი მ. ფ! ის რაღაც სულ, გაჩუმდა...

[1]) წერილს თარიღი არ აქვს! ხოლო, თარიღი იოკვევა წერილის შინაარსით. "Правда"-ს № 187 გამოვიდა 6 დეკემბერს 1912 წ. ძველი სტილით, კრაკოვში მიიღებდენ მხოლოდ 10 დეკემბერს ძველი სტილით. ე. ი. 23 დეკემბერს 1912 წ. ახალი სტილით.

[2]) მ. გორკის ნება დართვით „Правда"-ს № 1 (205) 1 იანვარს 1913 წ. გადაბეჭდილ იქნა ნაწყვეტი მოთხრობისა „Большая любовь".

მოთხრობა იყო დაბეჭდილი კრებულში „Біла квітка".

[3]) „გამოყენება" მდგომარეობდა იმაში, რომ კრაკოვის ადმინისტრაცია, რომელიც შეეჩვია ემიგრანტებს, (კრაკოვი იყო ცენტრი პოლონელ ემიგრაციის, რომელიც გაურბოდა ცარიზმის დევნას; კრაკოვში ცხოვრობდა ოთხი ათასამდე ემიგრანტი) არ ავიწროებდა მაინც და მაინც ვლადიმირ ილიჩის რუსეთთან ჩამოსულ მნახველებს. მხოლოთ, როგორც კი დაიწყო 1914 წლის ომი, ლენინი დაუყონებლივ დაკავებულ იქნა პროვინციალურ ადმინისტრაციის მიერ.

[4]) ვლადიმერ ილიჩი წერს გაუგებრათ კონსპირაციის მოსაზრებით. პარტია

ეროვნული

აქტიურად ამზადებდა 1913 წლის 9 იანვრისათვის გაფიცვებსა და დემონსტრა-ციებს.

[5]) როპშინა—სავინკოვის რომანი „То чего не было“ იბეჭდებოდა „ზავეტებში“, ეს იყო ჟურნალი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ეს-ერები ჩერნოვის მეთაურობით. რომანის აშკარა რენეგატულმა შინაარსმა გამოიწვია იმავე „ზავეტების“ ფურცლებზე მთელი რიგი მემარცხენე ესერების საპროტესტო წერილები მ. ა. ნატანსონის მეთაურობით „ზავეტების“ რედაქტორის მიმართ. („Заветы“ № 8, ნოემბერი 1912 წ.). ხოლო იმავე ნომერში „ზავეტების“ რედაქცია გამოვიდა როპშინას დაცვით.

---

**წერილი 22.**

$2^1/_1$—13.

ძვირფასო ა. მ!

ამხანაგი, რომელიც გადმოგიგზავნით თქვენ ამ წერილს, არის ტროიანოვსკი, ეხლა ის ვენაში ცხოვრობს. იმან და მისმა ცოლმა ენერგიულათ მოკიდეს ხელი „Просвещение“-ს; იშოვეს ცოტაოდენი ფული და ჩვენ გვაქვს იმედი, რომ მათი ენერგიის და დახმარების საშუალებით, შევსძლებთ დავაყენოთ პატარა მარქსისტული ჟურნალი რენეგატ ლიკვიდატორების საწინააღმდეგოთ. მე ვფიქრობ, არც თქვენ გვეტყვით უარს, რომ დაეხმაროთ „Просвещение“-ს [1]).

თქვენი **ლენინი.**

P. S. იმედია მიიღებდით ჩემ გრძელ ბარათს შესახებ ვპერ(იოდოვცე)ბისა [2]).

მაგრამ როგორ მოხვდით „Луч“-ში??? ნუ თუ დეპუტატებთან ერთად? მაგრამ ისინი, მოკლეთ რომ ვთქვათ, მოხვდენ ხაფანგში და, ალბად, მალე წავლიან [3]).

---

[1]) „Просвещение“—ბოლშევიკური ჟურნალი, რომელიც პირველათ პეტერბურგში გამოვიდა დეკემბერში 1911 წ. დახურულ „Мысль“-ის მაგიერ. ამ ჟურნალის დაყენებაში დიდი მონაწილეობა მიიღეს ა. ა. ტროიანოვსკიმ და ელენე ფეოდოროვნა როზმიროვიჩმა, რომლებიც იმ ხანებში ვენაში სცხოვრობდენ.

[2]) ეს წერილი ინსტიტუტის განკარგულებაში არ არის.

[3]) „Луч“—მენშევიკების ლეგალური გაზეთი პეტერბურგში, რომელიც იმათმა დაუპირდაპირეს ბოლშევიკურ „Правда“-ს. დაიწყო გამოსვლა სექტემბერში 1912 წ. № 78 18 დეკემბერს 1912 წ. „Луч“-მა თანამშრომლებთა რიცხვში გამოაცხადა აგრეთვე მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები—

ეროვნული

ბოლშევიკები: ა. ბადაევი, გ. პეტროვსკი, ფ. სამოილოვი და [illegible] დეპუტატმა—ბოლშევიკები ერთი თვის შემდეგ გამოვიდენ „Луч“-ის თანამშრომელთა შემადგენლობის რიცხვისაგან და განაცხადეს, რომ ისინი არ იზიარებენ გაზეთის ლიკვიდატორულ მიმართულებას.

დეპუტატების წერილი გაზეთიდან გამოსვლის შესახებ დაბეჭდილია „Луч“-ის № 24 30 იანვარს 1913 წ.

---

**წერილი 28.**

(იანვარი 1913 წ) [1])

**ძვირფასო ა. მ.!**

რა თქმა უნდა, მე არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს, რომ თქვენ ჩემი წერილი გაუგზავნეთ ტიხ(ონოვს) [2].

ლუნაჩარსკის ფელეტონმა: „Между страхом и надеждой“, მე დამაინტერესა თქვენი მოთხრობის შემდეგ. [3]) შეგიძლიათ თუ არა გამომიგზავნოთ ის, თუ თავისუფალია? მოთხოვნის თანავე მე თქვენ დაგიბრუნებთ.

მოსკოვის გაზეთისათვის მზადებამ ჩვენ ძლიერ გაგვახარა [4]) ამ საქმეს ხელს მოკიდებს ჩვენი ტროიკა მოსკოვის ოლქის დეპუტატებისა: მალინოვსკი, შაგოვი და სამოილოვი. ეს უკვე გადაწყვეტილია. მხოლოდ საჭიროა სიფრთხილე: ვიდრე არ გავამაგრებთ „Правда“-ს შეუძლებელია ხელი მოვკიდოთ მოსკოვის გაზეთს. ჩვენ გვაქვს გეგმა, რომ დავაყენოთ „Московская Правда“.

გთხოვთ მისწეროთ ტიხონოვს, რომ მან ელაპარაკოს მხოლოთ ბადაევს და **მალინოვსკის**, სხვებს ჩვენ მოველაპარაკებით უსათუოდ.

ყველაზე უფრო მე გამახარა თქვენ წერილში შემდეგმა სიტყვებმა: „რუსეთის ინტელიგენციის ყველა გეგმებიდან და მოფიქრებიდან ცხადდება აშკარად, რომ სოციალისტური აზრი გამსჭვალულია მრავალგვარ მიმდინარეობით, რომლებიც **ძირითადათ** ეწინააღმდეგებიან მას: აქ არის მისტიციზმიც, მეტაფიზიკაც, ოპორტუნიზმიც, რეფორმიზმიც და ხალხოსნების ნაცოხარიც. ყველა ეს მიმდინარეობანი **მით უფრო** მტრულათ დაპირდაპირებულნი არიან, რაც უფრო **უკიდურესათ გაუგებარნი** არიან. იმათ არა აქვთ თავიანთი კათედრა და არ შეუძლიათ ამიტომ საკმარისად გაშუქდენ“.

ხაზს უსვამ იმ სიტყვებს, რომლებმაც მე ყველაზე უფრო მეტ აღტაცებაში მომიყვანა. აი მაგალითად: „ძირითადათ ეწინააღმდეგებიან“, და მით უმეტს „**გაუგებარნი**“. თქვენ მეკითხებით სტეპანოვზე. (ი. ი.) როგორი გამოდგა ის დაშლის და ხეტიალის ეპოქაში? (1900—1911) (ყმაწვილი კი ძლიერ მომუშავე და მცოდნე იყო) უნდოდა შერიგებოდა „ვპერიოდოვცებს“, მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ ის დაეხეტებოდა თავის ნებით.

მწერდა წერილებს, სადაც ამბობდა, რომ დემოკრატიულ რევოლიუციას რუსეთში უნდა დაესვას ჯვარი, რომ ჩვენთან ურევოლიუციოთ, ავსტრიულათ

წავა საქმეო. მე მას ამ სისულელისათვის ლიკვიდატორი [illegible], შემდეგ კი პრესაში ლარინმა მისი აზრები გამოისროლა [5]).

ახლა სტეპანოვი დემონსტრატიულათ აღარ სწერს ჩვენთან; წერს როჟკოვის გაზეთში „Новая Сибирь", რომელიც ირკუტსკში გამოდის. თქვენ ხომ იცით რა „მიმდინარეობა" აღმოაჩინა როჟკოვმა? წაიკითხეთ თუ არა მისი წერილი 1911 წელში „Наша Заря"-ში და შემდეგ ჩემი პასუხი „Звезда"-ში? [6]) როჟკოვი მიებჯინა თავის არხი-ოპორტუნიზმს. ჰაიდა სტეპანოვი? ალაზმა უწყის. სწორეთ რომ „უკიდურესათ გაუგებარი" და აბურდული პოზიციაა.

არც ერთ რაოდენიმეთ დამოუკიდებელ განყოფილებას მე ეხლა არ მივანდობდი სტეპანოვს: აიღებს და ღმერთმა იცის სად გადახტება. როგორც თანამშრომელი კი, ის, ალბათ, იქნებოდა სასარგებლო. ის ერთი იმათგანია, რომლებიც „ვერ გამოირკვევ". მისთვის განყოფილების „ორგანიზაციის" მინდობა წარმოადგენდა იმის და განყოფილებისაც უეჭველათ დაღუპვას [7]).

— თქვენ მწერთ: „დროა ჩვენ გვქონდეს ჩვენი ჟურნალი. ამისათვის ჩვენ გვაქვს საკმაო რიცხვი კარგათ შეგუებულ პირების."

ამ ფრაზის მეორე ნაწილს მე ვერ მივიღებ. ჟურნალი ბევრს აიძულებდა ურთიერთ შორის შეხმატკბილებას. ყოფილიყო ჟურნალი, იქნებოდა ჯგუფიც.

ჯგუფი არის, მაგრამ ჟურნალი (სქელი) არ გვაქვს გარეშე მიზეზთა გამო: არ არის ფული. ფულები რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ახლაც შევძლებდით სქელი ჟურნალის დაძლევას, ვინაიდან თანამშრომელთა ჯგუფს დაქირავების საშუალებით ბევრი მოემატებოდა; ჩვენ გავანაწილებდით მათ თანამდებობას და თემებს.

სანამ ფული არა გვაქვს, საჭიროა, ჩემის აზრით, არა მარტო ოცნება, არამედ არსებულ საშუალებებიდან საშუალების შექმნა, თუნდაც „Просвещение"—დან. რა თქმა უნდა ეს პატარა თევზია, მაგრამ, უპირველესად ყოვლისა, ყოველივე დიდი მცირედიდან იქმნება; და მეორე პატარა თევზი სჯობს დიდ ტარაკანს.

უკვე დროა დავიწყოთ ერთმანეთის ხმის შეთანასწორება, თუ გვინდა გვყავდეს დიდი რიცხვი „შეხმატკბილებულ პირთა".

„დროა ჩვენ გვქონდეს ჩვენი ჟურნალი", ლიტერატურული ჯგუფი არის. გზის სისწორე გამართლებულია 12 წლის ცდით (ვგონებ 20 წლის) უაღრესად კი უკანასკნელი 6 წლის პრაქტიკით. უნდა შევიკრიბოთ ამ ჯგუფის გარშემო. გამოვარკვიოთ ყოველივე უფრო დეტალურათ, გავადიდოთ და გავაფართოოთ საქმე. ჩვენ უნდა დაგვეწყო „Правда"-თი და არალეგალურათ, მაგრამ ამაზედ შეჩერება ჩვენ არ გვინდა, და ამისათვის, ვინაიდან თქვენ სთქვით: „დროა ჩვენ ჩვენი გაზეთი გვქონდეს"-ო ნება მიბოძეთ ამ სიტყვებისათვის პასუხი გაგებინოთ: ან აღმოაჩინოთ ფულის შოვნის საშუალება სქელი ჟურნალისათვის ამ და ამ პროგრამით ამ და ამ რედაქციით, ამა თუ იმ თანამშრომელთა შემადგენლობით, ან იმავე გეგმით დაიწყოთ „Просвещ(ение)"-ს გაფართოება.

**А вернее: не либо—либо, а и—и.**

ველი პასუხს: ვენიდან თქვენ, ალბათ, უკვე მიიღეთ წერილი „Просвеще-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ние*-ს შესახებ. არის უტყუარი საშუალება გავამაგროთ ის პატარა სახით 1913 წლისათვის. თუ გსურთ გქონდეს „ჩვენი ჟურნალი“, შეუდგეთ ერთად ამოძრავებას.

დაშნაკელების [8]) შესახებ არაფერი არ გამიგია. მაგრამ ეს ხმები მიმაჩნია მიქარვათ. ეს მთავრობიდან არის გამოშვებული, რომელსაც უნდა გადაყლაპოს სათათრეთის სომხეთი.

P. P. S.-ები უეჭველათ ავსტრიისათვის იბრძოლებენ [9]).

ავსტრიის და რუსეთს შორის ომი რევოლიუციისათვის ძრიელ გამოსადეგი იქნებოდა. (მთელ აღმოსავლეთ ევროპაში). მაგრამ საიჭვოა, რომ ფრანც იოზეფმა და ნიკოლოზმა მოგვანიჭონ ჩვენ ეს სიამოვნება.

თქვენ მთხოვთ ხშირ ინფორმაციას. დიდის სიამოვნებით—მხოლოდ გამეცით პასუხი. გიგზავნით (ჯერ საიდუმლოთ) რეზოლიუციას ჩვენი უახლოეს დადგენილებისა. რომელიც ჩემის ფიქრით კარგი გამოდგა და ითამაშებს როლს [10]).

ამბობენ რეზოლიუციები, ყველა ლიტერატურულ შემოქმედებათა შორის, ყველაზე უფრო მოსაწყენი ფორმაა.

მე მეტის მეტათ რეზოლიუციებთან შეთვისებული კაცი ვარ, მომწერეთ, თუ რამდენათ ისინი თქვენთვის სასიამოვნოა წასაკითხავათ, და აგრეთვე, მომწერეთ, რევოლიფციონერ **გაფიცვების** და ლიკვიდატორების შესახებ.

რა არა სასიამოვნო ამბები-გამოიწვია რუსეთში ხმებმა ამნისტიის შესახებ[11])? არ ვიცი. მომწერეთ. ნ. კ. გითვლით სალამს.

გართმევთ მაგრათ ხელს, თქვენი **ლენინ.**

---

[1]) წერილს თარილი არაა აქვს, დაახლოებითი თარილი გამორკვეულია ბარათის შინაარსით.

[2]) ა. ნ. ტიხონოვი—ა. მ. გორკის მეგობარი. ვლადიმერ ილიჩის რომელ წერილის გადაგზავნა სურდა ა. მ. გორკის ტიხონოვისათვის—ჩვენ არ ვიცით.

[3]) „შიში და იმედი. საშობო მუსაიფი“ მოთხრობა. მოთავსებულია „Киевская Мысль“-ში № 357 25 დეკემბერი 1912 წ.

[4]) მოსკოვის გაზეთისათვის მზადება, ე. ი. ბოლშევიკურ გაზეთის მოსკოვში დაყენებისათვის, დაიწყო „Правда“-ში № 176, 24 ნოემბერს 1912 წ. ამ ნომერში „მოსკოვის მუშების“ ჯგუფმა მოათავსა წერილი, რომელშიდაც ისინი მოუწოდებდენ მოსკოვის მუშურ გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ ფულის შეწირვას. წერილი მოთავსებულ იყო სათაურით „მუშური გაზეთი მოსკოვში“. მაგრამ, მოსკოვის გაზეთი "Наш путь" გამოვიდა მხოლოდ კვირას 25 აგვისტოს (7 სექტემბერს) 1913 წ.

[5]) იხილ. წერილი ლარინის (მაშინ უკიდურეს ლიკვიდატორის) „Направо

ეროვნული

кругом", რომელიც მოთავსებულია № 1 ჟურნალში „Дело Жизни" 22 იანვარს 1911 წ. და № 2, 2 მარტს 1911 წ. კიდევ უფრო ნათლათ ლარინმა გაანვითარა თავის აზრი წერილში „Пути созидание" იხილ. № 5 31 მაისი და № 6 25 ივნისი.

[6] „Новая сибир" გამოდიოდა 1912 წლ. 6 დეკემბრიდან 1913 წლ. 1 თებერვლამდე ძველი სტილით. ნ. რაჭკოვის წერილი, რომლითაც ის სწყვეტდა ყოველ კავშირს ბოლშევიკებთან, მოთავსებულია „Наша заря"-ში № 9—10 1911 წ. წერილი გამოვიდა ამ სათაურით:

„Современное положение России и основная задача рабочего движения в данный момент", („რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და ამ მომენტში მუშურ მოძრაობის ძირითადი ამოცანა") ლენინის პასუხი „Звезда"-ს № 32, 3 დეკემბერს 1911 წ. გამოვიდა სათაურით: „Манифест либеральной рабочей партии" („ლიბერალ მუშათა პარტიის მანიფესტი")

რაჭკოვმა „ლიბერალურ მუშათა პარტიის მანიფესტს" უპასუხა წერილით „На два фронта", რომელიც მოთავსებული იყო „Наша заря"-ს № 5 1924 წ.

[7]) ამხ. ი. ი. სტეპანოვი, რომელსაც შეატყობიეს წერილის ის ადგილი რომელიც მას ეხება, გვაცნობს, რომ ის წერდა „Новая Сибирь"-ში საერთაშორისო პოლიტიკის და დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობის საკითხების შესახებ. ლიკვიდატორული პოზიცია, რომელიც რაჭკოვს „Наша Заря"-ში ეჭირა, ი. ი. სტეფანოვის სიტყვით, სრულებით არ გამომჟღავნებულა მის (რაჭკოვის) „Новая Сибирь-ში თანამშრომლობის დროს. თავის მაშინდელი შეხედულებანი ი. ი. სტეპანოვმა გამოთქვა დიდ წერილში „იმპერიალიზმის" შესახებ, რომელიც დაბეჭდილი იყო „Просвещение"-ში 1913 წ. რა თქმა უნდა, ვლადიმერ ილიჩის სრული თანხმობით.

[8]) დაშნაკელები—მომხრენი სომხეთის ნაციონალისტურ პარტიისა—„დაშნაკციუტუნ". რომელ „ხმებზე„-სწერდა გორკი ლენინს—გაუგებარია.

[9]) P. P. S.—პოლონეთის სოციალისტური პარტია—პარტია პილსუდსკის ლენინის წინასწარმეტყველება გამართლდა: იმპერიალისტურ ომში P. P. S. პილსუდსკის საერთო ხელმძღვანელობით, შეუერთდა ავსტრიის არმიას.

[10]) აქ ლაპარაკია 1913 წელში მომხდარ ბოლშევიკების თათბირზე, რომელსაც კონსპირატიულ მოსაზრებათა მიხედვით დაერქვა „თებერვლის თათბირი", მიუხედავათ იმისა, რომ ეს თათბირი მოხდა იანვარში 1913 წ.

[11]) რომანოვების სახლის 300 წლის შესრულების თავზე თებერვალში 1913 წელს მოელოდენ ამნისტიას.

ამნისტია მართლაც გამოცხადდა 21 თებერვალს 1913 წ. მაგრამ, პოლიტიკურ დამნაშავეთა შორის ის ეხებოდა მხოლოდ იმ პირთ, რომლებსაც დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი პრესაში გამოსვლის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი 24.

(თებერვლის დასაწყისი 1913 წ. [1])

ძვირფასო ა. მ!

თქვენ, ვაჟბატონო, მართლა ცუდათ იქცევით? დაიღალეთ, დაიქანცეთ, ნერვები გტკივათ. ეს სრული უწესრიგობაა კაპრისზე და ისიც ზამთარში, როდესაც მნახველები უთუოთ, გაცილებით უფრო ცოტაა. უნდა ეწეოდეთ ნორმალურ ცხოვრებას. ნუ თუ მომვლელი არავინ არ გყავთ და ამიტომ თავი აიშვით? არა, არ არის ეს კარგი! მოჰკიდეთ თქვენ თავს ხელი და შეიმუშავეთ უფრო მკაცრი რეჟიმი, მერწმუნეთ!

ეხლანდელ დროში ავადმყოფობა დაუშვებელია, ნუ თუ ღამეებით დაიწყეთ მუშაობა? მე კი თქვენ მარწმუნებდით, როდესაც კაპრისზე ვიყავი, რომ მხოლოდ მე შემოვიტანე უწესრიგობა, და ჩემ ჩამოსვლამდი კი თქვენ თავის დროზე წვებოდით. უნდა დაისვენოთ და აუცილებლათ რეჟიმი შეიმუშაოთ.

ტროიანოვსკის და მის ცოლს მივწერ, რომ თქვენ გსურთ მათი შეხვედრა. ეს მართლაც კარგი იქნებოდა. ისინი კარგი ხალხია. მუშაობაში ჩვენ ისინი ხშირათ არ გვინახავს, მაგრამ, რაც ჩვენ მათზე აქამდე ვიცით, მათ სასარგებლოთ ლაპარაკობს. მათ, აგრეთვე, საშუალებაც აქვთ. თუ მოინდომებენ, შეუძლიათ ბევრი რამ კარგი გააკეთონ ჟურნალისათვის. ტროიანოვსკაია მალე გაემგზავრება რუსეთში [2])

იმ ამბავმა, რომ თქვენ აპირებთ „Просвещение“-ს მოჰკიდოთ ხელი, ყველანი მეტის მეტათ გაგვახარა. მე კი — ვაღიარებ — ვიფიქრე: აი, როგორც კი დავწერ ამ პატარა, ნამდვილ ჟურნალის შესახებ რამეს, ა. მ. მაშინვე ყოველივე სურვილი დაეკარგება. ვნანობ, ვნანობ, ამგვარ ფიქრებისათვის.

მართლაც და რა საუცხოვო იქნება, თუ რომ, თანდათანობით ბელეტრისტებსაც შევიერთებთ და წინ გავწევთ „Просвещение“-ს! საუცხოვოა! მკითხველი ახალი პროლეტარული. — გავხადოთ ჟურნალი იაფფასოვანი — ბელეტრისტიკას გაუშვებთ თქვენ, მაგრამ, მხოლოდ დემოკრატიულს, სადაც არ უნდა იქნეს წუწუნი და რენეგატობა [3])

მუშებს შევაკავშირებთ. მუშები კი ეხლა კარგები ჩნდებიან. ჩვენმა ექვსმა კურიალურმა დეპუტატმა სახელმწიფო სათათბიროში, დიდებულათ დაუტრიალდენ სახელმწიფო სათათბიროს გარეთ მუშაობას. აი სად შეიძლება ადამიანმა გაამაგროს მუშათა, ნამდვილი პარტია! მესამე სახელმწიფო სათათბიროში: ამას ვერასდროს ვერ მოახერხებდენ. ნახეთ თუ არა „Луч“-ში (№ 24) ოთხი დეპუტატის წერილი წასვლის შესახებ [4]) ხომ კარგი წერილია? ნახეთ „Правда“-ში? ალექსინსკი წერს ლმობიერათ და ჯერ ჯერობით სკანდალი არ მოუხდენია. გასაოცარი საქმეა! გამოეგზავნა ერთი „მანიფესტი“ (რათ წავიდა ის „Правда“-ში?) არ მოვათავსეთ მიუხედავათ ამისა ის **ჯერ-ჯერობით** სკანდალს არ ახდენს. გა-სა-ოცა-რია [1]) ბავდანოვი კი ახდენს სკანდალს: Правда-ს № 24 უაღრესი სისულელეა [6]) არა მასთან ფლავს ვერ მოხარშავს! წავიკითხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი: „Инжинер менни“ იგივე მახიზმი—იდეალიზმი, მაგრამ ისე გადამალული რომ ვერც მუშებმა და ვერც.... „Правда-ს რედაქტორმა ვერ მიხვდენ. არა, ეს მახისტი უიმედოა, ისე როგორც ლუნაჩარსკიც (მისი წერილისათვის ვარ მადლობელი) ლუნაჩარსკი რომ დავაშოროთ ბოგდანოვს ესტეტიკაში, ისე როგორც ალექსინსკიმ დაიწყო მისგან დაშორება პოლიტიკაში.... თუ და რომ..

რაც შეეხება მეცნიერებას მატერიის და მის აგებულობის შესახებ, სრულებით გეთანხმებით, რომ საჭიროა ამის შესახებ წერა, და აგრეთვე იმაშიც რომ ეს იქნება კარგი საშუალება იმ საწამლავის წინაალმდეგ, რომელიც, თქვენის თქმით, „წევს რუსეთის აბურდულ სულს“. მხოლოდ თქვენ ამ შხამს ტყუილად უწოდებთ „მეტაფიზიკას“ მას უნდა ეწოდოს იდეალიზმი და აგნოსტიციზმი.

თორემ მახისტები მატერიალიზმსაც მეტაფიზიკას უწოდებენ! სწორეთ ეხლა, თანამედროვე გამოჩენილი ფიზიკოსების ჯგუფი რადის „სასწაულების“ ელექტრონების და სხვა ამგვარ მოვლენების და მიხედვით სცდილობს გაატაროს როგორც ტლანქი, ისე გაკეთილშობილებული ფილოსოფიური იდეალიზმის სახით.

რაც შეეხება ნაციონალიზმს—გეთანხმებით რომ საჭიროა ამ საკითხს უფრო სერიოზულათ მოვკიდოთ ხელი. ჩვენთან ერთმა შესანიშნავი ქართველი [7]) ჩაუჯდა და „Просвещение“-სათვის დაიწყო დიდი წერილის წერა; მან შეაგროვა ყველა ავსტრიული და სხვა მასალები ჩვენ ამას მივაწვებით. სულ ტყუილათ ლანძღავთ თქვენ ჩვენ რეზოლიუციებს (ვაგზავნით მათ დასაბექდათ [8]) და უწოდებთ მათ „კანცელიარშჩინას და თავიდან მოსაშორებელ წერას“ არა ეს თავიდან მოსაშორებელი წერა არ არის ჩვენთანაც და კავკასიაშიც ს. დ. ქართველები+სომხები+თათრები+რუსები მუშაობენ ერთად, **მთლიან** ს. დ. ორგანიზაციაში ათ წელიწადზე მეტ ხანს. ეს ფრაზა არ არის, არამედ ნაციონალურ საკითხის პროლეტარულათ გადაწყვეტა ერთად ერთი გადაწყვეტილება, გახლავთ! სწორეთ ასე მოხთა რიგაშიც: რუსები+ლატიშები+ლიტოვცები; გამოითიშენ მხოლოდ **სეპარატისტები**—ბუნდ. ასე მოხთა ვილნოშიც!

არსებობს ორი კარგი ს. დ. ბროშიურა ნაციონალურ საკითხის შესახებ: შტროსსერისა და პანეკუკისა [9]) თუ გსურთ, გამოგიგზავნით. გეყოლებათ თუ არა ვინმე, რომ გერმანულიდან გადაგითარგმოთ?

არა, ის საზიზღრობა, რომელიც ავსტრიაშია, ჩვენში **არ იქნება**. არ დაუშვებთ! გარდა ამისა ჩვენი ხმა ველიკორუსი აქ უფრო მეტია! მუშებში არ შეუშვებთ „ავსტრიულ სულს“ [10]).

პიატნიცკის შესახებ მე გასამართლების მომხრე ვარ [11]) საცერემონიო არაფერია! სენტიმეტალობა არ გვეპატიება, სოციალისტები სრულებითაც არ არიან წინაალმდეგი გამოიყენონ მეფის სასამართლო, ჩვენ ვემხრობით ლეგალობის გამოყენებას. მარქსი და ბებელი მიმართავდენ მეფის სასამართლოს თავის სოციალისტურ მოწინააღმდეგეთა წინაალმდეგ. უნდა ვიცოდეთ როგორ შეიძლება გაკეთდეს ეს, მხოლოდ საჭირო კი არის რომ გაკეთდეს.

პიატნიცკის უნდა მიესაჯოს დასჯა, მორჩა და გათავდა! თუ ამის გამო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენ შეგხვდებათ საყვედური, მიაფურთხეთ სიყმეში იმას ვინც გისაყვედურებთ. გისაყვედურებენ ფლიდები. არ გვეპატიება, რომ დაუთმოთ პიატნიცკის, სასამართლოს შიშის და მიხედვით ან ვაპატიოთ მას.

ე! მეტის მეტათ ავლაპარაკდი. მომწერეთ როგორ ხართ.

თვენი **ლენინი**

P. S. ჩვენ ვიცნობთ ფომა-პიტერელს ის ეხლა ნარიმშია. ფომა — ურალელი? რაღაც არ გვაგონდება. 1907 წ. ყრილობაზე იყო ფომა—პიტერელი [12])

---

[1]) წერილს თარიღი არა აქვს. ეკუთვნის 1913 წ. თებერვლის დასაწყის ე. ფ. როზმაროვიჩ გაემგზავრა რუსეთში ლიტერატურულ ამნისტიის შემდეგ 21 თებერვლას ნადეჟდა კონსტანტინოვნას წერილით, რომელშიდაც მოუწოდებდენ გამოეყენებიათ ე. ფ. როგორც ც. კ. აგენტი კონფერენციის მოსაწვევათ (ევროპ წოდებული „საზაფხულო“). მაისში ე. ფ იქნა დაპატიმრებული და ნადეჟდა კონსტანტინოვნას წერილი წარმოდგენილი იქნა სასამართლოში.

[2]) ვლადიმერ ილიჩის და ა. მ. გორკის შორის მიმოწერის შედეგი იყო ის, რომ „Просвещение“-ს თებერვლის წიგნაკით (№ 2) 1913 წ. შემოღებულ იქნა ბელეტრისტული განყოფილება, რომლის რედაქტორობა იკისრა გორკიმ. ამის შესახებ განცხადება გამოვიდა „Правда“-ს № 50 (1 მარტი 1913 წ.)

[3]) გაზეთ „Луч“-ის № 24 30 იანვარს 1913 წ. მოთავსებულ იქნა „Луч“-ს თანამშრომელთა შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ:

„წერილი რედაქციის მიმართ.“ 18 დეკემბერს 1914 წ. ჩვენ, ს-დ ფრაქციის სრული თანხმობით 15/XII მივიღე გაზეთ „Луч“-ის წინადადება თანამშრომელთა რიცხვში ჩანიშვნის შესახებ.

მას შემდეგ გავიდა თვეზე მეტი. მთელ ამ ხნის განმავლობაში „Луч“-ი განუწყვეტლივ ებრძოდა ანტილიკვიდატორობას. მისი ქადაგება „ღია“ მუშათა პარტიის სასარგებლოთ მისი გალაშქრება „პოდპოლიეს“ წინააღმდეგ, რუსეთის ცხოვრების თანამედროვე პირობებში, ჩვენ მიგვაჩნია მავნებლათ და დაუშვებელათ.

ვინაიდან ჩვენ ვერ შეურიგდებით იმას, რომ ჩვენი სახელებით დაიფაროს „Луч“-ის მიერ ლიკვიდატორული იდეების ქადაგება, ამისათვის ვთხოვ რედაქციას, გამორიცხულ ვიქნეთ თანამშრომელთა სიიდან.

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები მუშებიდან:

**ა. ბადაევი**
**მ. პეტროვსკი**
**ვ. სამოილოვი**
**ნ. შაგოვი.**

[4]) ალექსინსკის მონაწილეობა „Правда“-ში იყო სრულებით შემთხვევითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენა. ვლადიმერ ილიჩის წერილის შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში ალექსინსკის თანამშრომლობა „Правда"-ში შესწყდა.

[6]) გაზეთ „Правда"-ს № 24 (30 იანვარი 1913 წ.) დაბეჭდილია ა. ბადაევის წერილი რედაქციის მიმართ, რომელშიდაც ის გამოსთქვამს თავის უთანხმობას „Правда"-ს მიერ პეტერბურგში განზრახულ მე IV სახელმწიფო სათათბიროსათვის საარჩევნო კომპანიის გატარების შესახებ.

[7]) ი. ვ. სტალინი. ნარიმიდან გამოქცევის შემდეგ ამხ. სტალინმა დაჰყო 1913 წ. რამდენიმე კვირა კრაკოვში და ვენაში, სადაც ის სწერდა წერილს ნაციონალურ საკითხზე. მისი წერილი: „Национальный вопрос и Социал-Демократия" (ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია) დაბეჭდილია პირველად „Просвещоние"-ს №№ 3, 4, 5, შემდეგ რამოდენიმეჯერ გადაბეჭდილ იქნა პარტიულ სხვადასხვა გამომცემლობის მიერ.

[8]) აქ ლაპარაკია იმ რეზოლიუციაზე, რომელიც მიღებულ იქნა 1913 წ. დასაწყისში კრაკოვში მომხდარ ბოლშევიკების თათბირზე (ეგრეთ წოდებული „თებერვლის თათბირი") ამ თათბირის რეზოლიუციები გამოვიდა ცალკე ბროშურათ: „Извещения и резолюций Совощение Центральнаго Комитета Р. С.—Д. Р. П с партийными работниками რეზოლიუცია გადაბეჭდილ იქნა ლენინის თხუზუ. კრებულ. XIX ტომში გვერ. 22—23.

[9]) საქმე ეხებოდა პიატნიცკის არა შესაფერის საქციელს, რომელიც მან ჩაიდინა როგორც „Знаши"-ს გამომცემლობის გამგემ, სადაც ა. მ. გორკი ირიცხებოდა პაიშჩიკათ ვგონებ, საქმემ სასამართლომდის არ მიაღწია.

[10]) ფომა-პიტერელი,—წევრი 1907 წ. ლონდონში მომხდარ პარტიის ყრილობისა. გვარათ ა. პ. სმირნოვი – ეხლანდელი ნარკომზემი.

---

**წერილი 25**

10 მარტი 1913 წ. [1])

**ძვირფასო ა. მ!**

დღეს წავიკითხე მანიფესტი... [2]).

ლიტერატურული ამნისტია, ვგონებ სრული უნდა იყოს თქვენ უნდა სცადოთ დაბრუნება; **მაგრამ ჯერ რასაკვირველია, უნდა გაიგოთ „Не подложат ли Вам свинью за школу"** и. т. п. ვფიქრავ, ამისათვის თქვენ პასუხს არ გაგვიიებენ.

შეიძლება თქვენ იმ აზრისა ხართ, რომ არ შეიძლება ამნისტიის „მიღება". ეს იქნებოდა შემცდარი შეხედულება: თანამედროვე პირობებში რევოლიუციონერი გაცილებით მეტს გააკეთებს შიგ რუსეთში; ჩვენი დეპუტატები ხელს აწერენ კიდევაც „საზეიმო დაპირებას".

თქვენ ხომ ხელისმოწერა არ გჭირდებათ თქვენ მხოლოდ ამნისტიით უნდა ისარგებლოთ და გამოიყენოთ. მომწერეთ თქვენი აზრი და **შეხედულებანი** ეგებ, აქეთაც შემოუხვიოთ. თუ დაინძრევით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციონურ მწერალისათვის საშუალება რუსეთში ხელფასის (ახალ რუსეთში) მისცემს მას შესაძლებლობას ასჯერ უფრო მეტათ დაარტყას რომანოვებს და ამხ...

მიიღეთ თუ არა ჩემი წინა წერილი? რაღაც დიდი ხანია ამბები არ მომდის. კარგათ ხართ?

თქვენი **ლენინი.**

P. S, მიიღეთ თუ არა ნ. კ.[3] ბარათ ?

[1]) წერილს თარიღი არა აქვს. თარიღი სისწორით ირკვევა შინაარსის მიხედვით. „მანიფესტი“ გამოქვეყნებულ იყო 21, II, 1913 წ. ძველი სტილით, და მხოლოდ 24, II ძველი სტილით, ე. ი. 10 მარტს 1913 წ. ახალი. სტილი შეიძლებოდა კრაკოვში მიღებულ ყოფილიყო.

[2]) მანიფესტი ამნისტიის შესახებ რომანოვების სახლის 300 წლის შესრულების გამო.

[3]) ნადეჟდა კონსტანტინოვნა კრუპსკაია.

**წერილი 26.**

მაისის დასაწყისი 1913 წ. [1]).

**ძვირფასო ა. მ.!**

როგორ არის საქმე შესახებ წერილისა ან მოთხრობისა „Просвещение“-ს 10 მაისი წიგნაკისათვის. მე მწერენ იქედან, რომ შესაძლებელია გამოიცეს 10—15 ათასი ეკზემპლიარი (აი როგორ ვაბიჯებთ წინ!) იმ შემთხვევაში, თუ თქვენგან რაიმე იქნება. მომწერეთ, იქნება თუ არა! [2]).

ამის შემდეგ გადაბექდავს „Правда“ და შეიქნება 40.000 მკითხველი ამგვარათ შეიძლებოდა Просвещение"-ს საქმეები კარგად წასულიყო, მაგრამ არა, დასწყევლოს ეშმაკმა, ერთი გამომდგარი ჟურნალიც კი არა გვაქვს არც მუშებისათვის, არც ს-დ-ბისათვის, არც რევოლიუციონურ დემოკრატიისათვის, სულ რაღაც სიგლახე და სიმუდრეგე გამოდის.

როგორ ხართ? დაისვენეთ თუ არა, ან ზაფხულში აპირებთ დასვენებას. მერწმუნეთ რომ თქვენთვის დასვენება აუცილებლათ საჭიროა.

მე ბევრი უსიამოვნება შემემთხვა. ცოლი გამიხთა ავად „базедовой болезнью“ ნერვები!

მეც ცოტა არ იყოს ნერვები ამეშალა საზაფხულოთ გავემგზავრეთ ზაკოპანის ახლო მდებარე სოფელ პარონინში [3]) ჩემი ადრესი: (Herrn vl. Ulianov Paronin, **Galizien.** Aaustria).

მდებარეობა კარგია, ჯანმრთელი. სიმაღლე 700 მეტრს უდრის. შეიძლება დააპიროთ აქეთ გამოსეირნება? რუსეთიდან? რუსეთიდან საინტერესო მუშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოვიდნენ. ზაკოპანე (7 ვერსის მანძილზე ჩვენგან) ცნობილი კლიმატიური კურორტია.

ნახეთ თუ არა დემიან ბედნის „იგავები„? გამოგიგზავნით, თუ არ გინახავთ თუ ნახეთ მომწერეთ, როგორ მოგეწონათ.

ღებულობთ თუ არა რეგულიარულათ „Правда-ს და „Луч“-ს? ჩვენი საქმე მიუხედავათ ყველაფერისა, წინ მიდის. შენდება ს-დ-იული რევოლიუციონური მუშური პარტია, წინაალმდეგ ლიკვიდატორების და რენეგატების. ჩვენ ქუჩაზედაც ზეიმი იქნება. ჩვენ ახლა ვზეიმობთ მუშების ლიკვიდატორებზე გამარჯვების გამო, მეტალისტების ახალ კავშირის გამგეობის არჩევნების დროს პიტერში [4]).

„თქვენი“ ლუნაჩარსკი კი კარგია!! ახ, რა კარგია! მეტერლინკს „მეცნიერული მისტიციზმი“ აქვსო[5])... ან ეგებ ლუნაჩარსკი და ბაგდანოვი თქვენი აღარ არიან?

ხუმრობის გარეშე, იყავით კარგათ, მომწერეთ ორიოდე სიტყვა. სჯობს დაისვენოთ.

თქვენი ლენინი.

Ulianov. Austria, Poroniu (Galizeu).

P. S. როგორ მოგეწონათ საიუბილეო „Правда“-ს ნომერი [6])?

---

[1]) წერილს თარიღი არა აქვს. ეკუთვნის 1913 წ. მაისის დასაწყისს (ახალი სტილით).

[2]) „Просвещение“-ს მაისის წიგნაკში 1913 წ. გორკის თხუზულებანი არ არის; ივნისის წიგნაკში დაბეჭდილია გორკის მოთხრობა „Кража“.

[3]) სოფელი პორონინ—დაშორებულია კრაკოვს რამდენიმე საათის სასიარულო მანძილით და მდებარეობს „თათრის“ მთების ახლო. ამ სოფელში 1913 წ. ზაფხულში ცხოვრობდენ ვლადიმერ ილიჩი ნ. კ. კრუპსკაია, გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი, ინესა არმანდ. იქ ხთებოდა მოლაპარაკება მუშებთან, რომლებიც რუსეთიდან ჩამოდიოდენ.

პორონინში ჩამოდიოდენ IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი—დეპუტატები. აქვე 25 ოქტომბერს—1 ნოემბერს 1913 წელში მოხთა „საზაფხულო მოლაპარაკება ბოლშევიკების“.

„Летнее совещание большевиков“, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობდა სახელმწიფო სათათბიროს ექვსეულის ც. კ. და მთელი რიგი სხვა და სხვა ადგილობრივ ორგანიზაციებისა.

[4]) პეტერბურგის მეტალისტების კავშირის არჩევნების დროს 21 აპრილს 1913 წ., გავიდა ბოლშევიკების სია ა. ს. კისელიოვის მეთაურობით.

[5]) აქ ლაპარაკია ლუნაჩარსკის ფელეტონის შესახებ „Между страхом и надеждой (Киевская Мысль“ № 357, 25, XII, 1912 წ.).

[6]) „Правда“-ს წლის თავის ჭეშმარიტი თარიღი 22 აპრილს ხვდება, მაგ-

რამ 1213 წ. 22 აპრილი ორშაბათი იყო, ამის გამო საიუბილეო „Правда"-ს № გამოვიდა სამშაბათს 23 აპრილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წერილი 27.**

მაისი 1913 წ. [1]).

**ძვირფასო ა. მ!**

დიდი ხანია რაც მე თქვენ კრაკოვიდან მოგწერეთ—პასუხი კი არ მიმიღია. დღეს მოვიდა წერილი რუსეთიდან—ოდესიდან, რომლითაც მატყობინებენ: სტარკი [2]) (?) (კაპრიდან) გაკვირვებულია, თუ რატომ მე არ ვაცნობე ოდესიტს არაფერი, ოდესის ბოლშევიკურ გაზეთის შესახებ, რომლის არსებობა მე თითქოს უნდა მცოდნოდა სტარკიდან და თქვენგან (!).

რა გაუგებრობაა ეს, ან საიდგან უნდა წარმოშობილიყო? მე უთხარი ოდესიტს, რომ თქვენ მწერთ ბოლშევიკურ ოდესის გაზეთზე, ხოლო ამის შესახებ მე არაფერი არ ვიცი. ოდესიტი იწერება, რომ აქ მონაწილეობას ღებულობს „მალიანტოვიჩ უმცროსი", პირველათ მესმის! რომელი მალიანტოვიჩია? "ნიკიტიჩევსკი"? [4]) (მე არც ერთ მალიანტოვიჩს პირადათ არ ვიცნობ) მოსკოვის ვექილია, თუ სხვა ვინმე?

მომწერეთ რაც იცით, საჭიროა ეს გაუგებრობა გამოვარკვიოთ.

მე საზაფხულოდ Poronin-ში გადავსახლდი, (ზაკოპანეს მახლობლათ) რომ ცოლს უაქიმო. მივდივარ მასთან ერთათ 27, VI. 1913 ბერნში, სადაც მას ოპერაცია უნდა გაუკეთონ. ჩემი ადრესი: Poroniu (galisien) Awstria.

ბერნში 2—3 კვირას გავჩერდები. იქ შეგეძლებათ მომწეროთ ამ ადრესით: Herrn Schklovsky 9. Talkenveg 9. Bern (ლენინისათვის).

როგორ ხართ? გამოკეთდით თუ არა გაზაფხულის შემდეგ? გისურვებთ მთელი გულით დასვენებას, საბოლოოთ გამოკეთებას.

თქვენი **ლენინი.**

---

[1] წერილს თარილი არა აქვს. დაახლოებით თარილი: მაისი 1913 წ. გამორკვეულია წერილის შინაარსით.

[2]) ლ. ნ. სტარკ—ბოლშევიკი, ლიტერატორი, „Просвещение"-ს თანამშრომელი, სცხოვრობდა იმ დროს [illegible] ახლა С. С. С. Р. წარმომადგენელია ესტონიაში.

[3]) რომელ გაზეთებზეა აქ ლაპარაკი ჩვენ არ ვიცით. ოდესაში 1911 წ. გამოდიოდა ლეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „Ясная Заря", რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობდენ ვ. ვ. ვოროვსკი და ა. კ. ვორონსკი.

[4]) „ნიკიტიჩევსკი—ე. ი. რომელსაც ჰქონდა კავშირი ნიკიტიჩთან. „ნიკიტიჩ"—არის რევოლიუციონური ფსევდონიმი ლ. ა. კრასინის, ყოველ შემთხვე-

ვაში აქ ლაპარაკია არა პ. მ. მალიანტოვიჩზე—მოსკოვის ადვოკატზე—არამედ მის ძმაზე სოციალ-დემოკრატ ვლად. ნიკ. მალიანტოვიჩზე, რომელიც 1901—1907 წ. წ. ცხოვრობდა ოდესაში.

---

**წერილი 28.**

ივნისი 1913 წ. [1]).

ძვირფასო ალ. მაქს.

დღეს მივიღეთ პიტერიდან წერილი, რომლითაც გვატყობინებენ, რომ ჩვენი გეგმა ს. დ. დეპუტატების აქ ჩამოსვლის შესახებ (არხიკონსპირატიულად. თქვენს გარდა გადაწყვეტილია არავის არ უთხრათ) მალე განხორციელდება. „Правда“-ს მომხრე ექვსეულის გარდა მე მწერენ შესაძლებელია ჩამოვიდენ ტულიაკოვი, ბურიანოვი ხაუსტოვი და მ. ა. მანკოვიც [2]) კი. ალბათ შესაძლებელი იქნება მოვიწვიოთ კიდევ ვინმე მუშებიდანაც (არა დეპუტატები) გთხოვთ მომწეროთ, შეგეძლებათ თუ არა ჩამოსვლა? (ან ლექციებისათვის, ან სასაუბროთ, ან კიდევ სამეცადინოთ) კარგი- კი იქნებოდა! 7 კილომეტრის მანძილზე აქედან (რკინის გზით) არის მშვენიერი კურორტი ზაკოპანე. რაც შეეხება სამოგზაურო ფულსა—მოვახერხებთ როგორმე (საზოგადოთ ასე წერენ). ზაკოპანეს, როგორც კურორტის, შესახებ ჩვენ შეგვიძლია შევკრიბოთ ყველა ცნობები და გადმოგიგზავნოთ.

თუ ავათმყოფობა ხელს არ შეგიშლით—გამოქანდით—მართლა—ცოტა ხნით! ლონდონის და კაპრის სკოლას შემდეგ ნახავდით მუშებსაც [3]).

მალინოვსკის [4]) უნდოდა თქვენთან წამოსვლა, მაგრამ ვერ მოახერხა დროს უქონლობის გამო. ის და სხვა ყველა დეპუტატები თქვენ გითვლიან დიდ სალამს.

ველი პასუხს თქვენი **ლენინ.**

გაზეთები სავსეა ცნობებით „კონფლიქტის“ [5]) შესახებ. მე ვფიქრობ, რომ „Правда“-ს [6]) დაახრჩობენ. ამას მაკლაკოვი [7]) ასე თუ ისე, სათათბიროს გარეშე ან სათათბიროს წინააღმდეგ, მაგრამ, მაინც მოახერხებს!

მაშინ ჩვენ ხელახლა მივაწვებით არალეგალურ ლიტერატურას, მაგრამ ფული რომ არ არის!

მართლა, „ვაჭარს“ ჯერ კიდევ მოცემა არ დაუწყია? დროა ნამდვილი დროა.

ადრესი Herrn. Vl. Ulianov Poronin.

(galizien) Autriche.

[1]) წერილს თარიღი არა აქვს, შინაარსით ეკუთვნის ივნისს 1913 წ.

[2]) ტულიაკოვი, ბურიანოვი, ხაუსტოვი, მანკოვი—მე-IV სახელმწიფო სათათბიროს წევრები, რომლებიც არ შედიოდენ ბოლშევიკურ ფრაქციაში, მაგრამ ყოყმანობდენ ბოლშევიკებთა და მენშევიკებთა შორის. მათი პორონინში

ეროვნული

ჩასვლა არ შედგა. დანარჩენი ბოლშევიკი-დეპუტატები, რომლებიც წერილში ნახსენები არიან ჩავიდენ პორონინში და მიიღენ მონაწილეობა ეგრედ წოდებულ „Летнем Совещании Центрального Комитета Р. С. Д. Р. П" с партиними работниками".

[3]) ა. მ. გორკიმ, როგორც სტუმარმა, მიიღო მონაწილეობა ლონდონში მომხდარ პარტიის ყრილობაზე 1907 წ. სკოლა კაპრზე—ეს ის სკოლაა, რომლის შესახებ ლაპარაკია ლენინის წერილებში 1908 წ. (იხ. განმარტება 1 წერილის [11]).

პორონინში გორკი არ წასული.

[4]) რ. ვ. მალინოვსკი—მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, რომელიც შემდეგ პროვოკატორი აღმოჩნდა.

[5]) კონფლიქტი მთავრობის და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს შორის

[6]) გაზეთი „Правда". მართლაც იქნა დახურული № 356 5 ივლისს 1913 წ. სანკტ-პეტერბურგის სასამართლოს პალატის დადგენილებით.

[7]) ნ. ა. მაკლაკოვი—მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი, რომლის წინადადებით იქნა დახურული გაზეთი „Правда".

---

წერილი 29.

25/VII 1913 წ.

ძვირფასო ა. მ!

სულ ვაპირებდი მომეწერა თქვენთვის, მაგრამ, ცოლის ოპერაციის გამო ვერ ვახერხებდი. სამი დღის უკან ოპერაცია გააკეთეს და ეხლა საქმე უკეთ მიდის. ოპერაცია მძიმე გამოდგა. მე მიხარია, რომ კოხერმა გააკეთა ოპერაცია.

ეხლა საქმეების შესახებ თქვენ მწერდით, რომ აგვისტოში ბერლინში ვიქნებით. როდის აგვისტოში? დასაწყისში, თუ დამლევს? ჩვენ აქედან ვაპირებთ წასვლას 4 აგვისტოს. ბილეთები გვაქვს ციურიხის მიუნხენის და ვენის გავლით. ყველა ამ ქალაქებში ჩვენ შევრჩედებით. (შესაძლებელია 4 დღე ჩვენ კიდევ ექიმა არ გაგვიშვას—მაშინ კიდევ დავრჩებით).

ნუ თუ ვერ შევძლებთ სადმე შევხვდეთ ერთმანეთს? თქვენ ხომ, ალბათ, გაივლით ბერნს, ციურიხს, მიუნხენს.

შეხვედრა ჩვენი კი ძრიელ საჭიროა. „Правда"-ს დახურვა ჰქმნის ძრიელ გაჭირვებულ მდგომარეობას. შესაძლებელია რამე ერთად მოგვეფიქრებია. გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ ჩვენთვის ბევრი რამ გააკეთოთ ე. ი. „Правда"-სთვის.

ამისთვის ძრიელ გთხოვთ ორიოდე სიტყვა მაინც მომწეროთ **ეხლავე**, შესახებ იმისა იქნება შესაძლებელი ჩვენი შეხვედრა ზემოხსენებულ ქალაქებში. აგვისტოს დასაწყისში თუ არა.

თუ შესაძლებელი იქნება, მაშინ მე დაწვრილებით მოგწერთ ყოველივე

საქმეზე და, კერძოთ, სკოლის შესახებაც (ორგანიზატორის [illegible] ჩვენ ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში ჩაგვაგდო—ვეძებთ სხვას).

გართმევთ ხელს მაგრათ. გისურვებთ ყოველგვარ სიკეთეს, ჯანმრთელობას კი ყველაზე უფრო მეტ მოგზაურებისათვის მიპასუხეთ **ეხლავე!**

თქვენი **ლენინ.**

ადრესი: Herr Uvlianoff 4. geselischaftsstrosse. 4. (sizzea) Beran.

**წერილი 30.**

30 სექტემბერი 1913 წ.

ძვირფასო ა. მ!

პასუხი ცოტა დამიგვიანდა. უკაცრავად. რომ იცოდეთ რა ბრაზი მომდიოდა ბერნში ყოფნის დროს და შემდეგ!! ვფიქრობდი, რომ თქვენ ხართ ვერონაში (თქვენი ტელეგრამმა ბებელის შესახებ იყო ვერონადან)[1] ან რაღაც რომ?... მე ხომ შემეძლო ბერნიდან ვერონაში ჩამოვსულიყავ!! თქვენ კი იმ ხანებში თვეობით პასუხს არ იძლეოდით.

ის რასაც თქვენ თქვენი ავადმყოფობის შესახებ მწერთ, მე მეტის მეტად მაწუხებს. განა კარგია, რომ თქვენ უექიმოთ კაპრზე განაგრძობთ ცხოვრებას,. ნემცებს აქვთ საუცხოვო სანატორიუმები (მაგ. st. Blasler, შვეიცარიის ახლო). სადაც ექიმობენ და კიდევაც არჩენენ ყოველგვარ ფილტვების ავადმყოფობას. აღწევენ **სრულ** შეხორცმეტებას, ასუქებენ, შემდეგ აჩვევენ სისტემატიურად სიცივეს უზრუნველყოფენ გაციებისაგან და ამნაირათ უშვებენ გამოსადეგარ და ჯან საღ ადამიანებს.

და თქვენ გსურთ კაპრის შემდეგ ზამთარში რუსეთში წასვლა???? მე ძრიელ ვშიშობ, რომ ეს გარემოება ავნებს თქვენ ტანმრთელობას და თქვენ მუშაობის უნარს. არსებობენ თუ არა იტალიაში პირველხარისხოვანი ექიმები??

დამიჯერეთ, წადით და ეჩვენეთ საუკეთესო ექიმს (მე შემიძლია მოგაწვდინოთ ექიმების გვარები და მისამართი) ან შვეიცარიაში, ან კიდევ გერმანიაში,—ორი თვის განმავლობაში **სერიოზულათ** იაქიმეთ კარგ სანატორიუმში, თორემ, სახელმწიფო ქონების გაძარცვა უმიზნოთ, ე. ი. ავადმყოფობით შრომის უნარის დასუსტება, ყოველ მხრივ დაუშვებელია.

(,,Просв(ещение),,-ს რედ(აქტორისაგან), რომელმაც ლადიჟნიკოვი[2]) ინახულა) მე შევიტყვე, რომ თქვენ ,,Правда"-თი უკმაყოფილოთ დარჩით მისი სიმშრალის გამო. ეს მართალია, მაგრამ ამ ნაკლისაგან ასე იოლათ ვერ გავთავისუფლდებით ხალხი არა გვყავს **უდიდესი** ჯაფით ჩვენ მხოლოთ ერთი წლის შემდეგ გავახერხეთ გვქონოდა პიტერში საშუალო რედაქცია. (თქვენი წერილი „Просв(ещение)"-ს გადაუგზავნე).

მომწერეთ რას აპირებთ, და როგორ გრძნობთ თავს დაჟინებით გთხოვთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სერიოზულად შეუდგეთ აქიმობას**; ე. ი. შესაძლებელია სრულებით განიკურნოთ, აქიმობისათვის თავის მინებება კი პირდაპირ ბოროტმოქმედებაა

თქვენი **ლენინ.**

P. S. ჩვენ ნაწილობრივ გვყავდა, და კიდევ გვეყოლება კარგი საზოგადოება. ნახეთ თუ არა „Наш путь"? დახეთ, როგორ ივარგა! ეს უკვე მეორე გაზეთია. მესამესაც დავაყენებთ სამხრეთში.

ადრესი: Ulianov, Poronin (galtzien) Austria.

(ზამთრით კრაკოვში ვიქნები: Lubomirskiego 51).

---

[1]) ა. მ. გორკის ტელეგრამები „ბებელის შესახებ" ინსტიტუტის განკარგულებაში არ იმყოფება. შესაძლებელია ისინი ეხებოდენ ბებელის სიკვდილს, რომელიც 12 აგვისტოს 1913 წ. მოხდა?

[2]) „Просвещение"-ს რედაქტორი—ალბათ მ. ა. სავლიევი, ი. პ. ლადიჟნიკოვი—გამომცემელი, რომელმაც ბერლინში მოაწყო რუსულ წიგნების გამომცემლობა. იყო უახლოეს დამოკიდებულებაში ა. მ. გორკისთან.

[3]) „Нуш путь"—ბოლშევიკების მოსკოვის გაზეთი, რომელმაც დაიწყო გამოსვლა 25 აგვისტოდან (7 სექტემბერი) ვიდრე 1913 წ. 12/25 სექტემბრამდე. სულ გამოვიდა 13 ნომერი.

---

**წერილი 31**

ნოემბრის დასაწყისი 1913 წ [1])

**ძვირფასო ალექსეი მაქსიმოვიჩ!**

გიგზავნით დღეს შეკვეთილ ვანდეროლით რომანის დასაწყისს, რომელიც „Просвещение"-ში უნდა წავიდეს. ვფიქრობთ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით. თუ თქვენ წინააღმდეგი დარჩებით, იმ შემთხვევაში გაუგზავნეთ ტელეგრამა „Просвещение"-ს ამგვარად: „ვოტინსკი გადადევით" ან ვოიტი(ინსკის) რომანი არ გაუშვათ" [2])

იმ ამბავმა, რომ თქვენ გარჩენთ ახალი მეთოდით „ბოლშევიკი", თუნდაც ყოფილი, მე მეტის მეტად შემაწუხა. ღმერთმა დაგიფაროთ ამხანაგ-ექიმებისაგან საზოგადოთ, და კერძოთ ბოლშევიკ-ექიმებისაგან! მერწმუნეთ 100—99 შემთხვევაში ექიმები—ამხანაგები „ვირებია", როგორც მე ერთმა **კარგმა** ექიმმა მითხრა. გარწმუნებთ, რომ (გარდა უბრალო და წვრილმან შემთხვევებისა) ადამიანმა **მხოლოდ** პირველხარისხოვან ექიმებითან უნდა იაქიმოს, ხოლო თავის თავზე შინჯვა ბოლშევიკის გამოგონებისა—პირდაპირ საშინელებაა!! ეგებ ნეაპოლის პროფესორთა კანტროლმა გამოაკეთოს საქმე, თუ ეს პროფესორები მართლა რაიმეს მცოდნე არიან... იცოდეთ, თუ წახვალთ ზამთარში, ყველა შე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთხვევაში შეიარეთ პირველ ხარისხოვან ექიმებთან შვეიცარიაში და ვენაში. შეუწყნარებელი იქნება თუ თქვენ ამას არ იზამთ. როგორ გრძნობთ ეხლა თავს?

თქვენი **ლენინი.**

**წერილი 32**

14 ნოემბერი 1913 წ) [1]).

**ძვირფასო ა. მ!**

ეს რას ჩადიხართ? პირდაპირ საშინელებაა!

გუშინ „Реч"-ში წავიკითხე დოსტოევსკის შესახებ აწყდარ „ღრიალის" შესახებ თქვენი პასუხი და ზეიმი დავაპირე; დღეს კი მომდის ლიკვიდატორული გაზეთი, სადაც დაბეჭდილია აბზაცი თქვენი წერილისა, რომელიც „Реч"-ში არ არის [2])

ეს აბზაცი ამგვარია:

„ღვთისძიებლობა კი საჭიროა **დროებით** (მხოლოდ დროებით?) გადაიდვას,—ეს უსარგებლო შრომაა: ამაოა ეძიოთ იქ სადაც საჭირო არ არის. თუ რაიმე არ დათესე—ვერაფერს ვერ მომკი. ღმერთი თქვენ არა გყავთ, თქვენ ის ჯერ (ჯერ!) კიდევ არ შეგიქმნიათ. ღმერთს არ ეძებენ—იმას ჰქმნიან."

გამოდის, რომ თქვენ მხოლოდ დროებით ხართ ღვთისძიებლობის წინააღმდეგი!! გამოდის, რომ თქვენ ხართ ღვთისმაძიებლობის წინააღმდეგი **მხოლოდ** იმისათვის, რომ ის შეცვლილ იქნეს ღვთის შენებით.

ნუ თუ საშინელება არ არის ის, რომ თქვენ ამნაირი ხუმრობა გამოგიდით?

ღვთისმაძიებლობა განსხვავდება ღვთის შენებიდან ან ღვთისმოპოებიდან, ან ღვთის შექმნიდან და სხვა. არა უმეტესად, ვიდრე ყვითელი ეშმაკი განსხვავდება ლურჯ ეშმაკისაგან.

P. S. ჩვენი საქმეები გვარიანათ მიდიან. პიტერში მუშები ერთდებიან პარტიულათ ყველა ლეგალურ საზოგადოებებში და დამზღვევ საზოგადოებაში მათ შორის აქ იყვენ აგრეთვე საინტერესო და საქმიანი ყმაწვილები.

ადრესი: vl. Uliauov
51 Ulica Lubomirskiego
kraçov. krakau (galikien).

---

[1]) წერილს თარიღი არა აქვს დაახლოებითი თარიღი გამორკვეულია № 32 წერილის პოსტ. სკრიპტუმთან შეთანაბრებით და № 33 წერილის შედარებით.

[2]) ვ. ეოიტინსკი (ფსევდონიმი სერგეი პეტროვ) 1905—1907 წ.წ. ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტის აგიტატორი და ბოლშევიკური გაზეთის თანამშრომელი. 1907 წ. ბოლშევიკურ საქმისათვის მას აგზავნიან კატორგაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდეგ მას გადაასახლებენ. ამ ხნის განმავლობაში ის წერს ბელეტრისტულ ნაწარმოებთა მთელ რიგს რევოლიუციის და ციხის ცხოვრებიდან. 1917 წ. გადადის მენშევიკებთან და ამის შემდეგ გამოდის როგორც უკიდურესი მტერი ბოლშევიზმისა.

ნაწყვეტი მისი მოთხრობისა: „Волны“ სათაურით: „Луч света среди ночи“ მოთავსებული „Просвещение“-ს აპრილის წიგნაკში 1914 წ. № 33 წერილიდან სჩანს, რომ ა. მ. გორკი იყო წინაღმდეგი ვოიტინსკის რომანის „Просвещене“-ში მოთავსებისა, ამისათვის ძნელი გამოსარკვევია, რომელ ვოიტინსკის ხელნაწერების.

ღვთის მაძიებლობის შესახებ ლაპარაკი არა იმისთვის, რომ საერთოდ ითქვას **ყოველგვარ** ღმერთების, ეშმაკების და ყოველგვარ იდეურ სიჩლუნგის წინააღმდეგ (ყოველი უფალა ნიშნავს ტვინის სიჩლუნგე იქნება ის ყველაზე უფრო სუფთა, იდეალური, არა მაძებარი, ხოლო შესაქმნელი უფალა—ეს სულერთია), არამედ იმისთვის, რომ წარმატება მიეცეს ლურჯ ეშმაკს ყვითელ ეშმაკთან შედარებით—ეს ასჯერ უფო უარესია, ვიდრე სულ არაფერი არ ითქვას.

ყველაზე უფრო თავისუფალ ქვეყნებში, სადაც **სრულებით** უადგილოთ უნდა ჩაითვალოს მოწოდებად „დემოკრატიის, ხალხის, საზოგადოებრიობის და მეცნიერებისადმი—ამგვარ ქვეყნებში (ამერიკა, შვეიცარია და სხვ.) ხალხს და მუშებს ტვინს ულაყებენ ყველაზე უფრო გულმოდგინეთ სწორედ ამ წმინდა, სუფთა, სულიერ, მოსაპოვებელ უფალათი. და სწორეთ იმიტომ, რომ ყოველგვარი რელიგიური იდეა, ყოველგვარი იდეა როგორიც არ უნდა იყოს უფალაზე, ყოველგვარი უფალასთან არშიყობა არის გამოუთქმელი სისაძაგლე, რომელსაც ასე თვინიერად (ხშირად კი კარგი განწყობილებით) ხვთება დემოკრატიული ბურჟუაზია,—სწორედ ამიტომ ეს არის ყველაზე უფრო საშიშო სისაძაგლე, ყველაზე უფრო საზიზღარი „სენი.“

მილიონი ცოდვები, სისაძაგლე, ძალმომრეობა და სხვა გვარი ფიზიკური სენი გაცილებით უფრო ადვილათ გასაგებია ბრბოსათვის, და, ამის გამო, ნაკლებ საშიში, ვიდრე გათაღლითებული, სულიერი, სხვა და სხვა. იდეურ კოსტიუმებში გამოწყობილი უფალას იდეა. კათოლიკური „ხუცესი“. რომელიც ხრწნის ქალწულ ქალებს (რის შესახებ მე ეს არის წავიკითხე, სრულებით შემთხვევით ერთ გერმანულ გაზეთში) გაცილებით უფრო ნაკლებად საშიშია პირადათ „დემოკრატიისათვის“, ვიდრე „ხუცესი“ უანაფორო „ხუცესი“ ტლანქ რელიგიას მოშორებული, „ხუცესი“ იდეური და დემოკრატიული. რომელიც ქადაგებს უფალას მოპოვებას და შექმნას. იმიტომ რომ, პირველ „ხუცეს“ ადვილათ გამოიცნობ, გააგდებ, მეორეს კი ასე ადვილათ ვერ გააგდებ. მისი გამოცნობა 1.000 ჯერ უფრო ძნელია, და მის გასამართლებას არც ერთი „სათუთი და საბრალოთ მერყევი“ „ობივატელი“ არ მოინდომებს.

და თქვენ, რომელმაც იცით „სათაური და საბრალოთ მერყევი“ რუსული მეშჩანური სული (რისთვის რუსული? იტალიანური უკეთესია?), სწამლავთ ამ სულს იმ შხამით, რომელიც ყველაზე უფრო ტკბილია და ყველაზე უფრო დაფარული და კამფეტებით და აფერადებული ქაღალდებით!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერწმუნეთ, რომ ეს საშინელებაა!

„გვეყოფა საკუთარ თავზე ფურთხება, რომელიც ჩვენში თვითკრიტიკის როლს თამაშობს“.

კარგი, მაგრამ ნუთუ „ღვთისშენება“ არ არის ყველაზე უფრო ცუდი ფორმა საკუთარ თავზე ფურთხებისა?? ყოველი ადამიანი, რომელიც აშენებს ღმერთს, ან შესაძლებლათ ხდის ამგვარ მშენებლობას, აფურთხებს საკუთარ თავს ყველაზე უფრო, ვინაიდან „მოქმედების“ მაგიერ **ის წარეთ ამით ეწევა** „თვით ყვარებლობას“ და „თავისთავის ცქერას“; ხოლო, ამგვარი ადამიანი „უცქერს“ ყველაზე უფრო ბინძურ, ბლაგვ, მონურ ხაზებს საკუთარ „მე“-სა, რომელსაც ეს „ღვთისშენება“ აღმერთებს.

არა პირადულ, არამედ საზოგადოებრივ თვალსაზრისით, ყოველგვარი „ღვთისშენება“ არის უნიჭო მეშჩანების სასიყვარულო „თავის თავის ცქერა“. ისე როგორც სათუთ „ობივატელშჩინის“ და წვრილ ბურჟუათა და ფილისტერთა საოცნებო „თავის თავზე ფურთხება“, რომლებიც „სასოწარკვეთილებაში ჩავარდენ და დაიღალენ“. (თქვენ ჭეშმარიტათ სთქვით სულის შესახებ, მაგრამ უნდა გეთქვათ არა **რუსული**, არამედ საზოგადოთ **მეშჩანური**, რადგან ებრაელების იტალიელების ინგლისელების სული—ერთი და იგივე ეშმაკია; საზიზღარი მეშჩანობა ყველგან ერთნაირათ საძაგელია; „დემოკრატიული მეშჩანობა“ კი, რომელიც იდეურ სიჩლუნგით ხასიათდება—საზიზღარია უალრესად)

ვკითხულობ თქვენ წერილს, მინდა გამოვარკვიო თუ საიდან წარმოდგა ეს **შეცდომა** და ვკვირდები. რა არის ეს? ნუ თუ მონარჩენები **„ალსარების“**, („исповедь“); რომელიც თქვენ თავად არ მოგწონდათ??

ნუ თუ მისი გამოძახილია?

ან ეგებ სხვა რამ—მაგალითად, უნაყოფო ცდა იმისა, რომ მოიღუნოთ საერთო დემოკრატიულ თვალსაზრისამდე მის მაგიერ, რომ იდგეთ წმინდა პროლეტარულ შეხედულებაზე? შეიძლება „საერთოდ დემოკრატიასთან“ ლაპარაკისათვის თქვენ მოინდომეთ (მაპატიეთ ამ სიტყვისათვის) ენის მოჩლექა სწორეთ ისე, როგორადაც ენას უჩლექენ ბავშვებს? ან, შესაძლებელია, „პოპულიარულად“ თქვენ მოინდომეთ ერთის წამით მიღება **მისი** ან **მათი**, ე. ი. „ობივატელების“, ცრუ შეხედულებათა?? კი მაგრამ, ეგ ხომ ყოველ მხრივ შემცდარი და დაუშვებელი ხერხია!?

მე ვწერდი ზემოთ, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში **სრულებით** უადგილო იქნებოდა პროლეტარულ მწერალის მხრივ მოწოდება „დემოკრატიის, ხალხის, საზოგადოების და მეცნიერებსადმი. მაგრამ, ჩვენთან, რუსეთში?? ამგვარი მოწოდება აქაც უხერხული იქნება, რადგან ის „ობივატელების“ ცრუ შეხედულებას რაღაც ნაირათ გულს უკეთებს. მოწოდება რაღაც ზოგადი და ბუნდოვანია—ჩვენთან იზგოევიც კი „Руская Мысль“-იდან ორივე ხელებით ხელს მოაწერდა. [3]) რა საჭიროა იმნაირ ლოზუნგების აღება, რომლებსაც **თავად თქვენ** მშვენიერად აშორებთ იზგოევშჩინას, **ხოლო მკითხველი** ამას ვერ მოახერხებს?? რა საჭიროა დემოკრატიული პირბადის გადაფარება ყველაფერზე მკითხველისა-

ეროვნული

თვის მაშინ, როდესაც აშკარათ უნდა იქნეს გამორკვეული [illegible]-ჩანთა (სათუთი, საბრალოთ მერყევი, დალალული სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, თავისთავის მაფურთხებელი, თავის თავის მცქერელი, ღმერთის მაძიებელი, უთავბოლოთ ანარხისტული—მშვენიერი სიტყვაა!—და სხვა, და სხვა) და პროლეტართა შორის (რომლებსაც შეუძლიათ მუდამ ჯანსაღი იყვნენ არა მარტო სიტყვით, რომლებსაც აქვთ უნარი გაარჩიონ „მეცნიერება და საზოგადოებრიობა“ ბურჟუაზიისა თავის „მეცნიერება და საზოგადოებრიობისაგან“ ისე, როგორც ბურჟუაზიული დემოკრატია-პროლეტარულ დემოკრატიისაგან)?

რათ შვებით თქვენ ამას?

მეტის მეტათ საწყენია.

თქვენი ვ. უ.

P. S. შეკვეთილი ბანდეროლით გამოგიგზავნეთ რომანი [4]) მიიღეთ?

P. P. S. **იაქიმეთ** სერიოზულათ, რათა ზამთარში შესძლოთ გამგზავრება **გაუციებლათ** (ზამთარში საშიშოა).

თქვენი **ვ. ულიანოვი.**

---

[1]) წერილს თარიღი არა აქვს. თარიღი ირკვევა ვლადიმერ ილიჩის წერილში არსებულ შენიშვნებით გაზეთ „Речь“-ის და „Новая рабочая газета“-ს შესახებ იმისდა მიხედვით, რომ პეტერბურგის გაზეთები აღწევდენ კრაკოვში მეოთხე დღეს.

[2]) 1913 წ. 22 სექტემბერს (5 ოქტომბერი ახალ. სტილ.) გაზეთ „Русское Слово“-ში ა. მ. გორკიმ დაბეჭდა პროტესტი წინააღმდეგ მოსკოვის სამხატრო თეატრის მიერ დადგმულ დოსტოევსკის ანტირევოლიუციონურ რომანისა „Бесы“. ეს „წარმოდგენა“—სწერდა გორკი—საეჭვოა ესთეტიურათ და უსათუოთ მავნე სოციალურათ. ლიბერალურმა და რეაქციონურმა პრესამ ასტეხა ამ საკითხის გარშემო დიდი ხმაური. (ვლადიმერ ილიჩის გამოთქმით—„ღრიალი“). და გამოვიდა წერილების მთელი რიგით ამ სათაურით: „За Достоевскаго“ ა. მ. გორკიმ უპასუხა ახალი წერილით: „Еще о карамазовщине“, კიდევ კარამაზოვშჩინას შესახებ. ეს წერილი დაიბეჭდა „Русское Слово“-ს № 248 27 ოქტომბერი (9 ნოემბერი ახალი სტილით) 1913 წ.

თითქმის სავსებით, მაგრამ უკანასკნელ აბზაცის გამოტოვებით გორკის პასუხი იყო გადაბეჭდილი გაზეთ „Речь“-ში 28 ოქტომბერს (10 ნოემბერი ახალი. სტილ.) 1913 წელს. მეორე დღეს გორკის წერილი უკანასკნელი აბზაცის გამოუტოებლათ, რომელსაც სავსებით ამჟღავნებს ვალდიმერ ილიჩი თავის წერილში, გადაბეჭდილ იქნა ლიკვიდატორულ გაზეთის: „Новая рабочая газета“-ს მიერ—№ 69, 29 ოქტომბერი (11 ნოემბერი ახალ სტილ.) 1913 წ. ეს გადაბეჭდილი წერილები გორკისა „Речь“-ის და „Новая Рабочая Газета-ს მიერ აქვს მხედველობაში ვლადიმერ ილიჩს თავის წერილში.

ეროვნული

ამ უკანასკნელ აბზაცის გარდა, რომელიც სავსებით [illegible]დიმერ ილიჩს თავის წერილში, მოჰყავს კიდევ შემდეგი ფრაზები გორკის წერილიდან:

„მე ვიცი სინაზე რუსულ ხასიათისა, ვიცი საბრალო მერყეობა რუსულ სულისა; ის ნაწამები, დაღლილი და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ადვილათ იღებს ყოველგვარ სენს...“ „გვეყოფა საკუთარ თავზე ფურთხება, რომელიც ჩვენში თვითკრიტიკის როლს თამაშობს. გვეყოფა ერთმანეთის წამება, უთავბოლო ანარხიზმი და ყოველგვარი ძალლვების დაჭიმვა“.

თუ როგორი შთაბეჭდილება იქონია ვლადიმერ ილიჩის წერილმა, ამის შესახებ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ იმით, რომ თავის წერილების გადაბეჭდვის დროს 1916 წ. (მ. გორკი. წერილები 1905—1916 წ. წ. გამომცემლობა „Парус“) ალექსეი მაქსიმიჩმა გამოაგდო უკანასკნელი აბზაცი, რომელმაც გამოიწვია ვლადიმერ ილიჩის „გახელებული“ შეტევა.

[3]) ა. იზგოევი—90 წლებში მარქსისტულ ჟურნალების თანამშრომელი· შემდეგ ყველაზე უფრო მემარჯვენე კადეტურ პუბლიცისტებთა შორის, მონაწილე კრებულისა „Вехи“ და მუდმივი თანამშრომელი „Руская Мысль“-ს იმ პერიოდში, როდესაც ის პ. ბ. სტრუვეს ხელმძღვანელობით გახდა იდეურ კონტრრევოლიუციის თვალსაჩინო ორგანოთ რევოლიუციონურ მოძრაობასთან გააფთრებულ ბრძოლაში.

[4]) ხელთნაწერი ვ. ვოიტინსკის რომანისა, რომელიც ავტორმა გამოაგზავნა ჟურნალ „Просвещение“-სათვის.

---

წერილი 33

(15 ნოემბერი 1913 წ.) [1])

ძვირფასო ა. მ!

მივიღე რომანი[2]) და თქვენი წერილი. ჩემის აზრით რომანი უნდა შეჩერდეს, თუ თქვენ ხართ წინააღმდეგი გიგზავნით კამენევის წერილს, რ(ომელ)მაც რომანი წაიკითხა (მე ჯერ არ წამიკითხია).

მივწერთ პიტერში, რომ შეაჩერონ.

ამასთან ერთათ გიგზავნით ჩემ გუშინდელ წერილს: არ მოგივიდეთ გული, რომ გავხელდი. შეიძლება მე თქვენ ისე ვერ გაგიგეთ? შეიძლვბა თქვენ საოხუნჯოთ სწერდით მხოლოდ „დროებით“? შეიძლება ღმერთის შენებაზედაც თქვენ არა სერიოზულათ სწერდით?? [3]).

იაქიმეთ, ღვთის გულისათვის, რაც შეიძლება კარგად.

თქვენი **ლენინი.**

---

[1]) წერილს თარიღი არა აქვს. თარიღი ირკვევა № 32 წერილთან შედარებით.

[2]) ვ. ვოიტინსკის რომანის ხელთნაწერი. იხილ. შენიშვნა 2 № 31 წერილისა.

[3]) აქ იგულისხმება წერილი № 32.

**წერილი 34.**

(დეკემბერი 1913 წ.) [1]).

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . რაც შეეხება ღმერთს, ღვთიურს და ყოველივეს რაც ამ საკითხთან დაკავშირებულია, ვფიქრობ, თქვენ წინააღმდეგობა გამოგივიდით სწორედ იმგვარი, რის შესახებ მე თქვენ გელაპარაკებოდით კაპრზე ჩვენ უკანასკნელ შეხვედრის, დროს: თქვენ გამოეთიშეთ (ან თითქოს გამოეთიშეთ) „ვპერიოდოვცებს“, მაგრამ ვერ შეამჩნიეთ ვპერიოდოვსტვოს“ იდეური საფუძვლები.

ეს ხდება ეხლაც. თქვენ „გაგულისებული“ ხართ, თქვენ „არ შეგიძლიათ გაიგოთ“ თუ როგორ გაგეპარათ სიტყვა „დროებით“ [2]) მწერთ ასე- და ამავე დროს თქვენ იცავთ ღმერთის და ღვთის შენების იდეას.

„ღმერთი არის კომპლექსი იმ იდეათა, რომლებიც ხალხმა, ნაციებმა და კაცობრიობამ შეიმუშავა, რომლებიც აღვიძებენ და ჰქმნიან სოციალურ გრძნობას, იმ მიზნით რომ პიროვნება შეაკავშირონ საზოგადოებას და ალაგმონ ბიოლოგიური ინდივიდუალიზმი“.

ეს თეორია აშკარათ დაკავშირებულია ბოგდანოვის და ლუნაჩარსკის თეორიებთან.

და ეს თეორია აშკარათ ყალბია და რეაქციონური. ქრისტიანულ სოციალისტების დაგვარ („სოციალიზმის“ ყველაზე უფრო ცუდი ფორმა და გადაგვარებული მისი სახე) თქვენ ხმარობთ იმ ხერხს, რომელიც (მიუხედავათ თქვენ მშვენიერი სურვილებისა) იმეორებს „ხუცესების“ „ფოკუს-მოკუსს“: ღმერთის იდეას აშორებენ ყოველივეს რაც ისტორიულათ და ცხოვრებით მასში არის, ჭინკები, ეშმაკები, ცრუმორწმუნეობა, გაუნათლებლობის და უსამართლობის გამართლება ერთის მხრით, და ბატონ ყმობისა და მონარქიის მეორეს მხრით; ისტორიულ და ცხოვრების რეალურ მოვლენების ნაცვლათ ღმერთის იდეას ემატება გულკეთილი მეშჩანური ფრაზა (ღმერთი=მომავლის იდეა, რომელიც ჰქმნის სოციალურ გრძნობას).

თქვენ ამით გინდათ სთქვათ „კარგი და კეთილი“, მიუთითოთ „სამართლიანობას“ და სხვა ამგვარი. მაგრამ თქვენი კეთილი სურვილი რჩება თქვენ პირად საკუთრებათ, სუბიექტიურ „უდანაშაულო მისწრაფებათ“ და ვინაიდან თქვენ ეს დასწერეთ—ის გადადის მასსაში და მისი **მნიშვნელობა** ირკვევა არა თქვენ კერძო და კეთილი მისწრაფებით, არამედ **საზოგადოებრივ ძალების ურთიერთ შორის განწყობილებით** და კლასთა ობიექტიურ დამოკიდებულებით. ამ განწყობილებათა მიხედვით **გამოდის**, რომ თქვენ (მიუხედავათ თქვენი ნებისა და თქვენი გონებისა) გაალამაზეთ, დაშაქრეთ იდეა კლერიკალების, პურიშკე-

ეროვნული

ვიჩების ნ(იკოლოზ) II და ბ.ბ. სტრუვეების, ვინაიდან ნამდვილად ღმერთის იდეა მათ აძლევს საშუალებას ამყოფონ ხალხი მონობაში. ღმერთის იდეის გალამაზებით, თქვენ აგრეთვე გაალამაზეთ ბორკილები, რომლითაც ისინი ჯაჭვავენ გაუნათლებელ მუჟიკებს და მუშებს.

აი—იტყვიან ხუცები და ამხ.—რა მშვენიერი და ღრმა იდეა არის ღმერთის იდეა, როგორ ილებენ ამ იდეას „თქვენი“ ბ.ბ. სოციალ-დემოკრატები, თქვენი წინამძღოლები! ჩვენც ხომ ამ იდეას ვემსახურებით!!

შეცდომაა ვიფიქროთ, თითქოს ღმერთი იყოს კომპლექსი იმ იდეათა, რომლებიც ალვიძებენ და ჰქმნიან სოციალურ გრძნობას. ეს ბოგდანოვის იდეალიზმია, რომელიც სცდილობს გააქარწყლოს იდეების მატერიალური წარმოშობა. ღმერთი ისტორიულად და ცხოვრებაში უპირველეს ყოვლისა არის კომპლექსი იმ იდეების, რომლებიც წარმოშო ადამიანის ბუნების და კლასობრივ ჩაგვრით შექმნილ მძიმე მდგომარეობამ; ის კომპლექსია იმ იდეების, რომლებიც სცდილობენ გაამაგრონ ეს მძიმე მდგომარეობა და მიაძინონ კლასობრივი ბრძოლა. იყო ხანა ისტორიაში, როდესაც მიუხედავათ ღმერთის იდეის ამგვარ წარმოშობისა და მის ჭეშმარიტ მნიშვნელობისა, დემოკრატიის და პროლეტარიატის ბრძოლა ილებდა ერთ რელიგიურ იდეის მეორესთან ბრძოლის ფორმას.

მაგრამ ამ დრომაც დიდი ხანია განვლო.

ეხლა ევროპაში და რუსეთშიდაც ღმერთის იდეა, როგორიც გაკეთილშობილებული და გამძაფრებული არ უნდა იყოს, ის ნიშნავს რეაქციის გამართლებას.

მთელი თქვენი დახასიათება თავიდან ბოლომდე რეაქციონური და ბურჟუაზიულია. „ღმერთი=იდეების კომპლექსი, რომლებიც ალვიძებენ და ჰქმნიან სოციალურ გრძნობებს იმ მიზნით, რომ დაუკავშირონ პიროვნება საზოგადოებას და ამით ალაგმონ ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი!!

რატომ არის ეს რეაქციონური? იმიტომ რომ ის ალამაზებს ხუცურ და ბატონყმურ იდეას ზოოლოგიის „ალაგმისა!!

ნამდვილად „ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი“ ალაგმა არა ღმერთის იდეამ, არამედ პირველყოფილმა ჯოგმა და პირველყოფილმა კომმუნამ.

ღმერთის იდეა ყოველთვის აძინებდა და ჩლუნგავდა „სოციალურ გრძნობებს“ და ყოველთვის იყო მონობის იდეის (ყველაზე უფრო ცუდ და საშინელ მონობის) მომხრე. არასოდეს ღმერთის იდეა არ „უკავშირებდა პიროვნებას საზოგადოებას“; პირიქით, ის ბორკავდა დაჩაგრულ კლასებს იმ რწმენით, თითქოს მჩაგვრელები ღვთაებრივ შთამომავლობის ყოფილიყვნენ.

ბურჟუაზიულია თქვენი დახასიათება (არა მეცნიერული, არა ისტორიული) მისთვის რომ, ის ეყრდნობა საერთო, საზოგადო და „რობინზონულ“ წარმოდგენებს, და არა იმ წარმოდგენებს, რომლებიც შეიმუშავა ამა თუ იმ **კლასმა** სხვა და სხვა ისტორიულ ეპოქაში.

ერთია ველურის, ზირიანინის ღმერთის იდეა და სულ სხვაა სტრუვესი და ამხ. ორივე შემთხვევაში ამ იდეას ამაგრებს კლასიური ბატონობა (და ეს იდეა ამაგრებს აგრეთვე მას). „ხალხური წარმოდგენა უფალზე ნიშნავს ხალხის სიბნე-

ეროვნული

ლეს, გაუნათლებლობას, ფუცობას სწორეთ ისე, როგორც „ხალხური წარმოდგენა“ მეფეზე, ქაჯზე და ცოლების თმებით თრევაზე. როგორ შეგიძლიათ თქვენ „ხალხურ წარმოდგენას“ ღმერთზე უწოდოთ „დემოკრატიული“—მე ეს აბსოლიუტურათ არ მესმის.

რომ ფილოსოფიურ იდეალიზმს „ყოველთვის მხედველობაში აქვს მხოლოდ პიროვნების ინტერესები“—ეს არ არის მართალი. ნუ თუ დეკარტს გესსენდისთან შედარებით ჰქონდა მხედველობაში მეტი ინტერესები პიროვნებისათვის? ან ფიხტეს და გეგელს ფეიერბახთან შედარებით?

რომ „ღვთისშენება არის შემდეგ განვითარების, ინდივიდუუმში და საზოგადოებაში სოციალურ იდეების დაგროვების პროცესი“—ეს პირდაპირ საშინელებაა!!

რუსეთში რომ თავისუფლება იყოს, მთელი ბურჟუაზია თქვენ თავის ფარზე დაგსვამდათ ამგვარ სიტყვებისათვის, ამგვარ ბურჟუაზიულ ტიპის და ხასიათის სოციოლოგიისა და ტეოლოგიისათვის.

ჯერ-ჯერობით საკმარისია—ისედაც ძრიელ გაჭიანურდა წერილი. ხელმეორეთ მაგრათ გართმევთ ხელს და გისურვებთ კარგათ ყოფნას.

თქვენი ვ. ი.

---

[1]) ლენინგრადის სახალხო ბიბლიოთეკაში შენახულია ნამდვილი ხელთ-ნაწერი ვლადიმერ ილიჩის ამ წერილისა, რომელიც იწყება ფურცელით № 5. პირველი ოთხი ფურცელი ბიბლიოთეკაში არ არის, შესაძლებელია, ამ წერილის ბიბლიოთეკის განკარგულებაში გადმოცემის დროს, გორკიმ დაიტოვა ის ფურცლები. ჩვენ ვბეჭდავთ ამ წერილის დანარჩენ ნაწილს, რომელიც ორიგინალიდან გადაღებული იქნა ფოტოგრაფიით. წერილი წარმოადგენს პასუხს გორკის ბარათზე, რომელიც, თავის მხრით, გამოწვეულია ილიჩის წერილით № 32.

[2]) სიტყვა „დროებით“ ეხება ციტატას მოყვანილს გორკის წერილიდან, რომელიც მოყვანილი და გარჩეულია ვლადიმერ ილიჩის წერილში № 32.

თარგმანი: **კოლაუ ნადირაძის.**

ტრიბუნა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. დევდორიანი.

# მარქსიზმი და ხელოვნება.

## I.

### მარქსი ხელოვნების შესახებ.

სად მარქსი, სად ხელოვნება! იტყვის ამ სათაურის წაკითხვაზე გაკვირვებული მკითხველი. მარქსს ჩვენ ვიცნობთ, როგორც ეკონომისტს, სოციოლოგს, ისტორიკოსს, ფილოსოფოსს, მაგრამ ჩვენთვის ის სრულიად უცნობია, როგორც ხელოვნების თეორეტიკოსი. ვიცით მხოლოდ, რომ მარქსისთვის დიდი მიმზიდველი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო მწერლობას, გატაცებით კითხულობდა სხვა და სხვა დროის სხვა და სხვა ქვეყნების მწერლებს, მაგალითად, შექსპირს, ესხილს, ჰეტეს.

ამის მეტი არაფერი არ იცის ფართო წრის მკითხველმა. რუსულ ენაზე და მეტადრე ქართულზე არ მოიძებნება ყველაფერი, რაც უწერია მარქსს. მის ნაწერებში, კი საკმაოთ შეხვდებით ფურცლებს და სტრიქონებს ხელოვნების შესახებ.

დავიწყებ მისი შენიშვნებიდან პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავალში.

მარქსი სწერს ამ შესავალში:

„ხელოვნების შესახებ ჩვენ ვიცით, რომ მისი განვითარების ესა თუ ის საფეხურები სრულაც არ შეეფერებიან საზოგადოების საერთო განვითარებას. არ შეეფერებიან მაშასადამე ამ საზოგადოების ნივთიერ საძირკვლის განვითარებასაც.

ხელოვნების ზოგიერთ დარგზე, მაგალითად ეპოსზე უნდა ითქვას, რომ იმას ქონდა თავისი სამაგალითო-კლასიკური სახე, ის შეადგენდა მთელ ხანას მსოფლიო ისტორიაში. მაგრამ ეპოსი შეუძლებელი ხდება, როგორც კი ფესვების გადგმას იწყებს ნამდვილი მხატვრული შემოქმედება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ხელოვნებაში უდიდესი მნიშვნელობის ფორმები შესაძლებელია მხატვრული განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე, ეს ასეა ხელოვნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასპარეზზე, ხელოვნების სხვა და სხვა დარგის ერთიმეორესთან დამოკიდებულებაში. ამიტომ ეს გარემოება კიდევ უფრო ნაკლებად უნდა გვაკვირვებდეს ჩვენ, თუ ხელოვნების დარგს ავიღებთ მთლიანათ საერთო საზოგადოებრივ განვითარებასთან დამოკიდებულებით. სიძნელე იწყება მაშინ, როცა ეხება წინააღმდეგობათა გამოხატვას. საკმაოა გამოაცალკევო თვითეული ეს წინააღმდეგობა და ის გაგებული გექნება. დაუკვირდეთ, მაგალითად, საბერძნეთის ხელოვნებას, მერე შექსპირის დამოკიდებულებას ახლანდელ დროსთან. როგორც ვიცით საბერძნეთის მითოლოგია შეადგენდა არა მარტო არსენალს საბერძნეთის ხელოვნებისას, ის იყო მისი სარჩულიც. განა შეიძლებოდა ბუნებაზე, საზოგადოებრივ ურთიერთობაზე ისეთი შეხედულება, როგორიც სარჩულათ ედო ბერძნების ფანტაზიას და ხელოვნებას, მაშინ რომ ქონებოდათ სასოფლო სამეურნეო იარაღები, რკინის გზები, ორთქმავალები, ელექტრონული ტელეგრაფი? განა ბერძნების ღმერთს-ვულკანს ადგილი ექნებოდა Poberit და C°-ის გვერდით, იუპიტერს ქუხილის ასაცილებელთან, და ჰერმესს Credit mobilier-თან ერთად? ყოველგვარი მითოლოგია სძლევს, იმორჩილებს და ასახიერებს ბუნების მოვლენებს, ამუშავებს მათ თვის წარმოდგენაში, თავისი წარმოდგენის საშუალებით, და ყოველგვარ მითოლოგიას ნიადაგი ეკარგება როცა ადამიანი ნამდვილათ ბატონდება ბუნების მოვლენებზე. რა დაემართებოდა ღმერთს-ფორმას Printinghokse sguaie-სთან. საბერძნეთის ხელოვნებას სარჩულათ უდევს საბერძნეთის მითოლოგია, რომელშიაც შეუგნებლათ, მხატვრულათ გადამუშავებულია ბუნება და საზოგადოებრივი წესწყობილების ფორმები. ხალხის ფანტაზია ამუშავებდა ამას და ეს გადამუშავება იყო საბერძნეთის ხელოვნების მასალა. სულ ერთი არ არის ამ შემთხვევაში, რომელი მითოლოგია იქნება და როგორი გადამუშავება ბუნების (ბუნებათ იგულისხმება ყველაფერი რასაც საგნობრივი ხასიათი აქვს და მაშასადამე იგულისხმება საზოგადოებაც) ეგვიპტეს მითოლოგია ვერასოდეს ვერ გაუხდებოდა საბერძნეთის ხელოვნებას ნიადაგათ და მშობელ დედათ. საერთოთ კი მაინც მითოლოგია უნდა ყოფილიყო იმ ხელოვნების სარჩული. ვთქვათ, საბერძნეთის საზოგადოებრივი განვითარება იყო ასეთი, რომ აღარ შეიძლებოდა მითოლოგიური შეხედულება ბუნებაზე, და ფეხს ველარ მოიკიდებდა ბუნებით გაღმერთება, ვთქვათ, მხატვარს სჭირდებოდა მაშინ მითოლოგიისაგან დამოუკიდებელი ფანტაზია. ამ პირობებში ნიადაგი არ მიეცემოდა საბერძნეთის ხელოვნებას.

მეორე მხრივ, განა შესაძლებელია აქილესი იქ, სადაც არის თოფის წამალი და ტყვია ან საერთოთ, ილიადა იქ, სადაც არსებობს საბეჭდავი დაზგა და სასტამბო მანქანა? განა აუცილებლათ არ ელება ბოლო ზღაპარს, სიმღერას მუზას ეპიური პოეზიის თანდაყოლილ პირობებს მაშინ, როცა უკვე ბეჭდითი სიტყვის ღერძი იწყებს ბრუნვას.

მაგრამ საქმე იმაში კი არ არის, რომ ძნელი გასაგებია საბერძნეთის ხელოვნების, ეპოსის კავშირი, საზოგადოებრივი განვითარების განსაზღვრულ ფორმებთან, უფრო ძნელია იმის გაგება, რომ ეს ხელოვნება, ეპოსი ახლაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაგრძნობინებენ მხატვრულ სიამოვნებას და ერთგვარათ თითქო გარდუვალი ნორმის მნიშვნელობა ეძლევათ, თითქო მიუწვდომელ ნიმუშათ ხდებიან.

მომწიფებული კაცი ვერ გადაიქცევა ხელ ახლა ბავშათ, სასაცილო გამოვა რომ გადაიქცეს. მაგრამ განა კაცის გულს არ ახარებს ბავშის გულუბრყვილობა, განა ის თითონ არ უნდა მიისწრაფებოდეს იმისაკენ, რომ უმაღლეს საფეხურზე აღიდგინოს თავისი ნამდვილი არსება, და განა ბავშურ ბუნებაში ყოველ ხანაში არ ილვიძებს მისი საკუთარი ხასიათი ისეთი გულუბრყვილო, როგორც იყო ის ბავშობისას? რატომ არ უნდა ექნეს, მაშასადამე კაცობრიობის ბავშურ ხანას მუდმივი მიმზვიდველობა ჩვენთვის, რატომ არ უნდა იყოს ეს სილამაზე, ისეთი ხანის, რომელიც არ მეორდება არასოდეს? არიან განუვითარებელი ბავშები, არიან მოხუცებრივ ჭკუიანი ბავშებიც. უძველესი დროის ხალხებისგან ბევრი წააგავს პირველ ნაირ და მეორე ნაირ ბავშებს. ბერძნები იყვნენ ნორმალური ბავშები. მათ ხელოვნებას აქვს მომხიბვლელი ძალა, რომელიც არ ეწინააღმდეგება თავისი დროის განუვითარებელ, საზოგადოებრივ პირობებს. პირიქით, ამ განუვითარებელი ხანის ნაყოფია ეს მხიბლავი ძალა. ხელოვნებას ეძლევა ამნაირი ძალა იმითი, რომ ის წარმოშობილია განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობებში და ეს პირობები ვერ გამეორდებიან“.

ეს არის დაუმთავრებელი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზრები ხელოვნების შესახებ. ეს ნამცეცებია გადმოცვენილი მარქსის აზროვნობის მდიდარი სუფრიდან. აქაც ისე, როგორც ყველგან და ყოველთვის მარქსი საინტერესოა თავისი კვლევაძიების გზით—მეთოდით და არა დასრულებული გამოკვლევით. მარქსი იძლევა საშუალებას, რომლითაც ყოველი გაგებული მარქსისტი შეიძლებს კვლევაძიებას.

ხელოვნება ერთ-ერთი დარგია იდეოლოგიის. იდეოლოგია, მარქსის მოძღვრებით, ზედნაშენია საზოგადოებრივი ურთიერთობის და ხელოვნებაც ფეხს იკიდებს მხოლოდ ამ ურთიერთობის ნიადაგზე და არა იმის გარეშე. რატომ აღმერთებდა ძველი დროის ბერძენი ბუნების მოვლენებს? აღმერთებდა იმიტომ, რომ ბავშური იყო მისი შეხედულება. ბუნებაზე ბუნება რაღაც გაუგებარს წარმოადგენდა იმისთვის. როცა ადამიანმა გაიარა ეს ბავშური ხანა, როცა განვითარდა საზოგადოება, რომელშიაც ის ცხოვრობდა, მაშინ ბუნებასაც სხვანაირათ დაუწყო ყურება, ათასნაირი მანქანებით ადამიანმა დაიმორჩილა ბუნება, ბუნების მოვლენებში იმას აღარ ეჩვენებოდა საიდუმლოება და ღვთაებრივი ძალა. ამ დროიდან ხელოვნებას სარჩულათ ვეღარ დაედებოდა ბუნების გაღმერთება. მაშასადამე ხელოვნების სარჩული სხვა და სხვაა, სხვა და სხვა დროს, საზოგადოებრივ განვითარების მსვლელობისგან არის დამოკიდებული ეს სხვა და სხვაობა არ არსებობს უსხეულო, უაზრო სილამაზე. მის სხეულს და აზრს იძლევა საზოგადოებრივი ურთიერთობა, მისი ძირია იმ დამოკიდებულებაში, რომელიც აქვს ადამიანს ბუნებასთან, ადამიანს ადამიანთან.

აქედან იწყებს მარქსი ხელოვნების ახსნას, გაგებას. ეს არის მატერიალისტური გზა-მეთოდი, რომელსაც გვაძლევს მარქსის მოძღვრება ხელოვნების კითხვებშიაც. ხელოვნებაც ემორჩილება ამითი მეცნიერულ დისციპლინას.

ერთიანი ბიბლიოთეკა

მაგრამ ზემოთ ამოწერილ „შესავალში“ მარქსი აყენებს მეორე კითხვას, განსაზღვრული ხანა საზოგადოებრივი განვითარების გვაძლევს ამა თუ იმ შინაარს ხელოვნებისას, რით აიხსნება, თუ ასეა, ის გარემოება, რომ ხელოვნების ნაწარმოები ჩვენ სიამოვნებას გვაძლევს იმ დროს, როცა დიდი ხნის გავლილია მისი წარმომშობი საზოგადოებრივი ურთიერთობა? ძველი საბერძნეთის მხატვრულ ქმნილებებს არ დაუკარგავთ ჩვენთვის სიამოვნების მომგვრელი ძალა. თუმცა ათასეული წლებია გავლილი ძველი საბერძნეთის დროიდან. დღევანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობა არ გავს იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელშიაც მხატვრულმა შემოქმედებამ წარმოშობა მილოსის ვენერა, მაგრამ დღესაც არ დაჰკარგვია მომხიბვლელი ძალა ამ ნაწარმოებს. რითი აიხსნება ეს? მარქსი აყენებს ამ კითხვას და იმის გადაჭრაში ამბობს ორ სიტყვას მუდმივი მიმზიდველობის შესახებ.

ხელოვნებაში არის, მარქსის მოძღვრებით, შინაარს გარდა ფორმაც. ფორმას ეძლევა შინაარსისაგან დამოუკიდებული და საუკუნოების გამძლე მნიშვნელობა.

შეიძლება თუ არა გამოვიტანოთ აქედან ის დასკვნა, რომ ფორმას არ აქვს არავითარი დამოკიდებულება ამა თუ იმ საზოგადოებრივ წესწყობილებასთან, რომ ის უფრო ცისაა, ვიდრე დედამიწის? ამ დასკვნას ჩვენ ვერ გამოვიტანთ მარქსის ნაწერიდან. ასეთი დასკვნის საბაბს არ იძლევა საერთოთ მისი შეხედულება ხელოვნების კითხვებზე.

ჩვენ ვიცით მაგალითად, რომ მარქსს უდიდეს მგოსნათ მიაჩნდა ესქილი. ესქილმა აილო ძველი თქმულება პრომენეოსის შესახებ და შექმნა სახე, შეურყეველი მებრძოლის სახე არსებული წესწყობილების წინაალმდეგ. ეს ბრძოლა გადადის საუკინიდან საუკუნემდის, თუმცა საუკუნოების განმავლობაში ეცემა ერთი წესწყობილება და მის ადგილს იკავებს მეორე. არ შექმნილა დედამიწაზე ისეთი წესწყობილება, რომლის წინაალმდეგაც არ გამოსულიყოს ახალი მებრძოლი ძალა. არ დამდგარა ისეთი დრო, დედამიწას აღარ დასჭირვებოდეს შეცილება ზეციერებასთან, რომ დედამიწას აღარ ქონებოდეს მისწრაფება იმ ცეცხლისაკენ, რომელიც მითვისებული აქვს ზეციერებაში კაცობრიობის მოწინაალმდეგე ღვთაებას. ესქილი სიმბოლოა დაუსრულებელი მისწრაფების და ბრძოლის. პრომეთეოსში განსახიერებული აქვს ეს დაუსრულებლობა. ესქილის ქმნილებას დამოკიდებულება აქვს საზოგადოებრივ უთიერთობასთან, მაგრამ ეს ურთიერთობა არ ამოიწურება განსაზღვრული ისტორიული ხანით, განსაზღვრული დროით და სივრცით.

პრემეთეოსის სახე, ამიტომ მარქსს მიაჩნდა ხელოვნების ისეთ ნაწარმოებით, რომელიც გვაგრძნობინებს სიამოვნებას ახლაც თუმცა ჩვენ შორს ვართ ესქილის დროიდან.

მარქსის ნაწერში არ არის მითითება ე. წ კლასობრივ ხელოვნებაზე. არ ამბობს, რომ ერთი და იგივე ნაწარმოები შეიძლება მოსწონდეს ერთ კლასს, და ეზიზღებოდეს მეორეს. მარქსს უყვარდა ჰეტეს კითხვა, მაგრამ ის არ იყო პოლიტიკური თანამოაზრე ამ გენიოსი პოეტის. ზოგიერთი მხარე ჰეტეს შემო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქმედების მარქსს არ მოსწონდა, ეს არ იყო დამოკიდებული იმის პოლიტიკურ მიდრეკილებაზე. ის არ გამოდიოდა ამ შემთხვევაში, როგორც თითონ სწერს, „ზნეობრივი ან პარტიული შეხედულებიდან ის გამოდიოდა ესთეტიური და ისტორიული შეხედულებიდან“ *).

რევოლიუციონერს მოეწონება რევოლიუციონური ლექსი, ან სურათი, რეაქციონერს რეაქციონურიო, ეს არ არის მარქსის მოძღვრებაში.

ერთხელ შატობრიანის შესახებ სწერდა მარქსი ენგელსს:—ეს მწერალი ყოველთვის მეჯავრებოდა... ყალბი სიღრმე, ბიზანტიური გარდამეტება, გრძნობებით თავმომწონეობა, აჭრელებული სიტყვაობა, სიტყვების ღეჭვა, თეატრალობა, კილოს აწევა, ისეთი სიყალბის დომხალი, როგორიც არ მომხდარა აქამდის არც ფორმით, არც შინაარსით.**)

მარქსი, როგორც ვხედავთ არ იწუნებს შატობრიანს ე. წ. რევოლიუციონური მოსაზრებით. მარქსის დაფასებაში აქ არ არის რა პოლიტიკური. ხელოვნების ნაწარმოებში ის სდევნის გადაჭარბებას, გრძნობების სიყალბეს, სიტყვას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ნამდვილ განცდასთან. არავითარ სხვა სარგებელს არ ეძებს მარქსი.

მარქსის მიწერ მოწერაში ჩვენ კიდევ ბევრ რამეს შევხვდებით ხელოვნების კითხვებზე. ჯერ კი აქ მოყვანილ ამონაწერიდან ხაზი უნდა გაესვას სამ დებულებას მარქსის მოძღვრებაში.

ხელოვნების სარჩული, მასალა, შინაარსი დაკავშირებულია საზოგადოებრივ ურთიერთობასთან. ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან და ადამიანთან, ეს არის წყარო მხატვრული შემოქმედების.

ხელოვნებაში არის ღირებულება, რომელიც არ ემორჩილება განსაზღვრული დროის და სივრცის კანონებს, რომელიც თან არ მიჰყვება განსაზღვრულ საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმავლობას.

ხელოვნების დაფასება არ შეიძლება კლასიური, პოლიტიკური ინტერესების მიხედვით. შესაძლებელია, რომ „რევოლიუციონური სუნით“ გაჟღენთილი ნაწარმოები ვერ ვარგოდეს ხელოვნებათ; და რეაქციონერმა ხელოვანმა გაგრძნობინოს ნამდვილი ესთეტიური სიამოვნება.

*) Искуство—Журнал российской академии художественных наук № 1 1923 წ. წერილი: Маркс об искустве გვ. 35.

**) Briefvksel zvisechan Fr. Engels undw к. Marks, IV, 354—355.

ეროვნული ბიბლიოთეკა

 შ. დუდუჩავა.

# მარქსიზმი და ხელოვნება.

## I.

(ს. დევდარიანის წერილის „მარქსიზმი და ხელოვნებ“-ას გამო.)

1. მარქსი მარქსიზმის წინააღმდეგ ს. დევდარიანის ცნობიერებაში. 2. მარქსიზმის მონისტური ბუნება. 3. საკითხის დაყენება. 4. ხელოვნების ბუნება. 5. ხელოვნების სოციოლოგია. . ხელოვნების ბიოლოგიური მნიშვნელობა. 7. ხელოვნების შომავალი. 8. დევდარიანის დუალიზმი და მისი არა მარქსისტული პოზიცია. 9. დასკვნა.

რუსულ მარქსიზმის განვითარებაში ცნობილია ისეთი ეპოქა, როდესაც მარქსიზმის მსოფლ-მხედველობრივ- ბუნება პრობლემათ იყო მიჩნეული: მარქსიზმი არ არის მსოფლ-მხედველობა, ის მხოლოდ სოციალ-ეკონომიური დოქტრინაა და მეტი არაფერი; კიდევ მეტი: მარქსიზმი **არც უნდა იყვეს** მსოფლ-მხედველობა, რადგანაც მსოფლ-მხედველობის „სისტემა“ ეწინააღმდეგება მის მეთოდოლოგიურ ბუნებას. ასეთია მარქსის მოძღვრების ზოგი მეტის მეტათ ერთგული პატრიოტების შეხედულება. პლეხანოვისა და ლენინის საღმა და დაუნდობელმა კრიტიკამ ასეთ შეხედულებას იმ თავითვე გამოაცალა ყოველგვარი ნიადაგი და მით მარქსიზმის „quasi-პატრიოტების“ ყალბი რეალისტური პოზიცია უსიცოცხლო მირაჟათ აქცია. მართლაც და მეთოდის ღირებულება არარაობას უდრის თუ ის უძლურია შეხედულებათა სიტემის დამუშავებაში. მეთოდი გზა და ხიდია მსოფლ-მხედველობის სისტემატიზაციისაკენ და თუ სისტემატიურმა კვლევა ძიებამ არ მოგვცა ერთგვარი დასრულებული დასკვნები, რომელიც საჭიროა პოზიტიურ შეხედულებათა გამომუშავებისათვის, მაშინ თვით კვლევაძიების მეთოდიც უნიადაგოა და როგორც ასეთი მეცნიერულათ ყალბი. მეთოდი და სისტემა ორი მხარეა ერთსა და იმავე მოვლენის: ერთი მეორეს ლოღიკურად ჰგულისხმობს და ამდენათ ისინი ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენენ; „სისტემის“ რეალიზმი მეთოდის რეალიზმს უკავშირდება, რის გამოც ამა თუ იმ მსოფლ-მხედველობის ზედროულობა და მარადიულობა, მოკლეთ—მისი მეტაფიზიკური ბუნება—უნდა განვიხილოთ არა როგორც განკერძოებული მოვლენა—არამედ როგორც მეტაფიზიკურ მეთოდიდან ლოღიკურად გამოსული ფაქტი. მარქსიზმის რეალისტური ცხოველმყოფლობა აიხსნება იმ დიალექტური მეთოდით,

ეროვნული

რომელიც მარქსისტულ სისტემაში მატერიალიზმის ფონზე აწარმოებს თავის კვლევა ძიებას. დიალექტიკის მატერიალისტური შინაარსი ამჟღავნებს თავისთავს მარქსიზმის, როგორც სოციალურ-ეკონომიურ მოძღვრებაში, ისე მის მსოფლმხედველობრივ სისტემაშიაც, რის გამოც დიალექტიური მეთოდის უნივერსალური მნიშვნელობა უდაო ხდება. დიალექტიკის მატერიალიზმი თვალსაჩინოთ ხდის მარქსიზმს, როგორც **უაღრესათ მონისტურ კონცეპციას**. მარქსიზმის მონისტური ბუნების თანახმათ მატერიალისტური თვალსაზრისი ის ძირითადი პრინციპია, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს კვლევა ძიებას, რომ ნათელი გახდეს ჩვენთვის მოვლენათა მრავალ—ფეროვანი სამყარო.

რასაკვირველია, ყოველივე ეს მარქსიზმის ანა-ბანაა. მაგრამ თუ ამ ანა-ბანას ჩვენ მაინც ამ წერილში ერთხელ კიდევ განსაკუთრებით ხაზს უსვამთ ეს აიხსნება იმ იდეური თავდასხმით თეორეტიულ-მარქსიზმზე, რომელიც მოახდინა ს. დევდარიანმა თავის წერილით „მარქსიზმი და ხელოვნება“ ამავე ჟურნალის ფურცლებზე.

ს. დევდარიანის მთელი ესთეტიური „ფილოსოფია“ შეიძლება მოვაქციოთ ორ დებულებაში: 1. „საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობისაგან არ არის დამოკიდებული ხელოვნების სარჩულის (ს. დევდარიანის სტილია. ზ. დ.) სხვადასხვაობა“. ამ დებულებას ს. დევდარიანი ბოლომდი ანვითარებს და ლოღიკურად მეორე დებულებას აყენებს: „ხელოვნების დაფასება არ შეიძლება კლასიური ან პოლიტიკური ინტერესების მიხედვით. შესაძლებელია, რომ „რევოლიუციონური სულით“ გაჟღენთილი ნაწარმოები ვერ ვარგოდეს ხელოვნებათ, და რეაქციონერ ხელოვანმა გაგრძნობინოს ნამდვილი ესთეტიური სიამოვნება“. ამ ორ დებულებაში ლოღიკური კავშირია, თუმცა მთლიანათ აღებული დევდერიანის წერილი ლოღიკური წინააღმდეგობებით არის დაჩეხილი.

ჩვენი ავტორი თავის პირველი დებულების სიძლიერის ნათელსაყოფათ ეყრდნობა... მარქსის ავტორიტეტს. დევდარიანი აქ თითქოს უძლეველია, მართლაც მარქსი თავის „პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკის“ შესავალში სწერს: „ხელოვნების შესახებ ჩვენ ვიცით, რომ მისი განვითარების ესა თუ ის საფეხურები სრულიადაც არ შეეფერებიან საზოგადოების საერთო განვითარებას, არ შეეფერებიან მაშასადამე ამ საზოგადოების ნივთიერ საძირკვლის განვითარებასაც“. ამ რიგად მატერიალური ბაზა, რომლის ფონზე უნდა გაიშალოს იდეოლოგიური სხვაობა და მასთან ერთათ მიეცეს ახსნა და გარკვევა ხელოვნების მრავალ-ფეროვან ფორმებს—ამ დებულებაში უარყოფილია და მით საწარმოო ძალთა ღირებულების როლი სოციოლოგიურ ფაქტთა გენეზისის საკითხში სრულად განიავებულია. მატერიალისტური მონიზმის არსება ობიექტის პრიმატის გარეშე ფიქტიური მოვლენაა და თუ ამ შემთხვევაში ობიექტს დაუპირდაპირდა ზეობიექტი—იყვეს ის „სული“ თუ აბსოლიუტური იდეა—მაშინ იდეალიზმს ფართოთ ეღება კარი და მატერიალისტურ სისტემიდან რჩება მხოლოდ ნაფლეთები და უკეთეს შემთხვევაში კი—მხოლოდ მოგონება და მეტი არაფერი.

ასეთია მარქსის მიერ საკითხის „არამარქსისტული-დაყენება. რაში მხილდება ეს „არა მარქსისტულობა“? ვიმეორებთ: ამ დებულებაში უარყოფილია მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიალისტური თვალსაზრისი—ხელოვნების კავშირი საზოგადოებრივ განვითარების ფორმებთან და მით ხელოვნების განვითარებისათვის—**ლოღიკურად მიღებულია ზედროული და ზევრცეული კანონები**. ასეთი „ახირებული“ ესთეტიური შეხედულებანი ნათელი გახდება ჩვენთვის თუ ერთის თვალით მაინც გადავავლებთ მარქსის იდეურ განვითარების ისტორიას.

პირველ წყაროთ 19 წლის მარქსის იდეურ ცხოვრების დასახასიათებლათ ითვლება მერინგის მიერ გამოქვეყნებული მარქსის წერილი თავის მამასთან დაწერილი 10 ნოემბერს 1837 წელს.

„ამ წერილში მარქსი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ გატაცებით მოჰკიდა მან ხელი ბერლინში ჩასვლისას ხელოვნებას და მეცნიერებას. ხელოვნებით გატაცება გამოიხატა მთელ რიგ ლირიულ ლექსებში, რომელიც დასწერა მარქსმა თავის საცოლო ჯენნის შემდეგ კი ცოლის—სიყვარულის შთაგონებით. იურისპრუდენციასა და ფილოსოფიაში მეცადინეობასთან პარალელურად მარქსი დიდის ენერგიით ჰკითხულობდა ლესსინგს, ზოლგერს, ვინკელმანს და ლუდენს. ამ ავტორების შრომა უმთავრესათ ეკუთვნის ხელოვნების ისტორიას და ესთეტიკას. მათში ზოლგერის შრომა განსაკუთრებულია. თავის შრომაში ზოლგერი იძლევა ესთეტიკის მთლიან სისტემას. ხოლო ესტეთიკაში ზოლგერი ჰეგელიანური ესთეტიკის წინამორბედი იყო, ამას თვითონვე ჰეგელიც ადასტურებს, როდესაც ლაპარაკობს, რომ ის სავსებით **ამართლებს** ზოლგერს, რომლის სიცოცხლე ასე უდროოთ შეწყდა, რის გამოც მას არ მიეცა საშუალება დაესრულებია თავის განვითარება და იძულებული შეიქმნა დარჩენილიყო ჭეშმარიტების კარებთან („Vorlesungen über die Aesthetik“) ჰეგელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ზოლგერი შესდგა იმ ალსავლის გზის პირველ საფეხურებზე, რომლის დასრულება ისტორიულად და არსებითათ მისი საქმე შეიქმნა. ასეთი იყო ჰეგელის დამოკიდებულება ზოლგერთან, რომლის ძირითად შრომას ახალგაზრდა მარქსი გატაცებით ჰკითხულობდა. შემდეგ ჯერი მიდგა თვით ჰეგელის შესწავლაზე. თავდაპირველად მარქსი ჰკითხულობდა „ნაწყვეტებს ჰეგელიანურ ფილოსოფიიდან“, მაგრამ მას „არ მოსწონდა ჰეგელის ფილოსოფიის მოჩვენებითი“ ველური მოტივები. შემდეგში—ავადმყოფობის დროს—მარქსმა თავიდან ბოლომდი შეისწავლა ჰეგელი და ამ ხნის შემდეგ ის აღმოჩნდა ჰეგელიანელთა რიგში. ჰეგელიანურ ფილოსოფიაში მარქსი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ესტეტიკის სისტემას; მარქსის გატაცება ესთეტიკით იმ ზომ დიდი იყო, რომ მან მოიწადინა—როგორც ამას მერინგი მოწმობს—სპეციალური ჟურნალის გამოცემა, რომლის არსებით დანიშნულებას შეადგენდა დრამატურგიის „პრობლემის ყოველმხრივი განხილვა“ *).

ამ რიგად აქ ირკვევა, რომ მარქსის ესთეტიურ შეხედულებათა სისტემაში ცენტრალური ადგილი ეჭირა ჰეგელის ესთეტიკას, რომლის გავლენას ახალგაზრდა მარქსი სავსებით მოექცა. ეს გავლენა იმოდენ ძლიერი იყო, რომ მარქსი სპეციალისტიც გამოდგა ჰეგელის ესთეტიკის. ამას მოწმობს მარქსის თანა-

*) **Ю. Деннке „Маркс об искустве“.** ჟურნალი **„Искуство“** გვ. 3-6-7.

ეროვნული

მშრომლობის ფაქტი ბრუნო ბაუერთან იმ შრომაში, რომელშიაც [illegible] ჰეგელის რელიგიის ფილოსოფიას და მისივე ესთეტიკას. შრომის პირველ ნაწილის შესრულება დაევალა ბრუნო ბაუერს, ხოლო ესთეტიკის გამოკვლევა თავს იდვა მარქსმა. მარქსისა და ბრუნო ბაუერის მიზანს შეადგენდა იმ სიძულვილის გამომჟღავნება, რასაც განიცდიდა ჰეგელი ქრისტიანულ ხელოვნების მიმართ. ჰეგელმა გაჰყო ხელოვნების განვითარება სამ საფეხურათ: სიმბოლიური, კლასიკური და რომანტიული. ჰეგელის აზრით მხატვრული იდეალის სრულქმნა, ფორმისა და შინაარსის გაიგივება მოცემულია კლასიკურ ხელოვნებაში. ხოლო კლასიკური ხელოვნება შეესაბამება ბერძენ-რომაელთა შემეცნებას. მაგრამ აქ აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, თუ როგორ არკვევს ჰეგელის ხელოვნების ფორმათა ცვლის პრობლემას. აბსოლიუტური სულის თვითგანვითარების პროცესი—აი ის ფონი, რომელზედაც იშლება ჰეგელის აზრით ხელოვნება თავის მრავალ-სახოვან ფორმაში. ბერძნული ხელოვნება შეესაბამება სულის თვითგანვითარების საშუალო საფეხურს. ღვთაებრივი სული ბუნებიდან უბრუნდება თავისთავს, გადის ადამიანის ტიპზე და იხსნება ადამიანის სახეში. ბერძნულ ხელოვნებაში, რომელსაც ჰეგელი „უაღრესად ადამიანურს“ უწოდებდა ადამიანი თვით არის იდეა. „ეხლა სული, როგორც თავისუფალი სუბიექტი განსაზღვრულია თავის თავში და ამ თვითგანსაზღვრაში, თვითგამორკვევაში სულს აქვს აგრეთვე თავისთავთან ადექვატური გარეშე სახე. მაგრამ ეს არ არის აბსოლიუტური სული. აბსოლიუტური სული ნახულობს თავის თავთან შესაბამისს არსებობას მხოლოდ „სულიერსა და შინაგანში“ და მას, როგორც ასეთს არ შეუძლია ნახოს თავის სრული განხორციელება მხოლოდ „გარეშე“-ში. სილამაზის იდეას, როგორც აბსოლიუტურ სულს, უპასუხებს ხელოვნების რომანტიული ფორმა. ხოლო ამ უკანასკნელს შეესაბამება ქრისტიანული შემეცნება. სრულქმნილი წონასწორობა, ფორმისა და შინაარსის იგივეობა. რითაც ხასიათდება კლასიკური ხელოვნება—აკლია ხელოვნების რომანტიულ ფორმას. ქრისტიანული ხელოვნება ხელოვნების გამოსვლაა თავის საზღვრებიდან.“ (იგივე გვ. 39—40).

ასეთია მეტის მეტათ სქემატიურად ჰეგელის შეხედულება. ბრუნო ბაუერს ამ შეხედულებათა გამომჟღავნებით უნდოდა ჰეგელის ატეიზმის და მისი ფილოსოფიის რადიკალიზმის თვალსაჩინო დემონსტრაციის მოხდენა. თუ რამდენათ მიაღწია და შესძლებდა თუ არა ამას ობიექტიურად ბრუნო ბაუერი ეს სხვა საკითხია და მას ჩვენს თემასთან პირდაპირი, უშუალო კავშირი არ აქვს აქ ხაზგასმულია მხოლოდ ის მომენტი, რომ ჰეგელისათვის, როგორც **აბსოლიუტური იდეალისტისათვის** სული—ეს ზემატერიალური „არსი—იყვეს ის აბსოლიუტურ სულის ფორმაში, თუ უბრალოთ ფსიქიური ფენომენის აზრით—არის ის უმაღლესი ინსტანცია, რომელიც საბოლოო ანგარიშში სწყვეტს ხელოვნების განვითარების პრობლემას. ასეთია ჰეგელის იდეალისტური ესთეტიკა. და ამ ესთეტიკას ახალგაზრდა, 23 წლის მარქსი სავსებით იზიარებდა. ამას დოკუმენტალურად ადასტურებს მარქსის ხელოვნებასთან დამოკიდებულების პრობლემის მკვლევარი **ი. დენიკე**. რომელიც სწერს შემდეგს: „**И так молодой Маркс был**

ეროვნული ბიბლიოთეკა

гегельянцем в эстетике (ხაზი ავტორისაა) и это его прошлое отражается в его сужденях об искустве в плоть до относщагося к 1857 г. „Введения". (ხაზი ჩემია გვ. 37).

მაგრამ მას შემდეგ, რაც მარქსმა კრიტიკულად დაუწყო ჰეგელის ფილოსოფიას შეფასება და როდესაც ეს კრიტიკული შეფასება დაამთავრა ჰეგელის თეხებზე დაყენებით მარქსის მთელი შეხედულება პრინციპიალურად შეიცვალა. მართლაც და სრულიად უდაოა: აბსოლიუტური სულის მიჩნევა სინამდვილის დემიურგათ—პირწავარდნილი იდეალიზმია. ისტორიულად აბსოლიუტური იდეალიზმი ამაზე შორს არ წასულა. ხოლო პარალელურად აბსოლიუტურ სულთან საწარმოო ძალთა კვალიფიკაცია, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორისა—გაუგებარ დუალიზმს ჰქმნის რისი მარქსიზმთან, როგორც **მონისტურ** კონცეპციასთან შეთავსება ლოღიკურად ყოვლად წარმოუდგენელია.

„ჰეგელის ფეხებზე დაყენების" შემდეგ მარქსს არაფერი დაუწერია ხელოვნების შესახებ. მაგრამ ამისდამიუხედავათ მარქსმა მოგვცა მარქსიზმი, რომლითაც ნათელი ხდება ჩვენთვის სინამდვილის ბნელი ლაბირინტის ყოველი ხლართი—იყვეს ეს იდეოლოგიური სფერო თუ პრაქტიკული სინამდვილე. ს. დევდარიანმა სრულიად უყურადღებოთ დასტოვა მარქსის იდეური განვითარების მეტად საგულისხმიერო ქრონოლოგიური მომენტები და მით მარქსსა და მარქსიზმს პრინციპიალურად მიაწერა ის, რაც **მარქსმა-ჰეგელიანელმა** დასწერა ხელოვნების შესახებ.

ჩვენი ავტორი სცნობს ოცი წლის მარქსს-ჰეგელიანელს და უარყოფს მარქსმატერიალისტურ სისტემის შემქნელს.

რა არის ხელოვნება? როგორია ის მარქსისტულ მატერიალიზმის ასპექტში?—აი ძირითადი კითხვა, რომლის პასუხი დღის სინათლეზე გამოიტანს ს. დევდარიანის დუალისტურ შეხედულებას და მის არა მარქსისტულ პოზიციას ხელოვნების საკითხში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ეგნატე ნინოშვილი. ტომი I. 435 გვ. საქართვ. სახელმწიფო გამომცემლობა.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, რომლის ხაზი მოდის მე V-ე საუკუნიდან,—მე XIX-ე საუკუნემდის გლეხის პრობლემა არ არსებობდა.

პირველი ყუმბარა ქართულ ლიტერატურაში, გადასროლილი ბატონ-ყმურ გათახსირების ასაფეთქებლად იყო: დ. ჯონქაძის: „სურამის ციხე“. აქ პირველად იყო წამოყენებული გლეხის დევიზი: „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენი ბედნიერება არ შეიძლებაო!“.

„სურამის ციხით“ ქართულ ლიტერატურაში ეყრება საფუძველი იმ ციტადელს, რომლიდანაც შემდეგი თაობა გლეხური მწერლების იწყებს მაგარ შეტევას გლეხისა და, საერთოდ, დაჩაგრული კლასის ცხოვრების მოძველებულ ფორმის გარდასაქმნელად. პირველი ადგილი ასეთ მწერალთა შორის ეკუთვნის ეგ. ნინოშვილს.

ნინოშვილი ქართულ ლიტერატურაში მოვიდა მაშინ, როცა ბატონ-ყმობა, მართალია იყო გადავარდნილი, მაგრამ გლეხის მდგომარეობა ოდნავაც არ იყო გახრილი უკეთესობისაკენ. ჯერ ერთი: ფორმალურად ბატონ-ყმობის გადავარდნა ფაქტიურად ვერ შესცვლიდა საქმის ვითარებას აგრე ადვილად. ასეც იყო: მხოლოდ გარეგნულად განთავისუფლებული გლეხი ნამდვილად იყო მონა სხვადასხვა მოწინავე, მყვლეფავი წოდების და იმ რუსი მოხელეების, რომლებიც რუსულ მონარქიზმის საქართველოში განმტკიცების შემდეგ, როგორც ყორნები დააჯდნენ ქართველი მშრომელი გლეხ-კაცობის გაძვალტყავებულ სხეულს. მშრომელი ხალხის სხვადასხვა გვარ ექსპლოატაციას მაშინ ზედ დაერთო კიდევ ის გარემოება, რომელიც წარმოშვა მე XVIII-ე საუკუნის დამლევს ინგლისში ამუშავებულმა მანქანამ. ეს იყო ატმოსფერა კაპიტალიზმის.

ამ დროიდან ეკონომიურად სიმძიმის ცენტრი გადადის ქალაქებში, რომელნიც შეიქნენ საქარხნო მოქმედების ცენტრად და თავად-აზნაურობის მავიერობა ამიერიდან მრეწველმა-კაპიტალისტებმა დაიკავეს.

მანქანამ კაცობრიობის ისტორიაში ახალი ხანა წარმოშვა, ეგნ. ნინოშვილი სწორედ—აი, ამ ახალი ხანის ქართველი გლეხის ტანჯული ყოფის გამომხატველია. როცა, (ვიმეორებ), ერთის მხრით ძლიერი იყო ბატონ-ყმობის ნაშთები, ხოლო, მეორეს მხრით ფეხს იკიდებდა კაპიტალიზმი. ამას ზედ დაურთეთ: უვიცობა, კულტურული სიბნელე, სრული ჩამორჩენა და ადვილი გასაგები იქნება მაშინდელი დაჩაგრული კლასის ყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური ადგილი ნინოშვილის შემოქმედებაში უჭირავს ქართველი გლეხის ცხოვრების დასურათებას. ისე, რომ მწერლის სიმპატიები ყოველთვის არის გაღარიბებულ და გაპროლეტარებულ გლეხებისკენ. იგი დაუზოგავად ებრძვის ყველა იმ მიზეზებს, რომელნიც უთხრიან ძირს, სამუდამოთ ასამარებენ კაცობრიობის ბურჯის და მთავარ სიმაგრის, ღარიბი გლეხკაცობის კეთილდღეობას.

როგორია ეს მიზეზები? ნინოშვილის აზრით ეს მიზეზები ორგვარია: ერთი: გარეგანი (სოციალური, ბატონ-ყმობის ნაშთები, უსამართლობა) და მეორე: შინაგანი (უვიცობა, შეუგნებლობა, უკულტურობა).

რა იხსნიდა ქართველ გლეხს ასეთი მდგომარეობიდან? ნინოშვილის აზრით თავისუფალი გონებრივი და ეკონომიური განვითარება, მოსპობა ყოველგვარი კლასობრივი ან წოდებრივი უთანასწორობის.

საქართველოს სახელგამის მიერ ნინოშვილის მოთხრობათა კრებულის გამოცემა დიდი კულტურული მოვლენაა. კრებულში წინასიტყვაობის, ბიოგრაფიის და ლექსიკონის გარდა მოცემულია შემდეგი მოთხრობები: „გოგია უიშვილი“ „„უცნაური სენი“, „პალიასტომის ტბა“, „არშიყნი“, „ქრისტინე“, „სიმონა“, „კაცია და გუნება“, „ჯანყი გურიაში“.

რაჟდენ კალაძის მიერ შედგენილი ნინოშვილის ბიოგრაფია დაწერილია დიდი ერუდიციით და ცოდნით.

წიგნში მოთავსებულია ეგნატეს და მისი ნათესავების პორტრეტები, აგრეთვე მდიდარი ილლიუსტრაცია.

საყურადღებოა თ. კიკვაძის მიერ შედგენილი პროვინციალური სიტყვების და გამოთქმების ლექსიკონი.

ნინოშვილის ეს წიგნი წარმოადგენს ნინოშვილის ნაწერების პირველ ტომს, ამას მოჰყვება შემდეგი ტომიც. უნდა ვიქონიოთ, იმედი, რომ ისეთივე მზრუნველობით და სიყვარულით იქნება გამოცემული მეორე ტომი, როგორც სახელგამის მიერ გამოცემული პირველი ტომია.

მ. გ.

---

## კარლ კორში.—მარქსიზმის დედა-აზრი.

თ ა რ გ მ ა ნ ი.

პატარა წიგნაკია, სულ 28 გვერდს შეიცავს, და ამ პაწაწინა წიგნაკში ავტორს დაუსახავს მეტის მეტათ დიდი მიზანი. წინასიტყვაობაში ამბობს ამ ნაშრომის შესახებ,—ეს უნდა გახდეს მოკლე სახელმძღვანელოთ მეცნიერული კომუნიზმისთვისო“..,—წიგნაკის მეორე მიზანია—ისეთმა პირმა, რომელიც ახლა იწყებს მარქსიზმის შესწავლას, დამოუკიდებლათ შეითვისოს ამ მოძღვრების სისტემაო“.

უნდა ითქვას გულახდით, რომ ავტორი ვერ აღწევს თავის მიზანს. ვერ აღწევს იმიტომ, რომ შეუძლებელია მარქსიზმის დედა-აზრის ამნაირათ შეკუმშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნაკში აღებულია, ასე ვსთქვათ, მარტო ერთი მხარე მარქსის მოძღვრების, აღებულია ცოტაოდნათ სოციოლოგია, და ცოტაოდნათ პოლიტიკური ეკონომია. მოყვანილია „მარქსის მოძღვრება საზოგადოებაზე“, „მარქსის მოძღვრება ღირებულებაზე“, მერე ეხება ზედმეტი ღირებულების საკითხებს, ორიოდე სიტყვას ამბობს საზოგადოებრივი წინააღმდეგობების შესახებ, ბოლოს აყენებს საკითხს,—„რაზეა დამყარებული კომუნისტების რწმენა, რომ კაპიტალისტური მეურნეობა და საზოგადოებრივი წყობილება აუცილებლათ დაიღუპება“.

მარქსიზმის დედა-აზრი, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება ცოტა სოციოლოგიით, ცოტა პოლიტიკური ეკონომიით და სოციალისტური რევოლიუციის აუცილებლობით. ავტორს, არ ვიცი, რატომ, სულ გაუშვია მხედველობიდან ცოტაოდენი ისტორია, ცოტაოდენი ფილოსოფია, ცოტაოდენი პოლიტიკა...

მაგრამ ესეც რომ არ გაეშვა ავტორს მხედველობიდან, ის თავის წიგნაკით მაინც ვერ გაგვაგებინებდა მარქსიზმის დედა-აზრს. მარქსიზმის დედა-აზრი არ არის მარქსის მოძღვრება საზოგადოებაზე, ღირებულებაზე და სხვა. მარქსიზმის დედა-აზრია მარქსის მეთოდი. მარქსს არ მოუცია სოციოლოგია, პოლიტიკური ეკონომია, ისტორია, ფილოსოფია—მარქსმა მოგვცა მეთოდი, გზა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს, რომლითაც უნდა იაროს მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ სოციოლოგიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, ისტორიაში, ერთი სიტყვით, მეცნიერების ყოველ დარგში.

ავტორს რომ ამ 28 გვერდიან წიგნაკზე ცოტაოდნათ გაეგებინებია მკითხველისთვის მარქსის მიერ შექმნილი მატერიალისტურ-დიალექტიური მეთოდი მაშინ შეეძლო დაერქმია თავის წიგნაკისთვის „მარქსიზმის დედა-აზრი“.

დიდი ხანია არსებობს ფრიდრიხ ენგელსის წიგნაკი „Развитие научного социализма—„от утопии к науке“. ამ წიგნაკში მოკლეთ, ყოველ მხრივ და გასაგებათ არის დასაბუთებული ის აზრი, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმისკენ გადასვლა ისტორიულათ აუცილებელია.

დიდი ხანია არსებობს გ. პლეხანოვის წიგნაკი—„Основные вопросы Марксизма“. აქაც მოკლეთ, საფუძვლიანათ და ყველასთვის მისაწდომათ არის გარკვეული მარქსის მსოფლ-მხედველობა.

ამისთანა წიგნაკებია საჭირო, რომ მკითხველმა შეითვისოს მარქსიზმის დედა-აზრი. სწორეთ ამისთანა წიგნაკებს უნდა მიმართოს „ისეთმა მკითხველმა, რომელიც ახლა იწყებს მარქსიზმის შესწავლას“.

კარლ კორშის წიგნაკი, სამწუხაროთ, არ გამოდგება პირველ დაწყებისთვის. ეს ისეა დაწერილი, რომ თუ სხვა წყაროებიდან არ გაქვს გაგებული მარქსიზმის დედა-აზრი, აქ ვერ გაიგებ. გვერდით უნდა გიჯდეს ვინმე, მარქსიზმის კარგათ მცოდნე, რომ გესაუბროს თვითეული მუხლის და შენიშვნის შესახებ, ან იქვე უნდა გელაგოს მთელი მარქსისტული მწერლობა.

შეიძლება ეს წიგნაკი უფრო გამოსადეგია იმისთვის ვინც **ასწავლის** მარქსიზმს, ვიდრე იმისთვის ვინც **სწავლობს**. მაგრამ ამ მხრივაც დიდი შესწორებაა საჭირო ავტორის გეგმაში—სისტემაში. ჯერ უნდა იყოს მაგალითად, გარკვეული რა საძირკველზე შენდება კაპიტალისტური საზოგადოება, რა ძალებს ედგმებათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფესვები თითონ ამ საზოგადოებაში, რომ აუცილებელი ხდება სოციალიზმისკენ სვლა, მერე უნდა ირკვეოდეს, რა არის კომუნიზმი, „საითკენ მიისწრაფის კომუნიზმი“, ჯერ უნდა აიხსნას, რომელ კლასს დაავალა ისტორიამ კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნა სოციალისტურ საზოგადოებათ, მერე...—“ არსებობენ, თუ არა რაიმე სხვა საზოგადოებრივი ძალები, რომელთაც შეუძლიან კაპიტალისტური სამეურნეო და საზოგადოებრივი წყობილების დამხობა და კომუნიზმის განხორციელება.

სხვა და სხვა კითხვების სწორად დალაგების გარდა, ამ წიგნაკს აკლია სისწორე აქა იქ, ცალკ-ცალკე დებულებებში.

აი მაგალითათ ღირებულობის შესახებ.

ავტორი სწერს:

„მოხმარებითი ღირებულება (გამოსადეგობა) პროდუქტს აქვს იმისთვის, ვისაც იგი პირადათ, თავისთვის ესაჭიროება, ხოლო გაცვლითი ღირებულება იმისთვის, ვისაც თვით პირადათ არ ესაჭიროება“.

ეს სრულიად არ არის სწორი გარკვევა. მარქსი, ყოველ შემთხვევაში ასე არ ამბობს.

მარქსის აზრით, მოხმარებითი ღირებულება დამოკიდებულია საქონლის ბუნებრივ თვისებებზე. სულ ერთია **პირადათ** სჭირდება თუ არა ან ამას, ან იმას. საქმე იმაშია, რომ ის მოსახმარია, გამოსადეგია, საერთოთ, ადამიანისთვის. მე, ვთქვათ, პირადათ არ მესაჭიროება სალავის ზეთის (ამ საქონელს ასახელებს მაგალითისთვის ავტორი) მაგრამ ის თავისი ბუნებრივი თვისებით მოსახმარია ვინმესთვის. მოხმარებითი ღირებულება თუ არ ექნა საქონელს, არ ექნება არც გაცვლითი ღირებულება. მოუხმარი, გამოუსადეგარი საქონელი არც გაიცვლება, არც გაიყიდება. იმ ნივთს, რომელიც თავისი ბუნებრივი თვისებით ვერ დააკმაყოფილებს ადამიანის ვერც ერთ მოთხოვნილებას, რომელიც არ მოიხმარება, არავის ესაჭიროება, არ მიეცემა არც გაცვლითი ღირებულება.

ორი ღირებულების განსხვავება ერთი მეორისაგან არ არის იმაში, რაშიაც ხედავს ამ წიგნაკის ავტორი.

ყოველ მოსახმარ ღირებულებას თან ახლავს გასაცვლელი ღირებულებაც, ყოველი გასაცვლელი ღირებულება შეიცავს მოსახმარ ღირებულებას. განსხვავებაა მხოლოდ იმაში, რომ ამა თუ იმ დროს, ამა თუ იმ ალაგს, საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე საქონელი იჩენს ადამიანის ხელში ან ერთ თავის ღირებულებას ან მეორეს. მოხმარებითი და გაცვლითი ღირებულება ორი მხარეა ერთი და იმავე საქონლის.

სხვა მაგალითებსაც ვიპოვნით ამ წიგნაკში. ვიმეორებთ, არ მოხერხდება მარქსიზმის შეკუმშვა ისე, რომ შეიძლებოდეს მისი ჩამოსხმა პატარ-პატარა, გასაზეპირებელ დებულებებში. უკეთესი იქნებოდა, მეტი „მოსახმარი და გაცვლითი ღირებულება“ ექნებოდა წიგნაკს, რომ ავტორს ჩამოეყოლებია კითხვები და თვითეულ კითხვაზე დაესახელებია შესასწავლათ მარქსისტული ნაწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები. ამისთანა წიგნაკი უფრო გამოდგებოდა სახელმძღვანელოთ მოსწავლისათვისაც და მასწავლებლისაც.

**ს. დ.**

---

## „ჩვენი მეცნიერება“.

ყოველთვიური სამეცნიერო კრებული, წელიწადი II № 1. ტფილისი 1924 წ. რედაქტორ-გამომცემელი: **ანდრო შილაკაძე.**

უკვე მეორე წელიწადია, რაც ეს სამეცნიერო კრებული გამოდის.

ჩვენ წინ მდებარე პირველი ნომერი შეიცავს 190 გვ. მას დართული აქვს ანატოლი ლუნაჩარსკის კარგად შესრულებული სურათი, მასალები უნივერსიტეტის მუშაობიდან და სხ.

პირველი წერილი ეკუთვნის ჩვენ დამსახურებულ ხირურგს პროფ. გრ. მუხაძეს. ავტორი ქართველ ექიმებს უზიარებს იმ შთაბეჭდილებებს, რომელიც მან გასულ ზაფხულში გერმანიის ქირურგიული კლინიკების დათვალიერების დროს მიიღო.

სახალხო მეურნეობისათვის ინტერესს მოკლებულ არ არის არც ნიკ. კეცხოველის წერილი. ხოლო დიდი საზოგადოებრივ ისტორიული მნიშვნელობა აქვს სერ. გორგაძის წერილს ჩვენი დიდებული მწერლის ბერიძის ავტოგრაფების აღმოჩენის შესახებ. ასეთივე დიდი ისტორიული მნიშვნელობისა არის პროფ. ივანე ჯავახიშვილის შრომა ძველი საქართველოს ნუმიზმატიკა—მეტროლოგიიდან, რომლის ბეჭვდა ამ ნომრიდან იწყება. ქართველი მკითხველისათვის საინტერესოა აგრეთვე პოპულიარული წერილი ჰომეროსის შესახებ, რომელიც წერეთლის კალამს ეკუთვნის. არის წერილი არქეოლოგიური მელქისედეგ-ბეგისა, ერთი წერილიც ჰიგიენიდან ექ. გ. ნათაძის და მედიცინიდან ექ. ჩირგაძისა. მეცნიერულად საინტერესოა, უსათუოდ, ბესარ. წიკურიას გამოკვლევა, რომელიც დამუშავებულია პროფ. უზნაძის ფსიქოლოგიურ სემინარში.

თავის მოხდენილ წერილში პროფ. მუსხელიშვილი აცნობს მკითხველებს, თუ როგორ შეიძლება გაეცნოთ აინშტაინის ფარდობითობის თეორიას. წერილი მკითხველს აცნობს მთელ დღეს ცნობილ ლიტერატურას ამ საინტერესო საგნის შესახებ. პრინციპიალურად კი საინტერესოა მუსხელიშვლის კრიტიკა ხვოლსონის მიმართ. მე მგონია თვით აინშტაინი ხვოლსონის აზრებს გაიზიარებს.

„ჩვენი მეცნიერების“ ამ ნომერში განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია კ. კაუცკის მიერ კ. მარქსის ხელნაწერებში აღმოჩენილი მეთოდოლოგიური გამოკვლევის თარგმანი. „ჩვენი მეცნიერების“ რედაქციას განზრახული აქვს თავის ჟურნალში შეიტანოს მარქსისტული განყოფილება. რედაქცია ამ საქმეს მარქსის ნააზრების ერთი კლასიკური ნაშთის თარგმანის დაბეჭდვით იწყებს. რაც შეეხება თარგმანს ეტყობა მთარგმნელს რუსულად გადმოუქართულებია, რაიც უსათუოდ მიუტევებელი შეცდომაა. მეცნიერების კლასიკები ან უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითარგმნოს ორიგინალიდან, ან სულ არა. მაგ. უკვე მეორე წინადადება: „საზოგადოებაში მწარმოებელი ინდივიდები და სხვ. არ გამოხატავს იმას, რაიც გერმანულ ტექსტში სწერია. უკვე პირველ გვერდზე ვკითხულობთ ასეთ წინადადებას. „სტუარტი გადაურჩა ამ გულუბრყვილობას იგი, როგორც არისტოკრატი, წინაალმდეგ მეთვრამეტე საუკუნის მრავლის მხრივ ისტორიულ ნიადაგზე სდგას“. რა არის ეს? ნუ თუ ეს ქართულია! მარქსის ხელნაწერში სწერია: steuart, der in mancher Ninsent im gegensats zum Achtsehaten Fahrhundert als Aristokret mehr auf historinlèn Boden steht hat diese Eintfltigkeit vermieden. ე. ი. „სტუარტი იმით გადაურჩა ამ გულუბრიყვლობას, რომ ის როგორც არისტროკატი, ზოგიერთ რაიმეში, წინაალმდეგ მეთვრამეტე საუკუნისა უფრო ისტორიულ ნიადაგზე სდგას“. ეს ორი მაგალითი მე მხოლოდ პირველი გვერდიდან მოვიყვანე. მე არ ვიტყვი, რომ ეს თარგმანი ნაკლები იყოს ბევრ სხვა თარგმანებზე, მაგრამ ის არ არის აკადემიურად სწორი და როგორც ასეთი მეცნიერული გამოყენების მხრივ უმნიშვნელო.

ყველას ყურთსაღებად ერთხელ კიდევ უნდა ითქვას, რომ თარგმანიდან თარგმნა დაუშვებელია. ყველა შრომა, რომელსაც მეცნიერული ღირებულება აქვს, უსათუოდ უშუალოდ დედანიდან უნდა ვსთარგმნოთ.

N N.

# შინაარსი

## მხატვრული ლიტერატურა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველო

1. **გალაკტიონ ტაბიძე**—ჩვენ, პოეტები საქართველოსი . . . . . . . 5
2. **გ. ქუჩიშვილი**—ვინ არის იგი? . . . . . . . . . . . . . . . 6
3. **კოლაუ ნადირაძე**—1905 წ. . . . . . . . . . . . . . . . . . 11
4. **ვასილ გორგაძე**—სიმფონია მწუხრის . . . . . . . . . . . . . 15
5. **მიხეილ ჯავახიშვილი**—ჯაყოს ხიზნები. . . . . . . . . . . . 17
6. **ა. ბელიაშვილი**—ცხრა ცენტრი *) . . . . . . . . . . . . . . 141
7. **პავლე ნოზაძე**—დღე და ღამე რევოლიუციის . . . . . . . . . . 170

### რუსეთი

8. **ვასილ გორგაძე**—ვალერი ბრიუსოვ . . . . . . . . . . . . . . 185
9. **ვალერი ბრიუსოვის ლექსები**—თარგ. ვალერიან გაფრინდაშვილის . 188
10. **ილია ერენბურგი**—ტრესტი დ. ე. თარგ. შალვა ასათიანის. . . . 193

### დასავლეთი

11. **ანრი გილბო**—მოსკოვი თარგ. ვასილ გორგაძის. . . . . . . . . 227
12. **მარსელ მარტინე**—ღამე, თარგ, კონს. ჭიჭინაძის . . . . . . . . 234

### კრიტიკა, მხატვრობა და მემუარები.

13. **რ. კალაძე**—ეგნატე ნინოშვილის ისტორიული დანიშნულება და მისი პიროვნების მნიშვნელობა . . . . . . . . . . . . . . . . . 287
14. **ს. გორგაძე**—ბესარიონ გაბაშვილის (დღემდე უცნობი სამგლივიარო ოდა „სამძიმარი“ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 293
15. **ელისაბედ ყაზბეგი**—დ. ყაზბეგის და ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიული მასალები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 309

### მეცნიერება და პუბლიცისტიკა.

16. წერილები ვ. ი. ლენინის მაქსიმ გორკის მიმართ 1908—1913 . . . 339

ტრიბუნა.

17. **სეით დევდრაიანი**—მარქსიზმი და ხელოვნება . . . . . . . . . 394
18. **შ. დუდუჩავა**—მარქსიზმი და ხელოვნება. . . . . . . . . . . 399

### ბიბლიოგრაფია

19. **ვ. გ.**—ე. ნინოშვილი ტ. I. სახ. გამომცემლობა . . . . . . . . 407
20. **ს. დ.**—კარლ კორში—მარქსიზმის დედააზრი. . . . . . . . . . 408
21. N. N. „ჩვენი მეცნიერება“ ყოვ. თვიური სამეც. კრებ. . . . . . . 411

სურათები: 1) ვანო სარაჯიშვილის, 2) ვალერი ბრიუსოვის.

*) შეცდომით აწერია „დასასრული“, უნდა იყოს „მეორე სერიის დასასრული“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

# „მნათობი“

## 1925 წელი.

1925 წელს გამოვა „მნათობი“-ს თორმეტი ნომერი და ხელის მომწერთათვის გადაგზავნით ეღირება 16 მან. ხელის მომწერლები ფულს იხდიან ოთხ განაკვეთად ოთხ-ოთხ მანეთობით.

**ცალკე ნომერი ეღირება 2 მანეთი.**

**1924 წელში გამოსული „მნათობი“ 8 ნომერი ღირს ხელის მომწერთათვის 13 მანეთი.**

რადგან პირველი და მეორე ნომერი დიდიხანია აღარ იშოვება, ამიტომ რედაქციას განზრახული აქვს დაბეჭდოს ის ხელმეორეთ.

ვინც 1-ლ იანვრამდის შემოიტანს 13 მანეთს მიიღებს ყველა რვა ნომერს უკლებლათ.

„მნათობში“ მონაწილეობას ღებულობს საქართველოს საუკეთესო პოეტები, მწერლები, მხატვრები და მეცნიერები.

„მნათობს“ ჰყავს საკუთარი თანამშრომლები, როგორც რუსეთში, ისე დასავლეთის დიდ ქალაქებში.

გამომცემლობა საქ. პოლ. განათლების მთავარ სამმართველოსი.

გამომცემლობის მისამართი: ტფილისი. რუსთველის პრ. № 22.

„მნათობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები:
1. მიხ. კახიანი.
2. ვალ. ბახტაძე.
3. ლენტ. რუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა


# სამხრეთის ლითონის ტრესტი
# „იუგოსტალ"
# („Югосталь")

## აერთებს შემდეგ ლითონის ქარხანებს.

იუზოვსკის, პეტროვსკის, მაკეევის, ამხ. პეტროვსკის სახელობის (ყოფ. ბრიანსკის)., ლენინის სახელობის (ყოფ. ბოლდუარ), კარლ ლიბკნეხტის (ყოფ. გენტკე), მარიუპოლის, დნესტრის, დონის იურევის და სხვ.

## ქვანახშირის მაღაროებს:

იუზოვსკის, პეტროვსკის, მაკეევის.

### ამზადებს:

თუჯს სხვადასხვას, ფოლადს სხვადასხვას, თუჯის ჩამოსასხამს, ფოლადის ჩამოსხმას, რელსებს, ბოძებს და სხვ.

### რკინეულობას:

სხვადასხვა ხარისხის. საბორბლეს, სალტეებს, სარეზერვუაროს, თხელსა და სქელს, სახურავებისათვის და სხვა.

**მ ა ვ თ უ ლ ს: გრეხილსა და უბრალოს.**

**მილებს: თუჯისას, ფოლადისას, რკინისას.**

### ლ უ რ ს მ ა ნ ს:

ბოლტებს, ვინტებს, რკინისგზის ლურსმნებს.

### აქვს კონტ. წარმომადგენლ.:

მოსკოვის კონტორა—ქ. მოსკოვი, როსტოვის კონტორა—ქ როსტოვი დონზე, დონის წარმომ· ქ. ბახმუტი, წარმ. ჩრდ.-დასავლეთ ოლქში—ქ. ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი.

გამგეობის რწმუნებული და მთავარი კონტორა ამიერ-კავკასიისათვის—ტფილისი, ყოფილი სასახლის ქუჩა № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სომხეთის ს. ს. რ.

პაიებზე.

სახელმწიფო

# სავაჭრო

საზოგადოება

პაიებზე.

## „არმენტორგ"

გატანა სომხეთის პროდუქტების, შემოტანა, ყიდვა გაყიდვა და მიღება საკომისიოდ ყოველგვარ საქონლის

ცენტრ. სამართველო ერევანში.

განყოფილებები საბჭოთა ფედერაციის ყველა დიდ ქალაქებში.

| ა. კ. ს. ფ. ს. რ. | სომხეთში. | რ. ს. ფ. ს. რ. |
|---|---|---|
| ბაქო, ტფილისი, ბათუმი. | ლენინაკანი, ხტეფანაკან, გერუსი, ელენოვკა, ნახჩევანი, შარურ, მეგრი, დარალაგეზ. | არმავირი, მოსკოვი, ლენინგრადი, როსტოვი დონზე. |

ქარხნები ერევანში: ბამბის მწმენდავი, ბრინჯის მწმენდავი და ნაწლავების დამამუშავებელი.